ანზორ კუდბა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩრდილს ნუ მომიკლავთ!

თბილისი
2019

ანზორ კუდბა: **ჩრდილს ნუ მომიკლავთ!**
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2019. გვ 576.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი: **გენრიეტა ქუთათელაძე,** პოეტი

კორექტორი: **ლაშა ხომერიკი**

ტექნიკური
რედაქტორი: **ლევან ბოჭორიშვილი**

ISBN - 978-9941-8-0942-2

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი პირველი

გზაჯვარედინი

ცაბაოთი:

ვითომ მოვტყუვდი? ეს: მე მოვტყუვდი – თვითონ მჭვრეტელი?

მაგრამ შევცდი, გადავცდი, თუ მოვტყუვდი?

ერთიც და მეორეც?

შევცდი და მოვტყუვდი კიდეც?

შევცდი კი? მაგრამ შეიძლებოდა ჩემი შეცდენა?! მე გადამაცდინეს? როგორ?

და მოვტყუვდი? მომატყუეს? როგორ თუ მომატყუეს? ვინ მომატყუებდა, თუკი თვითონვე არ მოვიტყუებდი თავს? ჩემდა უნებურად მოვტყუვდი? თუ მომატყუეს? თავი მოვატყუებინე ვიღაცას?

დაუშვებელია ერთიც და მეორეც!

ნუთუ სიმართლეს ამბობს, საქვეყნოდ რომ გაიძახის: დაგვიბერდა უფალი და დროა გადადგესო! მე უფალი ღმერთი ცაბაოთი დავბერდი და გადავდგე? უკვე მჭვრეტელიც ვეღარ ვარ? ვეღარც ყოვლისმხილველი ვარ და ვეღარც ყოვლის მომცველი?!

მაგრამ რომ ვჭვრეტ?! ვარ მჭვრეტელი და ვჭვრეტ!

და შევცდი მჭვრეტელი?! შეუძლებელია, შევმცდარიყავი!

და თუკი მართლა შევცდი, იმას რას ვემართლები მაშინ? ადამისგან რომ ვითხოვ პასუხს, ვიქცევი კი სამართლიანად? შევცდე და უსამართლოდ ვითხოვდე იმისგან პასუხს? ეგ რომელი, როგორი სამართალია?!

ამრიგად: ვერც სამართლიანი იქნება ჩემი „ღვთაებრივი“ გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაო?! იქნებ: განჩინება?! და მე: უფალი ღმერთი ცაბაოთი სამართლიანი რომ ვიყო... საკუთარ თვალში რომ არ გავმტყუნდე...

იქნებ მართლა შევცდი, ვეღარ გავთვალე და შევცდი სადღაც, თვითონ უფალი ღმერთი შევცდი და: თუკი მართლა შევცდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება კი ცდებოდეს უფალი ღმერთი და ჩემი გამოისობით დაუშავდეს ვიღაცას?!

ადამ, გესმის ჩემი? არა, შენ აღარ გესმის ჩემი! აღარ გეყურება! თითქოს და ისიც დავუშვი, რომ გამტოლებოდი.... ასე ვფიქრობდი მართლაც! აქ რაღას მეტყვი?! თქვი, არ მოგერიდოს!

დიახაც, ასე ვფიქრობდი, მაგრამ იქამდე, ხომ უნდა გამომეცადე?! მაგრამ სარბიელზე იგი გამოვიდა! იგი, ვინც თავისი აზრით ჩემი სწორფერი იყო და ჩემს ადგილს ჩემულობდა (ამას ვერასდროს მოიშლის). თავი ყოვლისშემძლეც კი ჰგონია! დარწმუნებულია თავის თავში (თავდაჯერებული). ერთი ნაბიჯით დამასწრო! უნებურად მოუვიდა?! შეცდა იგი, მაგრამ შენ, ადამ?! მართლა მინდოდა, გამეღვიძებინე! ადამი-ანი გამეღმერთებინე, თვითონ ღმერთს გამტოლებოდი და კიდეც უნდა აღსრულებულიყო ჩემი ღვთაებრივი ჩანაფიქრი, რომ... თავში აგივარდა, ადამ!

გადაცდი ზღვარს. მაგრამ შეგეძლო, მოგენანიებინა და მეც შეგინდობდი... შენ კი როგორ მოიქეცი? დააპირე, გაგეცურებინე. თავის მართლებას მოჰყევი: ვის აღარ გადააბრალე საკუთარი დანაშაული, სწორედაც რომ დანაშაული და კიდევ მეტი, ადამ! იმანაც, თავის მხარეზე რომ დაგიგულა, იფიქრა... ეგონა გაიმარჯვებდა! განგაში ატეხა: უფალი შეცდაო! ღმერთი არ უნდა ცდებოდესო, დაუშვებელი შეცდომა დაუშვაო: გულში ამდენხანს ნალოლიავები ოცნება გაამჟღავნა და საბოლოო განაჩენიც გამოუტანა თავს. ჰოდა: თავის თავს დაბრალოს!

შენ რას გიპირებ, ადამ?

გიპირებ, ადამ, აბა არ გიპირებ? ღვთის სამსჯავროს წინაშე წარსდგები და... ევაც თან იახლე, ნეკნი შენი განსულიერებული. მაგრამ ევას რას ვერჩი?

ე შ მ ა (კ ი):

მართლაც და: ვინ აღარ ვიყავი?! ბელზებელიც და მეფისტოფელიც! მერე – ვოლანდი... მერე: ბელიარმა თავი გამოვიწვი ჩემს ნალიაში და ფერფლადქცეული ფენიქსივით აღვდექი მკვდრეთით. ჰო, კინაღამ არ გადამავიწყდა?! ლუციფერზეც ხომ გსმენიათ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ მე ლუციფერიც! და აღარვინ უწყის, დღეს რა სახელს დამანათლავს ჩემი დიდნათლია? იქნებ: დამამცროს და უბრალოდ გრძნეული სული დამიძახოს! ვინ იცის? მე ვღელავ, ან რატომაც ვერ უნდა ავღელდე?! მე ხომ მთელი ეს დრო ადამიანებში ვტრიალებ და „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო!“ ასეც ხომ იტყვიან ადამიანები, მე კი ადამიანებში გავერიე და ძალაუნებურად მისი ჩვევებიც რომ გადამეღო, განსაკვირველს რას უნდა ხედავდეთ ამაში? კარგად თუკი არ დამაკვირდით, შეიძლება მათგან ვერც გამომარჩიოთ. მაგრამ ჩემი მთ. ანგელოზისეულიც არაფერი დამიკარგავს. მოკლედ: ადამიანისგან ვერ გამომარჩევთ! მართლა რქები და ჩლიქები ხომ არ გგონიათ, მქონდეს?!

ჰოდა: მისმინეთ! ყველას, ვისაც ამ ჩვენს მიწაზე მოავლენენ, სახელსაც დაანათლავენ ხოლმე, გვარი ხომ ოდითგანვე მოგვდგამს ჩვენ ჩვენი საფერი, მაგრამ ჩემი განსხვავებულია ყველასგან და აღმატებულიც. ამიტომაცაა, რომ ჩემსას იდუმალების ბეჭედი აზის.

ჩემი გვარი არ გაიმხილება. გავამხელ და გამორიცხული არაა, ანათემას გადამცენ! მერე: ფერფლიდან აღდგომა მომიწევს, რაც დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. გსმენიათ თქვენ ამნაირ აღდგომაზე და პროცედურები არც თუ ისე მარტივია. ამაში თვითონ უფალი დამერწმუნება. იმას, უფალი მყავს მხედველობაში, რა ენაღვლება? დაცულია ყოველგვარი გაუგებრობისგან, დაუდევრობებისგანაც. იქნებ თვლემს ახლა და განცხრომაშია თავის სასუფეველში.

მე: მისი ხელდასმული ვიყავი, ე.წ. განდობილი. ვიცი, აღარ დამინდობს, მაგრამ სიცოცხლეს ნამდვილად არ მომისწრაფებს. ათას ვალდებულებას დამაკისრებს! შესაძლოა უფლებებიც არ შემიზღუდოს, მაგრამ... თუმცა ვინ უწყის, რა მოეპრიანება მის უზენაესობას?! არარაობაში რომ მიმაბრძანოს?! ამიტომ: თავი უნდა მოვიკატუნო, თითქოს ვეთანხმებოდე ყველაფერში... ასე თუ მოვიპოვებ ერთხელ დაკარგულ ნდობას. ისევ უნდა გავხდე მისი ნდობით აღჭურვილი პირი დედამიწაზე. უნდა დავემორჩილო მის ნებას! ამასთან, დედამიწას ჯოჯოხეთად მოიაზრებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ადგილიც მისი აზრით ამ ჯოჯოხეთშია! გამოვუმწესებივარ კიდეც დედამიწაზე... და ადამიანებსაც ასე უხაროდეთ ჩემი ასე დამცრობა, არასამართლიანია! მაგრამ ვგონებ: მალე შეიცვლება დრო და ვითარება: მაღიარებს ადამიანი და მეც ავმაღლდები! ადამიანიც შემინდობს, ნდობითაც მომაშტერდება ეს მართლაც გამოყეყეჩებული ორფეხა ცხოველი და...

მოთმინება მმართებს. მე თვითონ მოთმინებას მივუსჯიდი საკუთარ თავს და მეც ამ მოთმინებით აღვიჭურვები!

ჰო: მართლაც და: ვინ აღარ ვიყავი?! ბოლომდე ვეღარ მოგახსენეთ და მობოდიშებასაც არ ვაპირებ!

დიახ, მართლა ვინ უნდა ვიყვე? ნეტავი რა სახელი უნდა მოვირგო ჩემი საფერი? უფალი მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ აღარ დამანებეს! ამ ოცნებაზე უარსაც ვერ ვიტყვი, თუმცა ეს საკითხი ჯობია სამომავლოდ გადავდო! დღევანდელი ჩემი სახელი კი... დღესაც სატანას არ მეძახის იგი?! ერთხელ ასეც კი მომმართა: „ნუღარ ეშმაკობო!“ ეშმა-კიო, თავისთვის ჩაიღიღინა. ეშმაკამდე ჩამომაქვეითა.... თითქოს მაფრთხილებდეს, ჭკუით იყავი, თორემაო... მიწა (დედამიწა) კი დავაყარე გულზე!

სრულებითაც არ მინდა, ჩემი ნათლია იყოს, მე მისი ნათლული?! მაგრამ ძალა რომ აღმართსა ხნავს?! ესეც ადამიანს უთქვამს! და რატომ თვითონვე არ უნდა ვიყო საკუთარი თავის ნათლია?! ნათლიაც მე ვიქნები ჩემი თავის და – ნათლულიც!

ვიცი, ახლაც სულში მიზის ის მართლა ყოვლისმხილველი, ყოვლისმომცველიც და ახლა რომ ვუფიქრდები – ყოვლისშემძლეცაა! და მამობილად ვცნო?! ეშმაკობა მმართებს მართლაც! გულში ხომ მაინც ეშმაკს მეძახის და ვიქნები კიდეც... ეშმა(კი)! გულზე მოეფონება ჩემი ამდაგვარი მორჩილება და დამიფასოს იქნება კიდეც!

ხვალვე წარვუდგები და პატიებას ვთხოვ, გისმენ და გემორჩილები-თქო, განვუცხადებ და მის გულსაც მოვიგებ! მაგრამ ისეთი გულუბრყვილოც რომ არ ვარ, თავს რომ ვიკატუნებ?!

თავიც როგორ დავირწმუნო რომ ჩემს ნამდვილ ფიქრებს ვეღარ წაიკითხავსო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ, ახლა რასაც ვფიქრობ, არ ეცოდინება? იცის, წინასწარ იცის, როგორ მოვიქცევი?

მაგრამ ეს ხომ არახალია?!

ეშმაკიო... მომწონს ეს სახელი: ეშმა... ეშმა(კი).

– დიდებულია ეშმა(კი)! ზედგამოჭრილია შენთვის!

– როგორც ინებებთ, უფალო!

– შენ ამბობ!

– დიახ, მამავ ბატონო!

– მაშ, ეშმა... კეთილი, კეთილი...

– გისმენ, უფალო!

– გრძნეულებას არ ჩამოგართმევ... ჯერჯერობით! ადამიანებს არაფერი დაუშავდეს, თორემ... ჩამოგერთმევა ყველა ტიტული!

– მესმის, უფალო...

* * *

„ოდეს მებაღე ვიყავ, იშთარმა შემიყვარა...“

„რა მიეახლა „მიწის უფალი“ ბურანუნას (ევფრატს), მორქინალ ზროხა-სავით ამაყად მიეგება ბურანუნა; ღვარით დატვირთა ბურანუნა „მიწის უფალმა“, მარადბედიანი წყლით აავსო. ახლა იდიგანა (ტიგროსი) დაუდგა გვერდით მორქინალ ზროხასავით, ღვარით დატვირთა იდიგანა „მიწის უფალმა“, საქორწინო ზღვენი მოუტანა, გაიხარა იდიგანამ მორქინალ ძროხასავით: წყალი რომ მიართვეს, მარადმედინი წყალი იყო...“

„მას მერე შეუმწყდარად მოედინება ეს ორი მდინარე მიწის უფლისმიერი ძალით დაძრული და ვიდრე საბოლოოდ შეერთებულან ზღვის ყურეში, მანამდე კიდევ ბევრ ადგილას აზავებს მათ წყალს ადამიანის ღვაწლი მრავალრიცხოვანი არსებითა და ნაბარტყი რუებით – ღვაწლი. რომელიც აგვირგვინებს შესაქმის პროცესს და რომლის გარეშეც მიწა ვერ იქნება საცხოვრისი კაცთათვის...“

(ღვთიური წყაროებიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უფალი: (წამონთებია თვალები რისხვისგან): – როგორ გაბედა? თვითონ ინება? მოიწონია იმ ხის ტოტი, ერთხელ „ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა“ რომ ვუწოდე! – ამოისუნთქავს და სამოთხეშიც ამოიჭრება ათასფრთიანი ქარი-გრიგალი და შეარხევს ცნობადის ხეს. ნაყოფი დაცვივდება ხეს და ძირს დავარდნისთანავე ლპება: – ეს იმიტომაც, რომ ნაყოფი ესე დროზე ადრე ვერვინ იგემოს! (გაიხედავს სიცოცხლის ხისკენ, მისკენ მიდიოდა ერთი კაცი, რომელსაც თვითონ დაანათლა ერთხელ „ადამი“), – და ამ უბედურს ეგონა, რომ იგემებდა სიცოცხლის ხის ნაყოფს და ეზიარებოდა უკვდავებას. ეს ხომ ჩემი ნებართვის გარეშე არ ხდება?! ჩემო საცოდავო ადამ, საბრალო ადამიანო! ეს რა დაგემართა, ბიჭო?

გიყურებ და ასე მგონია, რომ ჯერაც ვერ მოსულხარ გონს და მართლა რა გიყო, თუმცა აწი აღარაფერი გეშველება! სამოთხეშიც აღარ შემოგესვლება! მაგრამ უკვე მოსულხარ! სასწორზეც შემდგარხარ?! – (სასწორზე შემდგარ ადამს განაჩენის მოლოდინში სუნთქვა შეკვრია).

– ადამ!

ადამი: – უფალო, გისმენ (თავს დახრის გაფითრებული, დახუჭავს თვალს, ნერწყვი ყელზე დაადგება და აწ წარმოსათქმელ სიტყვებთან ერთად გადაყლაპავს).

უფალი: – იცი კი, რა დააშავე?

ადამი: – დავაშავე? (თითქოს მოფხიზლებულიყოს. კიდევ აპირებს რაღაცის თქმას, მაგრამ ენა ვერ მოუბრუნებია, რაღაცას ელის, ელის კითხვას, რომელიც უნდა დაუსვან უკვე სასწორზე შემდგარს).

უფალი: – რაო, რას იტყვი, ადამ? თუ იცი, მაინც რა დააშავე? ნუთუ არაფერი გაქვს სათქმელი? იქნებ: არც შეგიცოდავს?

ადამი: – შევცოდე? (თვალები ჩაწითლებია).

უფალი: – არც კი იცი, რომ შესცოდე? შესცოდე და მერე როგორ?! არ იცი, როდის?

ადამი: – იქნებ შემახსენო, უფალო... (ხმა ჩახრინწვია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი: (გულში): „ეღიარებია, მოენანიებია ცოდვა და ვაპატიებდი. ჯერ ერთი: არ უღიარებია დანაშაული და კიდევ მეტი: შესცოდა და ისე იქცევა, თითქოს არც დაეშავებინოს, ტყუის ურცხვად! იცის, შესცოდა, მაგრამ...“

ადამი (გულში): „ევამ მაცდუნა, მაგრამ როგორ ვთქვა ეს?!“

უფალი: – და მესამეც: ევა დაბალი ღობეა და იმას გადააბრალე შენი დანაშაული!

ადამი: – უფალო, ხომ არ მითქვამს, გავიფიქრე მხოლოდ, მაგრამ მართლა ასე რომ იყო?!

უფალი: – ადამ, შენ ისევ სცოდავ!

ადამი: – უფალო, ვფიცავ შენს სახელს, რომ არ შემიცოდავს, უცოდველი ვარ, ვფიცავ! არც არასდროს შევცოდებ! შენი ადამი უცოდველია...

უფალი: – იყავი შენ ჩემი ადამი და უკვე აღარ ხარ ჩემი!

ადამი: – უფალო, შემინდე, მომიტევე (ციებიანივით აკანკალებს), – მე ხომ არ მინდოდა შემეცოდა...

უფალი: – უნებლიეთ შესცოდე? და შენ გგონია, არ შეგიცოდავს? და მე ვცოდავ, როცა გეუბნები, შეგიცოდავსო? რატომ არ მოინანიებ?

ადამი: – მოვინანიო, როცა არ შემიცოდავს? და რა შეგცოდე, როდის შევცოდე?

უფალი: – შენ ხომ იცოდი, ადამ, უნდა გეგემა ჯერ ნაყოფი სიცოცხლის ხიდან... მოგეფინებოდა იმდენი მადლი, რომ უკვდავების ღირსი გამხდარიყავი, უკვდავება შეგძლებოდა... უკვდავებაც ტვირთია ერთობ მძიმე... და მხოლოდ ამის მერე მოგეცემოდა იმის უფლებაც, რომ იმ ხე ცნობადისა ნაყოფიც გეგემა! გაარჩევდი მაშინ ავს კარგისგან და შეიქმნებოდი შენ სული სრულყოფილი და ღირსეული მემკვიდრე ჩემი!

ადამი: – ვფიცავ, რომ ამაზე არაფერი მსმენოდა... ჰო, მართლა, ევაც თან მახლავს!

უფალი: – ჰო, შენი ჩრდილივითაა!

ევა: – მე აქ ვარ, უფალო... (დაირცხვენს და თვალებზე აიფარებს ხელებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი: – ევა, იქნებ შენ მაინც მითხრა სიმართლე და თვალი აუხილო შენს ადამს! ფრჩხილები ახსენი იმ შენს შეწუხებულ ფიქრს, გულზე ლოდივით რომ გადევს. ნუთუ დავიჯერო, შენ აიძულე ადამი, რომ აკრძალული ხილი ეგემნა?

ევა: (არც აკანკალებულა ადამივით და არც მუხლები მოკვეთია): – უფალო, მე უბრალო ვარ (დადუმდა განგებ და გარკვეული პაუზის შემდეგ, უფრო მორიდებულად განაგრძო): – ვფიცავ შენს წმინდა სახელს, არაფერიც არ დამიშავებია, იქნებ შევცდი, ამას როგორ უარვყოფ, შეცდომებისგან აბა ვინაა დაზღვეული, ვფიცავ, რომ...

უფალი (მარჯვენა მაღლა შემართა და ევასაც გაუწყდა სიტყვა):

– ევა, გისმენ.

ევა: – შენს რჩევა-დარიგებას ზედმიწევნით ვასრულებდით მეც და ადამიც, მაგრამ იმან... გველხოკერამ...

უფალი: – ეშმა(კი) გყავს მხედველობაში? გრძნეული სული?

ევა: – იქნებ არც იყო გველი, მაგრამ გველის ტყავი ემოსა.... შემაცივა იმის დანახვაზე, ადამს ხომ კრიჭაც შეკვროდა?! (სული მოითქვა და შეიწმინდა ცრემლი), – იმან... უხსენებელმა: რა ხელს მოგცემთო თქვენ ნაყოფი სიცოცხლის ხისა, თუკი ავს კეთილისგან ვერ გაარჩევთო? ჰოდა...

უფალი: – თქვი! ნუღარ აჭიანურებ!

ევა: – უფალო, კარგად მინდა გამიგოთ, მე ადამის მხევალი ვარ გაჩენის დღიდან. იგია პირველი ჩვენს შორის და იგი სიმართლე იქნებ თვითონ უფალმა მოგვახსენოთ.

უფალი: – ჰო, შენ ნეკნი ხარ ადამის და ვერც ერთი ვერ იქნებით სრულყოფილი...

ევა: – დიახ, ნეკნი ვაკლივარ ადამს... – (უცებ მოიწყინა).

უფალი: – და სანამ ერთად იყავით, სრულყოფდით ერთმანეთს... აქაც, სამსჯავროზე ერთად ხართ და ადამს, როგორც პირველს თქვენს შორის, პასუხსაც იმას მოვთხოვთ!

ევა: – დაილოცოს, უფალო, შენი სამართალი!

უფალი: – ერთს გკითხავ, ევა: მხოლოდ თავისი წილი ცოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთვის მოეთხოვოს ადამს, თუ შენი წილიც ადამს დაეკისროს?

ევა: – ადამი ხომ უპირველესია? მაშინ ჩემი წილი ცოდვაც იმის წილ ცოდვასთან ხომ უმნიშვნელოა და სასჯელიც...

უფალი: – სასჯელიც იმან ზღოს? შენ დამაინტერესე უკვე, განაგრძე, ევა! დამოუკიდებელი ხარ ადამისგან, სქესი გამოგარჩევს ადამისგან, მხოლოდ სქესი, მაგრამ ხომ იყავით ერთნი?!

ევა: – დიახ, უფალო, მაგრამ დღეს ადამი ერთია და მე – ევა – მეორე... და მე ის ერთი ნეკნი კვლავ დავუბრუნდე ადამს?! და მთელი ადამი დაისაჯოს იმ ცოდსთვის! მე უცოდველი ვარ, უფალო.

უფალი: – ევა!

ევა (მიხვდა, შესცოდა, მაგრამ სიტყვას ხომ ვერ დაიბრუნებდა უკან)? – შემინდე, უფალო!

უფალი: – ახლა შენც ცოდვილი ხარ... სრულიად ცოდვილი! შემიძლია შენთვისაც ჩამოვაბნელო, ევა! დღეიდან შენც აღარ გაგინათებს მზე!

ევა: – სიკვდილი არ მინდა, უფალო... (მუხლებზე დაეცემა. ტირის).

უფალი: – არც მიფიქრია, მომეკვდინებინეთ. მაგრამ ვიფიქრებ ამაზეც. იცი კი რა არის სიკვდილი?

ევა: – სრულად ვერ გამიაზრებია, მაგრამ შევიგრძნობ იმისგან გამომავალ სიცივეს...

უფალი: – ევა, სანამ ცოცხალი ხარ, სიკვდილს ხელი არა აქვს შენან... ეს დაიხსომე. ჰო: შენ ნეკნი ხარ ადამის, ამიტომ მარტო ვერც წარმოგიდგენ, მაგრამ... ერთი ცდა კიდევ მინდა ჩავატარო და მერე, მარტო უადამოდაც როგორღა გაძლებ?

ევა: – უფალო... (თქვა და დადუმდა. მომდევნო კითხვა აღარ დაბადებია).

უფალი (წამოაყენა აცრემლებული ევა): – შენც: ჩემს სამსჯავროზე!

ევა: – თავს დამნაშავედ რომ არ ვგრძნობ?

უფალი: – ესეც დანაშაულია!

ადამი (ამდენხანს ხმას რომ არ იღებდა): – უფალო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი: – იქნებ შენც უცოდველად წარმოგიდგენია თავი... ევასავით... ორივემ იფიქრეთ ამაზე!

უცებ ჩამობნელდება და აცივდება.

ევა ადამს მიეყრდნობა მთლად შეციებულ-აკანკალებული. თბებიან, თავს უკეთ იგრძნობენ. ინდომებენ, დაშორებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამაოდ, ევა ადამში შედის და მთლიანდებიან.

ადამი: „მე ადამი ვარ!“ (გაიფიქრებს. ეს ერთი გულია, ასე რომ ფიქრობს).

„მე ადამი ვარ!“ (ეს მეორე გულია, იმ პირველს რომ ეთანხმება).

– მე ევა ვარ! – ეს უტყვი გულია, რომელიც ფიქრობს და ამბობს კიდეც.

თვალუწვდენელი მთა. ნათდება ძირში და ნათდება მისი მწვერვალიც. გასხივოსნებული მწვერვალი უფალია თვითონ, მაღალი ღმერთი!

უფალი(...) ღმერთი:

1. უფალში დაძრული დრო (უფლისმხილველი)
2. თვალი უფალში ახელილი (ყოვლისმხილველი)
3. უფალში აღძრული ნდომა (ყოვლისშემძლეობა)
4. სული უფალში ამოვლებული (უკვდავება)

ზედ მწვერვალის ძირში აძაგძაგებული პირველი ადამიანი – თვითონ ადამი, თიხისგან რომ გამოძერწა ერთხელ უფალმა და სული შთაბერა: „ჩემი იმედი და იქნებ – მომავალიც...“ გულში გაივლო უფალმა, თუმცა იგუმანა: ზეიმი ნაადრევი ხომ არაა და ყური მასშივე დაძრულ დროს მიუგდო:

დრო ყოვლის მომცველი: – ამდენხანს შენს განკარგულებაში ვიყავი ამ სააქაოს, რომლისთვის წუთისოფელი გიწოდებია რატომღაც და საიქიო ხომ მარადსოფელია?!

ადამი (შეწუხებული. ქვეშეცნეულად გრძნობს, რომ რაღაც ძირეულად შეიცვლება მის ცხოვრებაში, მაგრამ ის კი აღარ იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის სასიკეთოდ თუ საუბედუროდ): – მაინც რა მომელის? გულიდან ხომ არ ამომიგდო საბოლოოდ? ხომ არ გამწყრომია ღმერთი?

დრო ყოვლის მომცველი: – დაგტოვებს წუთისოფლად... სამარადისოდ!

ადამი: – უკვდავი მხოლოდ მე მერქმევა ამ წუთისოფლად?

დრო ყოვლის მომცველი: – შენ და შენში კვლავდავანებულ ევას! მაგრამ ამაზე კიდევ ვიფიქრებთ.

ადამი: – ეს როგორ გავიგო? (შეწუხებულია ძალიან).

დრო ყოვლის მომცველი: – მაგრამ დაშორიშორდებით... ოდესღაც სადღაც კვლავ რომ მოიძიოთ თქვენ ერთმაენთი (პირს წყლით დაიგუბებს, რამე ისეთი არ წამოცდეს, სანანებლად რომ დაურჩეს მერე): „ამ წყალს არც არასოდეს გადავყლაპავ და არც პირიდან გადმოვაქცევ...“

ადამი: – კიდევ კარგი, რომ წამაკითხე მე იდუმალი ფიქრი შენი... გმადლობთ, უფალო, რომ ეს ნიჭი შენგანვე ბოძებული არ ჩამომართვი! შენ კი, დროვ, შენ უფალში ახელილო თვალო, მხედავ და ხედავ ამ ჩემს მომავალს, ისევ და ისევ შენ რომ დაგიწესებია ჩემთვის....

თვალი ყოვლის მომცველი: – გხედავ, რაღა თქმა უნდა. გხედავ და ისიც ვეღარ ხარ, ან სულაც ვერ უნდა იყო ის, ვინც ყოფილიყავ უნდა!

ადამი: – და ასე ვინ მიმტრო?

თვალი ყოვლის მომცველი: – თავსვე უმტრე შენ და გაწირე კიდეც! თვითონ ინდომე ასე! დაგმე ღმერთი, დაგმე შენშივე, აღარ ინდომე მასთან ყოფნა. იყავი ახლა შენ ამ წუთისოფლად და წუთი იგი გაგიმარადისდეს!

ადამი: – და ამდენ ხანსაც რამ გამაძლებინოს მე ამ წუთისოფლად?

თვალი ყოვლის მომცველი: – მოინანიე!

ადამი: – მოვინანიო?! რატომ? რატომ, რომ აღარ ვიცი? (მიდის თავაღერებული, მაგრამ ჩაფიქრებული და სუნთქვაშეკრულიც).

სული (უკვდავება): „ნუთუ ახლაც ვერ მოვა გონს? და რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ არ უნდა იცოდეს კიდევ: თუკი სხვას არ გადააბრალებს დანაშაულს, ეშველება... ნუთუ განგებ შევქმენით იგი ასეთი? არასრულყოფილი... მინდოდა ჩემნაირი ყოფილიყო! იქნებ ყურადღება მოვადუნე წამით და... რაღაც უჩემოდ მოხდა, გამომეპარა თვალთახედვიდან.... თვითონ შევქმენი და ახლა აქეთ ვემართლები? მერე და თიხისგან რა ღმერთი გამომივიდოდა?! ამპარტავანია და ამპარტავანზეც მეტი! რომ მოენანიებია... გაამართლებდა ჩემი ექსპერიმენტიც, მაგრამ მაინც ვერ გავწირავ! ვუყურებ და თვალს უახრია! მართლა ღმერთივითაა!

დასჯით კი უნდა დაისაჯოს!

ადამი?! მოდის, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად! თავის თავში დარწმუნებული... თავდაჯერებული თავხედი! თითქოს ცამდე მართალი იყოს...“

ᲐᲓᲐᲛᲘ: – აქვე არ ყოფილა ღვთის სამსჯავრო, ზედ სამოთხის ცხვირწინ! რატომ ამდენხანს არ შემიმჩნევია?! ვერც კი ვხედავდი! (მიიხედ-მოიხედავს და ზეცას გაუსწორებს თვალს).

ᲔᲕᲐ (არავინ მოელის და არც არავის ეხატება გულზე): – ადამ, მაინც ვისი დანახვა გინდა, მე მოვედი. მეგონა გაგიხარდებოდა. ერთხელ კიდევ რომ მოვკრავდე თვალს ჩვენს სამოთხის ბაღს... (ოცნება წაიღებს) – რატომ ვერ ვხედავ?

ᲐᲓᲐᲛᲘ: – არსადაც არ გამქრალა სამოთხე. იმას შენ ვერც ხედავ და იგიც არ იცი, სად უნდა იყოს...

ᲔᲕᲐ: – შენ, ადამ?

ᲐᲓᲐᲛᲘ: – შენგან განსხვავებით, ვიცი სად უნდა იყოს, მაგრამ მეც ვერ ვხედავ! უფალი მართლა არ უნდა ხუმრობდეს: შენ ვერ ხედავ და მეხსიერებაც დაგიჩლუნგა... ღვთის სამსჯავროზე დავუბარებივართ, თავის სამსჯავროზე... სამართალსაც თვითონ აღასრულებს! ვფიქრობ არ დამინდობს... შენ კი იქნებ ებრალებოდე კიდეც, მაგრამ სასჯელს მაინც ვერ აიცილებ!

ᲔᲕᲐ (ადამიდან ამოიძახებს): – ადამ: ადრე კითხულობდი შენ იმის ფიქრებს...

ᲐᲓᲐᲛᲘ: – ეს ადრე იყო, ახლა კი მიხურულია ჩემთვის მისი გულის კარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევა: – სცადე, იქნებ გამოგივიდეს!

ადამი: – და შენ გგონია, არ ვცდილობ?! არაფერი გამომდის, მაგრამ მოგვიხმობს მგონი!

ევა: – კი არ გვიხმობენ? ეს შენ მოგიხმობს, ადამ!

ადამი: – მე მეძახიან მართლაც, მაგრამ შენ ხომ ჩემში ხარ, ევა!

ევა: – იცის, როგორც მოიქცეს! ბრძენია უფალი ჩვენი, ჩვენი დიდი მამა... გამაგრდი, ადამ!

ღვთის სამსჯავრო

გრძელი მაგიდის ერთ მხარეს თავთავიანთ ადგილებს იკავებენ სჯულის ანგელოსნი. მათ წინ – კიდევ ერთი მაგიდა, მაგრამ პირველზე საგრძნობლად მაღალი.

შემოდის თვითონ უფალი ღმერთი ცაბაოთი და სჯულის ანგელოსნიც წამოიჭრებიან თავთავიანთი ადგილებიდან. უფალი ღმერთი დგას და თავი ცარგვალისთვის მიუბჯენია. ზეცაც შეიწევს მუცელს, თითქოს ადგილს უთმობდესო, მაღლა მიიწევს, უფალი ღმერთი კი იზრდება, ბოლოს ხელს მაღლა აწევს უფალი ღმერთი ცაბაოთი და ზეცაც დადგება, გააჟრჟოლებს და სჯულის ანგელოზებსაც ჟრუანტელი დაუვლით ტანში:

– შემოიყვანეთ! – ბრძანებს უფალი ღმერთი და ადამიც ამაყად შემოაბიჯებს სასამართლო დარბაზში.

– შენი სახელი! – იკითხავს უფროსი სჯულის ანგელოსი.

– ადამია სახელი ჩემი!

– სადაური ხარ?

– სამოთხიდან... – ენა დაება ადამს, – იქიდან გამოძევებული.

– ვინაობაც გვინდა ვიცოდეთ შენი!

– ვინაობა! – სულ დაიბნევა ადამი, ამ კითხვაზე არ გააჩნია პასუხი. დადუმდება საერთოდ. ჩაუჟამდება ოდესღაც სხივმფენი თვალები.

– დააშავებდი, ალბათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– უდანაშაულო ვარ... – ამოთქვა ადამმა და სჯულის ანგელოსებმაც უფალი ღმერთისკენ აღაპყრეს ხელები.

– შესცოდა და აღარ მოინანია! – ბეჭედივით დასვა უფალმა: – ეს პირველი და მეორე დანაშაულიც! მერე: სხვას გადააბრალებს თავის დანაშაულს და აჰა, თქვენც რიგით მესამე დანაშაულიც!

– რომ მოინანიოს? – იკითხავს სჯულის ანგელოსი.

– მივუტეებდი, მაგრამ ვერ ვაპატიებდი!

– მიუტეევებდით და ვერ აპატიებდით? რას ნიშნავს ეს?

– სამოთხეში ვერ დავაბრუნებ! იაროს თავისი გზით! დიდია და თვალუწვდენელი გზა ადამიანთა!

სჯულის ანგელოსებიც მიუბრუნდებიან ადამს და კითხვის თვალს აღარ მოარიდებენ.

– ვერ მოვინანიებ, რადგან არც შემიცოდავს.

და უფალი ღმერთიც სჯულის ანგელოსებს მიაპყრობს თავის ღვთაებრივ მზერას. თქვენზეა ახლა სიტყვა. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ: დამნაშავეა თუ უდანაშაულო? სცოდავს და რამდენად სცოდავს?

სჯულის ანგელოსები გადიან მოსაფიქრებელ დარბაზში. უკან მთელი ერთი საათის შემდეგ შემობრუნდებიან და უფროსი სჯულის ანგელოსი განაჩენის ფურცელს ააფრიალებს.

– გისმენ, უფროსო სჯულის ანგელოსო... – თვალი აღარ მოუშორებია უფალ ღმერთს ადამისთვის.

სჯულის ანგელოსი კითხულობს განაჩენს: – სამოთხიდან გამოძევებულმა ადამმა დააშავა, შესცოდა ორჯერ!

– განაჩენი, უფროსო სჯულის ანგელოსო!

– დაისაჯოს სიკვდილით!

ადამმა მოისმინა განაჩენი: არ ეგონა, თუ ასე გაწირავდნენ. ენის წვერი მოეყინა და შეაცივა. თითქოს ჭიანჭველებმა დაურბინეს მთელ ტანში. მკაცრია მეტად თქვენი განაჩენიო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამის სათქმელად ენა აღარ მოუბრუნდა.

– სასჯელი მკაცრიაო?! – გაიკვირვა უფალმა, – მე კი პირიქით მგონია, ჩემი აზრით განაჩენი ერთობ შერბილებულია!

– გისმენთ, უფალო, – შეცბა უფროსი სჯულის ანგელოსი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვის თვალით გადახედა თავის სჯულის ანგელოსებს.

– მე უფლებამოსილი ვარ, – ამბობს უფალი, – შევასწორო თქვენი გადაწყვეტილება: ამრიგად: დამნაშავეს ჩრდილი, ჩრდილი უნდა მოეკლას! შენ კი, ადამ, ვიცი, რასაც შეუწუხებიხარ. ევა შენთან ერთად დაისჯება. ევა ხომ შენშია?!

– მაგრამ დღეს რომ წვიმს?

– გამოდარებამდე ადამმა დილეგში დაჰყოს, ასე რომ, პრობლემა მოხსნილია! გული მტკივა, ადამ, რომ უჩრდილოდ რჩები. მაგრამ სხვანაირადაც რომ არ შემიძლია?! თუმცა გამოდარებამდე დროა ჯერ. ჰოდა, იფიქრე... ვიფიქრებ მეც.

* * *

ადამი დილეგშია. ფიქრს წაუღია. ვერ გაუცნობიერებია ჩრდილის სიკვდილი: „სხეული უვნებლად მრჩებოდეს უნდა. ჩემს სხეულს თითქოსდა არც არაფერი დაუშავდეს... ვთქვათ და მომიკლეს ჩრდილი, მომკალით და არ მესმის რა არის ჩრდილის სიკვდილი. ჩრდილი ხომ მეორადია, ავდარში ხომ არც მაქვს და... დარშიც არ მექნება! მზე რომ ზენიტშია, მაშინც ხომ არ მაქვს ჩრდილი... ნაშუადღევს მზეც ხომ კარგავს ჩრდილს, უჩრდილოდ რჩება... თვითონ უფალიც ხომ უჩრდილოდაა?! არაფერი დაშავებიათ უჩრდილოდ და მე დამიშავდება ვითომ?!“ – ევა გაახსენდება და ევას სახელობითი ნეკნი ატკივდება, – ვისჯებით, მაგრამ არ ვკვდებით... ჩრდილის სიკვდილი?! ჩრდილი არ გვექნება ჩვენც! მადლობთ, ევა, შენითაა, რომ მთელი ვარ... – გამოითიშა უცებ და უფიქროდ დარჩა.

აღარ უწყოდა: დღე იყო თუ – ღამე.

მონატრებოდა დღის სინათლე, მაგრამ მზე ერთხელაც არ გახსენებია.

* * *

ჯერ ისევ ბნელოდა.

თითს ვერ მიიტანდით თვალთან: „რომელი შემომეგებება – მთვარე თუ მზე? რომელი მომესალმება?“ – თვალის გახელა არც უფიქრია. ეშინია, მზის სხივმა არ დააბრმაოს: „ასე რატომ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშინოდეს? – თვალს გაახელს: – ეს ხომ მზეა და თვალიც არ მომჭრა!“ – ეხვევა სივრცეს, თუ სივრცესაა სულში რომ ჩაუხვევია, მაგრამ მიწაზე მყარად გრძნობს თავს: – „ეს სიხარულისგანაა, მზეო, რომ მაძაგძაგებს...“ – თავსაც კი ვეღარ უმხელს, რომ ეშინია: კაცი ვარ, შიში რას მიქვია?!“

მზეს გაუსწორა თვალი, ხელები აღარ აუფარებია თვალებზე, თვალსაც არ ახამხამებს. დგას და უმზერს მზეს.

– გეყო, მზეს მაინც ვერ დაახამხამებინებ თვალს. ხომ იცი სად ხარ?

ეცნო ადამს ჯალათის მსუსხავი ხმა და სულ მოიბუზა. სცადა მერე, წელში გასწორებულიყო, მაგრამ პირიქით კი გამოუვიდა, უფრო მოიხარა: „ნუთუ, ასე სუსტი ვარ?! – თავი შეეზიზღა. როგორც იქნა გასწორდა წელში და მხრებშიც გაიშალა: „მე ხომ ადამი ვარ?! არავის ვაფიქრებინებ, რომ გავტყდი, მე ხომ ღვთაებრივი სული მიდგას?! თვითონ უფალი ღმერთია ჩემი მამობილი. როცა იქნება, ხომ დაგვიძახებს და გაგვიღებს სამოთხის კარს?! გული მეუბნება და უნდა მივენდო გულს.

* * *

გალაღებული შუადღის მზე ესალმებოდა, ნაშუადღევამდე დრო იყო ჯერ კიდევ, აუარება დრო...

წინ ჩრდილი მიუძღოდა, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი. თვალი მიადევნა ჩრდილს და ხმამაღლა თქვა: – ამ ჩრდილს მომიკლავენ?! ჩრდილის სიკვდილი?! – ამ კითხვამ უკვე მეორედ შეაწუხა და ხელი აუქნია ჩრდილს, – შესაძლებელია ვითომ ჩრდილის სიკვდილი?! ჩრდილი ხომ თანამგზავრია სულიერისაც და უსულოსიც?! მზე როცა ზენიტზეა, ეკარგება ჩრდილი... ვმეორდები ისევ... და რა გასაკვირია, მეც რომ დამეკარგოს, ავდარში ხომ მზეც გვეკარგება და იმის ჩრდილს ვიღა ეძებს?! შეიძლება აღარ გვახლდეს, მაგრამ ხომ შევიგრძნობთ? და ამ ჩრდილს მომიკლავენ?! – კრიჭა შეეკრა: – ნუთუ ავდარიც მკვლელია ჩრდილის?! ჩრდილის სიკვდილი... – სიტყვა ენაზე დაადნა და ემწარა საკუთარი სიტყვა: – ჩრდილს მომიკლავენ... ნუთუ ამტკივდება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკივნეულია ვითომ ჩრდილის სიკვდილი?! როცა ჩრდილოდ ვართ, ხომ არ გვტკივა?!

ამ ფიქრებში იყო, დანიშნულ ადგილს რომ მიაღწია. ახლაღა გაახსენდა ჯალათი, ოფლად რომ გაღვრილიყო და სულსაც ძლივს რომ ითქვამდა.

... დიდი მოედანი...

ცოდვილიც აქ უნდა მოეყვანათ: თავს დაადებინებდნენ კუნძზე და: მერე ჯალათზე მიდგება ჯერიც.

ადამის გამოჩენა და სჯულის ანგელოსებიც იკავებენ თავთავიანთ ადგილებს.

– ადამ... – ფეხზე წამოდგება უფროსი სჯულის ანგელოსი: – თავის გასამართლებლად ერთი წუთი გეძლევა. ასე ნებავს უფალ ღმერთს ცაბაოთს, – და ორი წუთი – მოსანანიებლად!

– თავი ვიმართლო? რატომ? მერე და ჩემი ბედი ხომ გადაწყვეტილია უკვე? ვერ მოვინანიებ! არ მოვინანიებ! – ამოთქვა ადამმა და თვალებით მიეფერა თავის აცხაცახებულ ჩრდილს: – დამშვიდდი, ჩრდილო ჩემო, გთხოვ, ნურავის აფიქრებინებ, რომ შეგვაშინეს! – იდგა ასე მთელ ერთ წუთს და ჩრდილზე ფიქრობდა. მოუნდა დამშვიდობებოდა თავის ჩრდილს, თავი მაღლა აიღო და უფალს მიმართა: – აქ ვარ მე, ცაბაოთ, სიკვდილმისჯილი. გულის ფანქცალით ველოდები იმ წუთს, როცა შენივე ქმნილების წინაშე უნდა შესცოდო! შენი განმკითხავი კი არავინაა?! მაგრამ შეიძლება კი სიკვდილი ჩრდილის?

– გამკითხავი არავინ მყავს?! მარტო ამ სიტყვებისთვის ხარ დასასჯელი, მაგრამ დღეს შენი ჩრდილის სიკვდილით შემოვიფარგლები.

– ჰოდა, მეც მზად ვარ, ცაბაოთ! ჩრდილიც მზადაა...

– შენ კი, ადამ, სიკვდილმისჯილი კი არა, სიცოცხლემისჯილი იქნები დღეიდან!

– ცაბაოთ, ხედავ, ჩრდილი სიგრძეში კლებულობს... შეიძლება ბოლომდე გაილიოს და რაღა საჭიროა აწი ჯალათიც?

– ჯალათი არც დაგვჭირდება, ადამ!

– როგორ, ცაბაოთ? მკვლელი ვინ უნდა იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– თვითონ მზე, ადამ! სიკვდილის განაჩენი სჯულის ანგელოსებმა გამოგიტანეს, მაგრამ მე სიცოცხლეს მოგისჯი! მზემ იცის ზედმიწევნით თავისი უფლება-მოვალეობანი. მზე ბოლომდე მიიყვანს თავის საქმეს. მაგრამ შენ აღარ მოკვდები. უჩრდილოდ იცოცხლებ!

– და როგორ გავიგო ეს?

– რჩები წუთისოფელში სამარადისოდ. მარადსოფელის ხილვას ვეღარ მოესწრები. სიკვდილი გინდოდეს და ვეღარ კვდებოდე!

– და მაინც და მაინც მზე უნდა იყოს ჩემი ჩრდილის მომკვლელი? მზემაც გინდა შესცოდოს?!

– ამაზეც გმართებს შენ დიდი ფიქრი! საამისოდ აუარება დრო გექნება, ადამ!

– ხომ არ მეხუმრებით?

– ჩრდილიც გიკვდება, ადამ და მეხსიერებაც! ადამ, სახელიც კი დაგავიწყდება შენ საკუთარი! შენთვის ახალი სიცოცხლე მაქვს მოფიქრებული და: ახალი სიცოცხლის სიოც მოუბერავს შენთვის. ივლი უჩრდილოდ და: დღევანდელი დღეც აღარასოდეს, აღარასოდეს გაგახსენდეს!

– და თქვენ იქნებით ჩემი ჩრდილის სიკვდილის თვითმხილველი?! ნუთუ საქმე გამოგლევიათ უფალ ღმერთს?! სწორედ, რომ მაკვირვებ, ცაბაოთ!

– უფალი ღმერთი ცაბაოთი ყველგანაა ერთდროულად... – ამას უფროსი სჯულის ანგელოსი იტყვის: – იგი შეიძლება სულ სხვაგან იყოს, მაგრამ გხედავს და გული უკვდება შენი საცოდაობით. ესმის შენი! მოწყალეცაა ამასთანავე...

– რომ საამწუთისოფლო უკვდავება მიბოძა? – ამის გაფიქრებამაც კი შეაჟრჟოლა.

– ადამ, თვალი არ მოაშორო მზეს! ხედავ, ხელში ცეცხლოვანი შუბი უჭირავს... ელვა, ადამ!

– მე მიმიზნებს თუ საკუთარ ჩრდილს? და რატომ ელვა?!

– ელვა ამოწვავს ნაჭრილობევს...

– გმადლობთ, მოწყალეო უფალო... ცაბაოთ, რაღას აჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანურებ, ჰქენ საქნელი, დროის ფასი მაინც არ იცოდე...

და:

– დროა! – შესძახა უფროსმა სჯულის ანგელოსმა და ცეცხლოვანი ელვა-შუბი ისარივით გამოიტყორცნა მზისაგან.

წამიც და: თავბრუ დაესხა ადამს და მსწრაფლ ამოეწვა ჩრდილიც. სისხლი შეხმობოდა მიწას. მოწყურებულმა მიწამ ადამის სისხლით ვეღარ მოიკლა წყურვილი.

და როცა გამოერკვა პირველი ადამიანი, იგი ადამიც აღარ იყო უკვე. ჩრდილი აღარ ჰქონდა და არც აღარაფერი ახსოვდა.

– შენ რომელი ხარ? – იკითხა მარტოსულმა.

– იცი კი რა მოხდა? – იკითხავდა გადახსნილი ზეცა, – სულში რომ ჩაიხედავდე...

– სულში ჩავიხედო?

– როგორც ინებებ... – თითქოს ის გადახსნილი ზეცა იყო, ასე რომ ესიტყვებოდა და ხმა იგი ძრწოლისმომგვრელი იყო.

თითქოს შეშინდა კიდეც, ხელი მაინც უშიშრად აუქნია მასზე რატომღაც გაბრაზებულ ზეცას.

– ადამ-იანო! კარგს იზამდი, საკუთარ თავს რომ მოიძიებდე და კიდევ: იარე! სახელი შენი? იცხოვრე და სახელი თვითონ მოგიძიებს, უსახელოდ აღარ დარჩები. წინ, ადამ-იანო!

და თავიც თავისუფლად იგრძნო: მიიწევდა წინ, როგორც ურჩევდნენ. ათასწლოვან ხეს უახლოვდებოდა, შეხედა: ჩრდილი უმოკლდებოდა ხეს. ბოლოს სულაც გაქრა და: არც მას უცახცახებდა ჩრდილი.

ხის ჩრდილქვეშ მოითქვა სული. ოფლი შეშრობოდა ტანზე.

გამოვიდა ხის ჩრდილიდან. ხეს უბრუნდებოდა ჩრდილი, ის კი ადამ-იანი უჩრდილოდ რჩებოდა. მზეს ახედა დაზაფრულმა და ჩემკენო, მზემ გამოსძახა.

ჰოდა: მზისკენ ჰქნა პირი...

* * *

მზე სულ უფრო და უფრო აჭერდა.

ლამის გადამდნარიყო უპირველესი მნათობი, იქნებ ღვთაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივიც და გადმოღვრილიყო იგი მდუღარე ლავად.

მოწყურდა ძლიერ და შედგა სულ მთლად გამოსავათებული.

„ეჰ, ერთი ყლუპი წყალი და... დავლოცავდი ყოვლის შემოქმედს... – თვალი მოხუჭა და ოცნებამ წაიღო. – გაგრილება ხომ დიდებული იქნებოდა, მაგრამ იქამდე წყურვილი თუ არ მოვიკალი (გაგრილება ვინატრე) და შეიძლება სულაც აღარ დამჭირდეს!“

ადგილზეც აღარ გაეჩერებოდა და იქითკენ გასწია, საითაც გულმა გაუწია. გული ხომ მგრძნობიარეა და შედგა კაციც.

მიაყურადა.

დროც თითქოსდა სხვანაირად ვიდოდა და დაბნეულივით მიმოიხედა ირგვლივ. აქ გულს მიუგდო ყური და ესმა კიდეც: „აქ ჩამოივლის დიდი მდინარე. ჩვეულებრივი არ გეგონოს იგი, სიფრთხილე გმართებს!“

„წყალი ვნახო და სიფრთხილე გამოვიჩინო? სიფრხთილეს ვუხმო როცა ლამის დამახრჩოს წყურვილმა?!“

ჰოდა, იმისი ფიქრიც გაცხადდა. წყალი სუფთა იყო და საოცრად აკრიალებული.

და წყალიც შემოდიოდესო თითქოს მასში და კიდეც შეავიწროვესო. ამან შეაშფოთა: „ნატვრაც ამას ჰქვიანო?! – გაიფიქრა, მაგრამ მაინც შეყოვნდა: გადინდება ეს წყალი ჩემგან და აღარც დარჩება... მერე და რახანია არ გავბანილვარ?! მაგრამ ბორანი? მებორნეც! თითქოს არარსაიდან?! უფალი ღმერთი ცაბაოთი, ჩემზე განაწყენებული, იქნებ გაბრაზებულიც! საბოლოოდ კი მაინც არ გამწირა. რატომ? იქნებ რამ ისეთი აქვს ჩაფიქრებული, რომელსაც ჩემი ფიქრებით ვეღარც კი შევწვდე...“

– ეჰეი, შენ, მგზავრო, აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო? – იმედგაცრუებული მებორნე ჰკითხავდა ადამ-იანს.

– შენ თვითონ ვინ ხარ? – კითხვა შეუბრუნა მებორნეს.

დავიწყებაო, უპასუხებდა მებორნეც;

– ვიცი ვინცა ხარ, მაგრამ შენი ბორანი და შენ – მებორნე?

– იმას დავჭირდი მებორნედ, მაგრამ შენ საიდან გაჩნდი აქ, რომელმა ქარმა გადმოგაგდო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნეტა ვიცოდე... – ხელები გაშალა სასოწარკვეთილმა ადამ-იანმა, მაგრამ მაშინვე გამოერკვა და კითხვაც მაშინვე მოიშველია: – ამ წყალში როგორ აღმოვჩნდი?

დავიწყებამ მხრები აიჩეჩა და თვალი გაუსწორა ადამ-იანს: – ამ წყალში გინდა განიბანო? თან მოგწყურებია კიდეც. გეცოდინება, რა წყალიცაა ეს მდინარე და...

– იქნებ შემახსენებდე... მეხსიერება მღალატობდეს თითქოს...

– სულაც არ მიკვირს შენი... რაც შენ გადაიტანე... ამ წყალში შესვლას მართლა არ გირჩევ...

– მაინც რატომ?

– დავიწყების მდინარეში ხარ და რაც მეხსიერებაში შემოგრჩენია, გადაგავიწყდება ისიც!

– აღარაფერი მახსოვს და კიდევ რა უნდა გადამავიწყდეს აწი? – მხრები აიჩეჩა ადამ-იანმა.

– აქ სხვა წყალმაც უნდა ჩამოიაროს და ცოტასაც მოითმენდე იქნებ, რომ...

– რომ აღარ შემიძლია?! წყურვილმა ლამის მომკლას!

– ადამ-იანო, გადაიფიქრო იქნებ!

– არ შემიძლია! დაე, მოსახდენი მოხდეს! ნეტა მართლა გადამავიწყდებოდეს ის ყველაფერი, რაც კი რამ მაკავშირებს წარსულთან!

– მე გამიფრთხილებიხარ, ადამ-იანო!

– არა, მებორნევ ჩემო! წყურვილსაც მოვიკლავ და განვიბანები კიდეც ამ წყალში!

„სურვილების მონა!“ – თავისთვის ჩაილაპარაკა მებორნემ და თვალი აარიდა ადამ-იანს, რომელსაც ჭკუა მართლა აღარ ეკითხებოდა.

აქ მიწყდა მებორნის სიტყვა. ადამ-იანმა ტანთ გაიხადა. წყურვილი მოიკლა და ამოისუნთქვა შვებით.

მერე ჩაყვინთა წყალში. გაგრილდა და სწორედ რომ სულის ცხონება�ო, ამოთქვა დამშვიდებულ-გაგრილებულმა.

გამოვიდა ნაპირზე და აღარც მებორნე და აღარც მისი ბორანი. მერე: გადაავიწყდა ესეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც სახელი ჰქონდა და არც აღარაფერი აინტერესებდა: წარსულიც რომ აღარ ჰქონდა?!

და წავიდა:

მიდიოდა და არ კი იცოდა, საით, საითკენ?

ნეტა ვის გზაზე შემდგარიყო? მისიც რომ არ იყო ეს გზა?! მაგრამ სხვა გზასაც რომ ვეღარ ხედავდა?!

* * *

მიდიოდა და აღარ უწყოდა: ფიქრობდა თუ უბრალოდ რაღაცის მოგონება ეწადა. თითქოს და ზღვარზე შემდგარიყო დაბნეული და გამოთაყვანებული. უფიქროდ დარჩენილი შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. საიდანღაც რომ მოდიოდა, ეს ხომ ცხადი იყო მისთვის და სადღაც რომ მიეშურებოდა, არც ამაში შეეჭვებულა, მაგრამ სად უნდა ყოფილიყო მისასვლელი, ამას ვერაფრით იტყოდა. და კიდევ: იცოდა, უფრო გული უგრძნობდა, რომ მოელოდნენ სადღაც და დიდი ამბითაც მოელოდნენ. მაგრამ ვის გაახარებდა მისი ნახვა, ამას ვეღარ გეტყოდათ.

ავსაც რომ უგრძნობდა გული? მაგრამ უკან გაბრუნება აზრადაც არ მოსვლია! და მაშინ იყო, მეორე გულმა რომ შემოუტია: – დაგაგვიანდა!

და მართლაც დაგვიანებოდა: ამიტომ აღარ მიესვლებოდა იქაც. მაგრამ ესეც აღარ აწუხებდა უკვე.

მაინც რამდენი კითხვა დაატყდა თავს?! სამწუხაროდ არც ერთ ამ კითხვაზე პასუხი არ გააჩნდა, მაგრამ ამასაც აღარ შეუფიქრიანებია.

შეკრთა და ესეც მოულოდნელი იყო მისთვის.

უცებ გამოფხიზლდასავით.

მაგრამ: მეხსიერებას საბოლოოდ ეღალატნა მისთვის. აწმყოსა და მომავალზე ხომ აღარც ფიქრობდა?! თვალი მოავლო იქაურობას და ვერ იცნო. რომელიღაც ქალაქ-სახელმწიფოს კარიბჭესთან იდგა. როგორც იქნა, მოიბრუნა სული, მაგრამ მუხლები რომ აღარ ემორჩილებოდა?! გზას ვეღარ გააგრძელებდა და კედელს მიეყრდნო ზურგით. მაგრამ ასეც როდემდე გაეძლო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლით მიეყრდნო საყრდენ კედელს: – მგონი აღარ დავეცემი! – გაიფიქრა კრიჭაშეკრულმა. ცოტაც და თითქოს მომაგრდა და გულიც გაიმაგრა.

კარიბჭეს დაუშინა მუშტები.

არავინ გამოხმაურებია და ამან შეაშფოთა. ცივი ოფლი დაასხა. ეს მერამდენე იმედგაცრუება?! პირქვე ჩაემხო და იგრძნო, ეფერებოდა მიწა. მიიღო მისგან ულევი ენერგია და ფეხზე დადგა. ერთ მუშტად შეიკრა და კარიბჭეც განეღო(!)

უწარსულოდ დარჩენილი მთლად ჯერაც ვერ მომჯობინებულიყო, მაგრამ ჰქონდა აწმყო და მომავალიც სავარაუდოდ. თითქოს ახალ სამყაროში შეებიჯებიოს. უშიშრად მიაბიჯებდა უკვე. გულიც ძალუმად უძგერდა.

:

შებინდებულიყო. იმ პაპანაქება სიცხის შემდეგ, ვერავინ იფიქრებდა, თუ ასე აგრილდებოდა. მაღლა: ზანტად ახელდნენ თვალს ვარსკვლავები და ნაადრევი ძილისთვის განმზადებულიყვნენ. მიეძინაო თითქოს სამყაროს. წყვდიადიც მოულოდნელად ჩამოწვა.

შეაცივა ადამ-იანს და შეაძაგძაგა.

უნდა აცივებულიყო და გუნებაში გაივლო ადამ-იანმაც: „ასე რომ გაგრძელდეს და გადასაყუდრებელიც ველარ ვნახო, ხომ გავიყინე და ამომხდა სული?! უდაბნოს თუკი ვინატრებდი, აღარც მეგონა! ასე სხვაგანც რომ ციოდეს, აღარ მგონია!“

მიხვდა როგორღაც, რომ მოჯადოებულ ნაქალაქარში იმყოფებოდა და გულისცემაც მოუხშირდა. შიშით თუ იყო ეს...

და იმის ნაცვლად რომ აჩქარებულიყო, ნაბიჯი თავის და უნებურად შეუნელდა. მიხვდა მოჯადოებულ ნაქალაქარში იმყოფებოდა და გულისცემა მოუხშირდა.

„სადმე ერთ ქოხს რომ დავლანდავდე, სულს მოვითქვამდი...“ – გაიფიქრა და თითქოს მიწიდან, მართლა არ ამოიზარდა ნასახლარი?! ქარმაც მოუბერა და ლამის კარი არ შეუმტვრია იმ ნასახლარს?! ნასახლარი იყო მართლაც, გვერდზე გადაფერდებული. მარცხენა მხრიდან ბიჯგები შეეყენებინათ, წაქცევის უფლებაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიეცათ მისთვის. ბიჯგები თხმელისგან გამოეთალათ. ერთ ბიჯგს მწვანე ფოთოლიც აკვროდა თითქოს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდი, თვითონ ბიჯგს გამოსხმოდა ფოთოლი, რაც იმას მიგანიშნებდათ, რომ სიცოცხლეს მთლად მაინც ვერ მორეოდა მობლაგვებული სიკვდილი. „ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს, გაიფიქრა ადამ-იანმა და ქარის მიერ მოღიადებულ ნასახლარში თამამად შეაბიჯა. – კარს თუ ქარი გამიღებდა, რას წარმოვიდგენდი? ჩემი მასპინძელიც ქარი უნდა იყოს, – დაასკვნა გულგრილად, მაგრამ ერთობ ხმამაღლა.

– როგორ თუ ქარი?! მასპინძელი მე ვარ! – ესმა ადამ-იანს ჩახრინწული ხმა და კანზე აბურძგლა. არავის მოელოდა ამ ნასახლარში, – რომელი ხარ?

– სახლის პატრონი! – გაიგონა ადამ-იანმა ქალის მისაცოდავებული ხმა.

– რა გჭირს, დედი?! – უცებ მოეგო გონს ადამ-იანი.

– როგორ თუ რა მჭირს... მე თუ არა, სხვას აბა, ვის უნდა ჭირდეს? დავრჩი მარტოსული. ჯერ ქმარი მომიკლა იმ სატანამ და მერე – ერთადერთი შვილიც. მიწასთან გაასწორა ჩვენი ქალაქი...

– სად ვარ, დედილო?

– ერიდუში, შვილო... მესმის შენი ხმა ასე ნაცნობი თითქოს, მაგრამ ვერ გხედავ... ბაბილონზე მართლა არაფერი გსმენია?

– არა, დედი... ერიდუ, ბაბილონი,... პირველად მესმის...

– ერიდუთი იწყებოდა ბაბილონი, შვილო....

– ის ბოროტი სული სად არის, დედი?

– ახლა სანადიროდაა კედარის ტყეში... სანამ მთლიანად არ გაჟუჟავს ნადირს, ვერც მოისვენებს. ფრინველსაც მუსრს გაავლებს და მერე მობრუნდება თავის ზიქურათში.... ერთადერთი ზიქურათი დაინდო და იმ ზიქურათში დაიდო ბინა.

– შვილიც იმან მოგიკლათ?

– იმან მომიკლა, შვილო.

– ეს მშვილდი და საისრე ბუდე?

– ჩემი შვილის ნიმროდისაა, მშვილდის გასროლაც ვერ მოასწრო... მოაჯადოვა იმ ჯადოქარმა და მოაკვდინა! რატომ არ დამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახვები, შვილო? მომიახლოვდი..

და ნასახლარში შემოხეტებული ადამ-იანიც მიუახლოვდა ბნელში ჩანთქმულ საწოლს.

– მოვედი, დედი, მაგრამ რომ ვერ გხედავ?

– ჯერ თვალი ვერ შეგიჩვევია სიბნელისთვის... ახლაც ვერ მხედავ?

– გხედავ, დედი... – გული მოუკლა ადამ-იანს დედაბრის საცოდაობამ. საწოლზე ძვალი და ტყავი იდო გაუნძრევლად.

– მეც გხედავ, შვილო, მაგრამ... ვაიმე, შვილო ნიმროდ! ეს შენა ხარ, ნუთუ გადაურჩი იმის ჯადოს? – ასლუკუნდა დედაბრად წოდებული ძვალ-ტყავი, – შვილო ნიმროდ?! – თვალებში ამოისვა გაძვალტყავებული თითები, – ჩემი ნიმროდი ხარ, შვილო, ჩემი ნიმროდი!

– ნუთუ მართლა ნიმროდი ვარ?! – დგას გაშეშებული და ვერაფერიც ვერ გაუგია: – ღმერთო, შენ მაინც გამარკვიე, – მაღლა აღაპყრო ხელები, – ნუთუ ამ დედაბრის შვილი ვარ, ნიმროდი... ნიმროდი?! მაგრამ რომ არაფერს მეუბნება ნიმროდის სახელი? ღმერთო, დამაბრუნე სინამდვილეს! – ისევ დახედა დედაბერს, – დედი, ნიმროდი ვინ არის?

– ნიმროდი ჩემი შვილია, დიდი მონადირე... იმ სასიკვდილე ჯადოქარმა ხომ ხედავ, რა გიყო? ააოხრა ქალაქი და მიწასთან გაასწორა... ამ ნასახლარს რომ ხედავ, ჩემი სასახლე იყო, დღეს ნასახლარიც ვერაა...

– როგორ მოვკლა?

– არც იგია უკვდავი, მხოლოდ ეს ისარი განგმირავს... – დედაბერმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა ნასახლარში შემოხეტებული მგზავრი და აღმოხდა: – შვილო ნიმროდ! ნიმროდი ხარ, შვილო... ნიმროდი... – სახე განათებოდა.

– დედი, დამაყენე გზაზე! თუ ღმერთი გწამს, დედი...

– კარგი, შვილო! ნიმროდი ხარ შენ, ნიმროდი... აგერ კედელზე მშვილდია და საისრე ბუდე. უსაშველოდ მძიმეა ჩემი ნიმროდის მშვილდი, მხოლოდ ნიმროდს შეეძლო მისი მოზიდვა და ეტყორცნა ისარი.... სასიკვდილო ისარი, შვილო, მაგრამ რატომ მეკითხე-

ბი... თითქოს პირველად გსმენოდეს ამ მშვილდსა და ისრებზე... ჩამოიღე, თუკი შეძლებ, თუკი მოერევი, დავიჯერებ, რომ ნიმროდი ხარ!

– იქნებ მართლა ნიმროდი ვიყო... – კბილებში გამოსცრა ადამ-იანმა – რა თქმა უნდა, ვცდი! – თქვა და გული სიამაყით აევსო.

– ჰე, შვილო, ნიმროდ! მიდი... – ხმა ჩაუწყდა დედაბერს.

ნიმროდმაც თვალი დაადგა მშვილდს და გულში გაივლო: „სწორედ რომ საჩემოა! თითქოს ჩემი იყოს“.

– გმირს მოელის ეს მშვილდ-ისარი, დიდ მონადირეს!

– თვითონ მშვილდზე რაღას მეტყვი?

– მშვილდზე? – ჩაფიქრდა დედაბერი.

– კედარის ხისგანაა?

– გეგონება კი, კედარის ხისგან იყოსო თითქოს, მაგრამ არა! თვითონ დიდმა ხალიბმა მჭედელმა გამოუჭედა ჩემს ნიმროდს რკინისაგან. ყველას როდი შეუძლია მოზიდოს ეს მშვილდი? – თავით ფეხებამდე შეათვალიერა მგზავრი, რომელიც ასე აგონებდა თავის შვილს ნიმროდს. – თითქოს ნიმროდი უნდა იყო, მაგრამ იმ ჯადოქრისგან ყველაფერია მოსალოდნელი... გული ხომ არ გატკინე, შვილო? და თუკი მაინც აპირებ იმ ჯადოქართან შებმას, ყველაფერიც უნდა იცოდე ამ მშვილდხე. ხალიბური წესითაა ნაწრთობი ეს მშვილდი და ჩემი ნიმროდივით უნდა გიჭრიდეს თვალიც!

– მერე და: თუკი გმირი მონადირე გახლდათ თქვენი ნიმროდი, იმ ჯადოქარმა როგორ დაჯაბნა?

– უბრალო ჯადოქარიც არ გეგონოს ის ჯადოქარი! ეძინა ჩემს ნიმროდს, რომ თავს დაესხნენ ჯადოქრიანნი.. მძინარე შეკრეს, არც გაუღვიძია ჩემს ნიმროდს, ჩემს თვალწინ გადაუჭრეს სისხლძარღვები და: დაიცალა ნიმროდი სისხლისგან.

– ჯადოქარი სიკვდილის ღირსია! – ამოთქვა ადამ-იანმა და მშვილდს დააკვდა მისი მზერა.

– იქნებ მართლა მოერიო ამ მშვილდს და დაიხსნა ჩვენი ციხე-ქალაქი ჯადოქრის ტყვეობისგან!

და ადამ-იანმაც იგრძნო საოცარი ძალის მოზღვავება, ივსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდესო თითქოს ზებუნებრივი ძალით: მკვლაები დაუმძიმდა, თითქოს დამძიმდა თვითონაც, გადამდნარი სპილენძი თუ ჩაასხეს ძარღვებში. დუღდა ის სპილენძი იმის სისხლ-ძარღვებში. ჯიქურ მივარდა მშვილდთან, იოლად ჩამოხსნა საკიდრიდან და მოზიდა ბოლომდე.

– ნიმროდი?! ნიმროდი გაცოცხლდა?! – ამოთქვა დედაბერმა, ლამის გულიც ამოაყოლა: – შენ, ნიმროდ? – ადგილიდან წამოწევა სცადა, მაგრამ აღარ აჰყვა სხეული და ცრემლები გადმოსკდა.

– დედი, დამლოცე! – საისრე ბუდეც მოიგდო მხარზე და ისრებს შეავლო ხელი.

იელვა ამ დროს და ნასახლარშიც ინათა.

– გლოცავ, ნიმროდ! – თვალები გაბრწყინებოდა ნიმროდის დედას: – შენ მართლა ნიმროდი ხარ! ნიმროდი არ მომკვდარა! გფარავდეს ღმერთი!

ადამ-იანი შვილად მიიღო დედაბერმა.

და ადამ-იანმაც ირწმუნა, რომ ნიმროდი იყო!

– ნიმროდ, დადექ! სანამ კარის ზღურბლს გადააბიჯებდე, უნდა გაუწყო: შენში ღვთაებრივი ძალა დაბუდებულა... ასე იყო ჩემი ნიმროდი! მე შენთვის ვილოცებ და ხელსაც ჩვენი ღმერთი გაგიმართავს.

– მაგრამ ჯადოქარს როგორ მივაგნო?

– ის ჯადოქარი კედარის ტყეშია. კედარის ტყეში მოგელის, შვილო ნიმროდ! მაგრამ იქამდე ჩვენს საჯინიბოშიც რომ შეიხედავდე... იქ, საჯინობოს ბოლოში ერთი დავრდომილი ცხენი სულს ღაფავს. ის გელოდება შენ! იქვე, ქერის ორმოდან ორი ციცხვი შეავსე ქერით და იმ მისიკვდილებულ ცხენს დაუდგი. შეჭამს და ვეღარც იცნობ. ბედის ბედაურია ის ცხენი! ჩემი ნიმროდის ქარის ფრთიანი რაში!

– გმადლობთ, დედი! – ნათქვამი ხმამაღლა გამოუვიდა და დედაბერმაც ვეღარ დაფარა სიხარული. განა სალაშქროდ გამზადებული ნიმროდიც ასე არ მიმართავდა დედას?! – ღმერთი მაღლიდან დაგყურებს, ნიმროდ! ახლა შენს ბედის ბედაურზე იფიქრე, ნიმროდ! მე კი შენთვის ვილოცებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდმა მშვილდი შეისწორა, რომლის სიმძიმეს თითქმის ველარ გრძნობდა. გამოსასვლელში ქამარ-ხანჯალსაც შეავლო თვალი და წელზე შემოირტყა.

საჯინიბოს ბოლოში ერთი გაძვალტყავებული ცხენი თვლემდა. სიცოცხლეს თუ ეთხოვებოდა. ადამ-იანი, უკვე ნიმროდიც ისე მოიქცა, როგორც დედაბერმა დაარიგა. ცხენმა თვალის დახამხამებაში ამოაცარიელა ქერით სავსე ორივე ციცხვი და დაიჭიხვინა, დააბაკუნა ფლოქვები ბაკანზე და ყალყზე შედგა. მეორედაც დაიჭიხვინა კიდევ და ჭიხვინიც იგი უკვე აღარ ჰგავდა ერთი უბრალო ცხენის ჭიხვინს.

თავი ხომ უძლეველად მიაჩნდა ნიმროდს და რაშიც ყოვლისშემძლე განგებამ არგუნა(!)

– ჩემი ბედის ბედაური! – ხაფი ხმით შეჰყვირა ნიმროდმა. უნაგირს თასმები მოშვებოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუჭირა, რაშს სუნთქვა შეეკრა და შესჭიხვინა ზეცას. ახლა ლაგამიც ამოსდო ნიმროდმა თავის ბედის ბედაურს და ზურგზე მოევლო.

ბედის ბედაურის ჭიხვინმა დააფრთხო ღამე და მხედარმაც დასჭყივლა.

კედარის ტყისკენ მიაქროლებდა ბედის ბედაური თავის მხედარს.

იცოდა ბედის ბედაურმა კედარის ტყისკენ მიმავალი გზა.

* * *

ტყე იყო უღრანი და უდაბური.

აქ ხმალი იშიშვლა ნიმროდმა და მის წინ თითქოს მიწიდანო, გრძნეული სული ამოიზარდა.

– ნიმროდ... ვიცი, ვინცა ხარ შენ და მოგესალმები! ისიც ვიცი, მიგეჩქარება შენ საითკენაც. დაფარული ჩემგან არც არაფერია და თუკი მიწამებ, შენი მორჩილი იქნება ქვეყნიერება!

– ვიწამებდი შენსას, მაგრამ...

„ნიმროდ, იწყება შენი დრო! – თქვა ნიმროდმაც თავისთვის, დასწვდა თავის მშვილდს, მოზიდა... წამიც და ტყორცნა ისარიც.

ოხვრა აღმოხდა კედარის ტყეს და ტყეს რა გაჭირვებიაო, ნიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდმაც იკითხა და მათრახი გადაუჭირა თავის ბედის ბედაურს, მაგრამ იმას არც დაუჭიხვინია და არც ყალყზე შემდგარა. იდგა გაშეშებულივით. მერე ჭიხვინისნაირი ხმაც ესმა ნიმროდს. ბედის ბედაური ეტყოდა თავის პატრონს: – ნიმროდ, ეს მე გელაპარაკები, შენი ბედის ბედაური. მათრახს ნუ დამკრავ აწი, თორემ ველარასოდეს მიხილავ. გინდა: თქმითაც ნუ იტყვი, ისურვე მხოლოდ და გაიგონებს შენი ბედის ბედაურიც. ეს მათრახი კი, მე რომ დამკარი, მტრის გასაფანტად გამოიყენე!

– მომიტევე, ჩემო ბედაურო, დღეიდან...

– სურვილი მაუწყე შენი და...

– იქითკენ ჩემო ბედაურო, სადაც ჩემმა ისარმა მოითავა დღევანდელი დღე!

და ბედის ბედაურიც გაიჭრა წინ, სწორედ ნიმროდის ისარივით. ფიქრზე უმალესი იყო ჭენება მისი.

თვალი გაახილა ნიმროდმა და ბედის ბედაურის ხმაც ესმა: ახლაც ადამიანის ენაზე ელაპარაკებოდა ბედაური თავის პატრონს: – იფიქრე, ნიმროდ და ფიქრის დამთავვრებისთანვე იქნები იმ ადგილზე, სადაც გელოდებიან შენ – დიდ მბრძანებელს.

– ფიქრი ჩემი არ უნდა გაგრძელებულიყო, ბედაურო ჩემო... დროს ხომ არ ვკარგავთ, ან სულაც ხომ არ გვიხანგძლივდება ეს დრო?

– დროს ვკარგავთ? – დაიჭიხვინა ბედის ბედაურმა: – კი არ ვკარგავთ, ვიმატებთ და უდროოდ ვრჩებით მაინც! დრო შენს განკარგულებაშია, ნიმროდ და როგორც გენებოს, გამოიყენე ისე... თითქოს დროის მიღმა ვიყოთ...

და ნიმროდმაც იგრძნო, რომ დრო აღარ არსებობდა მისთვის, რომ უდროობის თვალუწვდენელ ველზე მიაჭენებდა ბედის ბედაური. თვალი მოხუჭა უნებურად და ნიმროდის ნასახლარში აღმოჩნდა. თვალი შეავლო დაბზარულ კედლებს: „არ ვიცი, რა დროა გასული, მაგრამ მეჩვენება... როგორ თუ მეჩვენება? ნიმროდის ნასახლარს ფეხი ვერ შეუწყვია დროისთვის, ჩამორჩენია და ჩამოიშლება მალე!“ – სუნქთვა გაუხშირდა: სიძველე თუ უხუთავდა სულს. წარსულში თუ იყო თავით ფეხებამდე ამოვლებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. სულშიც ყინული ჩადგომოდა. თვალი წყვდიადს გაუსწორა. თვალი თუ ახელოდა, გადანათებულიყო ის ნასახლარი.

– ნიმროდ... – გაიგონა და მოეწურა გული, დედაბერი უხმობდა: – ნიმროდ, ჯადოქარი მკვდარია! აღარაა იგი... შენ ნიმროდი ხარ, ჩემი ნიმროდი. მე ხომ ვიცოდი, რომ დაამარცხებდი ჯადოქარს. დაე, გაგრძელდი, ნიმროდ! ნიმროდი ბაბილონის მეფეთ-მეფე და... პატრონი მთელი შუამდინარეთის! მაგრამ ერთ საიდუმლოებასაც გაგიმხელ, შვილო ნიმროდ!

– დედი, რაღაც უნდა გეთქვა ჩემთვის და გისმენ, დედი! – ითხოვდა ნიმროდი.

– არავითარი საიდუმლო, ნიმროდ! ხარ შენ – უძლეველი ნიმროდ. გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა! და გააცნობიერე, რომ ღვთაებრივია შენი, ნიმროდისეული გზა! ჩემს მიერ კურთხეული, გაღვთიურებული... შენს წინაშე მუხლს მოიდრეკენ შუამდინარეთის დიდი მეფენი! გაგაღმერთებენ! იფიქრე მომავალზე. დიდი მდინარეც თაყვანისმცემელია შენი!

– ევფრატი?

– ასეა... ევფრატზე გადის მომავლის გზა! იფიქრე მომავალზე, ნიმროდ!

და ნიმროდმაც გაუსწორა თვალი მომავალს, თავის თავზე არავითარ ცნობას რომ არ გვაწვდის და ხვალის იდუმალ მოვლენებს მეხივით დაგვატეხს თავს. გულის კოვზთან აეწვა ნიმროდს და გაუნათდა გონებაც: „ფიქრიც აქ დამისრულდა...“ – ამის გაფიქრება ძლივს მოასწრო, რომ კბილებამდე შეიარაღებული ჯარის წინ აღმოჩნდა. წინ მისანი ესვენათ, თეთრ სამოსელში გაეხვიათ.

– ნიმროდ, ჯადოქარი შენ განგმირე! – მხედრულად მიესალმა მხედართმთავარი, – მოჰკალ და თვალიც აგვეხილა. შენ გამოგვიყვანე იმ მოჯადოებული წრიდან. ამიტომ: გაუმარჯოს ნიმროდს – ბაბილონის მეფეთ-მეფეს!

გაუმარჯოსო, დაიქუხა ჯარმაც.

– თქვენს განკარგულებაშია ხუთი მოქმედი მფრინავი ათასეული და ერთიც სათადარიგო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დიდება ბაბილონს! ბაბილონელებს დიდება!

– დიდება ბაბილონის მეფეთ-მეფეს ნიმროდს! – ისევ შესძახა მხედართმათავარმა და შავ ანაფორაში გახვეული ღვთის მსახური წარუდგინა ნიმროდს: – იცნობდეთ! ებერი, დიდი სემის შვილთაშვილი, ნოეს მოდგმიდან! უკეთეს მრჩეველს ვერავინ წარმოგიდგენთ! ჭეშმარიტი ბაბილონელი.

ებერმაც თავი დაუკრა ნიმროდს, თქვენს სამსახურში მიგულვეთ ბატონოო.

– მხედართმთავარო, ახლა პატივი მივაგოთ განსვენებული მისნის ცხედარს. ისე მოიქეცით, როგორც წესი და რიგი ითხოვს!

– დიდება ნიმროდს! – ეს ებერი იყო უკვე, თვალს რომ ველარ აცილებდა ბაბილონის ახალ მეფეთ-მეფეს: „ის უნდა იყოს, ის, ის ნიმროდი და არც იყოს თითქოს... ის ნიმროდი იქნებოდეს ნეტა!“

– ბაბილონს დიდება! – დაბოხებოდა ხმა ნიმროდს, თვალები საცრისოდენა გახდომოდა.

„ებერი? რაღაც ხომ უნდა მითხრას ამ სახელმა?! – ფიქრს განმარტოებოდა ნიმროდიც: „და: ევფრატიაო შენი სულის წყალიო...“ – გაახსენდა ვიღაცის თითქოს და სასხვათაშორისოდ ნათქვამი სიტყვები, მაგრამ თვითონ ამ სიტყვების მთქმელი ველარ გაიხსენა.

* * *

აქ უყვარდა განმარტოება: თვალმებმოწკურული გაჰყურებდა ევფრატს და ივსებოდა ევფრატის წყლით: თვითონაც ევფრატი იყო, მდინარებდა ევფრატივით, მიიმდოვრებოდა. თვალი მიელულებოდა და სუნთქვაც ეკვროდა. ასე იყო წუთ-წუთნახევარს და ჩაისუნთქავდა ღრმად, მერე იმ თავის საკრალურ ფიქრს ევფრატს მიანდობდა და მდინარეს უკვე თავად გათავისთავადებული ფიქრი კი არა, თვითონ ნიმროდი მიჰყავდა ქვევით.

შეუწყდებოდა ასე ნალოლიავები და იქნებ მობეზრებული ის ფიქრი და ისევ ხედავდა ადიდებულ ევფრატს, ცა და მიწა რომ მიჰქონდა. ევფრატი იყო მართლაც ზღვასვით.

სადღაც ზღვაც ენახოსო თითქოს, მაგრამ აღარ ახსოვდა რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის და სად? გაახსენდება უცებ, მლაშე რომ იყო ზღვის წყალი და ევფრატს მიუბრუნდებოდა ისევ, ფიქრები ჩემი რომ წაგიღია, დამიბრუნეო. ჰოდა, დაუბრუნესო თითქოს ფიქრი, მაგრამ ველარ გაერკვია მისივე ფიქრი მოებრუნებიათ მისთვის, თუ ევფრატის ფიქრი. იქნებ ევფრატის ფიქრით ფიქრობდა უკვე?! მაგრამ ეს როდი იყო მთავარი?

იგი ფიქრობდა!

ახლაც: თვალი გადაატარა ევფრატს და ფიქრი პურის ყანებისკენ მიუშვა. წუხანდელ ნაწვიმარზე სულს ითქვამდა დამბალი მიწა. კარგი პირი უჩანდა პურის მოსავალს: „ჩემი ბაბილონი... – ახლა სხვა მხრიდან მობერილმა ფიქრმა წაიღო: „თვალი ველარ წვდება ბაბილონის ოქროს მამულებს... ვერა, თვალი ველარ უნდა გაწვდეს ჩვენს ბაბილონს, ველარც – ჩვეულებრივი გონი, და მეც ავმაღლდები უსაშველოდ. იქნებ: ღმერთადაც მაღიაროს ბაბილონელმა?! მაგრამ ღმერთად რომ მაღიარონ, სულ უკანასკნელი ღმერთივით კაცი ხომ უნდა ვიყო?!“

და ისევ ევფრატი შეახსენებს თავს: „თუკი შენ ინდომებ, ნიმროდ, და ძალიან ინდომებ, შეუძლებელს შეძლებ! ხალხს უნდა შეაყვარო თავი, მაგრამ ვერ შეგიყვარებს, თუკი არ ექნა შენი შიში! ნიმროდ, შენი უნდა ეშინოდეთ!“

უცებ მოფხიზლდა და მდინარეს მიადევნა თვალი.

მიედინებოდა ჩაფიქრებული ევფრატი.

– ნიმროდ!

– რომელი ხარ? – მაშინვე გამოერკვა და თვალი მოავლო იქაურობას.

– მე ვარ, მდინარე... ევფრატის წყალი! უნდა გაუწყო, რომ... – მაღლიდან გელაპარაკებოდნენ და... არაფერი გაგიგონია?! მაკვირვებ, ნიმროდ!

მიწყდა მდინარის ხმა და ნიმროდმაც მაღლა აიღო თავი. იგრძნო, ვიღაცის სიახლოვე და ამან შეაფიქრიანა: ვერავის ხედავდა.

შეწუხდა, ვინ უნდა იყოსო? უცებ: გაუნათდა გონება და თვალებგაბრწყინებულმა გაშალა ხელები: – ნუთუ...

– ვერ დაგიჯერებია, რომ თვითონ იშთარი გელაპარაკები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდ! ვიცი, გმირი მონადირე ხარ, წინაშე უფლისა ღვთისა! მეამბოხე სული! მეფეთ-მეფე ბაბილონის და... უკვდავების მაძიებელი! მოიპოვებ უკვდავებას და დაწინაურდები, რომ საბოლოოდ გამრთელდე! მაგრამ მაკვირვებ, ნიმროდ! მიკვირს, ეს კითხვა ამდენხანს რომ არ გაგჩენია: „საიდან მოსულხარ!“ არ გიფიქრია ამაზე?

– მიფიქრია და რამდენჯერ. ვფიქრობდი: ევფრატი მომიტანდა პასუხს, მაგრამ ევფრატი დუმს. ჰო... როგორ არ მიფიქრია ამაზე?

– მომავალზეც ჩაფიქრებულხარ, მაგრამ... სრულყოფილებას წარსულზე დაყრდნობით თუღა მიაღწევ! მხოლოდ წარსულით შეერწყმები აწყმოსა და მომავალს!

– იშთარო... ამით ხომ სადარდებელი გამიჩინე?! შენზე რა ვიცი? არც თუ ცოტა, მაგრამ ბევრიც ვერაა ეს! შუმერთა უზენაესი ქალღმერთი იყავ! იყავი ასურელთ ქალღმერთიც. დღეს ბაბილონის ქალღმერთი ხარ: სიყვარულის, ცისა და დედობის – ნაყოფიერების ქალღმერთი! ბაბილონის დიდი დედოფალი! და ომის დიდი მეუფე, ქვესკნელში ყოვლისშემძლე მეომარ ქალღმერთთან მოარული... იშთარი-ღვთაება... – ხელი გულის წნულზე მიიდო: – იშთარო! შენ წყალიც ხარ და წვიმაც, თავად ნაყოფიერება...“ – ტანში ჟრჟოლაჩამდგარს თვლემა მოერია. ამანაც გააკვირვა და მიენდო ძილისმიერ ნიავს: – და მაინც ვინ ხარ? ვინ არის იშთარი? – ამას სიზმარში იკითხავდა უკვე. – მე ვერ გხედავ!

– აახილე თვალი და მიხილავ! – ჩამოესმა მაღლიდან.

– თვალი ავახილო? მე ხომ მძინავს და მესიზმრება ეს ყველაფერი.

– გამოიხედე ჩემკენ!

– ვიხედები, მაგრამ ვერ გხედავ! მხოლოდ შეგიგრძნობ...

– ინდომე და ვერ დამინახე?! ინდომე, ნიმროდ!

– ვერ გხედავ მაინც!

– ვფიქრობდი, უხილავის ხილვა შეგეძლო... იმედი გამიცრუე, ნიმროდ!

– და მიმატოვებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არა, ნიმროდ... ისე: ძალიანაც არ მინდოდა, რომ დაგენახე. ამას აქვს მიზეზიც! ხომ შეიძლება დაგაბრმაოს ჩემმა ბრწყინვალებამ, ან სულაც დაგწვას და დაგფერფლოს!

– გამოსავალი აქედან...

– თვალდახუჭულმა გამოიხედე ჩემკენ! კითხვებს ნუღარ დამისვამ, დროს გავუფრთხილდეთ! დრო... დროა საჭირო, რომ შენც აგეხილოს ჭეშმარიტი თვალი. დავიწყოთ!

ნიმროდმაც დახუჭა თვალი: – და თვალდახუჭული დაგინახავ?!

– გეეჭვება? ძალიან ცუდი... დროა საჭირო, რომ ჭეშმარიტი თვალი აგეხილოს და იხილო! მაშ: დახუჭე თვალი!

ნიმროდმაც დახუჭა თვალი და იხილა იშთარი. ემოსა გრძელი იისფერი კაბა, თავს ოქროს გვირგვინი ედგა და ოქროსფერი თვალები უელავდა.

– ღმერთქალო! – მუხლი მოიყარა ნიმროდმა, მოჰყვა თავისთვის ბუტბუტს: არ იცოდა, რომ ლოცვას აღავლენდა იშთარის მიმართ.

– ნიმროდ... – შეაჩერა მომლოცველი ქალღმერთმა, – ლოცვით მერეც ილოცებ, ახლა კი ყურადღებით მომისმინე და კარგად დაიხსომე: ზედ ევფრატის პირას დიდი სამლოცველო უნდა ააგო ჩემს სახელზე, დიდი ტაძარი და როცა კი მოგესურვოს, ოღონდ მზის ჩასვლისხანს შეიარე შიგ, მუხლი მოიყარე ჩემს ქანდაკებასთან: და მოახსენებდე წვრილად, რის გაკეთება მოასწარი და რის გაკეთებას აპირებ, ხვალ, ზეგ – სამომავლოდ. მაგრამ იცოდე: დღეის გასაკეთებელი სახვალიოდ არ გადაიდება, რადგან ხვალ ხვალეზე ზრუნვაში ეს დღე ჩაგადნება ხელთ და იმდღევანდელი საქმეც დაუმთავრებელი დაგრჩება; თუკი ზედმიწევნით შეასრულებ ამ პირობას, შენს გვერდით მიგულვე, ხელს გაგიმართავ. ააშენებ დიდ ქვეყანას, ორ მდინარეს შორის გადაჭიმულს!

– ბაბილონს?! ამაზე ვფიქრობ მეც!

– და ამის შემდგომ გაიხსნას შენს წინაშე ყოველი კარი და გაიკვალ-გაიდოს გზები, რომელთაც უნდა გაწვდეს თვალი შენი და მოიცვას გონებაც შენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– და გიხილავ?

– მიხილავ, ინებებ როცა! თვალდახუჭული გხედავ...

– შენ გგონია, რომ მხედავ, თუმცა ახლა რომ წარმოგიდგენივარ, ისეთი ვარ სინამდვილეშიც.

– ჩემო ღვთაებავ...

– მინდა ახლოს იყო ჩემთან და მიერთგულო!

– ვფიქრობ, რომ...

– ფიქრს როგორ მოგიშლი, ნიმროდ... თავისუფლება მომინიჭებია შენთვის! ინებებ და უძლეველი მეფეთ-მეფის გვირგვინს დაიდგამ. უნდა გესმოდეს შენ ჩვენი მიწის ყივილი და გაიხსნება შენს წინაშე ყოველი კარიბჭე, მოიპოვებ სასარგებლო წიაღისეულს, ოღონდ გესმოდეს მიწის, სულში, სულში ჩახედე მიწას და დაიპყრობ ზეცასაც! შენი ახელილი თვალისა და ახსნილი სულისთვის აღარაფერი დარჩეს აწ აღუქმელი! იცი რა, ნიმროდ? არ მინდა ბატონი გყავდეს, იფიქრე ამაზე! იქნებ: დაგვიწყებია რამე და ვეღარ გაგიხსენებია?! ჯადოქარი შენ განგმირე და ამას სხვაც ნუ დაიბრალებს! ყოველივე შენით მოგიპოვებია, შენი გამხდარა ესე ყოველი....

უსმენდა ნიმროდი ქალღმერთს და საგონებელს მისცემოდა.

– ნიმროდ, შენი დრო დგება!

– ჩემო ღვთაებავ: თვალდახუჭული, რომ გხედავ...

– აბა, ამომხედე! შენ ხედავ ლომს, რქოსანი გვირგვინი რომ ადგას თავს. იცოდე ეს ლომი მე ვარ! შეიძლება ცხრასხივიანი ვარსკვლავი დაგნათოდეს თავს და ესეც მე ვარ! ნიმროდ, ამასაც დაიხსომებდე! ის ლომია ჩემი ნიშანი, ის ცხრასხივიანი ვარსკვლავია ჩემი სახება.

– ჩემო ღვთაებავ...

– ჰოდა: უნდა დაიწყო იმით, რომ ბაბილონის შემოსასვლელში იშთარის ქანდაკებას დაადგმევინებ! იქვე ჭიშკარს შეაკერვინებ ხალიბებს რკინისგან. იცი, სადაც არიან ხალიბები და ნათესავებად მოგხვდებათ შენ და ებერს. ჩემი სახელობის ტაძრის აგებაც სამომავლოდ აღარ გადადო.

ნიმროდმა აიხედა მაღლა: ლომის ღრიალს შეეძრწუნებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცა. უცებ ჩამობნელდა.

კიდევ რამდენიმე წამი და ცხრასხივიანმა ვარსკვლავმაც გამოანათა. იმის სხივებში გახვეულიყო ნიმროდი და აღვსებულიყო იმის ნათლითა და სითბოთი...

* * *

დღეს ისევ დილა უთენია გამოვიდა ნიმროდი სასახლიდან, მოევლო ზურგზე თავის ბედის ბედაურს და სადავე მიუშვა.

იგრძნო ბედის ბედაურმაც, სხვა რაღაც სევდა შემოსწოლოდა გულზე ნიმროდს და ევფრატისკენ გაფრინდა.

ევფრატიდან მონაბერმა ნიავმა მოაფხიზლა უნაგირზე ჩაფიქრებული ნიმროდი.

წამიც და ევფრატთან იყვნენ. ნიმროდი ჩამოხტა თავისი მფრინავი რაშიდან და ევფრატს გახედა. შუბლი მოიჩრდილა. მოიცვა თვალით ლამის ევფრატი, აღივსო მისი წყლით და კმაყოფილებით ჩაიღიმა.

მოედინებოდა ევფრატი... დიდი წყალი! არავინ უწყის, როდის აწყლიანდა, დარდი გაუჩნდა რამდენი, ფიქრებად რომ ჩამოუმწკრივდა თავის წყლიან მეხსიერებაში, რამდენი გადაავიწყდა, რამდენიც დაიკარგა, რამდენიც თან ჩამოიტანა, რამდენს მეხსიერების სკივრში ისე გადაუძახა, რომ არც გაუხმიანებია და ახლაც: ერთი სანუკვარი ფიქრიც, ასე რომ გათავისებია, ის დაიმარტოვა... გასახმიანებლადაც რომ არ ემეტება და არც – მეხსიერების სკივრში გადასაძახებლად, ქარს არ გაატანა?!

მაგრამ ეს ერთი ფიქრი როდი იკმარა ქარმაც, მოუბერა მდინარეს მთელი ძალით, ააზვირთა და ის სათავისო, ასე სათუთად გულში ჩახუტებული ფიქრი არ წამოაბოყინებია დაზაფრულ მდინარეს! დაიურვა, ამოიცოხნა მერე და საით აღარ დაუბერა.

„ვინ ხარ შენ?“ – ნიმროდს ჰკითხავდა ქარი ფიქრის ენით.

„აბა, რა ვიცი?“ – სრულ სიმართლეს ამბობდა ნიმროდი.

„ხარ კი ნიმროდი, ნიმროდ?“ – ქარიც რომ აღარ მოეშვა.

„ეს ხომ, ჩემზე უკეთ შენ უნდა მოგეხსენებოდეს?!“

„ნიმროდობა გინებებია და შენც ინიმროდე! მაგრამ ვინ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდი. ამაზე უნდა იცოდე, რაღა თქმა უნდა?!“

„საკუთარ წარმომავლობაზე კაცმა რატომ არ უნდა იცოდეს ყველაფერი? ყველაფერი ვერა, მაგრამ ცოტაზე მეტი ხომ უნდა უწყოდეს?!“

„ჰო, მართლა: ვინ იყო ნიმროდი? და შენ უკვე ნიმროდი ნიმროდის მისიით მოსულხარ ერიდუში! ევფრატის წყალთან რამ მოგიყვანა?“

„ჯერ ჩემს სადაურობაზე, თუ შეიძლება? აღარაფერი მახსოვს... იქნებ არც მქონია წარსული?“

„ამ ქვეყნად, თუკი ვინმეს აქვს წარსული, ეს შენ ხარ, ადამ-იანო! ერთი კია: იქით, შენს შორეულ წარსულში ძალიან ბნელა, შიშისმომგვრელი წყვდიადია...“

„იცის, იცის, საიდანაც მოვდივარ, იქ, იმ ჩემს წარსულში საშინლად ბნელაო...“ – ტანზე აბურძგლავს ნიმროდს. თითქოს იგრძნობს, რომ განგებ უმალავენ რაღაცას. ამაზე საუბარსაც კი გაურბიან ჩემთან. მაინც ვინ უნდა ვიყო, რომ ჩემს საწინააღმდეგოდ განწყობილა ყველა და არაფერს მიმხელენ? თითქოს ოდესღაც: გაბრუებული ამოვდიოდი წყლიდან, მეხსიერებადაკარგული, თვითონაც აღარ ვუწყი, თავი როგორ დავაღწიე იმ კოშმარს და ფეხი დავადგი მიწას. და მიწამაც მიმიღო...“

„ერთი ამას დამიხედეთ: წარსულში შებრუნება არ მოუნდომებია?!“ – ფიქრი გაუწყალდა ცისა და მიწის, დროისა და სივრცის ერთპიროვნულ გამგებელს და ნიმროდსაც შეაჟრჟოლა.

„ჩემს ფიქრს კითხულობს... ამიტომ სიფრთხილე მმართებს. ცხადია, იცის ყველაფერი!“

– ნიმროდ, შენები დიდი მონადირენი ყოფილან! ნიმროდი შვილია ქუშის და შვილისშვილი ქამის, ნოე კი შენი დიდი ბაბუაა, დიდი წინაპარი! გეამაყებოდეს, ნიმროდ! ჰო, როგორ არს წერილ: „ქამის შვილმა ქუშმა შვა ნიმროდ, გმირი მონადირე წინაშე უფლისა, ამისთვის იგუეს, რამეთუ ნიმროდ გმირი მონადირეა წინაშე უფლისა ღვთისა და იქნა მეუფეობისა მისისა... ეს შენზეა ნაწინასწარმეტყველები! და ფიქრობ შენც, ნიმროდ! დამდგარა შენი დროც! ჟამი მოქმედების, დიად საქმეთა ქმედების! რა დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრია, ნიმროდ?! შენ თვითონ უნდა შექმნა მომავალი, შენივე მომავალი!“

და მაინც: ფიქრი გაუცნობიერებელი დარჩა ნიმროდისთვის. გააცნობიერა ეს და უკუდგა.

– და ასე გულხელებდაკრეფილს როდემდე გხედავდე, ნიმროდ?! შემოიკრიბე ირგვლივ შენივე გვარის წარჩინებულნი და გადაწყვიტეთ ერთხელ და სამუდამოდ, რა უყოთ იმ მომთაბარე ხალხს, აღმოსავლით და დასავლით რომ გესაზღვრებიან. იმოქმედე, ნიმროდ. არ დაიმორჩილებ მათ და ისინი დაგიმორჩილებენ! მაგრამ არ იფიქრო, დაიმონო ისინი! იფიქრებ და აგიჯანყდებიან! ერთ რჩევასაც მოგცემ და გულის ფიცარზე დაიწერე!

„ქველი მხედართმთავარი იმარჯვებს და ჩერდება! იმარჯვებს და არ მძლავრობს! იმარჯვებს და არ იმონებს! იმარჯვებს და არ ქედმაღლობს! იმარჯვებს, ოდეს აიძულებენ საომრად... იმარჯვებს, მაგრამ არ არის მზვაობარი! ოდეს არსება უმაღლეს ძლიერებას აღწევს: სუსტდება და ხრწნა ეუფლება! შენ არ მორჩილებ ღვთის მეუფებას... ხანმოკლეა მისი არსებობა!“...

ნიმროდმა თვალებში ამოისვა ხელი. ჯერ თვალი აარიდა მდინარეს, მერე ზურგიც შეაქცია და მოუბოდიშა: – წყალო დიდო, მეგობარო ჩემო... ნახავ, როგორი მეგობრობაც შეუძლია შენს ნიმროდს!

ბედის ბედაური მის წინ იდგა და მიწას ფლოქვებსა სცემდა.

„ძლივს არ გამომეღვიძა?!“ – გაიფიქრა ნიმროდმა და ბედის ბედაურიც უკვე სასახლისკენ მიაქროლებდა.

* * *

ეს ერთი კვირაა, რაც დაასრულა ქურუმთა წრთობისა და სწავლების სამჭედლო. სასახლეში მოწვეულ ქურუმებს დღესვე უნდა დაედგინათ მისი ქურუმად კურთხევის დღე. ქურუმები მთელი დღე ელოდნენ მოსაცდელ დარბაზში.

– დამელოდებიან... – თავისთვის ჩაილაპარაკა, ქვევით ჩასვლაც კი დააპირა, მაგრამ გადაიფქრა: „ამათ ჰგონიათ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მასწავლეს რამე. სინამდვილეში: როცა ვუსმენდი მათ, ასე მეგონა, მეორედ ვისმენდი უკვე მოსმენილს-მეთქი, თითქოს ცდილობენ, გამახსენონ მივიწყებული. მთელი მათი ცოდნა და გამოცდილება უკვე იყო ჩემში... მოიცდიან, – წიგნთსაცავში შევიდა და თაროდან საშუალო ზომის თიხის ფირფიტა გადმოიღო: „ამდენხანსაც უნდა ჩამეხედა „შუმერულ კანონთა კრებულში“, – მთელი საათი ჩაჰკირკიტებდა თიხის ფირფიტას და წიგნთსაცავის მოხუც მსახურს უხმო: – ეს გადამინახე და მომიძებნე იშთარის კანონთა კრებული. ხვალ ამ მაგიდაზე დამხვდეს. მაგრამ ხვალ რატომ? დღესვე!

წიგნთსაცავის მსახურმა თიხის ფირფიტისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ნიმროდმა შეუბღვირა, რისი მოტანაც დაგავალე, ის მოიტანე ჯერ, ამ კრებულს კი, როცა მე ჩავთვლი საჭიროდ, მაშინ დააბრუნებ თავის ადგილზე!

მოხუცი მსახური ახალი ფირფიტის მოსატანად წალასლასდა.

ნიმროდს ახლაღა გაახსენდა, რომ ქურუმები მოელოდნენ: – ხვალ, ხვალ დამახვედრებ იმ ფირფიტას! – გასძახა მსახურს და იმანაც დახშული ხმით გამოსძახა წიგნთსაცავის შორეული განყოფილებიდან, ბატონი ბრძანდებითო.

ქურუმებმა შორიდანვე მოჰკრეს თვალი და სახეზე აღბეჭდილი უკმაყოფილების კვალი მაშინვე გადაეშალათ სახიდან.

– ბატონებო, ხომ არ გაკლიათ ვინმე? – თვალი შეავლო ქურუმებს და გულში ჩაეცინა: „ესენი შიშში თუ არ მეყოლება, შეიძლება გამითამამდნენ და ისე ვეღარც დამაფასონ, როგორც მეკადრება...“ – ვინმე ხომ არ გაკლიათ-მეთქი, გკითხეთ მგონია! – სახე მოექუფრა, რისხვისგან ლამის გადმოცვენოდა საცრისოდენა თვალები.

– არავინ, თქვენო... – ქურუმებმა არც კი იცოდნენ, როგორ მიემართათ ნიმროდისათვის.

– თქვენო... – ნიმროდიც შეყოვნდა წამით, ისევ გადახედა ქურუმებს და ყველას გასაგონად თქვა: – თქვენო უზესშთაესობავ... – უკვე ნაძალადევად გაიღიმა, – შეგიძლიათ ასე მომმართოთ, თუმცა: ვიფიქრებ ამაზეც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– თქვენო უზესშთაესობავ... – ქურუმთა დასს ერთი ხანში შესული ქურუმი გამოეყო, ალბათ ქურუმთა დასის უფროსი, შესაძლოა ქურუმთ-ქურუმიც და თავი დაუკრა ნიმროდს.

– რაღას აყოვნებთ, საქმეს რატომ არ შეუდგებით და არც დიდ დროსაც წამართმევთ, ვიმედოვნებ!

– კურთხევას, თქვენო უზესშთაესობავ, თავისი წესი და რიგი აქვს და რიტუალია შესასრულებელი...

– ქურუმთუხუცესი მიხმეთ! რომ გიყურებთ, მგონი დღეს ველარ უნდა მოასწროთ ჩემი კურთხევა.

– ამ კვირის სწორს, თუკი მოვასწარით... – დაიბნა მოხუცი ქურუმი.

– ქურუმთუხუცესს ვუხმე, მგონია! – ხმას აუწია ნიმროდმა.

– მე ვარ... – ძლივს ამოღერღა მოხუცმა ქურუმმა.

– ჰოდა, დღეიდან აღარ ხარ ქურუმთუხუცესი. დაჯექით, მოიფიქრეთ და მზის ჩასვლამდე მაკურთხეთ ქურუმთ-ქურუმად! მე ვთქვი!

– კურთხევამდე ხომ უნდა გამოიცადოთ... – დაიბნა უკვე ყოფილი ქურუმთუხუცესი.

– და თქვენ უნდა გამომცადოთ მე – ნიმროდი? თვითონ ღვთის რჩეული? ღვთის ნდობით აღჭურვილი პირი?! – იფეთქა ნიმროდმა, – დაგითხოვთ ყველას!

– როგორ? – დაიბნა ყოფილი ქურუმთუხუცესი, – ასე რომ არ ხდება ჩვენში?

– მე კი თქვენგან განსხვავებული აზრისა ვარ ამ საკითხთან დაკავშირებით. თქვენ კი ჩემი ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულება გმართებთ! და რადგან აუცილებელია კურთხევა, მისი აღსრულების დღესაც მე დაგიდგენთ! დღეს კი ჯერაც ქურუმთუხუცესი სასახლეში მეახლოს, სადაც ჩემი გადაწყვეტილება უნდა ემცნოს! გამოცდებიც არ მომინდომეს?!

– სასახლეში გეახლოთ?.. – მუხლები აუკანკალდა მოხუც ქურუმს.

– და რამ უნდა შეგიშალოს ხელი?

– მხოლოდ ღმერთს ძალუძს ქურუმთუხუცესის გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწყვეტილების შეცვლა და: მისი თანამდებობიდან გადაყენებაც მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

– ღმერთიც მე ვარ და: თქვენი უზენაესი მსაჯულიც! აბა, უსმინეთ ბაბილონის მეფეთ-მეფეს და ქურუმთ-ქურუმს.... ჰო, ქურუმთ-ქურუმს! გახსოვდეთ: ქურუმთა დასი ემსახურება ბაბილონის მეფეთ-მეფეს და ქურუმთ-ქურუმს! კურთხევას ველარ გადავდებ! იგი მზის ჩასვლამდე უნდა შესრულდეს! მერე: რიტუალიც გასამარტივებელია! ყოფილი ქურუმთუხუცესი – სასახლეში მეახლოს! დანარჩენი გაქრით! დღევანდელი დღე დაიხსომეთ და: ვაი, თქვენი ბრალი, თუკი შეგეშალათ რამე! კურთხევა ზეიმით აღინიშნოს! იმედს ნუ გამიცრუებთ! მოიცათ! ახლავე მაკურთხეთ! დრო არც ითმენს და არც იცდის! დაცვა! – გასძახა და კბილებამდე შეიარაღებული გოლიათები შემოცვივდნენ, ნიმროდის წინაშე სიმებივით გაიჭიმნენ.

დაცვა ქურუმთუხუცესის მოსასხამს მხრებზე მოასხამს თავის მბრძანებელს.

– ქურუმთ-ქურუმად მიხმობდეთ აწი! – ბრძანა ნიმროდმა: – ბაბილონის მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი, აი, ჩემი წოდებაც!

ყოფილმა ქურუმთუხუცესმა ახედა ნიმროდს და სუნთქვა შეეკრა. მერე სძლია საკუთარ თავს და მთელი გზნებით ამოთქვა: – კვერთხი ბაბილონის მეფეთ-მეფეს და ქურუმთ-ქურუმს, სამყაროს მბრძანებელს!

ნიმროდს ქურუმთ-ქურუმის კვერთხი მიაწოდეს.

– თქვენ უკვე ხართ ქურუმთ-ქურუმი! – ხმა დაწვრილებოდა ყოფილ ქურუმთუხუცესს.

ნიმროდმა ხელი გაიწოდა მისკენ და ისიც ეამბორა დაძარღვულ ხელს.

ნიმროდი: ბაბილონის მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი!!!

* * *

მზის ჩასვლამდე დროა კიდევ.

ნიმროდმა ევფრატს მიაშურა ისევ. ისიც ელოდა, თითქოს შეჩერებულიყო კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედის ბედაური საბალახოდ მიუშვია, თვითონ კი განმარტოებულა წყალთან და ფიქრებს მისცემია.

„ფიქრებს ალყაში მოუქცევიხარ...“ – ამოულაპარაკებს ნიმროდს გრძნეული გული და წყალს გააყოლებს თვალს.

– ერთ რჩევას მოგცემ! – გამოსძახებს წყალიც და გისმენ შენ, წყალო დიდო! – გაეპასუხება ნიმროდი: – რჩევა კარგია, მაგრამ დღესდღეობით უფრო შენი სიმძლავრე მჭირდება, წყალო დიდო!

– მიჰყევ ჩემს რჩევას და შენც მოგეცემა ჩემი სიმძლავრე! ნიმროდ: ოდეს დგება ჟამი მძლავრობისა: ძრწის ხალხიც წინაშე ძლიერთა!

„ნუ დაანგრევ მათ საცხოვრისს! არც მის ცხოვრებას დასცინო, ნუ დაამწუხრებ სხვათა ცხოვრებას და შენი ცხოვრებაც არ დამწუხრდება!“ – გულზე მოხვდა ნიმროდს წყლის შეგონებანი.

რატომღაც ნოე დაუდგა თვალწინ – დიდი წინასწარმეტყველი, პატრიარქი თავისი მოდგმის და საერთოდ შუამდინარეთში მცხოვრები ხალხების.

იდგა მოხუცი პატრიარქი, ხელები გულზე დაეკრიფა და შორეთისთვის გაესწორებინა თვალი. გვერდით (მარცხნივ) ნიმროდი ედგა (მარჯვნივ) – ებერი.

პატრიარქი ნიმროდისაკენ მიბრუნებულა: „ბიჭო ნიმროდ! – თითს უქნევს: – და მაინც სისხლო ჩემო და ძიროვ ჩემო! ქამის მოდგმავ: არასოდეს აგიხარბდეს თვალი შენი და გული არ მიგივიდეს ჩემი შვილების სემისა და იაფეტის მიწებზე... დაიხსომებდე, ნიმროდ, შენ ქამის მოდგმისავ! სადაც არ უნდა იყო და როგორც არ უნდა იყო, ნუ გადაუხვევ ჩემს შეგონებას, პატივი ეცი გვარს შენსას და იგულვე ძმად და მოყვარედ მოყვასი ყოველი!“

ტანზე აბურძგლა ნიმროდს და მზერა ბიჭისკენ გადაიტანა, ნოესაგან მარჯვნივ რომ იდგა. ეცნო ის ბიჭი – ებერი იყო!

– ნიმროდ, გიყურებ და მეშინია ნოეს მე მომავალის! პატივმოყვარეობას შეუპყრიხარ, ნიმროდ და რატომ არ მოხვალ გონს! მაგალითი ებერისგან აიღე!

და ნიმროდმა მზერა ახლა ებერზე გადაიტანა.

ებერი: ნიმროდის ბავშვობისდროინდელი ბიჭი – სემის მოდგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდან. მისი თანატოლი და თითქოს მეტოქეც, მაგრამ ნიმროდი მეტოქედაც აღარ მიიჩნევს ებერს: იგი ხომ ცალი ხელითაც მოერევა თავის ბიძაშვილს. ისინი ხომ ტყუპისცალებივით იზრდებიან მდინარის პირას. ვერაფრით მოუგონებია მდინარის სახელი. იქნებ არც აქვს სახელი და იქნება დაშრა კიდეც?!

ბიჭი ნიმროდი თვალს აარიდებს ნოეს, გაცლას ამჯობინებს, მაგრამ ნოე თვალებით ეტყვის ნიმროდს: – შენთან ლაპარაკი არ დამიმთავრებიაო.

– ნიმროდ, პატივმოყვარეობა სენია ერთგვარი, უკურნებელი და...

– მე მეფე გავხდები, მეფეთ-მეფე! მეფეც და მეუფეც ყველასი!

ნოემ თვალებში ჩახედა ნიმროდ-ბიჭს და ნემსების ჩხვლეტა იგრძნო ზედ გულის კოვზზე: – ნიმროდ, გული მიგრძნობს, ცუდად დაამთავრებ! მაგრამ მართლა გახდები მეფე! მეფეთ-მეფეც, მაგრამ... ერთ რჩევას მოგცემ და თუკი დამიჯერებ, იქნებ გადარჩე კიდეც!

ბიჭი-ნიმროდი მზადაა, ისმინოს ნოეს რჩევა და ნოესკენ მიუპყრია თვალი და ყური:

– ნიმროდ, ყოვლად ბრძენმა იცის, რომ მნათობია, ბრწყინავს, მაგრამ არ ბრწყინვალებს; ყოვლად ბრძენმა იცის, რომ ბევრის შემძლეა, მაგრამ არ მედიდურობს, მაშ, დაეუფლე იმ პირველს, მაგრამ არ იბრწყინვალო! განიგდე შენ მეორე და არ იდიდგულო. ჰოდა: შეიქნები შენც მეფე კეთილი, იბრწყინვალებს ქვეყანა და ერი შენი, სახელიც შენი განივრცობა შორს.

– წარღვნაზეც ხომ არ გვიამბობთ? რატომ მოხდა და რად წაიღო ჩვენი ქვეყანა წყალმა? რა დააშავა ხალხმა?

– მკითხე რადგანაც, ყურადღებითაც მომისმინე! გეტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს. ებერსაც წაადგება ამის ზედმიწევნით ცოდნა! – თავზე ხელი ნიმროდს კი არა, ებერს გადაუსვა: – მოყვასი მოყვასს ვეღარ სცნობდა და ვეღარც ხედავდა და თუკი ხედავდა, შეურაცხყოფდა, ხარბი თვალით უყურებდა ცოლსა მისას და ქონებას მისას, დაივიწყეს ღმერთი ჩვენი და ეთაყვანებოდნენ თავიანთ კერპებს, ერთსქესიანები მიელტვოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ ერთმანეთს... არ შეიგონეს ღვთის გაფრთხილება: ჰოდა, აღარ ეპატია და აღარ მიუტევა ჯერ ადამს და მერე მის მოდგმასაც!

– და მხოლოდ შენი მოდგმა აღავლენდა ლოცვას ჭეშმარიტი ღმრთისადმი, ცხოვრობდა ერთხელ დადგენილი წესისამებრ!

– ასეა სწორედ, ნიმროდ! სამართლიანია ღმერთი ჩვენი... მხოლოდ ჩვენი მოდგმა დაინდო!

– მეც ხომ შენი მოდგმის ვარ?

– რასაკვირველია... ქამიტი ხარ შენ! ჩემი უმცროსი ვაჟის შვილისშვილი. ებერი რამდენიმე წუთითაა შენზე უფროსი და ესეც გახსოვდეს ებერი პირველია! ორივენი წარღვნის შემდეგ მოევლინეთ ქვეყნიერებას!

იმას ვამბობდი, ნიმროდ! ცოდავდა ადამიანი და აღარ ინანიებდა! დაცემულსაც არავინ წამოაყენებდა, უხაროდათ მოყვასის ჭირი, ცოდავდნენ მრავალგზის... ჰოდა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მხოლოდ ჩვენი მოდგმა გადარჩა. დიდება უფალს! ნიმროდ! გიყურებ და მეშინია, ამპარტავნობამ არ შეგიპყროს... ნუ იზამ ისე, რომ გაგწიროს ღმერთმა. დაიკარგები, ნიმროდ!

– მე არ დავიკარგები! – გულში იტყვის ნიმროდი და ხილვაც გაქრება.

ნიმროდი გაჰყურებს წყალს, აღარაფერზეც აღარ ფიქრობს.

„ნახეთ, სად მიიყვანს კაცს პატივმოყვარეობა?!“ – მაღლიდანაც ჩამოსძახეს ნიმროდს, მაგრამ რის მოსმენაც არ უნდოდა ნიმროდს, არც ეყურებოდა.

შებინდებულიყო. მზის ჩასვლა გამოეპარა ნიმროდს და ეს დღე დაკარგულად ჩათვალა. ცას ახედა და გაწვიმდებაო, ამოუთქვა გულმა.

ჰოდა წვიმდა უკვე. ასხამდა კოკისპირულად.

ბედის ბედაური ინატრა და ისიც დაბარებულივით გამოეცხადა.

* * *

გული ევფრატისკენ რომ მიუწევს ისევ?!

ისურვა ევფრატი და ეს სურვილიც მიანდო ფიქრს:

გაფიქრებაც და ბედის ბედაურიც მასთანაა.

ევფრატისკენ მიაქროლებს თავის მხედარს ბედის ბედაურიც.

აჰა, ევფრატიც – დიდი წყალი(!)

ამღელვარებული, გაშმაგებული მიიკვლევს გზას, მალე ჩვეულ კალაპოტშიც ვეღარ ჩაეტიოს ალბათ. თითქოს და ვერავისთვის ვერ უნდა მოიცალოს, მაგრამ ნიმროდის მოსვლას სიხარულით ხვდება. თითქოს და შედგა წამით: „ნიმროდ ჩემო, მე ფიქრი მომიტანია შენთვის, საჭირო და აუცილებელი შენთვის...“

ნიმროდიც სმენად ქცეულა.

„ებერი მინდოდა შემეხსენებინა შენთვის. ებერს დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს ბაბილონს. მგონი კედარის ტყეში ნახე, ჯადოქარი რომ განგმირე მაშინ. მერე აღარც გინახავს, მაგრამ გამოჩნდება თვითონ, შენ ნუღარ დაეძებ. რომ გამოჩნდეს, ხელი არ ჰკრა, დაიახლოვე! ჰოდა: იხილავ ახლა!“ – თქვა მდინარემ და გამდინარდა, გზა ჩვეული რიხით და ნდომით განაგრძო.

ნიმროდი კი დროიდან ამოვარდნილიყოსო თითქოს, მწვერვალზე იდგა და ესმოდა მაღლიდან, მაგრამ მას როდი უხმობდნენ:

– ნოე, დიდება შენ და... ებერს ელოდები?

– ძალიან კი შემაყვარა თავი...

– ჰო, აი, კაცი! – ცა გადაიხსნა და იელვა. ებერს დიდი დამსახურებისთვის, სიმართლისათვის მებრძოლს, შთამომავლობა „მართალ ებერად“ მოიხსენიებს. გიხაროდეს, ნოე!

შეცბა ნიმროდი. ევფრატის წყალმა გაახსენა ებერი და სულიც ვეღარ ჩაიტია სხეულში, გათავისუფლებას ლამობდა. მაგრამ უნდა დალოდებოდა ებერს, მაგრამ ნოეც ელოდა ებერს.

„და მაინც ვინ არის ებერი?! კი, შვილთაშვილია სემის... და რას წარმოადგენს ებერი, რა შეუძლია ებერს? „მართალი ებერიო?“ მაინც რა მისია უნდა დაეკისროს ებერს?“

და თითქოს და განაწყენებულმა ზეცამაც ჩამოსძახა ნიმროდს: – ებერი მარტო შენი სისხლისმიერი ძმა კი არა, დიდი მოყვასიცაა შენი და უპირველესად ბაბილონელი ხალხის! ხომ არ დაგვიწყებია, გადმოცემით მაინც გეცოდინება, რომ პატრიარქმა ნოემ დაწყევლა განდგომილი შვილი თვისი – ქამი, ბაბუაშენი და მთელი მისი მოდგმა და არავინ უწყის, აგეხსნებათ კი ოდესმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ ეს წყევლა, თუ ასე დაწყევლილები გადაშენდებით?! – ითქვა და იელვა.

„მართალი ებერი“, მე კი – ანათემას გადაცემული ნიმროდი?!“ – კითხვის თვალი მიაპყრო ნიმროდმა აცისკროვნებულ ზეცას. მაგრამ ნიმროდის კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა და ამან ააღელვა და განარისხა ნიმროდი. არც დაფიქრებულა, ახალი ფიქრი შესტყორცნა ზეცას და ათასი თვალი და ათასი ყური გამოისხა. გრძნობდა უპასუხოდ არ დატოვებდა ნიმროდის კითხვას ცაბაოთი. მაგრამ დუმდა ზეცა.

გადახსნილიყო ოღონდ:

„ახლა რომ იელვოს... ნიშანს მომცემდა ცაბაოთი, მაგრამ არა, მეტად გამინაწყენიებია ცაბაოთი... ნეტამც დამუნჯებული მენახოს და დაბრმავებული...“

– ისევ სცოდავ, ნიმროდ?! — ჩამოსძახა ზეცამ.

– ზეცაო, გამიჭირდა მე უწარსულოდ!

ზეცამ პასუხი აღარ გასცა და პირი შეიკრა.

მზე შუბისტარზე შემდგარიყო. გზის გაგრძელებას თითქოს არც აპირებდესო.

„მზეც უჩრდილოდ და მეც – უჩრდილოდ... ალბათ მეც მისებრ ავმაღლებულვარ...“

მაგრამ: უცებ მოწყდა მზე იმ თავის გაყინულ წერტილს და დასავლისაკენ მსწრაფლ გადაქანდა.

ნიმროდმა მზეს უსწორა თვალი, მაგრამ თითქოს ჩამქრალიყოსო მზე და ნიმროდსაც მოეწურა სული.

ძლივს მოასწრო ამის გაფიქრებაც, რომ ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. მიხვდა ნიმროდი, დროისგან დაცლილიყო, რაღაც გამორჩენოდა: – მეჩვენება, თუ დრო აჩქარებულა უბრალოდ. დრო: არაფერს დაგიდევს... – თვალები აუხამხამდა და მზეც არ გამოჩნდა?! ამ მოვლენას ვერაფერი გაუგო და ფიქრმა წაიღო: „უნდა ავხსნა ეს მოვლენა. ებერი სულაც გადავიწყებოდა. ებერისთვის აღარ ცხელოდა. ნოე ხომ აღარც ახსოვდა და ამ დროს ესმა:

– ებერ! აი, შენც მოსულხარ! ჰო: დროის გადალახვა დიდ სირთულესთანაა მართლაც დაკავშირებული, მაგრამ ნიმროდი ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენზე უკეთ ახერხებს.

– გისმენ, დიდო პატრიარქო!

– მე განძი მოგიტანე, ებერ, უძვირფასესი... შეუფასებელი. გაუფრთხილდი ამ განძს.

– რატომ მე? ჯერ ღირსსახსოვარიც რომ არაფერი გამიკეთებია.

– შენი გზა ანი იწყება, ებერ! ერიდუში ჩახვალ, გზიდან არ გადაუხვიო! იშთარის ტაძარს რომ ააგებს ნიმროდი, ბაბილონშიც მაშინ შეხვალ! გაჭირვებამ არ შეგაშინოს და არ გაგტეხოს! ამ განძს თვალისჩინივით გაუფრთხილდი!

– მანც რას უნდა ვუფრთხილდებოდე თვალის ჩინივით? – ნოეს კი არა, უფრო თავის თავს კითხავდა ებერი.

– ებერ, ეს ჩვენი ანბანია... და არა მარტო ჩვენი? ჩრდილოეთში იაფეტის შვილთაშვილი მეფობს... ქარდუხის ქვეყანაში. ამ ენაზე ლაპარაკობენ ხალიბებიც და მოსინიკებიც, სასპერები, კოალელნი და ბიძარები... ეს ჩვენი ანბანია ყველასი... შენ დიდი მისია გეკისრება: ანბანი უნდა გადაარჩინო, რომელიც უფალმა ღმერთმა ცაბაოთმა შეგვიდგინა...

– და გადასარჩენი ჩვენ ენას რა სჭირს?! ანბანსაც რა გაუჭირდება, რომ აღარ ვიცი?

– ეს ჟამი, გული მიგრძნობს მალე ჩამოდგება და თვალს გაუსწორებ აწმყოს! გადმომიცია შენთვის ეს განძი და როცა გული გეტყვის, გაეცლები ბაბილონს. ჩრდილოეთს მიაშურებ, მეფე თარგამოსს! – ნოემ გზა დაულოცა ებერს, – დანარჩენს ჩვენი ანბანი გეტყვის.

– ჩვენი ენა... – ენა დაება ებერს.

– ჩვენ თვითონ უფალმა ღმერთმა ცაბაოთმა დაგვლოცა, შვილებად გვაღიარა: ამიტომაცაა, რომ ჩვენ ღვთის ენაზე ვლაპარაკობთ...

იელვა მოულოდნელად.

– ეს ცაბაოთი მოგესალმება, ებერ, ჩვენი უფალი ღმერთი!

და ისმენდა ყოველივე ამას ნიმროდიც...

ისმენდა და გულის ფიცარზე იბეჭდავდა....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

წამოდგა ზლაზვნით. ძლივს აიტანა თავისი უზარმაზარი ტანი. ძლივს გაიმართა მხრებში, გააზმორა, თითქოს სიზმრიდან გამოსულიყო, რაღაცნაირად დათრგუნვილი, არ კი იცოდა რატომ და როგორ? ეწადა სიზმარი გაეხსენებინა და ვეღარ გაეხსენებია. შიშმა დარია ხელი, ავი რამ ხომ არ მომელისო და ყვავმაც ამ დროს დასჩხავლა თავს. ალბათ მარცხი რამ მომელისო და ჩაფიქრდა: გუშინ, გუშინწინ არასწორი ნაბიჯი ხომ არ გადამიდგამსო, ან დღესაც ხომ არ უნდა შემეშალოს რამეო? ვეღარაფერი მოეგონებია, დახშული იყო მისთვის მეხსიერების სკივრი. ისევ გააზმორა და თვალი გააყოლა მოლივლივე წყალს (ევფრატის წყალს ისე აღიქვამდა, როგორც საკუთრებას).

უცებ ებერი გაახსენდა, ზურგზე ტვირთმოკიდებული რომ განშორდა ნოეს და სივრცეს შეერია.

„ასე რომ ბაბილონში იშთარის კარიბჭით შემოვა ებერი, მფლობელი იმ დიდი განძის, ნოემ რომ გადასცა. მე ვხედავდი ებერს, ახლაც მახსოვს მისი სახე, ათას კაცში ამოვიცნობ ებერს, მანამდე კი არც მაწყენდა, სამომავლოდ მაინც გამეთვალისწინებია ნოეს რჩევები, ებერს სამომავლოდ რომ აძლევდა.

ნოე?! ნოე წარსულია მაინც... უკვე ჩავლილი დრო... მე კი – მომავალი! ებერიც მომავალია, მაგრამ საკითხავია, ვიქნებით თუ არა მე და ებერი ერთ სიბრტყეზე და თუკი ვიქენით, დავეტევით კი იმ ერთ სიბრტყეზე?! იქნებ ვერც გადავეყაროთ ერთმანეთს?! თუ ვინიცობაა და ერთად დავრჩით, ვინ ვის გადასძლევს მაშინ?!

არ მეგონა და ნოე ჩემზეც ამყარებს იმედებს... ამპარტავნებამ არ შეგიპყროსო... მაგრამ მეეჭვება, მთლად რომ მომენდოს... ებერს ენდობა: ანბანიც კი მას ჩააბარა... მე, ქამის მოდგმისას მაინც და მაინც არც მენდობა. ქამზე მეც მიფიქრია. ქამი როგორც ულირსი შვილი, დაწყევლა ნოემ, დაწყევლა ცაბაოთმაც. არც ქამს უმართლებია თავი... ნოე შვილებზე დიდია... ნოე თვითონ უფალი ღმერთის ნდობით აღჭურვილი პირია მიწაზე. ნოეს კიდობანი აუგია, თავისი შთამომავლობა გადაურჩენია, აწუხებდა ცხოველთა და ფრინველთა ბედიც! ნოე – თავისი ხალხის დიდი პატრიარქი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოესა და მისი კიდობნის ამბავი გადაწვდება შორეულ მომავალს. მეც და ებერიც წარღვნის შემდეგდროინდელ თაობას ვეკუთვნით და უფალი ღმერთი ცაბაოთი, ჩემზე არაფრით დიდიც რომ ვერ არის, ალბათ მე დამანათლავდა რაიმე ისეთს, მთლად ნოესებურს, მაგრამ თვითონ ცაბაოთი არაფერს მეუბნება ამაზე, მაგრამ მე რისი შემძლე ვარ ნეტა? მე რას ავაგებ, რომ შთამომავლობას გადაეცეს ჩემი სახელი... მეც უნდა ავაგო რაღაც სასწაული... მე ავაგებ ბაბილონს! შევქმნი ბაბილონის დიდ ქვეყანას, მარადიულს, სასწაულებრივს და ბაბილონზეც რაღაც დიდს, წარმოუდგენლად მაღალს, სწორედ რომ „ცაისხელას!“ ვიფიქრებ ამაზე მე – ნიმროდი!

მაგრამ ნოემ ხომ ებერი დააყენა ჩემზე წინ?! ვერა, ებერ, შენ ვერ გამისწრებ, ვერც გადამისწრებ! – ხელში ძველი ნალი მოჰყვა და მოუჭირა თითები, დაიძაბა ერთიანად, სულ დაეძაგრა ძარღვები და ხელისგული რომ გახსნა, თვითონვე დარჩა გაკვირვებული: ნალის ბოლოები შეერთებულიყვნენ. მოღუნული ნალი ევფრატს ესროლა, ჩემგან საჩუქრადო.

თვალი ისევ გააყოლა მოლივლივე წყალს, ფიქრიც თან გაატანა და მიმიხედეო, ასეც დაავალა.

მაღლა აიხედა: – მაშ, როგორ გეგონა? გაწირეთ ხომ ის დიდი ქამი? ვერ გაპატიებ ამას! თუმცა: იქნებ მითხრა, ვინაა ებერი, რა შეუძლია და ნადირობიდან მობრუნებული გარეულ ტახს შემოგწირავ!

მაგრამ უცებ გამოერკვა: თვალი სიყვარულით შეავლო ევფრატის წყალს: – ხომ არ შემიცოდავს, წყალო დიდო, ხომ არაფერს ვაშავებ?

– არა... – სუნთქვა შეეკრა წყალსაც: – სწორედ ასეთი წარმომედგინე! შეუვალი და შეუპოვარი!

– შენსავით, წყალო!

– გმადლობთ, ნიმროდ! შენ სულ უფრო და უფრო მომწონხარ! მთხოვე, რაც გინდოდეს! გნებავდეს რაიც! – აღარ შემდგარა, მაგრამ სვლა კი საგრძნობლად შეანელა. – მთხოვე, ნიმროდ!

– წყალო, ამავსე მე შენი შემართებით და ძლიერებით, მომმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დლე ძალმოსილება შენი, რომ მთლიანად მოვიცვა შენსა და ტიგროსს შორის მოქცეული სივრცე და ვმართო მე სააქაო სრულიადი! ბაღნარად ვაქცევ ჩემს სამფლობელოს!

და ჩხრიალი მოესმა: შეჩერებული წყალი ახმიანებულიყო, აწყლიანებულიყო...

„ტიგროსს იქითაც გადავიხედავ... ოღონდაც: არ შემიწყდებოდეს ეს ფიქრი და სურვილი გიყვარდეთ: იმდენი მაქვს... ელამს დავლაშქრავ, მარის ქვეყანაში ჩემს მფრინავ ათასეულებს ჩავაყენებ! კიდევ: აქეთ, შუმერისკენ რატომ არ გამექცევი, თვალო?! შუმერი... მერე: ბაბილონის თვალუწვდენელი სივრცე... ძრწოლისმომგვრელი: დაე, ძრწოდნენ ბაბილონის ხსენებაზეც! – ახლაც ბოლომდე ვერ შეწვდა ზეცაში აჭრილ ფიქრს და მუშტი მოუღერა ზეცას?! ვითომ მარტო ზეცას?!

ამ დროს იყო, რომ მხარზე სიმძიმე იგრძნო, ნაჩვევი რამ თითქოს, ძალიან ახლობელიც, მაგრამ მრისხანე: და გაახსენდა:

– შენ ხარ? – ხმა ჩათბობოდა ნიმროდს.

– მიცანი, ნიმროდ?

– ჩემი ბრძენი ბუ... – ნაღველიც ჩააყოლა ნიმროდმა ხმას, აქაო და შენზე ნაწყენი ვარო.

– სულ შენთან ვიყავი, ნიმროდ, ფიქრით მაინც!

– უშენობა უნდა ყოფილიყო ჩემი მოწყენილობის მიზეზიც! – გაეღიმება ნიმროდს.

– ამაში არც შენ და არც მე მიმიძღვის ბრალი, მაგრამ... კარგად ჩაუფიქრდი და ამან დაგვაახლოვა უფრო...

– ჩემო ბრძენო ბუვ... ნუთუ მართლა შენ ხარ? აღარ მეგონა, თუ კიდევ მეღირსებოდა შენი ნახვა...

– ბრძენოო... ასე მიწოდებ, ნიმროდ. მიხარია, რომ ბრძენად გიცვნივარ, ერთადერთი ხარ, ვინც შემიცნო და...

– გაღიარე, ბრძენო ბუვ...

– ამიტომაც აგისრულდება შენ სურვილი ყოველი. ოღონდაც იყოს შენი ნება! მაგრამ გახსოვდეს: იმოქმედე! გულხელდაკრეფილი ვერაფერს მიაღწევ! ესეც დაუწერელი კანონი! ერთი დიდი ნადირობა და... (ღამით). აღივსები უკუნი ღამით და გაწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდიადდები. დაიკარგება შენში შემოსული ყოველი–სული! შედრკება შენი მხილველი! შავი ჩრდილივით გადაუვლი შენს თვალსაწიერსაც. მერე და შენი ბედის ბედაურიც შენს განსადიდებლად არ მოვლენია აქაურობას?!

– ჰოდა, რაღა და ვიღა დაგვიდგეს წინ?! ერთხელაც შეიფრთხიალე, ჩემო ბრძენო ბუვ, რომ შეგიგრძნო და გავწყვდიადდე! და ხვალეც ხვალ გეტყვის ხვალისას. იქნებ ხომ არ დავასწროთ ხვალეს და ხვალის სათქმელი დღესვე გავახმიანოთ!

– უპირველესად ის ქურუმები ამოიყვანე დილეგიდან და მოიმსახურე!

და ნიმროდიც ამხედრდა: თავის ნებაზე მიშვებულ ფიქრს გამოედევნა, რასაც ჭენება მოჰყვა მთლად ოფლის გახვითქვამდე.

* * *

ნიმროდს მორჩილებს ძველი ერიდუ: და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთადერთი მრჩეველი ჰყავდა ნიმროდს – ბრძენი ბუ.

თითქოს ზედ ციდან მოვლენოდა ნიმროდი ერიდუს: განადიდებდნენ ისინი ერთი მეორეს: ნიმროდი – ერიდუს, ერიდუ – ნიმროდს...

მაგრამ ერიდუ ჯერ ვერაა სრულიად ბაბილონი(...)

* * *

ნიმროდ, ახლა კი დროა, ამოისუნთქო და მოითქვა სული, – ჩასჩურჩულებდა ბრძენი ბუ – იშთარის საყვარელი ფრინველი. – მტაცებელიო?! თუ არ მოიტაცე, თავისი ნებით ვინ დაგმორჩილდება? ვინ რას დაგითმობს? და განა თვითონ ადამიანი არაა დაჯილდოებული ამ მართლაც ყველაზე სასწაული ნიჭითა თუ თვისებით?

– თქვენთან უკაცრავად, ბატონო ადამიანო, და ბუმ გადაგამეტათ!

– ახლა ფიქრიც და ყურადღებაც შენზე გადმომაქვს, ჩემო ბრძენო ბუვ! ფიქრობ ხომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ვფიქრობ, რაღა თქმა უნდა და ვნადირობ ისე, რომ ფიქრს არც შევიწყვეტ.

– მეც ხომ შენსავით ღამით ვნადირობ! განა შენი წყალობით არ მოვინადირე იმ ღამით ის გარეული ტახი, ქალღმერთ იშთარს რომ შევწირე. მადლობის თქმა კი, მახსენდება, გადამავიწყდა. უნდა მომიტევო, ჩემო ბრძენო ბუ!

– აუუ, რა დრო გასულა მას შემდეგ და: ვგონებ, ერთხელაც არ გვინადირია!

– რატომ, ჩემო ბრძენო ბუ?! მოვინადირე მთლად ერიდუ და...

– ნიმროდ, შენ დიდი მონადირე ხარ და დიდი მოისარი, სწორუპოვარი მშვილდოსანი! შენს ნატყორცნ ხელშუბსაც ვერაფერი და ვერავინ ვერ დაუმაგრდეს! და ჩვეული ნადირობისთვისაც ხომ უნდა მოიცალოს დიდმა მონადირემ?!

– ოო, რომ იცოდე, როგორ დამჭირდეს აწი ბრძნული რჩევები შენი, ჩემო ბრძენო ბუ?!

– ნიმროდ: მეც ხომ მონადირე ვარ შენებრ. სისხლმოწყურებული. ორივე: მე და შენ ღამით ვნადირობთ! თვითონ ბნელეთია შენი ბრძენი ბუ, ნიმროდ!

დასასრულ: მინდა დავეუფლო იმას, რასაც ვხედავ და შევიცნობ, მინდა სხვისას დავეპატრონო. სწორედ შენებრ ვფიქრობ და... მაგრამ შორს ფიქრი, განიშორე ფიქრი ყოველი და გათავისუფლდი (დიდი ფიქრისგან). მოითქვი სული, რომ შეიმართო საასპარეზოდ! ბრძენი ბუ გიხმობს შენ სანადიროდ! ნაშუაღამევს კი: სწორედ რომ ჟამი დგება ნადირობისა!

* * *

ნიმროდი აუწყებს იშთარს, რომ ხვალ, მზის ამოსვლამდე, უთენია იწყებს „იშთარის ტაძრის შენებას“, რომ თვითონ დადებს პირველ აგურს, რომელზედაც უნდა დაშენდეს დიდებული ტაძარი, ისეთი სწორედ, ქალღმერთ იშთარს რომ ეკადრება. ამბობდა ამას და ის სურათი ედგა თვალწინ, ამას წინათ რომ იხილა და აფორიაქდა. ზუსტად აღიდგინა მთელი ის საუბარი, ნოესა და ებერს შორის რომ გაიმართა, ხასიათი გამოუკეთდა. ნოეს ეს

ნათქვამი კი გაუმეორდა: „ებერ, ნიმროდი რომ იშთარის ტაძარს ააგებს, მაშინ შემოხვალ ბაბილონში და ლომების კარიბჭესთან შეხვდები ძლევამოსილ ნიმროდს!“

ნიმროდი ფიქრმა წაიღო: თითქოს ბურანში მიცურავდა და გზა მძიმე კარიბჭემ გადაუღობა (ფიქრში: დააკაკუნა კარზე და რომ აღარ განეღო, არც წყენია და არც გაუბრაზებია ამას: იფიქრეო. მოესმა გაგუდული ხმა: – უსმინე საკუთარ გულს)!

ნიმროდმაც მიაყურადა: გული უამბობდა:

„დილმუნის მიწა წმიდა იყო, დილმუნი უბიწო იყო: დილმუნი უბიწო იყო, დილმუნი ბრწყინვალე იყო.

ვიდრე დილმუნში მარტოდმარტო განისვენებდა, ადგილი იგი უბიწო იყო,

ადგილი იგი ბრწყინვალე იყო, დილმუნში ყორანი არ ყრანტალებდა, დილმუნში ყვავი არ ჩხაოდა,

ლომი არავის მოაკვდინებდა, მგელი ბატკანს არ გაიტაცებდა, ძაღლი რკინის გამგლეჯი არ უწყოდნენ,

დილმუნში ქვრივ-ობოლი არ იპოვებოდა, ძერა ცარგვალზე არ დაბრუნავდა, გუნდს მტრედებისას არ დაეცემოდა,

ავი თვალი „ავი თვალი ვარ“ არ იტყოდა. ბერიკაცი „ბერიკაცი ვარ,“ არ იტყოდა. მგალობელი არ შეიცხადებდა,

ქალაქის წიაღი არ გოდებდა...“

„აი, როგორი ბაბილონი მელანდება“ – იტყოდა გულში ნიმროდიც.

:

მთელ ერთ კვირას ეძინა ნიმროდს; ეძინა ბრძენ ბუსაც ეს ერთი კვირა. აღარც ბედის ბედაური გამოჩენილა. ცხელოდა როგორც არასდროს. გამოღვიძებულმა ნიმროდმა ამოთქვა: „ვნადირობდი ჩემს ბრძენ ბუსთან ერთადო“.

„მთელი ეს კვირა მხარზე ვეჯექი ჩემს ნიმროდსაო“, – გააზმორა ბრძენ ბუს და შეიფრთხიალა, მაგრამ აღარ აფრენილა.

„ასე არასოდეს ვუჭენებივარ ნიმროდს, ლამის სული გამძვრაო, – შესჭიხვინა სივრცეს ბედის ბედაურმაც.

ბინდდებოდა, მაგრამ ჯერაც არ შებინდებულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

„გისმენ წყალი...“ – ხმა დაედაბლებინა ევფრატის წყალს. ტალღამ კოჭებამდე აულოკა ნიმროდს ფეხები.

– რჩევა მინდა გკითხოო...

– ეს შენი კითხვა უკან მობრუნებულ ტალღას გამოატანეო...

ნიმროდმაც ჩაუთქვა და ტალღაც მთლად აქაფებული გაბრუნდა უკან.

– არ იცი, რა უყო იმ ქურუმებს, დილეგში რომ უკარი თავი და: აღარც ის იცი, ცდებოდი მაშინ, თუ ახლა ცდები, გათავისუფლებას რომ უპირებ ყველას? გული რას გეუბნება, ნიმროდ? არც გამტყუნებ და ვერ გისაყვედურბ იმისთვის, რაც ჩაიდინე, უამისოდაც არ შეიძლება, მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ ქურუმთა დასი დიდი ძალაა და უნდა აიძულო, გემსახუროს! შენი ქურუმები დიდი ცოდნითა და გამოცდილებით არიან შეიარაღებულნი და როცა ქვეყანა ამ რჩეული უმცირესობის გარეშე რჩება, უხერხემლო ჭიაყელას ემსგავსება. მისი გასრესაც ნებისმიერ ხერხემლიანს ეხელეწიფება. გასაცოდავდება ასეთი ქვეყანა. შენ მაშინ იქნები შორსმჭვრეტელი ხელისუფალი, თუკი ამ რჩეულ უმცირესობას ქვეყნის სამსახურში ჩააყენებ! მაგრამ ის, ვისაც შეუძლია გიმტროს, უნდა ამოიცნო, საჯაროდ გააროზგვინო და სამი დღის შემდეგ მისსავე ხალხს ჩააქოლვინო! ასე რომ, რჩეული უმცირესობა შენკენ უნდა მოაქციო და სიტყვა – ძალმოსილებაც შესძინო! ასე რომ, ყველგან შენი ერთგულნი გეგულებოდეს!

კიდევ ერთი ცნებაც: შენს ყოფილ ქურუმთუხუცესს მზეთუნახავი ასული ჰყავს. ამ ასულისთვის უფალს სილამაზესთან ერთად ჭკუაც მიუმადლებია. შენც იქორწინე ამ მზეთუნახავზე და ამით ერიდუს ერთ-ერთი უძლიერესი გვარის კეთილგანწყობასაც მოიპოვებ!

ამრიგად: ჯერ საშინაო საქმენი მოითავე და მერე: სამართალი რომ უნდა გააჩინო, ყველაზე უფრო შენ უნდა მოგეხსენებოდეს. მაგრამ ამასთან შორსმჭვრეტელობაც გმართებს! შორეთიც შენივე თვალსაწიერის ჩარჩოებში მოაქციო უნდა!

– გმადლობთ, წყალო დიდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ახლა კი ხომ უნდა მივხედო საქმეთა ჩემსას! – თქვა და ნამდინარდა, თანაც ცდილობდა, გაეფართოებინა თავისი სავალი გზა.

* * *

„არავინ შემაწუხოს! ხვალ თითქოს აღარც ვიყო!“ – ნიმროდი ბრძანებდა და სასახლეში რომ ერთი ხუთკუთხა ოთახი ეგულებოდა, იქ განუმარტოვდა თავს.

(ფიქრით): ევფრატში შეცურა, გავიდა მეორე ნაპირზე და ტიგროსისკენ მიაპყრო მზერა. მზემ თვალი მოსჭრა და მოიჩრდილა შუბლი: „დროა აქაურობაც გავითავისო, თორემ სხვა დამასწრებს (ფიქრითვე გადმოცურა ევფრატი და ფიქრდამძიმებულმა თავის ხუთკუთხა ოთახს მოაშურა: „სათითაოდ გავესაუბრები რჩეულ უმცირესობას...“ – გაუხმიანდა ფიქრი: – დაცვის უფროსი სად არის?! – მიმოიხედა ირგვლივ: – მგონი დროს ვკარგავ ამდენი ფიქრით, დასაკარგავი ფიქრი სად არის? დროც რომ არ იცდის?! – განუმარტა თავს და დაცვის უფროსიც გამოუჩნდა:

– ქურუმები ჩემი მტრები ვერ უნდა იყვნენ, ამიტომ ამოიყვანეთ დილეგიდან, თვითონ დილეგი კი მიწით ამოავსეთ! მიერთგულებენ და აღვაზევებ! არა და სასჯელიც თვითონ აირჩიონ! მინდა გავესაუბრო მათ! ახლა მზე შუბისტარზე დგას, ქურუმთუხუცესი უფროსი ქურუმია დღეიდან, ქურუმთ-ქურუმი კი მე ვიქნები – ნიმროდი! უფროსი ქურუმი ჩემი თანაშემწე და მარჯვენა ხელი უნდა იყოს. ეს ცნობა მთელ ერიდუში გასაჯაროვდეს! ნიმროდი ქვეყნის მეფეთ-მეფეა და ქურუმთ-ქურუმიც! გასაუბრების შემდეგ მისი ულამაზესი ასულიც მაახლეთ! გამიგია იმ მისანზე ყოფილა დანიშნული, მე რომ გამოვასალმე სიცოცხლეს!

ბრძანა და: სამი დღე სასახლეში თავის ხუთკუთხა ოთახში გამოიკეტა, ხმა აღარ ამოუღია. დუმილის დღეები თვითონ დაედგინა თავისთვის და სხვათათვისაც. ვერც ვერავინ შეაწუხებდა.

ბოლოს გამოფხიზლდასავით; დაუსტვინა: ბედის ბედაურიც მასთან გაჩნდა, ბრძენი ბუ კი სამოთხის ვაშლის ტოტზე შემომჯდარიყო და კისერი ნიმროდისკენ მიეღრიცა.

ბრძენი ბუ: „ტყის სიღრმეში სასწაული ქურციკი გამოჩნდეს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედის ბედაური: „ისე გავფრინდები, ფიქრზე უმალეს! ბრძენმა ბუმ დამასწრო? საბრალო ქურციკი! ამ საზიზღარმა ხომ დაუზიანა ეს ნაზი კანი?!“

ნიმროდი: „ისე ლამაზია, რომ... ისარი როგორ ვტყორცნო?! ვერა, ვერ მოვკლავ ამ მშვენიერებას! ნადირობა აღარ შედგება! თუმცა: ქურციკი სასახლის ეზოში მინდა მყავდეს!“

* * *

– ყველანი აქ მომგვარეთ! ოცდაცამეტივე! – ებრძანა დაცვის უფროსს და ის და მისი დაცვაც დახურულ დარბაზში არიან უკვე. დარბაზში ჩამოეშვათ მძიმე დარაბები, მაგრამ მაინც არ ბნელოდა. არავინ უწყოდა მოხუცი მსახურის გარდა, საიდან შემოდიოდა დარბაზში დღის სინათლე. სუნთქვაც ჭირდა: მაგრამ ჰაერს ვერსაიდანაც ვერ შემოეღწია ამ მართლაც საიდუმლოებით მოცულ დახურულ დარბაზში.

იდგა ნიმროდი შუა დარბაზში, აბჯარასხმული და მასთან შემოსულ ქურუმებს წიწილებივით ითვლიდა. ისინი მასთან შედარებით მართლაც წიწილებივით მოჩანდნენ: ნიმროდი ლამის ჭერს შესწვდენოდა თავით.

აღარ ჩამჯდარა ნიმროდი თავის სავარძელში, გვერდზე გასწია და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი აცახცახებულ უფროს ქურუმს: ფეხზე რომ უნდა მდგარიყო, ფეხზე უნდა მდგარიყვნენ ქურუმებიც, რომ მოჰკვეთოდათ მუხლები. უფროსი ქურუმი ხვდებოდა, რომ უკვე აღარც მოიაზრებოდა ქურუმთქურუმად და გულისფანცქალით ელოდა, როდის გაახმაურებდა ამ ცნობას ნიმროდი. ყველაზე მეტად იმაზე წყდებოდა გული, რომ ეს ცნობა არც ერთ ქურუმს არ დაწყვეტდა გულს.

ნიმროდმა მაღლა ასწია ხელი და ფიქრი შეიწყვიტა დარბაზმაც: – მინდა ყველამ გაიგონოს! – მისმა პირველივე სიტყვებმა ძრწოლა შემატა დარბაზში ჩამოწოლილ დუმილს. ზოგმა სუნთქვაც შეიწყვიტა. ნიმროდის დარბაზში ყოფნაც კი თავზარს სცემდა ყველას.

ნიმროდი აკვირდება ქურუმების სახეცვლილებას: „ეს რანაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ფერისცვალება შეძლებიათო“, და უფრო რიხიანად განაგრძო: – ბატონებო, იცოდეთ ყველამ, რომ არავისთან დაპირისპირებას არ ვფიქრობ. მე ერიდუში მშვიდობა მჭირდება! ჩემთან მტრობას არ გირჩევთ მაინც: ვერ მომერევით!

ამ დროს ერთი ქურუმი გამოეყო მთელ ამ ქურუმიანთას და წინ დაუდგა ნიმროდს: – პირდაპირ გეტყვით: მე თქვენი არ მეშინია და ჩემს სათქმელს შეუფარავად მოგახსენებთ. თქვენ რომ მშვიდობა გნებავთ ერიდუში და იქნებ მის ფარგლებს გარეთაც, სანაცვლოდ ამისა, რას მოითხოვთ ჩვენგან? გული გადაგვიხსენი, ნიმროდ! მაგრამ თუკი მორჩილ კრავებად გადაქცევას გვიპირებ, ეს აღარ გამოგივა!

– მორჩილება კრავებად გადაქცევასაც როდი ნიშნავს? მე ნუ დამემორჩილებით, მაგრამ დაემორჩილებით კანონს. მემსახურეთ, და ქვეყნის სამსახურად ჩაგეთვლებათ. არავის ვსჯი: ყველა თავ-თავის ადგილს დაუბრნუდებით. როგორც ქვეყნის ხელისუფალი, მეფეთ-მეფე თქვენგან მორჩილებას რომ ვითხოვ, არ მესმის, რატომ უნდა გაგკვირვებოდათ?! ეს პირველი: მაგრამ განაჩენიც არ გეგონოთ! როგორც ვხედავ, ჩემი წინადადება თქვენთვის მიუღებელი უნდა იყოს, მაშინ გადექით გვერდზე, სახელმწიფოს მშენებლობაში ნურავინ გადამეღობება. მაგრამ ერთი წუთით დაფიქრების უფლება მაინც მომიცია თქვენთვის!

– მე ვერ მივიღებ ამ თქვენს წუთს. მე თქვენი მორჩილი ვერ ვიქნები! – გაიმეორებს ის განდგომილი, დარწმუნებული იმაში, რომ ამ თავისი გულახდილობით განაჩენი თვითონვე გამოუტანა თავს.

– და შენ გგონია დაგსჯი ამ გულახდილობისთვის. იყავი შენთვის, სანამ არ მოგბეზრდებოდეს. შეიცვლი აზრს და ჩემი სასახლის კარი ღია იქნება შენთვის! ჰო, მართლა: თქვენ და გასაგონად, ქურუმნო! მე თქვენგან აწი ველარ მოვითმენ ჩემგან განსხვავებულად ფიქრსაც კი! თქვენი ფიქრების წაკითხვა კი გამოგიტყდებით, და ადვილად შემიძლია. ყოფილი ქურუმთუხუცესი დარბაზში რჩება, დანარჩენები თავისუფალი ხართ, ერიც და ბერიც თავისუფალია, მოიქცეს ისე, როგორც მოესურვება. მე არ ვზღუდავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრს, შენ კი – თითი ყოფილი ქურუმთუხუცესისკენ გაიშვირა: – ვფიქრობ, დაგტოვო ჩემს თანაშემწედ, გინდა – მოადგილედ, და თუკი ჩემს კეთილმოსურნეთა დასში მოიაზრებ თავს, უფროსი ქურუმი ხდებით. მე თქვენ მეიმედებით. გახსოვდეთ: თქვენი მომავალი თქვენზევეა დამოკიდებული! ეს ყველას გასაგონად მითქვამს. უფროსი ქურუმის თანამდებობა სიკვდილამდე როდი დამიწესებია. მისი მოპოვება ნებისმიერს შეუძლია. მინდა ვირწმუნო, რომ სიმშვიდეს არავინ დამირღვევს! მე ჰაერივით მჭირდება მშვიდობა! ყველას თავისი თვალსაწიერი აქვს. ამომიდექით ამ თვალსაწიერით და ერთად ავაშენოთ ქვეყანა – ბაბილონი! – კვერთხი იატაკს მთელი ძალით დაჰკრა: – მე უკვე ვბრძანე! – მეორედაც დაჰკრა იატაკს კვერთხი.

– ჩვენ მარტონი ვართ, უფროსო ქურუმო!

– გისმენთ, ქურუმთ-ქურუმო და ქვეყნის მბრძანებელო... – წელში მოიხარა უფროსი ქურუმი.

– მოგიწევთ თქვენი ნათქვამის კარგად გააზრება. გამიხარდება, თუკი ამ წინადადებას გამართავთ ისე, რომ მე აღარ დამჭირდეს მისი შესწორება. ამაღლდებით მაშინ ჩემს თვალში.... იქნებ ჩემი ნდობით აღჭურვილი პირიც კი გახდეთ!

– ქვეყნის მეფეთ-მეფევ და ქურუმთ-ქურუმო... თუმცა ამაზეც ვერ შევჩერდები: მოწყალეო ხელმწიფევ...

– ესეც ასე და კიდევ: შენი მშვენიერი ასულის ჩამოსაყვანად უკვე გავგზავნე ოთხცხენიანი ეტლი მარის ქვეყანაში. სანადირო და არა საბრძოლო ეტლი... ხომ არ შევმცდარვარ, უფროსო ქურუმო?

– მაგრამ მეძლევა კი იმის უფლება, კითხვითვე მოგმართოთ?

– ბრძანე, უფროსო ქურუმო! ვიცი, რაც უნდა მკითხო და პასუხიც მზადა მაქვს შენთვის, თქვენი ასული რეა ძალიან მჭირდება იშთარის ტაძარში... ამიტომ მისი ერიდუში ყოფნა აუცილებელია! შენთვის კი ერთი კვირა მომიცია, რომ ერიდუში მიმდინარე მოვლენებში კარგად გაერკვე. ქურუმების დასაქმება შენთვის მომინდვია. შენ თითოეულ მათგანს, როგორც ჩვენში იტყვიან, მოხარშულს იცნობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– შეგიძლიათ მენდოთ ქვეყნის მეფეთ-მეფევ და ქურუმთ-ქურუმო, მოწყალეო ხელმწიფევ...

– შეგიძლია წახვიდე! სხვანაირადაც ნუ იფიქრებ, უფროსო ქურუმო! ჰო, მინდა ცნობები მომაწოდო ქურუმებზე. მინდა ვიცოდე: რა შეგიძლია და რა არ შეგიძლია?! კანონთა კრებულის შედგენას ვაპირებ!

– ამას დრო უნდა.

– შენ მონაცემები მომაწოდე, კანონთა კრებულსაც ამ ცნობებზე დაყრდნობით შევადგენ! შეგიძლია დაიქირავო სწავლულნი და მწიგნობარ-მკვლევარები, ვარსკვლავთმრიცხველნიც ხომ მოიძევებიან ქალდეველებში?! შენც ქალდეველი უნდა იყო...

– ყველა ქურუმი ქალდეველია, ქვეყნის მეფეთ-მეფევ და ქურუმთ-ქურუმო, მოწყალეო ხელმწიფევ...

– თუკი ვერ შეძლებ, ახლავე თქვი! გულწრფელობისთვის არავის ვსჯი! ახლა ბრძანებაც ისმინე!

უფროსი ქურუმი წელში გასწორდა და დანანებით გაიფიქრა: „მაინც რამხელაა?! ლამის ჩვენი კედარის ხელა, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, იმ კედარივით უკარება იყოს...“

– მერე იმ კედარზეც მომახსენებდე, უფროსო ქურუმო! ჰო: ბრძანება ჩემიც: – დაუყოვნებლივ შეწყდეს არაფრის კეთება!

ასევე ებრძანა სრულიად ერიდუსაც. ბრძანება ნიმროდმა ერიდუს შემოსასვლელში, განივი ქვის კედელზეც ამოაკვეთინა.

ესეც არ იკმარა ნიმროდმა და მთელი კანონთა კრებული თიხის ფირფიტებზე ამოაკვეთინა და ყოველი ქუჩის დასაწყიში აღმართულ საცნობარო დაფებზე განალაგებინა.

* * *

ვერაფერიც ვერ მოინადირა დღეს; ცუდ ფეხზე თუ იყო ამდგარი? უგუნებოდ გამოიყურებოდა მისი ბედის ბედაურიც. ბრძენი ბუ ხომ მთელი ეს კვირაა, კანკალს აეტანა, ვერაფრით გამომჯობინებულიყო. არავინ იცოდა როდის მოიხედავდა. მისანმაც ვერაფერი გააწყო ამ უცნობ სენთან და ნიმროდმაც დაითხოვა იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაძაგძაგა ნიმროდს და მზეს ახედა. თითქოს სიმხურვალე დაკარგოდესო და გულიც ლამის შეწუხებოდა: – უკვე ჩადიხარ, მზეო? შენ რომ დღევანდელი მოვალეობა შეუსრულებელი დაგრჩა? ნუთუ შენც შეგეყარა ეს მოურჩენელი სენი? თითქოს რიტმიდან იყო ამოვარდნილი, დროს ჩამორჩი, თუ გაუსწარი? დროიდან ამოვარდნილი ხომ იგივეა, რაც უსასრულობაში გადავარდნილი პურის კაკალი? გთხოვ, ნუ ჩახვალ, ერთ წუთს მაინც შეიცადე, ამით ხომ არავის არაფერიც არ დაუშავდეს!

– ასე რომ ფიქრობ, ნიმროდ, ეს ცუდია, ესეც ცოდვასავითაა: ერთი წუთით ჩამორჩენა თუ გასწრება განა კატასტროფას არ გამოიწვევს სამყაროში? ხომ არ აჭარბებ, ნიმროდ? მართლა ხომ არ მოგერია ეს უჩვეულო სენი?! დღეს მართლა მოგეცარა ხელი და მეც რომ შენსავით არ მომეცაროს ხელი, ნურაფერს მთხოვ. ჩემი დღევანდელი მოგზაურობის ციკლი არ უნდა დაირღვეს!

– მაგრამ მე რატომ მომეცარა ხელი?

– იმიტომ, რომ წამოდგომა ვეღარ დამასწარი დღეს, ამით კი მე უფრო დამიშავდა, ვიდრე შენ...

– ვერ დაგასწარი და მერე რა მოხდა?

– ორივეს დაგვიშავდა, შენ ხომ უბრალო მოკვდავიც არ ხარ?! ერთხელ დადგენილი წესი დაარვიე და ამოვარდი რიტმიდან, ამით სამყაროს რიტმიც დაირღვა! და აქეთ მთხოვ, მეც შევცოდო? არა, ნიმროდ, თხოვნას ვერ შეგისრულებ, ვის, ვის უნდა მოვპარო ეს წუთი, მერე და ეს დაკარგული როგორღა ამინაზღაურდეს?!

განრისხებულმა ნიმროდმა მშვილდი მოზიდა და მისი ისარიც მზისკენ გაფრინდა. მაგრამ წამი და მზეც აღარსად იყო.

ეს უკვე მეორედ დააცილა ნიმროდმა მიზანს.

გაწყრა ნიმროდი, მზემ დააღალატა, რომელსაც ღმერთად მიიჩნევდა. გაშმაგებულმა თავის ბედის ბედაურს მათრახი გადაუჭირა და ბედაურიც აღარ დაემორჩილა თავისი მხედრის ბრძანებას: – ეს მეორედ გამამათრახე, ნიმროდ, მესამედ აღარ გაპატიებ და დაგეკარგები. ახლა კი ორივენი დავმშვიდდეთ. თვითონ განსაჯე, ნიმროდ: შენ ისეთი რამ შესთხოვე მზეს, მზეც ნულარ ხარ, ნულარ იმზევებო! აბა, როგორ წარმოგიდგენია: ნიმრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ნიმროდიც ვეღარ იყოს?! მზეს თავისი მისია აქვს: იგიც ხომ მსახურია, მოძრაობს ერთ დადგენილ რიტმში და შობს სიცოცხლეს!

ახლა თავის თავს გაუწყრა ნიმროდი. აღარც კი ახსოვს, როგორ დაბრუნდა სასახლეში. აჯანყებოდა ყველასა და ყველაფერს. რომ შეძლებოდა, დაამხობდა სამყაროს და უარყოფდა სიცოცხლეს. ვერ იყო ამის შემძლე და დაწყევლა თავისი გაჩენის დღე!

სწორედაც იმიტომ ვერ დამშვიდებულიყო, რომ შეიგრძნო თავისი სისუსტე, რომ ვერ იყო ყოვლისშემძლე და ვერც ვერაფერს ხედავდა და აღიქვამდა. მისთვის ისიც გაცხადებულიყო, რომ ყოვლისმომცველიც ვეღარ იყო და ატირებასაც აღარაფერი უკლდა.

უფალი ღმერთის ცაბაოთის ჯავრი სჭირდა და როცა ასე თუ ისე, გონს მოეგო, მუშტი მოუღერა მზეს. იელვა მაშინ მზემ და თვალი მოსჭრა ნიმროდს: მაგრამ არც ახლა შეიტეხა: გასწორდა მხრებში და იგრძნო, რომ იზრდებოდა, სადაცაა ზეცასაც შეწვდებოდა თავით და უფლის ელვას თვალი გაუსწორა: – შენ მოიძულე ერთხელ ადამიანები და წარღვნა მოუვლინე მათ. არავინ უწყის, რამდენის სიცოცხლე შეიწირე მაშინ. მე ვერ გაპატიებ ამას. ჩვენი დაზავება შეუძლებელია. ვაღიარებ, რომ ახლა ვერ მოგწვდები, მაგრამ დრო მჭირდება, რომ ავმაღლდე და შემოგწვდე! ხალხს აგიჯანყებ და დავამხობ შენს მეუფებას! მე ომს გიცხადებ, ცაბაოთ!

* * *

ევფრატის მონახულება სახვალიოდ გადადო. ჩაიკეტა თავის ფიქრის ოთახში და მსახურს უხმო.

– შებინდებამდე არავინ შემაწუხოს! თუკი დამჭირდი, თვითონ გიხმობ! მაშინ გებრძანება.

და მსახურმაც თითქოს და შეთამამებულმაც, სანამ „გაქრიო“ ებრძანებოდა, იკითხა: – სად არისო, თქვენზე რომ იკითხოს ვინმემ, რა ვუპასუხო, მოწყალეო ხელმწიფევ?

ნიმროდმა ძლივს შეიმაგრა ღიმილი და განგებ მოიღუშა: –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაზე მომაცდინე?! – თვალები აიმღვრია და ხმადაბლა თქვა: – ყველა ღონე იხმარე, რომ კითხვა ვეღარ დაგისვან!

\ამის თქმა და მსახურიც აღარსად იყო. ნიმროდიც ფიქრმა წაიღო.

„მე დამხმარე ვარსკვლავთმრიცხველი მჭირდება!

რა ხანია ჩაფიქრებული ჰქონდა, შეედგინა ჩემი ბედის წიგნი. მაგრამ ვინ შემატყობინებს ჩემი დაბადების ზუსტ თარიღს? თვითონვე ხომ არ დამედგინა?!

* * *

ჰოდა, ფიქრობდა: ცდილობდა გაეხსენებინა წარსული, ვინ იყო, სადაური, რისთვის იყო მოწოდებული, მაგრამ ამაოდ, ისღა ახსენდება და თვალწინ უდგას, რომ ამოდიოდა წყლიდან, მაგრამ ეს წყალი ევფრატიც არ უნდა ყოფილიყო, არც – ტიგროსი.

დაუსრულდა ფიქრი და ვარსკვლავთმრიცხველიც გამოეცხადა.

– ჩემს თვალწინ შეადგენ ჩემს ბედის წიგნს, ხვალ მზის ჩასვლამდე!

– მაგრამ საამისოდ უნდა ვიცოდე შენი დაბადების წელი, თვე და რიცხვი.

– ხომ ჩამხედე თვალებში? ხომ ამოიკითხე და საკმარისია! თავისუფალი ხარ ხვალ მზის ამოსვლამდე! – ბრძანა და ზარს შემოჰკრა, მსახურიც ფეთიანივით შემოიჭრა და ვარსკვლავთმრიცხველს თვალით ანიშნა, გამომყევიო.

ნიმროდი ისევ მარტო რჩება და ფიქრებს მიეცემა: „რატომ, ვინ გადამიშალა წარსული? სად არის დამარხული ძაღლის თავი? ძაღლი ვინ მოკლა და რატომ? ნუთუ ცაბაოთმა ჩაიდინა ეს, რაში დაჭირდა? ვინ ამომიგმანა სასმენელნი, დამივსო თვალები და წამართვა მეხსიერებაც! ისეთი მაინც რა დავუშავე, რომ დანაშაულის გამოსწორების უფლებაც აღარ მომცა! მარტო აწყმოთი როგორ ვიარსებო?! აწმყო გამიმარადისდა?! ჩემი წუთი საამწუთისოფლო მეტისმეტად ხომ არ გამიხანგრძლივეს?!

იელვა ამ დროს და: შეაჟრჟოლა ნიმროდს: ღმერთი თუ დასცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდა და ფერი წაუვიდა: „ღმერთი დამცინის?! – გაბრუებულმა გაიარ-გამოიარა თავის ფიქრის ოთახში. რა გზას დადგომოდა? აღარ იცოდა! თითქოს: მოჭრილი ჰქონოდა ყველა გზა: „მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მჭირს...“ – მისი ფიქრი ამაზე შორს ვერ წავიდოდა: – ასეა ხომ?

ისევ იელვა საპასუხოდ და მძიმე დუმილიც ჩამოწვა.

– ნიმროდ, მე არასოდეს გიპასუხებ! – ჩამოსძახეს მაღლიდან: – ომი გამოგიცხადებია ჩემთვის? რა სასაცილოა ეს ყველაფერი?! ვის ებრძვი, თუ იცი? ამას რომ აცნობიერებდე...

– მე ვარსებობ!

– თუკი შენს არსებობას შეიძლება არსებობა ეწოდოს?! ამაოდ დაშვრები, ნიმროდ! – იელვა თვალისმომჭრელად და ნათება იგი აღარ შემწყდარა დიდხანს. ნიმროდმა ჩაქუფრულ ზეცას მუშტი მოუღერა.

– ვერასოდეს დამიმორჩილებ!

– არც მიფიქრია დამემორიჩლებინე! შენ ხომ არარა ხარ, არავინ!

– მე დაგიმტკიცებ, რომ ახლაც ცდები! მე ადამ-იანი ვარ (რატომღაც ასე დამარცვლა სიტყვა „ადამიანი“).

– ვინ იცის, ადამ-იანო?! – უზეშთაესმაც ნიმროდისებურად დამარცვლა სიტყვა „ადამიანი“: – მე მებრძვი? ეს იგივეა, საკუთარ თავს ებრძოდე! შენ ხომ დროის ტყვე ხარ, თვითონ დრო კი თვალია ჩემი მოდარაჯე! დროს არასოდეს ძინავს და როგორ გამოგეღვიძოს?! რომ გამოიღვიძო, ხომ უნდა გეძინოს? ძილი კი გამორიცხულია დროისათვის!

– შენი ფილოსოფიისა ვერაფერი გავიგე! ადამიანი ასე ვერ იაზროვნებს. ეს: უფრო ღვთაებრივი ბოდვაა და: მე ჩემი თვალსაწიერი მაქვს და სულაც არ მენაღვლება, ვიქნები იმ შენს ე.წ. თვალსაწიერში, თუ ველარ ვიქნები.

– მართალი ვიყავი, როცა ვფიქრობდი, რომ შენი გამოსწორება არ შეიძლებოდა და სწორად მოვიქეცი (აქ ფიქრიც შენიღბა, ნიმროდს რომ არ წაეკითხა: „სწორადაც მოვქცეულვარ, რომ გამოგაძევე სამოთხიდან. სამოთხიდან გაძევება კი იგივეა, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი თვალსაწიერიდან და უფრო გონსაწიერიდანაც (გაძევებასაც ნიშნავს) მაინტერესებს, როგორ მოიქცევი აწი? ნიმროდობაო... ნიმროდის თვალსაწიერი იქნება აწი შენი გონსაწიერიც. ნიმროდზე მეტიც შენ ვეღარ დარჩე!

– მე ჩარჩოებს ვერ ავიტან, დავამსხვრევ შენს თვალწინ ამ ჩარჩოებს და... დაგიმტკიცებ, რომ მე ადამიანზე მეტი ვარ!

– მე კი გეუბნები, რომ შენთვის ყველაზე დიდი ნიმროდის წოდებაა და თავად ნიმროდობა!

– ვინც არ უნდა ვიყო, ომის გიცხადებ შენ. შენ ღმერთიც აღარ ხარ ჩემთვის!

– ნიმროდ, გონს მოდი: მებრძოლო მე, ნიშნავს ებრძოდე საკუთარ თავს. შენ დროის მიღმა დარჩენილხარ. დროს შენთან აღარაფერი ესაქმება!

– თუკი მართლა ასეა, მაშინ დროის გარეშეც იოლას გავალ. შენ კი მართლა აღარ მჭირდები!

– კეთილი, მოვილარპარაკეთ და ერთი-მეორესაც ნუღარ შევაწუხებთ აწი!

– მაგრამ გპირდები, ცაბაოთ: ამოვმაღლდები მე შენამდე ადამ-იანი და: გაგისწორდები!

– მეც დაგელოდები, ადამ-იანო! (გულში: ერთხელაც არ დაფიქრებულა, თუ რატომ მივმართავ „ადამ-იანოო?!“ აზრზე არაა, რომ ადამია და...)

* * *

შებინდებულიყო... მსახური გამოცხადებოდა:

– მეფეთ-მეფეო და ქურუმთ-ქურუმო... მოწყალეო ხელმწიფევ... – თავს შეახსენებს მსახური ნიმროდს.

– შენ?! – გადაიხარხარა ნიმროდმა: – შენ?! გრძნეული სული მჭირდება ახლა! ჰოდა, მსახურო ჩემო, გრძნეულ სულს მიხმე!

– ეშმაკს ვუხმო, მოწყალეო ხელმწიფევ? ქურუმთქურუმო და სხვანო და სხვანო... – ენა დაება მსახურს.

– ეშმაკს მიხმე... უნდა შევეკრა ეშმაკს, რომ.... – სითქმელი შეგნებულად არ დაამთავრა, სრულად აღარ გაახმიანა ფიქრი. –

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი დახუჭა იმ ვარაუდით, რომ გაახელდა და მსახურიც აღარ იქნებოდა მის სიახლოვეს. გაახილა თვალი და მსახური მართლაც აღარ იყო ფიქრის ოთახში. მაგრამ რასაც სარკმელთან მოჰკრა თვალი, შეძრა იმან. დიდი, შავი ღრუბელი უახლოვდებოდა ერიდუს, ბაბილონის გულს. ევფრატიდან დაძრულიყო იგი ღრუბელი.

„ბაბილონის გული – ერიდუ – ევფრატის უბანი არ შეურჩევია იმ ღმერთძაღლ ცაბაოთს! შემაძრწუნოს უნდა! არა, ბატონო ცაბაოთ, შენ ვეღარ შეაშინებ ნიმროდს – ქამის შვილიშვილს! იცი კი ვინ არის ქამი?! ქანაანის მამამთავარი! ქამი... ძმებს შორის უმცროსი, გაშიშვლებული მთვრალი მამა რომ იხილა, თვითონ ნოე, პატრიარქი თავისი ხალხის და ამხილა თავისი უფროსი ძმების წინაშე... ჰოდა, ამისათვის დაგმო მამამ, დიდმა ნოემ თავისი შვილი ქამი და მისი გვარ-ტომი! რასაკვირველია, ცაბაოთის ნებართვით: „წყეულიმც იყოს ქანაანიო... ქამი... მამაჩემი ქანაანის მამათავარი?! ქამი იყოს მსახურთა მსახური თავისი ძმებისთვისო – სემისთვის და იაფეტისთვის...!“

და ასეც ითქვა: კურთხეულია უფალი, ღმერთი სემისა და იყოს ქანაანი მისი მსახური! და განავრცოს უფალმა იაფეტი და დაამკვიდროს სემის კარვებში. და იყოს ქანაანი მისი მსახური...

და რატომ უნდა ვისჯებოდეთ ჩვენ – ქამის მთელი მოდგმა?! და მე – ნიმროდი ვფიცავ: რომ გადავხედო მთელ იმ შენს დანაშაულებრივ განჩინებებს და გამოვასწორო შენს მიერ დაშვებული შეცდომები! ასე რომ, თვითონ ცოდვილი სამართლიანობაზე ლაპარაკობდე და განსჯიდე, თავისთავად ცოდვაა გამოუსწორებელი! სცოდავ, ცაბაოთ, ყოველ ნაბიჯზე. ამდენის უფლებას ვეღარ მოგცემ! მე ვარ ის, ვინც უნდა აღადგინოს სამართალი. ყოველგან მოგწვდები, სადაც არ უნდა იყო!

დაასრულა ნიმროდმა და ფიქრებში მთელი არსით გადაეშვა.

* * *

„ერთი ნოეს სულშიც ჩავიხედო“, – ეს უკვე კი აღარ გაიფიქრა, ხმამაღლა თქვა, ფიქრი გაახმიანა განგებ და ბიბლიოთეკარს ნოეს ბედის წიგნი მოატანინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხულობს თიხის ფირფიტაზე აღბეჭდილ ნოეს ამბავს და გაკვირვებასაა: – სწორედ იმდენი უცოცხლია, რამდენიც ბედის წიგნშია ნაწინასწარმეტყველები. საოცარია! წინასწარმეტყველებების ნაკლებად მჯეროდა, მაგრამ ახლა სხვანაირადაც შემიძლია ვიფიქრო! ყველაფერია ცნობილი სემზე, იაფეტსა და ქამზე, აგერ ნიმროდის ბედის წიგნიც შეუდგენიათ: იცოცხლა ერთი სიცოცხლე – ოცდაშვიდი წელი და მიეცა მეორე სიცოცხლეცო. ეს როგორ? პირველი სიცოცხლე და მიეცა მეორე სიცოცხლეცო... კითხვის ნიშანი დაუსვამთ აქ და რას უნდა ნიშნავდეს ეს კითხვის ნიშანი? არაფერს მეუბნება?! და ასე რომ: მე ნიროდი ვარ და ბაბილონი იქნება ჩემი შემოქმედება, აი ჩემი მისიაც! ბაბილონის დიდი ქვეყანა, ბაბილონი ამოავსებს შუამდინარეთს, იგი გადაიჭიმება ტიგროსიდან ევფრატამდე! მე განვავრცობ შინყარის ქვეყანას. დღეს ჩემს განმგებლობაშია ციდონიდან გერარის მიმართულებით არსებული სივრცე ღაზამდე, მაგრამ ჯერ ეს ქვეყანაც კი ვერ დამიმორჩილებია! მერე: სოდომის, გომორის, ალმას, ცებოიმის მიმართულებით ლაყაშამდეა ქანაანელთა საზღვრები, მაგრამ დავიმორჩილებ, ვფიცავ ქუშის სახელს! ახლა: თვალი მინდა გავუსწორო სინამდვილეს. ჩემი სამეფოს დასაბამია ჯერჯერობით მხოლოდ ბაბილონი, ერექი, ქალნუ, შინყარის ქვეყანაში, და რა მწირია ჯერ ჩემი სამეფო?! ჩემი თვალსაწიერიც კი ვერ ამოუვსია! მაგრამ მე ჩემი გონსაწიერიც რომ მაქვს?! თვალი ხომ ხარბია ჩემი, მაგრამ გონი ჩემი უფრო შორია და შორსმჭვრეტელიც. და რატომ არ ვმოქმედებ, რომ აღვასრულო ჩემი ღვთაებრივი მისია?! ნიმროდ, დროა შეიმართო! ვერა, ვერ ჩავეტევი მე ჩემს კანში! ისეთი რამ უნდა ჩავიდინო, თვითონვე დავრჩე გაკვირვებული, ნიმროდ, შემართე მახვილი! სისხლი, უნდა გწყუროდეს, სისხლი!

წამოდგა და ივსებოდესო თითქოს: ვიზრდებოდე... და ყოვლისშემძლე ვხდებოდე... ფიქრის დრო დასრულდა, დადგა ჟამი მოქმედების, ჟამი აღმასვლის!

უპირველესად: ჩემი თვალსაწიერიდან ამოსაშლელნი არიან ყოვლისმქონენი. მე მყავს ხუთი მფრინავი ათასეული, მაგრამ

ეს ჯარიც არაა. საბრძოლო ეტლებია შესაძენი. ამაში შუმერული ჩანაწერები დამეხმარება, საამისოდ უნდა გავხსნა სამჭედლოები, ხალიბი მეფოლადენი მყავს ჩამოსაყვანი, ყველა სრულწლოვანი მამაკაცი, ვისაც კი შეუსრულდება ჩვიდმეტი წელი, ვალდებულია იარაღით ხელში ემსახუროს მამულს! სამსახურის ვადებს მე დავადგენ!

ახლა: სკოლებიც! საძრახისს ვერ ვხედავ იმაში, შუმერებს თუკი მივბაძავთ ამ მხრივ! გამოვიყენოთ მათი გამოცდილება! დავაარსოთ სკოლები (შუმერული) სწავლება, როგორც შუმერში იყო: ოთხწლედი!

მაშინვე იხმო მწერალი და თავისი ნაფიქრალი თიხის ფირფიტაზე გადაატანინა. მერე თითქოს გონება გაუნათდაო, უბრძანა მწერალს: – ნიჭიერთათვის დაგვჭირდება უმაღლესი სასწავლებლები. ახალი ფირფიტაც, მწერალო! ეს ფირფიტა დაეთმოს სამართალსა და სასამართლოს! ჩემი კანონთა კრებულიდან ამოიღებ იმ მუხლებსა და ქვეთავებს, რომლებიც სამართალსა და სასამართლოს ეხება.

მეორე თავი დაეთმობა მიწისა და მიწათმფლობელობის საკითხებს. მიწა გამოცხადდება სახელმწიფო საკუთრებად. დიდი ყურადღებით მოვეკიდებით ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას!

ხვალ უთენია ჩემი ახალი კანონების შესახებ აუწყეთ ხალხს! ხალხმა უნდა იცოდეს, რას ფიქრობს მათი მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი! ხალხის მხარდაჭერის იმედი მაქვს! ახლა კი მომიყვანეთ უფროსი ქურუმი! მინდა უფროს ქურუმს, თავისი მშვენიერი ასულიც ახლდეს თან!

მსახურმა ამჯერად ბრძანებასაც კი დაასწრო და წამივით გაქრა. ნიმროდმა მისი გამოჩენის მოლოდინში დახუჭა თვალი. გადის წამი, მაგრამ ნიმროდი თვალს აღარ ახელს, გადის მეორე წამიც და არც ახლა გაახელს თვალს, თითქოს ეშინოდეს, რომ დავალება ვერ შეასრულოს მისმა სწრაფმავალმა მსახურმა: ყველა საქმის აღსრულებას დრო სჭირდება, მსახურმა კი დროის ფასი ძალიან კარგად იცის. მეც ვაცლი “, – თვითონაც არ იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რატომ უნდა დაენდო მსახური. და ნიმროდზე მეტად აბა, ვის უნდა სცოდნოდა ამ მართლა საოცარი მსახურის ფასი?!

თავის ბედის ბედაურს უხმო და მისი ჭიხვინიც ესმა. ქვევით, სასახლის ეზოში ბედის ბედაური მიწას გამეტებით სცემდა თავის უზარმაზარ რკინის ფლოქვებს.

ნიმროდი ზურგზე მოევლო თავის ბედის ბედაურს, ხოლო ბრძენი ბუ სივრცეს გამეტებით მოაპობდა ამ დროს: თვალები ჩასისხლიანებოდა, წამიც და ნიმროდის მხარზე მოიკალათებს ისიც.

მხედარმაც დასჭყივლა თავის ბედაურს და დიდი გალავანიც, გარს რომ აკრავდა ნიმროდისეულ სასახლეს, უკან დარჩა.

კედარის ტყე დიდის ამბით მოელოდა ნიმროდს – დიდ მონადირეს წინაშე უფლისა ღვთისა...

* * *

ეს ის დრო იყო, როცა შუბის ტარზე შემდგარი მზე კარგავს თავის ჩრდილს და მსახურსაც ნება ეძლეოდა სასახლესა და სასახლის გარეთ მიმდინარე მოვლენებზე მოეხსენებინა ნიმროდისთვის.

ნიმროდმა ძირს დაიხედა და კმაყოფილებით ჩაიღიმა, მაღლა აიღო თავი და თვალი გაუსწორა მზეს: „ახლა არც შენ გაქვს ჩრდილი და მე რომ არ მქონდეს, გასაკვირიც არ უნდა იყოს. არც ერთს არ გაგვაჩნია ჩრდილი, მაგრამ უჩრდილოდაც უხერხულად როდი ვგრძნობთ თავს. შენ სივრცეს დაპატრონებიხარ, მე კი მიწას მინდა დავეპატრონო. ამის საწინააღმდეგო რა უნდა გქონდეს, ჩვენ ხომ ერთ ბედქვეშ მყოფი მნათობები ვართ?!

მოეჩვენა, თითქოს მზეც უკრავდესო თავს და ღიმილი ვეღარ შეიკავა: – მსახურო! გამოფხიზლდი! რა უნდა მოგეხსენებია?

– მოწყალეო უფალო...

ნიმროდი გულში გაივლებს: „სულ მალე ეს კაცუნაც კი დაიბრუნებს ჩრდილს, ჩრდილს დაიბურნებს მზეც, ყოველი სულიერი თუ უსულო. არც ერთი არ დარჩება ურჩდილოდ...“ – მუშტები შეეკრა ანაზდად და ხმამაღლა გაეცინა, ასევე ანაზდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიფიქრა: „უნდა შემეძლოს მწარე ფიქრების მონელება! ყოველ-გვარი ტკივილის გაუვნებელყოფა... სულში ქარიშხალიც რომ ამ-ომივარდეს, ჩემშივე უნდა ჩაცხრეს! მე საკუთარი თავის ბატონი უნდა ვიყო..“

– მეფეთ-მეფეო და ქურუმთქურუმო... მოწყალეო ხელმწიფევ, უფროსი ქურუმი გეახლათ...

ნიმროდი ფიქრებში ჩაიძირა. მსახურიც ელოდა, თვალს როდის დახუჭავდა ნიმროდი, რომ გამქრალიყო და თვალის გახელამდე უფროსი ქურუმის თანხლებით აქ რომ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, უკვე გადაავიწყდა ნიმროდს თავისი მსახური. მსახურიც სა-გონებელში ჩავარდნილიყო: „არ შევახსენებ თავს და მხრებზეც არ შემრჩება ეს თავი, ფიქრებს შევაწყვეტინებ და ამ შემთხვევა-შიც ვერ გადავურჩები სიკვდილს... მე რომ ჭკუა მქონოდა...“ – თავი და ბოლო ვეღარ მოაბა ფიქრს და სასოწარკვეთილმა გაას-ავსავა ხელები.

– მსახურო, შენ კიდევ აქ ხარ, მე კი მოსული მეგონე უკვე! უფ-როს ქურუმს რატომ ვერ ვხედავ?! – ახლა კი გამოერკვა ნიმროდი ფიქრებიდან, როგორღაც შეებრალა მსახური: – თვალები ხომ არ დავხუჭო, მსახურო?... ფიქრები აღარ დამირღვიე? იქნებ სწორად მოიქეცი?! მიდი, მომიყვანე უფროსი ქურუმი!

„მგონი თვალის დახუჭვას არც ახლა ფიქრობს...“ – საგონებ-ელში ჩავარდნილიყო მსახური, მაგრამ ბედად ძილი მოერია ნიმ-როდს და მსახურიც გავარდა გარეთ.

ნიმროდი თვალდახუჭული განაგრძობდა ფიქრს. როგორც იქნა, თავი დააღწია ფიქრებს. თვალი გაახილა და თვალი საცოდა-ვად ატუზულ მსახურს მოჰკრა, უფროსი ქურუმი მუხლს იყრიდა ნიმროდის წინაშე. გვერდით თავისი მშვენიერი ასული ედგა, თვა-ლი რომ ვერ მოეცილებინა ნიმროდისთვის. იდგა ამაყი და შეუვა-ლი, თვალებწამონთებული და სახეალანძული ასული – მზისებრ გაბრწყინებული და ნიმროდსაც გაუელვა: „ჩემი საფერი... ნეტა რა ფერის თვალები უნდა ჰქონდეს?!“ - თვალები მოწკურა და: „თვალები ევფრატივით ლურჯი და ამ თვალებში ჩემი მზე ჩად-გომია! იქვე – უფროსი ქურუმიც!“ – და ისე შებრუნდა უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურუმისგან, რომ მისი მშვენიერი ასულის გარდა თვალში არავინ მოხვედროდა: „აი, ვის მოველი, რაც თავი მახსოვს...“

„ეს კაცი და კაცზეც მეტი... ამაღლებული კაცზე, თვითონ ზეკაცი! ჩემი საფერი, მომავალი ჩემი მეუღლე... მე მას სიმშვიდეს მოვგვრი და: ცად რომ ამაღლდეს, არც უნდა გამიკვირდეს..“ – ფიქრებს წაეღო მშვენიერი ასულიც, მაგრამ ფიქრს როდი მორჩილდება?! ფიქრი გამხდარიყო მისი უსიტყვო მორჩილი!

„ჩემი დედოფალი და მომავალი ქალღმერთი... ქალღმერთი რეა, ჩემი თანამეცხედრე და... სწორფერი მეუღლე!“ – ფიქრის დამორჩილებას ფიქრობდა ნიმროდი – ფიქრის მწურთვნელი.

„ჩემი ღმერთი-ნიმროდი! ნიმროდი მზეა და ბრწყინავს. ზეკაცი!“

კუთხეში მიყუჟულ უფროს ქურუმს დაბლაგვებოდა ფიქრი და როდის შეუწყდა, თვითონაც აღარ უწყოდა უკვე. მერე უცებ: კარებისკენ შებრუნდა, იქ კარიც ღია დახვდა და ზღურბლსაც გადააბიჯა.

ნიმროდი შეჰყურებდა რეას და თვალი ვერ მოეწყვიტა მისთვის. ამოშლილიყო მისი თვალსაწიერიდან ერთგული მსახური და იმანაც რაკი იგრძნო, რომ სრულიად ზედმეტი იყო, მიჰყვა იმ თავის ფიქრს, კარის ზღურბლს გაადაბიჯა და სულიც მოითქვა.

ნიმროდი რეას ხედავდა მხოლოდ.

– მე რეა ვარ, მოწყალეო უფალო, მეფეთ-მეფევ და ქურუმთქურუმო! – თავი დაეხარა მშვენიერ ასულს, – თვით უკვდავება! ყველაფერს ხედავთ და იმორჩილებთ... თქვენ: დიდი ბაბილონის მეფეთ-მეფე, ქურუმთქურუმი და ჩემი მოწყალე უფალი... – თვალები მიელულა რეას და თავი ფიქრისთვის მიენდო.

უყურებს ნიმროდი მთვლემარე რეას და მაღლდებოდესო თითქოს, ივსებოდა ციური სითბოთი:

– გული მიგრძნობს... – ამბობს ზეშთაგონებული რეა: – თქვენ – უდიდესი მბრძანებელი, სწორუპოვარი ბაბილ-ანის ღვთაებრივი გამგებელი!

ნიმროდის სულსაც მალამოდ დაედო მშვენიერი ასულის ნათქვამი და წინ უახლესი ფიქრი წაიგდო: „მე ფრენაც შემიძლია, რეა!“

– წარმოიდგინა, მაღალი მთის ძირშია და აიქნია ხელები, მოწყდა ადგილს და მწვერვალისაკენ გაფრინდა. მწვერვალიც აღარ აცილებს თვალს მისკენ გაჭრილ ადამ-იანს.

– მოწყალეო ხელმწიფევ, უფალო ჩემო... – აჩურჩულებულიყო მშვენიერი ასული, – გადმოხედე იმ შენი სიმაღლიდან ამ ჩვენს მიწას და დამინახე მე... ეს ჩვენი ქვეყანაა ევფრატიდან ტიგროსამდე გადაჭიმული. მე ტიგროსიც მინახავს, ჩქარია იგი და მპყრობელი ყოვლის, თქვენი ფიქრივით სწრაფი და მოუხელთავი, მთელი ეს თვალუწვდენელი სივრცე ფეხქვეშ გაგეგება, მოწყალეო უფალო, მეფეთ-მეფევ და ქურუმთ-ქურუმო! – სული მოითქვა და ასევე გრძნობამორევით განაგრძო: – მსმენია შენს კანონთა წიგნზე. იგი მარის ქვეყანასაც გადაწვდა. სწორედ იქ ჩავიხედე შიგ, გავაცნობიერე და აღვიქვი კიდეც. შენ ღვთაებრივი წიგნი გიჩუქებია ადამიანებისთვის... აღფრთოვანებულია ყველა, ვინც კი გაიცნო ეს შენი წიგნი! მარის მეფე თქვენთან შეხვედრაზე ფიქრობს. მე მარის ქვეყანაშივე მსმენოდა თქვენზე, როგორც მეფეთ-მეფეზე, ქურუმქურუმზე და... თქვენ ჩემი აზრით თანამედროვეობის უდიდესი სწავლული ბრძანდებით, ყველაზე დიდი ვარსკვლავთმრიცხველი და ქურუმთ-ქურუმი! თქვენც ხომ ქალდეველი ხართ?! სხვანაირი ვერც წარმომიდგენიხართ! თქვენ გვერდით მიგულვეთ და მამაჩემზე უერთგულეს ქალდეველს, დედამიწა რომ გადაქექოთ, ვერსად მოიძიებთ! მე კი, თუკი მენდობით, მივხედავ იშთარის ტაძარს... ესეც ხომ შენი ქმნილებაა... თქვენს შემოქმედებას ღვთაებრივი იერი დაჰკრავს...

„თითქოს ჩემს სულში იყოს... მართლა ქალღმერთივით განსჯის. მე თვალი მჭირდება სწორედ მისნაირი – რეასნაირი! და რეაზე შორსმჭვრეტელიც და ნათელმხილველი სულიც რატომ ვეძიო სხვაგან?!“ – გაიფიქრა და როგორც პირველი რიგის საქმე სახვალიოდ გადაინახა.

– უფალო... მოწყალეო ხელმწიფევ, მეფეთ-მეფევ და ქურუმთ-ქურუმო, – თაფლად დაღვრილიყო მშვენიერი ასული, – თქვენ...

ისმენს ნიმროდიც რეას ფიქრთმდინარებას და ეჩვენება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს წყარო ეჩურჩულებოდეს ჯადოსნურად მონანწკარე... და ეს მოჩურჩულე წყარო იყო დამამშვიდებელი სულის, დამაურვებელი ფიქრის და აშლილი ოცნების.

– ო, მშვენიერო ასულო, დაე, აღსრულდეს სურვილი შენი და ნდომა შენი, აგისრულდეს ღვთაებრივი ოცნება შენი, ესეც ხომ ჩემი უპირველესი ამოცანაა?! – ოცნებამ წაიღო ნიმროდი.

– მიბრძანე, მოწყალეო ხელმწიფევ, მეფეთ-მეფევ და ქურუმთ-ქურუმო და მეც აღვასრულებ თქვენს ნება-ბრძანებას... თქვენს სამსახურში მიგულვეთ თუნდაც ხვალიდან!

– ოღონდაც: – თითქოს დაბნეულიყოს ნიმროდი, წაიფორხილა თითქოს, რაც არასდროს მოსვლია, მაგრამ დროზე მოეგო გონს: – უფლებას თქვენგან ვითხოვ, მშვენიერო ასულო, რომ... დღეში ერთხელ გამხადოთ თქვენი ხილვის ღირსი, ნაშაუდღევს, როცა მზე შუბისტარზეა შემდგარი და აღარ გააჩნია თავისი ჩრდილი... დავტკბე თქვენი ცქერით, განვივრცო თქვენით. იცოდეთ: ესალბუნება თქვენი უნაზესი ხმა სასმენელს ჩემსას, თვალიც ხომ ტკბება თქვენი მშვენიერებით და კიდევ ეს ერთი თხოვნაც, მშვენიერო ასულო: სალაშქროდ მიმავალს გზა თქვენ უნდა დამილოცოთ, გამარჯვება მისურვოთ. ახლა კი მსახურსაც ვუხმობ, რომ.... – ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ მსახურიც მასთან იყო.

– მსახურო! პატივს ჯერ მშვენიერ ასულს მიაგებენ!... – კი ბრძანა ნიმროდმა, მაგრამ არ უწყრებოდა თავის მსახურს.

მსახურიც უმალვე გამოერკვა და ისე მოიქცა, როგორც ნიმროდი მიანიშნებდა.

ნიმროდმა თვალი შეავლო მშვენიერ ასულს, მერე კი მზერა მზეს მიაბჯინა და ტახტრევანიო! – ბრძანა: – ტახტრევანი მშვენიერ ასულს! – თვალი დახუჭა და ბრძანების შესასრულებლად გავარდა მსახურიც.

თვალს გაახელს ნიმროდი და მსახურიც მოახსენებს: – ტახტრევანი სასახლის ეზოში ელის მშვენიერ ასულს.

– ეს ტახტრევანი დღეიდან თქვენს განკარგულებაში იგულვეთ, მშვენიერო ასულო! – ხმადაბლა, მხოლოდ რეას გასაგონად ითქვა და მსახურს მიუბრუნდა: – უფროსი ქურუმი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მოსაცდელში ელოდება დიდ ქალბატონს... – თავი ლამის იატაკს დაჰკრა მსახურმა.

... ნიმროდი მარტო რჩება.

„ჩემს მოლოდინს გადააჭარბა, ლამის ქალის უნახავი გამხადოს!“ – გაივლო გულში და სული აუმღერდა.

„ყანა ვარ, ყანა ყამირი, კოდი ვარ გაუტეხავი,“ კი შემძლებია ლექსიცო, თავისთვის ჩაილაპარაკა და რატომღაც სულში გაუავდრდა: „და მაინც რა არის ის, მე რომ დავეძებ, მე რომ საბოლოოდ დამამშვიდებს, მაგრამ ჩემი ერთგული თანამეცხედრე ნამდვილად იქნება ღმერთქალი რეა! ეს ის ღვთაებაა, შორს რომ გაიტანს ჩემს სახელს! მაგრამ ის ქალი კი, ვისაც ჩემი მოუხელთებელი სული დაეძებს, მაინც სხვა უნდა იყოს თითქოს... ერთსაც ვიტყვი: ხომ ღვთაებრივი იერი დაკრავს რეას, მაგრამ სხვანაირადაც რომ ფიქრობს გული!? რაღაცნაირ ხიდს ხომ არ უნდა წარმოადგენდეს რეა იმასთან?! ის სული, ასე მგონია, სულ სხვა დროში, სხვა განზომილებაში იყოსო თითქოს... სადღაც ახალი სამყაროს კარი უნდა შევაღო, რომ საწადელს მივწვდე! გავალ მესამე ნაპირზე.. სხვა სივრცეში, სხვა სიბრტყეზე უნდა შევდგე, ახალ, სავსებით უცნობ სამყაროში ამოვყვინთო და ისე ავმაღლდე, რომ ვერავინ შემომწვდეს!

აქ არც შეწყვეტია ფიქრ-სურვილი.

„ახალ არსებად შევდგები. ადამიანი და ადამიანობაც ცოტაა ჩემთვის. და რატომ ვერავინ ვერ დაინახოს ჩემში უფალი ღმერთი?! მაგრამ იქამდე: ჩემში თავჩაქინდრული და მთვლემარე ადამიანი ხომ უნდა დაიძლიოს?!

ძირს დაიხედა ანაზდად და: აწმყომ შეჰზარა!...

* * *

ნოე ესიზმრა: კიდობნიდან სულ ახალგადმოსული იჯდა თავისიანებში და ძველ ამბებს იგონებდა. უცებ, გამოერკვაო თითქოს დიდი წინასწარმეტყველი, ორივე ხელით მიწა მობღოტა, მერე მომუშტა ხელები, თითქოს წურავდესო მიწას, თავი მაღლა აიღო, მაგრამ ძირს ჩამოუცურდა მზერა. დიდხანს უყურებდა მიწას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე: ისევ გამორკვაო თითქოს, თავი უკმაყოფილომ გადააქნია და იმედგადაწურულმა ჩაილაპარაკა: ეს მიწა უვარგისია, უნდა ავიყაროთ ამ მიწიდან, ავიყაროთ დედაბუდიანად და მოვიძიოთ სხვა მიწა! ვიაროთ სულ მზისკენ და მზისკენ!

გამოეღვიძა ნიმროდს და უჟმურაყოლილივით თქვა: – დაწყევლა ნოემ მამაჩემის მამა და მთელი მისი მოდგმა მხოლოდ იმიტომ, რომ თვალი უნებლიეთ შეასწრო შიშველ მამას, უზომოდ მთვრალს და თითქმის გონწართმეულს, უფალ ღმერთს რომ ეევედრებოდა: – დაიცავი მოდგმა ჩემი და ამამაღლე, მე კი მიგულვე მსახურად შენდა და შენდა მლოცველად.

და ღმერთმაც: – გამრავლდი, ნოე, აივსოს მთელი ეს ქვეყანა შენი გვარის ხალხით. ის ქვეყანა შენთვის რომ მომიცია, შუამდინარეთში, ევფრატიდან ტიგროსამდეა გადაჭიმული! იქ, დასახლდება შენი მოდგმა! შეაღეთ ღვთის კარიბჭე და დამკვიდრდით: და ვერავინ მოგერიოთ! – და გადმოვიდა უფლისგან მადლი ნოეზე და გაიხარა ნოემ:

– კიდევ ერთხელ მინდა მოგმართო შენ, ერთადერთო ღმერთო ჩემო, დაილოცოს სახელი შენი, რომ ერთადერთი გაღმერთდე შენ ამ უსასრულო სამყაროში და იყო შენ მეუფე ცისა და მიწის და იმას იქით, თუკი რამ კიდევ არის ამ ცისა და მიწის იქით! დიდება შენდა უფალო, ისე ვიქმ, როგორც გინდომებია შენ: ნანადირევს მოგართმევენ შენ ჩემი შვილები, აუარება იქნება ჩვენი შემოწირულობა და გვემახსოვრება შენი მეუფება, ღმერთო მაღალო აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

– მე კი განგადიდებ ჯერ შენ, ნოე და მერე შენს მოდგმას: სემსა და იაფეტს, კმაყოფილი ვარ შენით და აგამაღლებ!

ნოემ ისევ შესვა უფალი ღმერთის ცაბაოთის სადღეგრძელო და როცა ისევ შეავსო ორშიმო ქარვისფერი ღვინით, წამოდგა და სასმისი მაღლა აიღო, შებარბაცდა, მერე ორშიმოს სიყვარულით შეხედა და ორშიმო რომ გაუორდა თვალში, უცებ მოეგო გონს, ბევრი აღარ უფიქრია და ბორძიკ-ბორძიკით შევიდა კარავში. ღვინით სავსე ორშიმო ხელიდან გაუვარდა. ფიქრითაც აღარ ფიქრობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელოდა აუტანლად, სული შეწუხებოდა ნოეს და ოფლად გაღვრილმა შემოიძარცვა სამოსელი, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა, დედიშობილა გადარბოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ეგონა ვიღაც მოსდევდა და მდევრისთვისაც ვეღარ დაეღწია თავი.

ამ დროს იყო, რომ ქამი შემოეხეტა კარავში და რა იხილა მამა ასეთ დღეში, თავზარი დაეცა. ამასობაში სემიც და იაფეტიც დაბრუნებულიყვნენ ყანიდან. ქამმა უამბო უფროს ძმებს, რაც კარავში ენახა და აუგად მოიხსენა მამა, – ნახეთ, რა მაგალითს გვაძლევს ჩვენი სათაყვანებელი მამა? ნოე კი ძალაგამოლეული და გონდაკარგული შუა კარავში გაშხლართულიყო და შვილების კარავში შემოსვლა არც გაუგია.

სემმა და იაფეტმა თვალებზე აიფარეს ხელები და ისე გავარდნენ კარვიდან, რომ შიშველი მამისთვის არც მოუკრავთ თვალი. ქამმა კი ქვეყანას მოსდო ნოეს შერცხვენის ამბავი და მეორე დღეს სამართლიანი საყვედურიც დაიმსახურა ნოესგან. ნოემ საყვედური როდი აკმარა ქამს: დაწყევლა და განკვეთა გვარიდან.

ეზმანა ეს ყველაფერი ნიმროდს, კვლავაც ძველ, წუხანდელ სიმზარში ინდომა შებრუნება და სიზმარსაც აღარ დაუყოვნებია:

– მამავ ბატონო... – მიმართავდა სემი ნოეს: – მეყოლება მე შვილები, შვილიშვილებიც მეყოლება და შვილთაშვილებიც!

– ებერი, სემ... – თვალები გაუბრწყინდა ნოეს, – ჩვენი გვარის იმედი და ბრწყინვალება. სემ, შვილთაშვილებიც გეყოლება, მაგრამ ზუსტად იმ დღეს მოევლინება ქვეყანას ნიმროდიც, შენი უღირსი ძმის ქამის შვილისშვილი... ებერი და ნიმროდი კი... – თვალები მოწკურა ნოემ, თითქოს მომავალში აპირებსო შეჭვრეტას, – ჰო, ნიმროდი: ესე იქნება დიდი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა... ამას იქით ვეღარაფერს ვხედავ...

– მამავ ბატონო: იქნებიან სემიტები, იქნებიან იაფეტიანები და ქამიტებიც იქნებიან... მოედება ქვეყანას შენი მოდგმა და განგადიდებენ!

– სემ, ვაცალოთ უფალს, ყოვლისმხილველია იგი. მომცველი ყოვლის და ყოვლისშემძლეც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მამავ ბატონო! მე სულ მზისაკენ ვივლი! – ამოთქვა იაფეტმა და სემს გადახედა.

– ჰო, იარეთ, შვილებო, მზისკენ... ეს გზა ღმერთისკენ მიდის! ჩვენია ეს მიწა, ასე თვალუწვდენელი და ნაყოფიერი! ისვენებსო თითქოს ტიგროსსა და ევფრატს შორის მოქცეული... – ოცნებას წაეღო ნოე.

– ჩვენ გამოვაღვიძებთ ამ მიწას. მიწის მოსვენება ვინა თქვა?! – ეს ხმა ქამს ეკუთვნოდა. ესმოდა ნიმროდს ქამის ხმა, მაგრამ ვერ კი ხედავდა.

იქით უსიამოდ გააჟრჟოლა ნოეს, თუმცა არაფერი უთქვამს, მარჯვნივ შებრუნდა და თვალი გააყოლა დასავლეთისკენ გადახრილ მზეს.

და მზეც ემზევებათ ნოესიანთ, თითქოს მათთვის დიოდა იგი და ასხივებდა ასე მონდომებითაც, მზე მათთვის მზეობდა...

მერე გრძელი გზა დაილანდა: გზაში გაჩნდნენ ებერიცა და ნიმროდიც.

ერთ დღეს დაიბადნენ და იზრდებიან ტყუპისცალებივით, მაგრამ ნიმროდი რამდენიმე წუთით უმცროსია ებერზე.

.... გამოიღვიძა ნიმროდმა: თითქოს წყლიდან ამოდიოდა ნაპირზე. თვალები ამოიჟღლიმა და გულში თქვა: „რა სამწუხაროა, რომ ებერია ჩემზე უფროსი!“ – ამის თქმა კი მოასწრო და თავი ძილმა წაართვა. სიზმარს თუ აგრძელებდა:

მზისკენ მიიწევს თავგამტებით, მაგრამ თავდაჯერებული. მერე ნისლში გაეხვევა ყველა და ყველაფერი.

ბორგავს ნიმროდი: თითქოს ნიმროდს კი არა, ვიღაც სხვას ესიზმრებოდესო მისი სიზმარი: ჰო, იბადება ებერი და ატირდება. იბადება ნიმროდი, ელიან, როდის ატირდება, მაგრამ არა, პირი მოუკუმავს, რომ არ ატირდეს, თვალი მოუხუჭავს, რომ ვერაფერი დაინახოს და ყურები თითებით ამოუგმანავს, რომ აღარ ისმინოს ვაება სოფლის.

ნიმროდის შობისას უცებ ჩამობნელდა დიდ მზიანეთში, მაგრამ იქამდე მზე ზენიტისკენ მიიმზეობდა და როცა ზენიტზე შედგა, მაშინ ჩამობნელდა. და რაც მთავარი: მზეს დაკარგოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩრდილი(!)

მზე კი იდგა უძრავად და უჩრდილოდ. აღარც წუთს ეთქმოდა წუთი და წამიც ხომ წამიც ველარ იყო?!

და მოეჩვენა ფიქრგონწართმეულ ნოეს: იყო ერთი პაწია ნიმროდი, რომელიც გაიზარდა და სხვა, მეორე ნიმროდში გარდაისახა. ასე რომ, იყო ნიმროდი და აღარც იყო!

ჰო, ეზრდებოდა მზეს ჩრდილი მზისეული, ნიმროდი კი რჩებოდა უჩრდილოდ...

ნოემ თვალებში ამოისვა თითები და როგორღაც არაბუნებრივად გადახედა თავის რძლებს: – ქალი ყანაა, კაცი – თესლი, შობა ყოველის ხორციელისა კი ყანისა და თესლის შეერთებით აღსრულდების!

და ნოეც განაგრძობს გზას. იგი წინმარბენალი ხარია, მოდგმა მისი კი – აუარება ნახირი, თავის წინამძღოლს დაიმედებული რომ მიჰყვება და არც არასდროს გადაუხვევს გზიდან.

ფიქრობს ნოე და მიფიქრიანობს: ფიქრობს ებერსა და ნიმროდზე. უფრო სწორად: ებერი უდგას თვალწინ, იცის ებერს იქით ნიმროდია, მაგრამ ვერ კი ხედავს. იმასაც იგრძნობს ნოე, რომ გაბრაზებულია ნიმროდი, რატომ ებერი პირველი და მე – მეორეო?

„ესენი ერთ სიბრტყეზე ვერც დაეტევიან. მეშინია, წინ არ გადაუსწროს ნიმროდმა ებერს... ამიტომ: ჯობია, აქ გაიყაროს მათი გზები!“

სიჩუმე საყოველთაო.

გაუკმენდია უდაბნოს ხმა.

ნოე აკოცებს მიწას და მაღლა აიღებს თავს: – გისმენ, უფალო!

– ნოე, ებერი და ნიმროდი ერთ სიბრტყეზე მართლა ვერ დაეტევიან. ნიმროდი შინყარის ქვეყანას დაიპყრობს. მერე იმდენად გაუვა თავს, რომ ჩემზედაც კი გამოილაშქრებს: მეფეთ-მეფე და ქურმთ-ქურუმი ნიმროდი... მეც ვაცლი: ვნახავ სადამდე ამომწვდება? მტყორცნის თავის სასიკვდლო ისარს, რომელსაც მზე გადაეღობება. აბა, ნიმროდის ისარი რას დააკლებს თვითონ მზის ლავას, გადნება იგი ამ ლავაში და: აქედან დაიწყება ნიმროდის დაცემაც! ნიმროდი მერჩის, ადამიანებს რომ წარღვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვუვლინე. ვეღარ მოისვენებს: ააგებს იმ სიმაღლე გოდოლს, რომ ვერავითარმა წარღვნამ ვეღარ დაფაროს და ასე ამომწვდეს. გამიტოლდეს. ჩემივე, ღვთაებრივი სული მიმიცია მისთვის და ეს უმადური ასე მიხდის მადლობას?! გოდოლის იდეის სულის ჩამდგმელიც თვითონაა და მისი ხუროთმოძღვარიც! ვაცლი, ნიმროდს, ვაცლი, მაგრამ მაინც რომ მიყვარს?! ვტკბები მისი ყურებით, უკეთესს მასზე აბა რას იხილავ?! ადამ-იანო, გონს რატომ ვერ მოხვალ? მაგრამ ებერი? მართალი ებერი, ისიც დიდი შემოქმედი, ჩემს სიტყვას გულში შეინახავს და: განუდგება ნიმროდს! გაეყრება და განეშორება ბაბილონს. გადაარჩენს ჩემს სიტყვას და ამ სიტყვას ახალ სიბრტყეზე განავრცობს. კიდევ რა გითხრა, ჩემო ნოე? იარე ჩემს გზაზე და ჭეშმარიტებასაც ეზიარები, აქედან კი ერთი ხელის გაწვდენაზეა უკვდავება!

... და ნოე და მისი გამრავლებული და მომრავლებული მოდგმაც მიიწევს წინ:

– ქალი ყანაა, კაცი – თესლი ღვთაებრივი... – იმეორებს თავისთვის – სიზმრიდან თავდაღწეული ნიმროდი. უკვე მოფხიზლებული: – მე ნიმროდი ვარ, დიდი ნიმროდი, სწორუპოვარი მეომარი და დიდი მონადირე. იცის იმან, რომ დავუპირისპირდები.... და სისხლსაც გავუშრობ!

რეა ყანაა, კაცი – თესლი... ჩემია ეს ყანა! მომავალს მე ვწერ – ნიმროდი! ვწერ მე – ღმერთი! – თვალი გააყოლა ევფრატს: – ევფრატის წყალია, ძალას რომ მაძლევს და ვერც ვერავინ გადამიღობავს გზას! – წამოიჭრა ადგილიდან, გადმოიღო მშვილდი, გააწყო სასროლად, ღმერთს დაუმიზნა, მაგრამ ისარი აღარ გაუტყორცნია, გადაიფიქრა: – ადრეა ჯერ! მოვლენებს მეც, ნიმროდი რომ ვარ, წინ არ უნდა გავუსწრო!

აქ ნიმროდმა უკან გამოუხმო წინ გაჭრილ ფიქრს და თავისთვის ჩაილაპარაკა: – რეა ჩემი ყანაა...

* * *

ნიმროდი – ევფრატთან და ევფრატიც – ნიმროდთან(!)

განუმარტოვდებიან ერთმანეთს: ერთი-მეორით სუნთქავენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედიოდესო თითქოს: ნიმროდი ევფრატში და: ევფრატიც – ნიმროდში. თვალს მიადეევნებს ნიმროდიც ამ დიდ მდინარებას... ამდინარებას. ევფრატიც მიმდინარეობს და ნიმროდია მისი მარადსამყოფელი — სავანე და ამოვსებულა ეს სავანე ამდენი წყლით!

და დუმს... წყალია მაინც. აღარ ხმაურობს, თუმცა ყური რომ დავუგდოთ: უხმოდ მიხმაურობს!

კაციც ამ წყლითაა, პირში რომ დაუგუბებია, დუმილის საიდუმლოს რომ ეზიაროს! სიტყვაც არ დაცდება! არც დასაგმობია იგი ვისიმე და არც ვისიმე შესალოცი...

პირზე შეისხურა ევფრატის წყალი: – წყალო დიადო, მართლა აღარ ვუწყი, მოვიქცე როგორ? – მოისროლა ფიქრი და წყალს გაატანა. წყალმაც გაახმიანა კაცის ფიქრი და ახმაურკაცდა.

– ნიმროდ, გისმენ! რა გაგჭირვებია? შენი შეწუხებული ფიქრი მომივიდა და როგორ ფიქრობ, შემეძლო უყურადღებოდ დამეტოვებინე ამ მიმწუხრის ჟამს? ჟამი კი ანადგურებს ყოველივე დამდგარს, დაგუბებულს, უმოძრაოს! ინდომე ოღონდაც და უეჭველად მოვიძიებ მე შენი სულის წამალს.

იცოდე: არ არსებობს პასუხგაუცემელი კითხვა! მდგომარეობა არც არსებობს გამოუვალი!

ეცნო ნიმროდს ზესულის ხმა და მიაყურადა: – დღეს დღეა ისეთი ჩემთვის, რომ სანაცვლოდ არაფერს ვითხოვ! მაგრამ ყოველთვის როდი ვარ ასე გულუხვი? გულწრფელად მითხარი: მიიღებ კი ჩემს რჩევას?! პატარა ბიჭი როდი ხარ, რომ დაგარიგო?! მითხარი, რა გინდა?

– შენგან არაფერს ვითხოვ! კი დავსვი კითხვა, მაგრამ არც მიფიქრია, მაინცდამაინც შენ გეპასუხა, იქნებ პასუხი თვითონვე მომეძია?! კაი ვირეშმაკა ხარ: ჯერ კითხვაც არ დამისვამს შენთვის! შენ კი...

– ნიმროდ: გადაიხსენი გული და მკითხე! ხომ გითხარი, დღეს სანაცვლოდ არაფერს ვითხოვო. კითხვა, ნიმროდ, კითხვა!

– თითქოს და: უკვე ჩემს განკარგულებაშიც კი იყოს შინყარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა: ქალდე... ბაბილონი... მაგრამ სინამდვილეში ასე როდია?! მე კი მინდა, რომ...

– მიგიხვდი, ნიმროდ! ზოგჯერ ისეც როდი გემორჩილებიან, შენ რომ გინდა! შინყარის კიდევ ერთხელ დალაშქვრა ხომ არ გინებებია?! და შენ არ იცი, როგორ დასრულდება შენი ლაშქრობა? მაგრამ მე ხომ გითხარი, დღეს შენგან სანაცვლოდ არაფერს ვითხოვ-მეთქი და... ჰოდა: არის ჩვენთან ე.წ. დროის კარიბჭე და თუკი მიაგნებ მას, შეგიძლია შეაღო კიდეც. შიგ შესულმა კი: შეგიძლია, იმოგზაურო დროში!

– მერე და სად, როგორ მივაგნო იმ დროის კარიბჭეს? მისი გასაღები, გრძნეულო სულო!

– დროის კარიბჭე... – ჩაფიქრდა ზესული: – ასე იოლი მისაგნებიც არაა ის დროის კარიბჭე... თუმცა დროის კარიბჭეზე ცოტა მოგვიანებით, ნიმროდ! დღეს კი იმას გეტყვი, რომ უყოყმანოდ შეგიძლია დალაშქრო ის ურჩი ქალაქები... ოღონდ გახსოვდეს: დამარცხებული არ დაამდაბლო!

– მაგრამ დროის კარიბჭე?

– დროის კარიბჭეზე ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მკითხე!

– და მაშინაც უანგაროდ გამიწევ დახმარებას?

– ყოველთვის კეთილიც როდი ვარ?

– მოვილაპარაკოთ მაშინ!

– უნდა შევთანხმდეთ... შენგან, აბა გაიხსენე, რას ითხოვდა ზესული?! თითქმის არაფერს: ყოყმანის უფლება აღარ გაქვს, ნიმროდ! დრო არ იცდის! ყოყმანობ, როცა შეგიძლია ყოვლისშემძლე შეიქნე?!

– დრო მინდა, რომ მოვიფიქრო...

– ნიმროდ, იფიქრე! მე არსადაც არ მეჩქარება... დაგელოდები, იმ ურჩი ქალაქების დასალაშქრავად კი, დროა, მართლა მოიცალო! ამხედრდი, ნიმროდ! შინ გამარჯვება გელის!

მოუბერა ქარმა და ნაცნობი ჭიხვინიც ესმა, ბედის ბედაური მოუხმობდა. ფრთების ტყლაშუნიც მოხვდა ნიმროდის ყურს: მოისწრაფოდა მისკენ ბრძენი ბუც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ნიმროდი ძლევამოსილი ბრუნდება ბაბილონში.

ბაბილონი ზეიმით ხვდება თავის მეფეთ-მეფესა და ქურუმთ-ქურუმს.

ბაბილონი ხარობს და ზეიმობს.

რეა ნება-ნება ჩამოდის სასახლის კიბეზე, თითქოს ფეხსაც არ აკარებდეს მარმარილოს საფეხურებს. ნიმროდს ატყვევებს ეს სურათი, ვერც კი მოუსაზრებია, ჩამომხდარიყო თავისი ბედის ბედაურიდან. როგორც ციურ ფერიას, ისე შესცქეროდა რეას.

რეასაც ნიმროდისკენ მიუსწრაფვის სული. ფეხის წვერებზე შემდგარი უახლოვდება. (შორეული ევფრატის შუაწელიდან უამრავი ხალხი მოედინებოდა ნიმდროის სასახლისკენ).

„ტევა აღარაა სასახლისკენ მიმავალ ფართო შარაგზაზე. აქ მოზეიმე ხალხისთვის ამაზე ფართო გზას გავიყვან. ესეც მეხელეწიფება! გავბრწყინდები და ავმაღლდები! დაე, იქნეს დასაბამი მეფობისა ჩემის! ბაბილოვანი, ორექი, რაქსადი და ხილანი – ქუეყანა ზენაარის... აწი მე ველარ შევჩერდები. ამას ბაბილონისა და ბაბილონელებისთვის მოვიმოქმედებ! მე ავაშენებ ქვეყანას, ცაბაოთ, რომ შენც ველარ გაწვდე იმის საზღვრებს. და დაგიმტკიცებ ამით, რომ ვერც ყოვლისმხილველი ხარ და ვერც ყოვლისშემძლე, მოგეცარება ხელი და მერე ვინღა იტყვის შენს ყოვლისშემძლეობაზე?!

– გალაღდი, ნიმროდ! გაიშალე მხრებში, შენია მთელი შინყარი! ვერავინ შეგედაროს შენ! კიდევ რამდენიმე ლაშქრობა და შენია შუამდინარეთი! აქეთ – ევფრატი, იქით – ტიგროსი! ამას მე გეუბნები შენ, ნიმროდ, ზესული! დროის კარიბჭის უზენაესი მცველი! მე მიპყრია ამ დიდი კარიბჭის კლიტენი და ველი ხელსაყრელ დროს, რომ საბოლოოდ გადმოგაბარო! შენზევეა დამოკიდებული ამჟამინდელი დიდება შენი და არ დარჩეს შენთვის აწ რაიმე იდუმალი და საიდუმლო!

– და სანაცვლოდ არაფერს ითხოვ?

– თითქმის არაფერს, ნიმროდ! მხოლოდ წვრილმანს, ადამიანურ სიტვყას... შენს მიერ ვიყო აღიარებული, შენ მართლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერს კარგავ ამით. მეც არაფერს გართმევ! შენ კი: ველარაფერი დაგიდგეს წინ! თვითონ ცაბაოთიც უძლური იყოს შენს წინაშე! იდუმალს დაეუფლები, ახალი სივრცეები გადაგეშლება წინ, ყველგან, ყველგან შეაღწევ, დროის კარიბჭის გადააბიჯებ ზღურბლს და: შეიხედავ წარსულში, მომავალში გინდა? აწმყოს გადასახედიდან გადაწვდები მომავალს! დაეუფლები ამ საიდუმლოს და მსოფლიოს მბრძანებელი ხდები! ცისა და მიწის – დიდი მესაიდუმლე! გეცოდინება: რა ხდება შენს ირგვლივ დღეს და რა მოხდება ხვალ? და: შეგიძლია დღესვე შეიხედო ხვალეში, გაიგო: რა მოგელის და შეცვალო ის წუთიც კი, მომავალი რომ ჰქვია!

დრო შენს მოლოდინშია, ნიმროდ! შენს ბედს ღმერთი კი არა, თვითონვე წერ! თვითონ შენა ხარ ღმერთი!

ჰოდა: გაიმყარე მეუფება შენი!

გადაიკარა და: რეა იდგა მის წინ, რეა მზისდარი!

და ხელს სთხოვს ნიმროდი რეას...

* * *

– გისმენ, მოწყალეო უფალო, მეფეთ-მეფევ და ქურუმთ-ქურუმო, – უფროსი ქურუმი მუხლს მოიყრის ნიმროდის წინაშე.

– შენ, როგორც მრჩეველი, ისე ჭირდები ნიმროდს!

– გისმენ, მოწყალეო...

– მინდა ვიცოდე, რა იცი ბაბილონზე და მის გულზე – ერიდუზე?! რაიმე თქმულება, თუნდაც გამონაგონი, ორი დღის ვადა მომიცია შენთვის, მაგრამ დროც აღარ იცდის და მეორე კითხვაც: როგორ დავიჯერო, არ გსმენოდეს შენ დროის კარიბჭეზე?

– დროის კარიბჭე?! მსმენია, მაგრამ... მხოლოდ რჩევის მოცემა თუ შემიძლია: მდინარე ევფრატთან, ერიდუსთან, ერთი გზა-ბილიკი მიიკლაკნება მწვერვალისკენ... იქამდე ფეხით თუ ამაღლდები! მწვერვალზე კედარის ხე დგას, ცას წვდება წვერით... ამბობენ: ადამიანივით ფიქრობს და მეტყველებსო... ადამიანის ენაზე, მაგრამ მისი მნახველი არავინ შემხვედრია ბაბილონში... ღვთიური არსებაა, ასეც მსმენია ძველებისგან...

– ყველაფერი მინდა ვიცოდე იმ კედარის ხეზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ღმერთები თავიანთ ამბებს იმას ანდობენო, საიდუმლოებებსაცო, დროის კარიბჭის საიდუმლოებასაც იგი ფლობსო. იქნებ შენს მოლოდინშია იგი, მოწყალეო უფალო...

– არა მგონია მეპირფერებოდე... თუ მართლა მეპირფერები, გადავიფიქრებ იცოდე და გაგაძევებ ჩემი სასახლიდან! სხვათაშორის ქურუმთა ახალი გუნდის ჩამოყალიბება რეას დავავალე, არა, კი არ დამივალებია, მივანდე, თქვენს მშვენიერ ასულს და შენც რომ წააშველებდე ხელს, მაგრამ დროის კარიბჭე?

– გული მიგრძნობს, რომ მიაგნებ იმ ღვთაებრივ კედარს, არც მეეჭვება, მაგრამ ნება მისი უნდა იყოს, რომ... მაგრამ ერთი დიდი მწიგნობარი, გადმოცემით ვიცი, თავის წიგნში ამბობდა: ის ადგილი ზეპირად ვიცი...

– თვითონ ის წიგნი?!

– ზეპირ წიგნს თუ გულისხმობდა ის მწიგნობარი.

– თქმულება მაშინ!

– ოდესღაც ერიდუში წითელი ზღვიდან ერთი უცნაური არსება ამოსულა. ადამიანსაც მოგაგონებდათ, ცხოველსაც და ფრინველსაც თურმე... ადამიანს ფიქრებით მოჰგავდაო, ფრინველისა არაფერი ჰქონია, მაგრამ ფრენა შეეძლო... სხეული იმ უცნაურ არსებას თევზისა ჰქონდა... თევზის თავს ქვემოთ სხვა თავიც ება. ოღონდ – თევზისა არა! კუდთან ადამიანის ფეხები გამოსხმოდა... ჰოდა: ადამიანივით გადაადგილდებოდა. მთელ დღეს ადამიანებთან ატარებდა უსმელ-უჭმელი და მათთვის დამწერლობა შეუქმნია, დამწერლობასთან ერთად – მეცნიერებები და ხელოვნებები მრავალგვარი, ადამიანებისთვის მიწის მორწყვა, არხების გაყვანაც უსწავლებია, ტაძართა შენებაც! კანონებიც დაუწერია და კიდევ სხვა ცხოვრებისეული რამ. აღუსრულებია ესე ყოველი, სიხარულითაც აღუსრულებია და დამშვიდობებია ყველას, დაუკრავს ფეხი და გაუჩინარებულა. მერე იმ უცხო არსებაზე არც არაფერი სმენია ვინმეს. იშთარმა თუ მოავლინა. მისი სახე თიხის ფირფიტაზეც კი იყო ამოკვეთილი. მაგრამ ის ფირფიტაც გამქრალა სადღაც.

– თქმულება ხალხშია შემონახული და ცუდი არ იქნება, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელახლა ამოიკვეთება იგი თიხის ფირფიტაზე! – მიბრძანებია და უმოკლეს დროში უნდა შესრულდეს ეს ბრძანება. იფიქრე ამ თქმულებაზე და თუკი ის წიგნიც ინახება, დაჯილდოვდება მისი მპოვნელი! სირცხვილი თქვენი, რომ ასეთი ფირფიტა არ ინახება სასახლის ბიბლიოთეკაში.

– მოქანდაკეს ურუქიდან ჩამოვიყვან, ან სულაც მარის ქვეყნიდან!

– და ჩვენში რატომ არ უნდა გვყავდეს ასეთი მოქანდაკე?! მაშ, ასე: იმ უცხო ცხოველის... არსების ძეგლი დაიდგას ერიდუში, მერე – იშთარის! და მოიძებნოს, გინდათ აღმოაჩინეთ ყველაზე ცნობილი ხუროთმოძღვარი მთელ შუამდინარეთში! დასადგენია რატომ შეწყდა იშთარის ტაძრის მშენებლობა?! და კიდევ აქ ხარ, მრჩეველო? მოეთათბირეთ თქვენს მშვენიერ ასულს! – ნიმროდი სასახლის აივანზე გაივლ-გამოივლის და ახედავს მზეს.

– ჰო, ნიმროდ! – ჩამოსძახა მზემაც. გაიწია დასავლით და შეიფერთხაო თითქოს.

– ეჰეი, შენ, მზეო! ახლა შენც ჩემსავით უჩრდილო ხარ! ერთ ბედქვეშ ვიყოთო თითქოს.

– ნიმროდ, რას გულისხმობ? – შეცბა მზე.

– გთხოვ, რაც შეიძლება დიდხანს დარჩე ე მაგ შუბის ტარზე! იქამდე მაცალე, მივიდე ჩემს ბედაურთან, ასე ურჩდილოს რომ არ მომკრას თვალი!

მზემაც თავი დაუკრა ნიმროდს და სუნთქვა შეიწყვიტა. დროს ასე თუ შეიჩერებდა.

თავის მხედარს ელის ბედის ბედაურიც.

ნიმროდიც თვალის დახამხამებაში მოევლება ზურგზე და ევფრატისაკენ მიქრიან უკვე.

– ნიმროდ, დროის კარიბჭე შენს განკარგულებაში იქნება მალე, – ყურში ჩასჩურჩულებს ბრძენი ბუ.

– შენც გსმენია დროის კარიბჭეზე?

– რასაკვირველია... ოღონდ მოგიწევს ზესულის სურვილის დაკმაყოფილება, უსმინე, ნიმროდ, ზესულს შენთან ლაპარაკი ნებავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნიმროდ, გამოტყდი და ჰაერივით გჭირდები...

– უფრო მე გჭირდები შენ! – შეუბღვირა ზესულს ნიმროდმა. – მაგრამ შენც მართალი ხარ: ძალიან მჭირდები! კი გაღიარებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც პირობას შეასრულებ.

– კარგი, თანახმა ვარ, მისმინე: აგერ ევფრატიც, ნიმროდ! ეგერ ქვევრიც! ნუღარ იკითხავ, აქ საიდანო?

– მერე და რა ვუყო იმ ქვევრს?

– ამ ქვევრით ამოხაპე ევფრატის წყალი! ამოიღლიავე და იმ ბილიკს ხედავ, მწვერვალისაკენ რომ მიიკლაკნება. მწვერვალზე დგას ის მართლა ღვთაებრივი ხე. კედარი იგი... კოსმიური ხე! ღმერთების ხე! ამ ხის არსებობაზე, მინდა იცოდე, ცაბაოთს არც სმენია... მწვერვალზე რომ შედგები, მოვედიო, ხმამაღლა თქვი!

– დავინახავ კი?

– იმ ხემ ისმინა შენი, ნიმროდ და უნდა შეიტყოს: – რატომ მოსულხარ? ვინ ხარ და სადაური?

– ნიმროდი ვარ... მოგწყურებია ვიცი და ევფრატის წყალი ამომიტანია შენთვის, წყურვილი რომ მოიკლა...

– და მარტო იმიტომ მოსულხარ, რომ წყურვილი მომაკვლევინო?

– შენ გწყურია, მე კი შენ მწყურიხარ...

– პირდაპირ მითხარი, რისთვის მოსულხარ? მაგრამ სწორედ ის წყალი შეგირჩევია. მერე შენი პირდაპირობაც მომწონს. დროის კარიბჭეს დაუინტერესებიხარ, ნიმროდ? მსმენია შენზე და დაგეხმარები, ოღონდ წყურვილი მოვიკლა ჯერ! ჯერ ვერ მხედავ? აბა, მასვი ევფრატის წყალი, მე აგერ ვარ... ამ გამომშრალ ბორცვზე. ჰო, დამისხი ძირში!

და ნიმროდიც გამოფხიზლებულიყოსო თითქოს – ძირში დაუსხა წყალი უხილავ კედარს. იმანაც შესვა წყალი და ნიმროდმაც იხილა ღვთაებრივი კედარი, ცას რომ სწვდებოდა წვერით. სული მოითქვა კედარმა და ტანზე მომეკარიო, – ჩაიჩურჩულა.

ნიმროდიც ფეხმორთხმული ზურგით მიყრდნობია კედარის ტანს და მოთმინებით ელის რაღაც სასწაულს. თავის და უნებურად აყვება კედარის სულისთქმის რიტმს და იგრძნობს კედარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოძრავებული სისხლის მდინარებას, მერე წამიც – და კედარის სისხლი გადმოვა მასში. და ივსება ნიმროდიც კედარით.

– ღვთაებრივო კედარო... – მღელვარებისგან სიტყვა გაწყდომოდა ნიმროდს.

– ვიცი, რაც გიჭირს და რაცა გჭირს, ნიმროდ... დღეს ამით მოვრჩეთ. ხვალაც აქ გელი, ზეგაც გელის შენი კედარი... შენ წყურვილს მომაკვლევინებ, მე კი განგანათლებ... არ დაიზარო, ნიმროდ: მაცოცხლე ევფრატის წყლით და დროის კარიბჭეს გადავხსნი შენს წინაშე!

– ამდენხანს როგორ გაძელი უწყლოდ?

– აწი ამაზე ნურაფერს მკითხავ: ეცადე, ემსახურო კეთილს და მსახურად არ ექცე ბოროტს, მაგრამ ვინც ჩემთან მოგიყვანა, მისი მსახურიც ნუ იქნები... პიროობა?! ის აღარც გამოგიჩნდება აწი!

ნიმროდი წამოდგა. ახედა კედარს და დაღმართზე დაეშვა: კედარი მოსძახის: – აღაშენე შენ ბაბილონი, აღაშენე და ამაღლდები! ჩემთან უნდა იყო ხვალაც და ზეგაც და მაშინაც, როცა გული გეტყვის, კედარს მოწყურებიაო.

მიდუდუნებს თავისთვის ევფრატი და ნიმროდიც თვალს გააყოლებს წყალს. წყალიც შემსვიო, თხოვდესო თითქოს და ნიმროდსაც მოწყურდა. შესვა წყალი და სულიც შეივსო იმის წყლით.

თვალი ბედის ბედაურს შეავლო, მზისთვის რომ ვერ მოეწყვიტა თვალი.

მიხვდა ნიმროდი, ქარისფრთება ბედის ბედაური მზეს ეჩუქებინა მისთვის.

ბედაურიც მაშინ მოფხიზლდა, როცა ნიმროდი შეიგრძნო ზურგზე. ჰოდა, შესჭიხვინა მზეს. ეს ნიშანი იყო ბრძენი ბუსთვის, იმანაც შეიფრთხიალა და სივრცეს შესჭყივლა.

და: ფიქრსაც გაუსწრეს(...)

* * *

ნიმროდი მეორედაც მიაკითხავს კედარის ხეს (გზაზე ერთი წვეთი წყალიც არ დაღვრია), სუნთქვაშეკრულმა ძირში დაუსხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყურებულ ხეს და ჩაჯდა ფეხმორთხმით, გუშინდელივით ხის ტანს ზურგით მიეყრდნო და დუმილად იქცა. ჯერ ჟრუანტელმა დაურბინა მთელ ტანში და საოცარმა, ჯერ განუცდელმა ნეტარებამ შეიპყრო. თითქოს ადამიანიც აღარ იყო. და თუ ადამ-იანი არა, მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო? მაგრამ თავის თავს რომ დაბრუნებოდა, აღარც უცდია. ოღონდ ეს იყო, სიმაღლე არ ჰყოფნოდესო თითქოს, სული მაღალა-მაღლა მიუწევდა მთელი არსებით.

უცებ მოწყურდა როგორც არასდროს, წყლის მომწოდებელი კი აღარსად ჩანდა. კედარს უნდოდა ეშველა მისთვის, მაგრამ თვითონაც გამომშრალიყო და წუხდა ამაზე.

და როცა ჰაერიც აღარ ეყო სასოწარკვეთილს, კაცი იხილა, ხვნეშა-ხვნეშით რომ ამოდიოდა მწვერვალზე. ამოიაღმართა როგორც იქნა და: გაკვირვებისგან ისედაც საცრისოდენა თვალები გაუფართოვდა ნიმროდს: – ებერ, შენ? როგორ და საიდან?

ებერმაც ევფრატის წყლით სავსე ქვევრი ძირს დადგა: – წვეთიც არ დამიღვრიაო, თქვა და კედარს დაუსხა წყალი.

– შენ რომელი ხარო? – ჰკითხავდა კედარი ახალმოსულს.

– ებერი ვარ!

– მეგონა, თვალი მატყუებდაო, მართლა შენ ხარ, ებერ? – იკითხა ნიმროდმაც, თვალი მოხუჭა და გახელა აღარ ინდომა, რაღაც ხომ არ მეშლებაო?

– მართლა ებერი ვარ, სემის შვილთაშვილი, შენი სისხლი და ხორცი...

ნიმროდსაც ეშველა და თვალები ამოიფშვნიტა: – შენ მე გადამარჩინე, გადაარჩინე ჩემი კედარიც, – ისე თქვა ნიმროდმა, თვალის გახელა გადავიწყებოდა. აქ საიდან, რა ქარმა გადმოგაგდო?

– თვალი გაახილე, ნიმროდ, რომ დამინახო და ვეღარ მიხილო მერე...

– ებერ... ამას არასოდეს დაგივიწყებ! გახსოვდეს: ნიმროდს შენი ერთი ქვევრი წყალი მართებს, – ნიმროდს ახლაც არ გაუხელია თვალი, მაგრამ გარკვევით ხედავდა ებერს.

– ნიმროდ! – კედარი ეძახდა და ნიმროდიც გამოერკვა ძილ-ბურანიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– კედარო, რა მოხდა? თითქოს...

– ნიმროდ, ჩემი ხილვისას ხომ არა გევნო რა?

– თითქოს მეორედ ვიკლავდე წყურვილს...

– ჩემთვის გასაგებია ყველაფერი: შენ უკვე ხარ ნიმროდ-კედარი და დროა შენსავ თავს დაუბრუნდე... ისევ მჭირდება შენი დახმარება, ხვალ ერთი ქვევრი ევფრატის წყალი უნდა ამომიტანო. ერთხელაც მოემსახურები შენს კედარს! და შენსასაც ეწევი!

– მაშ, ხვალ ჩემი დღეა, კედარო?! და შენიც!

– ორივესი, ნიმროდ: ჩემიც და შენიც! ნუღარ ღელავ: მთელი ამ ხნის განმავლობაში, იდგა დრო...

ნიმროდიც წამოდგება, მხრებს შეიბერტყავს და ქვევით დაეშვება, სული ევფრატისკენ მიუწევს გულამღერებულს.

* * *

ნიმროდი თავს ევფრატდალეულად მიიჩნევს.

კედარის სუნთქვად ქცეულს კედარის ხმა ჩამოესმა.

– გისმენ, კედარო, – ხმა ათრთოლებოდა ნიმროდს, – გული მიგრძნობს, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დავალება დამრჩა შესასრულებელი და ხომ არ მიბრძანებდი, ღვთაებრივო კედარო?

– ქვესკნელს უნდა ჩახვიდე, ნიმროდ!

– ქვესკნელში? ქვესკნელში ჩასული... უკან ვინ ამობრუნებულა?

– ნიმროდ, შენ უნდა გცოდნოდა, რომ ქვესკნელში იყავი ჩასასვლელი...

– დუმუზი ჩავიდა ქვესკნელს და...

– მერე და დუმუზის ბედი არსებითად განსხვავდება შენი ბედისგან... შენი ჭეშმარიტი ნიმროდობაც აწი იწყება....

– კედარო, მე მზად ვარ ჩავიდე ქვესკნელს... ვიცოდი ეს, მაგრამ: არც მთლად გააზრებული მქონდა ქვესკნელში შთასვლა...

– არც უნდა გაგიჭირდეს, რადგან ქვესკნელის კარიბჭე თავისი ნებით აიხსნება შენს წინაშე. სწორედ დუმუზს უნდა შეხვდე ქვესკნელში! იმ კეთილ მწყემსს... გსმენია ალბათ: სიკვდილის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარი უნახავს დუმუზს და ამ სიზმარზე უნდა გამოჰკითხო დუმუზს. მეც მინდა ვიცოდე მისი სიზმარი. წავიკითხო ის სიზმარი და... ვფიქრობ სწორ გზაზე დავაყენო. მინდა ეშველოს, ერთგვარი შვება იგრძნოს, გათავისუფლდეს ქვესკნელის დემონების ტყვეობისაგან. ადვილიც არ გეგონოს ქვესკნელში ჩასვლა, მაგრამ უფრო ძნელი იქიდან ამოსვლაა, იქიდან ამობრუნება!

– მიბრძანე, კედარო!

– კი არ გიბრძანებ, ნიმროდ, გთხოვ... – სული ძლივს მოითქვა ღვთაებრივმა კედარმა და ნიმროდიც წამოდგა ძალამოცემული, გულში იმედი უღვიოდა. დაემშვდობა კედარს და მწვერვალზეც აღარ იყო.

ნესტს გაეჟღინთა ქვესკნელის შეჭირვებული ჰაერი. თავბრუ დაესხა ნიმროდს და ღრმად ჩაისუნთქა. თავის ბედის ბედაურს კისერზე მოუთათუნა ხელი. სივრცეს შესჩხავლა ბრძენმა ბუმ.

და: დუმუზის სამყოფელისკენ მიქრიან ბედის ბედაური, მასზე შეზრდილი ნიმროდი და იმის მხარზე საიმედოდ მოკალათებული ბრძენი ბუ.

ეიმედება ბედის ბედაურს ნიმროდი, ნიმროდს – თავისი მშვილდისარი, მძიმე ხალიბური რკინის შუბი ხელში და წელზე შემორტყმული ხალიბურად ნაწრთობი ხმალი.. ბრძენ ბუს კი ეიმედება ნიმროდიცა და ბედის ბედაურიც.

„ნიმროდ, შენ ჭეშმარიტი მეომარი ხარ, გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა, – მოესმა ღვთაებრივი კედარის დამაიმედებელი მჟღერი ხმა, – დიდი ბაბილონელი, ჭეშმარიტი შემოქმედი, დუმუზი კი მშვიდობიანი მწყემსი იყო, მხოლოდ მწყემსი!

– მწყემსიო. – შვიდფერმა ქარმა დაასრულა კედარის სათქმელი, – კომბლების ამარა. მე შენ მეიმედები, ნიმროდ!

ამ დროს ნიმროდს სამი დემონი გადაეღობა წინ. სამივე ცალკ-ცალკე დაეზომება და გაკვირვებულია სამივე: ამსიმაღლე ადამიანს არსად არ შეხვედრივართო. – შენ რომელი ხარ? – ჰკითხავს ერთ-ერთი.

– ნიმროდი ვარ! – უშიშრად იტყვის ნიმროდი და სამივეს შეათვალიერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დიდი მონადირე! გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა. გვსმენია შენზე... შენმა ამბავმა აქაც ჩამოაღწია. მაგრამ ქვესკნელში რას დაეძებ?

– დუმუზის სანახავად ვარ მოსული... თქვენ ხომ ვერ მიმასწავლიდით იმის ადგილსამყოფელს?

– სულ წინ იარე და როცა შეგამცივნოს, იცოდე, იქვეა დუმუზის სამყოფელიც.

ნიმროდმაც განაგრძო გზა. უკან ჩამოიტოვა ქვესკნელის კარიბჭე. მალე გოლიათი მწყემსიც შემოხვდა, ღმერთივით მშვენიერი და დაუნჯებული, კეთილაღნაგი და სასწაულებრივ მშვიდი, გაწონასწორებული და მოფიქრალ-მჭვრეტელი.

თვითონ დუმუზი მიესალმებოდა ნიმროდს. – ვიცი, კედარმა ჩამოგგზავნა ჩემთან. ევფრატის წყალი მეც ამიტანია მისთვის და წყურვილიც მოუკლავს იმას ჩემს თვალწინ. კოლხას ქვეყნიდან ჩამოუტანიათ ის ქვევრი, მეც შენებრ ევფრატდალეული ვარ. ერთ საიდუმლოებასაც გაგიმხელ: სამ დღეს ამქონდა კედარისთვის ევფრატის წყალი და სულაც გადამავიწყდა მერე კედარიც... იქნებ გახმა კიდეც? შენ, ნიმროდ, სამი დღით ხარ წამოსული ბაბილონიდან... დრო აქაური და თქვენებური ერთნაირადაც არ მომდინარეობს... აქაური ერთი დღე ბაბილონური ერთი წელიწადია... აქ რომ სამი დღე ჩაივლის, ბაბილონში სამი წელი იქნება გასული, მაგრამ სადარდებელი არაფერი გაქვს... რეა ხელუხლებელს ჩაგაბარებს ბაბილონს... მტერი ვერაფერს დააკლებს შენს ბაბილონს! იშთარის ტაძარიც აგებული დაგხვდება. ჰოდა, მის კარიბჭესთან შეხვდები ებერს – დიდ მწიგნობარსა და მეცნიერს. ამოიყენე მხარში... და გაძლიერდები! კედარიც არ დაივიწყო! არ მოაწყურო... ახლა კი მე გისმენ, მოსულხარ რაისთვის?

– კედარს სურს იხილოს შენი უკანასკნელი სიზმარი.

მწყემსს ფერი ეცვალა. მესიზმრა და გადამავიწყდა კედარისთვის გამენდო იგი. სხვამაც ვერავინ ახსნა ის ჩემი სიზმარი. ყური მომაპყარ, ნიმროდ!

– გისმენ, დიდო მწყემსო! ვეცდები ზედმიწევნით ჩავიწერო ის შენი სიზმარი გულის ფიცარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– წინასწარმეტყველური იყო ჩემი სიზმარი. მხოლოდ კედარს შეეძლო მისი ახსნა, მე კი კედარი არც გამხსენებია მაშინ. აი ჩემი ის სიზარიც:

„ლერწმოვანი ჩემს წინაშე აღმართულიყო, მარტოხელა ლერწამი თავს მიქნევდა.

წყვილ ლერწამს ერთი განეშორა.

ჩემს წმინდა ნაკვერცხალზე წყალი დაღვრილიყო, ჩემს წმინდა სადღვებელს თავი ახდოდა;

წმინდა სასმისი ჩემი სადღაც გამქრალიყო, არწივს ფარეხიდან ბატკანი მოეტაცებინა.

ჩემი ვაცები „ლაჟვარდის“ წვერს მტვერში მიათრევდნენ, ჩემი ერკემლები მსხვილი ჩლიქებით მიწას მითხრიდნენ,

სადღვებელი მიწაზე ეყარა, რძე აღარ დიოდა, სასმისები მიწაზე ეყარა, დუმუზი ცოცხალი აღარ იყო...“

– დუმუზ, დიდო მწყემსო...

– ის სამი დემონი რომც მოკლა, ნიმროდ, მაინც არაფერი მეშველება. ჩემი აქ ყოფნის ვადა ღმერთმა დაადგინა და ის ვადა არცაა ჩემთვის ცნობილი. მეც, აღვიჭურვე მოთმინებით და: ველი იმ ჩემი დღის დადგომას. ასე რომ, გმადლობთ, ნიმროდ: ქვესკნელის გზა ჩემი გასავლელია, რათა ავმაღლდე და ვეზიარო უკვდავებას! შენ დიდი მონადირე ხარ, სწორუპოვარი მეომარი და ღვთის ტოლი მშვილდოსანი... შემიძლია გიწინასწარმეტყველო: შუამდინარეთს მთლიანად დაიპყრობ, შენს სახელზე ილოცებს ევფრატიდან ტიგროსამდე გადაჭიმული წმინდა მიწა – შუამდინარეთი – დიდი ბაბილონი! ღმერთად შეგრაცხავენ ადამიანები და მერე თვითონ ღმერთებიც გაღიარებენ. გახსოვდეს, ნიმროდ: ღმერთებს უყვართ ადამიანები და შენც – ადამ-იანო-ღმერთო, გიყვარდეს ადამიანი! პატივი მიაგე მათ მათივე საფერი! ახლა კი, გზას დაგილოცავ! მიხარია, რომ გნახე და: იქ, თქვენს სააქაოს მოიკითხე საქმენი ჩემნი და ჩემი შეცდომები არ გაიმეორო! არ მოიხედო უკან. თითქოს არც ყოფილიყოსო შენთვის ქვესკნელი!

და ბრუნდებოდა უკან თავის ბედაურზე ამხედრებული ნიმრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, მხარზე ბრძენი ბუ ეჯდა. ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა – ქალამნად!

იხილა ნიმროდმა, რომ ქვესკნელს თავს ზეცა ებურა და თვითონ მიწა ქვესკნელად წოდებული ხომ იხრჩობოდა ადამიანთა ცოდვებით დამძიმებული.

დემონებმაც, დაბრმავებულიყვნენო თითქოს, ვერც კი შენიშნეს უკან მობრუნებული მოგზაური და ნიმროდმაც ფეხი დაადგა თავის მიწას.

ნიმროდი წარსდგა კედარის წინაშე და უკარნახა თავის გულის ფიცარზე აღბეჭდილი დუმუზის სიზმარი და შვება იგრძნო ვალმოხდილივით. კედარმა კი მილულა თვალი, მიიძინაო თითქოს და ფიქრად დაირწა.

სმენადქცეული ნიმროდი ფეხმორთხმული იჯდა კედარის ძირში და მის ტანს მიყრდონობილი რეაზე ფიქრობდა.

„ნუთუ მართლა აშენებულს დამახვედრებს იშთარის ტაძარს? მე გავაღმერთებ რეას! ნუთუ მართლა ამხელა დრომ ჩაიარა ბაბილონში ჩემი არყოფნის დროს?!“

ფიქრადქცეული ნიმროდი კედარის ხმამ გამოიყვანა საფიქრეთიდან.

– ნიმროდ!

– ღვთაებრივო კედარო...

– დუმუზის წინა სასიკვდილო სიზმარი წინასწარმეტყველური იყო... არ გავახსენდი, თორემ შემეძლო ამეხსნა მისთვის იმ სიზმრის ჭეშმარიტი არსი და შესაძლოა, ბედისწერაც შეცვლოდა, მაგრამ გადაბრუნებულია ურემი და ჩავლილ-ჩამთავრებულია გზაც... ვერც მისმა გრძნეულმა დამ ვერა რა გაუგო დუმუზ-თამუზის სიზმარს... გააჩნია სად და როგორ იტყვიან ამ სახელს? ჰოდა, აქაური მზეც დაუბნელდა დიდ მწყემსს. ნახე როგორაა ნათქვამი დუმუზის სიზმარში: „სასმისები მიწაზე ეყარა, დუმუზი ცოცხალი აღარ იყოო.“ დუმუზმა თვითონ იხილა თავისი სიკვდილი სიზმრის დასასრულს.

– კედარო, ჩემო ღვთაებრივო... გააფრთხილეს დუმუზი, სიკვდილი გელისო, შეფარულად, რაღა თქმა უნდა, მწყემსმა ვერა რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგო აქედან. მე კი არაფერსაც არ მეუბნება ის სიზმარი...

– ნიმროდ, მინდა გაიხსენო: ხომ დაგილოცა გზა იმ დიდმა მწყემსმა? ეს მეტად მნიშვნელოვანია!

– ბარე ორჯერაც და მომავალიც მიწინასწარმეტყველა!

– მინდა მისი ნაწინასწარმეტყველევიც გახსოვდეს, ნიმროდ! ახლა კი სიზმარზე! დუმუზის წინ აღმართული ლერწმები ყაჩაღები იყვნენ. დუმუზს საფარიდან მოულოდნელად დაესხნენ თავს. მარტოხელა ლერწამი, თავს რომ უქნევდა, დედამისი იყო, წყვილი ლერწამი კი: ინანა და თვითონ დუმუზი. ისინი ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ (ესეც ნაწინასწარმეტყველევი იყო). ინანა თავს შველოდა და ამიტომაც არ გაემტყუნება. ღმერთქალის სიკვდილი არც შეიძლებოდა! ტყეში ამოფესვული ხე დუმუზია, მის ნაკვერცხალზე წყალი რომ დაღვრილიყო, უნდა ხვდებოდე, ნიმროდ, რასაც უნდა ნიშნავდეს! და: ფარეხიც მდუმარების სახლად ექცა....

მაგრამ გაექცა დუმუზი მდევარს: ოთხი სამალავი ჰქონდა მწყემსს და ერთ-ერთს მიაშურა, მაგრამ მეგობარმა გასცა.

ოთხჯერ გაექცათ დუმუზი მდევრებს, მაგრამ ოთხჯერვე შეიპყრეს იგი, მაგრამ დემონებს არ მოუკლავთ იგი. სიზმრის ბოლო ქვესკნელიდან აღარ გამოგყოლია და მე აღვადგინე.

აი, ის შენთვის უცნობი დავიწყებული სტრიქონიც: „მწყემსის კომბალი სადღაც გაქრაო...“ სწორედ კომბალში იყო მოქცეული მწემსის ძალა და მისი წართმევის შემდეგ იმ სამ დემონს მისი მოკვლა აღარც დაჭირვებიათ. მწყემსს თავისთავად გამოელია ძალა და მისი სიცოცხლეც ასე მიილია. ნიმროდ, შენ კი მეომარი ხარ, დიდი მონადირე, დუმუზი (თამუზი) კი მშვიდობიანი მწყემსი იყო. გული მეუბნება, რომ თავისი მკვლელების ვინაობასაც დაგისახელებდა.

– სწორედაც რომ დამისახელა: – ბილულუ-საწვიმარი ღრუბელი, გირე-გირე-თვალისმომჭრელი ელვა და მესამეც – „არვის შვილი,“ – თქვა ნიმროდმა და ჩაფიქრდა. – შურს ვიძიებ! – წამოიძახა განრისხებულმა, მაგრამ დღემდე ვერ მივმხდარვარ, სინამდვილეში ვინ იყო დუმუზი? დიდი მწყემსიო, მაგრამ არაფერს რომ არ მეუბნება ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დუმუზი (თამუზი) იყო მეორე მეფე მიწიერი მეფობის დასაბამიდან, როცა ციდან ჩამოვიდა მეფობა და ერიდუში დამკვიდრდა:

– გმადლობთ, ნიმროდ, მე შენ დიდი სამსახური გამიწიე. – იტყვის კედარი და აშრიალდება.

– მე არ მიგატოვებ, ღვთაებრივო კედარო, ვერ დავუშვებ რომ მოგწყურდეს და წყლის მიმწოდებელი არავინ გყავდეს! – ნიმროდი წამოდგა, ხელები შემოხვია კედარს, ეამბორა და მოწყდა მის ტანს. ქვევით დაეშვა. წინ ფიქრი მიუძღოდა და ცდილობდა ფეხი შეეწყო მისთვის.

და ასე ჩაფიქრებულს ესმა: – ნიმროდ, კვლავაც გელი ნაშუადღევს, როგორც ყოველთვის. სამი დღის შემდეგ!

მერე: მიეახლა ევფრატს და წყალმაც მიაგება მშვიდობის ტალღა. ნიმროდმა პეშვით შესვა ევფრატის წყალი და ყური მიუგდო მრავლისმომსწრესა და ყოვლისმცოდნე მდინარეს.

– ნიმროდ, მოგესალმები! გილოცავ ქვესკნელიდან მობრუნებას! იქ ჩასული ბევრი მინახავს და ამოსული იქიდან – არავინ! მახსოვს დუმუზი – დიდი მწყემსი!

– მოგესალმები მეც, დიდო წყალო! ერთი სული მქონდა, სანამ გნახავდი...

– წყურვილი მოგიკლავს, ვხედავ და საქმეზე აღარ გადავიდეთ? ერთი რამ მიკვირს: იმ ხალხს, ნოედან გამოსულს, კეთილი თვალით რომ დასქცერის ცაბაოთი, შენ რას გერჩის, რატომ ვერ გიტანს? ისეთი რა დაგიშავებია მისთვის, რომ ასე მოგიხსენებს: „ჩემი რჩეული ხალხის უგუნური შვილიო...“ ანათემაზე გადაუციხარ! ფრთხილად, ნიმროდ! როგორმე უნდა აიცილო მისი წყველა!

– იგი აღარაა ჩემი ღმერთი და რომ არ მერჩოდეს, ეს უნდა გამიკვირდეს. ავუჯანყდი იმიტომაც, რომ წარღვნა მოუვლინა ადამიანებს. თვითონ გაგვაჩინა ცოდვილნი და ვცოდავთ. ასეთი ღმერთის როგორ ვიწამო, როგორ ვირწმუნო იმისი, როცა ადამი – ის უწყინარი კრავი, სამოთხიდან გააძევა და იგი ვიწამო ღმერთად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნიმროდ, ის ყოვლისშემძლეა...

– მაგრამ – არც ერთადერთი! შუამდინარეთში ღმერთებს რა გამოლევს და მეც უფლებამოსილი ვარ, ავირჩიო, ჩემი შეხედულებისამებრ!

– ვერ გაგამტყუნებ, არჩევანი შენია... კედარს მოსვლიხარ თვალში. ვიცი, კვლავაც დაუბარებიხარ! შენ გაგიმართლა, ნიმროდ! ალბათ სულ მალე გაგიმხელს დროის კარიბჭის საიდუმლოებას...

– წყალო, მითხარი, ვინ არის კედარის ღმერთი?

– კედარის ღმერთი?! პატივს მიაგებს ყველას... თვითონ ღმერთი...

– ცაბაოთი, ვიცი დროს მაკარგვინებს. ჩემთვის კი დაკარგული ერთი წუთიც ცოდვის ტოლფასია! დაკარგული დროის აღდგენა ადამიანს აღარ ძალუძს.. რა გზას დავადგე და რა ვიღონო?

– ჩემი რჩევა? – სული ძლივს მოითქვა ევფრატის წყალმა, სწორედ ადამიანივით გაუჭირდა სულის მოთქმა და ხმადაბლა ადუდუნდა: – სამი დღის შემდეგ კედარს რომ შეხვდები, არ მოგერიდოს, აუწყო იმას შენი გულის ფიქრი... გაენდე კედარს და მიენდე მთლიანად, მთელი შენი არსით. მაგრამ უნდა აჩქარდე. ეცადე, ახლა თვითონ შენ არ დააკარგვინო მზეს იგი დრო! ერიდუშიც გელოდებიან. რეას გული გადალევია შენს მოლოდინში. იშთარის ტაძრის გახსნა უშენოდაც არ უნებებია!

ელოდებოდნენ ნიმროდს სასახლეში!

აივანზე გადმომდგარიყო რეა. ევფრატისფერი კაბა ეცვა, ასე რომ აღაფრთოვანებდა და აღაგზნებდა ნიმროდს. ჰოდა, თვალი მოჰკრა რეამ იმ თავის ბედის ბედაურზე ამხედრებულ ნიმროდს, მხარზე ბრძენი ბუ რომ ჩაფრენოდა და სიხარულისგან კინაღამ არ გადაელია გული. კიბის საფეხურები ჩამოირბინა, უკან ძიძა მოსდევდა, ექვსი თვის ჩვილი მკერდზე მიეკრა.

წამიც და ნიმროდიც სასახლის ეზოშია. მზის საათის დიდი ისარი სადაცაა გადასცდება ნაშუადღევს. იმ წამს მეორე წამი მოჰყვა და აღარც ბედის ბედაურია მათ სიახლოვეს და აღარც – ბრძენი ბუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნიმროდ, აგერ შენი ძეც, დღეს ექვსი თვე შეუსრულდა, ნაშუადღევს.

ნიმროდმა ჩვილი ჩამოართვა ძიძას და მაღლა შეისროლა. აქეთ სუნთქვა შეკვროდა რეას და იქით ძიძა გადაფითრებულიყო, ისიც სუნთქვაშეკრული.

– ჭეშმარიტი მონადირე დადგება ამ ბიჭისგან, – მეორედაც შეისროლა ჰაერში ნიმროდმა ჩვილი და საიდან, რატომ და როგორ, დუმუზის სახე ამოუტივტივდა თვალწინ. ჩვილი მკერდზე მიიკრა და ამოთქვა: – სახელი ბიჭის?

– უშენოდ, ნიმროდ, სახელს როგორ დავარქმევდი?!

– დუმუზი იქნება ჩემი ძის სახელი, ერთი დიდი მწყემსის საპატივცემულოდ, რეა!

– დაილოცოს მისი სახელი, ნიმროდ, მაგრამ იგი ხომ მხოლოდ ერთი მშვიდობიანი მწყემსი იყო?

– დაე, იყოს ისე, როგორც ვთქვი, – თქვა ნიმროდმა და ჩვილი ძიძას გადასცა. იმანაც მკერდზე მიიკრა ჩვილი და კიბე აირბინა.

ნიმროდი და რეა მარტონი რჩებიან. ისინიც ნელა აუყვებიან კიბეებს ისე, რომ თვალი არ მოეწყვიტათ ერთმანეთისთვის.

– სადაცაა მზე, უკვე ვინ იცის მერამდენედ, დღესაც მოიმშობიარებდა თავის ჩრდილს და... – ძირს დაიხედა. – რეა, ჩვენი შვილი თამუზი მინდა დიდი მწყემსი იყოს... დიდი მეომარი არც მინდა იყოს... – და ფიქრი გულს გადასცა:

„ჯერ მაინც არ დამდგარა თქვენი დრო...“ – ფიქრი გაახმიანა ისევ: – მაგრამ, როცა საჭირო დარჩეს, მაღლა აღმართე ის შენი კომბალი და ვერავინ დაუდგეს წინ კომბალშემართულ ჩემს თამუზს. გახსოვდეს, ვერავინ დაგასწროს! კომბალიც იარაღია! თექვსმეტი წლის რომ გახდები, ხალიბებს გამოვაკვერინებ შენთვის ერთ დიდ რკინის კომბალს და მაშინ ვაი, შენს მტერს!

„შენებრ გმირი მონადირე და მწყემსი დუმუზივით...“ – ფიქრი აქ შეიწყვიტა რეამ და მოუნდა მოფერებოდა თავის ნიმროდს.

სამი დღე და ღამე არ მოცილებიან ერთმანეთს რეა და ნიმროდი, სამ დღეს არავის უნახავს ნიმროდი – დიდი ბაბილონის მეფეთ-მეფე, ქურმთ-ქურუმი და მოწყალე ხელმწიფე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ნიმროდს არ დავიწყებია, რომ კედარის ხე მოელოდა. ჰოდა: გვერდზე გადადო ათასი საქმე და თავის ბედაურს უხმო.

სასახლის ეზოში რომ აჭიხვინდა ბედის ბედაური, ნიმროდი უკვე ჩამოდიოდა ასსაფეხურიან კიბეზე.

წვიმდა.

ნიმროდი ამხედრდა და ბრძენ ბუსაც აღარ გაჭირვებია თავისი ადგილის მონახვა ნიმროდის მხარზე.

* * *

ათას ხმაში გამოიცნობდა კედარის ხმას. კედარი მოუხმობდა: „გული გეტყვის, როდის მოხვიდე ჩემთან, ნურც ძალიან აჩქარდები და ნურც ძალიან შეანელებ ნაბიჯს: – კედარის ფიქრი მოსვლოდა ნიმროდს და „რა იქნებოდა ჩემს ბედაურსაც ისე ექროლა, როგორც დრო და ვითარება მოითხოვსო?“ გაიფიქრა და ისე გამოსხლტა სივრციდან, თითქოს წყლიდან ამოეყვინთოსო.

– წყალო დიდო, დიადო მდინარებავ, დიდება შენდა, ნიმროდი მოგესალმები! – იღლიაში ამოიჩარა წყლით სავსე ქვევრი და მწვერვალისაკენ აუყვა გზა-ბილიკს.

„ჩემს კედარს გაჭირვებია, თორემ ასეც არ აუთრთოლდებოდა ხმა!“ – გაუელვა ნიმროდს და სული კედართან მოითქვა. წყალი დაუსხა ძირში. ამ დროს ევფრატიდან ამოვარდილმა ქარმაც მოუქროლა და კედარიც ძველებურად ააშრიალა.

ნიროდმა ხელისგული აუსვა-ჩამოუსვა ტანზე კედარს, ფეხები მოირთხა აღმოსავლელი მოგვივით და კედარის ტანს ზურგით მიუერთდა. იგრძნო, როგორ უფეთქავდა კედარს გრძნეული გული და აჩქროლებოდა ძარღვებში სისხლი.

ფიქრობდა კედარი და ფიქრობდა ნიმროდიც. ელოდნენ იმ წუთის დადგომას, როცა საათივით აუწიკწიკდებოდათ გული.

– კედარო, იმას როდი ვითხოვ შენგან, ერთბაშად შევივსო შენით, თვითონ შენ კი დაცარიელდე?

– ნიმროდ, მე სავსე ვარ შენით... არც შენ დაცარიელებულხარ. ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩადგა ევფრატისეული ქარიც და კედარიც დამშვიდდა. აბობ-ოქრებული სული დამშვიდებოდა ნიმროდსაც.

ჩამომდგარიყო სწორედ ის წუთი, როცა ერთსა და იმავეზე ფიქრობდნენ კედარი და ნიმროდი.

– დიდი სამსახური გაგიწევია, ნიმროდ, შენ ჩემთვის... შენი ვალი მმართებს. დროა მეც გავისარჯო! – ხმას აუწია კედარმა და შეირხა მძლავრად. დაუშვა კოკისპირულმა წვიმამ. მაგრამ მალევე შეწყდა. მეორედაც შეირხა კედარი და ცხრათვალა მზეც გამობრწყინდა.

– ნიმროდ, მზე შუბისტარზე დგას, დროა!

ნიმროდი მაღლა აიხედავს.

კედარი მესამედაც შეირხევა და როცა წონასწორობას აღიდგენს, კენწეროში, ლაჟვარდოვან ბადურაში გახვეული გირჩი რომ ება, მოწყდება თავის ყუნწიანად და კედარის ძირში ფეხმორთხმული ნიმროდისგან ზუსტად ერთი ხელის გაწვდენაზე დაეცემა რბილად.

– ნიმროდ, ამ გირჩში ოცდაცამეტი კაკალია, ჩვეულებრივი თხილის სიმსხო. ადვილად ვერ გასტეხ. თუმცა იოლად იხსნება. გამოიღებ ერთ კაკალს და გადახსნი, ამოიღე შიგთავსი და: სამ წუთს უნდა ღეჭო, დაფქვამდე, მაგრამ გადაყლაპვამდე უნდა ინატრო: და გაგეღება დროის კარიბჭეც. ამ გირჩს გაუფრთხილდი, ნიმროდ!

ნიროდმა უკან მოუხედავად დატოვა კედარი. იქ ქვევით თავისი ბედის ბედაური ელოდა, ბედაურზე ამხედრებულს ბრძენი ბუც დააჯდა მხარზე და სივრცესაც შეუერთდნენ.

ჩქარობდა ნიმროდი: სასახლეში რეა ეგულებოდა. ერთი მეორით რომ ამოვსებულიყვნენ.

შევიდოდა ნიმროდი რეაში, შევიდოდა რეაც ნიმროდში, რომ ერთ არსად ქცეულიყვნენ და დავიწყებოდათ ქვეყნად ყოველი...

* * *

შემტრედისფერდა და ფეხზე იდგა ნიმროდი. დახედა მძინარე რეას და გული რაღაც ჯერ განუცდელი გრძნობით ამოევსო. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყურებდა რეას და ვერ გამძღარიყო მისი ყურებით. შეესვა უნდოდა იგი ევფრატის წყალივით და მოწყურდა: – ქალღმერთიაო, – გაიფიქრა, გამოეღვიძოსო.

და თვალი გაახილა რეამაც. ნიმროდი იყო მასთან და სიხარულმა თავბრუ დაასხა.

„ნეტა შემოვიდოდეს ჩემში! მე ნიმროდი მაკლია... ალბათ ვერასოდეს ავივსები მისით... მოდი, ნიმროდ, დამავიწყე, რომ რეა ვარ... ევა, ევაა ჩემი სახელი... ნიმროდ, მე შენი რეა კი არა, ევა ვარ...“

და წაიკითხა ნიმროდმა რეას ფიქრები: ფეხის წვერებზე შედგა: – მე რეა მინდა, ევაზე არც არასდროს მიფიქრია. არც კი ვიცი, ვინ არის ევა... რეა, მე შემოვდივარ შენში... მინდა დავიმსხვრე წყლის შხეფებივით, მოგედო და... – მართლაც: შედიოდა ნიმროდი რეაში და ნეტარება იყო ეს. ნეტარებად ქცეულიყო რეაც...

* * *

ფიქრის ოთახში შევიდა ნიმროდი: ფიქრობდა რეაზე, მერე ფიქრი იმის მამაზე გადაიტანა, ვინც ასე დაქვეითებული დარჩენილიყო: ქურუმთუხუცესი იყო და უფროს ქურუმამდე ჩამოაქვეითა. დიდი ვარსკვლავთმრიცხველი ქალდეველი... მაგრამ კმარა იმაზე ფიქრი, ვისგანაც აწი ველარაფერს ვისწავლი.“ ჰო, მართლა: იშთარის კარიბჭესთან განა ებერს არ უნდა შევხვედროდი?! ებერთან შეხვედრის შემდეგ, ვგრძნობ რაღაც შეიცვალოს ჩემს ცხოვრებაში. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ბაბილონიც შეიცვლება! ებერი – დიდი მწიგნობარი, სწავლული და მეცნიერი, ალბათ დიდი ვარსკვლავთმრიცხველიც! იქნებ მისგანაც უნდა ვისწავლო რამე?! ამაზე ვიფიქრებ. ნეტა როგორია შესახედავად. მახსოვს, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო... მეც ხომ ჩვეულებრივი ბიჭი ვიყავი ებერისთვის? მაგრამ დღეს მე დიდი მონადირე ვარ! დიდი ნიმროდი! – კიბეზე ჩამომავალ ნიმროდს მხარზე ბრძენი ბუ ეჯდა, სასახლის ეზოში კი ბედის ბედაური ჭიხვინით იკლებდა იქაურობას.

და: ერთ არსებად ქცეული ბედის ბედაური, მასზე ამხედრებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ნიმროდი, მხარზე ბრძენი ბუ რომ ეჯდა, შეერევიან სივრცეს. ქარის ქროლაზე ჩქარია მათი სრბოლა.

ნიმროდს დუმუზი უდგას თვალწინ, მშვიდობიანი მწყემსი, თავი ვერაფრით რომ ვერ დაუღწევია ქვესკნელისათვის.

– დუმუზ, იქნებ შემახსენო, ვინ არის მტერი შენი? და დუმუზიც უპასუხებს: – ბილულუ, ნიმროდ!

– ის საწვრიმარი ღრუბელი? მაგრამ მეორე მტერი?

– გირე-გირე... ელვა, ნიმროდ და მესამე: ის არვის შვილი! აი ჩემი მტრები, ნიმროდ!

ნიმროდი წინ გადაიხარა და საწვიმარი ღრუბელიც გამოუჩნდა. „ეს ბილულუა“, – გულში იტყვის ნიმროდი და მოზიდავს თავის ჯადოსნურ მშვილდს. ისარიც მიწვდება საწვიმარ ღურბელს და გულგანგმირული ბილულუც მიწაზე გდია სულამომხდარი.

საწვიმარ ღურებელს ელვაც მოჰყვება. ნიმროდიც მოზიდავს მშვილდს და სტყორცნის ისარს.

– ახლა შენი ჯერია, გირე-გირე... ვერ მომხვდა მე შენი ელვა, შენ კი უეჭველად მოგწვდება ჩემი სიკდილის ისარი! აჰა, მოგწვდა კიდეც?! – ახლა ხელშუბს მოიმარჯვებს ნიმროდი და კვალში ჩაუყენებს იმ თავის სიკვდილის ისარს. მიწვდა ხელშუბი ელვას და ელვაც ჩაქრა.

ნიმროდი იშიშვლებს თავის ხმალს: – ჰეი, შენ, არვის შვილო, ვერ დაემალები ნიმროდს, თუკი ხარ სადმე, გიხილავს და სულსაც ამოგხდის! სამალავიდან თავი ვერ გამოგიყვია?! – თვალს გაუსწორებს სივრცეს და შესძახებს: – ეჰეი შენ, არვის შვილო, რად მემალები?!

– მე აქ ვარ, შე უღმერთოვ, შენს ირგვლივ, თვალებდამდგარი ვეღარც კი მხედავ?! – ცდილობს არვის შვილი, გააღიზიანოს ნიმროდი, წონასწორობიდან გამოიყვანოს. სიბრაზისგან გაცოფებულს ხომ ადვილად მოუვლის და მერე სულსაც შეუხუთავს...

– მესმის შენი, შე მართლა არვის შვილო! ასე მაინც როგორ უნდა შეცდე, რომ თვალებდამდგარი გეგონო?!

– ვარ, ნიმროდ და ჩემს სიახლოვეს რომ ამოიწვა, გათავისუფლდება შენგან ცაც და მიწაც! მართლა მონადირე გგონია თავი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ მოგატყუა, ნიმროდ?! შენ მგონი არც იმ წინასწარმეტყველებაზე გსმენია, რომ ჩემი ხელით განიგმირები! ეს გარდაუვალია! მერე და... – სათქმელი ვეღარ იპოვა განრისხებულმა არვის შვილმა და ზიზღით გადმოაფურთხა.

– ოფლი გდის, შე არვის შვილო?! ჯერ სადა ხარ? ოფლი ხომ დაგდინდა და დაგდინდება შენ შავი სისხლიც! შენი წუთები, არვის შვილო, დათვლილია!

ენა ვეღარ მოაბრუნა არვის შვილმაც. სულაც დადუმდა და პირში წყალი დაუგუბდა.

– ენა ჩაგივარდა, არვის შვილო?! ასეც ვიცოდი! ეს რა სახელი გქონია?! არვის შვილი! შენ არც დედა გყოლია და აღარც – მამა! ეს რა უბედურებაა შენს თავს? თითით გაკეთებული ხომ არ ხარ?! იქნებ არც დაბადებულხარ და სულ ტყუილად გგონია, თითქოს მართლა იყო! სინამდვილეში არ ხარ და არც აროდეს ყოფილხარ! შე არარავ, არარაობავ მართლაც! არავინ ხარ და არაფერი!

– მე არ ვარ და არც აროდეს ვყოფილვარ? – თავი ვეღარ შეიკავა არვის შვილმაც და სამალავიდან გამოყო თავი, – აჰა, ნახე, თუ არა ვარ?!

ნიმროდიც ამას ელოდა, იხილა არვის შვილი და ხმალი მოუქნია, – აწი მართლა აღარ იქნები! ამ წუთიდან აღარც ხარ! არვის შვილო... შენ ამართლებდი შენს სახელს!

ჰოდა, დაგორდა აყალო მიწაზე არვის შვილის თავი და იმწამსვე ამოიშალა მისი სახე ხედვის არედან.

მართლაც და: არარად ქცეულიყო იგი – არვის შვილი(...)

ნიმროდმა დუმუზისადმი მიცემული სიტყვა შეასრულა და სივრცეს უსწორა თვალი.

ნიმროდის თვალწინ მეორედაც გაიელვა დუმუზის სახემ: – შენ დღესვე შეგიძლია დატოვო ქვესკნელი! ყველგან, ყველგან მოელიან მშვიდობიან მწყემსს!

– დუმუზის ნებაა, აწი სად ადიდოს ინანა... დედამიწაზეც და ყველგან, სადაც სიცოცხლეა: მიწა, ჰაერი, წყალი და ცეცხლი! – ეს ხმა კედარისას ჰგავდა...

ბრუნდებოდა ნიმროდი უკან და: ათასი ფიქრი მოუძღოდა წინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ებერი თავისი სახლეულით მოდგომოდა ბაბილონის კარიბ-ჭეს, ზედ იშთარის ტაძრის წინ.

ეს იყო ბაბილონის ქვეყანა, სადაც ერთი ენა ჰქონდათ და ერთი სიტყვა. თიხის ფირფიტა ეკიდა გალავნის დასავლით, რომელსაც ეწერა: „ნიმროდი მეფეთ-მეფე ბაბილონისა, ქურუმთ-ქურუმი და მოწყალე ხელმწიფე! მეფე შუმერისა და აქადის, მეფე თავისი ხალხის, მეფე ღვთაება, რომლის წინაშე უძლურია ადამიანური ძალა... და მეფე – მწყემსი!“

მეორე ფირფიტა (გალავნის აღმოსავლეთით) იუწყებოდა: „.... და თქვა ნიმროდმა: „მოდი და გავაკეთოთ აგურები, გამოვწვათ ცეცხლში...“ და ჰქონდათ აგური ქვის ნაცვლად და ფისი-კირად.“

* * *

იჯდა ებერი ფიქრად: „აღაშენა ბაბილონი, ღვთის კარიბჭე, თვით ქვეყანა ღმერთის და განივრცობა იგი ევფრატიდან ტიგროსამდე, ოღონდ...“ – გაუმწარდა ფიქრი და საწამლავად ექცა, – ნიმროდი ღმერთად გამოაცხადებს თავს. იგი იქნება თვითონ მარდუქი: და დაიქცევა ბაბილონი! ნიმროდის კვალს კი ვერავინ მიაკვლევს, როგორც გაჩნდა და მოევლინა ბაბილონს, ისევე გაქრება და გაუჩინარდება...“ მაგრამ ახალმა ფიქრმა შეიპყრო ებერი: „... საღვთო წიგნებში აღიბეჭდება ხსენება ნიმროდის (ნებროთი), გმირი მონადირისა, რაც მოასწავებს: მოინადირებს ბევრ ხალხს, რომელთა მეუფება დაიწყო სენაარში (შინყარ, იგივე შუმერი), სადაც ყოფილა ქალაქები: ბაბილონი და ერექი (შემდგომ ურუქი), აქადი და ქალნე... ააშენებს ნინევიას... ააშენებს ბაბილონის გოდოლს...“ – ამას იქით ებერის ფიქრი ვეღარ წავა.

– ებერ! – ეძახდა ვიღაც. მიმოიხედა ირგვლივ. არავინ იყო: „ჩემს სახლეულს სულ სხვა საფიქრალი აქვს. მაშ, ვინ უნდა იყოს?“

– ებერ! – ისევ ესმა. ამჯერადაც ვერავის მოჰკრა თვალი და თავის თავზე მოუვიდა ბრაზი: თითქოს ხმა ეცნო, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, ვის ეკუთვნოდა ეს ხმა, „ვისი ხმა მიხმობს?“

– ებეერ! – თითქოს უახლოვდებოდეს ეს ხმა, მაგრამ არავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მის სიახლოვეს: – ებერ, ვეღარ მიცანი? – უსაყვედურებდა ხმა.

– ნოე, დიდი ნოე?! დიდი პატრიარქი ნოე... – გაკვირვებისგან ენა ჩაუვარდა ებერს.

– ნოე ვარ, არ შემცდარხარ, ებერ... – ხმა დაუდუმდა ებერს და ფიქრი წაიღებს:

„მაინც რატომ მომიხმობს?!“ – გააძაგძაგა ებერს და ანაზდეულად შეიბერტყა მხრები, „ბიჭი ვიყავი, რომ მეუბნებოდი, ნიმროდი იშთარის ტაძარს ააგებს და მის შესასვლელში შეხვდებიო ნიმროდს...“

– იშთარის ტაძრის გახსნაა დღეს. შენ არც ის იცი, რომ ნიმროდი დროის კარიბჭის საიდუმლო გასაღებისთვის ქვესკნელს ჩავიდა. ამბობენ საწადელს მიაღწიაო....

– და კიდევ: ნიმროდი შემდგომ ნაბიჯსაც გადადგამს! – ებერმა უკმაყოფილების ნიშნად თავი გადააქნია: „ნიმროდი ბაბილონის გოდოლის შენებას დაიწყებს, მაგრამ...“ – შეჭაღარვებულ წვერზე ჩამოისვა ხელი: „ამაზე შორს ჩემი ფიქრი ვეღარ მიდის... ახლა სად არის, ნიმროდი?

– კედარის ძირში ფეხმორთხმულს ვხედავ...

– და ჩაწვდება დროის არსს?!

– ჩაწვდება ცოტაა: იმოგზაურებს წარსულში, შესაძლოა მომავალშიც შეიჭვრიტოს, გადაწიოს მომავლის ფარდა და... გადავა ერთი სამყაროდან მეორეში...

– მე უფრო ბაბილონის ბედი მაინტერესებს. ბაბილონის ბედს კი ნიმროდი წერს. ბაბილონსაც აქვს თავისი ბედისწერა, როგორც – მის შემოქმედ ნიმროდს. მაგრამ რა იცის თვითონ ნიმროდმა თავის ბედისწერაზე? მაგრამ: აღარ იქნება ნიმროდი და ბაბილონიც დაიქცევა... ცუდი წინასწარმეტყველი გამოვდივარ მე – ნოე!

ებერს ოფლი დაასხამს: – და რა მევალება მე – ებერს?

– ნიმროდი ეცდება, მეგობარი იხილოს შენში, თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოგიყენოს, მაგრამ შენ შენი, განსაკუთრებული მისია გეკისრება, ებერ: გადაარჩინო ჩვენი სული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული სამხრეთის და ჩრდილოეთისაც! შენ შენი სიტყვა გაქვს სათქმელი! ჩვენი საერთო – ქალდეველთა ენა და დამწერლობაა გადასარჩენი. დამილოცნია, ებერ, შენი დიდი გზა! და აწი რასაც მე ვეღარ ვხედავ, შენ უნდა დაინახო!

– მაგრამ დავინახავ კი? – ევფრატიდან მონაქროლმა ქარმა თმა-წვერი აუწეწა ებერს: ვერაფრით მიმხვდარიყო, უწყრებოდნენ თუ ესალმებოდნენ:

„ეს დიდი წყალი – დიდი მდინარება?!“

* * *

ჯერაც დრო იყო ნაშუადღევამდე... ნიმროდსაც დრო ფიქრისთვის თავზე საყრელად აქვს და ფიქრსაც ებერივით იწყებს რატომღაც. მაგრამ რამ გაახსენა ებერი?!

„დღეს ხომ ჩემი და ებერის შეხვედრის დღეა. დღეს იშთარის ტაძრის წინ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს: მე – ნიმროდი ვხვდები ებერს, თუ ებერი მხვდება მე – ნიმროდს?

სამწუხაროდ ებერზე ისე ცოტა რამ ვიცი, რომ...

ებერიც ისევე ქალდეველია, როგორც – მე. ისე კი ვგრძნობ: ებერი ბევრის შემძლე ვინმე უნდა იყოს და იმითაც დამიშავებია, რომ ჩემი თვალსაწიერის არეალში ამდენ ხანს არ მომიქცევია. ალბათ მოვადუნე სიფხიზლე და ძალაუნებურად გამომრჩა რაღაც მნიშვნელოვანი და ვის, თვითონ ნიმროდს?! ვინაც ღმერთს, უზეშთაესს აჯანყებია?! ამიტომ: რაკი მაინც გამომრჩა რაღაც, უნდა ავინაზღაურო! თუ მოვიპოვო?! ებერ, შენ ჩემს გვერდით უნდა დადგე, ამიტომაც უნდა ამაღლდე! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი თვალსაწიერი შენთვის შეიძლება უსასრულობა დარჩეს... ლაყე კვერცხივით შეიძლება აჯაყჯაყდე ჩემს თვალსაწიერში და სიცოცხლე გაგიმწარდეს. მაგრამ ნუ შეგაშინებს ეს: ჩემს გვერდით ყოფნითაც შეგეძლება გაიფართოო თვალსაწიერი საკუთარი და მომიახლოვდე!

ებერი მოფიქრალია, ფიქრის კაცი და სწორედ მისი ფიქრი მჭირდება მე! უნდა ჩავწვდე სულში, უნდა ვიცოდე: რა ულხინს, რა ჭირს და რა უჭირს?! მის ფიქრებს უნდა მივაყოლო თვალი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავითავისო მისი აზრიც! მისი ცოდნა და გამოცდილება. ებერი წყურია ნიმროდს ევფრატის წყალივით. ებერი ჭირდება ჩემს ბაბილონს, ჩემს ფიქრებს. ერის განათლებაა საჭირო, განათლების გარეშე ვერავინ ამაღლდეს!

ამიტომ: ებერი ჩემს სამსახურში უნდა ჩადგეს! და რატომ ჩემს სამსახურში?! იმიტომ, რომ ბაბილონი მე ვარ!

ნიმროდმა დახედა ამას წინათ აწყობილ მზის საათს: – დროა, ვუახლოვდებოდეთ საკუთარ სულში ამოჭრილ შუბისტარს!

უხმო თავის ბედის ბედაურს. იმანაც ჩვეული ჭიხვინით ამცნო, რომ ესმის მისი. წამიც არ გასულა და ბრძენი ბუს ფრთების ტყლაშუნიც ესმა....

* * *

ჩამომდგარიყო დიდი დღე: დღე სასწაული.

დილიდანვე ცრიდა, მიწა ხარბად ისრუტავდა ზეცისმიერ საჩუქარს, იჟღინთებოდა წვიმის წყლით.

აგრილდა. უხაროდა მიწას, მადლიერი იყო, მაგრამ სხვანაირად ფიქრობდა თვითონ წვიმა: „ამოვხდი სულს ისე, რომ სუნთქვაც გაუჭირდეს.“

„აქეთ ჩემკენ, ღრუბელო... – გულში იძახის მიწა. – ჩამოაწვიმე, ჩამოიქეცი ბარემ, შენ რომ გჩვევია ისე და შენს სახებას გულის ფიცარზე ამოვიბეჭდავ!“

„ეს რანაირი ღრუბელია: ღრუბელი წვიმის, სწორედ ამ უზარმაზარ და წვიმით დამძიმებულ ღრუბელს ამოვაკვეთინებ ჩემს ოსტატს მთავარ კედელზე... პოეტიც რომ ჰიმნს მიუძღვნიდეს ამ საოცარ ღრუბელს...“ – ფეხი დაჰკრა მიწას და გაუელვა: „იწვიმებს კიდევ და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს?! მაგრამ, უჩრდილოდ ყოფნაც ხომ არ მობეზრდებათ ადამიანებს?! სწორედ რომ ჩემი დღეა: „ღრუბლის საგალობელსაც თვითონ დავწერ! სათაური?! ჰო: „სიცოცხლემოწყურებული მზე უჩრდილოდ შთენილი!“

ტაძრის კარიბჭესთან ჩამოხდა ნიმროდი. ბრძენ ბუს ბედის ბედაურის ქედზე მოეკალათებინა. ბედის ბედაურმაც დაიჭიხვინა, აგრძნობინა ბრძენ ბუს თავის ქვებუდეში შეენახა ბასრი ბრჭყალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას ნიმროდი კარიბჭესთან და ელის ებერს!

„ქალდეველია ჩემი ებერიც. მე ბიჭი მახსოვს იგი, დღეს როგორია ნეტა? ვინ არის ებერი დღეს?“ – ფიქრი წაიღებს ნიმროდს, მაგრამ ფეხის ხმას გაიგონებს და თავის და უნებურად მიაყურადებს. გუმანით იგრძნობს, კაცი, რომელიც ასე ფეხაკრებით უახლოვდებოდა ტაძარს, ებერი უნდა ყოფილიყო. ებერი-სემიტი, თვითონ ნიმროდი – ქამიტი; სემი და ქამი ხომ მკვიდრი ძმები იყვნენ, დიდი ნოეს ძენი! ებერი – მისი ტოლი და სწორი, წუთებით უნდა იყოს ჩემზე უფროსი! ტყუპებივით ვიზრდებოდით. ჩემზე უფროსი ებერი პატივით უნდა მივიღო ბაბილონში! ნეტა, ვინ უფრო დიდ სახელს დაიმკვიდრებს ისტორიაში: სემიტი ებერი თუ ქამიტი ნიმროდი? „მაგრამ მე გამაღმერთებენ!“ – კინაღამ მოწყდა ეს სიტყვები იმის ენის წვერს. შეფიქრიანებულმა ღრმად ჩაისუნთქა და ოფლი დაასკდა: „მეხსიერებაში გადავინახავ ამ ჩემს ამაღლებულ ფიქრს. ჯერ ვერ გავაჟღერებ. ხვალინდელი დღეც ხომ ჩემია! თუნდ ჩრდილოვანი და თუნდაც – უჩრდილო!“

ჰოდა, ფიქრად გადაინახა ნაფიქრალი და საკუთარ თვალშიც უსაშველოდ ამაღლდა. – მაგრამ ებერი?

თითქოს და მოირწეოდა იგი ნიმროდისკენ, მოირწეოდა საკუთარი ღირსების შეგნებით, სემიტი ჭეშმარიტად! სწორედ დიდი მოძღვარივით და გზასაც თავისივე გაბრწყინებული თვალები მოუნათებდნენ....

იგიც კეთილაღნაგი ტანით, მაგრამ ნიმროდამდე სად მივიდოდა?!

„მონადირე არაა!... მხოლოდ – ქალდეველი ქურუმი! ამაღლებულიც, მაგრამ მთლად სრულყოფილიც ვერ უნდა იყოს... ჩემამდე ვერ მოვა, მაგრამ.... შემძლეა ბევრის!“

კიდევ ერთი რამ ენიშნა ნიმროდს: მოდიოდა მისკენ ებერი ლაღად, ევფრატისფერი დაწმენიდილი თვალებით, მაშინ როცა თვითონ ნიმროდი ევფრატისებური მღვრიე თვალებით ხვდებოდა ებერს: „ჩემი ამღვრეული თვალები აუმღვრევენ ებერს იმ ევფრატისებრ დაწმენდილ თვალებს... სულსაც აუმღვრევენ!“ – ამ გულით დაექადნა ნიმროდი ებერს, მაგრამ მაინც ხელებგაშლილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმილით შეეგება თითქმის თავის ტყუპისცალს. ნიმროდს უკვე გაეცნობიერებინა, რომ დიდი ებერი უახლოვდებოდა, მაგრამ ჯერაც არ უწყოდა, რატომ უნდა ყოფილიყო ებერი ასე დიდი?!

„დიდი ებერი?! ამ ღირსეული სახელის გასამართლებლად, დიდი გარჯა დაჭირდებოდა ნიმროდის სამსახურში ჩამდგარ ებერს! ჩემი ტყუპისცალი ვერასდროს იქნება თუნდაც უბრალო მონადირე! მაგრამ... ერიდუში კიდევ ყოფილა ერთი დიდი მონადირე, ჩემს დაბადებამდე, იგი შუმერის დიდი მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი ყოფილა, დიდი ლუგალი...

„მეფე ღვთაებრივი ქვეყნის!

მეფე შუმერისა და აქადის...“

„მერე? და კიდევ რა?“ – აღარ მოასვენებს ნიმროდს ის გულგარეთა ფიქრი და სულაც გადაავიწყდება ებერი, ამოუვარდება გულიდან: „და მეტი არავინ? მეტი არაფერი?“ – და ამოუთქვა გრძნეულმა გულმაც:

„გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა....

მეფე თავისი ხალხის, ბრძენი მწყემსი!

და ღვთის შიშსაც იგი უშურველად გამოასხივებს!

რადგან: ჩემს წინაშე უძლურია ადამიანი!...“

ფიქრიც აქ შეუწყდა ნიმროდს და ამოისრისა მღვრიე თვალები: „კიდევ, კიდევ, ნიმროდ და: არავინ ამაზე მეტი?!“ – და ისევ ამოუთქვა გულმა:

„მე – მეფე, რომელსაც ჩვენი ღმერთები იშთარი და მარდუქი ყოველ წადილს დიდი სიხარულით ამისრულებენ...!“

უცებ მოფხიზლდა ნიმროდი: მტილი ეტოლებოდესო თითქოს, მაგრამ იდგა მტილი მიწაზე მყარად და ნიმროდსაც ისე შესცქეროდა, როგორც – თავის ტოლს.

– შენ ხარ, ებერ?!

ტაძარში ნიმროდს ელოდნენ გულისფანქცალით;

* * *

კარიბჭე უკან გრჩებათ და მოულოდნელად თვალს გჭრით ღვთაებრივი გამოსხივება, რის შემდეგაც: გამოასხივებთ თქვენც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს უკვდავების ნექტარი შეგესვათ, საოცარი ერუანტელისმომგვრელი სითბო ჩამოგეღვრებათ სულში და თქვენც ფრთებივით შლით ხელებს. ფრენის სურვილს შეუპყრიხართ(!) ზეაწეულხართ, აწყვეტიხართ მიწას და სივრცეში ნებივრობთ.

ჰოდა: დაეშვებით ამ დროს მოჭიქულ იატაკზე და თავს ეკარგებოდეთო თითქოსო, თვალსაც მაღლა აღაპყრობთ და: ისე მაღალია ჭერი, ლამის – თვალშეუწვდენელი და იმედგადაწურულს გაგიხუნდებათ ყოველი ფიქრი: „როგორღა ავწვდე ამ უცნაური ფერებით მოსურათხატებულ ჭერს“ და ამაღლებული სულიც დაგისევდიან-დაგიმძიმდებათ.

და: ბაბილონი მუხლს იყრის ნიმროდის წინაშე!

თვითონ დედოფალს რეას ნიმროდის ბრწყინვალებით აღტაცებულსა და აფრთიანებულს „მუხლის მოდერკა მოუნდა“, ბაბილონის თვალსა და მშვენებას ნიმროდის დანახვაზე დასიცხავს და გულიც ლამის ამოუვარდეს მღელვარებისგან:

– მომავალ ქალღმერთს უნდა შეეძლოს გრძნობების მოთოკვა... – აჩურჩულდება ნიმროდი, – ჩემს თანამეცხედრეს თავშეკავებაც მართებს...

და სრულიად ბაბილონიც მუხლს მოიდრეკს ნიმროდის წინაშე.

მეფე-ღმერთს თვითონ დედოფალიც მიესალმება, კრძალვით სცემს თაყვანს, ბაბილონის თვალი გაბრწყინებულა!

– დედოფალო! – ხმას აღიმაღლებს ნიმროდი: – მომავალ ქალღმერთს არ ეგების მუხლის მოდრეკა! თვითონ შენს წინაშე უნდა იყრიდნენ მუხლს და ლოცვასაც აღავლენდნენ ქალღმერთ რეას მიმართ!

და სუნთქვას შეიწყვეტს ტაძარი.

– შენ ჩემი თანამეცხედრე ხარ, რეა! ჩემი ტოლი და სწორი... შენც მაღლიდან უნდა დაჰყურებდე ტაძარს!

რეაც მადლიერ თვალებს შეანათებს ნიმროდს. თვალებში სითბო ჩაუდგება და დაუამდება სულშიც.

– ეს კაცი ებერია, ჭეშმარიტი ქალდეველი სემის მოდგმიდან. სისხლია ჩემი და ხორცი ხორცთაგანი! ებერია მისი სახელი!

ებერიც თავს დაუკრავს ჯერ ტაძარს, მერე – დედოფალს: –

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, დედოფალო...

– ხალხნო! – გამოაფხიზლებს ნიმროდის ხაფი ხმა თითქმის მიძინებულ ტაძარს: – ეს კაცი ჯერ სტუმარია ჩემი, მაშასადამე, ბაბილონია მისი მასპინძელი! იგი მთელი თავისი სახლეულით შემოსულა ბაბილონში და რაკი ფეხი დაუდგამთ ბაბილონის მიწაზე, იმ წუთიდანვე ბაბილონელები ხდებიან! ასე რომ, დღეიდან ებერი და მისი სახლეული ბაბილონელებად იწოდებიან. მიიღეთ და პატივი მიაგეთ. ებერიანნი ჩემს სასახლეში იცხოვრებენ! მაგრამ გახსოვდეთ ყველას: ებერი ჯერ მსახურია ბაბილონის, მერე: – ნათელმხილველი და წინასწარმეტყველი, დიდი მეცნიერი და მკვლევარი. მოიძიებს ვარსკვლავებსა და ციურ მნათობებს. ეცდება ახსნას ყველაფერი ის, რაც მაღლა ხდება! კითხულობს ღრუბლების ფიქრებს, შეუძლია ადამიანის ფიქრის წაკითხვაც! ასე რომ, დიდი პატივით უნდა მივიღოთ იგი ბაბილონელებმა! თქვენ გჭირდებათ ებერი, ებერს კი თქვენ ჭირდებით!

ებერიც თავს დაუხრის ნიმროდს, თვალებს მოწკურავს: მომავლის განჭვრეტას თუ ფიქრობს.

ნიმროდიც თავიდან მოიცილებს გარშემოხვეულ ფიქრებს და ჰკითხავს ებერს: – სახლეული შენი სტუმრის სახლში გყავს? – ხელს მაღლა ასწევს და მსახურიც, თითქოს მიწიდან ამოჭრილიყოსო, იკითხავს: მიბარებდით, მოწყალეო უფალო?

– ჯერ ტაძარს ვაკურთხებ... აღვნიშნავთ ამ დღეს და მერე: იზრუნებ ებერსა და მის სახლეულზე! – ბრძანა და ტაძარში შეკრებილთ მიუბრუნდა: – იფიქრეთ ქალღმერთ იშთარზე და ილოცეთ მისი სახელის სადიდებლად! ქალღმერთი ხვავსა და ბარაქას მოგვივლენს. ბაბილონელებს უნდა გვეამაყებოდეს, რომ იშთარია ჩვენი შემწე და მწყალობელი, იშთარი ნაყოფიერების ქალღმერთი ჩვენზე ფიქრობს: შესთხოვს მარდუქს, რომ გაამრავლოს ჩვენი ჯიში და ჯილაგი და კიდით-კიდემდე განავრცოს ბაბილონი – ღმერთის ქალაქი! დღეს ჩვენი ღმერთები ჩვენგან უხვ შესაწირავს მიიღებენ, სანაცვლოდ კი მოგვფენენ ღვთაებრივ მადლს და სამართალსაც მოგვმადლიან ჩვენ ღვთაებრივს... ახლა კი მზერა მივაპყროთ ქალღმერთს! – ბრძანა და ქალმერთის ქანდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებასთან გაჩნდა. ჰოდა, დარბაზიც გამოცოცხლდა.

იშთარის ქანდაკება ტაძრის აღმოსავლეთ კედელთან დგას: თავით ჭერს შეწვდენია, გაბრწყინებულა მზისებრ და უელავს ცისფერი თვალები; თვალს ვერ გაუსწორებს უბრალო მოკვდავი და ნიმროდის ნიშანზე პირქვე ჩაემხობიან მოჭიქულ იატაკზე, შეიწყვეტენ სუნთქვას და ასე მდუმარენი, თავაწეულნი უკვე აღავლენენ ლოცას იშთარის სახელზე.

ლოცულობს ნიმროდიც, მაგრამ დგას ყველასგან განცალკევებით.

მოილოცავს ტაძარი და ნიმროდიც ბრძანებს: – ქალღმერთი მადლიერია ჩვენით. იგი ხომ მხსნელიცაა ჩვენი და დიდი მცველიც! გქონდეთ მისი იმედი!

– შეგიძლიათ წამოდგეთ! ახედეთ თქვენს ქალღმერთს და ამოიკვეთეთ გულის ფიცარზე მისი სახე!

და ათასი წყვილი თვალი მიაჩერდება ქალღმერთს.

იშთარს ხელში უჭირავს დიდი საწყაული, მისი ფსკერით (არხის მეშვეობით) უკავშირდება თვითონ ქალღმერთს...

– დღეს ნაყოფიერების კულტის მსახურთა დღეა და კედელზე რომ წითელი ღილაკია, იმას მიაჭერს თითს ოქროსფერთმიანი ქალწული. აღუვსებელი საწყაულიც ივსება (სასწაულებრივ) და ვეღარც ივსება წყლით, იქიდან კი არხით გადინდება ტაძრიდან...

– ხალხნო, ასე მოირწყვება თქვენი ყანები, ხვავი და ბარაქა აღარ მოაკლდება. ევფრატიდან ტიგროსამდე გადაჭიმულ ბაბილონს. ჩვენში მოწეული პურის კაკალი მიეწოდება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, ის ქვეყნები კი მოგვაწოდებენ სასარგებლო წიაღისეულს, ოქროს, ვერცხლს, ლილაქვას და საშენ ქვასა და სხვა მასალებს. ჩვენი შემწე და მეოხი იშთარია და ჩვენი ტაძარიც მისი სახელობისაა, იგი მისი განსასვენებელია. დიდება იშთარს!

– დიდება! – ამოიძახა დარბაზმაც.

ლოცვას აღავლენდა ბაბილონი იშთარის მიმართ.

ნიმროდი დღევანდელ საზეიმო შეკრებას დახურულად გამოაცხადებს და აუწყებს დამსწრეთ, რომ დედოფალი რეა ჩაიბარებს ტაძარს და აწი ამ ტაძრის უმაღლესი ქურუმიც ის იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ცნობას ტაძარი ტაშის გრიალით შეხვდება და ფიქრს მიეცემა ნიმროდიც: „როცა იქნება ეს ხალხი ასე იტყვის ხმის კანკალით, „დიდება ნიმროდს, უზენაეს ღმერთს, ღმერთებს შორის გამორჩეულს!“ – აქ ნიმროდმა ძახილის ნიშანი დაუსვა თავის ფიქრს და ებერს მიუბრუნდა: – აწი შეგვიძლია განვმარტოვდეთ და აქეთურ-იქეთურზეც დავილაპარაკოთ. კედარის ტყე გველოება, ებერ! სანადიროდ ხვალ, ალიონზე გავალთ, მზეს უნდა დავასწროთ! შენი საფერი რაში სასახლის ეზოში დაგხვდება...

– მაგრამ მე არც მეომარი ვარ და არც მონადირე, მე შემიძლია მწყემსი ვიყო, ადამიანთა მწყემსი!

ამანაც ჩააფიქრა ნიმროდი: „ადამიანთა მწყემსიო...“

* * *

ნიმროდის ფიქრის ოთახში.

(დიალოგი № 1)

ნიმროდი: – ებერ, ენმერქარზე რა იცი? ვინ იყო?

ებერი: – ნოესგან მსმენია: სწორუპოვარი მეომარი და დიდი მონადირე ყოფილა! ენმერქარი – შუმერთა ქურუმთ-ქურუმადაც იწოდებოდა, დიდი ლუგალი...

ნიმროდი (გულში): „მეც ხომ მონადირე ვარ და სწორუპოვარი მეომარი...“

ებერი: – ენმერქარი მითიური პიროვნებაა. მისი სატახტო ქალაქი ურუქი ყოფილა. ენმერქარმა მეორე ქალაქიც აღაშენა – ქულაბა. ზოგჯერ იმ ქულაბადანაც მართავდა თავის ქვეყანას – შუმერს.

ნიმროდი: – ვის ებრძოდა ენმერქარი, ვინ იყო მისი მტერი?

ებერი: – ურუქიდან შორს, შვიდი უმაღლესი მთაგრეხილის იქით იყო ასეთი ქვეყანა, არათას ქვეყანა! მეტად მდიდარი ყოფილა არათა და მას ბრძენი მეფე მართავდა...

ნიმროდი: – და ენმერქარს ევფრატსა და ტიგროსს შორის არსებული ნაყოფიერი მიწები აღარ ეყო?

ებერი: – აღუვსებელია სული ადამიანის! ენმერქარიც კაცი იყო, ადამიანი, და მოინდომებს არათას დამორჩილებას, წიაღისეულით მდიდარ ქვეყანას.

ენმერქარი დიდი მშენებელიც იყო, აგებდა ტაძრებს, სალოცავებს... ლეგენდარული ლუგალი გადაწყვეტს აეგო ისეთი ტაძარ-სალოცავი, რომ ღმერთების საუფლოს არაფრით ჩამორჩენოდა... ამხელა ტაძრის მშენებლობას დიდძალი საშენი ქვა ესაჭიროებოდა, ოქრო და ვერცხლი, რაც ურუქში არ მოიპოვებოდა, არათა კი მდიდარია ამ ყოველივეთი. ენმერქარმა თვალი ამიტომაც დაადგა არათას ქვეყანას!

ნიმროდი: – მე გავილაშქრებდი არათას ქვეყანაზე!

ებერი: – ენმერქარი თქვენთან შედარებით მშვიდობისმოყვარე ლუგალი იყო და არათას ბატონთან „ნერვების ომიც“ ასე დაიწყო.

ნიმროდი: – გასაგებია ჩემთვის „ნერვების ომი“ და ჰქონდა კი ენმერქარს რაიმე უპირატესობა არათას ბატონთან შედარებით?

ებერი: – ჰქონდა, რა თქმა უნდა! დიდი უპირატესობაც! ქალღმერთი ინანა იყო ენმერქარის მფარველი. მერე და ენმერქარი მზის ღმერთის უთუს შვილი იყო, ინანა კი და იყო მისი. და ენმერქარმაც სთხოვა თავის დას ინანას, რომ არათას ბატონს ენმერქარისთვის მიეტანა ოქრო-ვერცხლი, ლილაქვა და საშენი ქვა.

ნიმროდი: – და ძალა რატომ არ გამოიყენა ენმერქარმა?

ებერი: – არათას ქვეყანა მთებში იყო და მასთან მიახლოვება ძნელი იყო. შესაძლებელი იყო ბრძოლის სასწორი არათელებისკენ გადახრილიყო და... ამაზე ბევრს ფიქრობდა ენმერქარი. ხომ იყო ენმერქარი დიდი მეომარი, მაგრამ მჭვრეტელი უფრო იყო მაინც. მერე და ვინ იცის, ომის ღმერთი ვის მხარეს დაიჭერდა?

ნიმროდი: – და მაინც შიშობდა ენმერქარი! – თვალებში სიხარულის სხივი უბრყინავდა.

ებერი: – და მისმა ყოყმანმა თავისი ნაყოფი გამოიღო! ენმერქარი იმედოვნებდა, რომ ინანა დაეხმარებოდა მას, ენმერქარი ადრეც პირდებოდა ინანას, რომ მის სახელზე ააგებდა სალოცავსა და ტაძარს, მაგრამ ამაზეც არ შეჩერებულა. ერიდუში, თქვენს ერიდუში შუმერებს თავიანთი საუფლო ჰქონიათ. ენმერქარი სწორედ ერიდუში აბზუს ტაძრის აგებას აპირებდა...

ნიმროდი: – და ინანამაც შეისმინა ენერქარის თხოვნაცა და შენაპირებიც?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებერი: – თქვენც ხომ აუშენეთ ტაძარი ქალღმერთ-იშთარს?!

ნიმროდი: – არ მწყენია, განაგრძე, ებერ! და ინანამაც შეისმინა ენმერქარის თხოვნა! ჩემი აზრით რჩევასაც მისცემდა თავის ძლევამოსილ ღვთაებრივ ძმას!

ებერი: – ინანამ ურჩია ენმერქარს, გამოენახა ისეთი მოციქული, რომელიც შეძლებდა გადაელახა ურუქისა და არათას გამყოფი ანშანის მთები, ის შვიდი მთაგრეხილი და ენმერქარმაც შეარჩია შესაფერი მოციქული, თავისი შვილი ლუგალაბანდა, დიდი გილგამეშის მამა, თან დააბარა გადასაცემად: – თუ ოქრო-ვერცხლს არ გამომიგზავნი, ამასთანავე ღმერთ ენქის მდიდრულად შემკულ ტაძარს არ აუგებ, ავანგრევ-დავანგრევ შენს ქალაქს არათასო. ლუგალაბანადას მეტი შთაეჭდილების მოსახდენად უნდა წარმოეთქვა „ენქის შელოცვა“!

ნიმროდი: – და რას ამბობს „ენქის შელოცვა?“

ებერი: – შელოცვაში ნათქვამია, თუ როგორ დაუსვა წერტილი ენქიმ კაცობრიობის „ოქროს ხანას მაშინ, როცა მთელ დედამიწაზე მხოლოდ ერთი და ერთადერთი ღმერთი ენლილი მბრძანებლობდა და მუქარამ გაჭრა! მაგრამ არათას ბატონსაც ინანას საყვარელ ადამიანად მიაჩნდა თავი და არც აპირებდა ასე ადვილად დამორჩილებოდა ენმერქარს: ინანამ ხომ თვითონ აიყვანა იგი არათას ტახტზე?!

ლუგალაბანდამ თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად გამოიჩინა სიბრძნე და არათას ბატონს ასე მიმართა: – ახლა ინანა კანას დედოფალია ურუქში და სწორედ იგი დაპირდა ენმერქარს არათაზე გაბატონებას. არათას ბატონმა გამოიჩინა სიბრძნე და ეს დავა ორთაბრძოლით გადვწყვიტოთო, შემოუთვალა ენმერქარს: დაგმორჩილდები იმ პირობით, თუკი ბევრ პურის კაკალს გამოგზავნიო.

ენმერქარმა მართლაც დატვირთა ხორბლით საპალნის პირუტყვი, არათას ბატონისაგან კი მოითხოვა სარდიონი და ლილაქვა.

მაგრამ მეორედ არათას ბატონი აღარ დაემორჩილება ენმერქარს და აღარ გაუგზავნის სარდიონსა და ლილაქვას.

ენმერქარმა არათასთან სხვა მოციქული გაგზავნა. ენმერქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, როგორც უმაღლესმა ქურუმმა, გრძნეულებას მიმართა: აიღო ლერწამი „სუშიმა“, რომელიც ჯერ სინათლიდან სიბნელეში გადაიტანა, შემდეგ სიბნელიდან – ისევ სინათლეში გადმოიტანა და როცა გავიდა „ხუთი წელი“ და გავიდა კიდევ „ათი წელი“, მოჭრა ლერწამი იგი და ხელახლა გაატანა თავის მოციქულს არათას ბატონთან. ამჯერად ენმერქარმა არათას ბატონს თავისი კვერთხიც გაუგზავნა და თიხის ფირფიტაზე ამოჭრილი მუქარის წერილიც აახლა.

ნიმროდი: – და ამით დასრულდა ენმერქარის და არათას ბატონის ამბავი?

ებერი: – არათას ხალხს ურუქში მაინც მიუტანია ოქრო-ვერცხლი და ლილაქვა ინანასთვის და ეს ყველაფერი კანას ტაძრის ეზოში დაუხვავებიათ. ენმერქარის სიბრძნემ გაჭრა, მაგრამ არათას ბატონი თავისი ქვეყნის მართვას ენმერქარისგან დამოუკიდებლად მოითხოვდა.

კიდევ რას მიბრძანებთ?

ნიმროდი: – დღეს აღარაფერს! შენს სახლეულს მიხედე, ჩემს სასახლეში შენი და შენი სახლეულისთვის უკვე გამოფოყილია საცხოვრებელი ადგილი. ხვალ ისევ ამ დროს შევხვდებით ერთმანეთს.

ებერი: „და რატომ მაინც ნაშუადღევს, როცა მზე შუბისტარზეა შემდგარი... ნუთუ ესეც ნიმროდის ერთი მორიგი ახირებათაგანია?“

ნიმროდი: (წაიკითხა ებერის ფიქრი): – ებერ, ამის დადგენისათვის დროის დაკარგვა აღარც ღირს. შენ ის მითხარი, რომელ წყაროებზე დაყრდნობით მაუწყე ენმერქარისა და არათას ბატონის ამბავი?

ებერი: – მთელი ეს ამბავი ძველ თიხის ფირფიტებზეა ამოკვეთილი.

ნიმროდი: – ხვალ კიდევ ვისაუბრებთ ამაზე და კიდევ: გამიგონია შუმერთა ქვეყანაში სკოლებში ასწავლიდნენო ბავშვებს... ჩემს ბაბილონშიც ხომ შეიძლება შემოვიღოთ სწავლება როგორც შუმერულ სკოლებში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილონი უნდა გავანათლოთ! ამ საქმეს შენ ითავებ! განანათლე ბაბილონი და აღგაზევებ, ებერ! ჰო, მართლა: სწავლება საყოველთაოდ გამოცხადდება!

* * *

... და ნათლდებოდა ბაბილონიც...

* * *

ნიმროდი თავის ფიქრის სავარძელში თვლემს. თვალწინ ისევ ებერი უდგას, პატრიარქივით მორჭმული, მზეს რომ გაესხივოსნებინა. და ნიმროდსაც გაუკვირდება ერთხელ ნათქვამი: „ებერ, ჩვენ უნდა გავანათლოთ ბაბილონი! ეს საქმე შენ უნდა ითაო, მე კი ხელს შეგიწყობ ყოველნაირად, შემწე და მეოხი ვიქნები შენი, მე – ნიმროდი ქამის მოდგმის! დამეხმარე, ებერ! ამით ხომ ბაბილონს დაეხმარები. ჰო, განვანათლოთ მე და შენ ბაბილონი! – ისევ ფიქრს მისცემს თავს: ხომ არ ვცდები?! მაგრამ მისი სალოცავი ხომ... იმას თავისი ღმერთი ჰყავს – ცაბაოთი?! – თვალს აახელს და მუშტს მოუღერებს ჩაჟამულ ზეცას: – შენი და შენი ნოეს წინასწარმეტყველებისთვის მიმიფურთხებია, ცაბაოთ! ჩემი დიდი წინაპრის ქამის მოდგმას განიკითხავ და მონობას გვიქადდი და ეს წინასწარმეტყველება რომ არ ახდეს, ისეთი გოდოლი უნდა ავაგო, წვერით ზეცას წვდებოდეს. ეს გოდოლი ბაბილონის დიდი სალოცავი იქნება და კიდევ მეტი: ამ ხალხების გამაერთიანებელი და თანასწორობის მომნიჭებელი დიდი სამჭედლო! და მე – ნიმროდი, გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა ვიქნები ყოველთა მეფეც და მეუფეც!

ბაბილონი და ბაბილონის გოდოლი! განვავრცობ ბაბილონს და გვერდით ებერი მეყოლება! გესმის, ცაბაოთ!?! თუმცა, გული მეუბნება, რომ ბოლომდე ვეღარ მომყვება შენი ებერი! მიმუხთლებს და შენ გიერთგულებს... მას, ისევე როგორც შენ, არ მოეწონება ბაბილონის გოდოლის აგების იდეა! მე ებერისაც მესმის, მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუკი ხალხი ღმერთს შეიგრძნობს ჩემში?! ებერი, ცაბაოთ, შენი ერთგული რჩება! მაგრამ ბაბილონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდოლი მაინც აღიმართება ერიდუში, მზის მოედანზე და იგი დაჩრდილავს ყველა სხვა ტაძარ-სალოცავს შუამდინარეთში! გოდოლს მარდუქის სახელზე აღვმართავ! მარდუქი კი თვითონ ვიქნები! მარდუქში გარდავისახები!

განმიდგება ებერი, მაგრამ ვერ მიმტრობს! ებერი ხომ ყველაზე მშვიდობიანი კაცია ბაბილონში. სწორედ დუმუზს მაგონებს... ჰო: კი არ განმიდგება, განმერიდება! შენ რაღას ფიქრობ, ცაბაოთ?

ამიტომ: დროის კარიბჭეს მივაშურებ და წავიკითხავ მომავალს! მაგრამ ჯერ ენმერქარს შევხვდები! ენმერქარი: ისიც ხომ ჩემებრ დიდი მონადირე იყო... დიდი მეომარიც! მაგრამ ჯერ ნაადრევია ფიქრი ენმერქარზე და კიდევ უფრო ნაადრევი – ბაბილონის გოდოლის მშენებლობაზე. და ახლავე, ბაბილონში უნდა დავიწყო მზისა და მის ირგვლივ მოტრიალე მნათობთა სათვალთვალო კოშკის მშენებლობა! აი, სად უნდა იყოს ებერის ადგილი! მსმენია იმ ჯადოსნურ ჭოგრიტზეც, სადღაც სივრცეში რომ მიუმალავს ვიღაცას, მე თუ მიმალავენ იმ ჭოგრიტს... ბაბილონის გოდოლი თუ არ ავაგე ბაბილონში... ერიდუში, მზის მოედანზე, ხომ მართლა გავგიჟდი?! მაგრამ დღევანდელიც სახვალიოდ როგორ გადავდო?! თუ დღევანდელი დამისამარდა, ხვალე სადღა ვეძიო მერე?!

„ხვალე ხომ დღევანდელობაში უნდა ჩაისახოს, ჩაისახოს და აღმოცენდეს.

მე დროს არც დავაჩქარებ და არც შევაყოვნებ!

* * *

და ძილ-ღვიძილში ესმა ნიმროდს ხმა უცნაური, გაუგონარი, ძრწოლისმომგვრელიც: – გაიფართოვე თვალნი საჭვრეტელნი და ყურნი სასმენელნიც მომაპყარ მსწრაფლ!

ტანზე აბურძგლა ნიმროდს. ამოისრისა თვალნი სახედველნი და განიხსნა ყურნიც სასმენელნი, ერთიან დაიძაბა და ისევ ესმა: – შენ მალემსრბოლი ხარ თვითონ მარდუქის!

– და თქვენ მიმაგნებინებთ მარდუქს?

– მარდუქი უხილავია! იმას თუ შეიგრძნობ მხოლოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მაშინ მარდუქზე რატომ არ უნდა მომითხროთ რამე?

– ჯერ წარსულშია იგი... უნდა აღივსოს ის გუშინდელით, აწმყოში რომ შემოვიდეს დაუბრკოლებლად! აღიჭურვოს დღევანდელობით, გადაიქცეს დღევანდელ დღედ და განივრცოს მთლად დღეით სავსე!

ნიმროდის ირგვლივ გადანათებულიყო.

– გუშინ დიდი ამბები მოხდა, ნიმროდ! – გაისმა ამ დროს და გუშინდელივით გაჟღერდა „აქაც ყოველი“.

ჰაერი აიჭრა: თითქოს ათასი სიმი აჭრილიყოს და სივრცეც აძაგძაგებულიყოს.

– რა ხდება? – იკითხავს ნიმროდი, აიხედავს მაღლა და: გადახსნილიყო ზეცა.

– რა ხდება? – ახლა თვითონ ზეცა იკითხავს და უპასუხებს თვითონვე: მწყრალად: – ბედისწერათა ბინაში... განგებათა სამყოფელში ღმერთთა უბრძენესი ღმერთი ჩაისახა! ამ წრეთა წრიალში მარდუქი შეიქმნა! გიხაროდენ!

„მე ხომ ვფიქრობდი უკვე მარდუქზე?! იმ თავისი საშოდანვე თავს თუ მამცნობდა?! იქიდანვე მესალმებოდა...“ – ფიქრი მოთოკა ნიმროდმა.

და შეიქმნა მარდუქი პირველმამად, შვა იგი პირველდედამ. სწოვდა იგი ყრმა ქალღმერთთა ძუძუს. დიდმა ძიძამ შიშისმომგვრელი ძალით აღავსო, განმშვენდა აღნაგი მისი. კაშკაშებენ თვალნი მისნი. მისი გამოჩენა – მოვლინება გმირულია, ამაღლებული. ბელადია იგი ყოველთა ბელადთა.

თვალი შეავლო ყრმას პირველ მამამ და გაიხარა:

გაუნათდა გული, აღივსო სიხარულით, გაუნათლდა სული.

და კედევ უფრო დამშვენდა ყრმა! მეტი შეიძინა ღვთაებრიობა.

ამაღლდა ფრიად! აღემატა სხვა ღმერთებს.

ოთხი თვალი აქვს და ოთხი ყური! განიფრთა ოთხი სასმენელი მისი

და ოთხი სახედველით განიჭვრეტს იგი ყოველივეს და ყველაფერს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველმამამ დაანათლა მელამის გამოსხივებას!

(მელამი ზებუნებრივი, კოსმიური ბრწყინვალება)!

მისივე ნებით მიენიჭა ყოვლისგადამბუგველიც და ცხოველმყოფელი ძალაც...

და იპყრო მარდუქმან ელვარე გვირგვინი და ბედისწერათა დაფები:

შეიმკო დიდი ღვთაების უნივერსალური ნიშნებით.

ღმერთებმაც მიანიჭეს ჭაბუკ ღმერთს თავთავიანთი წილი ღვთაებრიობა.

მარდუქი მზადაა შემოაბიჯოს დღევანელობაში, მაგრამ შემოაბიჯებს

მთელი თავისი გუშინდელი ღვთაებრიობით და აღიჭურვება მაშინ დღევანდელობითაც.

იგი მზადაა საასპარეზოდ! მაგრამ ვის, ვის უნდა შეებრძოლოს?

ვინ შეურჩევიათ ღვთაებებს მისდა მეტოქედ? ვინ, ვინ მოელის მარდუქს?

გული რად აფანცქალებია ასე? აბა, ვინ გაუძლოს ათივე ღმერთის მელამით შემკულს?

მარდუქს ხომ შემზარავი საომარი პერანგი მოსავს! და თავზე ზარდამცემი მელამი ხურავს?!

* * *

და იქ, მეცხრე ცის დასალიერს ღმერთების დედა ოთხფეხი ფრთოსანი, ურჩხული დედაკაცი ღრუბელზე შემომჯდარა და ტკბება მთელი ამ ქაოსური სივრცის ცქერით.

თავს მშვიდად გრძნობს ამ ყოვლის მფარველიცა და განმგებელიც. მაგრამ დაფრთხება უცებ.

საშიშროებას იგრძნობს და აიფხორება; დაიძაბება და ცოფმორეულ დრაკონად გარდაისახება. შემზარავია იგი თავის არსებით! – მე ამ ქაოსის ფხიზელი დარაჯი ვარ და არ დავუშებ, რომ დაწყნარდეს ესე ყოველი, საკუთარი სახე დაიბრუნოს ამ ყოველივემ და წესრიგიც დამყარდეს დიდი, დიდი სიმშვიდე დაეუფლოს სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაროს... – ამოანთხევს ცეცხლოვან ლავას და გაუჩინარდება.

არის იგი, მაგრამ აღარ ჩანს! ასე უფრო საშიშია იგი, აღარ იცი: გებრძვის ვინ და ვინ აპირებს სიკვდილის მახვილი ჩაგცეს!

– ხედავთ, წესრიგის დამყარება არ განუზრახავთ ამ უნიათოებს ჩემს საუფლოში?! როგორ გამიბედეს?! იციან, არავის დავინდობ და თანაც გამიბედეს წინაღმდგომოდნენ?! ჩემს ნებას ეურჩებიან?

იგრძნეს ღმერთებმა, რომ საშიშროება მოელოდათ თიამათისგან, თავის თავს ქაოსს რომ ეძახის!

გაისუსნენ ღმერთები, სუნთქვაც კი შეიკრეს.

– მარდუქი?! ეს ტიტლიკანა ბიჭი?! არასოდეს ყურადღებაც რომ არ მიმიქცევია მისთვის? ნეტა ვინ შეათამამა?!

ყურებს ავახევ ამ თვითმარქვიას! ათას ნაწილად ავქნი და... ათას დღეს მეყოფა!

ათას დღესაც არ მომშივდება! გავანადგურებ, თავს დავავიწყებინებ, თუ ვყოფილვარ მე თიამათი!

ასე ნეტა შეაგულიანა ვინ, უკან დახევას რომ აღარ აპირებს? ბოროტება უნდა აღვკვეთოო, უბრძანებია ამ ღლაპს, პირზე რძეც რომ არ შეშრობია! ტახტი და იარაღი ამ თავხედისთვის თვით ღმერთებს მიუციათ;

ჩემთან საომრად განმზადებულა! ომსაც მიცხადებს! ჰო, დამენახე, მარდუქ იარაღასხმულო! არ გამაცინო?!

მარდუქი კბილებამდე შეიარაღებული?!

ვერც წარმოვიდგენ ასეთი რამეც ხდებოდეს და ისიც ჩემს თვალსაწიერში(...) მარდუქია ჩემი მეტოქე?!

მაგრამ უნდა დავმშვიდდე! მარდუქი, ეს უსუსური, ჯერაც ძუძუმწოვარა უნდა შეებას ვის? თვითონ თიამათს?!

ხომ არ დამცინის ვინმე?! მაგრამ ისიც ვინ უნდა იყოს, ჩემი დაცინვა გაბედოს და არ დაისაჯოს?!

და ამ პირზე რძეშეუმშრალ ბიჭს რატომ ჰგონია, რომ გამიწევს წინააღმდეგობას?! ვინ შეაგულიანა ასე?

კი მებრალება, მაგრამ რა ჩემი ბრალია, პატივმოყვარეობას თავისას რომ შეეწიროს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დროა აღვდგე, თორემ... მაინც ვისი იმედითაა, ვინ ჰყავს მფარველად?!

მაგრამ (ისევ მაგრამ)?! რატომ არ გავუსწორებ თვალს სინამდვილეს? და მარდუქიც მთლად ხელწამოსაკრავი ვინმეც არ უნდა იყოს(...)

თუმცა ვნახოთ, – ჰოდა, უხმო თავის შავოსან ბრბოს თიამათმა.

უთვალავი შავოსანი (ქაჯნი) გამოეხმაურა თიამათის მოწოდებას. დაიძრნენ მისკენ და ირგვლივ შემოეწყვნენ თიამათს.

სუნთქვა შეიკრეს და ხანძრად აენთნენ!

შეიმართა მარდუქიც, მზადაა ახალი დროის ციური გმირი თიამათთან შესარკინებლად. და ამის რწმენას ღმერთების დასტური აძლევს: შენს განკარგულებაში გვიგულვეო, ესმოდა მათი გულისხმა. მარდუქიც მადლიერია მათი და მადლობას სათითაოდ უხდის მათ. ჰოდა: მოიმარჯვა თავისი ღვთაებრივი მამის გაუცვეთელი ბადე და გასწია თიამათისკენ.

– იცოდე, მარდუქ, თუ მამაშენის ბადე არ დაგიგია ჩემთვის, ვერაფერს დამაკლებ. იმ ბადის კი ვერც მზიდველი იქნები შენ და ვერც ზუსტი მტყორცნელი! ასე რომ, შენი ბედი იმთავითვეა ცნობილი ჩემთვის! – შეჰღმუვლა თიამათმა და თავისი ალესილი ბრჭყალები (ათასი წყვილი) გამოაჩინა.

– სწორედაც მამაჩემის ბადეში გაიხლართები, აყროლებულო ლეშო! განწირული ხარ ღმერთთამყლაპველო! – შესძახა მარდუქმა და გამოისხა ათასი მახვილი, ორჯერ ათასი მახვილი ალაპლაპდა მზის პირველ სხივზე და აელვარდა თიამათის თავზე: – ესეც შენ, შე წარწმყედილო მძორო! – და სისხლში განიბანა ის ორჯერ ათასი მახვილი და ამ სისხლშივე მსწრაფლ გამოიწრთო. – ახლა კი თქვენი ჯერია, ჩემო ქარებო, ფხა მოიბ-მოისხით და აწრიალდით! – თიამათისკენ მიუშვა გამძვინვარებული ქარები მარდუქმა, იმ შვიდივე ქარსაც და ბორბალქარსაც გაეხსნათ მადა, რომელთაც სისხლმოწყურებული ქარიშხალიც თან მოჰყვა; თვითონ მარდუქი კი ოთხცხენიან საბრძოლო ეტლზე ამხედრებული ჭექა-ქუხილით აღჭურვილიყო, მხრებზე ელდა-ელვა მოსხმული თიამათს უთვლიდა ასე: – აღზევებულხარ გულგორო-

ზი შენ უსამართლოდ, ღმერთებს შებმიხარ ავი მზრახველი, ჩვენი მამების შემუსვრა გინებებია და ეს დაგანებო?! გამოდი, ბოროტო სულო და თუ ძალა გერჩის, შემერკინე! დროა, შევებათ ჩვენ ერთი მეორეს!

ეს რომ თიამათს ესმა, ჭკუა დაკარგა: აღენთო რისხვით და ტანზე რვალად შემოიწრთო ცეცხლი, ზეცა ჩახია შვიდ ადგილზე მისმა კივილმა და კივილი იყო მისი მახვილი! ვეღარ დაშოშმინებულიყო (ან როგორ დამშვიდებულიყო ამძუვნებული სული), ეს როგორ შემომბედა ამ უდღეურმაო?! (მისთა უფსკრულთა ძაგძაგებენ ბნელნი წიაღნი)...

ჩამობნელდა. წკვარამი ღამე უნდა ჩამოდგეს და ისინიც შეიბმებიან: თიამათი (გამძვინვარებული ძალა ბოროტი და მარდუქი – კეთილი (ასინათლებული) სული: იქით – ბოროტი, აქეთ – კეთილი.

და როცა რისხვისგან დაუბნელდა თიამათს წყვდიადივით შავი თვალები, მარდუქმაც იხელთა დრო, თავისკენ მძლავრად მოზიდა მამისეული ბადე და თიამათიც შიგ აფართხალდა.

მარდუქს შეპყრობილი ჰყავს თიამათი და თვალებდაბინდულმა თიამათმაც ნაპრალთა მსგავსად დააღო პირი, მაგრამ ვეღარ დახურა, რადგან მარდუქმა ქარი შეუშვა თიამათის იმ ჩაშავებულ ღრუში, იმ ქარს ოთხი ქარიც შიგ შეჰყვა, ის ქარბორბალაც და ათასფრთიანი ქარიშხალიც თან მიჰყვნენ და შუაზე გადაიხსნა თიამათი, ათას ნაწილად აკუწა იგი მარდუქმა, შეაქუჩა ეს ნაწილები, მოუქნია ელდა-ელვა, გაჰკვეთა შუაზე. დაჰკრა ერთ ნახევარს მარცხენა ხელი და აქცია მიწად, მარჯვენათი აიტაცა მეორე ნახევარი და იმ პირველ ნახევარს დაჰხურა თავს. ჰოდა: იყო და არა იყო რა და თიამათიც აღარ იყო!

და ასე მოიტანა მარდუქმა ახალი დრო და დროება და ზეიმობდნენ ღმერთებიც ახალი დროების შემოსვლას. მარდუქი იყო ამ დროის განმგებელი(...)

ჰოდა: ისევ ესმა ნიმროდს ის უცნაური ხმა, მაგრამ წინანდელზე მჟღერი და იმედისმომცემიც.

მაშინდელივით აბურძგნა ნიმროდს.

დავანებულა მარდუქი აწმყოში, აღჭურვილია დღევანდელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით და განივრცობა იგი ამდღევანდელობით. მაშინდელივით გაბრწყინებულიყო ნიმროდის ირგვლივ სულიერიც და უსულოც, სულდგმული ყოველი!

ისევ შეეკრა სული მღელვარებისგან, ისმენდა ზეცისმიერ სიცოცხლის ჰიმნს. დასრულდა სულისმიერი ჰიმნი-საგალობელი და უცნაური სიამით აღივსო...

* * *

– ნიმროდ! ნიმროოოოოდ...! – ხმა ვარსკვლავიდან ჩამოესმა და ვარსკვლავი იგი იყო ყველაზე დიდი და ყველაზე ბრწყინვალე, ვარსკვლავი ვარსკვლავთა შორის გამორჩეული.

– მარდუქი?! – მაღლა აიხედა ნიმროდმა: – შენი ხმა მესმა! მართლა შენ ხარ, მარდუქ?! და საუბარი მოგდომებია ჩემთან?

– მარდუქი ვარ: ღმერთების ღმერთი, ცისა და მიწის გამგებელი. მთელი ამ უსასრულობის მეუფე, უსასრულობისა, რომელსაც ვერ გაწვდება უბრალო მოკვდავის ვერც თვალი, ვეღარც – ფიქრი და ვეღარც – გონი! – წამოიძახა მთელმა ამ უსასრულობამ, მარდუქს რომ მოეცვა, მისი თვალსაწიერიც და გონსაწიერიც ყოვლისმომცველი გახლდათ. ამიტომაც იყო, რომ ისევ შიოდა მარდუქს, წყუროდა კიდეც და მისი ეს უსასრულოდ აღუვსებელი საწყაული მოისაკლისებდა კიდევ ბევრს, მაგრამ ადგილი სხვათა და სხვათათვისაც სამყოფი მრავლად დარჩებოდა.

ნიმროდი შეაძრწუნა მარდუქის სიდიადემ და ბრწყინვალებამ; ხმა ვეღარ ამოეღო, სანამ ისევ არ ჩამოსძახეს?!

– ნიმროდ, ვხედავ, გესმის ჩემი, მაგრამ რომ შემიცნო, ჯერ შემიგრძნო უნდა!

– და მერე: ჩემგან რა ნებავს თვითონ მარდუქს – ღმერთების ღმერთს?! რას მოელის მარდუქი ნიმროდისგან?

– არაფერს, ნიმროდ, მაგრამ შენც შეგიძლია ამომაღლება!

– ამოვმაღლდე, რომ ღმერთებს ვემსახურო? ღმერთების ნება აღვასრულო?

– რაღაცას მართლა მოველით შენგან, მაგრამ თვითონ ნიმროდს რა ნებავს? ნიმროდი რას ინებებს, რას დაგვავალებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– პატივმოვარეობაში თუ არ ჩამითვლით ამ ჩემს ასურვილებას...

– ჰო, რა ნებავს ნიმროდს?

და ჩაფიქრდა ნიმროდიც: „გინდათ გულწრფელი ვიყო?“ – იცოდა წაიკითხავდა მარდუქი ნიმროდის გულის ფიქრს და დასიცხა. უჟმურაყოლილივით შეაჟრჟოლა. ოფლად გაღვრილიყო და ამას შეეშფოთებია ასე.

– ნიმროდ, გულწრფელი იყო გგონია გილგამეში? და ენმერქარიც?! მაგრამ ენმერქარით უნდა დამეწყო და რაღაცით ენმერქარსაც მაგონებდე თითქოს... ენმერქარს რომ მოინახულებდე... გიკვირს, ნიმროდ, შენს ფიქრებს რომ ვკითხულობ?! საკვირველიც არაფერია დღეს! მერე და: კედარი გყავდეს შემწედ და გაგიჭირდეს?! მაგრამ პატივმოყვარეობამ არ გძლიოს და... კედარი და შენ! მერე და მეც დამაინტერესე, ნიმროდ! ჰოდა: ჩემს თვალსაწიერში შეგიძლია მოიაზრო თავი და რასაც თვალი შეწვდეს შენი და ფიქრითაც შეწვდე, დაკმაყოფილდი იმას! მაგრამ არა მგონია, უფრო შორს არ წახვიდე შენ. ფიქრი შენი გადაასწრებს შენს მზერას და... მეც არ ჩამაფიქრე, ნიმროდ?! თითქოს და შემოსაზღვრულია. შეგიძლია გაიფართოო შენი თვალსაწიერიც. მაინც რას ისურვებდი, ნიმროდ?

– ჯერ წარსულს მოვიხილავდი... ენმერქარის დროში რომ მოვხვდებოდე...

– მაგრამ მელამით რომ არ ანთებულხარ, მელამი არ მოგფენია ჯერ? მელამის გარეშე მთლად თვალხილულიც ვერ იქნები, ნიმროდ! ღვთაებრივსაც ვერაფერს იქმ!

– ენმერქარი?

– იგი საამისოდ ვერ იყო შემზადებული, ღვთაებრივი მელამით წამონთებულს შეეძლო მომავალში შემოეღწია და ეხილე შენ, ნიმროდ. ამიტომ: უნდა განიბანო შენ მელამის ნათელში. ენმერქარი მხოლოდ ამიტომ იყო, რომ ნახევრად ღმერთამდე ამომაღლდა! გილგამეშმაც ვერ შეძლო ენმერქარზე მეტი... უკვდავება ვერ მოიპოვა!

– და მე რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ნიმროდ!

– და ვინმე ადამიანთაგან გაღმერთებულა კი?

– უთანაფიშთი... იგი მელამით იყო განბანილი, მხოლოდ მას მიენიჭა სრული ღმერთის წოდება. ენმერქარს ამაზე არც უფიქრია, გილგამეშს კი სიფხიზლე აკლდა. ამიტომ იყო, რომ უკვდავების ბალახი გველმა წარსტაცა. შენ კი: უბრალო მოკვდავად ნამდვილად ვერ დაგტოვებ; ჯერ მელამი მოგეფინოს და... მაგრამ: მართლა ბედნიერება ხომ არ გგონია შენ უკვდავება?! ღმერთად ყოფნა სასჯელია, ნიმროდ, დიდი სასჯელი!

– გისმენ, ღმერთების ღმერთო!

– ეახლე კედარს და მოიქეცი ისე, როგორც იქცეოდი ჩვეულებრივ, ზურგი არც ევფრატის წყალს შეაქციო! სწორედ ევფრატის წყლით უნდა მოაკვლევინო წყურვილი კედარს. კედარი ჩემი ხეა! დანარჩენზე კედარი იზრუნებს!

ამ დროს იყო, პირი რომ შეიკრა ზეცამ და ნიმროდს ემწარა გულის კოვზთან. შეაცივა და გააძაგძაგა.

„ეს: ცაბაოთია, რომ დრტვინავს...“ – გაუელვა ნიმროდს.

ცოტაც და შეთბა. აღარ აძაგძაგებდა უკვე.

ასე დასრულდა ნიმროდისა და მარდუქის პირველი ზეციური საუბარი. ნიმროდმა იცოდა, რა უნდოდა და როგორც მოქცეულიყო. ახლაღა გააცნობიერა, რომ ბედის ნებიერი იყო, ღმერთების რჩეული. სიხარულისგან უცნაურდ აუძგერდა გული, ისე, ჯერაც რომ არ აძგერებია: „ღმერთები ზრუნავენ ჩემზე და სადარდებელი არაფერიც არ უნდა მქონდეს... რეამაც უნდა იცოდეს ეს ყველაფერი, თუ უმისოდ, მისი გვერდის ავლით ხდებოდეს ეს ყოველივე?

– ნიმროდ! – ჩამოსძახებს მარდუქი ისე, რომ არ გადახსნილა ზეცა, ამიტომაც იყო, რომ მარდუქის ხმაც როგორღაც ყრუდ ისმოდა.

„დადუმებული ღელის ხმაურს მაგონებს...“ – და ამ ღელეში შესულს უკან გამოსვლაზე აღარც უფიქრია.

„ნიმროდო!“ არც ამჯერად გადახსნილა ზეცა, მაგრამ მარდუქის ხმა დაწმენდილიყო უკვე. – ხვალ, ნაშუადღევს, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილს კარგავს ყველა და ყველაფერი, მაშინ შეკრიბე ხალხი იშთარის ტაძარში, არც ერთი ქურუმი არ დააკლდეს და განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვე შენი თანამეცხედრე რეა, ეს მანამდე, სანამ გააქალღმერთებდე, თუმცა შენზეა ეს დამოკიდებული... როგორც გადაწყვეტ, ნიმროდ! ასე რომ, ბაბილონში შენი არ ყოფნის დროს, რეა განაგებდეს საქვეყნო საქმეთ! კვერთხი ახალი გამოუჭედე მთლად შენი კვერთხისნაირი ვერა, მაგრამ მიმსგავსებული კი... ერთი მტკაველით შენსაზე მოკლე. ის შენი მეფური კვერთხი ყველგან თან გქონდეს და, იფიქრე ენმერქართან გამგზავრებაზე, იფიქრე ენმერქარის დროზე...

* * *

მაგრამ: ნიმროდსა და მის ბაბილონს დღეს სულ სხვა საზრუნავი გასჩენოდა: გვალვები დაიჭირა, მზეს აღარ ესმოდა გოდება მიწის, არც ხალხის გოდება ესმოდა, დახშობოდა მთლად ყურთასმენა, ცეცხლს ამოენვა მიწის უხილავ თვალებში სისოვლე ცვარ-ნამი.

ბაბილონი გოდებდა(!)

ნეტა ვინ დაწყევლა ბაბილონის მიწა, ვის გაუწირავს ყველაზე თვინიერი ხალხი დედამიწის ზურგზე – ბაბილონელები?

შეწუხებულა ბაბილონი: „ღმერთს ხელი აუღია ჩვენზე, რატომ დაუხუჭავს თვალი მარდუქს, რომ იხილოს მწყურვალე ბაბილონი, ყურები რატომ დაუგმანავს, რომ ბაბილონის ესმოდეს გოდება?! და ვინ უწყის, კიდევ რამდენხანს უნდა გაგრძელეს ეს ყოველივე? სანუგეშოს ვერც ქურუმები ამბობდნენ რაიმეს.

დუმს ქურუმთა დიდი სახლი!

ნიმროდიც დუმს (!) მაგრამ როგორ: ნიმროდიც დუმდეს?!

თავის სამლოცველოში გამოკეტილა ნიმროდი და ბაბილონური გულიც ისე უცემს, როგორც არასდროს: „ბაბილონს უჭირს... უჭირს და მეც ეს მიჭირს. სადაცაა თავს ჩამომექცეს ბაბილონის ზეცა: რატომ, რატომ ამდენხანს არ მიმიმართავს მარდუქისათვის?

იწოდა მიწა, იწოდა ქვეყანა და შეაჟრჟოლებს ნიმროდს. ციო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მარდუქის ნდობით აღჭურვილ პირს შუადმინარეთში.

„ჰოდა, შევთხოვ მარდუქს! – ამოთქვა და მარდუქის სახების წინაშე დაეშვა მუხლებზე.

– ნიმროდ, წამოდექი! შენ არ შეგშვენის მუხლებზე დგომა! – მოესმა მაღლიდან: – ითხოვე და გაიგონებენ, გაიგონებენ და მოგეცემა! სათქმელი მითხარ!

ნიმროდიც წამოდგა და თვითონაც გაკვირებული იყო: თავის თავზე ბრაზობდა. მერე გრძნობები დაიოკა, ხელები მაღლა აღაპყრო და თვალი გაუსწორა ზეცას, ნიღბად რომ მოეშველიებინა თვითონ მარდუქს. – მივესალმები ჩვენს უზენაეს ღმერთს მარდუქს. ათი ღმერთის მელამით მოფენილს... უჭირს ბაბილონის მიწას ეს რა ხანია და ...

– შენ კი დუმდი, ნიმროდ! ბაბილონს უჭირს?

– წყურვილი ახრჩობს სრულიად ბაბილონის ქვეყანას. ევფრატიც დამშრალა, დამშრალა ტიგროსიც! გვედრი, გთხოვ უმორჩილესად, გახსენ ბჭენი შენი – კარიბჭენი ზეცის და გადმოგვაწვიმე, მოგვნატრებია ყოვლისმკურნავი წვიმა! აწვიმე მიწას, ღმერთთა შორის გამოჩინებულო, შენ უუმაღლესო უფალო ღმერთო მარდუქ, დაარწყულე გვემული მიწა, მოაკვლევინე ბაბილონელს წყურვილი, რომ უფრო მეტის ნდომით და რწმენით ადიდოს სახელი შენი! კვლავაც ამწვანდეს გადახრუკულ-გადაბუგული მიწა! ააბიბინე ბაბილონური ყანა, აწყლიანდეს გამომშრალი არხი, კვლავაც მიქუხდეს ოდნავ იქით ტიგროსი, აქეთ – ევფრატი, ჭირნახულით აივსოს შენს მიერ კურთხეული ბაბილონი! მოგვეც ბაბილონელთ პური ჩვენი არსობის და კიდევ: შემოსე მელამით შენი ბაბილონი!

* * *

და: იელვა თვალისმომჭრელად, ცა გადაიხსნა და:

გაწვიმდა!

გადმოაწვიმა სულშეხუთულ მიწას. შვიდ დღესა წვიმდა... როგორც იქნა გაიჟღინთა მიწა ნანატრი წვიმის წყლით, მოითქვა სული და კმარაო, ითქვა თითქოს და წვიმაც შეწყდა. მერე აჟუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუნდა მზე, ჟუჟუნა წვიმა ინატრეს ახლა და წამოჟუჟუნდა წვიმა საოცნებო: მზე პირს იბანდა...

იშთარის ტაძარში რეა აღავლენდა ლოცვას მარდუქის მიმართ.

და: ხარობდა მარდუქი მიწის სიხარულით.

და გადაიხსნა ზეცა მარდუქის: – ხვალ ნაშუადღევს კედარი გელის!

ითქვა და ზეცამაც შეიკრა პირი. თუმცა აღარც მთლად: ღრიჭოდ დარჩენილი ზეცის კარიბჭიდან ისევ უბნობდა დიდი მარდუქი: – ნიმროდ, და როს ვეღარ დაეტიო შენ შენს წიაღში, შემომიერთდი დაუყოვნებლივ! მარდუქი მოგელი, ნიმროდ!

ჩვენ: მე და შენ ერთად გადავწყვეტთ სამყაროს ბედს და ახალ გზაზე შევაყენებთ მონატრულ სიახლეს! მზეც ახლებურად ამზევინვარდება და ახალ სიცოცხლეს ნაზიარები სამყაროც ახლებურად დაიწყებს სიცოცხლეს!

გესმოდეს ოღონდაც ჩემი და გახსოვდეს: შენ ნიმროდი ხარ, ადამ-იანი! თუმც ასე მაღლა შემოტყორცნილი, მაგრამ ადამ-იანი!

– ვფხიზლობ!

– შენ ამბობ!

– უკვე ვთქვი...

– ჰო, გითქვამს! – და ზეცამაც შეიკრა პირი.

* * *

მზე ჩავიდა და ნიმროდმა ბრძანა: მხედართმთავრები, ქურუმები, ცნობილი ბაბილონელი ადამიანები, სახელმწიფო მოხელენი და განათლების დარგში დასაქმებული ადამიანები იშთარის ტაძარში გამოცხადებულიყვნენ შებინდებისას.

სწორედ ახალშებინდებულზე განიღო ტაძრის მესამე კარიბჭე და შემოდიოდნენ ტაძარში დაბარებულნი საშარაგზო შვიდივე გზით. გადანათებულიყო ტაძრის დიდი სალოცავი დარბაზი, ნიმროდი იჭერს უზენაესი მბრძანებლის და ქურუმთ-ქურუმის საპატიო ადგილს, თვითონაც ყველასგან გამორჩეული, გოლიათებს შორისაც გოლიათი! შიშის ჟრუანტელი გაჯდომია დარბაზს. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მისი სავარძელიც წამოიწევა მაღლა მთელი ხუთი მტკაველით. დარბაზიც იძულებულია მაღლა აიღოს თავი და თვალი არ მოაცილოს ამაღლებულ ნიმროდს. იგი გვერდით დაიყენებს რეას და მაღლა აღაპყრობს ხელებს: – მე ამ მოკლე ხანში გავდივარ ბაბილონიდან, მაგრამ აქ ვტოვებ ჩემს თვალსა და ყურს. სამი დღე დავყოფ იქ, სადაც მარდუქი მიხმობს. იქაური სამი დღე ჩვენი დღეები არ გეგონოთ. ბაბილონში არ ვიქნები, მაგრამ ჩემი მოვალეობის შესრულება დაევალება ჩემს თანმეცხედრეს რეას. რეა მარტოც არ იქნება – ებერი იქნება მისი მრჩეველიც და დამრიგებელიც! მივდივარ სრულიად დაიმედებული, რომ არ მიაკლდება ბაბილონს ჩემი ხელი. ხალხმა უჩემობა ვერ უნდა იგრძნოს! ჩემს ხალხს ბაბილონში უჩემობა არ უნდა დაეტყოს! ებერი სკოლის საქმეებითაც იქნება დაკავებული. ქურუმებმაც უნდა შეუწყონ ხელი! გავდივარ ბაბილონიდან და არ მეშინია იმის, რომ ჩემს სათაყვანო ქვეყანასა და ჩემს ხალხს ავად შეხედავს ვინმე! და ახალი ამბავიც: მარის ქვეყნიდან ელჩები ჩამოგვივიდნენ და რეა და ებერი ყურადღებას არ მიაკლებენ მათ!

დარბაზს სუნთქვა შეკვრია.

– მხედართმთავრებს კი მოვუწოდებ: მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ! უსმენდეთ რეას და ებერს. მინდა შეგახსენოთ: გარკვეული დროის განმავლობაში მე არ ვიქნები ბაბილონში და ყველაფერია მოსალოდნელი! მტერს არ ძინავს და.... ჰო, მართლა, დავბრუნდები თუ არა, დასავლეთის ქვეყნებს დავლაშქრავ! თუკი მოვინდომებთ, ჩვენ ბაბილონელები მთასაც კი გადავაბრუნებთ! მთავარია, მშვიდობა სუფევდეს თვითონ ბაბილონში! იშთარი ხომ გვლოცავს და გვლოცავს, მარდუქიც დაგვლოცავს და ღვთაებრივ მელამსაც მოჰფენს თვითონ ღმერთების ნებით შექმნილსა და აღზევებულ ბაბილონს და რა უნდა გაუჭირდეს ამ დროს ბაბილონს?!

მიენდეთ ჩემსა და ბაბილონის დედოფალს რეას და მის მრჩეველს ებერს. ებერის შორსმჭვრეტელობაში ეჭვი არასდროს შემპარვია. ბაბილონი ხომ ებერის სამშობლოცაა?! ჩვენ ორივეს ერთი დიდი წინაპარი გვყავდა – წინასწარმეტყველი და დიდი პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიარქი ნოე! ებერს საპატიო ბაბილონელის წოდებას ვანიჭებ! ჩვენ ქალდეველები ვართ და გვეამაყება ჩვენი ქალდეველობა! ახლა კი: შეგიძლიათ ამოისუნთქოთ! – თქვა და რეას თანხლებით დატოვა ტაძარი.

ტაძარიც დაცარიელდა და ჩამობნელდა, მაგრამ გარე თვალისთვის ტაძარი წამონთებულიყო და გაბრწყინებულიყო.

ავსებულიყო იმ დღეს ბაბილონის თვალი და არაფერიც ენატრებოდა.

* * *

ევფრატის წყალი ალიონზე შეესვა ნიმროდს და იგრძნო: თითქოს ფრენაც შეეძლო: საკმარისია ფრთებივით გაეშალა ხელები, ენდომა მთელი არსებით და აფრინდებოდა კიდეც.

„ახლა კედარს მივაგებ პატივს“, – ჩაილაპარაკა თავისთვის (იცოდა, კედარი გაიგონებდა). ევფრატიც დამდგარიყოსო თითქოს.

– ნიმროდ, შენი საქმისა თვითონ იცი, მაგრამ უნდა აჩქარდე, სანამ ავმდინარდებოდე, პირთამდე შეავსე შენი ქვევრი და შენს ბედს ეწიე! მე გზას დაგილოცავ!

ნიმროდმაც ამოხაპა საკედარე წყალი და პირთამდე ამოვსებულ ქვევრს ხელისგული ფრთხილად გადაუსვა, თითქოს ეფერებოდესო: ამოიღლიავა და ნაცნობ გზა-ბილიკს აუყვა მწვერვალისკენ. „ჩემი ფიქრი ხომ კედარს უნდა დატრიალებდეს თავს. ახლაც კედარზე მმართებს ფიქრი. სხვა ფიქრები თავიდან მაქვს ამოსაგდები... უნდა აშრიალდეს ჩემში კედარი...“

მართლაც: კედარისგან მონაბერი სიო იყო, თავს რომ ევლებოდა ნიმროდს: თითქოს აშრიალებულიყო თვითონ ნიმროდიც(...)

აგერ კედარიც. წელში მოიხარა, (არ მოჩვენებია ნიმროდს), ნიმროდს მიესალმებოდა.

ნიმროდმაც ძირში დაუსხა კედარს ევფრატის წყალი, იმანაც მსწრაფლ, დახარბებულივით შეიწოვა ნანატრი სითხე, წყურვილი მოიკლა და მადლობის ნიშნად დაიქნია მძიმე ტოტები, მოითქვა სული და ამოთქვა: – მოგესალმები, ნიმროდ და გმადლობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიახლოვდი! ნიმროდიც მოწიწებით მიეახლა კედარს და ლოყა მიაყრდნო ტანზე.

– კარგად მომეკარ, ნიმროდ!

და ნიმროდიც მთელი სხეულით მიეყრდნო კედარს. თითქოს შთასულიყოსო კედარში, კედარად ქცეულიყო და ააცახცახა ერთ არსად ქცეულ ხე-კაცს!

იელვა დღისით-მზისით!

იჭექ-იქუხა და: ჩამოიქცა ცა(...)

ცივი სისოვლე: წვიმით გაჯერებულიყვნენ კაციც და ხეც!

მაგრამ ისევე უცებ გამოიდარა, როგორც გაავდრდა. იელვა ისევ. ელვამ შიგ გულში გაუარა ნიმროდს და ცეცხლის მოლურჯო ალში გახვია, მაგრამ არ იწოდა კაცი. კვლავაც იელვა და ამჯერად კედარი დანერწყვა ელვამ. ხეც ნიმროდივით გაეხვია იმავე მოლურჯო ალში. არც კედარი იწოდა.

პირველად კედარი მოეგო გონს და ნიმროდი გაახსენდა. მთელი ძალით შეირხა და ნიმროდმაც გაახილა თვალი.

კიდევ უფრო მიკვროდნენ ერთმანეთს ხე და კაცი. თითქოს ერთი მეორეში გადადიოდნენ და ძლიერდებოდნენ. გადაიხსნა ზეცაც.

და კიდევ რა უნდა მოხდესო, ეკითხებოდნენ ერთმანეთს ხე და კაცი.

რა უნდა მოხდესო?! – გამოიელვა გადახსნილი ზეციდან და აელვარდა ხე-კაცი (კაც-ხე)!

– გიხაროდენ! – მელამი მოეფინა კაცს! – ცამ ჩამოსძახა. – შენც მოგფენია მელამი, კედარო! მიულოცეთ ერთმანეთს!

„მე აღარ მოვკვდები...“ – ხარობს ნიმროდის გული.

„მე უკვდავი ვარ!“ – კედარიც იტყვის გულში.

* * *

„მე ქალდეველი ნიმროდი ვარ, ბაბილონში განსხეულებული!

და მარტო ნიმროდი?! ბაბილონი ვარ! თვითონ ბაბილონი – დიდი ქალდეა, დიდი და უკვდავებას ნაზიარები! მელამის მადლით მოფენილს მარდუქი მფარველობს. ღმერთების ღმერთი! მომნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭებია ყოვლის დამთრგუნველი ძალა – დამანგრეველიც და აღმშენებელიც! ძალა იგი – მართლა ცხოველი...“

აძგერებია გრძნეული გული ნიმროდს: მოუჩრდილავს შუბლი და ვარსკვლავეთისკენ მიუპყრია მზერა; მარდუქს დაეძებს ამ მბრწყინვალეთში.

– ნიმროდ, შენ იმაზე დიდი მისია დაგკისრებია, ვიდრე ადრე ვფიქრობდი ამაზე! – ჩამოესმა ზემიღმიეთიდან, ვარსკვლავებს თავზე რომ მოქცევია.

– მარდუქის ენით მელაპარაკები, მაგრამ მარდუქი ვერ უნდა იყო! მაშ ვინ ხარ, სხვისი გაგონებაც რომ აღარ მინდა?! თუმცა გიცანი! გრძნეული?! მაგრამ იმ სიმაღლეზე შენ ვინ შეგტყორცნა?! მაღიარეო, მთხოვდი...

– სანაცვლოდ კი რაღას არ გპირდებოდი?!

– რომელ მისიაზე მელაპარაკებოდი? ეს შენ იყავი, თუ... მაგრამ შენ აქ საიდან, როგორ? მაკვირვებ სწორედ!

– გეუბნებოდი, დიდ ბაბილონს დაუდებდი საწყისს...

– და შენგან დამოუკიდებლად... ვახარე ბაბილონი!

– მაგრამ...

– მაგრამ რა იცი ისეთი, მე რომ არ ვიცი და უნდა ვიცოდე?! მაგრამ შენ უნდა იცოდე, რომ ჩემი ღმერთი მყავს მე – მარდუქი, მარდუქი მწყალობს და ვუერთგულებ კიდეც ბოლომდე!

– ნოეს ღმერთი ალბათ დღესაც გდევნის შენ და საბოლოოდ რომ თავი დააღწიო, გათავისუფლდე მისი ზეგავლენიდან, გიფიქრია კი ამაზე, ნიმროდ?

– მიფიქრია, მაგრამ... საამისოდაც ვერ მომიცლია ჯერ და შენ იცი, როგორ მოვიქცე?

– ბაბილონში: ერიდუში უნდა ააგო დიდი სამლოცველო, უჩვეულო რამ ტაძარი, უუმაღლესი, თვალისმომჭრელი, თვალშუეწვდენი! შთამომავლობა ბაბილონის გოდოლად რომ მოიხსენიებს.

– მიწინასწარმეტყველებ? და რა მიზნით ავაგო ამსიმაღლე გოდოლ-ტაძარი?

– მხოლოდ ერთი მიზნით: იგი უბრალო შენობა როდი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს, წვერით ცას უნდა წვდებოდეს... შენ უსწორდები ამით ცა-ბაოთს, იმის საუფლოს, თვალს გაუსწორებ თვითონ ღმერთს, რომელმაც მოგიძულა, გაგწირავდა კიდეც, მაგრამ... ხელები დაიბანა: უპატრონოდ მიგაგდო... სული ამოხდება თავისითო... ბაბილონის გოდოლი... ცაის ხელა, იგი შენი ტაძარია, დიდი და განუმეორებელი სამლოცველო...

– და კიდევ: გკითხე, ისეთი რა იცი, მე რომ არ ვიცი და ვიცოდე უნდა?!

– კიდევ ის, რომ ფიქრი გმართებს, ნიმროდ, დიდი ფიქრი! შენ რომ უბრალო მოკვდავიც აღარ ხარ. თვით მარდუქია შენი მწყ-ალობელი, იმან მოგფინა შენ მელამი... ყოვლისშემძლეობის უნ-არიც გიბოძა... რა მოხდება, რომ მეგობრად მიგულვო მეც?!

– ადრე აღიარებას მთხოვდი...

– მაგრამ შენ მარდუქი გიღიარებია... მთავარია ჩემთვის, რომ ცაბაოთი არ მიგაჩნია ღმერთად, ამისთვისაც მადლობელი უნდა ვიყო შენი... მეგობრების სიიდან ნუ ამომშლი...

– როგორ ამოგშლი, როცა არც მეგულები მე იმ სიაში?!

– ნიმროდ, იფიქრე... შენ ხომ ფიქრის კაცად გცნობენ ღმერთებიც!

– ფიქრი დიახაც მმართებს. მე ხომ უნდა გავიდე ბაბილონი-დან?!

– სულ სხვა დროსა და სივრცეში: ამაზეც მომეხსენება!

– კარგი: იყავ ჩემს თვალ-ყურად, და არა მეთვალყურედ! ბაბი-ლონში მყავან ასეთები: მე მართლა მჭირდები როგორც თვალი და ყური! იქიდან, წარსულიდან – სხვა დროიდან მობრუნებული, ვეცდები შეგხვდე და გული არ გატკინო!

– სიტყვა სიტყვაა, ნიმროდ!

– შენ ამბობ, გრძნეულო!

– არც მე გავტეხ სიტყვას! აწი: აღარ მოგაცდენ, – თქვა გრძნეულმა და ცაც მოიქუფრ-მოიჟამა, მაგრამ არ გაწვიმებულა.

აქ საუბარიც დასრულდა, რაიც, ვინ იცის, როდის უნდა განახ-ლებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

იელვებს და ნიმროდსაც გაუელვებს: „დიდმა და ბრწყინვალე ღმერთმა ხალხის სამწყემსავი (სახრე) კვერთხი მე ჩამაბარა, გვირგვინოსან მეფეთა ზედა ამამაღლა, სამეუფეო მელამი დამხურა თავს და ვღელავ მარდუქის ნებით აღჭურვილი!

დაე, არ მომკლებოდეს მარდუქის წყალობა მე და თავს მხურავდეს კვლავ აღდგომის შარავანდედი!

* * *

ნიმროდი: აღელვებული....

ბედის ბედაურს მოეფერება, დაუყვავებს და თვალებში ჩახედავს: – სამი აქაური დღე ნეტა რამდენ იქაურ დღეს უნდა უდრიდეს? აღარ მეგონა, ბაბილონთან განშორება ასე თუ დამწყვეტდა გულს. ჩემს უკან ბაბილონია! მისი მომავალი ჩემზეა დამოკიდებული...

– ამას მე რატომ მიხსნი? – იწყინა ბედის ბედაურმა და ფლოქვები დაუშინა მიწას.

– შენს გასაგონად კი არა, ჩემს გასაგონადაც ვამბობ ამას, ჩემო ბედაურო! ჩემს თავს მინდა შევახსენო, რომ ბაბილონს ვეკუთვნი მთელი არსით, ჩემს ხალხს ჩემი იმედი აქვს და ეს იმედი არ მინდა გავუცრუო! მის წინაშე ანგარიშ-ვალდებული ვარ... ჩვენ ხომ ბაბილონის ბედს წარვმართავთ?!

„მე ისიც ვიცი, გაგიწევია შენ საითკენაც. ვიცი უბრალო მოკვდავიც რომ აღარ ხარ და რაღაც მინდა გითხრა...“

– იქნებ მირჩიო, ჩემო ბედაურო; შენი ნიმროდი ყურადღებით გისმენს... – ნიმროდმა გრძელ ფაფარში ხელი შეუცურა ბედის ბედაურს და მიუალერსა.

და ისევ ალაპარაკდა ადამიანის ენთი ბედის ბედაური: „შუმერთა ქვეყანა, საითკენაც ასე მიგიწევს გული და წინ მიგისწრებს სული, დიდი და მძლავრი ქვეყანა იყო... ისტორიაც საკაცობრიო სწორედ შუმერიდან იწყება, ენმერქარი კი მისი სწორუპოვარი მესაჭე, დიდი ლუგალი იყო. არ გაგიკვირდეს და ენმერქარში საკუთარი თავი რომ შეიცნო! მასთან ურთიერთობა მთელი თავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგამაღლებს და გაგაძლიერებს. დიდ ცოდნასა და გამოცდილებას შეგძენს. შუმერში აღმერთებენ ენმერქარს!

– მაგრამ, ჩემო ბედაურო, ვგრძნობ სათქმელი ჩემთვის კიდევ უნდა გქონდეს შენ...

„არც ცდები, ნიმროდ! ენმერქარს ერთი ჭოგრიტი აქვს; ეს ჭოგრიტი საგნებს რამდენჯერაც მოესურვება მის პატრონს, იმდენჯერ გაადიდებს... მაგრამ ენმერქარის ჭოგრიტი შუმერში უნდა დარჩეს...“

– ჭოგრიტი შუმერშიც უნდა დარჩეს, ჩემო ბედაურო? – მხრები აიჩეჩა ნიმროდმა.

– არის შუმერში მეორე, ზუსტად ისეთივე ჭოგრიტი, მაგრამ.. არ ვუწყი, სად მოიძიო? ის ჭოგრიტი თითქოს და ჯადოსნურიც უნდა იყოს... შენ იმ ჭოგრიტით გარკვევით დაინახავ მნათობებს, შორეულ ვარსკვლავებს და კიდევ, ნიმროდ: შენ და ენმერქარს ერთმანეთისგან ვერავინ გაგარჩევს. ტყუპისცალებივით ემგვანებით ერთი მეორეს. ფრთხილად იყავ იმის ერთადერთ ძესთან, ისიც ენმერქარივით შორსმჭვრეტელი და უებრო მხედარია. შუმერთა ქვეყნის მომავალი ხელმწიფე და დიდი გილგამეშის მამა. ეცადე, მტერი არ დაინახოს შენში. ჩემი სიტყვების სიმართლეში იქ, ენმერქარის სატახტო ქალაქ ურუქში დარწმუნდები... ახლა კი კედარი გელის. მიდი და ბედს ეწიე! თავის დროზე აქვე შევხვდებით ერთმანეთს, – შესჭიხვინა ბედაურმა სივრცეს და ამ სივრცეშივე გაილია.

ნიმროდი ევფრატის წყალს მიესალმება და წყალიც ამოიდგამს ენას: – ნიმროდ, იქაც... წარსულში (შუმერში), სხვა დროში მყოფმაც მომაკითხე დილა-უთენია, მზის ამოსვლამდე, შესვი შენი წილი წყალი და აღვივსები შენც დიდი წყლის ძალით და ვერავინ და ვეღარაფერი დაგიდგეს წინ! ახლა კედარზეც! კედარს მოწყურებია, ნიმროდ!

... კედარსაც ნიმროდის მოლოდინში აძგერებოდა გული.

მწვერვალზეა ნიმროდი. წყურვილი უკვე მოუკლავს კედარს, ნიმროდიც ხელს შემოხვევს იმის ტანს და გულში იტყვის: – კედარო ჩემო, შენს ტანს ვერავინ შემოაწვდინოს ხელები, ვერავინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაგიმორჩილოს!

– ნიმროდ: ერთი გირჩი მომწყდება ახლა... შენ ესეც იცი, ხელი მოუჭირე, რაც შეგიძლია და სანამ მთლად არ დაგიბუჟდეს თითები, მანამდე ნუ გაშლი ხელს. დახუჭავ მერე თვალს და ინატრებ. ჰოდა, შენც იქ ამოყოფ თავს, სადაც გისურვებია. წარსულში გინდა? მოიხილავ წარსულს, გინდა მომავალში? მომავლის კარიბჭე გაგეღება!

დრო ჩაირთო, ნიმროდ! ყურადღებით!

ნიმროდმაც იგრძნო მსუბუქი თავბრუსხვევა, მერე კი: გამოისროლეს თითქოს საიდანღაც და სადღაც მძიმე კარიბჭის წინ აახელს თვალს.

– შუმერთა ქვეყანაში ხომ არ ვარ, ენმერქარის დროში? – იკითხა ფიქრადქცეულმა.

– ენმერქარი გელის, დიდი მონადირე! – ზეციდან ჩამოესმა: – ინანა ვარ, ქალღმერთი. ენმერქარი ძმაა ჩემი. ჩვენ ერთი მამის შვილები ვართ. აგერ ენმერქარიც!

ენმერქარი თავის ბედის ბედაურზე ამხედრებული უახლოვდებოდა ნიმროდს. სადავე მარცხენათი ეპყრო, მარჯვენათი – ფრთოსან რაშს მოაგელვებდა.

ნიმროდმაც თვალი შეავლო ენმერქარს და დაწმენდილი ევფარტის წყალში იყურებოდესო თითქოს: „ჩემი ტყუპისცალივითაა?! – ამას ერთი გული ეუბნებოდა და: „ეს ხომ ადრეც ვიცოდიო?! – ამოუქთვამდა – მეორე.

თვალი ენმერქარსაც ვერ მოეწყვიტა ნიმროდისთვის: „ორეული გამომცხადებია, მაგრამ არ ვიცი წარსულიდან თუ მომავლიდან? მსგავსიც რამ ამისა, რომ არ უთქვამს ჩემთვის ინანას?! მაგრამ ხომ მითხრა, არც არაფერი გაგიკვირდესო!“

ისეთივე ფრთოსანი რაში, როგორც ენმერქარს ჰყავდა, ნიმროდის განკარგულებაში გადმოსულიყო და გაკვირვებასაც ვეღარ ფარავდა: „ჩემი ბედის ბედაური?! როგორც მახსოვს, არ გამომყოლია ჩემი დროის ბაბილონიდან...“

– ენმერქარი მოგესალმები მე... ჩემს დროში! ჩემი წინასწარმეტყველისგან მსმენია შენზე, ვიცი, ნიმროდი ხარ ბაბილონიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ორივე ერიდუდან ვართ, ნიმროდ! ჰო, მეუბნებოდა წინასწარმეტყველი: „ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისაო...“

– მიცანი, ნიმროდ?! – ამოხედა ბედის ბედაურმა: – ნუ მიწყენ... არ გამიფრთხილებიხარ, აქ რომ დაგხვდებოდი... ვგრძნობ, გიხარია ჩემთან შეხვედრა... მეც მიხარია, ნიმროდ!

ნიმროდი მიეფერა თავის ბედაურს და ენმერქარს მიუბრუნდა: – ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერც ვინატრებდი, ურუქის მბრძანებელო!

ურუქი ელოდა თავის სტუმარს.

– შუმერთა ქვეყანაზე რა იციან ბაბილონში? – ეს კითხვა შეაგებეს ნიმროდს ურუქმა და ურუქელებმა.

– ბევრი რამ... – გაეღიმა ნიმროდს. – ბაბილონშივე მსმენია ენმერქარსა და ურუქელებზე. ენმერქარზე ლეგენდები დადის ბაბილონში. შუმერული თიხის ფირფიტებზე ამოვიკითხე, თუ როგორ დაგიმორჩილებია არათას ქვეყანა...

– მაგრამ თავისუფლება არ წამირთმევია არათელებისთვის. მე ხორბალს ვუგზავნი არათელებს დღესაც, ისინი კი – სასარგებლო წიაღისეულს, ოქრო-ვერცხლსა და ლილაქვას... – და გაახსენდა თითქოს რაღაცაო, ხელი მაღლა აღაპყრო და სამარისებული სიჩუმეც ჩამოწვა: – ურუქელებო, ჩემი ტყუპისცალი დაბრუნდა შორეული მოგზაურობიდან, ნიბირუდან ახალი ამბები მოაქვს ჩვენთვის...

„ტყუპისცალი?!“ – ფიქრმა წაიღო ნიმროდი.

– უბრალო მოკვდავიც არაა ნიმროდი ბაბილონიდან. იგი ნაზიარებია ღვთაებრივ სიბრძნეს. ნუ გაგიკვირდებათ რომ დღეს თქვენთანაა იგი. მას შეუძლია ერთი დროიდან მეორე დროში გადასვლა... – ურუქელებს მიმართავდა ენმერქარი.

ჰოდა: ურუქი ზეიმობდა ნიმროდის შემოსვლას ურუქში და ზეიმობდა ენმერქარის ტყუპისცალის დაბრუნებასაც ნიბირუდან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ენმერქარი და ნიმროდი:

ისხდნენ ერთი მეორის პირდაპირ, ერთი მეორით ივსებოდნენ თითქოს და ვეღარ შევსებულიყვნენ. ვინ დიდია და ვინ – ცოტა ნაკლები. ამიტომ იყო, რომ ვერც ერთს ვერ გადაეწყვიტა, ვის დაეწყო საუბარი. ბოლოს მაინც ენმერქარი დაარღვევს დუმილს: – ჩვენ ხომ სალაპარაკო გვაქვს?! – წამოიწია ადგილიდან, მაგრამ აღარ წამომდგარა, სკამზე დაეშვა, – დღევანდელი დღე თითქოს ჩარჩოშიც ვერ ჩატეულიყოს, გადატვირთულიც მეჩვენება და მთლად დაცარიელებულიც, რაც ვერაფრით ამიხსნია... მაგრამ მინდა გკითხო: ბაბილონიდან ტყუილუბრალოდაც არ მეწვეოდი... მრავალსაუკუნოვანი გზა ალბათ რაღაც წუთ-წუთნახევარში გამოგივლია და... ურუქში ჩამოსვლის მიზეზზე რომ არაფარი გკითხო, ეს უნდა გაგიკვირდეს...

– გისმენთ, დიდო მბრძანებელო, მე ხომ თქვენ შემდეგ მოვიდვარ, და მასპინძელიც ხართ ჩემი.... – ნიმროდმა თვალი გაუსწორა ენმერქარს და მიხვდა დიდი მასპინძელიც, რომ ნიმროდის სახით მისებრ დიდი მონადირე სწვეოდა მომავლიდან.

– ბაბილონელი ნიმროდია ჩემი სტუმარი და ამხელა დროს ტყუილუბრალოდაც ხომ არ გადმოლახავდა, ამიტომ ენმერქარი გისმენს!

– ენმერქარზე, შავთავიან შუმერებზე და მათ ყოფა-ცხოვრებაზე, ცხოვრების წესზე თიხის ფირფიტებმა მამცნეს, მაგრამ ეს ცნობები მწირი მომეჩვენა და ავწრიალდი, ვეღარ მოვისვენე, გადავწყვიტე რადაც უნდა დამჯდომოდა, თქვენს დროში შემოვსულიყავი. მე ვიცი, რომ თქვენს შემდეგ ურუქის ტახტზე თქვენი შვილი ავა, იმის შემდეგ – გილგამეში, თუ არ ვცდები – თქვენი შვილიშვილი, გილგამეში ჯერ არ მოვლენია მზის ქვეყანას... აქ იმიტომაც ვარ, რომ თქვენს სიდიადეში დავრწმუნებულიყავი. და იმაშიც, რომ დამწერლობა ურუქში პირადად თქვენი მოწადინეობითაა შექმნილი. ერთმა ფირფიტამ ისიც კი გვამცნო, რომ წერილიც გაგიგზანვიათ არათას მბრძანებლისთვის...

– იყო ასე... – ჩაფიქრდა ენმერქარი, მაგრამ ნიმროდსაც აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააწყვეტინა ფიქრი: – ჰოდა, ადექით და შინ მეწვიეთ. სასწაულია სწორედ... დროში მოგზაურობაზე ჩემი ტყუპისცალი ძმა მომითხრობდა და მისი არ მჯეროდა. ნიბირუდან ახლახან დაბრუნდა.

– ნიბირუზე ვფიქრობდი მეც... – ახლა ნიმროდს წაიღებს ფიქრი.

– კიდევ რა იცით ბაბილონში ურუქზე, ჩემზე რა იცით?

– ვიცოდი, რომ თქვენს დროში თქვენზე გონიერი მმართველი, ე.წ. ლუგალი არავინ ყოფილა შუამდინარეთში.

– და იმიტომაც მეწვიეთ, რომ გამომცადოთ?

– ამას როგორ ვკადრებ დიდ ენმერქარს, ჩემს უღირსეულეს მასპინძელს?

– მაგრამ ჩვენი გამოცდა მაინც მოხდება კედარის ტყეში. ჩვენ როგორც დიდ მონადირეებს გვიცნობენ, შენ – ბაბლონში, მე კიდევ – ურუქში! მე ვხვდები თუ როგორ დაასრულებს შუმერი... გადავა ისტორიიდან და ბაბილონი აღზევდება!

– ბაბილონი ერიდუდან იწყება!

– მეც ხომ ძველი ერიდუდან ვარ... ურუქი ხომ... ნიმროდ, ყველაფერი გასაგებია ჩემთვის, შუმერი მხოლოდ წარსულში... სამწუხაროა...

– მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შუმერის ქვეყანას სწორი მამართულება მივცეთ.

– ეს უფლის საქმეა, ჩვენ ყველაფერი ვიღონოთ, რომ ჩვენს მემკვიდრეებს ჩავაბაროთ ქვეყანა ჩვენი, მაგრამ მუდმივი არც არავინაა და არც – არაფერი. გვიჯობს ჩვენ ჩვენს აწყმოს დავუბრუნდეთ და ამაზე ვიფიქროთ. არათას ქვეყანა მთიანი მხარეა და ამიტომაც ჭირს მისი დამორჩილება.

– შენს გვერდით მიგულვე, დიდო მხედარო! – თავის სიტყვას ჩაუფიქრდა ნიმროდი და შეცბა: შენობით მიმართავდა ენმერქარს მასზე საუკუნეებით უფროსს.

– ამაზე ვიფიქრებ... – ხასიათიც გამოუკეთდა ენმერქარს: – ძალიან ვაფასებ შენს ერთგულებას... მეგობრობას, მაგრამ არათას ქვეყნის დაპყრობას უსისხლოდ ვფიქრობ.

– შემიძლია გკითხო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რასაკვირველია, ნიმროდ...

– უფრო თხოვნაა ეს, ვიდრე – კითხვა: მინდა წარმადგინოთ თქვენს ძმასთან, ნიბირუდან დაბრუნებულაო, თქვენგანვე მსმენია, და მომდევნო ორი კითხვაც; პირველი: სად არის თქვენი ტყუპისცალი – ნიბირუდან მობრუნებული...

– მყავს ტყუპისცალი, ჩემზე თხუთმეტი წუთით უფროსი. იგია უპირველესი ჩვენს შორის. და იგი უნდა გამეფებულიყო მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ უარი თქვა ტახტზე და... განდეგილია დიდი ვასკვლავთმრიცხველი. მამას ადრევე განუცხადა, მეფედ მე არ გამოვადგები შუმერის ქვეყანას. მეფედ ენმერქარია დაბადებული, იგია დიდი მონადირეც და დიდი მხედარიც! იგი სულ მალე ავა დიდების მწვერვალზე და შუმერთა ქვეყანას საქვეყნოდ გაუთქვამს სახელს! ურუქს სატახტო ქალაქად გამოაცხადებს და მეფეთა ქალაქს განერიდება. ტყუპისცალმა თვითონ ამიყვანა ტახტზე და მეფობა მომილოცა. ასე იყო ეს! ამას წინათ თავის კოშკში მიმიწვია და შენი ურუქში შემოსვლაც იმან მიწინასწარმეტყველა, ნიმროდ!

– მე მინდა ვნახო თქვენი ძმა.

– ხვალ ნაშუადღევს, როცა მზე შუბისტარზე შეყოვნდება, ჩემი ძმის კოშკში უნდა ვიყოთ მე და შენ! იგი შენ გელოდება.

ნიმროდს სიხარულისგან გული აუძგერდა: „მეღირსაო?“ გაიფიქრა და ენმერქარმაც წაიკითხა ნიმროდის ფიქრი.

ნიმროდიც კითხულობდა ენმერქარის ფიქრებს და იცოდა, რომ ენმერქარი უკანონოდ ასულიყო ტახტზე და წესით პირველიც მისი უფროსი ძმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირველობაც რომ სიამოვნებდა?! ზოგჯერაც აუჯანყდებოდა თავს. მაგრამ მეორე გული დაამწყალობებდა, „როგორ, ენმერქარი და მეორეო?!“ მერე საკუთარ თვალშიც უსაშველოდ მაღლდებოდა, ფიქრით ღმერთებსაც უტოლდებოდა და ისევ წამოუვლიდა გამწარებული ფიქრი: „ენმერქარი – დიდი მეომარი, მეფეთ-მეფე და სწორუპოვარი მონადირე, უმაღლესი ქურუმი და... მე ხომ ღმერთი ვარ მიწაზე დაშვებული და მეორე ვიყო ურუქში?!“ მაგრამ მოინახულებდა თავის ტყუპისცალს, სიკეთითა და სითბოთი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოვსებოდა თვალები და თავს ჩაქინდრავდა დამნაშავესავით. დანა პირს აღარ უხსნიდა და მიწა გასკდომოდა და შიგ მოჰყოლოდა ერჩია. უკან იხევდა ენმერქარი თავის თავში: ხედავდა მასზე მეტად ამაღლებულ თავის ტყუპისცალს, მზის გვირგვინი რომ ედგა თავს და ეს გვირგვინი იმდენი ვარსკვლავით იყო გაწყობილი, რომ მათი თვლაც ჭირდა.

– მე ვერ დავთმობდი მეფის ტახტსა და გვირგვინს, იმან კი დათმო თავისი ნებით... იმან, ჩემმა ძმამ შეცვალა ჯერ საკუთარი და მერე – ჩემი ბედისწერა. იგი ბედის მწერალია და აწი აღარც გამოვა საკუთარი მეობიდან. ზოგჯერ მშურს კიდეც მისი. ის ჩემზე დიდი კაცია...

– და ვინ არის იგი დღეს, რას წარმოადგენს?

ენმერქარის ხედვით: მეცნიერია და ვარსკვლავთა მესაიდუმლე, ღმერთებთან მოლაპარაკე წინასწარმეტყველი! სულში მოუხაზავს ზეციური სამყარო, თავისი შეხედულებისამებრ განულაგებია მზის გარშემო ის მორიალე ციური სხეულები და თავის თანამგზავრებად უქცევია.

– ჩემმა ძმამ თავის მეობაში მოაქცია მთელი ეს უსასრულობა და განვრცობილა თვითონაც ამ უსასრულობასავით. აი, ვინ გველის ხვალ იმ თავის ზღაპრულ კოშკში! დღეს ურუქში იციან მის შესახებ, მაგრამ არავინ იცის მისი სამყოფელი. მეც კი, რომ არ გამომიჩნდეს, შეიძლება ვეღარც მივაგნო.

და ისევ წაიღო ენმერქარი ფიქრმა:

იგი დალაშქრავს არათას ქვეყანას. ალყაში მოაქცევს არათას მბრძანებლის სასწაულებრივ სასახლეს და მანამ არ მოხსნის ალყას, სანამ საბოლოო მორჩილებას არ განუცხადებენ არათელები. შემდეგ დიდ ნადირობას გამოაცხადებს კედარის ტყეში: – ასპარეზზე შენც მინდა გიხილო, ნიმროდ!

და გამოცოცხლდება ნიმროდიც, საცრისოდენა თვალები გაუსხივდება. ნიმროდიც ხომ ენმერქარივით ტრფიალია ნადირობის?!

ერთმანეთს თვალი გაუსწორეს:

„დიდი მონადირეა...“ – ფიქრობს ნიმროდი.

„იქნებ ჩემზე მეტადაც ამაღლებული!...“ – გულში იტყვის ენმერქარი: „თუმცა ვინ იცის?!“

...ეს დღეც უნდა დასრულებულიყო და დასრულდა ისე, როგორც საერთო ბედის წიგნში ეწერა.

ხვალის მოახლოვებას შეიგრძნობდნენ: აქეთ – ენმერქარი და იქით – ნიმროდი, მაგრამ არავითარი იქით, ნიმროდიც აქეთ იყო, ენმერქარის შორიახლოს და ორივე: ურთიერთ აზრთა წაკითხვას ცდილობდა.

ენმერქარი: ნიმროდის აბორგებულ სულში მოგზაურობდა უკვე.

ნიმროდი?! იცავდა სტუმარ-მაპისნძლობის შუამდინარულ წესს და მოთმინებით ელოდა, როდის გაუღებდა თავის სახლის კარს დიდი მასპინძელი.

* * *

ენმერქარმა შუბლზე აკოცა თავის ბედაურს და ყურში ჩასჩურჩულა: – იცი შენ, რაიც მჭირს და გულიც საითკენ მიმიწევს...

ბედაურმაც ჭიხვინით ამცნო, რომ ესმის ენმერქარისაც.

და: ნიმროდიც და ენმერქარიც ორივ ერთდროულად ამხედრდებიან.

„ნუთუ ჩემი ბაბილონური რაში, რაიმეთი უნდა ჩამორჩეს ურუქელის ბედაურს?“ – გაივლო გუნებაში და ამ დროს ენმერქარიც გადმოსძახებს:

– ნიმროდ, არ დაგავიწყდეს: უშენოდ ბაბილონიც ვერ იბაბილონებს, ვერც ევფრატი იევფრატებს! დაასრულებ ურუქში საქმეს და ... ბაბილონში დიდი საქმეები მოგელის!

ნიმროდმაც თავი დაუქნია ენმერქარს და ისევ აეჭრა თვალწინ: აქ დროც დაჩქარებულიყო თითქოს... სულ სხვა დრო სუფევდა ურუქში და გულმაც ამოუთქვა: „შენ არ გაგიჭირდება ახალ დროსთან შეგუება... ესეც დროის საქმეა! ჰა, უკვე შევუწყვე ფეხი! ახალი დროის სუნთქვით ვსუნთქავ... არც მეეჭვებოდა...“ – ახლა ყურადღება ბაბილონზე გადაიტანა: „უკვე მომნატრებია ჩემი ბაბილონი. ურუქიც დიდებული ქალაქია, მაგრამ ბაბილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი მაინც ვერაა! იქ ჩემი კედარი მელოდება! ევფრატის წყალიც! რაო, ევფრატს მოწყურებია?!“

აქ თითქოს განგებ წაიბორძიკებს ნიმროდის ბედაური: – ნიმროდ, ნუთუ... მართლა ვერ იცანი შენი ბედის ბედაური?!“ – უსაყვედურებდა პატრონს ბედის ბედაური.

„აღარ მეგონა ურუქშიც თუ გადმომყვებოდი, აქ ხომ სხვა დროა და ფეხი არ აგერიოს!“ – ჩასჩურჩულა ნიმროდმაც ყურში, – მაგრამ როგორ?

აღმოჩნდა: ბედის ბედაურსაც ისევე გამოევლო დროის კარიბჭე, როგორც თვითონ ნიმროდს: – ნიმროდ, სადაც – პატრონი, იქ – მისი ბედაურიც!“ – ფეხს აუჩქარა ბედაურმა, თითქოს ფეხს უწყობდესო დროს, ცდილობდა მისი რიტმიდან არ ამოვარდნილიყო.

– ნიმროდ! ენმერქარის ძმა დიდი წინასწარმეტყველია, სწავლული მეცნიერი, მათემატიკოსი, ვარსკვლავთმრიცხველი და ნათელმხილველიც! შენ მიხვალ მასთან და ეცადე: რაც შეიძლება მეტი მიიღო მისგან. იგი ახალ, შენთვის გაუკვალავ გზაზე შეგაყენებს. უსმენდე, შეიცნობდე და აღიქვამდე დიდი შუმერი წინასწარმეტყველის ამაღლებულ სულს.

ენმერქარის ხმაც ესმა ამ დროს. მოგელისო. ორსართულიანი კოშკის წინ იდგნენ. ჩამოხდნენ ძირს და მძიმე კარიბჭეც შეიღო კოშკში.

– ჩემმა ნათელმხილველმა ძმამ უკვე იცის, რომ კოშკში ვართ.

კოშკის პატრონს მასწავლებლები და მოსწავლეები დაეთხოვა და სულ მარტო იყო ამხელა კოშკში.

ენმერქარიცა და ნიმროდიც ერთობ მოკრძალებით მიესალმებიან მასპინძელს, რომელსაც წვერი მკერდამდე სცემდა.

– მივესალმები ნიმროდს – გმირ მონადირეს წინაშე უფლისა ღვთისა! ბაბილონის მეფეთ-მეფესა და ქურუმთ-ქურუმს! გელოდი, ნიმროდ! შენზე ნიბირუში მომითხრობდნენ, – უცებ ენმერქარისკენ შებრუნდა და მადლობა გადაუხადა შუამდინარეთში ყველაზე ცნობილი ადამიან-ღმერთის სტუმრობის გამო .

უფროსი ტყუპისცალის მზერა შედარებით თბილი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე – მისი უმცროსი ძმისა. თითქოს ეფერებოდნენ ტყუპისცალის თაფლისფერი თვალები ნიმროდს, საყვედურობდნენ ამავე დროს, კინაღამ არ დაგაგვიანდაო?! – სული ამოვსებოდა სიხარულისაგან დიდ წინასწარმეტყველს. ნიმროდს კი ამ დროს რაღაც ჭირდა თუ ემართებოდა და ამის ამოცნობას ცდილობდა კოშკის ბატონ-პატრონი.

– ნიმროდ! მე უარვყავი ერთხელ სახელი ჩემი და ასე უსახელოდ მივიმდოვრები ჩემი სიცოცხლის უსახელო გზაზე. მე უსახელო მდინარე ვარ. ჰოდა, კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს საუფლოში!

და კაცს, ასე უსახელოდ რომ ვიდოდა მისეულ გზაზე (ვერავინ ხედავდა ამ გზას), ემოსა გრძელი, ნაცრისფერი ჯვალოს კაბა, კალთები იატაკზე რომ დასთრევდა.

„ნიმროდ, ურუქში თავისი ღმერთები ჰყავთ, მე კი არც ერთს არა ვცნობ. მინდა ჩემი მყავდეს, განსაკუთრებული, ყველასაგან გამორჩეული. სადღაც არის და ხმაც მომაწვდინა ერთხელ, მაგრამ არ გამომჩენია... შენ კი, ნიმროდ, სასწაული ვინმე ხარ, ბევრსაც მიაღწიე და ლეგენდად იქცევა შენი ამბავი, მაგრამ... – თვალები მოწკურა, თითქოს შორეულ ათასწლეულებში შეჭვრეტას აპირებდესო... – პატივმოვარეობამ თუკი არ გძლია, ადამ-იანო... – სიტყვა მოულოდნელად შეიწყვიტა და გულიც გამოიკეტა. აქ ფიქრად იქცა: „ვიცი, ვინცა ხარ? ნიმროდი შენი ყოველდღიური სამოსელია... ადამ... შენ მართლა პირველი ხარ, მაგრამ საკუთარ თავს, რაც არ უნდა ინდომო, ვერ გადაახტები. ეს ღმერთებმაც ვერ შეძლეს...“

„ნეტა რა ვერ შეძლეს ღმერთებმა?!“ – გულში ჩაიხვია ამ დიდი ნათელმხილველის ფიქრის ბოლო სიტყვები ნიმროდმა და თავის თავზე მოუვიდა ბრაზი, რომ მთლიანადაც ვერ აღიქვა ის ბევრისმომცველი ფიქრი.

უცებ ნათელმხილველმა, ჩრდილში რომ არჩევდა ყოფნას, თავი მაღლა აიღო და თვალებში ჩახედა თავის ტყუპისცალს: „ენმერქარ, შენ სულ სხვა თიხისგან ხარ ნაძერწი და გამოგძერწა შენ მამაჩემმა. ამიტომ, ნამროდიც ვერ უნდა იყო! დანარჩენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე გეტყვი... არ მინდა ნიმროდმაც იცოდეს ის, რასაც შენზე ვფიქრობ!“ – დაასრულა ფიქრი და ისევ ნიმროდზე შეუჩერდა ფიქრიც და მზერაც.

– ვიცი, ჩემს რჩევას არ მიიღებ და იმიტომ ვერაფერსაც ვერ გირჩევ! – ხელი მკლავზე წაატანა ტყუპისცალმა ნიმროდს და სარკესთან მიიყვანა. – ხედავ? თვითონვე შეგიძლია მოიხილო მომავალი. აქ ხომ შენი დროიდან წარსულში შემოგიბიჯებია და შეგიძლია ისევე გადააბიჯო მომავლის ზღურბლსაც.

– და ჩემს თავსაც ვერ გადავახტები?

– ვერ გადაახტები, ნიმროდ, მაშასადამე ყოვლისშემძლეც ვერ ბრძანებულხარ, მაგრამ „არ გადაახტები“-ს სულ სხვა დატვირთვაც უნდა ჰქონდეს შენთვის, ნიმროდ: ვიცი, რაც გაინტერესებს ყველაზე მეტად: შენ ფიქრის კაცი ხარ და სწორედ ფიქრის დროს აგეხილება მესამე თვალი! ადამიანის არსზე მოგახსენებ და მინდა სწორად გამიგოთ ორივემ. ადამიანისთვის: აწმყო საფეხურია მომავლისკენ გადადგმული. მიწაში ჩვენსავე დროში ჩათესლილი მარცვალი უნდა მოკვდეს ჯერ, სახე იცვალოს და კვლავ ჩაიდგას სული, გაღვივდეს, აღდგეს მკვდრეთით და თავი ამოყოს მიწიდან, აქ მიწიერი სხივიც მიეფერება და: მივულოცოთ ამ მარცვალს ახალი სიცოცხლე!

– ეს ჩემი სავანე... – ენმერქარს მიუბრუნდა, – სადაც ახლა იმყოფებით, როგორ ფიქრობთ, რას წარმოადგენს, რისთვის დაგაარსებინე, ენმერქარ?

ჩემს სავანეში ხართ დღეს; ამ ჩემი სავანის დაარსებაში დიდად ვემადლიერები ენმერქარს, არაფერი მითხოვია მისთვის და თვითონ მოიფიქრა, ჩემს ფიქრს შეწვდა და: ჩემგან დამოუკიდებლად ააგებინა ეს კოშკი ურუქის მთავარ ხუროთმოძღვარს. და კედარის ტყეში შეხიზნულს საბრძოლო ეტლით მომაკითხა... გმადლობთ, ენმერქარ, შენ როგორც ურუქის დიდმა განმგებელმა დაწერე ჩემი ბედისწერა, დაწერე ისეთი, როგორც შენს ძმას შეეფერებოდა... ხომ კოშკია ჩემი სამყოფელი, მაგრამ სკოლაცაა და სასწავლებელიც: აქ შევაყვარებთ მომავლის ადამიანებს დედაენას, ვასწავლით ჩვენს ღვთაებრივ ანბანს და ვაზიარებთ სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლის არსს, გაიზრდებიან ისე, რომ უყვარდეთ მოყვასი თვისი და ვერაფერ დიადსაც ვერ შექმნიან უსიყვარულოდ. ასე თუ შევძლებთ გადავდგათ ნაბიჯი ზეციური სამყაროსკენ.

ჩვენ უკვე მეორე სართულზე ვართ: ესეც მთავარი სამეცადინო დარბაზი. მეცადინეობები იწყება დილაუთენია – მზის ამოსვლამდე, ვიდრე მზის შეხურებამდე; და: ნაშუადღევიდან – მზის ჩასვლამდე. დღეს და ხვალ გამოსაშვები დღეები გვაქვს. „ბავშვები აქ უბრუნდებიან ბავშვობას.“ ბავშვი ბავშვია და სხვანაირადაც არ ძალუძს!

ბავშვი სუფთა დაფაა და უნდა შეივსოს იგი! ჩვენი მოსწავლე-ბავშვი აქ ხელმეორედ იდგამს ფეხს. ყოველ სამ ბავშვზე ორი მასწავლებელი ზრუნავს.

ეს მესამე სართულიც: ხედავთ, როგორ ვიზრდებით და ვმაღლდებით?! ამ სართულზე კვლევა-ძიებები მიმდინარეობს, აქ შვიდი მკვლევარი იღვწის, ეძიებენ, რომ ჰპოვონ!

მეოთხე სართულზე მე ვარ... აქ ჩემი ნებართვის გარეშე ვერავინ შემოვა, ენმერქარიც კი... კოშკის სამყოფელი გასაიდუმლოებულია, ჩემი ნების გარეშე კოშკს ვერავინ მოაგნებს.

ეს უკვე ჩემი სამყაროა: აგერ ჩემი დამზადებული ხელსაწყო-დანადგარები... ეს გამჭვირვალე ძვირფასი ქვები არათას ქვეყნიდან ეგზავნება ენმერქარს, ხელსაწყოებისთვის მჭირდება. მინასაც თვითონ ვამზადებ, ნიბირუდან ჩამოვიტანე მისი დამზადების წესიც. ჭოგრიტისათვის მჭირდება. ჭოგრიტი – თანამედროვეობის ყველაზე დიდი მიღწევა! შუმერის გონის წყალობა! ერთი ენმერქარს აქვს, მეორე – ჩემია და ეს მესამე – სულ ახლახან დამზადებული შენია ნიმროდ. შენ – ქურუმთ-ქურუმს და დიდ ვარსკვლავთმრიცხველს იქ ბაბილონში გამოგადგება! იმ გოდოლშია ამ ჭოგრიტის ადგილი, ჯერ მხოლოდ იდეად რომ გიღვივის და: უნდა განახორციელო. წინასწარმეტყველებისგან თავს შევიკავებ, ჩემი წინასწარმეტყველებით შეიძლება კიდეც დაგიშავდეს რამე. ნიმროდ, ჩაიბარე შენი ჭოგრიტი! მადლობას აქ, ურუქში ნუ მეტყვი, იქიდან, შენი ბაბილონიდან შემომითვალე მადლობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– საოცარია, ვერაფერს ვამბობ... მე წარსულში შემოხეტებულს ამხელა სიხარული მომანიჭეთ... თუმცა ამ ჭოგრიტზე ბაბილონშივე ვიცოდი უკვე.

– არც თუ ისე შემოხეტებული, ნიმროდ.... – უკვე შეჭაღარავებულ წვერზე ჩამოისვა ხელი მაპინძელმა, – შენზე ვარსკვლავებმა მაუწყეს. აქ საკვირველიც არაფერია, თუკი სამყაროსეულ წიგნში ჩაიხედავ, პირდაპირაა გაცხადებული სამომავალოდ ასახდენი მოვლენები: მნათობები და ვარსკვლავები, წყალი, ჰაერი და მიწა, ადამიანები, ცხოველები და ფრინველნი: ყველა და ყველაფერი, სულიერიცა და უსულოც ურთიერთკავშირშია. რომ წარმოუდგენელია უერთმანეთოდ სიცოცხლე – აი, კანონზმოიერებაც!

– ნიბირუც ხომ ციური სხეულია?!

– ნიბირუზე ვგონებ ბაბილონშიც უნდა გსმენოდეთ... ეს შეკითხვა, თუ არ ვცდები, ენმერქარსაც დაუსვით უკვე.

– დიახ, ვკითხე თქვენს ძმასაც... ნიბირუზე... ბაბილონში ყურმოკვრით...

– ნიმროდ, შენი შესაძლებლობის ადამიანს ნიბირუზე ბევრიც უნდა მოგეხსენებოდეს... მთავარია, მეხსიერების სკივრი გაგეხსნას! გასაღები შენშივე დევს, საჭირო ღილაკს (უხილავს ჯერჯერობით) უნდა დააჭირო თითი... მხოლოდ გახსენება გჭირდებათ და ის მივიწყებული, ზეციური წიგნი გადაიფურცლება შენს თვალწინ. საკმარისია, გააცნობიერო, რომ სამყარო სულია შენი, უსასრულო და ყოვლისმომცველი! იგი სარკეა ერთგვარი, ჩაიხედე შიგ და იხილე. ეს ჭოგრიტი ძალიან გამოგადგება! ახლა კი მომიტევეთ და დამტოვეთ! ჩემი დრო იწყება! გვახსოვდეს: ერთმანეთს ნუ მოვაცდენთ! ენმერქარ, შენც მომიტევე...

„ვტოვებთ ამ უსახელო წინასწარმეტყველს და იმის ჯადოსნურ კოშკს, საიდანაც მომაქვს შუმერული ჭოგრიტი, რომელზეც ბაბილონშიც მსმენოდა. აღარ ვიცი, რატომ ამკვიატებია ეს ფიქრი, თითქოს თავს ვირწმუნებდე, რომ ნამდვილად ვიყავი დიდი შუმერელი წინასწარმეტყველის კოშკში და...“ – ფიქრი არ დაუსრულებია ნიმროდს და მეორე, მომდევნო ფიქრი შორეულ ვარსკვლავეთში დაუკითხავად შესტყორცნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკში კი რჩება კაცი, კაცზეც აღმატებული, საკუთარი თავის ამარად; კაცი უსახელო და ამაღლებული, სამყაროს დიდი მსახური...

ენმერქარიც წაეღო ფიქრებს: „ჩემსავით დიდი მონადირეა. კედარის ტყეში ვნახავთ ვინ უფრო მეტობს ჩვენს შორის: სრულიად შუამდინარეთის გამაერთიანებელი, დიდი ლუგალი-ხელმწიფე, თუ – მე? უნდა მივენდო! ღმერთს აჯანყებია და ბაბილონში გააერთიანა სხვადასხვა ხალხი, ერთ ენაზე რომ აელაპარკებინა. დაგმო ყველა ღმერთი და თავისი ღმერთი გამოიგონა! აი, რას უნდა ნიშნავდეს „ნიმროდი ღმერთს აჯანყებიაო...“

ნიმროდიც ფიქრობდა, მაგრამ ჯერ – ბაბილონზე: მოსალოდნელ ომებზე და ფიქრი მაინც ენმერქარზე შეუჩერდება: „თუკი დავითანხმე ენმერქარი, გავილაშქრებთ არათაზე, შევიპყრობთ არათას მბრძანებელს და გალიაში გამოვამწყვდევთ. მერე: მთელ ურუქში შემოვატარებთ გალიაში გამომწყვდეულ ნახელმწიფარს...“ – და იგრძნო ნიმროდმა, ამაღლებულიყო თითქოს, კანში ველარ დატეულიყო, ჩამოიძერწა ღვთაებრივ ჭურჭლად: „და ამ ჭურჭელსა შიგან უკვდავების წყარო მოწვეთავს, მაგრამ არც მთლად უკვდავების წყარო... წყაროზეც აღმატებული... – და იცოდა ნიმროდმა უსაშველოდ ბევრი, გადანათებოდა გრძნეული სული, და იყო იგი ლამპარი ჯადოსნური, ასხივებდა ყოველის მხრიდან, გასცემდა უანგაროდ, თვითონ კი სხივდებოდა და ნათდებოდა მზისებრ: „მაგრამ ნიბირუ? და მაინც რა უნდა ვიცოდე ნიბირუზე? ვარსკვლავია იგი თუ უბრალო ციური სხეული? და გაახსენდა იმ უსახელო ნათელმხიველის შეგონება: „საკმარისია ჩაიხედო შენსავ მეხსიერების სკივრში, რომ გადაგეშალოს თვალწინ მთელი სამყარო: უსასრულობა ყოვლისმომცველი!“

* * *

ფიქრი შემაღლებულზე:

„...შუმერნი აკვირდებოდნენ, წვდებოდნენ, აცნობიერებდნენ, აღიქვამდნენ... მაგრამ მე ხომ წარსულში ვარ და უფლებაც არ მქონდეს, მათ თანამედროვედ წამოვიდგინო თავი? ჰო, აკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირდებიან შუმერები ვარსკვლავურ გზას, ჭვრეტენ (შუმერნი დიდი დამკვირვებლები) ცის თაღზე... ციურ სარტყელზე, რომელსაც გაივლიან მზე, მთვარე, დიდი და მცირე მნათობნი (თავიანთ მარადიულ მიმოქცევაში), შეიმჩნევა თორმეტი ძირითადი ხომლი (ვარსკვლავთა კრებული) და მზეც თითოეული ამ ხომლთან დაახლოებით თითო თვეს დაჰყოფს და ამიტომაც თორმეტ ვარსკვლავურ ერთეულთან დაკავშირებული წლის დროც ერთ თვეს შეესატყვისება.

ბაბილონელი ქურუმები ამ ხომლებს სხვადასხვა ცხოველებს ამსგავსებენ, არქმევენ შესატყვის სახელებს და მნათობთა კვალად ხატავენ. ბაბილონელები (ალბათ სხვანიც) ამ წრიულ გზას მხეცთა გზას უწოდებენ დღეს. და ქალდეველი ქურუმებიც – ჩვენი დიდი წინაპრები ამ ვარსკვლავთკრებულთ მხეცთა სახელებით იცნობდნენ. ნოეც, ჩვენი დიდი წინაპარი, ქალდეველია... ქალდეველი კი აბა ვინ უწყის, შუამდინარეთიდან, თუ ჩრდილოეთიდან, სადაც დღესაც სახლობენ კოლხები, ხალიბნი, მაკრონნი და სხვანი და სხვანი, რომლებიც ჩვენებურად მეტყველებენ და ანბანიც ჩვენებური აქვთ... თარგამოსიც იქ, ქარდუხში მეფობს, იაფეტის მოდგმიდან! ჰო, ნოეც ქალდეადანაა, ჭეშმარიტი ქალდეველი(!) კიდობანი ააგო თავისი მოდგმის და ცხოველთა და ფრინველთა გადასარჩენად... ნოემ გამოიარა წარღვნა. მაგრამ გამბედაობა აღარ ეყო, წინ აღდგომოდა ცაბაოთის ნებას. ღვთის კაცს ამიტომაც ეძახიან ნოეს! მე კი განვუდგები იმ ღმერთს. ასეა ეს და დროის დაბრუნება აღარც კი მნებავს! ამ წარღვნას ვერ ვაპატიებ ცაბაოთს. მაგრამ ნოესა და იმის ღმერთზე საფიქრალად აღარ მცალია, მე ახალი დროის რიტმისთვის ამიწყვია ფეხი და ვეცდები არ ამოვვარდე ამ დროიდან.

ცის ცარგვალი და ამ ცარგვალზე ხომლებად მავალი ვარსკვლავთკრებულები: ისინი სადღეღამისო და წლიურ ჟამთასვლაში ცის კაბადონზე რიტმულად გადაინაცვლებენ და ასე უვლიან გარს დედამიწას, თითქოს თავს ევლებოდნენ.

მეცნიერება მართლა შორს წაწეულა წინ: ჩვენი, ბაბილონური მთვარის ნიშანია „ანი“(ა), მზისა – „დ“ (დღეანდელი დე), მზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თვალის) ღვთაებისა – „თ“, ღვთის კარისა (შვიდეულის) შვიდი ასო კარის მოყვანილობისა – „ღ“, ცისკრისა (ციური დედოფლის ქალღმერთისა – „ც“, ხარისაა (მთვარის სახის რქოსანი ღვთაება) – „ხ“ და ანბანის დასასრულ ჯვრის სახე „ჯ“... ეს შვიდი ასო-ნიშანი ჩვენი ანბანის დედაძარღვია შეთანხმებული მაგიურ შვიდ რიცხვთან და ამის საფუძველიც აქ, შუმერთა ქვეყანაშია მოსაძიებელი.

მაგრამ ნიბირუ მნათობია თუ ვარსკვლავი?! და რა იციან შუმერებმა ამ ნიბირუზე? ენმერქარს, რა თქმა უნდა, ეცოდინება, მაგრამ რა იცის ამაზე მისმა ტყუპისცალმა, იმ უსახელო კაცმა და კაცზეც მეტმა, თავის ჯადოსნურ კოშკში რომ გამომწყვდეულა და დაფრინავს ფიქრით, ვინ იცის, სად? ფიქრის რაშზე ამხედრებულს შეუძლია ნებისმიერ ვარსკვლავზე დაჯდეს ისე, რომ დროის კარიბჭის შეღება არც კი დაჭირდეს. მაგრამ ასე შორს ვერ წავა... ახლა: მეც მისებრ მოვიშველიებ ფიქრს და ვიხილავ მზეს და მის ირგვლივ განათებულ დიდი და მცირე ზომის მნათობებს... და მაინც, როდის, როდის დაიძრნენ ადგილიდან ასე შეთანხმებულად? აღარ იკითხავთ, რა ძალამ დაძრა ისინი ნულოვანი წერტილიდან? ეს იგივეა, მკვდარი გააცოცხლო! და მოძრაობენ ისინი ერთხელ დადგენილი სიჩქარით, თითქმის აუღელვებლად. ვინ, ვინ დაადგინა მათი ამნაირი წრიული მოძრაობის წესი და რიგი: წესრიგი ყველგან და ყველაფერში! ვინ არის ყოველივე ამის შემოქმედი და მესაიდუმლე?!

ჰოდა: ყურადღებას მივაპყრობ ერთ წყვილ შიგა (მცირე) და გარე (დიდ) მნათობს. იქნებ სულაც სულიერი არსებანი იყვნენ და მეტ ყურადღებასაც იმსახურებდნენ? და ამ ორ დიდსა და მცირე მნათობს შორის ყოველ სამი ათას ექვსას წელიწადში, როგორც წესი, ადგილს იკავებს დედამიწისნაირი მნათობი (შეიძლება დედამიწაზე ნაკლები ან მასზე ზომით აღმატებულიც). დრო უნდა ამის დადგენას. და რა უნდა იცოდეს ამაზე მეტი იმ ჯადოქარმა ვარსკვლავთმრიცხველმა, ნიბირუდან მობრუნებულმა!

ნიბირუზე ბაბილონელი ქურუმებისთვისაცაა ცნობილი ზოგიერთი რამ... ფიქრობენ თითქოს ადამიანებით დასახლებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობი იყოს. ანუნაკები სახლობენო ნიბირუზე – ჩვენზე უფრო განვითარებულნი – კინაღამ ღმერთები და ყოვლისშემძლენი. ნიბირუ დედამიწას პირველად სამი ათას ექვსასი წლის წინათ წვევია (ბაბილონის დროით)... მარდუქის კოსმოსური მოგზაურობის გზა ერთგვარი ნიშნული უნდა იყოს ჩემთვისაც! ჩემი კედარი დამაკვალიანებს...

მაგრამ ანუნაკები? ვინ – ანუნაკები? მაინც რამდენით ჩამოვრჩებით მათ? რამდენით გაგვისწრეს დედამიწელებს? დედამიწელებს, ანუ ბაბილონელებს? იქნებ ნიბირუ არც ციური სხეულია და არც რამენაირი თანამგზავრი; უბრალო სამოგზაურო ხომალდია კოსმოსში? და იგი ჩვენზე დაწინაურებულმა ანუნაკებმა ააგეს, როგორც ნოემ – თავისი კიდობანი, ამ თავისი კიდობნით წყლის აგორებულ ტალღებს მიაპობდა, ანუნაკების ხომალდი კი – სივრცის უხილავ ტალღებს. იქიდან გვაცნობენ საიდუმლო ნიშნებით რაღაცას, მაგრამ ამ ნიშნებსაც ხომ უნდა წაკითხვა?! ისინი კი სულ სხვა ენაზე უნდა ლაპარაკობდნენ და ანბანიც მათი ჩვენსაზე განსხვავებულიც უნდა იყოს! იქნებ მათ შეგვქმნეს და გვაკვირდებიან, რასა ვიქმთ და რისთვის მიგვიღწევია მთელი ამ ხნის განმავლობაში. თუკი მათ შეგვქმნეს, ცაბაოთი რა შუაშია, როცა ადამს ძერწავდა თიხისგან. იქნებ ცაბაოთი სულაც არ არის ღმერთი და ანუნაკია ნიბირუდან?! და რატომ უნდა გვაკვირდებოდნენ, რა უფლებით? პასუხი: ანუნაკებმა არ იციან თავიანთი წარმოშობის შესახებ და ამიტომაც გვსწავლობენ: უნდათ გაარკვიონ, თვითონ რანი და როგორები იყვნენ ჩვენს ასაკში? ვიხედები ისევ ჩემი მეხსიერების სკივრში და ვკითხულობ: „ანუნაკები... თვითონ ღმერთები! ჩამოსულან ერთხელ დედამიწაზე და თიხისგან გამოუძერწავთ ჩვენი დიდი წინაპარი – ადამი და სულიც შთაუბერავთ მისთვის... თითქოს: გასაგებია ყველაფერი... ცაბაოთი და ანუნაკი... ანუნაკი ცაბაოთი... და მთლად მისებრ თუ ვერა, მიახლოებით მაინც ხომ აღვიქვამთ ჩვენს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს. რაღაც ხდება ჩვენს ირგვლივ, ჩვენი თვალსაწიერი ბევრზე ბევრის მთქმელია, მაგრამ თვალსაწიერს მიღმა ვერც თვალი მიგვიწვდება და გონებაც უძლურია, გასცდეს იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვარდადებულ თვალსაწიერს. და ამ მიღმიეთს იქით იდუმალი თვითონ იდუმალება სუფევს და სასრულიც მისი აღარსად ჩანს. შეიძლება სასრულიც საერთოდ აღარ ჰქონდეს! უსასრულობაა ეს! მაგრამ თვითონ ანუნაკების თვალსაწიერზე, მათ გონსაწიერზე რა ვიცით? გონებას გადავწვდეთ და გადავხედოთ ჩვენს თვალსაწიერს, მაგრამ რა ნებავთ ანუნაკებს, ცაბაოთს რა ნებავს?! რითი განსხვავდებიან ისინი ჩვენგან? დროში გვისწრებენ? ჩვენზე ადრე მოსულან? ჩვენ დაგვაგვიანდა ცოტა, მაგრამ მაინც წინ მივიწევთ. თუმცა ისინიც ხომ აღარ დგანან ადგილზე? ჩვენც ხომ ავმაღლდებით ანუნაკებამდე, მაგრამ თვითონ ანუნაკები სადამდე უნდა ამაღლდნენ? მაგრამ სდექ, ნიმროდ! შენ ხომ ისიც ვერ აღგიქვამს სრულად, რაც შენს თვალსაწიერშია გაცხადებული?! ისინი იმიტომაც გვისწრებენ, რომ ჩვენზე ასაკოვნები არიან! ახლაც წინ იხედებიან და შორსაც იხედებიან. მათ ნებავთ! გვნებავს ჩვენც და ისევეა აღუვსებელი ჩვენი საწყაული, როგორც – იმათი...

ჩვენი გადასახედიდან დღეს ანუნაკები თითქოს და ყოვლისშეძმლენიც არიან. მაგრამ იმათ ასაკში ჩვენ შესაძლოა მათზე შორს გავიჭრათ და... წინ გზა გვიდევს შორი და იქნებ აუსრულებელიც, მაგრამ ამ გზიდან გადაცდენა აღარ ძალგვიძს. უდავოა: ვიზრდებით და ვმაღლდებით. საკუთარი ფიქრების დევნაში შესაძლოა ჩავთვლიმოთ კიდეც, ამოვვარდეთ დროის სათვალავიდან, მაგრამ მოფხიზლებულნი ათას ტყავში გავძვრებით და წამოვეწევით იმ ჩვენს წინამორბედთ და კვლავაც ჩავჯდებით მსოფლიო სადღვებელში.

ჰო, გვაკვირდებიან ანუნაკები. ყოველ სამი ათას 600 წელიწადში გვიახლოვდებიან ისინი. დაგვაკვირდებიან, ჩაიწერენ, ჩაინიშნავენ კიდევ რაღაც-რაღაცებს და სავსებით დაიმედებულნი, ან სულაც იმედგაცრუებულნი გაბრუნდებიან უკანვე. ჩემი აზრით ჯერ საგანგაშოსაც ვერაფერს ხედავენ და არიან მშვიდად, თუმცა ვინ იცის?

საინტერესოა, რა წარმოდგენისანი არიან ისინი ჩვენზე? რას ფიქრობდნენ შუმერებზე? თუკი ყოვლისშემძლენი არიან, რატომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუშვეს, რომ ისტორიიდან გადააშენეს შუმერები. ვხვდები, ვხვდები! შუმერები თითქმის მიუახლოვდნენ მათ დონეს და ამიტომაც გაიწირნენ. ბაბილონელებსაც ასევე მოგვექცევიან... სხვას წამოწევენ წინ და მომავლის სამიზნესაც დაუსახავენ, მიაღწევენ ისინიც თავიანთ ზღვარს და... ასე რომ, ჩვენს ბედისწერას ანუნაკები წერენ. ღმერთებადაც იმიტომ ვსახავთ მათ და თუკი დარწმუნდებიან, რომ ბაბილონელები ვერასოდეს ამაღლდებიან ანუნაკებამდე, მიგვაგდებენ ჩვენ-ჩვენს ნებაზე და მერე ძაღლიც მიგაკვდეთო სულში! თუკი ეს მათი სანაღვლებელი აღარ უნდა იყოს, რატომ გვაკვირდებიან მაშინ? თუ არა...

არა, ჩვენს ამაღლებას არ დაუშვებენ ანუნაკები! და როგორ იქცევა ცაბაოთი? ანუნაკს მაგონებს იგი! ანუნაკები... და რომ წამოვეწიოთ? ნიმროდ, დაფიქრდი! ანუნაკებიც ხომ ვითარდებიან, სრულიყოფიან, მაგრამ სრული სრულყოფა როგორ წარმოგიდგენია?! ნეტა ღმერთებიც თუ საჭიროებენ სრულყოფას? მაგრამ ანუნაკი თუ ღმერთია, მაშინ რატომ უნდა ცდილობდნენ სრულყოფას?! პირველად მესმის სრულყოფა სჭირდებოდეს ღმერთს?! და რატომ არ ვეწვევი ანუნაკებს ნიბირუზე? თუმცა ვნახოთ, აჩქარებაც არ მმართებს ვგონებ. კედარი დამარიგებს. მაგრამ, ვფიქრობ, იქამდე მრავალი წყალი ჩაივლის... და როცა ავმხედრდები დიდ საქმეთათვის, ვნახოთ მაშინ, ვინ გადამიდგეს წინ?! მე მნებავს.. მნებავს და გინდა მომკალით, მაგრამ ჩემი მომკვლელი ალბათ ჯერაც არ დაბადებულა შუმერში!... ვეღარც ბაბილონში...“

* * *

პურობა დასრულდა და ენმერქარი თავის საბრძანებელში შეუძღვა ნიმროდს. კარადა გამოაღო და რამდენიმე თიხის ფირფიტა ფრთხილად გადასცა, ჩემმა ტყუპისცალმა გამოგიგზავნა.

– კოშკში ხომ არ ვეწვიოთ? – ეტყვის ენმერქარს ნიმროდი, – იმ თავის ჯადოსნურ კოშკში.

– არ ღირს, ნიმროდ, რომ არ ვიცნობდე ჩემს ძმას... რადგან გამოდგვცა, უნდა ჩავთვალოთ რომ აღარ გველის. მისი ნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე, ვერც კი მივაგნებთ იმის მართლაც ჯადოსნურ კოშკს. კოშკი ხილულიც მხოლოდ მისი ნებით ხდება. ჩემი აზრით: ნულარ მოვაბეზრებთ თავს. იმას ღმერთისთვის მიუნვდია თავი და ჩვენზე ფიქრიც აღარ ძალუძს. დიახ, იმის ნებას როგორ გადავალ?! – განაგრძო ენმერქარმა, – მაგრამ შენ რომ გაინტერესებს, იმის ახსნა აქვეა შესაძლებელი. ამ თიხის ფირფიტებიდან ბევრს გაიგებ ანუნანკებზე!

– სწორედ ანუნაკებზე ვფიქრობდი, დავბრუნდები ბაბილონში და ნიბირუც თავს წამოადგება ბაბილონს, ბაბილონის დროით.

– ჰო, ბაბილონი სხვა დროშია და სხვაში ვართ ჩვენ: მე ვერ დაგაკავებ, გზა ხსნილია შენთვის, მაგრამ იქამდე დროა კიდევ. ახლა კი შეგიძლია მოისვენო! – თქვა და მსახურმაც შემოაღო კარი, – გისმენ, მრძანებელო.

ნიმროდი გაჰყვება მსახურს, რომელიც მის მსახურებაში გადმოდიოდა ამ წუთიდან.

ენმერქარს სასახლეც ნიმროდისთვის დაეთმო. მსახურმა რაღაც ხმაურს მიაყურადა და თავისი მსახური გაახსენდა ნიმროდს. ესეც იდგა და ბრძანებას ელოდა. ნიმროდმაც, თავისუფალი ხარო და ისიც აორთქლდასავით. უნებლიეთ გაეღიმა და რატომღაც ხელი ხელს შემოჰკრა, „თითქოს ბაბილონიდან გამომიწერესო“.

ნიმროდმაც გადარაზა კარი და თიხის ფირფიტები იატაკზე გაშალა.

„ნიმროდ, – აუწყებდა იდუმალი კოშკის იდუმალი ბინადარი, – იქიდან როდი ვიწყებ, საიდანაც უნდა დამეწყო, მინდა რაღაც მნიშვნელოვანი გაუწყო თვითონ ბაბილონისათვის და პირადად შენთვის. თუკი ინდომებ, ყველაფერს შეძლებ! საქმე ეხება ჩვენს ენას და დამწერლობას. თუ არ ვცდები, ბაბილონშიც ასომთავრულია დამკვიდრებული, სამეტყველო ენაც შუმერულიდან გაქვთ წაღებული, მაგრამ საფუძვლიანად შეცვლილი. ეს მოსალოდნელიც იყო. ენა ვითარდება, ამაში შენთან საუბარმაც დამარწმუნა. ასე რომ, შუმერული ენიდანაა წარმოებული თქვენი ბაბილონური და შუმერთა ქვეყანაშია აღმოცენებული თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილონიც. დამწერლობაც ჩვენი – შუმერული აგირჩევიათ – ასომთავრული. სწორედ ამაზე მოგახსენებ, ნიმროდ!

მე არ ვარ პირველი, ვინც იტყვის: ენაშია ჩაისადუმლოებული ამა თუ იმ ერის წმინდა, მაგრამ გასაიდუმლოებული შეხედულებანი თუ მოსაზრებანი სამყაროზე, ბუნებასა თუ სხვა საგნებზე, მათ შორის ხალხებზეც. და ეს წმინდა, მაგრამ იდუმალი იდუმალებაა ის განსაკუთრებული ნიშან-თვისებები ენისა, რაც ბედისწერითაა განპირობებული, ვინ უნდა იყოს ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი. შემდგომ, ათასწლეულების შემდეგ, ადამიანი (მოაზროვნე) იტყვის: ენაში არსებული თვისებებია ის, რაც ინახავს და იცავს ერის თავისთავადობას.

ამაზე კიდევ იფიქრებ და სხვასაც დაავალებ, იფიქროს. ახლა კი ჩემს უახლეს დაკვირვებებსა და ხილვებზეც: რაც აწი უნდა მოხდეს სამყაროში, სამყარო ისევე იცვლება ყოველდღე, როგორც ჩვენ – ადამიანები. გუშინ რომ იყო, დღეს აღარაა იგი და დღევანდელიც ფერს შეიცვლის სახვალიოდ. ხვალინდელს ზეგინდელი შეცვლის, ზეგინდელს – მაზეგინდელი. მუდმივი ცვალებადობა: ეს სამყაროს ძირითადი ნიშან-თვისებაა. დღეს ხუთიათასი წლის წინანდელი ადამიანი რომ ჩამოაგდო ურუქში, იქნებ (და ეს დასაშვებად მიმაჩნია) ანუნაკობაც კი დავაბრალოთ თვითონაც გაკვირვებულს და ნირწამხდარს. იმის დროინდელ სამყაროს ხომ ვეღარც ვიცნობთ. დასაშვებია: შეიცვალოს დედამიწის სიჩქარე, მიმართულება და მისი ღერძის სიგრძე... ამ ღერძის გადახრაცაა მოსალოდნელი, რამაც შესაძლოა არსებითად შეცვალოს სამყაროს ფორმა, ჰაერი... მატერიის სიმკვრივე. შეიძლება გვეჩვენოს კიდეც, რომ სულ სხვა სივრცეში შეჭრილიყოსო თითქოს დედამიწა... შეიძლება მზის მცხუნვარებაც ისეთი ვეღარ იყოს, ჩვენ რომ დასაშვებად მიგვაჩნია...

იერი შეეცვლება ჩვენს მიწას: თითქოს სხვაგან მოხვდი და: შეცვლილხარ თავად შენც – ადამ-იანო! თითქოს სხვა ვინმე იყო!

და ბოლოს: თითქოს სულ სხვაგან გამოგეღვიძათ. ადამიანო, რატომ თვალში არ ამოისვამ თითს? იქნებ: თვალებდახუჭული იყავი აქამდე, გამოიღვიძე და იქ აღარა ხარ, სადაც ჩაგეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კანონებიც, სამყაროში რომ მოქმედებდნენ მაშინ, შეიცვალა და მიზეზს აღარ იკითხავთ? თურმე მატერიის სიმკვრივე შეცვლილა. ეს ცვლილებები ხდება და სამომავლოდ ეს ცვლილებები საგრძნობლად დაჩქარდება. საკუთარ თვალებს აღარ ვუჯერებთ: შეუძლებელია, ეს როგორ უნდა მომხდარიყოო? მატერიის ამგვარი სახეცვლილება?! წარმოუდგენლად გონისშემძვრელია სინამდვილე...

სამგანზომილებიანი (და მეტი განზომილებისაც) სამყაროს კანონების და კვალობაზე მატერიის ასე დაჩქარებული სახეცვლილება თითქოს წარმოუდგენელიც უნდა იყოს. მეცნიერება ახალი აღმოჩენების წინაშე დგას: ახალი განზომილებები?! ნაწილაკიც ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის, ირღვევა, იმსხვრევა მისი შედგენილობა. და: რას უნდა შეეცვალა ასე (და აწიც სასწაულებრივ შეიცვლება) ჩვენი ბებერი, მაგრამ მარად ახალგაზრდა სამყარო?! ცვლილებები კი მარადის გაგრძელდება. ეს მოვლენა მარადიულია. იქით შორეულ მომავალში აღმოაჩენენ შავ ხვრელებს, რომლებისკენაც მიექანება ყველა საგანი, იგი ყოვლისშემქმნელი რაღაცაა.. ამ ხვრელებს ეშმაკისეულ თვისებებსაც მიაწერენ მერე და მერე: ახლა კი: ხუთი ათასი წლის შემდეგდროინდელ სამყაროზე მექნება საუბარი და აი, ახალი გონისშემძვრელი აღმოჩენაც: თურმე ის სულისშემძვრელი შავი ხვრელები თითქოს არც არსებულან სამყაროში! მოჩვენებითი ხილვები?! ეს ცნობა გამაოგნებელი იქნება ერთი წყება მეცნიერებისთვის.

ჰო: შავი ხვრელები, რომლებისკენაც მიექანებოდა ჩვენი ბებერი სამყარო სხვაა მრავალრიცხოვან სამყაროებთან ერთად: შავი ხვრელები უკან გვრჩება, მაგრამ წინ რა მოგველის? მოგველის კი... ახალი წარმონაქმნი, კოსმიური საზომით იგი დრო უნდა იყოს, დროისმაგვარი რამ, მაგრამ არც მთლად დრო!

ასე რომ, ჩვენს წინაშეა ახალი, სულ სხვა ნატიფი განსხეულება, ან: ნატიფი სხეულის პირველი საფეხური!

ეს არ უნდა იყოს მთლად ჩვენი სააქაოც, წუთისოფელს რომ ვუხმობთ. იქნებ: საიქიოს რთული ლაბირინთის საწყისი წერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილია. მაგრამ ჯერ სადა ხართ?! მეცნიერები დაადგენენ, რომ სამყაროსთან ერთად შეცვლილია ადამიანის სხეულის შიგა (უჯრედის) შემადგნელობა. ადამიანის სხეული გაიხსნა როგორღაც: ნათლად ვხედავ მას ჭრილში, შეცვლილია სისხლის შემადგენლობაც, შეცვლილია სისხლის დანიშნულებაც. სასწაული! მაგრამ სინამდვილესაც რომ ვერსად გაექცევით? მომავლის ადამიანი უკვე აღარაა ის, რაც ადრე იყო. იგი სხვაა, ჩვენგან ძალიან განსხვავებული, მაგრამ შეინარჩუნებს ადამიანურ არსს!

დროც შეიცვლება! შეიცვლება ჩვენი, ადამიანური წარმოსახვები. ალბათ, როცა იქნება, ადამიანები ვიქცევით იმ მრავალგანაზომილებიან არსებებად, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ იმ უმაღლეს ძალებს, ვისაც შეუძლებელიც შეუძლიათ და მათთვის დასაშვებია ყველაფერი და შემძლენიც იქნებიან ამ ყოველივეს გარდასახვა-გადასაგვარებლადაც. მათ ზრახვებს ვერავინ აღუდგება წინ! მათ ასე ნებავთ! და ეს გზა გავლილი აქვთ ანუნაკებს. მათ ათასწლეულები, ასიათასწლეულები ჩამოუტოვებიათ უკან. მათთვის ეს უკვე იყო! მაგრამ ვართ ჩვენც. ვერავინ გადაგვშლის, ჩვენ ხომ მათი მეხსიერების სკივრიდან არ ამოვსულვართ?! ჩვენ უბრალოდ: კვალში ჩავდგომივართ ანუნაკებს. ალბათ (ესეც დასაშვებია), წამოვეწევით ოდესმე, გადავუსწრებთ და ვეზიარებით უკვდავებას!

ადამიანი?! ადამიანი-ღმერთი... აი, საითკენ გატყორცნილა ადამიანის გზა!... ადამიანი-ღმერთი...“

* * *

სანადიროდ გამზადებულთ მალემსრბოლი ეახლათ, არათადან ლუგალაბანდას გამოეგზავნა. ლუგალაბანდა იუწყებოდა, რომ არათას მბრძანებელს დავიწყებია ფიცი და ამ თვის ბოლოდან აღარ გამოგიგზავნით იგი სასარგებლო წიაღისეულს, ოქრო-ვერცხლსა და ლილაქვას, რადგან ეს ყველაფერი თვითონვე ჭირდება: „ტაძარს ვაშენებ ინანას სახელზე და ლილაქვაც მის მოსაპირკეთებლად მჭირდებაო.“ ტაძარსაც არათას უმაღლეს მწვერვალზე ავაგებთო.“

ენმერქარმა მალემსრბოლი უკანვე გააბრუნა არათაში, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდს მიუბრუნდა: – შენ გესმა ყოველი და მაინტერესებს ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდი შენ?

– ის არაფრის დამთმობი არ არის, მაგრამ რატომღაც დაიმედებულია, რომ შენ მის თავზე მახვილს არ აღმართავ. მე ჭკუას ვასწავლიდი ამბოხებულ მონას! – წამით ჩაფიქრდა ნიმროდი და განაგრძო: – მშვიდობა თვითონ არათას მბრძანებელს აღარ სურს! ამიტომ არათა უნდა დალაშქროთ!

ვიფიქრებო, თქვა ენმერქარმა: ვერც რისხვა დაფარა და ვეღარც – წყენა. – უნდა ვიფიქროო, დასძინა, – ინანას ვკითხავ რჩევას, როგორ მოვიქცე. მაგრამ შენ რაღას მირჩევ, ნიმროდ?

– ენმერქარ, თვალი გაუსწორე სინამდვილეს. შენ არ დაიპყრობ, დაგიპყრობს იგი! გაგითამამებიათ ერთობ! იგი მაინც მტერს ხედავს თქვენში და აწი თქვენი მოყვარეც ვეღარ იქნება! თქვენ არ დალაშქრავთ არათას, მაშინ დალაშქრავს იგი შენს ურუქს! ვინ ვის დაასწრებს?! თქვენს გვერდით მიგულვეთ!

– სამ დღეს ვიფიქრებ... შენი იმედი მაქვს, ნიმროდ!

– არც მე მაწყენდაო ფიქრი, – თქვა ნიმროდმა, უფრო ჩაილაპარაკა თავისთვის და ენმერქარს მიაჩერდა.

ენმერქარიც თავს დაუკრავს ნიმროდს და ისიც ჩაილაპარაკებს თავისთვის: – დიდი ომი გვექნება შუმერთ!

ნიმროდს სისხლი აჩქროლებოდა ძარღვებში: მოწყურებოდა სისხლი: ჭიხვინიც შემოესმა ამ დროს: ბედის ბედაურს მონატრებოდა თავისი პატრონი და შეაჟრჟოლა ანაზდად. ფრთების ტყალშუნიც ესმა სულ ახლოდან: ბრძენ ბუსაც ნიმროდისაკენ მოესურვილებოდა.

„ვიფიქრებ მეც, ვიფიქრებ...“

ᲥᲐᲛᲗᲐᲐᲦᲛᲬᲔᲠᲔᲚᲘ:

„ფიქრობდა და განსჯიდა ერთგან ერთი უუპირველესი რაინდი: დიდი შუმერელი, ამაღლებული და კინაღამ ღმერთი. უბადლო მეომარი, დაუმარცხებელი მხედარი, მეფეთ-მეფე და ქურუმთუხუცესი, რომელმაც შექმნა დიდი ქვეყანა... ეს დიდი მონადირე ენმერ(ქარი) იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეგანც ფიქრობდნენ: მეორეობას რომ ვერაფრით დაუშვებდა. ისიც პირველი უნდა ყოფილიყო, უპირველესთანაგი! და იგი ნიმროდი იყო: დაწყევლილი ჯერ ნოესა და მერე თვით ღმერთისგან – ცაბაოთისგან. განურისხებია ამას ქუსის შვილი (ქამის შვილიშვილი) და უბრძანებია:

„ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე, ლომი აღდგებოდა, ხალხი დაიკლებდა;

ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე, მგელი აღდგებოდა, ხალხი დაიკლებდა;

ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე, სიყმილი გაჩნებოდა, ქვეყანა მოწყდებოდა;

ნაცვლად წარღვნისა, შენ რომ მოავლინე, ღმერთი აღდგებოდა, დასნეულდებოდა ერი...

მოგევლინებია მახვილი შენი, და შავი ჭირი...“

პასუხმაც არ დააყოვნა იმ სიმაღლიდან ცისქვეშეთსა შინა: – ცოდვა შენ რომ ჩაგიდენია, თავს დაატყდება ადამის მოდგმას. ველარ გაიხარებს ადამიანი, ვერასდროს მოინანიებს ძველ თავის ცოდვას!

– წყეულიმც იყავ შენ, დიდო ნოევ! წყეულიმც იყავ შენც, ცაბაოთ, შე ვითომ ღმერთო, ბოღმას რომ გვანთხევ გამწარებული! წყეულიმც იყავ! ისე მლნაძღავთ, თითქოს ადამი ვიყო?!

შეძრწუნებულია ნიმროდი, ხედავს მოქუფრულ ზეცას და იცის: უზენაესია, გაქრობით რომ ემუქრება ადამიანს, და საკუთარ თვალში ამაღლებულმა მაღლა მთელი ხმით ასძახა: – მე ცოდვილი?! და პირველცოდვილი?! ისე მომძახი, თითქოს მე ვიყო ის ადამი?! – ამოთქვა და ნერწყვიც გაუშრა, მწარედ ჩაახველა და თავს შეუძახა: – რატომ ნიმროდმა ვზღო მე ადამის ცოდვისთვის. ადამისგან ვთავისუფლდები, აღმოვმაღლდები მე შენამდე და: თავზეც დაგხედავ მერე!

გაიწევს მკვდრეთით აღმდგარივით, გადალახავს ხილულსა თუ უხილავ საზღვრებს და შექმნის ტიგროსიდან ევფრატამდე გადაჭიმულ თვალუწვდენელ ქვეყანას: „ჩემი ბაბილონი!“ – სიამაყით ამოევსება გრძნეული სული და შუბლს მოიჩრდილავს

ანაზდად, მაგრამ გაახსენდება, ჩრდილი რომ არ ჰქონდა და აუმ-ღელვარდება სული. მუშტებს მოუღერებს ზეცას, – გადმოგაგ-დებ ე მაგ სიმაღლიდან და შენეულ ტახტზე მე – ბაბილონელი ნიმროდი ავალ!

იელვა, მაგრამ არც ამჯერად მოჰყოლია ჭექა-ქუხილი ელვას, არც მეხი დასცემია ათასწლოვან მუხას...

ცაბაოთმა წაუყრუა ნიმროდის მუქარას.

მერე: ნიმროდზე ლეგენდები შეიმქნება, მაგრამ ფრთიანი გამონათქვამი მასზე „ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა“. არასოდეს გადაიშლება კაცობრიობის მეხსიერება-ში. დროში ჩართული ნიმროდი შეუძლებელს შეძლებს, მაგრამ მისთვისაც რჩებოდა თურმე შეუძლებელი გამონაკლისის სახ-ით. ახლა მოუნდა (როგორც არასდროს) წინ ჩრდილი გაძღოლო-და, მაგრამ ამაო იყო მისი სურვილის აღსრულება. ვერ გამოისხა ჩრდილი და მიხვდა, ყოვლისშემძლეც ვერ იყო. გუნება წაუხდა და სადაცაა უნდა აფეთქებულიყო თავისი უსუსურობის და გამო და თავბრუდასხმულივით გადაქან-გადმოქანდა. მაგრამ თავი შეიკავა და მაღლა აიხედა, რომ თვალი გაესწორებინა ლაქა-დქცეული მზისთვის და სილა შეაყარესო თითქოს თვალებში, აეწვა აუტანლად, აეწვა და მოწკურული თვალებიდან ცრემლე-ბი გადმოსცვივდა. ნიმროდი ტიროდა?! და შერცხვა საკუთარი თავის. უნებურად ამოისვა თითები აცრემლებულ თვალებში და აღმოხდა: ატირებული ნიმროდი?! “მსწრაფლ აიყვანა თავი ხელში“ და სწორედ ამ დროს ესმა: – ნიმროდ, შენ რომ მხარში ამომიდგებოდე, იოლად დავიმორჩილებდი არათას, სისხლიც ნაკლები დაიღვრებოდა!...“

აუმძლავრდება ნიმროდსაც სული და საბრძოლველად შეიმართება: – შენს სამსახურში მიგულვე, მბრძანებელო! – წამოიძახა და ფიქრიც წამოუვლის: „მეც ხომ ამიტომ ვარ ურუქ-ში?! ომი ჩემი ხელობაა?! და ომი ყველაზე დიდი საქმეა!“ – ეს რომ აღარ ეთქვა, ველარ შეძლო: – ომის ღმერთი ჩვენს მხარეზეა. იგი კითხულობს ჩემს ფიქრს და მარჯვენასაც დამილოცავს, შენ კი ქალღმერთი ინანა მოგცემს შეძლებას და გამარჯვების სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორიც ჩვენს მხარეს გადმოიწონება! – სისხლის სუნი ეცა და სასიამოდ შეაჟრჟოლებს.

ენმერქარი სამხედრო საბჭოს მოიწვევს. საბჭოც ერთხმად მოიწონებს ენმერქარის გადაწყვეტილებას. ენმერქარიც დარწმუნებულია, გაიმარჯვებს და მის მფარველობის ქვეშ გადმოსულ არათას ქვეყანაში ნანატრი მშვიდობა დამყარდება, ურუქიც მოითქვამს სულს და მადლიერიც ეყოლება ჯერ ურუქელები და მერე არათელებიც.

მაგრამ თავს იტყუებდა ენმერქარი: სინდისი ჰქენჯნიდა, თითქოს დანაშაული ჩაედინოს და გამოუსწორებელ შეცდომას სჩადიოდეს: „კი ადრეც დამიღვრია სისხლი და არა ერთხელ... ევფრატი რამდენჯერ გამიწითლებია მტრისა და საკუთარი ხალხის სისხლით“, – მაგრამ სდექ, ენმერქარ!“ – ინანას ხმამ მოაფხიზლა.

მე შევფიცე ჩემს ღვთაებრივ დაიკოს, რომ აწი არასდროს შევცოდებდი, აღარ დავღვრიდი ადამიანის სისხლს, მოვინანიე და ინანამაც მომიტევა, ამხსნა დღემდე ჩადენილი ცოდვები, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული ვარ, კვლავაც შევცოდო...

– მტერს მოულოდნელად დავესხმით თავს, აზრზე მოსვლაც რომ ვერ მოასწროს!

– არა, ნიმროდ... არათას მბრძანებელს კი შევუთვალე, მოვდივარო. მაგრამ ვაცლი ცოტას, რომ მოემზადოს.

– მე კი დღესვე გადავიდოდი შეტევაზე! მოულოდნელი თავდასხმის დროს ხომ ნაკლები სისხლიც დაიღვრება?! – სისხლი თვალებში მოსწოლოდა ნიმროდს. – დავიმორჩილებდი ჯერ და სისხლის ძარღვებს გადავუხსნიდი მერე... მიწას სწყურია სისხლი...

– მაგრამ არათას მიწასთან აღარ გავასწორებ! მაგრამ შენი რჩევა მაინც ჭკუაში დამიჯდა, ნაკლები სისხლი დაიღვრება ჩვენიც და იმათიც. მერე და თუ სიმართლე გინდა, გასარკვევია ჯერ, ჩვენ ვართ არათას მტრები, თუ არათელებია – ჩვენი მტერი?

– მომეცი სამასი მხედარი, რომ მოულოდნელდად შევიჭრა მტრის შუაგულში და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნიმროდ! – ხმას აუწია ენმერქარმა, – ჩემს ქვეყანაში... – სათქმელი აქ შეიწყვიტა და ღიმილი მოერია: – შუმერის დროში ვართ ჩვენ და მე ვბრძანებ აქ!

– მომიტევეთ... – შეცბა ნიმროდიც: – თავი ბაბილონში მეგონა... – კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც გულის მოსაოხებლად, მაგრამ თავი შეიკავა და ესღა თქვა: – ჰო, შუმერი შენია და ბრძანე! ბრძანება შენია!

– ნუ მიწყენ, ნიმროდ...

– თქვენიც მესმის... თქვენს განკარგულებაში იგულეთ ნიმროდი – ბაბილონელი მხედარი!

– ნიმროდ, გმადლობთ. ვიცი, ბაბილონში დიდი ამბები უნდა მოხდეს აწი და დროის კარიბჭის შეღება რომ შემეძლოს, მეც ბაბილონში გავჩნდებოდი შენს სამსახურად... მაგრამ დროში მოგზაურობა ენმერქარს არ შეუძლია.

და ასე ბჭოდბდნენ სტუმარი და მასპინძელი შებინდებამდე...

* * *

თვალშეუდგამი ტაძრის წინ შედგნენ.

ნიმროდმა თვალი ჰკიდა ტაძარს და ენიშნა თავისი სიპატარავე: ცას შეწვდენოდა წვერით ტაძარი, ნიმროდი კი მტილივით დადიოდა იმის ჩრდილში: დაეთრგუნა იმის სიმაღლესა და არაბუნებრივ სიმძიმეს. ძლივს გამოერკვა და ფიქრმაც წაართვა თავი: „აღარ მეგონა ამ წარსულის ქვეყანაში ამსიმაღლე ტაძარს თუ ვიხილავდი და კიდევ კარგი, რომ ეს ჩემი წარსული არაა! მე აწმყოს მხედარი ვარ, მაცქერალი მომავალისკენ! – და მაინც მიაწვდინა თვალი ტაძრის გუმბათს: „ვგონებ ჩემი იშთარის ტაძრის ხელაა, მაგრამ იმ ჩემს ტაძრამდე როგორ მივა, რომლის აშენებას ვაპირებ ერიდუში, მზის მოედანზე... მაგრამ ამ ტაძარს სიბერე შეპარვია, სიძველის ბეჭედიც აზის და გარდავა, როცა იქნება!“

– ეს მომწვანო ქვა, რითაც ინანას ტაძარია მოპირკეთებული, არათას ქვეყნიდანაა, ლილაქვაც არათაულია... – ენმერქარმა მაღლა აიღო თავი და ნიმროდმაც თვალი მიაყოლა იმის მზერას, ჭერიდან ინანას ფიქრიანი თვალები უმზერდნენ ენმერქარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს და რაღაც სათქმელი კიდევ ჰქონდა თავისი ღვთაებრივი ძმისთვის.

– გისმენ, ჩემო ღმერთქალო! – ასძახა ენმერქარმა.

– აჩქარებითა სოფელი... შენც იცი და არავის მოუჭამია! იფიქრე, ენმერქარ! – თითქოს სული მოითქვაო ღმერთქალმა და ისევ განაგრძო: – შენ რომ მხედარი მოგყვება გვერდით, თვითონ ღმერთს აჯანყებია და სახელიც შესაფერი დაუმსახურებია: „ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა...“ შენთან მტრად არ მოსულა, მაგრამ თვალიც ფხიზლად გეჭიროს და ყურიც. ღმერთის მოძულეა და... მასთან ურთიერთობით შენც არა გევნოს რა?!“

გულზე მოხვდა ეს სიტყვები ნიმროდს, მაგრამ კიდევ უფრო – თვითონ ენმერქარს:

– ნუ, ინანა, იგი მეგობარია ჩემი და თავის ღმერთს აჯანყებია, თუმცა... საეჭვოა მთლად მტყუანიც იყოს. შენც ხომ იცი, რომ ცაბაოთი – ნიმროდის ღმერთი ჩვენს შემდეგ წარღვნას მოუვლენს ადამიანებს და ამიტომაც განდგომია ცაბაოთს ნიმროდი;... დღეს სტუმარია იგი ჩემი და შენიც, ინანა, გთხოვ ისე შეხვდე, როგორც ურუქის დიდ მეგობარს...

– ნუ მიწყენ, ენმერქარ, – გამოეპასუხა ინანაც, –– მაგრამ გული ავს მეუბნება და გაფრთხილდი შენც! ენმერქარ, ნიმროდმა დრო გადმოლახა და შემოაღო ჩვენი დროის კარიბჭე... შენზე ბევრი რამ სმენია და იმიტომაც ჩამოგაკითხა. და რომ იცოდე: ნიმროდი ღმერთად გამოაცხადებს თავს... შენ მოყვარედ გიგულვებს და ამ მხრივ შეგიძლია მიენდო, მაგრამ სიფხიზლეს თავი არ სტკივა და შენც გაფრთხილდი! ახლა კი: დაივიწყე, რაც გითხარი და ნუღარ მიწყენ...

– მაგრამ არათას მბრძანებელმა საქვეყნოდ რომ გამოაცხადა, თითქოს ინანამ ზურგი შეაქცია ენმერქარს და დედამიწის მეთვალყურედ არათას მბრძანებელი აურჩევიაო, ამაზე რას იტყვის ჩემი უსაყვარლესი დაიკო?

– ენმერქარ, მე მინდა მშვიდობა სუფევდეს უპირველესად ურუქში და მერე მის მიმდებარე ქვეყნებში... კი დააშავა იმან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასჯელის ღირსიცაა ამისათვის, მაგრამ იმის ნებას მაინც ვერ მოგცემ, რომ პირისაგან მიწისა აღგავო არათას ქვეყანა?! მსურს კვლავაც გააგრძელო კეთილ-მეზობლური ურთიერთობა არათასთან... ენმერქარ, ისიც ხომ თავისი ქვეყნის მეურვეა და ცდილობს არაფერი დაუშავდეს თავის არათას.

– მაგრამ ის აღარ მაძლევს ოქრო-ვერცხლს და ლილაქვას, რომლითაც შენი ტაძრის კეთილმოწყობას ვფიქრობ და მერე: კი არ ვართმევ?! სანაცვლოდ შენც იცი, ხორბალს ვუგზავნი!

გახსოვდეს: ნუ განურისხდები ენმერქარ, ისეთ ვინმეს, ვინც ცდილობს ამოგწვდეს და თვალი გაგისწოროს, გაგიტოლდეს, იგი ხომ ამითაც აღიარებს შენს წინაშე თავის სიპატარავეს?! ჰოდა, ნუღარ აჰყვები მტერს, რომელსაც არც ძალუძს გიმტროს! და თუკი მაინც გაილაშქრე არათას წინააღმდეგ, გთხოვ დაინდო და არ ააოხრო! ისე კი: შენ და ნიმროდი – ორი უდიადესი ძალა, წარსულის (შენ) და მომავლის (ნიმროდი) ერთ სიბრტყეზე შერწყმა სასწაულს მოახდენდა მართლაც! ხოლო არათას სიპატარავე თვალნათლივ წარმოგაჩენთ შენც და შენს ურუქს, შენ და შუმერთ! ისე კი, მეც გამანაწყენა იმ შენმა არათას მბრძანებელმა....

– და შემიძლია...

– შეახურო, ენმერქარ და ამაზე შორსაც ნუღარ წახვალ! იმას: ეშმაკი თუ შეუჩნდა... და გახსოვდეს: შენ კაცი ხარ, აღმატებულიც კაცზე, მაგრამ მაინც კაცი და კაცობის უმაღლეს საფეხურზე შემდგარი თუღა მიაღწევ მიზანს, ამაღლდები და ნახევარ ღმერთად თვითონ მე გაღიარებ... იქიდან ერთი ნაბიჯიღა გრჩება...

– ვიფიქრებ, იფიქრებს შენი ძმა ამაზეც, ჭკუაში დამიჯდა მე შენი რჩევა...“ – ფიქრს მიეცემა ენმერქარი. და უცებ, რომ აღარ ელოდა ნიმროდი, ენმერქარმა ჰკითხა: – შენ როგორ ფიქრობ? მე და შენ მაინც სხვადასხვა დროის შვილები ვართ და: მე ჩემი დროისთვის მოვიაზრები, შენ კიდევ – შენი დროისთვის. შენ მეტი იცი ჩემზე, ვიდრე მე – შენზე. მე ცდა ვიყავი, შენ კი – ამ ცდის შემყურე და შეძენილი გამოცდილება და ამიტომაც ჩვენ ორივე ჩვენ-ჩვენი დროისთვის შესატყვისად მოვიქცეთ და ერთმანეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ნუღარ ვუსაყვედურებთ. და კიდევ, რა მინდა გითხრა, ნიმროდ: კოსმოსის და ღმერთების თვალში დღეს (შენი დროით) მე წარსული ვარ, მაგრამ ხომ იყო დრო, რომ მომავლად მოვიაზრებოდი მეც... მაგრამ ოდესმე შენც ჩაგიხვევს წარსულის შავი ხვრელი და...

– არა, ენმერქარ, ვერ შეველევი მე უკვდავებას! ამიტომ ვგმობ იმას, ვისი ნებითაც მოვვლენივარ მე მზის ქვეყანას! სწორედ ის მაკვირვებს, შეგუებიხარ იმ აზრს, რომ ოდესმე აღარ იქნები. შენი არ ვიცი და მე – ნიმროდი გულზე ხელებს ვეღარ დავიკრეფ!

– უკვდავი, ნიმროდ, ღმერთია მხოლოდ... – ჩაუმწარდა ენმერქარს სულში და გულმაც ამოუთქვა: „მშურს მე ნიმროდის. უნდა ყოვლისშემძლის სახელი დაიმკვიდროს ქვეყანაზე, მერე კი ამაღლდეს ზეცად.... ხომ ამაღლდა უთანაფიშთი ერთხელ?! იგიც უბრალო მოკვდავი იყო...

– ინდომა კაცმა და ამაღლდა!

„ნიმროდიც უბრალო მოკვდავია... – ფიქრში ჩაფლულა ენმერქარი, – მაგრამ უჩვეულოდაც რომ მეჩვენება?!“ – გამოერკვა და მომავალში სცადა შეეჭვრიტა, მაგრამ ამაოდ. თვალებზე ლიბრი გადაკვროდა და ვეღარ იხილა. სიცარიელესღა ჭვრეტდა! ნაღველი შემოაწვა და სიკვდილის ჩრდილმა გადაურა. იგრძნო და შეცივდა. ეს შიში იყო, რაიც არასდროს უგრძნია. გააცნობიერა ეს და თავს შეებრძოლა. მხრებში გაიშალა:

ნიმროდის წინ ენმერქარი იდგა – დიდი მონადირე, იქნებ ისიც „წინაშე უფლისა ღვთისა!“ – ენმერქარი – ძლევამოსილი, თითქმის ყოვლისშემძლე, შეუპოვარი მხედარი, მე კი...“ – სახე გაუნათდა ნიმროდს და თავით ფეხებამდე შეათვალიერა ურუქის დიდი ლუგალი და ქურუმთუხუცესი, – რომ ინდომოს... მაგრამ აღარ ინდომებს,“ – თითქოსდა გაუხარდა კიდეც: „ენმერქარს სიკვდილის აჩრდილი გვირგვინივით დადგომია თავს, რომ სადღაც აქ უნდა დასრულდეს მისი გმირული გზა?!“

„ნიმროდი თავის ბაბილონშია!“ – ფიქრი მოსვლია ენმერქარსაც. უნდოდა შეჰყოლოდა ფიქრს, მაგრამ ხელი მოეცარა, ფიქრი ვეღარ აქცია სინამდვილედ, ვეღარ გაამატერიალა. მერე: ფიქრიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკარგა: „ნიმროდი...“ – და ნიმროდის ხმაც ესმა:

– გისმენ, ენმერქარ...

ენმერქარისთვის ლაგამი ამოედო ფიქრს და მიაჭენებდა, ოღონდ საითკენ? იქნებ იყო სადღაც და: არა! არსადაც არ ყოფილა! მაგრამ უნდოდა ყოფილიყო სულ სხვაგან, ფიქრს იქით, მაგრამ ... ოფლად გაღვრილი დაუბრუნდა საკუთარ თავს: – აქ ვარ მე ჩემს ურუქში შავთავიანთა შორის, ოღონდ ფიქრი ვერ მომითოკავს, თავის ნებაზე მათამაშებს, იქით მივყავარ, საითკენაც მე არ მიმიწევს გული... მოვბრუნებულვარ საიდანღაც და ესეც ვერ გამოვაპარე ნიმროდს. ნიმროდი: ჩემი სტუმარი ბაბილონიდან. ბაბილონი მომავალია! მაგრამ რა შეუძლია ამ გმირთა-გმირს?“

ნიმროდმა მაინც მოასწრო ენმერქარის ფიქრის წაკითხვა: „ვინ არის ენმერქარი? როგორ მოიხსენებს მას ბაბილონი? ლეგენდარული გმირი, ნახევრად ღმერთი..“

– და მხოლოდ ნახევრად ღმერთი? გამოდის, რომ შთამომავლობას არ გავუღმერთებივარ, მიმაკლდა, ალბათ ისეთი რამ, რომ... – ემწარა ენმერქარს გახმიანებული ფიქრი.

– ვერაფერს გეტყვით ამაზე... – ნიმროდს თავისდაუნებურად გაუმჟღავნდა ფიქრი და უნდოდა მოებოდიშებინა, მაგრამ ენმერქარმა შეაჩერა, არაა საჭიროო. კაცი ფიქრისთვის ვის განუსჯია?! უკვდავი ღმერთია, სამწუხაროა ეს, მაგრამ ასეა!

– მაგრამ უთანაფიშთი?

– გამონაკლისია... ღმერთებისთვის ყველაფერი დასაშვებია! იქნებ არც ყოფილა უთანაფიშთი უბრალო მოკვდავი, უბრალოდ კაცი... – ნერწყვი ბურთივით დაადგა ყელზე ენმერქარს, – მაგრამ აღარ ვუწყი, ეს წარღვნამდე... თუ წარღვნის შემდეგ ხდება?

– ამას არცა აქვს მნიშვნელობა: უთანაფიშთი ღმერთი ხდება! მაგრამ მისი გაღმერთება არავის უფიქრია მაღლა.

– და მაინც უფლის გადასაწყვეტი იყო! ასე რომ, უკვდავებაზე ფიქრი დროის ფლანგვაა მხოლოდ!

– მაგრამ მე ვერ შეველევი უკვდავებას! ვერც კი წარმომიდგენია ჩემი სიკვდილი! ვარ და როგორ დავუშვა, რომ აღარ ან ვეღარ ვიყო?! თქვენც ხომ გმირი მონადირე ხართ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მაგრამ მე როდი განვდგომივარ უფალს?

– და შენ გგონია რომ მე განვუდექი ჩემს უფალს? ცაბაოთი ჩემი ღმერთი არც არასდროს ყოფილა და ვერც იქნებოდა. მე ჩემი ღმერთი მყავს, ღმერთების ღმერთი მარდუქი! მაგრამ გულწრფელი მინდა ვიყო შენთან: ზოგჯერ ზღვარს გადავდივარ და ამით საკუთარ თავს თუ ვვნებ...

ენმერქარი ვერც გაუმტყუნებდა ნიმროდს: – სანამ არათაზე გავილაშქრებდეთ, მინდა ნადირობაში გამოგცადო! ჩვენ ხომ მონადირენი ვართ და: მინდა ვიცოდე, რის შემძლეა ჩემი სტუმარი. ასე რომ, კედარის ტყე ჩვენს მოლოდინშია! მზის ამოსვლამდე, დილა-უთენია გავალთ სასახლიდან, სანამ ეს მანათობელი საოცრება ქალის კალთასავთი მაღლა აიკეცავდეს თავის ჩრდილს...

„ჩრდილს?! ამ დაწყევლილ ჩრდილს?!“ – წამწამები მოეცვარება ნიმროდს და გვერდზე მიაბრუნებს თავს.

– კედარის ტყე... – ენმერქარიც თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდესო: – საიდუმლოებითაა მოცული ეს ტყე. უხილავი არც არაფერია მისი მცველის, ავევხეფ უხილავისთვის. იქ უხილავი სულის იდუმალება უნდა ამოვხსნათ მე და შენ, ნიმროდ და კედარის ტყესაც დავეპატრონოთ!

მრუმე ცა დაჰყურებდათ თავს, ღრუბლებსაც ეძალათ და თავგზააბნეული ვარსკვლავებიც გადაერეკათ გაგულისებული ცარგვალიდან.

* * *.

ძილში ქალღმერთი ინანა გამოეცხადა ენმერქარს. ნაწყენიც ჩანდა ინანა და გაკვირებულიც: – ენმერქარ, მაკვირვებ სწორედ! ჯერ ერთი: სანადიროდ მაინც და მაინც კედროვანი შეგირჩევია, რასაც ვერ მოგიწონებ და მეორეც: რატომ ხვალ? „ხვალე“ ცუდი დღეა შენთვის და უნდა მორიდებოდი! ასე დაუდგენიათ ღმერთებს!

– მერე და სანადიროდ ხვალ იმიტომაც ვეღარ წავალთ, რომ ის დღე ჩემთვის ცუდი დღე ყოფილა და ნადირობა შემდგომისათვის გადავდოთო, ასე ვუთხრა ნიმროდს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მე გამიფრთხილებიხარ, ენმერქარ!

გული საშინლად უცემდა და მოეჩვენა, სიზმრიდან სიზმარში გადადიოდა. უკუნი ღამე ჩამოწოლილიყო თვითონ სიზმარში და სილა გააწნა ფიქრმა: „სინათლე გამორთო ინანამ იმ შენს სიზმარში, რომ ვეღარ გამოაღწიო იქიდან და ნადირობაც აღარ შედგეს.“

სინათლე, კარგად ახსოვს ენმერქარს, რომ ინანას აღარ ჩაურთავს და უკვირს, როგორ გამოაღწია იმ სიზმარეული წყვდიადიდან თუ წყვდიადისეული სიზმარეთიდან. მაგრამ კიდევ უარესი: ვეღარ დაედგინა, გამოაღწია იმ სიზმრიდან, თუ ესიზმრებოდა ისევ, რომ უკვე აღარ ესიზმრებოდა. იმასაც ეჭვობდა, გამოეღვიძა, თუ ესიზმრებოდა, რომ ეძინა?!

სინამდვილეში: შემტრედისფერებულიყო და სამყაროს გამოღვიძებოდა უკვე.

წვიმდა კოკისპირულად: „ინანამ თუ გააწვიმა! იქნებ მესიზმრება და წვიმს იმ ჩემს სიზმარში!“

თვალები ამოიჟღლიმა, მართლა ხომ არ მძინავსო?!

არა, არ ეძინა.

სანადიროდ განმზადებულ ნიმროდს შემოუტანეს თავისი მძიმე ორლესული, ვეება მშვილდი, ჩუგლუგი მოიქნია მთელი ძალით და კმაყოფილი დარჩა, ამას ვინ და როგორ გადაურჩესო.

იქით სანადიროდ განმზადებულიყო ენმერქარიც, რომ ინანაც გამოეცხადა: – შენსას არ იშლი მაინც?! ხომ გაგაფრთხილე ერთხელ და გაფრთხილებ მეორედაც. გადადე ნადირობა! – მოსთხოვს ინანა დაჟინებით, რამაც გააღიზიანა ენმერქარი, განარისხა იგი ამ დილით ინანამ.

– ინანა, მეტისმეტი ხომ არ მოგდის. კი ხარ ქალღმერთი, მაგრამ მე შენი უფროსი ძმა, ურუქის ლუგალი მეტ პატივისცემას მოვითხოვ შენგან!

– ენმერქარ, რა გჭირს, რომ აღარ ვიცი! როდის აქეთაა, რომ აღარ მისმენ? ნეტა, სხვა ღმერთი ხომ არ გამოგიჩნდა, ვინმე? მაგრამ ყველაფერზე თვალს დავხუჭავ, გონს რომ მოეგებოდე. მტრად მოგკიდებია შენ კედარის ტყის მცველი ავსული ავევხეფი. ვაითუ ვერ გაუმკლავდე, ენმერქარ იმ ცოცხალ მთას, ელვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ცეცხლოვან ლავას რომ ამოისვრის თავისი აყროლებული გულ-მუცლიდან. საბრძოლველად შემართულს გაუჩინარებაც რომ შეუძლია და არავინ იცის, საიდან, რომელი მხრიდან შემოგიტევს ის უბედურება? მე ნათლად ვხედავ, როგორ დაეცემი შენ ავევხეფისგან შერისხული, მაგრამ გმირი ნიმროდი იოლად გაუმკლავდება იმ შენს ძირს დამცემს, ზნედაცემულ ავევხეფს, ნიმროდი გაიმარჯვებს და ამაღლდება! ნიმროდი: არის კი სინამდვილეში იგი ნიმროდი? ამაზე ვიფიქრებ, მაგრამ... მე შენი ბედი მადარდებს, ენმერქარ! ავევხეფია შენი ბედისწერა! ავევხეფმა უკვე გიყნოსათ და დაგინახათ კიდეც!

– გზას ნუ მიღობავ, ინანა! მე ვთქვი! – უკან დახევას ენმერქარი აღარ აპირებდა. ინანაც საბოლოოდ დარწმუნდა ამაში. და გაუჩინარდა მის თვალწინ. – მაგრამ არ დავუწყევლივარ. გავა დრო და როგორც ყოველთვის, ისევ შემინდობს... – სიბრაზე შეიპყრობს ისევ, – და რამდენ ხანს უნდა ვიფიქრო ამაზე? – ამ ფიქრმა ჩაიხვია. ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ მის გვერდით იმყოფებოდა თავის ბედის ბედაურზე ამხედრებული ნიმროდი, მხარზე ბრძენი ბუ რომ ჩაფრენოდა ბასრი ბრჭყალებით.

რატომღაც შეაყენა თავისი ბედაური. ურუქისკენ შებრუნდა და გაოცდა: მთელი ურუქი გამოსულიყო ენმერქართან გამოსამშვიდობებლად და გული მომეტებულად აუძგერდა.

– ეჰეი, თქვენ, ურუქელებო! შუმერნო! – ენმერქარმა ნაბიჯი წინ წაადგმევინა თავის ბედაურს: – მე ენმერქარი ვარ, მივალ რომ შევერკინო ავსულ ავევხეფს. ვფიცავ, დაგიბრუნებთ ურუქელებს იმ ჩვენს ოდინდელ კედროვანს. თან მახლავს გმირი მონადირე, ბაბილონელი ნიმროდი.

– დიდება ენმერქარს!

– დიდება ნიმროდს! – გაისმის ყოვლის მხრიდან და ენმერქარსაც გულის სიღრმიდან აღმოხდება: – დიდება ურუქს!

წამიც და მიჭენაობდა ორი გმირი გვერდი-გვერდ. ავი თვალისთვისაც არ შეიხედებოდა ეს ორი მონადირე.

ენმერქარი მტკიცედ გრძნობდა თავს თავის ბედის ბედაურზე ამხედრებული და ნიმროდისგან განსხვავებით მხარს თვალებჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლიანებული მიმინო უმშვენებდა.

სამი თვის სავალი სამ საათში გალიეს. ჰოდა: კედროვანიც აღიმართა მათ წინ. იგრძნეს, მოჯადოებული იყო კედროვანი. გააცნობიერეს ეს და მესამე თვალი ერთდროულად აეხილება ორივეს, გაუმახვილდებათ ყურთასმენაც.

– გაბრუნდით უკან! – შემოჰღრიალა კედროვანმა დაუპატიჟებელ მონადირეთ.

მიხვდნენ, ტყის პირით თვითონ ავსული ემუქრებოდათ. ღრიალი კი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდათ. ათასწლოვანი კედრები უწვებოდნენ ღრიალით მოვარდნილ გრიგალს.

– ეს ავსული ავევხეფია, რომ გვიახლოვდება. კარგს იზამდი ორმოცდაათიოდე ნაბიჯით ჩამომრჩენოდი, რომ ხელი ერთმანეთს არ შევუშალოთო და ნიმროდმაც სადავე დაუჭირა თავის ბედაურს.

– ეჰეი, გზა მიტიეთ! – ამოიძახა ენმერქარმა და კედროვანიც წამით გაინაბა. წამით ღრიალიც შეწყდა.

ენმერქარმა მიუშვა სადავე თავის გახელებულ ბედაურს და ისარივით გაიჭრა წინ. ერთი ბერუღა თუ აშორებდათ ერთმანეთისგან ენმერქარსა და ავსულს. ნიმროდი გარკვევით ხედავდა წინ გაჭრილ მხედარს.

აჰა, მოზიდა მშვილდი ენმერქარმა, სუნთქვა შეიკრა და ისარიც სტყორცნა, მაგრამ აისხლიტა ისარი ავსულმა, ახლა მძიმე ჩუგლუგი აღმართა გაწბილებულმა მოისარმა და ავევხეფის ხმაც ესმა.

– ენმერქარ, ვხედავ მე შენს ჩრდილს, მაგრამ იმ მონადირეს, შენს ზურგს უკან რომ გეგულვის და მხარზე მახინჯი ბუ აზის, ჩრდილი არ ახლავს თან და ნეტა, სად დაუტოვებია? ამაზე რატომ არ მიგიქცევია ყურადღება? შენ არ უწყი, ვინც არის იგი და სადაურიცაა?! ენმერქარ, გაბრუნდი უკან და არაფერს გერჩი.... ენმერქარ, ღმერთი ხომ არ გაგიწყრა? ხომ გაფრთხილებდა შენი ინანა, კედროვანში დღეს ნუ წახვალო? მაინც წინ მოიწევ? როგორც გენებოს! კარგი, იყოს, როგორც შენ გადაგიწყვიტია.... გადაწყვეტილებას მეც მივიღებ და ჯერ შენ მოგივლი, მერე კი –

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს უჩრდილო სტუმარს! ჩრდილს უიმისოდ მოუწყენია ძალიან! – ძლივს მოასწრო ავსულმა ამის თქმა, ამოირეცხა გული და ზედ მხარზე არნახული ძალით დასცხეს ჩუგლუგი, მაგრამ გაუძლო დარტყმას და მკვლავიც გამართა. ახლა ხრმალიც შემოუქნიეს და ჭრილობაც დააჩნდა, სულ უმნიშვნელო. გაბრაზებით კი მართლა გააბრაზეს ტყის უხილავი მცველი, ავსული ავევხეფი.

ხმლით მიყენებული ჭრილობა და ავევხეფსაც აეხსნა ჯადო. ენმერქარმა იხილა მტერი: მის წინ გაცოცხლებული მთა იდგა, ავისმომასწავლებლად უბოლავდა ცეცხლიფერი ბეწვი. მეორედაც აღმართა ენმერქარმა გაალმასებული ხრმალი, მაგრამ მოქნევა ვეღარ მოასწრო: მოძრავმა მთამ ცეცხლის ლავა ამოანთხია და მიუშვა ენმერქარისკენ. ენმერქარმაც ფარი აიფარა უზარმაზარი. უვნებელი დარჩა, მაგრამ ისევ იძალა ავევხეფმა, გამოიღო თავისი ყოვლის მსახვრალი ხელი და ენმერქარის თავზე შეუბრალებლად დაუშვა.

კვდებოდა ენმერქარი. ეთხოვებოდა დღევანდელ დღეს, ეთხოვებოდა მიწას, ეთხოვებოდა ზეცას...

– მე ნუღარ მეთხოვები, ენმერქარ... ჩემგან ხარ ნაძერწი და ჩემსას ვიბრუნებ... – ამოიოხრა მიწამ და პირი დააღო.

– კვდები, ენმერქარ. ვხედავ, მაგრამ ჩრდილს აღარ წაგართმევ!

მომაკვდავმა ხმა აღარ გასცა ავევხეფს და ნიმროდს უხმო: – ნიმროდ, გევედრები.... მახსენდება ჩვენი საუბარი უკვდავებაზე და სიკვდილის წინ ღიმილსა მგვრის უკვდავებაზე მეოცნებე კაცის ხილვაც კი. ვიცი, გული მეუბნება, რომ შენ მოკლავ ავსულს, მაგრამ ეცადე ის საიდუმლო, შენი ჩრდილის შესახებ რომ იცის, უსათუოდ გამოსტყუო! ეს თვითონ ავსულმა მითხრა. შენ კი ურუქს ისე გამოეცხადები როგორც ენმერქარი. ამით როდი ვცდილობ შენი გმირობა მე მომეწეროს, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ. ურუქს ჯერ ჭირდება ენმერქარი, ურუქს ჯერ არც შეიძლება მოუკვდეს იგი. ჰოდა: ურუქში შენ შეხვალ როგორც გამარჯვებული ენმერქარი და ტახტს დაიკავებ. ჩემი ძე ჯერ საამისოდ არაა მზად! გვერდში ამოიყენე და ასწავლე ქვეყნის მართვა! აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითქვი, ნიმროდ, რომ აღასრულებ ჩემს უკანასკნელ ნებას და როცა გული გეტყვის და ჩემს ძეს შეეძლება თავისი ქვეყნისა და ხალხის პატრონობა, აიყვანე ტახტზე, გვირგვინი დაადგი თავს და... შენ ხომ ბაბილონი გელის?! ჰოდა, დაუბრუნდი ბაბილონსა და შენს ხალხს! ღმერთებმა, დიახ, ღმერთებმა გამომიგზავნეს ნიმროდი, დიდი მონადირე, სამყაროს ყველაზე ძლიერი ადამიანი-ღმერთი. და თუკი ინდომებ, ნიმროდ, კიდეც იქნები ღმერთი! მე კი, გადავდივარ წუთისოფლიდან. ვერა, ვერ მოვიპოვე უკვდავება. ვფიქრობდი, შევძლებდი ამას. მაგრამ ვერა, ვერ ვეზიარე უკვდავებას მე ენმერქარი... – გაუწყდა ხმა და სულიც განუტევა.

ავევხეფიც გონს მოსულიყო და თვალს ვერ აცილებდა ნიმროდს. თითქოს შეაცია და: „სიკვდილის ბუზი ხომ არ შემიჩნდა...“ – ამოიღრიალა და წამოიმართა.

საბრძოლველად შემართულიყო ნიმროდიც.

შეიძრა ცოცხალი მთა და ადგილს მოწყდა. ეს უკვე მერამდენეჯერ შეაძრწუნა მისმა ღრიალმა კედროვანი.

ნიმროდს წარბიც არ შეუხრია, ისე გადმოიღო თავისი მშვილდი, მოზიდა, წამით შეიწყვიტა სუნთქვა და მზერა შეუჩერდა მისკენ ხმაურითა და ზათქით გადმოქუხებულ ავსულზე. ცოცხალი მთა ვიდოდა მისკენ. ნიმროდმაც „დროაო!“ გაივლო გუნებაში და: ვეღარ აისხლიტა ისარი ცოცხალმა მთამ: შეენგრა გულის ფიცარი ავსულს და უაზროდ შექანდა, მაგრამ ჯერ კიდევ იდგა ფეხზე. ნიმროდმა ყიჟინა დასცა, ბრძენი ბუც ააწყდა პატრონის მხარს და შებარბაცებულ ავევხეფს გავარვარებული ისარივით შეერჭო თვალში. დაევსო ერთადერთი თვალი ავევხეფს და სულისშემძვრელი ღრიალი აღმოიფხვრა მისი წიაღიდან.

– ნიმროდ, მაინც შენი ხელით ვკვდები. შენი ხელით რომ მოვკვდებოდი, მიწინასწარმეტყველეს, მაგრამ ვერ დავიჯერე, უბრალო მოკვდავის ხელით თუ აღვესრულებოდი, მაგრამ დამავიწყდა, რომ შენ არც მთლად უბრალო მოკვდავი ხარ! ეს რა ჩაიდინე. უგუნურო?! იმიტომ გადმოდი ჩვენს დროში, რომ მე მოგეკალი?! სამწუხაროა...

ახლა ჩუგლუგი აძგერეს ავსულ ავევხეფს და გონებაც აერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილი კბილს დააჭირა და გადაიკვნიტა ენაც. ამ დროს ხრმალიც მოუქნიეს გამანადგურებელი და შუბის ძგერება აღარც დასჭირდა ნიმროდს. უთავოდ დარჩენილმა ავსულმა ავევხეფმა მთლად გადმოღვარა ცეცხლივით ლავა, შიგვე ჩაეფლო და ცეცხლი მოეკიდა.

– ავევხეფ, უწმინდურო, მგონი მოგიღე ბოლო!

– რა სამწუხაროა, რომ რჩები შენ და მე აღარ ვიქნები...

– ავევხეფ, კვდები მაინც და მოიღე მადლი, მითხარი ვინ ვარ, საიდან მოვდივარ და აწი...

ესმა ავევხეფს ნიმროდის თხოვნა და დარჩენილი ძალა იმასღა მოახმარა, რომ გადაეხარხარებია: – ბევრი მოგინდომებია...

– მითხარი, ვინ მომიკლა ჩრდილი, გთხოვ, ავევხეფ! ამიხილე თვალი მე, წარსულის სახილველად.

– ასე კეთილშობილი რატომ გგონივარ, ნიმროდ? მართლაც და ვინ გგონივარ? მაგრამ... სამართლიანად მოგიკლეს ჩრდილი! უჩრდილოდ დაგტოვეს! გენატრებოდეს სიკვდილი და ვეღარ კვდებოდე! ნიმროდ უჩრდილოვ, სირცხვილი გწვავდეს და ვეღარ იწოდე! – ამოიკვნეს-ამოიხრიალა ავსულმა და გადაიქცა. აღმოხდა სული აყროლებული და დაიფერფლა კიდეც.

მოუბერა შვიდქარმა და გაფანტა ფერფლი ავსულის.

– კედროვანს მცველი ავსული ავევხეფი აღარ ჰყავს! – უნდოდა ეყვირა ნიმროდს, მაგრამ...

– მაგრამ ენმერქარიც რომ აღარ არის?! – შეახსენებს ნიმროდს შვიდქარი.

„არ მივეშველე ენმერქარს... არ მეპატიოს!“

– შენ ენმერქარს დაპირდი... პირობა ხომ არ შეგახსენო?! – აირია შვიდქარიც.

„ნიმროდ, უკანასკნელი დანაპირები არ დაგავიწყდეს!“ – ეს ზეციური ურუქიდან ჩამოსძახეს და შეაჟრჟოლებს ნიმროდსაც. თვალი მზის ბილიკს დაადგა, მზერა გააყოლა და მზეს შეასკდა. მერე ძირს დაიხედა: გულაძგერებულმა უმწეოდ გადააქნია თავი. „ვერა, ვეღარ დაიბრუნებ ჩრდილს, უნდა შეეგუო შენც ღვთის განჩინებას! შერისხული ხარ უკუნითი უკუნისამდე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა



და ზეციური ურუქიდან კვლავაც შეახსენებდნენ–უკანასკნელი დაპირების ასრულებას, ენმერქარს რომ აღუთქვა.

ნიმროდმა მკერდზე მიიდო ხელი და გულმაც ამოუთქვა: „ენმერქარ, ვასრულებ შენს თხოვნა-ანდერძს. ენმერქარი უბრუნდება მშობლიურ ურუქს, თავის ხალხს, უბრუნდება ძლევამოსილი, განდიდებული და ამაღლებული, რომ მართოს ურუქის ქვეყანა – დიდი შუმერი“.

ჭიხვინი ესმა ამ დროს. ენმერქარის რაში ფლოქვებს უმოწყალოდ სცემდა მიწას, ნიმროდი ჩამოხდა თავისი ბედის ბედაურიდან და ხელი ფაფარში შეუცურა: – დღეიდან ჩემი ურუქში ყოფნის დროს, ენმერქარის რაში ხარ და ენმერქარის ცხედარსაც შენ მიასვენებ ურუქში. – თქვა და ენმერქარის ცხედარი ზურგზე გადაჰკიდა რაშს, ამხედრდა და თვალებდასისხლიანებული მიმინოც მხარზე დააფრინდა. ბრძენი ბუ უსიტყვოდ მიუხვდა ნიმროდს და ენმერქარის მკერდზე დაფრინდა.

ადგილიდან დაიძრნენ.

„ახლა ველარავინ გამარჩევს ენმერქარისგან“ – გულში ჩაითქვა და: პირი ურუქისკენ ჰქნა.

* * *

გზაც რომ აღარ დასრულდა. ზეცასაც ეცვალა იერი: ღრუბლებისთვის თავი მოეყარა და სიტყვაც შვიდქარისთვის გადაელოცა.

ზეცამაც გახსნა მოკუმული პირი და წვიმის თქეში დაასკდა მიწას. მიწასაც შეჰკვროდა სუნთქვა.

წვიმს კოკისპირულად. ნიმროდსაც ატირებია სული: თვალს გაუსწორებს წყვდიადს და შეაძაგძაგებს: „თურმე მეც ადამიანი ვყოფილვარ... ადამიანივით მტკივა, მცხელა და მიხარია...“

და მიწაც იძრა(!) იელვებს და მწუხრის ქვეყნიერებასაც გადაანათებს. მოჟამულ სამყაროს ფერიც შეცვლოდა და იერიც. აღარ ბნელოდა, გამოანათებს მთვარე.

– მე ინანა ვარ, ნიმროდ! მოსახდენი მოხდა: ეს იყო სულ! ჰოდა, ურუქი გამარჯვებულ ენმერქარს მოელის! ასე მნებავს. ურუქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდს დაიტირებს, ურუქისა და ენმერქარის დიდ სტუმარს. და როცა ბაბილონისკენ გაგიწიოს სულმა, ენმერქარის ანდერძიც აღასრულო უნდა! დღეს კი: ენმერქარი ჭირდება ურუქს! ჰოდა, მოსულხართ კიდეც. ურუქის კარიბჭე ღიაა. იგი მიესალმება თავის გმირ ლუგალს და ღირსეულად დაიტირებს გმირ მონადირეს!

ურუქი აცრემლდება(...)

: ხალხი მოაწყდა ურუქის დიდ კარიბჭეს. ნიმროდი – უკვე ენმერქარი, ჩამოხდა რაშიდან, მიმინოც ააწყდა მის მხარს, შეინავარდა ჰაერში და გაუჩინარდა.

„მე ენმერქარი ვარ“ – ფიქრი გაუმძაფრდა ნიმროდს, მაგრამ უფრო და უფრო შეჰყვა ასე გამწარებულ ფიქრს: „უნდა მივესალმო ურუქელებს, როგორც მიესალმებოდა მას თვითონ ენმერქარი“.

ძე მეფისა, მომავალი ლუგალი მოწიწებით გამოეგება თავის დიდ მამას და ხელზე ემთხვია. – მამავ ბატონო, ურუქი ელის შენს მეფურ გადაწყვეტილებას, – თქვა და თავი ჩაღუნა პატივისემისა და მორჩილების ნიშნად. – მოგესალმებით, ურუქის მეფეთ-მეფევ, დიდო მხედარო ენმერქარ! – თქვა და თვალი გაუსწორა ძლევამოსილს.

„და ვაითუ იეჭვეს რამე?!“ – შეცბა მეფეთ-მეფე, დაკვირვებით შეათვალიერა ტახტის მემკვიდრე: – ამას მამა ვგონივარ მართლაც და ქურუმებისკენ მიიხედა, ავსულთან მორკინალი „ნიმროდის“ ცხედარი მიწაზე დაესვენებინათ და ელოდნენ ლუგალის ბრძანებას.

– ქურუმნო! თქვენს წინ გმირი მონადირე ნიმროდი ასვენია და მე რომ ცოცხალს მხედავთ, მისი დამსახურებაა. მისი სახელი ოქროს ასოებით ამოიკვეთება თიხის ფირფიტაზე და ურუქის კარიბჭეზე დაიკიდება. აფრინეთ მალემსრბოლნი კიდით-კიდემდე და ამცნეთ ყველას დიდი ნიმროდის გმირობის ამბავი! პატივი მივაგოთ გმირს! დიდება ნიმროდს! – შესძახა (უკვე) ენმერქარმა და მუხლი მოიყარა ჯერ ცხედრის და მერე თავისი ხალხის წინაშეც. – ენმერქარი თქვენს სამსახურშია ისევ!

– ენმერქარს დიდება! – ამოიძახა მთლად ურუქმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრმალი იშიშვლა ურუქის ლუგალმა და ურუქმა დაასკვნა, ომი გარდაუვალიაო. მიუხვდა ურუქი თვალებაბრიალებულ ენმერქარს, რომ სისხლი მოწყურებოდა და მანამ არ დაშოშმინდებოდა, სანამ სისრულეში არ მოიყვანდა თავის ჩანაფიქრს (არათა და მისი მბრძანებელი განწირული იყვნენ).

და გამორკვეულიყოსო თითქოს: – ხალხო ჩემო! ნიმროდი პატივის ღირსია, რომ დიდებით შეაღწიოს ზეციურ ურუქში. პატივი მივაგოთ გმირს!

ითქვა და შავოსანმა ქალებმაც დაიჭირეს თადარიგი: ათი შავოსანი ქალი გამოეყო გუნდს. გარს შემოერტყნენ მიცვალებულს და ჩამოიშალეს თმები, ჩამოიხოკეს ლოყები და ცრემლიც აწვიმეს. დასტიროდნენ გმირთა-გმირს.

დიდმა ლუგალმა დახედა ნიმროდის ცხედარს და ბრძანა: – ეს ზიქურათი, თავს რომ დაგვყურებს, ნიმროდის ძვალშესალაგებელია. ურუქი შვიდ დღეს იგლოვებს დიდ მონადირეს. ზაქურათში დაასვენებთ, როგორც წესია. დაე, იძინოს გმირმა! ცრემლი აწვიმეთ ჩემს დიდ მეგობარს და ურუქის დიდ სტუმარს. ამხელა სტუმარი ურუქს აწი აღარც ეყოლება! ნიმროდმა თქვენს მეფეს შესწირა თავი!

– დიდება გმირს! დიდება ენმერქარს – ჩვენს ლუგალს და უზენაეს მსაჯულს!

ემშვიდობებოდა ენმერქარი ნიმროდს. იგლოვდა ნიმროდს შუმერთა ქვეყანა, დიდი ურუქი!

: სასახლის კარზე ამავალი ენმერქარი უკვე ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. შავები აღარ ემოსა – გლოვის დღეები უკან დარჩენილიყო და ახალ სიცოცხლეს იწყებდა ურუქიც.

ენმერქარს დედოფალი ელოდა.

აათავა კიბის საფეხურები და ცივმა ოფლმა დაასხა: „ნიმროდ, ენმერქარობაც ხომ არ შეიფერე?! გახსოვდეს, რომ ნიმროდი ხარ და ბაბილონზეც უნდა ფიქრობდე. ბაბილონი შენს მოლოდინშია, დედოფალიც...“ – უკვე მოწყენოდა ენმერქარობა, იცოდა მალე ბაბილონიც მოუხმობდა, მაგრამ ეს მერე იქნებოდა, ახლა კი ენმერქარის თანამეცხედრეს როგორ მოექცეს? ეს რანაირი გამოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის წინაშე დამაყენა განგებამ, მაგრამ... – თავს შეუძახა უკვე მთლად ენმერქარმა და მხნედ გასწია დედოფლის მოსასვენებლისკენ.

შეაღო კარი, გადააბიჯა ზღურბლს და გულიც კინაღამ შეუქანდა. ღელავდა და ეს ეუცხოვა. თავის თავს ვეღარ ცნობდა: სუნთქვა შეკვროდა. დედოფალი ელოდა თავის ქმარს და არა მეფეთ-მეფეს.

„მე ხომ ნიმროდი ვარ და არა ენმერქარი, მაგრამ...“ – გადალახა ეს ზღურბლიც და გვერდით მიუწვა ქალს.

ქალიც: „ენმერქარ, შემოდი ჩემში, ჩემში დამკვიდრდი და გაიდგი ფესვები, ასე ჩემო...“ – ნეტარებდა და ათინათივით ელაციცებოდა ენმერქარს. მხოლოდ შემტრედისფერებულზე განეყვნენ ერთმანეთს.

* * *

ფიქრის ოთახში განმარტოებულსა და თავის ფიქრის სავარძელში მთვლემარე ურუქის მმართველს საფიქრალს რა გამოუ-ლევდა?! მაგრამ ყველაზე მეტად ერთ ელვა-ფიქრს შეეფიქრიანებია: მონატრებოდა ნიმროდობა, ბაბილონი ესიზმრებოდა, ბაბილონი ელანდებოდა, მაგრამ ურუქსაც ხომ ვერ მიატოვებდა შუა გზაზე?! ურუქი სხვა ქვეყანაა, ბაბილონი – სულ სხვა და ისე, როგორც ბაბილონს ვმართავდი, ურუქიც ისე რომ ვმართო, იქნებ დავაშავო კიდეც. სულ სხვა ქვეყანა, ხალხიც სხვა და დროც – სხვა! აქ სხვანაირი ფიქრია საჭირო! ურუქელი უნდა ვიყო, ჭეშმარიტი შუმერი! ენმერქარივით უნდა ვიფიქრო! ვიაზროვნო მასავით, დიდი ლუგალივით. ამიტომ: უნდა შევერიო ენერქარს! გარდასხეულება ხომ შევძელი?! შევძლებ ენმერქარში გარდასულიერებასაც. მე ენმერქარი უნდა გავხდე. საკუთარ მეს ვძლიო უნდა! მე მნებავს!“ – შეფიქრიანებულმა ვეღარ წამოიწია ფიქრის სავარძლიდან, აღარ აუშვა სავარძელმა(!) გაკვირვებულმა ჩაახველა: „დავტოვებდი ურუქს და თავის ადგილს დაუბრუნდებოდა ყველა და ყველაფერი, მაგრამ ენმერქარსისთვის მიცემული სიტყვა როგორ გავტეხო?! მოვრჩები ურუქის საქმეს... იქ ებერი...

ხომ არ განმიდგა?! ებერი ხომ ჩემი სისხლი და ხორცია. მივენდე იმას და: არა ვერც ებერი გატეხს იმ სიტყვას, მე რომ მომცა. ჰო, უნდა დავაჩქარო აქ ჩემთვის მოცემული დრო! მე ურუქში, თვითონ ენმერქარს – დიდ ლუგალს ურუქის ბედი, შუმერთა ბედი მაბარია!“ – მსახური იხმო; ისიც გაფიქრებისთანავე გამოეცხადა წელში მოხრილი და ებრძანა გამართულიყო. მსახურსაც წამოენთო ამდენი ხნის უტყვი თვალები: – ნაშუადღევს, მზე რომ შუბისტარზე შედგება, ჩემი ძე მეახლოს ფიქრის ოთახში! – ბრძანა და მსახურიც გაქრა: „ესეც მეტეორივითაა...“ – გაეღიმა და დაძაბულობაც მოეხსნა. კვლავ აღიჭურვა თავისი ყოვლისშემძლის გარესამოსელით.

ლუგალაბანდაც დათქმულ დროს გამოეცხადა: – გისმენ, მამავ ბატონო და დიდო ლუგალო! – მუხლი მოიყარა მამის წინაშე: – ასე რას შეუწუხებიხართ, დიდო ბატონო?

– არათას მბრძანებელმა რაო? ხომ მშვიდობაა?

ძემაც მდაბლად დაუკრა მამას თავი: – არათას მბრძანებელს უკადრებელი უკადრებია...

– და რატომ არ მომხსენდა ამდენ ხანს მე ეს ამბავი?! – სიბრაზისგან წამოენთო ნიმროდს საცრისოდენა თვალები: – როგორ თუ უკადრებელი იკადრა?

შეცბა მბრძანებლის ძეც: „აბა, როგორ მეთქვა მგლოვიარე მამაჩემისთვის სიმართლე, როგორ მომეკლა მისთვის ისედაც მოკლული გული?“

– რაო, რა დაუშავებია არათას მბრძანებელს?! – იკითხა და ფეხზე წამოიჭრა, შორს მოისროლა ფიქრის სავარძელი, – რა დროს ფიქრია, როცა... – სათქმელი გაიწყვიტა და თავის ძეს მიაჩერდა. – ნურაფერს დამიმალავ! მითხარ, რაც მოხდა! სრულად!

– გლოვის დღეებში ვერ შემოგბედეთ, მამავ ბატონო და... – თავი ჩაქინდრა მუხლმოყრილმა ტახტის მემკვიდრემ. შუბლი ოფლის წვეთებით დაეცვარა.

– ნუთუ... – თითქოს გამოერკვაო ურუქის მბრძანებელი: – იქ, არათაში, უმაღლეს მწვერვალზე სალოცავი ტაძრის აგებას ხომ არ ფიქრობენ? და ინანა ჩემი ქალღმერთი უფროა, ვინემ ენმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარისთვისო?! და კიდევ რა?

– კიდევ ერთი რამ, მბრძანებელო... საზღვარი თვისი აქეთ გადმოუწევია, ორი ბერუთი მოგვიახლოვდა... – მხრები აეწურა ტახტის მემკვიდრეს, ენმერქარი მრისხანებდა და ტახტის მემკვიდრემაც უწყოდა, რაც უნდა მოჰყოლოდა ამას.

– და შენ რაღას ფიქრობ, ტახტის მემკვიდრევ? – მოესმა ტახტის მემკვიდრეს ურუქის მბრძანებლის სავსებით მშვიდი, აუღელვებელი ხმა და თვალი გაახილა.

ურუქის დიდი მბრძანებელი არათუ განრისხებულიყო, თბილად უღიმოდა ლუგალაბანდას.

– არ შეაწუხეთ მგლოვიარე მბრძანებელი?! მაგრამ უპირველესი ხომ ურუქია და ურუქი უნდა იყოს ყველას საზრუნავი! ხვალ სამხედრო საბჭოზე ვიტყვი დანარჩენს! აი, რას ვფიქრობ: სამხედრო საბჭოზე გვირგვინით შეგიმკობ თავს, ხოლო როცა არათას მბრძანებელს გალიაში ჩასმულს მაახლებ, ტახტსაც მაშინ დაგილოცავ! მე მჯერა შენი. შენი თვალები სარკეა შენივე და ამ სარკეში ყველაფერს ვხედავ!

– და მერე თქვენ, მამავ ბატონო?

ეამა ურუქის მბრძანებელს, რომ ტახტს არ ეცილებოდა შვილი, ჯერჯერობით მაინც, ჯერჯერობით ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა და ასე უცებ დიდ ლუგალად ვერც მოეაზრებინა თავი.

„ალბათ ჩემი ბაბილონში დაბრუნების დრომაც მოაწია... ერთი დიდი ბრძოლის გადატანა მომიწევს კიდევ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება!“ – გაიფიქრა და მიმართა ტახტის მემკვიდრეს: – კიდევ ერთხელ მინდა ბრძოლაში გიხილო!

– ვეცდები მრძანებელო, ღირსეული შვილი ვიყო მე მამაჩემის!

– წადი და იფიქრე ხვალინდელ დღეზე და ვიფიქრებ მეც! თავისუფალი ხარ!

მიდის ტახტის მემკვიდრე და მბრძანებელიც ჩაჯდება თავის ფიქრის სავარძელში: „ენმერქარის ღირსეული შვილი, მემკვიდრე ტახტის, აი, ვინ უნდა იყოს ურუქის შემდეგი მბრძანებელი... მე კი ურუქისავე დროში გადავიხდი უკანასკნელ ომს და ურუქიც წავა თავისი შუმერული გზით.... მაგრამ: ხომ არ მოაკლდა ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილონს ამასობაში ნიმროდის ხელი?“ – აქ ფიქრი შეუთბება და: ფიქრით ბაბილონშია უკვე, თავის სასახლეში, რეა ხელებგაშლილი ეგებება. იქით ებერი დგას ჩაფიქრებული და ამან შეაფიქრიანა ბაბილონს მონატრული, – მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მე ენმერქარად ვრჩები! ურუქი უნდა იყოს ჩემი ზრუნვის საგანი, მაგრამ ეს რა ხდება?! თითქოს ფიქრი მიმეორდებოდესო... ბაბილონი რომ არ მშორდება?! დიდი ბაბილონი, უკვდავი ბაბილონი!“ – შემოაღამდა ფიქრის ოთახში. თვალი დაუხამხამდა და აღმოაჩინა, რომ თვლემდა ფიქრის სავარძელში ბედს მინდობილი.

ჰოდა, თავს დაათენდა და წამოიჭრება სავარძლიდან.

* * *

უცნაური დღე ჩამომდგარიყო ურუქში. თითქოს და მზესაც შეგვიანებოდა ამოსვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ინება და რაღაცნაირად ჟროჟოლასავით ამოანათ-ამოასხივა. შელახულივით გამოიყურებოდა, დამწუხრებული ჩანდა, თითქოს დაპატარავებულიც და ამ თავისი სიპატარავის რცხვენოდა. წითელი ლაქები მოხშირებოდა, ეს ლაქები ჭორფლივით ეყარა სახეზე. ბოლოს მისი მცველი ღრუბლებიც შემოეწყვნენ ირგვლივ და ჩაიკარგნენ იმათ ჩრდილში.

წვიმას აპირებდა და არც აპირებდა.

უსახელო მდინარის ჩაყოლებით არათას სამი მხედრიონი ჩარიგებულიყო. აქეთ, გამოღმა – ურუქელთა სამი ათასეული.

ენმერქარი თავის რაშზე ამხედრებული წარსდგა ურუქელთა წინაშე. მხარზე (უკვე) ბრძენი ბუ ეჯდა და არც ის რაში ყოფილა უცნობი ბრძენი ბუსთვის. იგი ნიმროდის ბედის ბედაური გახლდათ. ენმერქარის რაშზე ურუქის მბრძანებლის ნებით ურუქის ტახტის მემკვიდრე ამხედრებულიყო და მხარზე ენმერქარის მიმინო ეჯდა.

– ურუქელებო! მე, თქვენს მბრძანებელს ორასი გმირი მჭირდება, ორასივე დაქორწინებული და სამზე ნაკლები შვილი არც ერთს არ უნდა ჰყავდეს! ვისაც გული გერჩით, დამიდექით გვერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის თქმა და ორასამდე რჩეული მეომარი მბრძანებელს დაუდგა მხარმარჯვნივ. – თქვენ დიდი მისია გეკისრებათ! არეულ-დარეულობა უნდა შეიტანოთ მტრის რიგებში, რომ მერე ტახტის მემკვიდრეს და მომავალ ლუგალს მტრის დამარცხება გაუადვილდეს! დიდება ურუქს! ურუქი უძლეველია! დიდება თქვენდა! ჯარის სარდლად ვნიშნავ ტახტის მემკვიდრეს!

კბილებამდე შეიარაღებული ორასი მხედარი მწყობრი ნაბიჯით გასწევს მტრის შუაგულისკენ, თვითონ დიდი მბრძანებლის, ენმერქარის ხელმძღვანელობით.

მტერსაც ჰგონებია ურუქელთა დამკვრელი ძალა, თვითონ ლუგალის ხელმძღვანელობით მოსალაპარაკებლად მოსულაო და მოყვრულად დახვედრია.

ურუქელებმა გადალახეს უსახელო მდინარე, ოც ნაბიჯზე მიუახლოვდნენ მტრის ბანაკს, თეთრი ბაირაღები დაყარეს ძირს, იშიშვლეს გაალმასებული ხმლები. ჰოდა, არაადამიანური ხოცვა-ჟლეტაც დაიწყო: მტრის ბანაკი აირია და ტახტის მემკვიდრეც შეტევაზე გადასვლას ბრძანებს.

შედრკა მტერი, მაგრამ მალე მოეგო გონს, სამივე ბატალიონი გაშალა... სულაც არ აპირებდნენ არათელები დანებებას. სასტიკი ბრძოლა გაუმართეს ურუქელებს, მაგრამ გატყდნენ მაინც და უკან დაიხიეს.

შეუდარებელი იყო თვითონ მბრძანებელი ურუქის, დიდი ლუგალი. სიკვდილის ცელით ხელში მიუწვდომელსაც წვდებოდა და სიკვდილს თესავდა ირგვლივ. რომ ენდომებია, მზესაც ჩამოაგდებდა თავისი ტახტიდან.

ტახტის მემკვიდრეც თავს არ იშურებდა, ლომივით იბრძოდა, ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ენმერქარს – თვითონ ომის ღმერთს.

და შედრკა არათა.

არათას მბრძანებელმა ენმერქარში ომის ღმერთი ამოიცნო და ქარქაშში ჩააგო ხმალი.

– რას ითხოვს ჩემგან ურუქის მზე? – იკითხა. მორჩილების ნიშნად მუხლზე გადაიტეხა ხრმალი და მაღლა ასწია ხელები. ენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერქარს დაეძებდა მისი შეშინებული და შეშფოთებული თვალი. ხმაც ჩახრენწოდა მუხლებში კანკალჩამდგარს.

ურუქის ძლევამოსილმა მბრძანებელმაც შეაყენა თავისი ბედის ბედაური და ნისკარტდასისხლიანებული ბრძენი ბუც ნება-ნება დაეშვა პატრონის მხარზე.

ჰოდა თავჩაქინდრული ეახლა არათას მბრძანებელი ენმერქარს, თვითონ ომის ღმერთს.

– თქვი! – ებრძანა დამარცხებულს.

– ნურაფერს ერჩი ჩემს ხალხს! თუკი დასასჯელია ვინმე, ეს მე ვარ, მთავარი დამნაშავე. თქვენს ხელთა ვარ.

ენმერქარმა ტახტის მემკვიდრეს უხმო და ისიც ეახლა თავის დიდ მამას. – გისმენ, მიბრძანე!

– შენ, შენ უნდა გადაწყვიტო, დღეს ომის ბედი! მთავარსარდლადაც იმად დაგნიშნე, რომ დიდ ბრძოლაში გამომეცადე. შენ გაამართლე ჩემი ნდობაც და იმედიც! შენ ასახელე შენი ურუქი! ასახელე შენი ხალხი! მასახელე მეც – ენმერქარი! გმადლობთ, ტახტის მემკვიდრევ! ამიტომ შენ უნდა უთხრა დამაჯერებელი სიტყვა ჩვენს მხედრობას!

ტახტის მემკვიდრეს დაბნეულობისგან და სიხარულისგან ნერწყვი გაუშრა, მაგრამ მსწრაფლ გამოერკვა და უზანგებზე შედგა: – მამავ ბატონო... – ისევ გაუწყდა სიტყვა და სიხარულის ცრემლები ჩაუდგა თვალებში.

– ჰო, ვისმენთ შენს სიტყვას! – წამოეშველასავით მამა შვილს.

– გმადლობთ, მზის დარო ენმერქარ! მე არასოდეს მავიწყდება ვინ არის მამაჩემი, ვისი შვილი ვარ? მადლობას ვეუბნები ჩემს ხალხს ერთგულებისთვის! თუკი არათას მბრძანებელს სურს გადაარჩინოს თავისი ასე მშვენიერი ქვეყანა, ტახტიდან გადადგეს და არათას ქალაქის გასაღები დიდ ენმერქარს გადასცეს. თვითონ არათას ქვეყანა კი დღეიდან ურუქის დაქვემდებარებაში გადმოვა. აწი არათას ქვეყანას და მის ხალხს ურუქის ლუგალი და ქურუმთუხუცესი ენმერქარი უწინამძღვარებს! ესე არს სიტყვა ჩემი! – თქვა და თავი მდაბლად დაუკრა ენმერქარს.

– მეც, – ხელი აღმართა ენმერქარმა, – ჩემი ძისა და მემკვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სიტყვას ბეჭედს დავუსვამ! – აღმოხდა გულიდან და სიხარულისგან გააჟრიალა, – ჩემი მემკვიდრე ღირსია მეფის გვირგვინი ჰხურავდეს თავს!

უფროსმა ქურუმმა გვირგვინი გადასცა ენმერქარს. ენმერქარმაც თავი გვირგვინით შეუმკო თავის ძეს და სიტყვა ითხოვა. გვირგვინოსანს გაუკვირდა კიდეც, რომ ითხოვდა ენმერქარი და არ კი ბრძანებდა.

– მამავ ბატონო, ბრძანეთ!

და დიდი ენმერქარიც ბრძანებს: – არათას მბრძანებელი დღეიდან აღარაა არათას მეფე! იგი ურუქის ტყვეა! ურჩობისთვის, თავისი ხალხის ღალატისთვის მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა და აწი დარჩენილი დღენი დილეგში გაატაროს. მაგრამ ჩემს მემკვიდრეს და გვირგვინოსანს შეუძლია ჩემი გადაწყვეტილების შეცვლა! არათას ჯარის მხედართმთავრები თუკი მოინანიებენ, აღარ დაისჯებიან. შეუძლიათ ურუქის ახალი მრძანებლის სამსახურში ჩადგნენ!

... ურუქელები ზეიმობდნენ დიდ გამარჯვებას!

ურუქელები ელოდნენ მზის ამოსვლას, რომ მზის ჩასვლამდე ეზეიმათ, მაგრამ იმ დღეს მზე არც ამოსულა, რომ ნებიერად ჩასულიყო. ზეიმს მზიური პეწი აკლდა და ეს იყო...

* * *

თავის ფიქრის სავარძელში ზის ენმერქარისეულისგან მთლად განთავისუფლებული ნიმროდი და ებრძვის გარს შემოჯარულ ფიქრებს (სულ 1001 ფიქრი). აჰა, ჩამოიშორა ათასი ფიქრი, ამ ერთს კი ვერაფერი მოუხერხა, საიდან არ მიუდგა, ხმალიც კი შემოუქნია, მაგრამ ამაოდ, ათასმეერთე ფიქრი უვნებელი და მოუცილებელი რჩებოდა, შუბიც აძგერა, მაგრამ გაჯიუტებულ ფიქრთან მაინც ვერაფერი გააწყო. ე, მაშინ კი მოფხიზლდა ნიმროდი და ხმამაღლა იკითხა: – რომელი ხარ?

– რომელი და, შენი თანამგზავრი ფიქრი, მთელი ამ ხნის განმავლობაში რომ არ მოგცილებივარ...

– მაინც რომელი?

– ფიქრი ათასმეერთე! სინამდვილეში ნომერ პირველი: „არ გაინტერესებს, რა ხდება ბაბილონში?!“

და საბოლოოდ მოლბა ნიმროდიც: – მართლაც რა ხდება ბაბილონში?

– ბედის წიგნში რატომ არ ჩაიხედავ, ნიმროდ?!

ჩაიხედა ბედის წიგნში და მღელვარებამაც შეიპყრო.

და მაინც რა ამოიკითხა იმ თავის ბედის წიგნში?

„ჭაბუკმა ნიმროდმა უწყის აღსრულება თქვენთა ზრახვათა,
მიჰმადლეთ მასვე მარადიული მწყემსობა ბაბილონელი ერის,
ცოდნა ქალაქთა გაშენებისა და ხალხთ დამკვიდრებისა,
რაიც ოდითგანვე გამოჰყოლია...“

და სახეგასხივოსნებულ ნიმროდს მაშინვე გაუელვა:

„გუთნეულ ხარებს დავასვენებ,
ამ ძალადაბრუნებულ ხარებს გზაზე დავაყენებ!
და მიწის მკერდის მხვნელი სახნისი ეს მე ვარ სწორედ,
გუთანი ვარ ხარებშებმული...“

მთლად გონებაგახსნილს იშთარის იმდღევანდელი გადმოსიტყვებაც ესმა:

„ნიმროდ, მრავალი წელი აღმობრწყინდები მზის დარად შენ სამომავლოდ!“

და ნიმროდიც დადგა ლოცვა-ვედრებად: – ჭეშმარიტება დადგეს მხარმარჯვნივ ჩემგან, და სიმართლე ამომიდგეს მხარმარცხნივ სრულად! სიმართლის ძალა წინ წამიძღვეს და სამარადისოდ თანმდევდეს მშვიდობის სული“.

„იშთარი ჩემი შემწე, მფარველი და მწყალობელიც!“ - აუძგერდა გული ბაბილონელთა გასაერთიანებლად, ურჩი ხალხების მოსათვინიერებლად, – იშთარმა მე ჩამაბარა ყველა...“

„ნიმროდ, აბა შენმა დამკვირვებელმა თვალმაც იხილოს სახელი შენი თიხის ფირფიტაზე ამოკვეთილი: „ნმრ(დ)“ ეს „დ“ კი, შენს სახელს რომ დაერთვის, დიდმოჯანყე და დიდ ცვლილებათა აღმნიშვნელი ასობგერაა...“ – ესმა, მაგრამ ვერ დაედგინა ზუსტად საიდან?!

მოულოდნელად: ნისლი ჩამოწვა, თითს თვალთან ვერ მიიტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. თითქოს და არაფრის წინაშე იდგე, ქრებოდეს ფიქრი ყოველი და ეკარგებოდე საკუთარ თავს: „საკუთარ თავში თუ მოიძიებ თავს, შენ კი სადღაც შენგან ძალიან შორს დაეძებ! ადამ-იანო, რატომ არ გამოფხიზლდები, გონს რატომ ვერ მოხვალ?!“

და ჩაიტყორცნა ნიმროდიც იმ თავის სულში, სასრულიც რომ აღარა ჰქონდა.

აეხილა თვალი: ადიდებულიყო ევფრატი როგორც არასდროს. მოჰქონდა თუ მიჰქონდა ცა და მიწა. თვითონაც აღარ უწყოდა, ამით რის თქმა სურდა და რას აპირებდა? მაინც რა ენება?

ევფრატს ვეღარ იცნობდით: რაღაცაზე თუ ვიღაცაზე გაბრაზებულსა და გამწარებულს ლამის ჩაეყლაპა მთლად შუამდინარეთი.

„მდინარევ, ჩემო, დიდო წყალო, დაინდე, ნუ წაიღებ ჩემს ბაბილონს და ნუღარ ჩააქცევ უპირობო სიცარიელეში..“ – დაუჩოქა ნიმროდმა: – ჩადექ შენს კალაპოტში, იშთარმა რომ დაგიდგინა ერთხელ, იქნებ მარდუქმაც?! დიახ, მარდუქმაც... ღმერთების ღმერთმა, ჩემმა ღმერთმა! ეჰეი, შენ, დიადო მარდუქ! დაუცხრე ჟინი ევფრატის წყალს. ჰო, დასჩემდა ამ ჩემს წყალს ერთგვარი ჟინი, იქნებ თქვენგანვე დანათლებული. და ვფიცავ იმხელა სამლოცველო ავაგო ცაბაოთის ჯიბრზე, რომ იმის წვერს თვალი ვერ შეაწვდინოს კაცის დახარბებულმა თვალმა! – ამოთქვა და მდინარეს მიუბრუნდა ისევ: – შენც გესმა ვგონებ, რაც მარდუქს აღვუთქვი, მაგრამ იშთარისთვისაც როდი შემიქცევია ზურგი? იშთარის სულსაც ვფიცავ! ჰოი, წყალო დიდო და ასე მჭმუნვარევ, შენს თავს იშთარის სულს შევავედრებ!

– მარტო იშთარის სულს?! ნიმროდ... ჩემი მდინარება ღმერთების ღმერთს მარდუქსაც შეავედრე! იმის ღვთაებრივ უზენაესობას!

– გავიგონე, წყალო დიდო! მე შენი ისე მესმის, როგორც არავის!

– მარდუქია უდიადესი ღმერთი, ღმერთებს შორის გამორჩეული და ამაღლებულიც! – ამოთქვა ევფრატმა და თავისი პირალესილი ტალღა ნაპირისკენ გამოტყორცნა. ტალღაც მაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესავით მოიტალღებოდა ნაპირისკენ და ნიმროდს ეახლა: – აღმითქვი, რომ შეავედრებ შენ ჩემს თავს მარდუქს, რომ არასოდეს დავშრე და უსახელოდ არ აღვესრულო. უდაბნოში რომ არ მომეღოს ბოლო...

„მარდუქი... მარდუქი, რომელიც ისე დიდია და უძლეველი, რომ შუაზე გააპო თვითონ თიამათი და ახალ სიცოცხლეს დაუდო სათავე... მარდუქი – ღმერთების ღმერთი და ღმერთი ჩემი...“ – ნიმროდი დაცვარულ შუბლს შეიწმენდს და წინ დაუდგება ყალყზე შემდგარ ტალღას. ტალღამაც თავი შეიკავაო თითქოს, დაცხრა ერთბაშად და ნება-ნება დაეშვა ძირს:

– გისმენ, ნიმროდ, მიერთგულე მე და უერთგულე შენსავ ქმნილებას – ბაბილონს!

და თქვა მაშინ მაღლა ხელებაპყრობილმა ნიმროდმა: – მარდუქ უზენაესო, ღმერთო ჩემო, ღმერთებისა და სამყაროს მბრძანებელო, ცისა და მიწის დიდო პატრონო, მოიღე წყალობა და დაამშვიდე ევფრატი, ჩემი დიდი წყალი, ჩემი და ბაბილონის იმედი, ყველაზე წყალუხვი მდინარე დედამიწის ზურგზე, რომ არ დააშრობ და ძალას არ წაართმევ...

ცაც გადაიხსნა და ნიმროდმაც იხილა მარდუქი, გული აუძგერდა, თითქოს სარკეში იხედებოდესო და მყისვე მოფხიზლდა, ნუთუო, აღმოხდა და გადახსნილმა ზეცამაც ექოდ „ნუთუო“ დაუბრუნა ნიმროდს.

ეუცნაურა ის, რაც იხილა: „მე და მარდუქი?! მე – მარდუქი?!“ – შეკრთა, ხმა რომ ესმა საკუთარი: „მკრეხელურია ფიქრი ამდაგვარიც და ამნაირიც, მაგრამ მართლა ასე რომ არის სინამდვილეში?!“ – მაგრამ მსწრაფლ ჩამოიშორა შეშლილი ფიქრი და შემინდე და მომიტევეო, შეჰღაღადა უჭეშმარიტეს ღმერთს.

– შემინდვიაო, ჩამოსძახა მბრაძანებელთა მბრძანებელმაც: „მაგრამ ვიცი სათხოვარი გაქვს და რატომ არ მამცნობ?!“

– გთხოვე, ნუღარ დააშრობ ევფრატის წყალსო..

– ეს შენი თხოვნა არაა, ნიმროდ. ეს ევფრატის წყლის სათხოვარია და არც დაშრება, სამარადისოა მდინარება მისი... შენ შენი პირადი სათხოვარი გამანდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ხმამაღლა როგორ ამოვთქვა, ვაითუ შევცოდო ამითაც!

– თქვი, დღეს დასაშვებია შენთვის ყველაფერი!

აუწრიალდა სული ნიმროდს და ინატრა: „მარდუქს ავწვდებოდე ნეტა ოდესმეო?!“

სახე მოეღუშაო თითქოს ზეცას და ფიქრი იყო, ზეცას რომ გამოჟონა: „ვიფიქრებო...“

ნიმროდი მოეშვა უცებ, თითქოს დაიცალაო, ძირს ჩამოუცვივდა ვეება ხელები, მუხლებზე დაეშვა და ევფრატის წყალს დაეწაფა.

ევფრატი დადგა წამით, მერე გაახსენდა, რომ უნდა ედინა დაუსრულებლად და ერთხელაც, წამითაც რომ არ უნდა მოეთქვა სული. ჰოდა: დამცხრალმა გააგრძელა ის თავის დაუსრულებელი მარად სოველი გზა-შარა. მიიმდოვრებოდა მშვიდი და დაუნჯებული მარადი წყალი – დიდი ევფრატი, მღეროდა წყლის სიმღერას – ათასჯერ და ათასჯერ-ათასჯერ ამონათქვამს...

ნიმროდი აჰყურებდა ზეცას, ცდილობდა ისევ ეხილა მარდუქი – დიადი ღმერთი, თიამათის ამლაგმავი. თვითონაც ამღერებულიყო იმის მდინარებასთან ფეხშეწყობილი: „სადაც მე ვარ, ბაბილონიც იქ არის და ნიმროდი ხომ ბაბილონია თავად?!“

* * *

ნიმროდი: „ენმერქარი აღარ არის და ნიმროდიც არაა ენმერქარი!“

გათავისუფლდა ენმერქარის სამოსელისა და თვითონ ენმერქარობისგანაც და:

ნიმროდია! მთლად ნიმროდი!

ნიმროდი ბაბილონია! ბაბილონი – ნიმროდი! ნიმროდ-ბაბილონი!

ახლა ყველაფერი ძალუძს, მაგრამ თითქმის; უნდოდა კი მეტი: ყოფილიყო სრულიად გასხივოსნებული და განათლებული, ამაღლებული და, ღვთაებრივი – ადამიანურისგან დაცლილი, გათავისუფლებული, თავის უფალი!

წამს, სრულყოფილია და სადაცაა მარდუქის კურთხევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთად მოევლინება შუამდინარეთს, სრულიად დედამიწას! მერე კი: შეიტყორცნება მაღლა მზისკენ და:

„მაგრამ ვაითუ შემეტრუსა ფრთები?!“ – უცებ მოფხიზლდა და დაცხრა. დაცხრა ისე, როგორც დამცხრალ-გაგრილებულიყო მაშინ ევფრატის წყალი.

ნიმროდი ფიქრია უკვე: დაუნჯებული, სინამდვილესთან შეჯერებული, „ახლა ჩემი კედარის ძირში დამსვა და... – ნიმროდს უკვე აღარც უნდა და აღარც შეუძლია სხვანაირად ფიქრი, მაგრამ ფიქრად ქცეულა მაინც:

ფიქრით: ზურგით მიკვრია უზარმაზარი ხის ტანს. აიხედა მაღლა და კედარი იცნო: „ჩემი კედარი... ევფრატის წყალიც ამომიტანია იმ ჩემი ქვევრით. კედარი მშვიდადაა, მოუკლავს წყურვილი...“ – თვითონ ნიმროდი კი თითქოს შეზრდოდეს კედარს, კედარსაც გაუღია თავისი სითბო, სისხლიც კედარისაა, ძარღვებში რომ აჩუხჩუხებია ნიმროდს და იზრდება იგი კედართან ერთად. სადაცაა შეწვდებიან ზეცას: – ეჰეი, ზეცავ, აიწიე მაღლა, რომ უფრო ავმაღლდეთ კაცი და კედარი... კაც-ხე: – შეჰღაღადა ზეცას: – ეს მე ვარ, კაც-ხე!

– მე კი ხე-კაცი! – ჩამოთქვა კედარმაც, სახეცვლილმა უკვე. – მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე, რაზე ფიქრობს და ოცნებობს ნიმროდი? პატივმოყვარეობამაც არ შეგიპყროს, გძლიოს და წამოგაქციოს შენ კაც-ხე!

– კედარო, ჩემო ღვთაებრივო, ჩემო კედარო, ხე-კაცო, ვფიქრობ, რაღა თქმა უნდა, და ვოცნებობ კიდეც: ბაბილონზე ვფიქრობ, ბაბილონელ ხალხზე, მის კეთილდღეობაზე... უპირველესად განვავრცობ და განვადიდებ კიდით-კიდემდე და ადიდებდეს სრულიად ბაბილონი ჩვენს დიად ღმერთს, ცისა და მიწის უზენაეს გამგებელ მარდუქს – არსთა გამრიგეს. მე მისი მარად მსახური და თაყვანისმცემელი, მისი სუნთქვა ვარ დედამიწაზე. ჰოდა, კედარო ღვთაებრივო, ბაბილონი მომნატრებია მე, სხვა ფიქრი და საზრუნავი არც გამაჩნია. დამაბრუნე ნიმროდი იმ ჩემს დროში! ბაბილონში მომნატრებია ყოფნა! ესაა ჩემი ლოცვა-ვედრებაც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მაგრამ ენმერქარის ძე?!“

– რაღაც გამორჩენია შენს თვალსა და ყურს, კედარო ჩემო! ჯერ გვირგვინი დავადგი თავს, მეორე დღეს, გამარჯვებიდან ერთი დღეც არ გასულიყო და ჩემი ხელით ავიყვანე ტახტზე. ენმერქარს ღირსული მემკვიდრე ჰყავს! ენმერქარის, მისი ძისა და იმისი ღვთაებრივი ძის გალგამეშის მეცადინეობით კიდევ უფრო განივრცობა შუმერთა ქვეყანა... ამაზე შენც უწყი, კედარო ჩემო! ასე რომ, შუმერთა ისტორიაში არავითარი გადაცდომა არ დამიშვია. შუმერი (ურუქი) კიდევ იტყვის თავის სიტყვას იქ, თავის დროში!

– აბა, ნიმროდ, ყურადღებით! ვიწყებთ! – გადმოსძახა ხე-კაცმა კაც-ხეს.

ნიმროდმაც სუნთქვა შეიკრა, ფიქრობს ბაბილონზე, ბაბილონელების მომავალზე. თავის მომავალ საბრძანისზე და გაუცხადდება ფიქრიც: შეუმტრედისფერდება თვალწინ და მაღლა აიტყორცნება კოშკი, გოდოლი. თვალუწვდენელი და აუძგერდება გული კაც-ხეს. აქ: ზარსაც შემოჰკრეს და ჰანგებად დაირხა, ღვთაებრივ სიმფონიად შეიკრა, გაჟღერდა სივრცეც და მოიცვა სრულიად ირგვლივეთი.

„მე ნიმროდი ვარ!“ – უცემდა გული: – ადამ-იანი, როგორც ამბობენ, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს იმას, რას ამბობენ ადამიანები ჩემზე? ადამ-იანი და ადამიანი...?! დედამიწაზე შობილი და ცად ამაღლებული ღმერთკაცი....

– ამაზე შორს ნუღარ წახვალ: ერთი საფეხურით გირჩევ, ჩამოინაცვლო ქვევით. დარჩი ადამ-იანად და მე ნუღარ დამეტოლები ჯერჯერობით მაინც!

ეს ხმა მარდუქისა იყო და ნიმროდსაც შეაცივა, მაგრამ მოიკრიბა მხნეობა და ასძახა მაღლა: – ღმერთების ღმერთად გიწამე და გიხილო მინდა კიდევ ერთხელ, რომ ჩემი ერთგულება დაგიმტკიცო და თაყვანი გცე!

გადაიხსნა ზეცა და თვითონ მარდუქი – შვიდგზის ბრწყინვალებაც გამოეცხადა ნიმროდს: – შენ ბაბლონში ხარ და კვლავაც შენთვის ჩამიბარებია ბაბილონი და მისი ხალხები! ბაბილონს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუარე, ჩემს და შენს ბაბილონს! – ითქვა ნიმროდის გასაგონად და ზეცამაც შეიკრა პირი.

თადაპირველად ეუცნაურა ნიმროდს ბაბილონი და კიდევ უფრო გაუფართოვდა ისედაც საცრისოდენა თვალები.

და დათბა ირგვლივ, გამოედარებინოსო თითქოს: მიესიყვარულა ნიმროდის საცრისოდენა თვალები ბაბილონს. აღივსება ბაბილონიც ამ სითბოთი და ნიმროდიც ააწყდება ღვთაებრივ კედარს, გულანთებული დაეშვება თავდაღმართზე, ევფრატის წყლისკენ.

შესვა წყალიც და იგრძნო, რომ შედიოდა იგი ბაბილონში. ბაბილონიც შემოდიოდა მასში....

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი მეორე

ნიმროდი და ებერი

* * *

ხარობს ბაბილონი ნიმროდით!

ნიმროდი – ბაბილონით!

ხარობდა რეა!

სამ დღეს გაგრძელდა სახალხო დღესასწაული ნიმროდობა.

ნიმროდი აცნობიერებს, რომ მიაკლდა მისი ხელი ბაბილონს. კიდეც მოხსენდა, რომ მისი არყოფნის დროს ბაბილონის ქვეყანას განდგომოდნენ მარისა და ელამის ქვეყნები.

„ამათთვისაც მოვიცლი... როგორ გამიბედესო?“ – შეაწუხებს ფიქრი, – ღალატს ვერავის ვაპატიებ, მაგრამ ჯერ სასახლესა და ერიდუს შემოგარენში მოვითავებ საქმეს... მერე და სამი დღე მთელი საუკუნეა... თითქოსდა მივავიწყდი ხალხს. თავი უნდა შევახსენო... გავაღვივო უკვე მიმქრალი რწმენა. ნიმროდი უნდა უყვარდეს ყველას, ის ხომ ბაბილონის სული და ხატია?! ჩემს მზეს უნდა ფიცულობდეს ბაბილონელი!“ – დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა ამაზე, სიცოცხლის არსზე, არარაობასაც გადასწვდა ფიქრით: ბოლოს გამოერკვა მაინც და ხელი აუქნია ფიქრებს, ჩამოიშორა ყველა და რეას განუმარტოვდა.

სუროსავით გადახვეოდნენ ერთმანეთს. ენატრებოდათ რეას ნიმროდი და ნიმროდს – რეა.

მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოითქვეს სული. ჰოდა: თავისუფალი იყო რეა ნიმროდისაგან და ნიმროდიც გათავისუფლდა. რეამ თავის იშთარის ტაძარს მიაშურა, ნიმროდმა კი ებერს უხმო თავის ციური სხეულების კოშკში.

მაინცდამაინც არ გახარებია ებერს ნიმროდის დაბრუნება ბაბილონში და ესეც არ გამოპარვია ნიმროდის ყოვლისმხილველ თვალს, მაგრამ არ უგრძნობინებია ეს ებერისთვის.

სულ სხვანაირ შეხვედრას ელოდა იგი ებერთან და კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო გაკვირვებული დარჩა, როცა ებერმა თანამდებობიდან გათავისუფლების სურვილი გამოთქვა. ამას ნამდვილად არ მოელოდა ნიმროდი ებერისგან, მაგრამ აღარ უსაყვედურებია, სავარძელზე მიანიშნა, სალაპარაკო მაქვსო.

ებერმა თავი დაუკრა როგორღაც უხალისოდ, ადგილიდანც კი წამოიწია და ნიმროდმა კვლავ მიანიშნა სავარძელზე.

– ებერ, მიხარია და მეამაყება, რომ ჩემთან ხარ... განათლება და სკოლა, სრულიად ბაბილონისთვის ახალი ხილია, კერკეტა ნიგოზი, მაგრამ რისი გაკეთებაც მოგისწრია ჩემი აქ არ ყოფნისას, მართლაც ძნელად წარმოსადგენია... ამდენს ნამდვილად არ მოველოდი... ის შენი გადაწყვეტილებაც, რომ სწავლება სავალდებულოდ გამოგიცხადებია სრულიად ბაბილონში, გენიალურია, უკეთესს ვერც მოიფიქრებდა კაცი! ებერ, მე განათლებული ბაბილონი მენატრება. ბაბილონი განათლებული! ხომ წარმოგიდგენია, ებერ! ბაბილონს სწვლა-განათლება აღამაღლებს... გააძლიერებს და განავრცობს!

– ნიმროდ! ასე იყო შუმერთა ქვეყანაშიც... – ებერი ჩაფიქრდა: – ვიფიქრებ ამაზე და ამ მოკლე ხანში კიდეც წარმოგიდგენ საყოველთაო სწავლების გაუმჯობესების გეგმას.

– მაგრამ თანამდებობიდან გათავისუფლების სურვილი ვგონებ მაინც არ გაგნელებია. ებერ, შენ რაღაც გაწუხებს. იქნებ გამანდო შენი სატკივარი, ჩვენ ხომ უცხონიც არა ვართ ერთი მეორისთვის? ებერ, მე შემიძლია დაგეხმარო!

– კარგი... ნიმროდ, არ ახალია თქვენთვისაც, რომ ჩვენი დამწერლობა ქალდეადან მოდის... ჩვენ ხომ ქალდეველები ვართ. მაგრამ ჩვენნაირი დამწერლობა აქვთ ჩრდილოეთშიც, ადგილობრივ ტომებს, თარგამოსმა მათი გაერთიანება შეძლო და დღეს: ქარდუხების ქვეყანაა, რომ ხარობს ჩრდილოეთში. იქაც ჩვენს ენაზე ლაპარაკობენ. ჩვენ და ქარდუხნიც აღმავლობის ხანაში ვართ. შუმერებმაც ქალდეველებისგან ისესხეს, გადაიღეს დამწერლობა და მათ და სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განავითარეს კიდეც, მაგრამ ისიც დასახვეწია, რასაც ჰქვია ასომთავრული! დასახვეწია-მეთქი და სწორედ ესაა ჩემი სიცოცხლის არსიც! და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეცით იმის უფლება, ვაკეთო მხოლოდ ის, რაც უპირველესად მიმაჩნია! – ებერმა თვალი დახუჭა და ფიქრმაც ჩაიხვია: „სანამ დადებით პასუხს არ მივიღებ ნიმროდისგან, თვალს არ ავახელო!“

– ებერ, მე მესმის შენი... თვალი აახილე და პირდაპირ შემხედე თვალებში: – ჩემი დახმარების იმედი გქონდეს! მეც შენებრ ვფიქრობ, ენმერქარიცა და მისი წინასწარმეტყველი ძმაც შენებრ ფიქრობდნენ... დიდი ლუგალი იყო ენმერქარი! დასახვეწია ჩვენი ასომთავრული. და მესმის, რომ ამას ერთ დღეშიც არ მოევლება. გითმობ იმ ჩვენს ახალ სამლოცველოს, ელამელმა მშენებლებმა რომ ააგეს. ქურუმები შენს განკარგულებაში იქნებიან. შეარჩიე მათგან შენი შეხედულებისამებრ რამდენი ქურუმიც გინდა და დაასაქმე! შენც და მეც ბაბილონისა და ბაბილონელთა მსახურები ვართ და უნდა ვიღვწოდეთ მათ და საკეთილდღეოდ! სკოლა და განათლება: შენ შეუცვლელი ხარ, ებერ ამ დარგში. მე მინდა საკუთარ თავსაც შევახსენო, რომ თუკი მაქვს უფლებები, უნდა მქონდეს მაშინ მოვალეობებიც! და ასე უნდა ფიქრობდეს დღეს ყოველი კაცი! ჰო: განათლებული ქვეყანა ძლიერია, ძალმოსილი! ბაბილონი მარტო ჩემი კი არა, ბაბილონელი ხალხისაცაა! მეამაყება, რომ ქალდეველი ვარ! მართლაც „რა განძი გვქონია“ და არ ვაცნობიერებდით ამას. ჩვენი ძირი ქალდეაშია საძიებელი და კიდევ იქ კოლხასა და ქარდუხშიც გვყოლია მონათესავე ტომები: აქეთ ჩვენ ვიქმნით მომავალს, იქით ისინი ქმნიან! ამაზეა საფიქრალი და საძიებელიც ესაა! მე და შენ, როცა იქნება, ჩავალთ კოლხაში, ქარდუხეთში და...

– იქ თარგამოსია ყოვლის გამგებელი და გადმოცემით ვიცი, რომ შვილებიც ჰყოლია, არ ვიცი რამდენი, მაგრამ მეომარია ყველა!

– ებერ, შენ დიდ საქმეთათვის ხარ მოწოდებული და მოვალეობებს ვერც გაექცევი!

– მაგრამ მე ამდენის შემძლეც რომ ვერ ვარ?!

– ვიცი, რისი შემძლეც ხარ შენ, ებერ... ხვალ კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე მოგვიწევს მე და შენ საუბარი. ნიბირუ მაქვს მხედველობაში. ვერ დავიჯერებ არაფერი გსმენოდეს ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირუზე. იგი ნისანის 1-დან შვიდ რიცხვამდე ნამდვილად ვიცი, მოგვიახლოვდება, რომ მისი შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება დანახვა. იცი ისიც, რომ ენმერქარის დროში ვიყავი, ვიყავი თვითონ ენმერქართან და მისმა ტყუპისცალმა, დიდმა წინასწარმეტყველმა (მას ისტორიაში ველარ შეხვდება ჩვენი შთამომავლობა), მისახსოვრა სასწაულმოქმედი, თვითნაკეთი ჭოგრიტი. ხვალ მზის ჩასვლის შემდეგ ჩემს კოშკში გელოდები;

– ნიმროდ... – გაოცებული შეჰყურებს ებერი, სემის შვილთაშვილი, ნიმროდს, ქამის შვილიშვილს, დიდ მონადირეს წინაშე უფლისა ღვთისას, – დათქმულ დროს შენს კოშკში ვიქნები, მზის ჩასვლის შემდეგ.

– და კიდევ, ებერ, ქალდეაზეც ვისაუბრებთ, ქალდეველებზე. ნიმროდმა ყველაფერი უნდა იცოდეს ქალდეასა და ქალდეველებზე! ხოლო ჩემი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ ვიმსჯელებთ იმ ისტორიაზე, რომლის შემოქმედი შენ უნდა იყო, ებერი – ქალდეისა და ქალდეველების მემატიანე! შენ, ებერ, დიდი მისია გეკისრება – ქალდეის გაცოცხლება! შენც ისეთივე ქალდეველი ხარ, როგორც მე – ნიმროდი! შენ ამას შეძლებ! შენზე ვამყარებ მთელ იმედებს და როგორ ფიქრობ: ყოველივე ამის შემდეგ მართალი იქნება ებერი, თუკი განუდგა ნიმროდს?! ვერა, ვერ გაგათავისუფლებ ებერ ნიმროდისგან, ეს იგივეა, ბაბილონისგანო, რომ მეთქვა. ჩვენ განვანათლებთ ბაბილონს! რამეთუ განათლებული გაუკვდავებულს ნიშნავს! ებერ, ავამაღლოთ ბაბილონი ისე, რომ ვერასოდეს დაეცეს, წარსულიც, თუკი გაიგონებ, ასე მოგვძახის: „იყო დიდი შუმერთა ქვეყანა“ და დღეს აღარაა! შუმერს იქითაც იქნებოდნენ წარმატებული ქვეყნები, მაგრამ მათზე არაფერი მოგვეხსენება, მემატიანე დუმს! ისინი ცხოვრობდნენ, ქმნიდნენ, მაგრამ... ასე ინება ზენაარმა! მე კი იმიტომაც მომავლინეს, რომ შენი გონიერების წყალობით უკვდავებას ვაზიარო ბაბილონი! ჩვენ ბაბილონელები ქალდეადან მოვდივართ (ქალდეველები ვართ ჩვენ) და ბაბილონმა რომ იცოცხლოს, ჯერ გასაცოცხლებელია ქალდეა – ბაბილონის ქალდეა! ამიტომ: ჯერ ქალდეის ისტორიის შექმნას გავალებ, მერე კი, აუცილებლად მიმაჩნია შუმერთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის ისტორიის დაწერაც. მე ყველანაირად შეგიწყობ ხელს! ამიტომ: ჯერ სკოლას მიმიხედე, ებერ! შენვე უნდა ივალდებულო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ მეცნიერებასაც შენ უნდა ჩაუყარო საფუძველი! გახსოვდეს, ებერ: ჩვენ, მეც და შენც ნოედან მოვდივართ! ბაბილონში, ერიდუს მოედანზე, ევფრატის წყლის სიახლოვეს, ნოეს ძეგლი უნდა დაიდგას! იფიქრე, ებერ! – უკიჟინებდა ებერს ნიმროდი.

ებერმა წამოდგომა სცადა, მაგრამ აღარ წამომდგარა: – მართლა დიდ მისიას მაკისრებ, ნიმროდ! მეეჭვება ამდენის შემძლე ვიყო.

ბოლო სიტყვებიღა მოხვდა ნიმროდის ყურს და ზურგიც ამიტომ უჩვენა აბეზარ ფიქრებს: – ასეა, ებერ! მეგონა, რომ ერთი კაცი ვიყავი მხოლოდ, მაგრამ ერთ კაცში როგორ ჩავეტეოდი?! იფიქრე, ებერ! არ ვიცი, მაგრამ გენდობი რატომღაც და იმედი არ გამიცრუო, გთხოვ, კი არ გიბრძანებ...

ებერსაც აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ეს იყო, თვალი გაუსწორა ნიმროდს და ჩაფიქრებულმა დატოვა ნიმროდის ფიქრის ოთახი.

* * *

ნიმროდი და ებერი...

ორივე დუმს. ნიმროდი უყურებს ებერს, ებერი კი ფიქრობს ნიმროდზე. ვერაფერი გაუგია მისი.

– ებერ, მე არაფერს გავალებ, შენ უნდა ივალდებულო! დამეხმარე, რომ სრულვყოთ ბაბილონი, რომ არასოდეს გაქრეს, ისტორიამ ველარ ჩამოწეროს!

ებერი ისევ ფიქრობს ნიმროდზე. მაგრამ არც ერთი მისი სიტყვა არ გამორჩება.

– შეგიძლია, ებერ, ისე მოიქცე, როგორც შენ მიიჩნევ საჭიროდ. მაგრამ გთხოვ, გააცნობიერო, ვინ ხარ და რისთვის ხარ მოწოდებული. მე, ებერ, ძლიერი, უკვდავი ბაბილონი მინდა გვყავდეს მე და შენ, ბაბილონელებს. ბაბილონი ჩვენი საფიცარი სამშობლოა, ცოცხალი არსებაა ბაბილონიც, ჩვენსავით. იგი დიადი სულია! ქვეყანა კი უწარსულოდ დიდხანს ვერ გაძლებს. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადისობა რომ მოიპოვოს ქვეყანამ და ერი მისი უკვდავებას ეზიაროს, უნდა აცნობიერებდეს, თავის მეობას, აცნობიერებდეს სრულად, ჩაწვდეს თავის სულს, მაგრამ იმ სულს როგორღა ჩაწვდეს, თუკი არ იცის, საიდან მოდის? მხოლოდ ასე თუ გადავა წარსულიდან მომავალში. არა და ჩარჩება აწმყოში და ეს რომ არ მოხდეს.... ჰო, წარსულის გაცნობიერებაა საჭირო! უამისოდ მომავლის საიდუმლოებით მოცული კარი ვერ შეიღება. ვეღარ გადააბიჯებ აწმყოს ზღურბლს! დავიფერფლებით, მაგრამ ფენიქსივით ვეღარ აღვდგებით. და რა მოგველის? დროის მიერ ჩაწიხლული ქვეყნების შუმერებისა და წინარე ქვეყნების ბედი!

– ქალდეა, ქალდეველები.... ქალდეველები განიყოფოდნენ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ხალხად: შუმერებად და ქალდებად. შუმერებზე მოგვიანებით მოსული ქალდეველები მიიჩნევიან ჩვენს წინაპრებად, რადგან მათი ენა ნოეს მოდგმის ენათა ჯგუფს განეკუთვნება.

– ებერ, მე წამიკითხავს ძველი ფირფიტები და ვფიქრობ, რომ ისინი შუმერების და შუმერების წინარე ხალხთა შექმნილია.

– ეს დამწერლობა ქალდეიდან ვრცელდებოდა და თუ დრომ არ დაგვინდო და არ გადაგვიარა, იგი მთელი შუამდინარეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების დამწერლობად უნდა იქცეს. და თუ არ ვცდები, შუმერებს ერიდუელები უსწრებდნენ წინ, დიდი კულტურის შემქმნელი ხალხი. შუმერულისა არაფერი სცხიათ ქალაქებს: ურს, ქიშს, ნიფურსა და ადაბს... ეს სახელები წინაშუმერული დროისაა და იცი კიდევ, სად გვხვდება ეს სახელები: შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაში. მას „კარდუს“ უწოდებდნენ ჩვენი წინაპრები და იგივეა, რაც „კარდუ-ქარდუ“. „ქარდუ“ კი „ქალდეაა“. „კარდუხი“ კი – „ქარდუხს“ უნდა ნიშნავდეს. ეს „კარდუ“ ანუ „ქარდუ“ ქალდეაა... ეს წინარე შუმერები აღირივნენ შუმერებში, შუმერულს შეერია იმათი ენაც. სწორედ ისინი უნდა იყვნენ შუმერებთან ერთად „კარდუხთა“ იგივე „ქარდუხთა“ უძველესი წინაპრები.... და როგორც ცნობილია, როცა დაცხრა წარღვნის წყალი, ნოეს კიდობანი სადღაც არარატის მთას მიადგა. თვითონ ნოე თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ვაჟიშვილით: სემით, იაფეტით და ქამით (სემიდგან მე მოვდი-ვარ, თარგამოსი – იაფეტიდან და ქამისგან – ნიმროდი) და მათი ცოლ-შვილით დიდხანს რჩება ამ მხარეში. ნოეს გარდაცვალების შემდეგ სემის შვილმა არფაქსადმა პირველმა დატოვა არარატის მხარე და დაბრუნდა იმ ქვეყანაში, სადაც წარღვნამდე ცხოვ-რობდნენ მისი წინაპრები და დასახლდა ქალდეაში. არფაქსადს სემის ორივე ძმამაც მიბაძა. ისინიც მთელი თავისი მოდგმით გადმოსახლებულან ქალდეაში.

მაგრამ აღარ იყო ნოე და აირია ყველაფერი. გული მიგრძნობ-და, რომ მიგვაკლდებოდა მართალი სიტყვა: სემიტებიც, იაფე-ტიანებიც და ქამიტებიც ზურგს შეაქცევდნენ ჭეშმარიტებას და უკეთურობის გზას დაადგებოდნენ. მაშინ იყო, რომ დავცილდით ერთმანეთს მე და შენ. მაგრამ მე არსადაც არ წავსულვარ, დავრ-ჩი ჩემს საბრძანებელში და წინ აღვუდექი ჩემსავ მოდგმას. მოვახ-ერხე სემიტების რჯულზე მოქცევა და...

– მაშინ გეწოდა მართალი ებერი!

– შენ კი ხმალი იშიშვლე, დაიმორჩილე შენი ხალხი და დღეს ბაბილონის მეფეთ-მეფე ხარ და ქურუმთ-ქურუმიც, უზენაესი მსაჯული! დღეს შენზეა დამოკიდებული ბაბილონისა და ბაბი-ლონელი ხალხების ბედი. შენ ბედისწერას წერ, ნიმროდ! და სანამ მართალ საქმეს ემსახურები, მეც შენთან მიგულვე – შენთან ვარ მართალი ებერი! ბაბილონი და ბიბილონელები ჭეშმარიტებას მსახურებდნენ უნდა! ასე რომ არა, დაიღუპება და წარსულს ჩაბ-არდება ნოეს მრავალრიცხოვანი მოდგმაც...

– და შენ, მართალი ებერი ჩემს გვერდით ყოფნას ამჯობინებ! ეს ასეც უნდა ყოფილიყო! ახლა ენაზეც, ებერ!

– ჩვენი ენა ცეცხლსა და წყალში იწრთობოდა როგორც ყოვლისმჭრელი მახვილი! იგი საკაცობრიო ენაა და ენასა ამას „ქარდუხნიც“ ხვეწენ და აწრთობენ. ენაც, რაც უფრო იწრთო-ბა, მაღლდება. ღმერთიც ხომ დედამიწაზე ჩამოვა ერთხელ და ამ ჩვენს ენაზე დაელაპარაკება ადამიანებს. ეს ენა კი ქალდეაში აღმოცენდა. ჩვენ ქალდეველები ვართ და უნდა გვეამაყებოდეს ჩვენი ქალდეველობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ქალდეა-ერიდუ-ბაბილონი! – ამოთქვა ნიმროდმაც და თვალებში ჩახედა ებერს. ნიმროდის მზერამ ჟრუანტელი მოჰგვარა ებერს, თითქოს შემოჰკრესო ზარებს მის სულში და თვითონაც დიდი ზარივით აგუგუნდა, როგორც იქნა, დამშვიდდა და განაგრძო:

– სწორედ ჩვენს ენაშია ჩასაიდუმლოებული ჩვენი ხალხის, ერის წმინდა, მაგრამ იდუმალი შეხედულებები თუ მოსაზრებები სამყაროზე, ბუნებასა თუ სხვა საგნებზე და: ხალხებზეც. განსაკუთრებით: ეს ნიშან-თვისებებია (წმინდა თუ იდუმალი) ენის თავისებურება და ბედისწერას აღნიშნავს, ვინ არის იგი, რას წარმოადგენს? შემდეგ და შემდეგ, ათასწლეულების შემდგომ შეიძლება თქვას ადამიანმა: „ენაში (მთვლემარე) არსებული ნიშან-თვისებები ერის თავისთავადობას იცავენ, ინახავენ“-ო.

გაკვირვებულ ნიმროდს თვალი ვერ მოუცილებია ებერისთვის და გაჰკენწლავს: „ესეც ხომ იმ შუმერელი (უსახელო) წინასწარმეტყველივით ფიქრობს და აზროვნებს?!“

– მოვრჩი... – თავისუფლად ამოისუნთქა ებერმა. – ვთქვი, რაც კი ვიცოდი ქალდეველებზე...

– ებერ, ყოველმა ბაბილონელმა უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია. წარსულდაკარგულ ერს მომავალი ვერ ექნება. მეც ვფიქრობ ბაბილონზე. ბაბილონს აქვს თავისი აწმყო, მაგრამ ჩვენ ხომ წარსულიდან მოვდივართ – ქალდეადან?! ქურუმები, უკვე გითხარი, შენს განკარგულებაში იქნებიან. ხომ ხვდები, რასაც მოვითხოვ მე მართალი ებერისგან?! დამიმტკიცე, რომ მართალი ებერი ხარ! ვიფიქრე და: გათავისუფლებ ყოველგვარი მოვალეობისგან. ჰო, შენ იმისთვისაც გამოჩნდი ბაბილონში, რომ ჩაგვახედო მის წარსულში, სრულად გაიაზრო მისი აწმყო და შეიჭვრიტო მომავალშიც! ეს კი ბაბილონის ისტორიაა... ხვალ სამხედრო საბჭოზეც მინდა გიხილო! მაგრამ ნიბირუზე რატომ არაფერს მეტყვის ებერი?! – ფიქრმა დაბორკა ნიმროდი. – ნიბირუ... – ებერიც წაიღო ფიქრმა: – ვგონებ გვიახლოვდებოდეს...

„ჩემი ჭოგრიტი, იმ უსახელო წინასწარმეტყველმა რომ მისახსოვრა...“ აქ ნიმროდმა სამი წერტილი დაუსვა ფიქრს და თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს ეუბნებოდესო თითქოს: „თავისუფალი ხარ დღეს, შეიძლება ხვალაც, მაგრამ მერე? ვინ იცის...“ – თვალი მიადევნა ჩანაცრისფერებულ ზეცას: „დროა შეივსოს მთვარე და სრულიყოს!“

ებერი გადის ნიმროდის საბრძანებლიდან. გაოგნებულია: როგორღაც დაცლილი, სულგამოცარიელებული, თითქოს და განახევრებული: „მე დავიცალე და შეივსო ნიმროდი...“ – ფეხი აერია და: – და კიდევ რა უნდა მეთქვა და გადამავიწყდა, თუ აღარ ვთქვი?! ის.... ქალდეური დიდი ლიტერატურა არ დანთქმულა წარსულის არარაობაში. გადარჩენილია ყველაზე დიდი თხზულება – ქალდეური ენა! არც ქალდეველები გადაშენებულან, გაბნეულან მთელ შუამდინარეთში. ბაბილონელებში გვხვდებიან წმინდა სისხლის ქალდეველები. მონათესავენიც ხომ გვყვანან ჩრდილოეთში „კოლხურ-მესხური ტომები...“ დამწერლობაც ერთი გვქონია და ენაც! ქალდეველობა უნდა გვეამაყებოდეს! მე დავწერ ქალდეასა და ქალდეველების ისტორიას....“ – მიდიოდა ებერი და ფეხს აღარ აკარებდა მიწას; თითქოს ებერიც (აღარ იყო) და აღარც მიწა იყო მაშინდელი, ჩვეულებრივი. სადაცაა მართლა ააწყდებოდა მიწას, გათავისუფლდებოდა ყოველივე მიწიერისგან და აფრინდებოდა, აისრულებდა იმ ბავშვურ ოცნებას, ასე რომ მინელებოდა ამ ბოლო ხანებში. მიდიოდა და სული მიუსწრებდა წინ: – მაგრამ ცად ამაღლებამდე...“ – აღარ ინდომა ფიქრის დასრულება....

* * *

უნდა გაავდრებულიყო...

მზის ჩასვლის დრო იყო, მაგრამ იქამდე დრო იყო მაინც. მზე ღრუბლებს ამოფარებოდა და ისეთი შეგრძნება გიჩნდებოდათ, თითქოს თავის გუნებაზეც ვერ ყოფილიყო მზე; იყო, მაგრამ: ვეღარდღეგრძელი თითქოს.

...სამხედრო საბჭო იშთარის დიდ დარბაზში შეკრებილიყო: მარცხნივ: პირველი რიგი ჩვიდმეტ სკამ-სავარძელს ითვლიდა. ამ რიგის მარჯვნივ, ჩვიდმეტივე სკამ-სავარძელი უკვე შეევსოთ. ისხდნენ მდუმარედ. სამხედროებიც თითქოს ასევე ეჯიბრებოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენო ერთმანეთს დუმილში.

მესამე რიგი (ოცდაცამეტი სკამ-სავარძელი) ბაბილონის რჩეული ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი: არც ერთი თავისუფალი ადგილი!

ტაძრის აღმოსავლეთ კუთხეში – ორი სკამ-სავარძელი; ერთი – მხარმარცხნივ ებერს დაეკავებინა, მეორე – თამუზს, ნიმროდის უფროს ვაჟს, ჩვიდმეტი ამ ერთი თვის წინ რომ შესრულებოდა. იგი პირველად ესწრებოდა სამხედრო საბჭოს.

და ამ დიდი საკრებულოს წინ, ამაღლებულზე ოქროს ტახტი იდგა. ზედ ძალიან მაღალი სავარძელი – ნიმროდის საფერი.

და მოელოდა ეს სავარძელი თავის პატრონს – მეფეთ-მეფესა და ქურუმთ-ქურუმს.

ნიმროდი იგვიანებდა. იქნებ განგებაც. როგორც იქნა, გამოჩნდა. ნიმროდის აზრით, ეს სწორედ ის დრო უნდა ყოფილიყო, როცა სულ აღარაფერიც აკლდა მზის ჩასვლას: „მზე წამით-წამზე ამოეფარება მზის მთას...“ – გაიფიქრა და ჩაჯდა თავის მეფურ სავარძელში. იჯდა გაუნძრევლად და თვალს არ აცილებდა დარბაზს, მის მონუსხვას თუ ფიქრობდა. უცებ ზეწამოიჭრა და ბრძანა: – დღეის შემდეგაც აწ და ყოველთვის, სანამ საჭიროდ ჩავთვლი, ჩემი ტახტის მხარმარჯვნივ თამუზი დაიკავებს ადგილს, ვაჟი ჩემი და მემკვიდრე, თამუზის გვერდით კი მინდა ებერს ვხედავდე! – ჩაეშვა სავარძელში, მაგრამ მალევე წამოდგა: თვალი მოავლო დარბაზს და გაირინდა, სუნთქვაც შეიკრა და შეაცივა დარბაზს.

ახლა ზლაზვნით ჩაჯდა სავარძელში და მარჯვენა ხელი ასწია მაღლა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ბაბილონის ერთიანი ჯარის სარდალს ქვეყანაში (და მის გარეთაც) მიმდინარე მოვლენების შესახებ უნდა ეცნობებინა დარბაზისთვის.

– ელამის ქვეყანამ ხარკი შეგვიწყვიტა. ესეც არ იკმარა და სასაზღვრო ჯარების მეცადინეობა-სწავლება გამოაცხადა. და ეს ხდება ჩვენს საზღვრებთან. ჩვენი მფრინავი ათასეულები მზად არიან ელამის დასალაშქრავად!

ნიმროდმა ახლა მარცხენა ხელი აიქნია მაღლა და იქითკენ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნდა, ქურუმთა დასი რომ ეგულებოდა: – ქურუმთა უფროსის თვალმა რაღა იხილა? – უკვე შერბილებულად იკითხა და ქურუმთა უფროსიც თავჩაქინრდული იტყვის: – თუ ბაბილონის... სრულიად ბაბილონის მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი ნებას დამრთავს, მოგახსენებთ ჩემს აზრს: – ელამის დალაშქვრა სარდლისგან განსხვავებით აუცილებლად არ მიმაჩნია.

ნიმროდს ხელი არ დაუშვია ძირს და ქურუმთა უფროსმაც ხველებ-ხველებით განაგრძო: – მოსაცდელში ელამელი მაცნე იცდის და ხომ არ მოგვეხმო?

ნიმროდმა ძირს დაუშვა ხელი, მაგრამ გადაიფიქრა და ამჯერად ორივე ხელი აღმართა მაღლა. მსახურიც ამ ნიშანს ელოდაო თითქოს, ერთი კი შეხტა ადგილზე და დარბაზიდან გავარდა.

მაცნეც თავდახრილი ეახლა ნიმროდს და მუხლებზე დაეშვა.

– ილაპარაკე! – ბრძანა ნიმროდმა, მაგრამ აღარ მიუნიშნებია მისთვის, რომ წამომდგარიყო.

– ჩემი მბრძანებელი გაუწყებთ, რომ... – ენა დაება მაცნეს და ნათქვამის გამოსწორება სცადა.

– გისმენ, ელამელო! დარბაზი გისმენს. თქვი რის გადმოცემაც დაგევალა! – ნიმროდმა მხოლოდ ახლა დაუშვა ხელები ძირს, მაგრამ აუელვარდა თავისი საცრისოდენა თვალები, რაც კარგს არაფერს მოასწავებდა.

ელამელმა მაცნემ სულში ჩაიკლა შიში და განაგრძო: – ჩემი მბრძანებელი სინანულს გამოთქვამს, რომ გაწყენინათ....

– მხოლოდ მაწყენინა?! – იფეთქა ნიმროდმა, მაგრამ არ წამომდგარა, – კარგი, განაგრძე!

– მაგრამ ხარკის გადახდის ვადის გადაწევას ითხოვს ერთი თვით... – ქვეშ-ქვეშ ახედა ნიმროდს, მაგრამ იგი კიდევ უფრო მშვიდად გადმოჰყურებდა და ამან გააკვირვა.

– რატომ არ განაგრძობ? – ხმას აუწია ნიმროდმა და თვალი აარიდა მაცნეს.

– მხოლოდ ერთი თვით, დიდო მბრძანებელო... მეფეთ-მეფევ და...

– განაგრძე, – მთლად დამშვიდებულიყო ნიმროდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– და თუკი ამ ახალ ხელშეკრულებას (თიხის დაფა გადაეცა ნიმროდს) გაგებით მოეკიდება მბრძანებელი, იმ ერთი თვის შემდეგ დამატებით გამოგეგზავნებათ 1000 სული მსხვილფეხა პირუტყვი, ორი ათასხუთასი ფრთა მოშინაურებული ფრინველი, ორმოცი წმინდა სისხლის ბედაური, ოცდახუთი ათასი სული ცხვარი, ამდენივე თხა და... ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალ-მარგალიტი.

– ჰოდა, შენს ცბიერ მბრძანებელს გადაეცი, რომ მიპატიებია ელამელებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ ხვდები რასაც ნიშნავს ჩემი „წინააღმდეგ შემთხვევაში," მაგრამ მაინც გეტყვი, მიწასთან გავასწორებ ელამს! აღვგვი პირისგან მიწისა, რომ ბალახმაც ვეღარ გაბედოს თავის წამოყოფა! – ამღელვარებულიყო ნიმროდი, სიბრაზისგან ლამის გადმოცვენოდა საცრისოდენა თვალები, მაგრამ ასევე მსწრაფლ დაშოშმინდა, – დაე, მშვიდობა სუფევდეს ჩვენს შორის და თქვენ დაუძინებელ მტერსაც, მარის ქვეყანასაც მივხედავთ! გიგზავნით ელამში ჩვენს ელჩს და ველი თქვენს ელჩსაც ბაბილონში! ამიერიდან ელამის ქვეყანას ჩემი მფარველობის ქვეშ არაფერი გაუჭირდეს! – თქვა და ებერისკენ მიბრუნდა: ებერთან ერთად თამუზიც წამოდგა. თამუზი მთელი თავით მაღალი იყო ებერზე, თუმცა დაბალი ებერსაც როდი ეთქმოდა?

– ელჩის საქმეს შენ გადმოგაბარებ და თამუზიც ჩაახედე და გაარკვიე ყველაფერში! – ბრძანა და დღევანდელი საბჭოს შეკრება დახურულად გამოაცხადა. – ებერ, სასახლეში გელი. ომი გაურკვეველი ვადით გადაიდო. ჩვენც გვჭირდება ამოსუნთქვა! დაე, სული მოითქვას ბაბილონმა!

ამდღევანდელი დღის შედეგით მხოლოდ სამხედროები იყვნენ უკმაყოფილონი: ომს მოწყურებულთ კოვზი ნაცარში ჩავარდნოდათ. აბა, ნიმროდის საწინააღმდეგოდ ვინ რას იტყოდა?!

– თქვენ დიდი ნდობა გამომიცხადეთ, როცა თამუზის, თქვენი მემკვიდრის აღზრდა დამავალეთ. ეს დიდი პატივია ჩემთვის. ებერი მადლობელია.

– მართალი ებერი! – გაიღიმა ნიმროდმა: – კოშკში მომაკითხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშუადღევს! კოშკის კარი ნაშუადღევს გაგეღება, – ნიმროდმა თითქოს ფიქრს მოუხმოო, მაგრამ არა, უკანვე გაიხმო ფიქრი და თვალებში ჩახედა ებერს: – ჩემს მემკვიდრეს ღირსეული მასწავლებელი ჭირდება... კოშკში გიცდი!

* * *

– გისმენ, ებერ! – ვეება ხელები მუხლებზე დაიწყო ნიმროდმა და ებერს მიაჩერდა.

– ადრეც გვილაპარაკია, მაგრამ ჩემს მაშინდელ მოსაზრებებში გარკვეული ცვლილებები მინდა შევიტანო: მთავარი და მთავარი: ჩვენ – არიან-ქართლით გამოსული ხალხი სულაც არ ვართ პირველნი, ვისაც პირველებს დაუწყიათ ე.წ. ისტორია... ჩვენ იმ ხალხის მოდგმისანი ვართ, რომლებიც ახლა ჩვენგან შორს, ჩრდილოეთით მკვიდრობენ და იღვწიან. მთი სამკვიდრებელიც სწორედ ძველი ქალდეაა! ჰო, ქალდეა! ისინიც – ქალდეველები და ქალდეველები – ჩვენც! ის ქვეყანა, ის ჩრდილოეთი პარხარის მთიდან იწყება (პარიადრეს მთიანეთიდან უფრო), მდინარე კელკიტჩაის შესართავიდან ღალისამდე და დასავლეთ ევფრატამდე...

– ჩვენზე დიდი ქვეყანა?! – გაკვირვება არც დაუფარავს ნიმროდს, მაგრამ უცებ შეიცვალა სახე.

„ვინ იცის, რა ჩაიფიქრა?!“ – შეცბა ებერი.

– განაგრძე, ებერ!

– ჰო.... ქალდეა დიდი არიან-ქართლის ნაწილი უნდა იყოს, მაგრამ არ ვამტკიცებ. ეს ვარაუდია მხოლოდ.... „ქალდეა“ შესაძლებელია იმ, ჩრდილოეთში მდებარე „კოლხას“ ძველი სახელწოდება იყოს... ასე რომ, ჩრდილოეთში, საიდუმლოებით მოცულ ქვეყანა-სამყაროში, ჩვენი მონათესავე ხალხები ცხოვრობენ... და დამწერლობაც ერთი უნდა გვქონდეს... უძველესია ეს დამწერლობა, უფრო შორს, წარსულში ვერავის შეუხედავს. დიახ, ერთი ენა და დამწერლობა მაფიქრებინებს, რომ იგი სადღაც ერთ ადგილზე უნდა შექმნილიყო და ღვთაებრივიც უნდა იყოს თავისი არსით. ვფიქრობ: შუამდინარეთის სხვა ხალხებიც, გადაიღებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დამწერლობას და დროთა განმავლობაში ჩვენს ენაზეც ალაპარაკდებოდნენ.

– ეს ადგილი, ებერ?!

– ჩემი აზრით ნიფური უნდა ყოფილიყო, მართლაც ღვთაებრივი ადგილი, ღმერთის მიერ კუთრხეული.

– მაგრამ... სწორედ ნიფურში იყო ენლილის დიდი ტაძარი, რომელსაც შავთავიანები – შუმერები სცემდნენ თაყვანს?! გამოდის: ნიფური სახელმწიფომდელი შუმერის რელიგიური ადგილია?! საოცარია! შუმერებმა შექმნეს მეფეთა სია. ზოგი მეფე უმაღლეს ქურუმადაც იწოდებოდა. დიდი ქურუმი იყო ენმერქარი, გილგამეშიც დიდი ქურუმი იყო... ისინი ვარსკვლავთმრიცხველებიც იყვნენ. თიხის ფირფიტებზე შემონახულია თქმულებები ამ უდიდეს ლუგალებზე, ეს თქვენც მოგეხსენებათ და თქვენ ხომ....

– ვიცი, ვიცი, ებერ... ისევ ქალდეველებზე: თუკი ცნობილია რამ?

– ქალდეველი თითქმის იგივეა, რაც ქურუმი. ისინი ოდითგანვე წარმართავდნენ თავიანთი ქვეყნის ბედს... და თაობიდან თაობას გადასცემდნენ ვარსკვლავთმრიცხველობის მეცნიერებას. ასე რომ: ვამბობთ ვარსკვლავთმრიცხველს და უნდა წარმოვიდგინოთ ქალდეველი – ჯადოქარი ყოვლისმჭვრეტელი, იგი ამავდროულად ფილოსოფოსი ქურუმია – ბრძენი. ქალდეა და ქალდეველი ბაბილონის კულტურაა. ქალდეველები სემიტურ-არამეული მოდგმის ხალხია.... – აქ ენაზე იკბინა ებერმა, ამით იგი სემიტებს ქამიტებზე მაღლა აყენებდა და ნიმროდსაც, როგორც ქამის შთამომავალს, ებერის ამგვარი მტკიცებულება პირად შეურაცხყოფად უნდა მიეღო. ნიმროდმა თითქოს და არც გაუგონიაო, – განაგრძე, ებერო, მშვიდად თქვა.

ებერმაც აუღელვებლად განაგრძო: შენ ასევე: მეფეთ-მეფეც ხარ და ქურუმთ-ქურუმიც. და როგორც ყოველი ქურუმი, დიდი ვარსკვლავთმრიცხველიც ხარ! გესმის მიწათმოქმედება, მათემატიკა, ფლობ....

– არ გინდა, ებერ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ვთქვი, კოლხნი და ქარდუხნი ჩვენი მონათესავე ხალხებიაო, მაგრამ ის აღარ ვუწყი, ჩვენ მოვდივართ იმათგან, თუ ისინი – ჩვენგან.

– ჰოდა, გამოიკვლიე, ებერ! მათი ჯადოსნური ჩანაწერები დღესაც შეგიძლიათ ამოიკითხოთ თიხის ფირფიტებზე, შელოცვები ბოროტ სულთა წინააღმდეგ, ვარსკვლავთაშორისი გათვლები. ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ მზის წელიწადში 365 დღეა და კიდევ ერთი მეოთხედიც დღისა, წინასწარ ვჭვრეტთ მზის დაბნელებას, ვჭვრეტთ მომავალსაც, ციური მნათობების ადგილმდებარეობის მიხედვით გვეუწყება ომისა და მშვიდობის, ჟამიანობისა და გვალვიანობის, წყალდიდობის მოსალოდნელი დღეები. ხელისუფალთა ბედი თუ უბედობა, სნეულებანი განუკურნებელნი და ბოლოს: ჩვენ ყველანი ადამიდან მოვმდინარეობთ და მიკვირს, რომ დღემდე არც ერთ ხელისუფალს აზრადაც არ მოსვლია ადამის ძეგლი აღემართა....

– მაგრამ მე ანუნაკებზეც მსმენია....

– არსებობს სულ სხვა აზრიც, რომ ჩვენ ყველანი ნიბირუდან ვართ მოსული...

– და გაგვიტკბა აქაურობა?!

– სხვა საცხოვრისი არც გვიძებნია! მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ მიწის შვილები რამდენიმე კოსმიური არსის შეჯვარების შედეგად გავჩნდით და ჩვენშივე ჩასაიდუმლოებული გვაქვს ჩვენივე კოსმიური წარსული და უნდა გვქონდეს მომავალიც!

– აწმყო, ებერ?

– აწმყო გარდასავლელი ხიდია წარსულსა და მომავალს შორის...

– მე კი მგონია, რომ ქალდეველები ბელი-მარდუქის ქურუმები ვართ. ქალდეველები ვამბობთ: მიწიერი მოვლენები ციურ სხეულთა მოძრაობის ასახვაა.

– გავბედავ, რომ ქურუმთ-ქურუმის ნაცვლად უმაღლეს ქურუმად იწოდებოდეთ....

– ეს ბაბილონელი ხალხის გადასაწყვეტია... – ჩაფიქრდა ნიმროდი: – მართლაც, ებერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ეს ცნობა ხვალიდანვე ეცნობება ყველგან, მთელ ბაბილონში....

– ჰო, ხალხს თუ ასე ნებავს...

– შენი ყურადღება მინდა მივაქციო, აი რას: ჯერ კიდევ შუმერში, ჩვენზე ადრე იცოდნენ ქალდეაში, ერიდუში: რომ რიცხვთა პირველ ათეულში, ყველაზე კეთილშობილი რიცხვებია „სამი“ და „შვიდი“. კვირაშიც ხომ შვიდი დღეა და ბაბილონისთვის მიწისქვეშა სამეფო გარშემორტყმულია შვიდი მაღალი გალავნით?! ქალდეური ვარსკვლავური ტაბულები ითვლიან მრავალ ათასწლოვან კოსმიურ დაკვირვებათა ჩანაწერებს, ამაზე თქვენც გსმენიათ და...

– მაგრამ, ვფიქრობ, შენს ამ ცოდნას ხელახლა გადამოწმებ-განახლება უნდა! მე სახელმძღვანელო მჭირდება ყველაფერ ამაზე... მაგრამ „ნიბირუ“, ებერ?!

– ჰო, ნიბირუ...

– მაგრამ, ნიბირუს, არსადაც არ მიეჩქარება და მოიცდის ხვალამდე. ებერ, ხვალ ნიბირუს დღე გამოვაცხადოთ ბაბილონში!

* * *

ებერი ნიმროდის კოშკის წინ იდგა და ნიბირუსა და ნიმროდზე ფიქრობდა: „მაინც რა ვიცი ნიბირუზე? თითქმის არაფერი! ნიმროდი ბევრის ცოდნას ითხოვს ჩემგან. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ნიმროდს ჩემზე მეტი ეცოდინება ნიბირუზე. ნიმროდი – დიდი ქურუმი! ვარსკვლავების ფიქრებსაც კითხულობს იქნებ... ეს სკოლა გავლილი აქვს ნიმროდს და ხომ არ მამოწმებს?! გავუცრუებ იმედს და ჩვარივით მომისვრის! ამიტომ: ფრთხილად, ებერ! ნიმროდი დიდი კითხვის ნიშანია! და აქამდე როგორ ამაღლდა?! „ნიბირუო...“ – ამაზე ფიქრობს და ათენ-აღამებს... მაინც საითკენ გაუწევია ნიმროდის ფიქრს? რას აპირებს? დროც გაარღვია! დროში მოგზაურობა შეძლო! იქნებ სივრცეში სხეულებრივი გადაადგილებაც ძალუძს?!“ – და არა მარტო ფიქრობს ებერი, ფიქრის ფრთები გამოუსხამს, მიცურავს სივრცეში და ველარც კი შეუმჩნევია, რომ კოშკშია უკვე, ნიმროდის წინ და ფიქრებიდან ვერ დაუღწევია თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ებერ! აღარ დაბრუნდები იქიდან? – გაიგონა ებერმა, – დაბრუნდი, ნიმროდი გიხმობს!

– ჰო, ნიბირუ... – ძლივს გამოერკვა ებერი: – ნიბირუ? ციური სხეულია და განსაკუთრებულიც! ნიბირუზე პირველ ცნობებს ისევ შუმერებს უნდა ვუმადლოდეთ... მათი გადმოცემით ნიბირუელებს პირველად ას ორმოცდაათი ათასი წლის წინათ დაუდგამთ ფეხი ჩვენს მიწაზე. ისინი ცნობილნი არიან, როგორც ანუნაკები, იგივ ღმერთები და შეუქმნიათ ადამიანი. თვითონ ნიბირუ დედამიწაზე ორჯერ დიდი უნდა იყოს და ყოველ სამი ათას ექვსას წელიწადში ერთხელ ისე უახლოვდება ჩვენს მიწას, რომ მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება (აქ ფიქრიც მოაწყდა: „ნიბირუზე ხომ არ აპირებსო?! ნიმროდისგან ყველაფერია მოსალოდნელი! და რაზედაც მე ვლაპარაკობ, მისთვისაც ხომ ცნობილია?!)

წაიკითხა ნიმროდმა ებერის დაფარული ფიქრი და თვითონაც ჩაფიქრდა:

„ჰო, ვფიქრობ მე ნიბირუზე გამგზავრებას. მე ხომ: შუმერშიც ვყოფილვარ, მომიხილავს წარსული. ვიყავი ენმერქარის დროში.“

„ეს ჭოგრიტიც შუმერიდან წამოუღია... იქნებ მიბრძანოს, რადაც უნდა დამიჯდეს, გამოვითვალო ნიბირუს მოახლოების დრო...“ – თვალი გააპარა მთვლემარე ნიმროდისკენ: „ვინ უწყის, სადაა ახლა და როდის დაბრუნდება?!“

– უკვე დავბრუნდი, ებერ, გისმენ! რაზე შევჩერდით?

კარგად ესმოდა ნიმროდის ებერს და ყველაზე მეტად ის არ უნდოდა, რომ დაპატარავებულიყო მის თვალში: – რაზე შევჩერდით?

– ებერ, ნიბირუზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ვაპირებ.... დროზე ვფიქრობდი, ჩვენ ხომ დროში ვართ ჩართული, მაგრამ შევიგრძნობთ კი ამ დროს? დრო რომ შეიცნო.... დრო ყოვლად ბრძენსაც ვერ შეუცნია, მოუხელთებელია ჩვენთვის „დროის წიგნი“, რომელიც მართლა არსებობს. სადღაც! ღმერთებისთვის თუა იგი ხელმისაწვდომი, მხოლოდ ღმერთებისთვის, ებერ! ებერ, იფიქრე დროზეც! ვფიქრობ მეც... მაგრამ: არ გაგიკვირდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მგონია უდროოდ ვცხოვრობდე თითქოს! და ასე მოფიქრალს ისეთი კაცი მინდა მესაიდუმლედ მყავდეს, რომელსაც უსიტყვოდ ესმოდეს ჩემი, რომ მივენდო... და არც მას დაუშავდეს ამით რამე და რაღა თქმა უნდა, აღარც – მე.... ჰო: მინდა შენ იყო ჩემი თვალი და ყური ბაბილონში! და არავითარი „მაგრამ!“

– მაგრამ... – მაინც ასე დაიწყო ებერმა: – უსაფუძვლოდ ხართ ჩემზე ასე დიდი შთაბეჭდილების. თქვენ რომ გგონივართ, ნამდვილად არ ვარ ის... და მერე: ასე მოჭარბებული ნდობა ჩემდამი...

– უცოდველი ბატკანიც არ მგონიხარ, ებერ! მე ხომ ვიცი, ვინცა ხარ სინამდვილეში?! და რა შესაძლებლობების ადამიანთან მაქვს საქმე! ასე რომ, შეგიძლია იღვაწო ჩემს ვარსკვლავეთში! აი – შენი ვალდებულება! ამიერიდან შენ ანგარიშვალდებული ხარ ჩემს წინაშე, მაგრამ შენ საკუთარი უფლებებიც გექნება და ამ უფლებებს, ვიცი ბოროტად არ გამოიყენებ!

ელამელი მაცნე ხომ გახსოვს?! მე არც მისთვის მიპატიებია და არც მისი მბრძანებლისთვის. გახსოვდეს, მე არაფერი მავიწყდება! ელამზე, როცა იქნება, მაინც გავილაშქრებ. ერთ ანდაზას შეგახსენებ: ებერ, ჩრდილოეთში ჩვენი თანამოძმენი ასე იტყვიან: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“ ერთხელაც: ვეწვევით ჩვენს თანამოძმეთ ჩრდილოეთში! მე და შენ, ებერ! ჩვენს ენაზე ლაპარაკობენო, მეუბნებოდი....

– მაგრამ მე სხვანაიარადაც რომ ვფიქრობ? ამაზე ვთქვი უკვე.

– გამიმეორებდე იქნება, ებერ!

– იქნებ ჩვენ წამოვიღეთ მათი დამწერლობა და მათ ენაზე ავლაპარაკდით შემდგომ... ეს სადაო საკითხია... მთავარი ისაა, რომ ქვეყნად მარტონიც არ ვყოფილვართ. იქნებ უფრო დიდი ვართ ქალდეველები, ვიდრე ჩვენ გვგონია და წარმოგვიდგენია?!

– ჰო, უნდა მოვიხილოთ მე და შენ ჩრდილოეთი და... ხომ არ გავერთიანებულიყავით?! – თვალები გაბრწყინებოდა ნიმროდს.

„ნეტა მე რა უნდა დამევალოს ამ შემთხვევაში?“ – აწრიალდა ებერი და ნიმროდიც დამშვიდდა:

– მე კიდევ ერთხელ დავფიქრდები და.. შენი შესაძლებლობის ადამიანს მეტიც უნდა მოეთხოვებოდეს. მე ამის გათვალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინებაც მომიწევს... მაგრამ შეგახსენებ ერთხელაც: ებერ, მე არაფერი არ მავიწყდება და ეს შენთვისაცაა გასათვალისწინებელი! ჰო, ნიმროდს არაფერიც არ გამომეპარება! მე ხომ ვკითხულობ ადამიანთა ფიქრებს?! ეს ცნობისათვის, ებერ! ჩემთვის დაფარული არაფერია!

და მოვალეობებზეც: ბაბილონში ქვეყნის ბედ-იღბალი ეხება ყველას, ჩემი ყველაზე დიდი საფიქრალიც ბაბილონია, ბაბილონელთა მომავალი, მისი კეთილდღეობა!

ნისანის თვის დადგომამდე დროა კიდევ. ელამზე გალაშქრება იქამდე უნდა მოვასწრო. დავიმორჩილებ საბოლოოდ ისე, რომ დამოუკიდებლობაზე ფიქრი აწი აზრადაც არ მოუვიდეს! მერე მარის ქვეყნისთვისაც მოვიცლი. შემდგომ ტიგროსის იქითაც გადავიხედავ! იქ კი ვინ უნდა იყვნენ, ებერ, აღარ გაინტერესებს? და ყოველივე ამის შემდეგ ფიქრის დროც დაგვიდგება. მაგრამ ენასა და დამწერლობას – განსაკუთრებული ყურადღება! მინდა ვიხილო განათლებული ბაბილონი! განათლებულ ბაბილონს ვერავინ მოერევა! ბაბილონი შუმერივით არ უნდა წაიქცეს!

– ჩვენ ქალდეველები ვართ, ნიმროდ! უძველესი ქალდეველები! სწორედ ამ ჩვენს ენაშია ჩასაიდუმლოებული ჩვენი ხალხის წმინდა და იდუმალი შეხედულებანი თუ მოსაზრებანი სამყაროზე, ბუნებასა თუ სხვა საგნებზე და.... – სუნთქვამოხშირებულმა შეიწყვიტა სიტყვა და ნიმროდსაც მოაწყდა ფიქრი:

„სადღაც მსმენია ასეთი განმარტება, ზუსტად, შეუცვლელად გაიმეორა ეს სიტყვები ებერმაც. ნეტა ებერამდე ვინ ჩაწვდა ენის არსს ასე ღრმად?“

– და მათ შორის ხალხებზეც... – გააგრძელა ებერმა გაწყვეტილი სიტყვა: – ნიშან-თვისებებზე, რაც ენის ძირითადი თავისებურებებია და ბედისწერას შეესაბამება. ვინ არის იგი, რას წარმოადგენს? და შემდეგ, ათასწლეულების შემდეგ შეიძლება ასეც თქვას ადამიანმა: – ენაში ჩადებულია თითქოს და მთვლემარე და იდუმალი ნიშან-თვისებები ხალხისავე თავისთავადობას (იცავენ) ინახავენ!

„ჰო, გამახსენდა! ებერიც ზუსტად იმ შუმერული, უსახელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარმეტყველივით განსაზღვრავს ენის არსს...“ – ნიმროდმა დაკვირვებით შეათვალიერა ებერი: – ამ და სხვა საკითხებზე, ებერ, შემდგომაც გააგრძელებ კვლევა-ძიებებს, მე კი ხელს შეგიწყობ! და ბაბილონის ისტორია! შთამომავლობისთვის, ებერ! ახლა კი: თავისუფალი ხარ! შეგიძლია წახვიდე!

ებერიც წამოდგა. თავი თავისუფლად იგრძნო და ფიქრი გაიგდო წინ: „ვჭირდები ნიმროდს! რადგან მავალებს, აღარ ეეჭვება ჩემში და რაღაცად მთვლის...“ – შვება იგრძნო.

– დიახაც რომ მჭირდები, ებერ! – დაადევნა ნიმროდმა: – და შესაძლოა ყველაზე მეტადაც მჯეროდეს შენი, მაგრამ შენც დაიჯერე ჩემი!

„მართლა კითხულობს ადამიანის ფიქრებს. ნიმროდთან ფრთხილად უნდა იყოს კაცი...“ – გააჟრჟოლა ებერს. „ამ კაცს არაფერიც არ ავიწყდება. შეუძლია სულში ჩაგხედოს. ხვალინდელ დღეში შეიჭვირიტოს და რაღა არ შეუძლია?! ერთი კაცია, შეიძლება კაცზეც მეტი... ღამის ყოვლისშემძლე! ბაბილონი შექმნა – უზარმაზარი და უძლიერესი ქვეყანა, ამას უბრალო კაცი როგორ შეძლებდა?! მრისხანე ბატონია. სხვანაირადაც არ შეიძლება! მაგრამ არასოდეს ავიწყდება, რომ ქალდეველია და თავის ძირს ეძებს, ფესვებს... ჩემს სულშიც იხედება. იცის, რის შემძლეც ვარ, მაგრამ შეუძლებლის გაკეთებას მოითხოვს ჩემგან. ვგრძნობ, გული მეუბნება, რომ უნდა გაიყაროს ჩვენი გზები.... ვწინასწარმეტყველებ?! მაგრამ რომ აღარ ვიცი, რას მომთხოვს ბოლოს და რას მოიმოქმედებს? სასახლე მაჩუქა! მომისყიდა, ჰგონია?! მაგრამ ასე გულუბრყვილოც რომ არ არის?! ნუთუ მეც: ვამბობ ბაბილონს და ვგულისხმობ ნიმროდს?! და რა შემიძლია მე – ებერს?! დავწერ... დავწერ ქალდეას ისტორიას, გავაცოცხლებ ქალდეას: ბაბილონი.... ღირს სიცოცხლე ბაბილონისთვის!

თავის დიდებულ სასახლესთან გამოფხიზლდა. ეს მისი სამყოფელია... ებერმა ეს დაიმსახურა! დაუმსახურებლად ნიმროდი არავის დააჯილდოებს! იგი ერთგულებას მთხოვს, ეს კი ჩემი აზრით ნიშნავს იმას, რომ ვემსახურო ბაბილონს, ბაბილონელებს, რომლის წარსული ქალდეაა. გავაცოცხლებ ქალდეას და ბაბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონიც შეაბიჯებს მარადისობაში! შორს იხედება ნიმროდი! ნიმროდი – შორსმჭვრეტელი! მეფეთ-მეფე, დიდი ლუგალი! გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა! ხალხი ბრძენია! ხალხს არც არაფერი ეშლება!“

ძლივს მოიცილა ფიქრი და სასახლეს ახედა: „თვალი ხომ არ მატყუებს? იქნება მესიზმრება?! და უარი ვთქვა ამაზე? შევცდი ვითომ?!“ – თავის თავს ელაპარაკება და საკუთარ ხმას რომ მიაყურადა, არ ეჭაშნიკა, ყურები დაიხშო თითებით: – მე ამაზეც ვიფიქრებ! – ესეც ესმა და თავის თავზე გაეცინა: – ნიმროდი ნიმროდისთვისაც ხომ არაფერს მთხოვს?!

„იფიქრე, ებერ, კაცი ხომ ფიქრისთვისაა გაჩენილი?!“ – შორიდან მოწვდაო თითქოს ნიმროდის ხმა და ამან დაზაფრა: – ხომ არ ვაჭარბებ?!

– ებერ, ნიმროდი მართალია, როცა ამბობს, კაცი ფიქრისთვისაა გაჩენილიო... და ვინც ფიქრობს, ცოცხალიც იგია! კაცი კი მართლაცაა ნაზიარები უკვდავებას! – ნოე ელაპარაკებოდა ებერს წარსულიდან. ოფლი დაასხა.

– როგორ მოვიქცე, რომ აღარ ვიცი?

– რაც გულმა გიკარნახოს. მე ხომ არც მისაყვედურებია შენთვის. ბაბილონს ემსახურე, ებერ!

– მადლობთ.

– შენ ხომ მართალ ებერს გეძახიან?! – მიჰქრა ნოეს ხმა და ებერიც აუყვა მარმარილოს კიბეს. ცოლი ნიბურა ელოდა, ელოდნენ შვილებიც.

* * *

ერთხელ, იშთარის ტაძრიდან რომ გამოდიოდნენ, თითქოს სასხვათაშორისოდო, იმ სამ ქალდეურ გამოცანაზე რა იციო, იკითხა ნიმროდმა. უცებ კი დაიბნა ებერი, ამნაირ კითხვას ნიმროდისგან ნამდვილად არ მოელოდა, მაგრამ რომ გამოერკვა, გაუბედავად უპასუხა, – მხოლოდ ის, რომ ნებისმიერ ქალდეველს შეეძლო დაუფლებოდა ქალღმერთ იშთარს და მხოლოდ ქალდეველსო, – ხაზი გაუსვა ამ სიტყვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– მაგრამ, ებერ?

„იცის და მცდის...“ – გაუელვა ებერს: – მაგრამ ქალღმერთის დაუფლების მსურველს უნდა გამოეცნო ის სამი გამოცანა, რომლებსაც თვითონ ქალღმერთი დაუსვამდა.

– მაგრამ იქამდე უნდა აცოცებულიყავი თვალუწვდენელ ტაძარზე, ქალღმერთის საძინებელში შესულიყავი და შენი სურვილი გემცნო მისთვის, რაც ასე ადვილიც არ უნდა ყოფილიყო.

– ეს ხომ ასეა, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რაც მოელოდა იმ ქალდეველს, თუკი ქალდეურ გამოცანებს ვერ ამოხსნიდა. – ებერმა განგებ შეიცადა და ისევ განაგრძო, – ქალღმერთის მცველი ანგელოზები ქვევით თავდაყირა გადმოუშვებდნენ იმ სიმაღლიდან.

– და, შენ კი არ ისურვებდი, ებერ, ქალღმერთის საყვარელი გამხდარიყავი?! ჰოდა, მოიშველიე შენც ის სამი გამოცანა!

– შენთვის კი... – გაბედა ებერმა ეკითხა, – ცნობილია ვითომ იმ სამი გამოცანის პასუხი?

– პასუხი რომ გასცე, თვითონ კითხვა უნდა მოისმინო! მაგრამ მეც ხომ ქალდეველი ვარ, მეც ხომ უნდა შემიპყროს ქალღმერთის დაუფლების ჟინმა?

– ნიმროდ, ის ხომ ქალღმერთია, უზეშთაესი და ხომ უნდა გაითვალისწინოს კაცმა მისი უმწიკვლოება?!

– სიტყვას ბანზე მიგდებ, მაგრამ მაინც გიპასუხებ: იშთარი არ გიყვარდეს, დანაშაულზე მეტია, მით უმეტეს ქალდეველად თუკი მიგაჩნია თავი!

ებერმა თვალი აარიდა ნიმროდს და ფიქრმაც წაართვა თავი. პასუხი იმ გამოცანებზე რომ გაეცა, თვითონ კითხვების ცოდნა იყო საჭირო, რაც მართლა არ იცოდა და ეს როგორ გაემხილა ნიმროდისთვის?! მაგრამ გრძნობდა ამ დროს, რომ ნიმროდისთვის ცნობილი იყო კითხვებიც და პასუხებიც. მერე და რას იფიქრებდა ამაზე ნიმროდი? და კიდევ: რომც სცოდნოდა ის კითხვებიცა და მისი პასუხებიც, ებერისთვის ცნობილი იყო ის ჭეშმარიტებაც, რომ ასეც არ უნდა გაშინაურებოდა ნიმროდს. კარგადაც მოეხსენებოდა ხასიათი დიდებულთა მათ ამასოფლისათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხვდა ნიმროდიც შეფიქრიანებულ ებერს, –მაგრამ აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩაიცინა თავისთვის:

ეს იყო და ეს! გამომშვიდობებისას კი ასე დასძინა: – ეძიე, ებერ! ვინც ეძიებს, ჰპოვებს კიდეც! – ღიმილი კი უცებ ჩამოისხიპა სახიდან, თითქოს უკანვე გაეწვიოსო და ხელი ჩამოართვა, – იფიქრე, ებერ! ახადე ფარდა ამ საიდუმლოსაც. ეს შენთვის.... კაცი ხარ შენც და კაცი მოფიქრალი. მაგრამ შენ გაინტერესებს, ვიცი თუ არა მე იმ სამი გამოცანის შესახებ: ხომ ასეა, ებერ? ჰო, დღეს ასე დავასრულოთ! – თქვა და ზურგი შეაქცია ებერს.

... და შორდებოდა ებერი ნიმროდს: „ნიმროდია თვითონ ყველაზე დიდი გამოცანა...“ – ფიქრობს და აღარც ფიქრობს: „ნუთუ მართლა აღარ არსებობს ნიმროდისთვის ეგრეთწოდებული გამოუცნობი საიდუმლოებანი? ნუთუ მართლა ჩაიხედა დროისა და სივრცის სულში?! ვიცი, რომ სული აქვს დროსაც და, რაღა თქმა უნდა, სივრცესაც ექნება სული! და ამ დიდი და შეუცნობი სკივრის გასაღებიც ნუთუ ხელთა აქვს! საოცარია?! როგორ?! მართლა ვინ არის ნიმროდი, იქნება არცაა ქამის შვილიშვილი?! რაც კი უსურვებია, შესრულებია და ახლა რა ნებავს ნეტა?! ქალღმერთ იშთარს თუ გადაუფარებია მისთვის თავისი ღვთაებრივი კალთა?! წყალობის კალთა...“

თვითონ ებერს კი არც აღარაფერი ესურვილებოდა უკვე. და მაინც ინატრა: „ნეტა სურვილიც აღარ მესურვილებოდესო...“

ებერის ზეპირი დღიურებიდან:

„ვარ ჩემთვის ჩემს სასახლეში, ნიმროდმა რომ გადმომცა. აღარავინ მაწუხებს: თითქოს აღარც არსებობს ნიმროდი. იგი გამქრალა და აღარავინ უწყის მისი დღევანდელი სამყოფელი. ნიმროდი მართლა არაა ბაბილონში, იქნებ არის და უხილავია ჩვეულებრივი თვალისთვის! ქვეყანას რეა განაგებს, მრჩეველნი კი – მისი ქურუმები! და ყველა ერთგულია მისი! უნიმროდოდ ბაბილონის არსებობაც ვერ წარმოუდგენიათ. რეა? ქალღმერთი-ვითაა! ქურუმებს კი არც ვეპიტნავები. მაგრამ ნიმროდის შიშით მიტანენ და მეფარისევლებიან კიდეც. ვამბობ: ვარ ჩემს სასახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეში-მეთქი, ჩემთვის და ხელსაც ვერავინ შემიშლის, მაგრამ მთლად სინამდვილესაც რომ არ შეეფერება ჩემეული ყოფა?! ეს ჩემი სურვილია მხოლოდ. მე მსურს, რომ ასე იყოს!

ადრე ვდგები და ნიმროდის კოშკისკენ მიმეჩქარება. ზოგჯერ მეჩვენება, ეს კოშკიც ჩემი იყოსო თითქოს. აგერ ჩემი ოთახიც. მაქვს საკუთარი კუთხე ნიმროდის კოშკში. ისე: ფიქრისაც კი მეშინია, ვგრძნობ სულში მიყურებდნენო თითქოს. ნიმროდი ხომ ყველგანაა?! ესმის ყველაფერი და ხედავს ამ ყველაფერს. და მაინც: ჩემი ფიქრი ნიმროდს ვერ სცილდება: უებრო რაინდი, შეუპოვარი, შორსმჭვრეტელი, დიდი ვარსკვლავთმრიცხველი და ყველაფერში ჩახედული! ნიმროდი მართლა კაცია, თუ... იქნებ ანუნაკია და მალავს ამას. იქნებ არც იცის, რომ ანუნაკია და: ღვთაებრივი უფრო მეტია მასში, ვიდრე – ადამიანური... და როგორც უმაღლესი ქურუმი ხომ მიუწვდომელია თავისი არსით თვალითაც, გონითაც! ოთხი მხრივ იმზირება. მის მზერას ვერავინ მიადევნებს თვალს. ჰოდა უარყო ამ კაცმა ღმერთი ჩვენი, მაგრამ... (აეწვა ებერს სულში) უღმერთოდ როდი დარჩენილა? მხოლოდ ღმერთების ღმერთს მარდუქს სცნობს. ნიმროდისადმი კეთილგანწყობილია იშთარიც! იშთართან მოცილეც არავინ ჰყავს! გაანდეს დროისა და სივრცის საიდუმლოება, თუ თვითონ ჩაწვდა ამ იდუმალებას?! ნიმროდს ყველაფერი ძალუძს! იქნებ ნიმროდიც არ არის იგი?! ის მისი ჭოგრიტიც, თითქოს ღმერთების ნახელავი იყოს?!

მე: ვსწავლობ ნიმროდს და ვერ შემისწავლია! იგი ფიქრია თავად და აზრიც – მიუწვდომელი. ჰოდა, ეს კაცი, კაციც როგორ ვთქვა ნიმროდზე და ნიბირუთია დაინტერესებული... მაინც რას ფიქრობს ნიმროდი? რა გადაუწყვეტია?! ამჯერად რით უნდა გამაკვირვოს? ნიმროდის ფიქრს ზღვარს ვერ დაუდებ. უბრალო სულიც არ უნდა იყოს! ღმერთები თუ მფარველობენ?! ზეკაცია! იქნებ ზეკაცზეც მაღალი სულის! ალბათ: გაღმერთებასაც ინებებს! ამაზე არც იფიქრო, ნიმროდ! თავს დაიღუპავ! შენ ბაბილონისთვის გაჩენილხარ. შენ ბაბილონზე ხარ შეყვარებული, ბაბილონელ ხალხსაც შენზე ამოსდის მზე, მაგრამ ღმერთი ვერ ხარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდ! მაგრამ ღმერთი თუ არა, მაშ, როგორ შეეძლო, გაერთიანებია და ასე მტკიცედ შეეკრა შუამდინარეთი?! სრულიად შუამდინარეთი... ვერა, ვერ შევაფასებ მე ნიმროდს. ეს ჩემს ძალებს აღემატება! აქ სულ სხვა ზომის, წონის და შეფერილობის სასწორია საჭირო...

მერე და რამდენი რამ დამავალა და დამავალდებულა?! მაგრამ უფლებებიც არ ჩამოურთმევია ჩემთვის!

მაინც საიდან, საიდან დავიწყო, რომ ნაადრევადაც არ დამიმთავრდეს?... ღმერთო, მოიღე მოწყალება, რომ ვერ მისაყვედუროს ნიმროდმა! ვერ დამიწუნოს ნახელავიც და ნაფიქრალიც?!

მაგრამ მე ხომ „მართალი ებერი“ ვარ?! მეც ხომ მთლად უბრალო ვინმე არ უნდა ვიყო. ვინ და რამ მომიყვანა ნიმროდთან?! იქნებ გამოიგონეს „მართალი ებერი“ და გამოიგონეს იმიტომაც, რომ ნიმროდისთვის მიეგვარათ? მაგრამ რატომ და რა მიზნით?

– ასე თავგამეტებით რომ ვიცავ ჩვენს ენასა და დამწერლობას?! ენის დახვეწასა და მის სიწმინდეზე რომ ვზრუნავ დღენიადაგ?! ჩვენი ენა შეიძლება მართლა ღვთაებრივი წარმომავლობისა იყოს და როცა იქნება, ამ ენაზე ამეტყველდება კაცობრიობა.... ქალდეურ ენას საღვთო ენად გამოაცხადებენ. ქალდეა მსოფლიოა და მსოფლიოც ხომ ქალდეაა! მართალი ებერი მიწოდეს, ნუთუ მართლა შემწევს მე ამის ძალა და ნება?!

ჰო, მე მსახური ვიყავი ყოველთვის და მსახურადვე ვრჩები! მე აღვასრულებ ჩემს მოვალეობას, აღვასრულებ ყველა ვალდებულებას და საამისოდ გამოვიყენებ ყველა იმ უფლებას, ბაბილონში რომ მებოძა...“

უცებ: ვერც კი გაიგო, როგორ და რატომ, სარკმელთან აღმოჩნდა. მზერა სივრცისთვის მიეპყრო. ამ სივრცესვე შეერთებოდესო თითქოს, შეაჟრჟოლა და ნაცნობი ბუბუნა ხმაც ჩაესმა:

– ებერ, მართალო ებერ, შენ შენივე ცხოვრების წესით მიიქციე გარშემო მყოფთა ყურაღდება. მოყვასის სიყვარული დაიმსახურე. შენმა სიმართლემ, მართალმა სიტყვამ ნიროდიც კი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაიარაღა და: ავი თვალითაც აღარ გიყურებს. დადგება ჟამი და მართალ სიტყვასაც შებედავ ნიმროდს, მარდუქის რჩეულს. მაგრამ ნიმროდი ვერც მარდუქის ნდობას გაამართლებს და შენი საათიც ჩამოჰკრავს მაშინ! ჰოდა, მიჰყევ შენც შენს ვარსკვლავს! გახსოვდეს: შენი მფარველი ვარ მე!

და ებერიც: დაბრუნებულიყოსო თითქოს საიდანღაც, შორეთს იქით შორეთიდან, თითებით ამოიჟღლიმა თვალები, ხომ არ მესიზმრება ეს ყველაფერიო და აწყმოსაც დაუბრუნდა, ჩაერთო დროის მდინარებაში: ებერი დროის მხედარი იყო:

– ჩემი ღმერთი.... – ამოთქვა: – ცაბაოთი...

სარკმელს მოცილდა....

* * *

ნიმროდის ფიქრ-დღიურებიდან:

ფიქრი: ვითომ პირველი?

„... თითქოს ვიხედებოდე ებერის სულში...

და ვინ არის ებერი? „მართალი ებერი?!“

ჩემამდე მოვიდა, თუ მოაღწია, მომეახლა და ვერ კი ამომწვდა?!

ერთობ მოკრძალებულია, ტოლები ვყოფილვართ და კარგად ვახსოვარ! გვერდი-გვერდ გვიცხოვრია, რიკტაფელაც გვითამაშიაო; თვითონ უთქვამს ჩემთვის, რომ განმარტოება ვიცოდი... ცხელ სილაშიც მიჩხირკედელავებია: თითით რაღაცას ვწერდი, რომ მალევე გადამეშალა. არ გადავშლიდი და ჩრდილო-ვარსკვლავიდან მონაბერი ქარი გადაასწორებდა მაინც! მეც მივენდობი მის მეხსიერებას, მისი სიტყვებით: მე ნიმროდი ყველგან გამოვირჩეოდი და თურმე, ათი წლისა მათი მამების სიმაღლის ვყოფილვარ უკვე და მუშტი-კრივშიც ბადალი არ მყოლია. მერე და მერე ფარიკაობაშიც ვერავინ მიმაგრდებოდა, ურა ცხენები მიჭენებია უდაბნოში! მაგრამ მე რატომ არ მახსოვს ეს ყველაფერი? ვერაფერი ვერ მომიგონებია! თუმცა ის კი მახსოვს, მაგრამ ძალიან ბუნდოვნად, რომ დამიტოვებია წალკოტი იგი... იქნებ დამატოვებინეს?! მერე: მივლია, მივლია, თითქოს და მომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლია ქვეყნიერება, მაგრამ ვეღარ მიმიგნია იმ ჩემი წალკოტისთვის და სადღაც ნანგრევებისთვის შემიფარებია თავი. სახელიც მკითხეს და ვეღარ გავიხსენე. მაშინ იყო, ნიმროდო, რომ დამიძახეს და იქიდან მოყოლებული ნიმროდი ვარ და ასეც მგონია! ხომ მიცნეს? დედაჩემმა მიცნო! კედლისკენ მიმახედა და შენიაო, კედელზე ჩამოკიდებულ მშვილდზე მითხრა და მეც ასე მწამს! ჰოდა, აქედან იწყება ჩემი – დიდი ნიმროდის ისტორია. იქიდან მოყოლებული ვიბრძვი და ვქმნი, მაგრამ იქამდე რა იყო ჩემს თავს და რა მჭირდა, ვეღარ მომიგონებია. მაინც როგორ ამოვავსო ჩემი ისტორიის გადაშლილი ფურცლები, როგორ აღვადგინო? სად ვიწყები? ვინ გადამმალა ასე უღვთოდ? ვინ ინება და ვის ენება ასე და ამგვარად? და ებერიც გამომიჩნდა! ენის სიწმინდეს ქადაგებდა თურმე, აუწყებდა ყველას, რომ ადამიანის ისტორია ქალდეადან იწყება. ქალდეადან მოვდივართ ჩვენც და ქალდეველები ვიქნებით, რასაკვირველია! ქალდეველები: გრძნეულნი, მისანნი, ჯადოქარი მკურნალნი... ქურუმთა დიდი დასიც ხომ ქალდეურია?! ქალდეველი – ქურუმი! ქალდეველი – ვარსკვლავთმრიცხველი! და თუკი ებერის სიტყვებსა და მეხსიერებას მივენდობი, მეც ქალდეველი უნდა ვიყო! მე ხომ მისანიც ვარ და თუკი დამჭირდა, ბალახებით მკურნალობაც შემიძლია და ვკითხულობ ადამიანის ფიქრებს!

და „მართალი ებერი!“

ისე, საკითხავია: უფრო მე ვჭირდები ებერს, თუ ებერი მჭირდება მე? ალბათ: ვჭირდებით ერთმანეთს!

დიახ: ებერი მჭირდება! მჭირდება ჰაერივით! მაგრამ უჩემოდ იგიც ვერსად წავა! და მაინც: უფრო მსახურია ჩემი! თუ – ბაბილონის მსახური! მემსახურება მე და მაშასადამე მსახურიცაა იგი ბაბილონის! ბაბილონი კი მე დავაარსე და აღვაშენე! ვინებე და აღსრულდა ნება ჩემი! თითქოს ღმერთი ვყოფილიყავი! ღმერთი?! ვკითხულობდი ერთხელაც ებერის ფიქრს და: ეს იყო იშთარის ტაძარში. თუ ტაძრიდან გამოსვლის დროს... ებერის ფიქრში გადავაწყდი მართლაც რომ ღვთაებრივ აზრს: „გაღმერთება ხომ არ უნებებიაო?!“ კი აღარ ფიქრობდა, მოთქვამდა უფრო! ეს ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეცაა?! იყო ნება ჩემი და შეიქმნა ბაბილონი. კარიბჭეც მე შევ-აბი. და ამას რომ ვიქმოდი, ღმერთი ვიყავი მართლაც! მაგრამ ის შემოქმედი, რომელმაც ინება, ქმნილიყო ბაბილონი! ღმერთია და ჩემშია იგი! თვითონ ებერმა მიმანიშნა ამაზე! მისმა ებერობამ და ებერში დავანებულმა სიმართლემ მიმიყვანა ამ ჭეშმარიტებამ-დე! თვალი ებერმა ამიხილა! (ეს როგორ დაგივიწყო, ებერ)?!

მაგრამ რას მეტყვი შენ, გულო გრძნეულო?

– რაო? ებერი კაცია, შეიძლება ამაღლებული კაციც, მაგრამ მაინც კაცი და კაციც როგორ იყოს კაცი, რომ ერთხელაც არ შეცდეს?! შეცდება და არა ერთხელ და: მაშინ დადგება შენი საათი, ნიმროდ! ებერ, შეცდები ერთხელ და არ გაგწირავ, მაგრამ ვერ გაპატიებ! ხელსაც რა გახლებ, თითქოს ბაიბურშიც არ ვიყო, მა-გრამ მეორედ შეცდომის უფლება არ გაქვს! ანდაზაცაა ამაზე! „კაცი თავის შეცდომებზე უნდა სწავლობდესო! შეცდომებიო, ამბობს ანდაზა და მეორე შეცდომაზეც არ გაგწირავ, ხელსაც არ გახლებ! მაგრამ მესამედ არ შეგიწყნარებ. ვერ შეგიწყნარებ, იცოდე, ებერ!

* * *

ნიმროდი:

მეორე ფიქრ-დღიურიდან:

ნიმროდმა ისარი სტყორცნა და უსულოდ დაეცა მხეცი; ბედის ბედაურიც პატრონის ისარივით გაიჭრა წინ და ბრძენი ბუც ააწყ-და ნიმროდის მხარს.

ბედის ბედაურზე ამხედრებული ნიმროდი ებოდიშებოდა (გულში) იმ თავის მსხვერპლს და უტიროდა სულიც, აღარ უწყო-და რატომ?! მაგრამ ცრემლი არ სდიოდა, რადგან არ იცოდა, რა იყო ცრემლი, თითქოს უგულო ყოფილიყოს, მაგრამ გული რომ ეურჩებოდა ზოგჯერ?!

„ნიმროდ, აღარ გაძეხი ამდენი სისხლით?! როცა იქნება, განი-გმირები შენც და რეას გარდა დამტირებელიც აღარავინ გეყოლე-ბა! ამოიგდე ე მაგ ღვარძალიანი გულიდან მტერიც, მოყვარეც! უსიყვარულოდ როგორ იცხოვრო?!“ – ძლივს მოიშორა ფიქრი:

„ეს რომ ჩემმა ქურუმებმა შეიტყონ, რას იფიქრებენ?! ირონიულად გაეღიმებათ და გულიც შეეხმიანებათ: ის არ ყოფილა, რადაც თავს მოგვაჩვენებდაო... ნიმროდ, ბედს ნუ ეთამაშები!“ – მჯიღი დაირტყა მკერდზე და თავის თავზე გაეცინა: „მართალი იყო იგი, როცა მიმტკიცებდა, ყველა თამაშობსო!“ ნუთუ მეც, მეც ვთამაშობ?! მაგრამ ბაბილონში ხომ არ ხდება რამე?“ – კი გაიფიქრა და ბაბილონიც დაუდგა თვალწინ: „როგორ, ჩემს უფროს ქურუმს ისე გამოუცხადებია ნიმროდობა, რომ ჩემთან არც შეუთანხმებია...? აგერ რეაც: უხარია და ბრძანებს. ეს მაინც რამ მოაფიქრებინა ჩემს უფროს ქურუმს?! ერთხელ ხომ გადაიხადა „ნიმროდობა“ სრულიად ბაბილონმა?! მასიამოვნოს უნდა?! მაგრამ მაინც რომ მსიამოვნებს?! გულს უხარია... მაამებლობა სულს ისე რყვნის, როგორც – პატივმოყვარეობა! რიგით ქურუმად ჩამოვაქვეითებ! ეს სამაგალითო იქნება სხვებისთვისაც! ჩემს უფროს ქურუმს ზომიერების გრძნობა ღალატობს! მაგრამ მაინც რატომ მინდა მისი დასჯა?! მოვიფიქრე, როგორც დავსაჯო! ვბრძანებ: ნისანის თვის დადგომამდე შეადგინონ სრულყოფილი წიგნი ქურუმთა დიდ ხელოვნებაზე!“

ამ ფიქრებში იყო ნიმროდი, რომ დადგა ბედაური. ნიმროდს პირქვე ჩამხობილ მხეცზე შეუჩერდა მზერა: – ამ მხეცმა ტყეში დამყარებული კანონები დაარღვია, ტყის სამართალიც არაფრად ჩააგდო. ყველა და ყველაფერი თავის ნებას დაუმორჩილა, მაგრამ რისთვის ვარ მე მოწოდებული, თუ სამართლიანი კანონი არ დავიცავი. მხეცმა მიიღო, რაც ეკუთვნოდა, რისი ღირსიც იყო! მე აღვადგენ საყოველთაო სამართალს. ტყე დაიბრუნებს თავის უფლებებს! – ზეაღმართა თავისი მძიმე შუბი და მთელი ძალით დაჰკრა სულშეგუბებულ მიწას: – დღეიდან ის მეუფებდეს ამ ტყეში, ვინც ამ შუბის ამოღებას შეძლებს!

ამის თქმა და „მოვიდიან მხეცნი“: სუსტნიც და ძალგულოვანნიც, ბედი ყველამ სცადა, მაგრამ შუბს ძვრაც ვერ უყვეს ადგილიდან. ვერავინ შეძლო შეუძლებელი.

– გამოდის, სხვა მეუფეც აღარ ჰყოლია თქვენს ტყეს! – შესძახა ნიმროდმა. დუმილი გაჯდომოდა ტყეს და ნიმროდსაც გაუნათდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე. საცრისოდენა თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა და ჩაუსისხლიანდა: – მაშინ მე ვიქნები თქვენი მეუფე! სამართალს ახალს გაგიჩენთ! – ხელი ჩაავლო თავის შუბს, ამოგლიჯა მიწიანად და მაღლა შემართა: – ესეც ჩემი შუბი! დღეიდან მე ვარ ამ ტყის დიდი მცველი! გაფრთხილებთ ყველას: ვინც ტყის მყუდროებას დაარღვევს, ამ მხეცის ბედს გაიზიარებს! ეს შუბი კიდევ ერთ სამსახურს გამიწევს! – შეჰყვირა და სივრცეს შესტყორცნა. კვნესა ამოხდა სულშეძრულ სივრცეს და გადაიხსნა ერთბაშად. მიწას კოკისპირული წვიმა დაასკდა: – გესმით? ეს გრძნეული სულია! ემწარა?! ატკივდა უსაშველოდ! ეს მისი ცრემლებია!

გადმოიღო მშვილდი, მოზიდა მთელი ძალით, მერე სუნთქვა შეიკრა წამით და სტყორცნა ისარი: – გოდებს! ეს გრძნეული სულია, აჰა გათავდა, აღარ არის. გესმით მისი სუნთქვა?!

– აღარა! – იყო ტყის პასუხი.

– გრძნეული სული აღარ არის! მე ვიქნები აწი თქვენი პატრონი, უპატრონოდაც აღარ დაგაგდებთ! აქ ჩემი სამართალი ჭრის უკვე! დაე, სიმშვიდე სუფევდეს ჩემს მიწაზე! მაგრამ კარგად მომისმინეთ: – იცოდეს ყველამ ადგილი თვისი! მოვალეობანიც და უფლებებიც! ამ მხეცს კი შეგიძლიათ გაუსწორდეთ. სისხლი მოგწყურებიათ?! დაე, მოიკალით წყურვილი სისხლით, ხორცით – შიმშილი! დღეიდან თავშესაფარია თქვენთვის ეს ტყე! და არც ჩემი წყალობა მოგკლებოდეთ. თქვენ კი: თვალი და ყური უნდა იყოთ ჩემი! გახსოვდეთ, ათასი ბერუთიც რომ ვიყო თქვენგან შორს, ნიმროდი მაინც გხედავთ და ესმის თქვენი! სამართალი, რომელიც დაგიდგინეთ, აღარასოდეს დაირღვევს! – ნიმროდიც ამხედრებულიყო თავის ბედის ბედაურზე და ტყეც უკან დარჩა. ტყემაც ამოისუნთქა შვებით.

* * *

ნიმროდის ფიქრ-დღიურიდან:
(მესამე ფიქრი)

იშთარის ტაძარი....

ქურუმთაგან არავინ აკლია, მხოლოდ ნიმროდი იგვიანებს –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურუმთ-ქურუმი. აღელვებულა ქურუმთა დასი, ნიმროდი ხომ არასდროს იგვიანებს!

უკანასკნელმა მზის სხივებმა მოიათინათეს ტაძრის კედელზე, თითქოს სული მოითქვესო, აიკრიფეს კალთა და მზესვე დაუბრუნდნენ.

მზე ჩავიდა და ნიმროდმაც შემოაბიჯა ტაძარში.

დაიკავა თავისი ადგილი და მთელი ტანით იქითკენ მიბრუნდა, სადაც უფლისწული თამუზი და ებერი ეგულებოდა. ესეც ასეო და ქურუმებს შეავლო თვალი: – ტყუილ-უბრალოდაც არ დამიბარებიხართ და სანამ სათქმელს გეტყოდეთ, აი რა მინდა გითხრათ: – მეც თქვენებრ ბაბილონელი ვარ და: ქალდეველი, რასაკვირველია! ბევრი რამ მსმენია ქალდეველ ქურუმებზე, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, რომლებსაც პირუთვნელად უნდა ემსახურებოდეს ყოველი ქურუმი. თქვენ ღვთის რჩეული ხალხი ხართ, ღვთაებრივი შემოქმედნი: სწორედ აქედან დავიწყებ: თქვენი ამაგი განუსაზღვრელია ქვეყნის ქმნადობისა და აღორძინების საქმეში! მე ბაბილონის მეფეთ-მეფე ვარ, ქვეყნის სამსახურში ვდგავარ!

– დიდება ნიმროდს: ბაბილონის მეფეთ-მეფეს! – დაიგუგუნა ტაძარმა.

– მაგრამ მე... – ხელი მაღლა შემართა ნიმროდმა და გუგუნი მყისვე შეწყდა. ექო შუაზე გაწყდა და ისიც მიწყდა გაორებული. ნიმროდმა განაგრძო: – და დიდი ქურუმიც!

– დიდება დიდ ქურუმს, ქურუმთ-ქურუმს! – ისევ იგრიალა ტაძარმა და გაღიზიანებულმა ნიმროდმა მეორე ხელიც ასწია მაღლა. ტაძარსაც ენა ჩაუვარდა და ნიმროდმა უცებ დაუშვა ძირს ორივე ხელი. გაღიზიანების კვალიც აღარ შერჩენოდა სახეზე.

– მეც კი: მეფეთ-მეფე და დიდი ქურუმი საკუთარ თავზე ვარ გაბრაზებული და იცით რატომ?

ტაძარი გაიტრუნა. რამაც ისევ გააღიზიანა ნიმროდი: – და ამაში თქვენ გადანაშაულებთ! მეფეთ-მეფის მოვალეობას, ასე თუ ისე, ნიმროდი ასრულებს. შეგიძლიათ სრულიად ბაბილონს ჰკითხოთ, ჩემს ქვეყანას, თქვენს ქვეყანას. ბაბილონი თქვენიცაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თქვენითვე უნდა იყოს! თქვენი ხელი კი, ასე მგონია, მიაკლდა ბაბილონს! მეც გავიარე ქურუმთა სკოლა, თქვენ იყავით ჩემი მასწავლებლები, მაგრამ ქურუმოლოგია, როგორც მეცნიერება, არც აროდეს გვქონია და დღესაც არა გვაქვს. ცოდნა და გამოცდილება კი გიყვარდეთ?! ამიტომ: – და ტაძარმაც სული გაკმინდა.

– ამიტომ! – გაიმეორა ნიმროდმა: – უნდა შეიქმნას მეცნიერება ქურუმოლოგიაზე! ამას დრო სჭირდება, ეს დრო კი ოქროდ მიღირს! აბა, მზერა სარკმლისკენ! თქვენ ხედავთ მთვარეს. მალე კლებას დაიწყებს და ცელივით აპრიალდება, შემდეგ იწყება მთვარის კვლავ შევსება! შეივსება და სულს გაგვინათებს! და ყოველივე ეს დროის გარკვეულ მონაკვეთში ხდება (ეს გარკვეული დრო კი უცვლელია) და: მომიცია დრო, ასე რომ მიღირს: უახლოესი სავსე მთვარეობიდან მომავალ სავსე მთვარეობამდე მზად უნდა იყოს სამოძღვრებო წიგნი მთლად ქალდეურ ხელოვნებაზე! მე თქვენგან მოვითხოვ, ქალდეველი ქურუმებისგან მოვითხოვ ყოველივე ქალდეური ცოდნისა და გამოცდილების თავმოყრას. თქვენ უნდა შექმნათ ქალდეური სიბრძნის წიგნი! – დადუმდა ნიმროდი და დუმილმა მოიცვა ტაძარიც. და იგი ნიმროდმა დაარღვია: – ვიცი, რა ძნელი დავალებაც მოგეცით, მაგრამ ბაბილონს უსიკვდილოდ ჭირდება ასეთი წიგნი! შუმერებს ჰქონდათ ასეთი წიგნი, დრო-ჟამმა ვერ შემოგვინახა იგი. თუკი შუმერებმა შეძლეს, რატომ ვერ უნდა შევძლოთ ჩვენც?! ამას მარტო ჩემთვის ხომ არ იქმთ?! იღვაწეთ ბაბილონისთვის, მისი უკვდავებისთვის! ამ საქმეს კი ხელმძღვანელი ჭირდება! თქვენ გეყოლებათ ასეთი ხელმძღვანელი! ბაბილონში ვიყოთ და სხვაგან ვიყურებოდეთ?! ბაბლონში გვყავს ასეთი კაცი! ებერია იგი, მართალი ებერი! მე კი: შეიძლება თქვენთან არ ვიყო სხეულებრივ, მაგრამ სული ჩემი თქვენთან იქნება!

გავიდა ნიმროდი ტაძრიდან და ტაძარიც ფიქრად იქცა(!)

ნიმროდი: თავის ბედის ბედაურს მიაქროლებდა. თვითონაც არ უწყოდა, საით? ბედი თვისი თავისი ბედის ბედაურისთვის მიენდო, მხარზე ბრძენ ბუს შეიგრძნობდა და ფიქრსაც იმისკენ წაუბიძგებდა: „როგორ, ჩემო ბრძენო ბუ? ფიქრობენ ვითომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ფიქრის უფლება ყველასთვისაც რომ არ მიმიცია?! ხომ ითქვა ერთხელ: თქვენს მაგივრადაც ნიმროდი ფიქრობს და აწიც იფიქრებსო! ებერი მოუვლის ამ საქმეს, ჩემი ხელმძღვანელობით, რა თქმა უნდა!

ნიმროდი და ბრძენი ბუ:

ნიმროდი ბრძენ ბუს მიაჩერდა, ხომ არ დაგვეწყოო.

– თავისუფალი ყური ვარ! – თვალები დაწმენდოდა ბრძენ ბუს და ჩახრინწული ხმით განაგრძო: – პირველი სიტყვა, როგორც წესი, შენ გეკუთვნის, გისმენ ყურადღებით.

ნიმროდმა დაკვირვებით შეათვალიერა ბრძენი ბუ და ისე ჩაილაპარაკა თავისთვის, ბრძენ ბუს რომ არ გაეგონა: – და მაინც რაზე უნდა ვილაპარაკოთ, ბუვ, მე და შენ?

ბაიბურში როდი იყო ბუც, რომ ნიმროდის ნათქვამი არ გაეგონა?! წყენისგან აიფოფრა და თვალები აუხამხამდა, რაც საერთოდ არ სჩვეოდა და თავი გვერდზე მიაბრუნა, აქაო და გული მატკინეო:

– რაო, ბრძენო ბუვ? – გაეღიმა ნიმროდს.

– ჩემთან საუბარი თუ გესირცხვება, რაღას მიბარებდი? – ბრძენი ბუც აღარ მორიდებია ნიმროდს და თვალი გაუსწორა.

ნიმროდს ბრძენი ბუს წყენინება არც უფიქრია, ახლოს მიიწია განაწყენებულთან და აფხორილ ფრთებზე ხელი გადაუსვა: – განა არ მიცნობ, ბრძენო ბუვ! შენ და ბედის ბედაური მყავხართ ჩემდა ბედად, ვისი წყენინებაც აზრადაც არ მომივა!

ბუც მოლბაო თითქოს, დამშვიდდა და თავი მწუხარედ გაადააქნია: – ნიმროდ, შენ რაღაც გაწუხებს და ასე მერყევიც არასოდეს მახსოვხარ. რაღაც გადაწყვეტილების მიღებას აპირებ და ვერ გადაგიწყვეტია, რა გჭირს, ნიმროდ? ნიმროდი და ორჭოფობა?

ნიმროდიც გამოერკვაო თითქოს, დამცინავი სახე უცებ შეეცვალა: – ვშიშობ, არ შევცდე... – თითქოს ბუს თვალებში ჩაიძირაო: – ის რაც მაქვს, აღარ მაკმაყოფილებს... მინდა განვავრცო ბაბილონი. მინდა გასცდეს თავის საზღვრებს, ვგრძნობ, ველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ჩატეულა ამ ჩვენს ორ მდინარეს შორის... ბრძენო ბუ, როგორ გითხრა და: მარტო შუამდინარეთი ეპატარავება თვალს, მეცოტავება შუამდინარეთი.... მინდა მდინარეებს იქითაც გადავიხედო! მაგრამ...

– გეეჭვება, ნიმროდ? თითქოს... – ბრძენმა ბუმ მომდევნო სიტყვა გადაყლაპა და დაელოდა, როდის განაგრძობდა ნიმროდი, მაგრამ ნიმროდი დუმდა, ხმას არ იღებდა. – ნიმროდ.... რატომ არ იტყვი? გულზე ხომ გინდა მოგეშვას?

– თითქოს... – ხმა გაბზარვოდა ნიმროდს: – ზოგჯერ მგონია... რაც კი რამ შემიქმნია, ჩემი აღარც იყოსო... თითქოს მე აღარ მეკუთვნოდეს და ჩემს თავსაც აღარ ვეკუთნვოდეო თითქოს.

– და რას ფიქრობ და რას აპირებ?

– ვფიქრობ ავმხედრდე ჩემი ბედის ბედაურზე...

– ბრძენი ბუც შენთან იგულვე, ნიმროდ! – თითქოს შეახსენაო ბრძენმა ბუმ და პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეეკრა.

– მხარზე ჩემი ბუც მეგულებოდეს და ავიჭრა ცაში... გადავიკარგო სივრციდან, თავს გადავეკარგო და...

– და ხომ არ გავიწყდება, ნიმროდ, რომ გმირი მონადირე ხარ წინაშე უფლისა ღვთისა?

– ჰო, განვუდექ მე ჩემს ღმერთს ცაბაოთს, ავუჯანყდი და... მაგრამ ვერაფერი დავაკელი! შევურაცხვყვე ნოეს ღმერთი და სხვა ღმერთს მივენდე და ცაბაოთმაც ანათემაზე გადამცა, მაგრამ ვერც იმან დამაკლო რამე. მარდუქია ჩემი ღმერთი, ღმერთების ღმერთი! ბრძენო ბუვ, არ გაგეცინოს და ნიმროდმა, ღმერთსაც რომ აუჯანყდა, არ იცის, ვინ არის თვითონ! საიდან მოვსულვარ და რატომ მოვსულვარ? და რატომ მაინც და მაინც ერიდუში?! ერიდუ: ერიდუ ჩემია მხოლოდ და მხოლოდ ჩემი, მაგრამ მისი საფერი პატივი ჯერაც ვერ მიმიგია მისთვის! ერიდუ: აქედან იწყება ქალდეა, ერიდუდან იწყებოდა შუმერთა დიდი ქვეყანაც და ბაბილონიც ხომ ერიდუდან დავიწყე?!

და მაინც ვინ არის ნიმროდი? თითქოს ნიმროდი ვიყო, მაგრამ თავიც რომ ვერ შემიცნია?! მინდა ჩავიხედო ჩემსავ სულში, გავცნობიერდე, მაგრამ... და ვაითუ ნიმროდიც აღარ ვიყო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძენმა ბუმ თავი უკმაყოფილოდ გაადაქნია: – ნიმროდ, საკუთარი თავის გარდა აქ ვერავინ დაგეხმარება! თავი რომ შეიცნო, უნდა დაიწყო იმ შორეული წარსულიდან, იმ შორეთიდან, საიდანაც უნდა იწყებოდე, მაგრამ... აქ იბინდება შენი მეხსიერება. ნიმროდ, იქნებ არსაიდანაც არ იწყები! იყავი ყოველთვის! იყავ ყოველთვის შენ ღმერთივით. სხვა რა შემიძლია გითხრა? რჩევითაც ვერას გირჩევ, რადგან დიდი მრჩეველი თვითონვე ხარ შენ შენი თავის! თავი რომ შეიცნო, უნდა გაიცნობერო წარსული, – მოჰყვა ბრძენი ბუ თავის კანტურს.

– თითქოს დაუსაბამო იყოს სამყარო... ვერც კი წარმომიდგენია იწყებოდეს თითქოს ყველაფერი და მთავრდებოდეს სადღაც....

– ნიმროდ: სცადე შენც ბედი! მოიხილე წარსული და იქნებ იმ საწყისსაც წვდე როგორმე და თუკი ვერ შეწვდი.... ბოლოს და ბოლოს ხომ გათავისუფლდები ამ აბსურდისგან! და: მომავალზე რაღას ფიქრობ?! მოდის შენკენ თუ... დგას და შენ მიისწრაფვი მისკენ?

– იქნებ არც არსებობს ის მომავალი, ბრძენო ბუვ?! მომავალი აწყმოზეა დამოკიდებული. აწმყოშია საძიებელი მომავალი, უარყოფს ჯერ თავის თავს და ადგილზევე ჩაენაცვლება აწმყოს.

– ებერს შენკენ მოუპყრია თვალი და ყურიც, ათასი თვალი და ათასი ყური! იგი ახლაც შენთანაა! ფიქრობს შენზე.... ერთი სიტყვაც არ გამორჩება შენ მიერ თქმული! სულერთია: უბრძანებ თუ ეტყვი უბრალოდ. ორივეს თანაბარდ აღიქვამს! ჯერ ებერს მოუსმინე და მერე განვაგრძნოთ ჩვენი საუბარი, – ამოიქშინა ბუმ და წაიღო ფიქრმა.

ნიმროდმაც რაკი იგრძნო, ბრძენი ბუ სულ სხვა ფიქრებში გადაჭრილიყო, თვითონაც ამოიგდო იგი თავისი ფიქრებიდან და ჩაფიქრებული ებერიც იხილა.

– ებერ, ქურუმები თავის საქმეს კარგადაც გაუძღვებიან, მაგრამ შენც რომ დიდი ფიქრი გმართებს?! იფიქრებ შენთვის, რაღა თქმა უნდა, მაგრამ უნდა იფიქრო ქურუმებზეც და მათ მაგივრადაც... სხვებზე ფიქრი შენც ჩემსავით დაგბედებია! მაგრამ არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოდეს დაგავიწყდეს, რომ უნდა ფიქრობდეს ნიმროდი თქვენზე და იქნებ თქვენს მაგივრადაც. და კიდევ: არ დაივიწყო, რომ ბაბილონი სულდგმულობს ჩემით და ბაბილონივე მასულდგმულებს: მე ბაბილონი ვარ და დიდი ბაბილონია ნიმროდი!

ბაბილონი და მე!

მე და ბაბილონი...!

ნიმროდი და ბრძენი ბუ:

(ისევ)

– გისმენ, ნიმროდ! – შეიფრთხიალა ბრძენმა ბუმ.

– აწმყო და მომავალი... – ჩაფიქრდა ნიმროდი: – ვთქვით, გაიარა წამმაო, აღარაა აწმყო, გააწმყოებულმა მომავალმა დაიკავა მისი ადგილი, ჩაენაცვლა აწყმოს და უკვე გააწყმოებულსაც თვალის დახამხამებაში ჩაენაცვლებიან... თითქოს არც აწმყო იყოს და აღარც გააწმყოებული მომავალი, არის და აღარც არის! მაგრამ აწი რა ვიფიქრო? ფიქრს ფიქრი როგორ ჩავანაცვლო, ეს ფიქრი საიდან მოვიტანო, ასე მზამზარეული?! თავს გვახვევია ფიქრებიო, ასეც ხომ ვიტყვით?! მაგრამ ჩვენგანვე ამომდინარეობს ეს ფიქრი, თუ ვიღაც, სადღაც მყოფი მავან-მავანი უხილავი ვინმეა, თავს რომ გვახვევს ამ ფიქრებს? ჰო, სიადან მოდის, თუ ამოდის ფიქრი? ჩვენგანვეო, მაგრამ როგორ?

– და სად მივყავართ ჩვენგანვე გამომდინარე ამ ფიქრებს და ვაითუ ამ ფიქრივით ილუზიაა ჩვენი სიცოცხლეც?

– იქნებ, ბრძენო ბუვ, ის რაც მგონია, თითქოს მე შემექმნასო, არცაა საერთოდ და არც არასდროს შექმნილა?! მხოლოდ გვგონია... თითქოს ჩვენ ვიყოთ მისი შემოქმედნი! ამაზე რას იტყვი, ჩემო ბრძენო ფრინველო?

– ნიმროდ, აწმყოა ეს წამი და წარმოიდგინე: ვერც კი მოასწრებ იმის გაცნობიერებას, რომ იგი წარსულია უკვე, ჰო, წარსულში ხარ და ამასთან (ერთდროულად) მომავალში არ გადაბრძანებულხარ?! მერე: ისევ წამი – აწმყო და მომავალი ერთდროულად გამწარებულიც და გამრავლებულიც... და ასე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ: იყო წამი და აღარც იყო და შენც იმ წამში იყავი და აღარ იყავი. ასეა ეს და სწორედ ეს მოვლენაა გასაცნობიერებელი! და მე რომ ვფიქრობ...

– თითქოს ვიყო – წარსული, ვიყო – აწმყოც და ვიყო – მომავალიც... სამი ნიმროდი ერთდროულად აწმყოდან წარსულსა და მომავალში გადამდინარი... მაგრამ ამავე დროს ერთი ვარ მხოლოდ, ერთადერთი და განუმეორებელი!

– მაგრამ შევთანხმდეთ, ნიმროდ: ვერ ვასწრებთ აწმყოს გააზრებას, რომ ერთდროულად აღმოვჩნდებით ხოლმე წარსულსა და მომავალში!

– და ერთდროულად მიმდინარეობს ეს გასამებული მოვლენა.... მაგრამ ყველაზე მეტად იქ მომავალს დაუინტერესებია, ბრძენო ბუვ, შენი ნიმროდი!

– ნიბირუსკენ ხომ არ გასტყორცნე, ნიმროდ, ეს შენი ფიქრიც?

– მაგრამ ნიბირუს მოხილვისას როგორ გავარკვიოთ, წარსულში მოვხვდით, თუ მომავალში, ჩემო ბრძენო ფრინველო? ნიბირუს წარსულში აღმოვჩნდებით თუ იმის მომავალში? ამის განსაზღვრა აღემატება ჩემს ძალებს, მაგრამ.... ვიფიქრებ ამაზე! – სული მოითქვა ნიმროდმა და უცებ თითქოს მომხდარიყოსო რაღაც, აფეთქდასავით: – მაგრამ რატომ „მაგრამ?!“ – აუელვარდა საცრისოდენა თვალები: – არავითარი „მაგრამ!“

– აი, ასეთ ჩემს მეფეთ-მეფესა და ქურუმთ-ქურუმს ვცნობ მხოლოდ! – დაიჩხავლა ბრძენმა ბუმ და ფრთები გაშალა: – მაგრამ... შენ ებერი გელოდება ახლა!

– თითქოს ჩემს გულში იყო, ჩემო ბრძენო ფრინველო! – თქვა ნიმროდმა და მხრები შეიბერტყა.

და განიზიდნენ ერთი მეორისგან ნიმროდი და ბრძენი ბუ.

– დაგჭირდებოდე როცა.... – დაიჩხავლა ბრძნემა ბუმ და შეერია სივრცეს, რომ წამზე უმალეს, დაძახებისთანავე გაჩენილიყო ნიმროდთან.

– ახლა შენ მჭირდები, მართალო ებერ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ესმა ებერსაც, ნიმროდი რომ მოუხმობდა და ამან ჩააფიქრა: „რომელი მისი ნდობით აღჭურვილი პირი მე ვარ, რომ რჩევის საკითხავად მიხმობს? იქნებ ამჯერადაც მცდის?!“

და მიფიქრიანობდა ებერი ნიმროდის კოშკისკენ. ისე მიადგა კოშკს, არც შეუტყვია. კოშკის კარიბჭე გაიღო მის წინ და ზღურბლს გულისფანცქალით გადააბიჯა.

კოშკში თავაზიანად მიიღეს და ნიმროდისაკენ აღმავალ ხვეულ კიბეზე მიანიშნეს. რა აღარ იფიქრა და ასე ჩაფიქრებულმა აიარა ორმოცსაფეხურიანი კიბე (თვითონაც არ იცოდა, რომ ითვლიდა საფეხურებს) და ნიმროდის ფიქრის ოთახის წინ მთლად მოშვებულ-მორღვეული შედგა (ჭირის დღესავით არ უნდოდა ნიმროდთან შეხვედრა). მხრები თავისთავად აწურვოდა. დაუძახეს ებერს და ისიც შეკრთა: „იგრძნო, კარის წინ რომ ვდგავარ და ვღელავ. იქნებ მხედავს კიდეც!“ – ფიქრმა დაბორკა: – „ზოგჯერ ჯადოქარიც მგონია! სულის თვალიც თუ აქვს ახელილი! – მხნეობას მოიკრებს და შეაღებს კარს. უნდა კარის ზღურბლს გადააბიჯოს, მაგრამ ადგილს მილურსმნული ვეღარ განძრეულა.

– ებერ, ჰე, გადმოაბიჯე ფეხი ე მაგ კარის ზღურბლს და... – ფიქრის სავარძელში ჩასვენებულმა ნიმროდმა თავისთვის ჩაიცინა და ხელი დაუქნია ებერს. ებერსაც ჯადო ახსნოდესო თითქოს და სული ნიმროდის წინ მოითქვა, მაგრამ ფიქრს ვეღარ მოერია: „უთქმელადაც რომ გრთგუნავს და განა მარტო გრთგუნავს?! მნუსხავდეს თითქოს...“

– ებერ! – შეუძახა ნირმოდმა და ებერიც გამოერკვა, მხრებში გაიშალა, მაგრამ თვალი მაინც ვერ მოეწყვიტა ნიმროდისთვის: „მახრჩობელა გველია, მოჯადოებული თუ ვყავარ... კაცის ფიქრებს კითხულობს... ეშმაკისეული თუა...“ – აიბუზა ანაზდად, სულში არ ჩამიძვრესო. მაგრამ მოიცილა ფიქრი და გათავისუფლდა.

ორივეს ერთდროულად გაეღიმა.

– ებერ, გათავისუფლდი ამ აბეზარი ფიქრებისგან? ერთმანეთს ხომ არ მოვუსმინოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ყურადღებით გისმენ! გისმენ, მეფეთ-მეფევ და...

ნიმროდმა ხელის აწევით შეაჩერა ებერი, – სულაც არაა აუცილებელი, ჩემი წოდება ბოლომდე ჩააბულბულო. აწი წოდების გარეშეც შეგიძლია მომმართო. ჩემზე უკეთ არავინ იცის, ვინ ვარ და რა შემიძლია? ჰოდა, პირდაპირ საქმეზე, ებერ! თუმცა საქმეც მოიცდის! საქმე? საქმე კი არა, თუკი იგუნებებ, სიკვდილიც მოიცდის!

ებერი კი: ჯერაც ვერ გათავისუფლებულიყო ნიმროდის ზეგავლენისგან. უჭირდა ლაპარაკი, კრიჭაშეკრული თავს შებორკილადაც გრძნობდა.

– ებერ, ჩამოიხსენი ეს დაძაბულობა! შენც ხომ ქალდეველი ხარ – თავისუფალი სული. თავის უფალი, ებერ! კარგად დააკვირდი ამ სიტყვას: შენც ხომ ქურუმი ხარ და... დიდი ქურუმიც! – ნიმროდი წამოდგა და ხელი მხარზე დაადო ებერს: – უბრალო რამაა... გაგიარა ხომ? საოცარია: მეც – ქალდეველი, შენც – ქალდეველი! და ორივე – ქურუმი!

ებერს უნდოდა წამოდგომა, მაგრამ აღარ (თუ ვეღარ) წამოდგა. ალბათ ასე ენება ნიმროდს.

– ებერ, საუბრის შესავალი ძალიან ხომ არ გაგვიგრძელდა?!

– თქვენ, ნიმროდ...

– შენობით, ებერ! განა შენ ჩემთვის სხვა ხარ და რატომ თქვენობით? იცი კი რისთვის დამიბარებიხარ?

ებერმა მხრები აიჩეჩა და მზერა აარიდა ნიმროდს.

– ებერ, დავივიწყოთ ენაც და დამწერლობაც, ბაბილონის, ქალდეისა თუ მთელი შუამდინარეთის ისტორიის გაცოცხლება თუ ნიბირუზე ჩამოფარებული ფარდის ახსნა... ამას შენს გარდა სხვა ვერავინ ახსნის, მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამეს მინდა მივაპყრო შენი ყურადღება!

ებერიც გამოცოცხლებულიყოსო თითქოს: სმენადქცეულს თვალი ნიმროდისათვის მიეპყრო.

– გისმენ, ნიმროდ!

– ებერ, მე ჩვენგან ჩრდილოეთით მდებარე ის დიდი ქვეყანა მაინტერესებს – თარგამოსის ქვეყანა. ჩემს ბაბილონსაც რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფრით ჩამოუვარდებაო, მსმენია. თარგამოსიც არ უნდა იყოს მთლად უბრალო ვინმე... იაფეტის მოდგმისაა და მართლაც: ვინ არის თარგამოსი?

– თარგამოსზე ბევრი მსმენია, მაგრამ პირადად არ მინახავს. არ ვიცნობ! იქნებ ნახევრად ღმერთი იყოს! უძლეველი მეომარია! მამაჩემი იყო იმ ჩრდილოეთში და ისეთ სასწაულ ამბებს მომითხრობდა, რომ... სწორედ დაუჯერებელს! იგი მთელი იმ ჩრდილოეთის ბატონ-პატრონია, დიდი მბრძანებელი! ჩვენი მონათესავე ტომები გაუერთიანებია და შიშის ზარს სცემს მთელ იმ მხარეს! რვა შვილი ჰყავს თარგამოსს, რვა გმირი! თარგამოსს ასულიც ჰყავს და: ვერავინ მოსთვლის იმის მრავალრიცხოვან მოდგმას. უფროსს ჰაოსი ჰქვია და ტყუპისცალი ჰყავს – ქართლოსი. იმათ მოსდევენ: ბარდოსი, მოვაკანოსი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი.

– ჰო, თარგამოსის ქვეყანაზე გსმენია, მაგრამ არ კი გინახავს. რვა შვილი ჰყოლია და ყველა – გმირი! დიდებულია! მე მესმა ესე ყოველი და ვიხილო მინდა ესე ყოველი! მაგრამ ბაბილონსაც ვერ მივატოვებ. ებერ, გაიგნებ კი გზას ჩრდილოეთისკენ?

– გავიგნებ მგონია... ის გზა მესიზმრ-მელანდება და თვალწინ მედგასო თითქოს – თარგამოსის ჩრდილოეთი...

– თარგამოსის შვილებზე რა იცი, ებერ?

– თითქმის არაფერი... – თავი ჩაქინდრა ებერმა, – თუმცა ჰაოსსა და ქართლოსზე რაღაც მაინც მსმენია. ორივე ძლევამოსილი გმირია! ორივეს შეუძლია ძლევაᲝ მტრის.

– ჰოდა, იფიქრე ამ შორეულ გზაზე!

ებერს ნიმროდის კოშკში აღარავინ აკავებდა უკვე. თვითონ ნიმროდი თავის ფიქრის სავარძელში თვლემდა და ვინ იცის საითკენ ქროდნენ მისი ფიქრები?!

ებერმაც ჩაიარა ხვეული კიბე და არც კი შეუმჩნევია, როგორ აღმოჩნდა თავისი სასახლის წინ. ვერა და ვერ მოეგონებია, როგორ განვლო ამ სიშორე გზა. უკან მოყოლებულ ფიქრებს სასახლეში შეაფარა თავი.

... იქ კოშკში კი: დიდხანს ებრძოდა ნიმროდი ფიქრებს; ბაბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონიც თვლემდა ნიმროდივით და არავინ უწყოდა რას ფიქრობდა თვითონ ბაბილონი...

* * *

„ჭეშმარიტება – ჩემს მარჯვნივ, სიმართლე – მარცხნივ!“

„იაროს ჩემს წინ სიმართლემ, იქმოდეს სიმართლის ძალა! ჩემს უკან შევიგრძნობდე მარადიული მშვიდობის სუნთქვას!“ – ამოუთქვამს გრძნეული გული ნიმროდს და სარკეში იყურებოდესო თითქოს, შეჰყურებს საკუთარ „მეს“. სარკისეულია იგი, ბავშვობაში რომ უნატრია, ნეტა ასეთი ვყოფილიყავიო! ახოვანებითა თვისით და სიბრძნით დაეჩრდილა ქვეყნად ყოველი. კიდევ მეტი: დაეთგრუნა ყოველი სულიერი და უსულოც.

იგი: ნიმროდი ისე ამაღლებულა ადამიანთა შორის, რომ აწი ველარავინ შემოწვდეს ამ სიმაღლეზე! იგი მარდუქის რჩეულია! (იქნებ თვითონ მარდუქიც!) განა მარდუქმა არ დაანათლა მას ელამის ყოვლის დამთრგუნველი და ცხოველმყოფელი ძალა?!

ერთხელაც: გამოეცხადა თვითონ მარდუქი და სარკეში შესცქეროდესო თითქოს საკუთარ თავს!

– მე ამოვთქვამ; – იტყვის მარდუქი, – შენ გაიმეორე!

მარდუქი: – სიტყვაა სიცოცხლე და:

ნიმროდი: – სიტყვაა სიცოცხლე და:

მარდუქი: – სიტყვა მითქვამს მე – მარდუქს!

ნიმროდი: – სიტყვა მითქვამს მე – მარდუქს! (შეცბება: – მე ხომ ნიმროდი ვარ)?!

მარდუქი: – განსჯით მერე განსაჯე, ახლა კი გაიმეორე ჩემი სიტყვა!

– მე ვამბობ: ავავსო ვინძლო მე ჩემი სიტყვით...

ნიმროდი: – მე ვამბობ: რომ ავავსო მე ჩემი სიტყვით....

მარდუქი: – ეს ცა, ეს მიწა!

ნიმროდი: – ეს ცა, ეს მიწა!

ნიმროდმა გაახილა თვალი და: მის წინ – სიცარიელე! მარდუქი აღარსად იყო.

ნიავმა მოუბერა: უბრალო ნიავიც არ უნდა ყოფილიყო იგი.

ათასფერასხივოსნებული ნიავი ელაციცებოდესო თითქოს და ნიმროდიც ეფლობოდა სულ უფრო და უფრო ტკბილ-მოთბო ბურანში.

სიზმარი უნდა ყოფილიყო ეს და: ესიზმრებოდა ნიმროდს: გადაიხსნა ცა და იხილა იგი, თვითონ მარდუქი!

– ნიმროდ!

– უდიადესო მარდუქ!

– თვითონ, უდიადესო ნიმროდ! შენზე აღმატებულსაც ვერავის ვხედავ და ვერავისაც ვცნობ მე შუამდინარეთში! მოხარული ვარ, ჩრდილო მხარეთა შესწავლა რომ გინებებია. მიენდე მართალ ებერს. გზის გაგნებაში მე დავეხმარები, ცისკრის ვარსკვლავად ავენთები და იაროს ჩემკენ და სულ ჩემკენ! მერე? გაიყოფა თქვენი გზები. ებერს შენს გვერდით ვეღარ ვხედავ. შენ კი მოილტვი ჩემკენ და მაღლდები. ამომაღლდები შენც ჩემამდე და... ეს უთუოდ მოხდება! და იცი, რა გევალება, ნიმროდ? მხედავდე და კითხულობდე ჩემს ფიქრებს. შეიძლება დაგიცდეს ფეხი, მაგრამ გახსოვდეს: შენით, სხვის დაუხმარებლად უნდა ამაღლდე! მე და შენ ერთ არსებად უნდა ვიქცეთ! არა და: დაეცემი! რასაც შენი (ნიმროდის) დასასრული უნდა მოჰყევს, მაგრამ ეს აღსასრულიც არ იქნება!

მე გაგაფრთხილე, ნიმროდ! აწი საკუთარი ბედის მჭედელიც თვითონ ხარ! მე გზა დაგისახე. შენც შეუცდომლად უნდა გამოჰყვე ამ გზას. ახლა კი: ფიქრი მოიშველიე და მისი წყალობით საკუთარ თავში ჩაბრუნდი! იქ მოიძიებ შენ შენს მეს! სწორედ იქიდან, მხოლოდ იქიდან თუ შეძლებ ჩემამდე ამომაღლდე! მაგრამ გახსოვდეს: არაფერი შეგეშალოს! იქ დაგხვდები მე – მარდუქი! დედა-სამყაროს თიამათის დამამხობელი, მოიძიებ საკუთარ თავს და მომიძიებ მეც! არა და... იქნებ მიღწეულით დაკმაყოფილდე მხოლოდ?! თუ მხოლოდ აცილდე საკუთარ თავს და: უსასრულობაში შეცურო! დადგე გინდა? უნაყოფო ნებივრობას მიეცე? თუ შეინავარდო, შემოინავარდო ჩემს საუფლოში?!

– მოვდივარ! მე მარად მაძიებელი ვარ! მინდა ჩემი დიადი გარდასახვის მოწმე და მოწამე თვითონვე ვიყო... ჩემი მეტამორფოზა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნიმროდ, მივესალმები შენს ღვთაებრივ გადაწყვეტილებას! დიდებასაც მაშინ ეწევი, თუკი გადადებ თავს იდეისთვის. შესაძლოა, დამარცხდე, ვეღარ განახორციელო იდეა, მაგრამ ამაღლებულს შეგეძლება მკვდრეთით აღდგომა! აახილე თვალი და გზას იხილავ (უფრო იგი გზა მოგიხილავს შენ) ჩემკენ ამოტყორცნილს... ოღონდ ინდომე, ნიმროდ! ინდომე და გზაც ხსნილი იქნება შენთვის! მე გითხარი და სიტყვა შენზეა ახლა! – ითქვა ნიმროდის გასაგონად და პირიც შეიკრა ღვთაებრივმა სივრცემ.

ძილქუში დასცემოდა ნიმროდს. ესიზმრებოდა, მაგრამ მთლად სიზმარიც არ ეთქმოდა ნიმროდის ამნაირ ყოფას:

უდაბნოში მიაბიჯებს მთლად ფეხშიშველა. ცხელი ქვიშა წვავს ფეხის გულებს, საცრისოდენა თვალები ცხელი სილით ამოვსებია. თვალებში ჭრის. უკვე მთლად საცრისოდენაც აღარ ჰქვია მის თვალებს.

ღრმად შეისუნთქავს და აეწვება ფილტვებიც. სუნთქვისაც ეშინია. ვერაფრით ამოუხველებია ის ერთი ნახველა სილა.

ნაშუადღევი უნდა ყოფილიყო.

ეს რა ჭირს: ცხვირთან ვერ მიუტანია თითი.

„თითქოს წინ მიმიძღოდეს რაღაც ჩრდილივით, მაგრამ ჩრდილი არ არის! მაშინ რა უნდა იყოს? ვინ უნდა იყოს? ასეთი არავინ მინახავს! არ მინახავს და არც გამიგონია! ღმერთია იქნებ? განგება? არც – ღმერთი და აღარც – განგება!

ნიმროდმა თვალი ჰკიდა მის წინ მდებარე უდაბნოს. იგი ტოკავდა ნიმროდის გულივით.

ჩრდილს მოეცვა დასიცხული უდაბნო, მაგრამ ეს არ ყოფილა ნიმროდის ჩრდილი. და ამ ჩრდილში შედიოდესო თითქოს, რომ მოეცვა მთელი ეს ჩრდილი, არა და ჩრდილი მოიცავს მას: „იქნებ ჩრდილია ჩემი, მომიბრნუდა და ერთმანეთს ეპატრონეთო“, მაგრამ არა!

მერე და მერე გააცნობიერებს, რომ კი არ დაბრუნებოდა ჩრდილი, თვითონ ქცეულიყო ჩრდილად და განვრცობილიყო ის უსასრულოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა: გზაც გაიგრძელა: მიიჩრდილებოდესო თითქოს.

და ჩრდილი იგი იპყრობდა ქვეყნიერებას(!)

ჩრდილი ყოველგან! მხოლოდღა ჩრდილი!

მაგრამ სინათლე?

დაჩრდილულიყო იგი სინათლე!

ნათელი ვეღარ ასინათლებულიყო....

ნიმროდი გამოერკვა. მოწყინდა და აღარ ინდომა ჩრდილში ყოფნა. იზრდებოდა ჩრდილის სინესტით: მოკიდებოდა ობი და აციებდა.

და ვიდოდა ნიმროდი ასე შელანძღულ-შეციებული. უმძიმდებოდა ქუთუთოები.

შეეშინდა, ვაითუ ჩაძინებოდა და დააჭყიტა თავისი საცრისოდენა თვალები და რა თვალები? ლამის გადმოცვენოდა უპეებიდან.

დაზაფრული მიიწევს წინ.

ახლაღა შეამჩნია, ფეხები ეფლობოდა რაღაცნაირ წებოვან წუმპეში და გულიც უგრძნობდა, რომ ამ წუმპიდან ვერასოდეს ამოაღწევდა.

და სასრულიც აღარ ჰქონდა ამ ჩრდილოვან გზას!

წინ – ჩრდილი: ჩრდილი – უკანაც, მარცხნივ – ჩრდილი, ჩრდილი – მარჯვნივაც!

ჩრდილს მოეცვა ქვეყანა მთელი;

იყო ჩრდილი, ნათელი – აღარსად.

და მზისაგან თავგაბეზრებულს მზე მოენატრა(!)

მონატრებოდა ოდინდელი ყოფა თავისი, თუმც ოდინდელზე აღარაფერიც მოეხსენებოდა.

ჰოდა: დაწყევლა ჩრდილი თვისი, რომელიც არ ჰქონდა, დაწყევლა ჩრდილიც სხვათა.

და ხედავს, თვითონ მზესაც არ ჰქონდა ჩრდილი: დაკარგოდა, თუ ჩრდილი დარჩენილიყო სწორედ უმზეოდ!

მზე მზეც აღარ იყო და ნიმროდმაც ამოიგდო ფიქრი მნათობზე.

ჩრდილზეღა ფიქრობს. წაიღო ფიქრმა ნიმროდი, შორს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატყორცნა, მოაშორა აქაურობას!

იარა ნიმროდმაც, იარა და: მზეც აღარ იყო: იყო ჩრდილი მისი, მაგრამ მზე აღარ ჰქონდა ამ ჩრდილს!

აქ თვითონ ჩრდილსაც წაიღებს ფიქრი. მაშინ იყო, ნიმროდმა გზას რომ შესტყორცნა მზერა! გადაეღალა თვალი, მაგრამ გადაღლილიყო თვითონ გზაც!

ახლა გზა ძულდა, გზა, რომელზედაც იდგა. მაგრამ გზაზე ფიქრობდა მაინც, აღარ უწყოდა, რაზე ფიქრობდა თვითონ გზა?

აღარ შეეძლო და აღარც უნდოდა ამ გზის დანახვა: „დავხუჭავ თვალს და აღარ იქნება გზა! აღარ გავახელ თვალს და ასე ხომ შემომაკვდება კიდეც! მაგრამ ხომ მაინც მიიმდოვრება ჩემში ეს გზა-მდინარე! არსადაც არ გამდინარებულა ჩემგან! საით, საით, მდინარევ ჩემო? უფლისკენ? და იმ უფალს მარდუქი უნდა ერქვას!

მდინარე ჩემი სულის! ამდენხანს ვგრძნობდი მხოლოდ, შევიგრძნობდი, ახლა კი მესმის მისი. ახლაც ვხედავდე თითქოს!

ჰო, გვიპოვია ჩვენ ერთმანეთი და აღამაღლე, მდინარევ, ნიმროდი, ცად შეტყორცნე და:

ველი, ველი მე დიდ ფერისცვალებას!

მე ხომ ერთადერთი ვარ, ერთადერთი და განუმეორებელი: გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა!

დამძიმებული ქუთუთოები შემსუბუქებოდა უკვე. გადაელახა რაღაც ზღვარი და სადაცაა სიზმარშიც შეაბოტებდა. სადღაც მართლა იყო, მაგრამ ვერ კი იცნო იქაურობა: „თითქოს ნამყოფიც უნდა ვიყო ამ მიდამოებში, მაგრამ ვერ გამიხსენებია.“

უცებ მის წინ თითქოს მიწიდან ბორცვი ამოიჭრა. ეცნო ეს ბორცვი და გაიწია იმისკენ, მაგრამ მიწამ არ აუშვა. მიმოიხედა ირგვლივ: არავინ იყო, ძეხორციელიც აღარსად ჩანდა. ფეხის გადადგმა დააპირა, მაგრამ ახლაც არ აუშვა მიწამ. იკითხა ვინ რას მერჩისო და პასუხი ვერ გაიგონა. და: უცებ საშინელი შხუილ-გრუხუნი ესმა და წყალმაც ჩამოიარა. იზარდა წყალმა და წყალუხვ მდინარედ გადაიქცა. მიედინებოდა იგი დასავლიდან აღმოსავლით: „მეცნობა ეს წყალი...“ – გაიფიქრა, მაგრამ იმის

შიშით, რომ დაეკარგებოდა ეს წყალი, შეწყვიტა ფიქრიც. ისევ წყალი გამოელაპარაკა: – ნუთუ ვერ მიცანი, ნიმროდ? გაგიგონიათ სადმე გულმავიწყობა ასეთნაირი? – იკითხა და მიყუჩდა. მაინც ვერ მოითმინა წყალმა: „ეს ქვევრიც ვეღარ უნდა იცნო? იქნებ გაიხსენო: წყალი, ქვევრი და შენ, ნიმროდ?“

– მე, ქვევრი და წყალი...? – მაგრამ ვეღარ მოიგონა, მეხსიერება ღალატობდა. აიღო მაშინ ქვევრი, ამოხაპა წყალი და:

– ახლაო? – წყალმა ჰკითხა, – იფიქრე ნიმროდ, შენ რაღაც მთავარი დაგვიწყებია!

და ნიმროდმაც ამოიხვნეშა: – ჰოი, შეჩერდი წყალო, გთხოვ, გევედრები!

შედგა წყალიც და ნიმროდსაც გაუნათდა გონება: – შენ ევფრატი ხარ, დიდი წყალი... ჩემი წყალი!

– ნიმროდ, აჩქარდი! – ეტყვის დამდგარი წყალი, დავიწყებოდეს თითქოს, რომ მიმდინარეობდეს უნდა: – ნიმროდ...

– ჰო, შენ დიდო წყალო, მომეც ეს ერთი ქვევრი წყალი? იქ მაღლა, კედარსაა, რომ მოწყურებია!

– ამდენი ხნის მწყურვალი გელის კედარი! ჰოდა, მოაკვლევინე წყურვილი კედარს!

– წყალო ევფრატისა, დიდი მადლობა, მეხსიერება რომ დამიბრუნე! – სუნთქვა შეიკრა: „წვეთი წყალი რაღაა და ისიც რომ დამეღვაროს, თვალი სირცხვილისგან ვით გავახილო?!“ – და შეჰყვა ნაცნობ გზა-ბილიკს.

კედარიც გულგადალეული ელოდა ნიმროდს. შესვა იმანაც წყალი და გამოიხედა თვალებში.

– სულზე არ მომისწარი, ნიმროდ?! ახლა კი მაუწყო იქნებ, რა გაგჭირვებია? – აშრიალდა კედარი, – გისმენ ნიმროდ!

– ნიბირუ ცოტას მოითმენს, კედარო ჩემო! – გული აუფანცქალდება ნიმროდს.

– ნიმროდ, შენ ღელავ?

– კედარო ჩემო, აქედან შორს, შუამდინარეთიდან ჩრდილოეთით ერთი დიდებული მხარეა, მართლაც წალკოტი – თარგამოსის სამკვიდრებელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მაგრამ თქვენი შეხვედრა რომ... გამიგონია თარგამოსზე, უძლეველი მეომარია: იქით – თარგამოსი და აქეთ შენ – ნიმროდ! ნიმროდ: იკმარე შუამდინარეთი! თვალს ნუღარ დაადგამ თარგამოსის ქვეყანას!

– არა, შენ ვერ გამიგე: მე უბრალოდ, გზა მინდა გავკვალო ჩრდილოეთისკენ....

– და ხელს რა გიშლის? – ჩამოსძახა კედარმა და თავისკენ მიიზიდა ნიმროდი, ნიმროდიც მის სუნთქვად იქცა.

ჰოდა: გზაც გაიჭრა კაცის თვალისთვის ჩრდილოეთისკენ.

შორი კი იყო ჩრდილოეთამდე, მაგრამ კაცის თვალმა თვალის დახამხამებაში განვლო იგი და გულის ფიცარზე აღებეჭდა თვალით მოხილული. – მაგრამ თარგამოსთან მარტოც არ მინდა სტუმრობა. ებერს ვიახლებდი...

– მართალ ებერს? არჩევანში არ შემცდარხარ, ნიმროდ. ამ დიდი გზის ნახაზ-გეგმა გულის ფიცარზე გაწერია და შემიძლია გზაც დაგილოცო.

ნიმროდი მადლობას გადაუხდის კედარს და დაუბრუნდება თავის დროს. – თითქოს ვიყავი სადღაც, დროის გარეთ და დავბრუნებულვარ, – ჩემს დროში ვარ უკვე და მიხარია რომ ვარ! ვარ და მყავს ღვთაებრივი იგი კედარი...

* * *

ნაშუაღამევს გამოეღვიძა. ნერწყვი გამწარებოდა: „ვინ უნდა ყოფილიყო ნეტა? თითქოს მარცხენა ლოყაზე შემომკრეს, გამოფხიზლდი, რა დროს ძილიაო?! – ჩემგან რას ითხოვთ? რა გინდათ? – წამოიყვირა წარბშეკრულმა. რა დროს ძილიაო?! ვის რა უფლება აქვს, ასე მელაპარაკო, მე – გმირ მონადირეს?! – როგორც იქნა მოთოკა გრძნობები: – იქნებ მართლა გამომრჩა რამე, ან: სადმე დავიგვიანე? – იკითხა. საყვედურობდნენ და ეს მოხვდა გულზე.

იკითხა, მაგრამ აღარ ელოდა, რომ უპასუხებდნენ.

– გამოგრჩა დაიხაც და იგვიანებ კიდეც! – უპასუხეს ნიმროდს.

– მე მსაყვედურობთ? – ამოთქვა ლამის გაოგნებულმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკმელთან მიიჭრა: – იქნებ აქედან მაინც დაგინახო!

– შენი სარკმლიდან მე ვერ დამინახავ. ჩემი დანახვა მხოლოდ გულის თვალითაა შესაძლებელი. საყვედურით კი მართლა მინდა გისაყვედურო!

– და ამის უფლებას თავს რომ აძლევ, მაინც ვინ უნდა იყო?

– ნიმროდ, დამშვიდდი. მე შენი კეთილისმყოფელი ვარ!

– მარდუქი ხარ? როგორ ვერ გიცანი?

– იცი კი, რის თქმას ვაპირებ? ხომ კარგად მისმენ, ნიმროდ? შენთან იმ შენს წინანდელ ღმერთს უნდა საუბარი და იმის გადმოგდებულ ანკესს არ წამოეგო! წინასწარ გაფრთხილებ! გაესაუბრე, მაგრამ ელაპარაკე არა როგორც ღმერთს, უზენაეს მსაჯულს, არამედ როგორც უბრალო მოკვდავს, თავბრუ არ დაგახვიოს. ფრთხილად, ნიმროდ! იცოდე: თუკი გძლია და იმის დაგებულ მახეში აღმოჩნდი, თუნდაც უნებლიეთ, მერე მარდუქის სახელიც აღარ ახსენო!

– მართლა მარდუქი არ ყოფილხარ?! მე კი ვეჭვობდი! – სახე გაუნათდა ნიმროდს, – ამდენ ხანს მინდოდა, მეხილე და: რაღაც მართლა მჭირს. ღმერთო მაღალო, მაგრამ ვერ შემიტყვია ამის მიზეზი. ჰო, მართლა: ჩრდილოეთში ვაპირებ გამგზავრებას ებერთან ერთად.

– ნიმროდ: ებერი მარტო გაემგზავროს. ელჩად წარგზავნე თარგამოსთან. შენ კი ბაბილონში უნდა იყო! ხომ არ დაგავიწყდა, რომ გეურჩებიან ელამისა და მარის ქვეყნები! აგემე იმათ შენი ლახვარის ძალა, შეიძლება აქეთაც შემოგიტიონ! მერე და ბაბილონს ჯერაც არ მიუღწევია თავისი დიდებისთვის! ჯერაც ვერაა შენი ბაბილონი ის ბაბილონი, მე რომ წარმომიდგენია! და თუკი ჩემს რჩევას გაითვალისწინებ, ცამდე ამაღლდება ჩემი და შენი ბაბილონი! შენი სახელი – ნიმროდი გილგამეშსაც დაჩრდილავს!

– მითხარ, საიდან დავიწყო, თუკი არ დამიწყია ჯერ?

– კარგად კი მოგიფიქრებია ჩრდილოეთის ე.წ. მოხილვა! ებერი არ გიმუხთლებს, ერთგულად გემსახურება, მაგრამ მანამ, სანამ....

– სანამ?! – შეშფოთდა ნიმროდი, – ებერი განმიდგება? როდის? რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნიმროდ, ებერს სხვა ღმერთი ჰყავს და ახლაც იმ ღმერთის ერთგულია! შენ კი...

– მე ჩემი ღმერთი მყავს და იგი შენ ხარ, დიდებულო მარდუქ, ღმერთების ღმერთო! მეუფევ ცისა და მიწის!

– ნიმროდ, ბაბილონში მინდა ერთგული ღმერთის ნაცვალი მყავდეს. შენ მიმაჩნიხარ ჩემს ნდობით აღჭურვილ პირად არა მარტო ბაბილონსა და შუამდინარეთში, არამედ სრულიად დედამიწაზე! მაგრამ შეუძლიათ გაიძულონ, განმიდგე და ეს რომ არ მოხდეს, ნიმროდ, კარგად მომისმინე! ის შენი ღმერთი, ჩემამდე რომ გყავდა, ებერის ღმერთია... და ებერიც მთლად უბრალო ვინმეც არ გეგონოს?! ცაბაოთს ძალუძს: ებერს განუზომელი ძალა მიანიჭოს, რომ დაგიპირისპირდეს და: არეულობა გამოიწვიოს ბაბილონში. აირევა შუამდინარეთი და...

– წირვას გამოვუყვან ებერს!

– ეს მეტისმეტი იქნება... ვთქვათ მოკლავ ებერს, მაგრამ გამოჩნდებიან სემიტებში სხვა ებერები, იქნებ ებერზეც ძლიერნი და გონიერნიც.... იაფეტის მოდგმაშიც მოიძევებიან გმირები, თუნდაც თარგამოსი და მისი ძენი.

– ვერ მომერევიან, თუნდაც ათასნი იყვნენ!

– ნიმროდ, ხომ რა გავიწყდება რომ, მჯობზე მჯობნი არ გამოილევიან! და შეუძლიათ, გავნონ! შეეკვრებიან ცაბაოთი და ადამიანები ერთმანეთს და თუკი ვერაფერი დაგაკლეს, მაშინ, წარღვნას მოგივლენს ცაბაოთი! და კიდობანიც ვერაფერს გიშველით. შენ და ებერი წარღვნას არ შესწრებიხართ, მერე დაიბადენით...

– მაშინ როგორ მოვიქცე? – ნიმროდი შეფიქრიანდა. – გამოსავალს რაში ხედავთ?

– ნიმროდ, იფიქრე! შენ შეგიძლია ფიქრი, მხოლოდ შენ ადამიანთაგან, ერთადერთს ძალგიძს გამოსავლის მოძიება!

– ჰოდა, ვიფიქრებ!

და ჩაფიქრდება ნიმროდიც.

მარდუქი თვალს არ აცილებს თავის რჩეულს: „მიაგნებს გამოსავალს! მიაგნებს უეჭველად! ნიმროდ, იმიტომაც მოგცემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონი, რომ დაიძლიოს შენს წინაშე აღმართული ყოველი ბღუდე!“

– მგონი... გოდოლი იმსიმაღლე, გოდოლი იმხელა, ცას რომ წვდებოდეს თავით!

– ჰო, გოდოლი თვალუწვდენელი! გაუტოლდები იმ უკვე ყოფილ ღმერთს, ცაბაოთს, ზურგი რომ შეაქციე ერთხელ! ჰოდა, თავსაც რომ არ დაიხჩრობს მისსავე მოვლენილ წარღვნაში.... წყლის დონეს აღარ ასწევს და... „ცაის“ ხელა გოდოლი, ნიმროდ! ჰოდა, ვერაფერს დაგაკლებს შენ ცაბაოთი!

– ბაბილონის გოდოლი!

– ვეღარ მოგწვდებათ თქვენ წარღვნის წყალიც... ამაოდ დაშვრება ცაბაოთი...

და ასეც დაზავდნენ: მარდუქი და ნიმროდი: ღმერთი და კაცი!

ესმოდათ: ერთი მეორის...

* * *

ზის ნიმროდი თავის ფიქრის სავარძელში და ფიქრობს: ბაბილონზე, მის აწყმოსა და მომავალზე.

იცის: წარსულად იქცევა აწყმო-ყოველივე დღევანდელი და მომავალი დაიკავებს აწყმყოსაგან თავისუფალ ადგილს. ფიქრმაც როდი უნდა ტკეპნოს ადგილი?!

ფიქრობს ნიმროდი თავის თავზეც, თავისთვისაც ხომ უნდა მოიცალოს?! იგი ბაბილონის მეფეთ-მეფეა და უმაღლესი ქურუმიც! შეუძლია წაიკითხოს ფიქრი ყოველთა! იცის, ხვდება, რაც ხდება ბაბილონში და იქნებ: რაც აწი უნდა მოხდეს!

და მაინც, რა ნებავს ნიმროდს?

ერთი რამ კი ნამდვილად გაუცნობიერებია: მოვიდა ქვეყნად ცარიელ-ტარიელი, სულ შიშველი და არაფრის მქონე, მაგრამ დღეს ყოვლისშემძლეა! ისიც გაივლის მისთვის დაწესებულ წუთიერ სოფელს და: აღარ იქნება!

და ნიმროდიც მოიწყენს: როგორ თუ არ იქნება?! მაინც როგორ გაიგოს ეს „არ იქნება?!“ უბრალოდ: არ იქნება და მორჩა და ადამიანთა ხსოვნას ამ თავისი ნაჯაფ-ნამოღვაწარით შემორჩება! სულ ეს არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ სადარდებელს თან წაიღებს: წარსულის არმქონე სული! აწმყო გიყვარდეთ: ნიმროდითაა გაჯერებული ბაბილონი, მთელი შუამდინარეთი!

ნიმროდის სახელი აკერია პირზე დიდსა და პატარას: ნიმროდი – ყოვლისშემძლე, ნიმროდი – დროის განმგებელი, ნიმროდი – ღმერთივით!

„და რატომ ღმერთივით და არა – ღმერთი?!“ – ფიქრმა წაართვა თავი და თავიდანაც მოიშორა ფიქრები. ფიქრი – აღარც ერთი! უნებლიეთ გააძაგძაგა.

– ნიმროდ!

ეუცნაურა ეს ხმა, როგორ არ სმენია?! და რამდენჯერ?!

– და მე შენი პირველი ღმერთი ღმერთიც აღარ ვარ შენთვის?! – ახლა სივრცესაც შეაძაგძაგა და ნიმროდიც ზეწამოიჭრა.

– გიცანი, ცაბაოთ, მაგრამ რომ არც ჩამიფიქრებიხარ, არც მინატრიხარ და ჩემთან რაღა გინდა?! ხომ არ გინდა გეწიოს ჩემი ყოვლისმსახვრელი ისარი?! ჩვენს შორის ხომ გარკვეულია ყველაფერი?!

– გარკვეულიო?! – მეორედაც შეაძაგძაგა სივრცეს: – ახლა რომ ვუკვირდები, შენთან ქამიც მონაგონია! შენთან როგორ მოვა ქამი?! თუმცა ქამი აქ რა მოსატანია? შენ მართლა ნიმროდი ხომ არ გგონია თავი?! შენ შენი საკუთარი ჩრდილიც არ გაგაჩნია! მოგიპარავს ნიმროდის სახელი, ადამ-იანო. შე უსახელოვ და ჩრდილწართმეულო! ნიმროდი არ ხარ და არცა ხარ ვინმე! უსახელო და მიუსაფარი! და დროზე თუ არ მოხვალ გონს, აღარც კი ვიცი, რა სასჯელს დაგადებ! შენ ხომ გზას აცდენილი ცხვარი ხარ, ადამ-იანო, ხედავ, ნიმროდობა არ უნდომებია?!

– და რა გინდა ჩემგან, ცაბაოთ, ჩემგან რას ითხოვ? შენთან გამიწყვიტავს ყოველგვარი კავშირი და რას გადამკიდებიხარ? მე ველარ გხედავ, შენი გაგონებაც აღარ მინდა, აღარ მესმის შენი: ნურც შენ დამინახავ და ნურც გაიგონებ ჩემსას! ბარი-ბარ ვიქნებით. მე აღარ გერჩი და შენც ნულარ მერჩი. დავივიწყოთ ერთმანეთი, თითქოს არც ვყოფილიყოთ ერთი მეორისთვის!

– ნიმროდ... ადამ-იანო, შვილად მყოლოდი მინდოდა და რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ განმიდექი?

– შენ რომ ქამმა აგითვალისწუნა, სამაგიეროს ამიტომ მიხდი... ქამი დაგესაჯა სამაგალითოდ! რას გვემართლები მთელ იმის მოდგმას?!

„მართლა ქამის შვილიშვილი არ ჰგონია თავი და მართლა რომ იცოდეს, ვინც არის სინამდვილეში, რაღას იზამდა მაშინ?! აიანცებდა ქვეყნიერებას! სიცოცხლეს გავუმწარებ, თუ ვყოფილვარ მე ცაბაოთი! ამა სოფლად ბოძებულ იმ წუთს უსაშველოდ გავუხანგრძლივებ და... ისეთ დღეში ჩავადგდებ, რომ თავგაბეზრებულმა სიკვდილი ინატროს. თავი მოიკლას და ვეღარ კვდებოდეს! მართლაც ღვთაებრივია ჩემი ჩანაფიქრი!“

– და კიდევ რას ფიქრობ, რა ოინს მიწყობ, შე ვითომ ღმერთო? ეს შენი ფიქრიც, შეგეშინდა, რომ არ წამეკითხა და ისე შეფუთე, რომ... გეშინია შენ ჩემი, ცაბაოთ!

– ნიმროდ, დაუბრუნდი შენსავ წიაღს და ჩამოგხსნი ყველა ცოდვას, რაც კი რამ ჩაგიდენია, შე მართლა ცოდვილო სულო! შენც ისე მიგიღებ, როგორც – ებერს. გაათავისუფლე ებერი შენი მეურვეობისგან და მთხოვე, რაც გინდოდეს... ვიცი, რაც ჩაგიფიქრებია და: მაშინებ, ნიმროდ!

– ებერს ვერ დაგითმობ, ცაბაოთ! ერთი მართალი კაცი მეც მინდა მხარში მედგას!

– გაათავისუფლე და გაგათავისუფლებ შენც!

– გამათავისუფლებ, ცაბაოთ?! და როგორ გგონია: ნიმროდი თავისუფალიც არაა?!

– თავისუფალი მართლაა ჩემგან, მაგრამ თავის უფალი ვერ არის! ნიმროდ: ებერი განსაკუთრებული მისიის შესასრულებლად მჭირდება და...

ნიმროდმა მხრები აიჩეჩა: – ხომ ვერ დამიზუსტებდი?

– ბაბილონში გავრცელებული ენა და მისი შესატყვისი დამწერლობა მე დამიდგენია თქვენთვის. ასე და ამნაირად რომ მეტყველებთ, სწორედ ჩემითაა. ებერი მისი მცველია და ხელს რატომ მიშლი, ნიმროდ? ეს ენაც და დამწერლობაც დასახვეწია, რომ საყოველთაოდ იქცეს. ებერი ამიტომ მოვავლინე ამ ქვეყნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დამითმო ებერი! დამითმობ ებერს და ჩამოგხსნი ცოდვებს, მათ შორის იმ პირველ ცოდვასაც! გონს მოდი, ნიმროდ! მე რომ ღმერთი ვარ, თითქოს არაფერიც არ უნდა მაკლდეს, მაგრამ მაკლია მაინც, ებერი მაკლია! დაე, აკეთოს ის საქმე, რომელიც ეხელეწიფება! ებერი მე უნდა მმსახურებდეს!

– მეტისმეტი მოგინდომებია, ცაბაოთ, ვერც მე შეველევი ებერს. იგი ჩემთვის წყალია; ებერითაა წყურვილს რომ ვიკლავთ მეც და ჩემი ბაბილონიც! ვიცი მე ებერის შესაძლებლობები. ახლა თარგამოსის ქვეყანში ვგზავნი განსაკუთრებული მისიით. გვადროვე, ცაბაოთ! თუ ღმერთი ხარ, რატომ ადამიანის სულში არ ჩაიხედავ?! აკეთე შენი ღვთაებრივი, ციური საქმენი, ჩვენ კი, ადამიანებს მიწა დაგვანებე! ებერი წავა ჩრდილოეთში!

– შორს უმიზნებ, ნიმროდ! მოდგება ჟამი და კისერს მოიტეხ!

– ეს რომ ჩემს მომავალში არ მომიხილავს?!

– და ყველაფერიც როდია ხილული შენთვის?!

– ცუდად ჭვრეტ, ცაბაოთ, ან სულაც ვეღარ ჭვრეტ! შენ რომ ჭვრეტა შეგძლებოდა, შენი ის დაცემაც უნდა განგეჭვრიტა! შენ ჩემს ღმერთამდე ათასი გორი და ათასი ზღვა გაშორებს... იქამდე შორია გზა!

– ეს შენთვის, ნიმროდ! აქ იმიტომაც რჩები, რომ ჯერ ელამი დალაშქრო და მერე – მარის ქვეყანა. მერე კი: თვალი ქარდუხისთვისაც ხომ არ დაგიდგამს, ნიმროდ?! შუამდინარეთია შენი საასაპარეზო მოედანი და მეტი რაღა გინდა?

– რჩევის მოცემას ხომ არ აპირებ, ცაბაოთ? შენი რჩევა აღარ ჭირდება ნიმროდს!

– ვიცი, საითკენაც იმზირები! მარდუქის ადგილს ხომ არ უმიზნებ, ნიმროდ? და მაინც მინდა გიწინასწარმეტყველო! პატივმოყვარე ნიმროდი დააქცევს ბაბილონს!

ნიმროდმა მუშტები შეკრა, ნუღარ მაცდენო, ცაბაოთს ასძახა და ცაბაოთმაც ჩამოსძახა: – ვცდილობ, გონს მოგიყვანო... შენ მარდუქსაც უღალატებ და რატომ არაფერს იღონებს წინდაწინ? ნიმროდ, რატომ არ ჩაიხედავ სულში, იქ შეგიძლია საკუთარი მომავალი იხილო! გეშინია, ნიმროდ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდმა თავი აიღო მაღლა და ზეცას შეჰხარხარა: – შენ რომ ჭეშმარიტი ღმერთი ყოფილიყავი, ჩემი მოთოკვა არ გაგიჭირდებოდა!

ცაბაოთმაც წარბები შეიკრა: – აწი რაც დაგემართოს, თავს დააბრალე! – ამოთქვა დიდი ნოეს ღმერთმა და ზეცამაც შეიკრა პირი.

ნიმროდიც შექანდა, თითქოს ელვა აძგერესო, მაგრამ თავს მოერია და ოდინდელი ძალა და მხნეობა მსწრაფლ დაიბრუნა. მოზიდა თავისი მშვილდი და პირმოკუმულ ზეცას შესტყორცნა.

– ესეც მორიგი ცოდვა! – იელვა და სანამ იქუხ-იჭექებდა, კოკისპირულმა წვიმამაც დაუშვა. ჩვეულებრივი წვიმაც არ ყოფილა ეს: სისხლი აწვიმდა მიწას(!)

„დავჭერი!“ – ნიმროდს სიხარულისგან კინაღამ ამოუვარდა გული: – „დროებით ხომ გამოვიყვანე მწყობრიდან?! დროს მოვიგებ, ესეც საქმეა!“

სისხლის წვიმა კი სულაც არ აპირებდა გადაღებას.

ნიმროდს ჟრუანტელი დაუვლის მთელ ტანში და თავისი ბედის ბედაური გაახსენდება. ბედის ბედაურიც უმალ გაჩნდება თავის პატრონთან. ბედის ბედაურს ბრძენი ბუც მოჰყვება, როგორც გაელვება. ჰოდა, სადავეს მიუშვებს ნიმროდი და ისარივით წინ გაიჭრებიან ერთმანეთს შეზრდილი ბედაური, ნიმროდი და ბრძენი ბუ.

* * *

ნიმროდი მთელი კვირაა არ გამოჩენილა ბაბილონში, არც არავის სმენია რამე მასზე. თითქოს მიწამ უყოო პირი, ან ცამ თუ ჩაყლაპა სულაც(.) არავინ, არავინ იცის მისი ასავალ-დასავალი.

ნიმროდის გაუჩინარებიდან მეორე დღესვე, უბედურება ეწია ებერს: მიიცვალა მისი მეუღლე: ისიც ქალდეველი, დედითაც და მამითაც ქალდეველი, ქალდეური ტრადიციების გულწრფელი მიმდევარი და გვარიშვილობითაც გამორჩეული.

ამბობდნენ: უცბათ მომკვდარაო, რაღაც ჯერაც უცნობი უკურნებელი სენი შეჰყრია და ვეღარც გამოჯანმრთელებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესიც ქალდეური აუგეს, ძირძველ ქალდეურ მიწას მიაბარეს მისი ცხედარი.

გულდამძიმებულ ებერს – ყველაზე გამორჩეულ მკურნალს მთელს ბაბილონში, ხელი მოეცარა ამჯერად, უძლური აღმოჩნდა უცნობი სნეულების წინაშე და ფარ-ხმალი დაჰყარა.

დარჩნენ ებერი, მისი შვილები ას წელს მიღწეული მამიდის ამარა.

და ებერიც უცებ გამოერკვა: მოფხიზლდა და ნიმროდი წარმოუდგა თვალწინ: მოიკითხა და რომ ვეღარსად მოიხილა, გული დაწყდა (არ კი ეგონა).

„ნუთუ დაგავიწყდა, რომ ჩრდილოეთისკენ ვარ გასამგზავრებელი?! სად არის ნიმროდი?! სად დააქროლებს გულზვიად ნიმროდს თავისი გრძნეული ბედის ბედაური, რატომ სივრცეს არ შესჩხავლებს ნიმროდის მხარს ჩაფრენილი ბრძენი ბუ?! ასეა ყოველთვის: ყოველი დიდი გადაწყვეტილების მიღების წინ ასე გადაიხვეწ-გაადაიკარგება გაურკვეველი დროით და მხოლოდ გადაწყვტილების მიღების შემდეგ, თითქოს არარსაიდანო, გამოეცხადება ბაბილონს და ბაბილონიც მუხლს მოიყრის ნიმროდის წინაშე. ნიმროდიც გადახედავს თავის ბაბილონს: მისია ბაბილონი! ბაბილონი ხომ ნიმროდმა გამოძერწა თავისი ღვთაებრივი ხელით და სულიც (სწორედაც ღვთაებრივი) შთაბერა. მარტო ის რად ღირს, დროსა და სივრცეში შეუძლია მოგზაურობა?! საიდუმლოებითაა მოცული მისი სამი დღით გაუჩინარებაც ბაბილონიდან. წარსული მოუხილავსო... საითკენ უმიზნებ, ნიმროდ?! ნიმროდ: შენთვის ხომ აღარ არსებობს ზღვარი! ვიცი, როცა იქნება გაარღვევ ჩარჩოებს და... იქნებ საკუთარი თავიდანაც ამოვარდე და... მაინც ვინ ხარ, ადამიანო?! შენ უბრალო ნიმროდიც ვერ უნდა იყო!“

ნიმროდი კი არა და არ ჩანდა(!) გრძნობდა ებერი, რომ ბაბილონს სრულყოფილებამდე ბევრი აკლდა და ნიმროდის გარდა სხვა ვერავინ შეძლებდა იმის სრულყოფას. მაგრამ ვაითუ ცოცხალი აღარ იყო ნიმროდი?!

უნდოდა კი ებერს ნიმროდის სიკვდილი! ან შეძლებდა კი ვინმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვა ნიმროდობას?

ებერის აზრით ვერავინ შეძლებდა დღეს ნიმროდობას, რომ ნიმროდი ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო მთელი შუამდინარეთის გაერთიანება და ემართა ეს თვალუწვდენელი სამყარო(!) განგაშის ატეხას აპირებდა, როცა საიდანღაც სივრციდან გამოიჭრა თავის ბედის ბედაურზე ამხედრებული ნიმროდი, მხარზე ბრძენი ბუ რომ ჩაფრენოდა.

გამოჩნდა ნიმროდი და ებერმაც რაღაცნაირი შვება იგრძნო, გადაავიწყდა დარდი ყველანაირი და ფიქრიც მოსწყდა.

– მაგრამ რომ ვერსად ვხედავ, ებერ, ჩრდილოეთისკენ დაძრულ იმ შენს ქარავანს?! – უსაყვედურებდა ებერს ნიმროდი.

– ქარავანი მზადყოფნაშია! შენს ბრძანებას ველოდით.

– მესმის შენიც, ებერ! ვფიქრობ და ხომ ვერ მკითხავდი, სად ჯანდაბაში იყავიო?! მარტო მოგიწევს გამგზავრება, ებერ! მე ერთი წუთითაც ვერ დავტოვებ ბაბილონს. და ამის მიზეზი შენ თუ არა, აბა სხვას ვის უნდა მოეხსენებოდეს?! ამიტომ ნიმროდი ვერსადაც ვერ გადავა ბაბილონიდან! ნიმროდის დღევანდელი თვალსაწიერი ბაბილონია და ეს თვალსაწიერი კი უსასრულოა! ქარავანს შენ წაუძღვები, ებერ, დღეს შენ ხარ ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი შუამდ... დედამიწაზე, ებერ! კი ვრჩები ბაბილონში, მაგრამ უნდა მომიაზრებდე და მხედავდე კიდეც შენს გვერდით! ნიმროდს ხომ ყველგან და ერთდროულადაც შეუძლია ყოფნა! აბა, მარტო ბაბილონშიც როგორ დაეტიოს ნიმროდი?! და რას ვაპირებ მე სამომავლოდ?! ნიმროდის საქმეში თვითონ შენი ღმერთიც, ცაბაოთიც ვერ ჩაჰყოფს ცხვირს! მაგრამ ისიც არ დაგავიწყდეს: ყველგან მოგწვდება ჩემი თვალი, რადგან დაფარული არაფერია ჩემთვის! ამიტომ მარტოდაც ნუ წარმოიდგენ თავს. გინდა ეს თუ არ გინდა, ნიმროდი შენთანაა! შენ ელჩი ხარ ჩრდილოეთში ბაბილონიდან! და ნიშნად მეგობრობისა აი, ამ ოქროს კარიბჭის სიმბოლოს გადასცემ თარგამოსს! და ეს სკივრიც! ამ სკივრში თარგამოსისა და მის ძეთათვის გადასაცემი საჩუქრებია. თვალის ჩინივით გაუფრთხილდები ამ სკივრს! თარგამოსის ძეთაგან ქართლოსი მომდის გუნებაში, ჩემი გრძნეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული მიგრძნობს, რომ: – ფიქრებში გადაიტანა ნიმროდმა თავისი სათქმელი. – ჩემს ფიქრს კი უბრალო მოკვდავი აწ ვეღარც შეწვდეს, თუმცა მთლად უბრალო მოკვდავადაც ვერ წარმომიდგენიხარ, ებერ! ამაზე ფიქრი გმართებს, დიდო სემიტო! მაგრამ მე სხვა ვარ, ებერ: ნიმროდი განა ერთი უბრალო სამყაროა?! სამყაროთა ერთობლიობაა! და კიდევ: ვხედავ თარგამოსს, მაგრამ მისი რვა ძე?! შვიდს ვხედავ, მაგრამ სად არის მერვე კი არა, პირველი ძე?! ჰაოსს ვერ ვხედავ! მისი არ ყოლა და არ ყოფნა ხელსაც უნდა მაძლევდეს მე – ნიმროდს! აი, რას შეიგრძნობს ნიმროდი....

ებერიც მოჯადოებული უსმენს ოცნებადაქცეულ ნიმროდს: „საკუთარ სულში განგებ მახედებს, მაგრამ ფრთხილობს კი, არ უნდა შეცდომა მოუვიდეს და მაინც: ფიქრის კაცია ნიმროდი და ზემოქმედებს ადამიანებზე, გავლენის ქვეშაც უნებლიეთ გიქცევს... მაგრამ თუ აიწყვიტა, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებს! თუ წინასწარმეტყველი ვერა, ნათელმხილველი ხომ მაინც არის...“

– მამცირებ, ებერ?! – შემოუბრუნდება ნიმროდი, – კარგი, ფიქრს როგორ მოგიშლი?! ამ მხრივ თავის უფალიც შეგიძლია იყო! და მაინც ვინ არის ნიმროდი, ებერ? შენ როგორ გგონია?

და ებერს არა აქვს პასუხი ამ კითხვაზე: „იქნებ თვითონაც არ უწყოდეს თავის წარმომავლობაზე, მაგრამ თვითონ ნიმროდისეული შეხედულება ნეტა როგორია ამაზე? მაგრამ იგი დიდი შემოქმედია, თითქმის ღმერთი! შექმნა ბაბილონი! წერს ისტორიას.... დიდი ჟამთააღმწერელიცაა!“

– ებერ, გისმენდი და ბევრ რამეში გეთანხმები.... არა, ხმამაღლა არ გითქვამს, მაგრამ ფიქრობდი! ჰოდა, გრძელია გზა ჩრდილოეთისკენ, მაგრამ თმის ღერიც არ დაგცვივდება შენ! გზა გაუკვალავია და სახიფათოც, მაგრამ შენ არაფერიც არ დაგიშავდება! ამიტომ: რასაც კი მოიხილავს ამ გზაზე თვალი შენი, აღიბეჭდოს თიხის ფირფიტებზე. მე მინდა მთელი ეს გზა ბაბილონიდან ჩრდილოეთის ქვეყნებამდე ხელის გულზე მედოს! ჰოდა: თარგამოსი ნათლად დავინახო, ბებერი მუხა, შეუვალი და სწორუპოვარი, მეომარი უებრო, მაგრამ ჩაფიქრებულიც ფრიად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაოსი უფროსია იმის ძეთა შორის და იმას უნდა მიანდოს თავისი ქვეყნის ბედი, ეს წესით, მაგრამ რომ ვერსად ვხედავ ჰაოსს? ჰაოსი არაა... ჰოდა, ქართლოსი რჩება... დიდი ქართლოსი... როგორ?! თარგამოსი შეუძლოდაა და წუხს თარგამოსის ქვეყანა, მაგრამ მოიკეთებს თარგამოსი, ტყუილად აღელვებულან, იქ, ქარდუხეთში! თავს დადგომიან დიდ თარგამოსს თავისი გმირი შვილები: ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკოს, კავკასოს და ეგროს. ჰაოსი არსად ჩანს... ძმები ჰაოსის გარდა... ქართლოსია აქ უმრწემესი ძმათა შორის და: დანარჩენზე შენ მომახსენებ, ებერ!

დარწმუნებული იყო ნიმროდი, რომ რაღაც ხდებოდა თარგამოსის სასახლეში და ასე იმიტომაც აწრიალებულიყო მისი სამოსახლო! ჰაოსი და მისი გადაწყვტილებაა ამის საბაბიც და მიზეზიც. – შენი დაკვირვებული თვალის იმედი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, სრულ სიმართლესაც მომახსენებ. გული მეუბნება, რომ თარგამოსის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერება და ამ ფურცლის წაკითხვა გევალება შენ, ებერ!

– რამე ისეთი გაუთვალისწინებული რამე რომ... – ებერს ნერწყვი გაუშრა და სუნთქვაც გაუჭირდა, – მაგრამ....

– არავითარი „მაგრამ“, შენ სიკვდილის უფლება არ გაქვს, ებერ! მე სიკვდილს გიკრძალავ! მე შენთვის ამის ნებართვას ვერ დავუშვებ! შენგან კი აი, რის გაგონება მინდა: „მივედი, ვნახე, აღვიქვი! ანგარიშს გაბარებ, ნიმროდ!“ დამიმტკიცე, რომ მართლა „მართალი ებერი“ ხარ! მერე კი ჩემს მისიასაც აღვასრულებ! ახლა კი დროა, გზას დაადგეს შენი ქარავანი! იგი ერიდუდან უნდა გავიდეს! ერიდუდან იწყება ბაბილონი და ერიდუა დედამიწის ჭიპი! ერიდუ დედამიწის ძეგლია! ერიდუ – დედამიწის ჭეშმარიტი სიმბოლო! შენ კი, ებერ, დაგიცავს ჩემი „მფრინავი ასეული!“ იგი თვალი იქნება შენი და – გაშიშვლებული ორლესული!

ამრიგად: ებერს სადარდებელიც არ უნდა ჰქონოდა რამე! მექარავნენიც ჩინებული მხედრები გახლდნენ: თვალიც უჭრიდათ და უჭრიდათ მახვილიც. ებერს მხარს უმშვენებდნენ ძენი თვისი: უფროსი ორცდაშვიდი წლის იყო და ებერი ერქვა, უმცროსს სულ ახლახან შესრულებოდა ჩვიდმეტი, მაგრამ ძმებს შორის თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახოვანებით გამოირჩეოდა და რაც მთავარი: ექვსივე თაყვანს სცემდა მამას. ისარს ზუსტად სტყორცნიდა ყველა და ხმლის ქნევაშიც არავის დაუვარდებოდნენ.

ნიმროდმა უხმო თავის „მფრინავ ასეულს“ და უბრძანა: ყველანი (ასევე) ფიქრითაც ებერთან ყოფილიყვნენ და სხვა საფიქრალი თავიდან ამოეგდოთ. ისინი ებერს ეკუთვნოდნენ და ებერის სიცოცხლისთვის საკუთარი თავით აგებდნენ პასუხს! ებერი ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დაბრუნებულიყო ბაბილონში. მე მნებავს ასე!

ნიმროდი ებერს თავის ფიქრშიც უნდა ხედავდეს!

მაგრამ რა დროს ფიქრიაო?! – წამოიძახა გულში და ებერს მიუბრუნდა: – გითხარი უკვე, რომ ფხიზლად უნდა იყო იმ შენს გზაზე. ათასი წყვილი თვალი გამოისხი, სმენაც გაიმახვილე, ებერ! შენ ამ გზაზე ფიქრიც უნდა იყო ჩემი. ამიტომ: უნდა შეგეძლოს ჩემებრ ფიქრი. უნდა ხედავდე ჩემებრ და ჩემებრ უნდა გესმოდეს კიდეც!

– ვიცოდი, საიდუმლო მისია რომ უნდა დამკისრებოდა და მისი გამხელა, შენი ჩანაფიქრის საჯაროდ გამოტანა, ღალატად ჩამეთვლებოდა.

– მაგრამ მე ცოცხალი ებერი მჭირდები! ამასთან: მისია ბოლომდე მიიყვანო უნდა! ამაზე შეიძლება დამოკიდებულიც იყოს სრულიად ბაბილონის ბედი! თავს გაუფრთხილდი, ებერ!

ებერიც მონუსხულივით შესცქერის ნიმროდს, თითქოს ტყვე იყოს მისი, მონა. ერთი სიტყვაც რომ არ უნდა გამორჩეს პატრონის ნათქვამიდან და თავის და უნებურად თავს ჩაქინდრავს. „ნიმროდი ბაბილონია და ბაბილონი – ნიმროდი! მე კი: ნიმროდისა და ბაბილონის ოქროს მძევალი!“

ნიმროდმა დასავლეთს გახედა: – და მზის ჩასვლიდან ერთი საათის შემდეგ, ქარავანი უნდა გავიდეს ბაბილონიდან! მისიაც შენი მაშინ იწყება! იფიქრე ამ მისიაზე, რაიც ბედად თუ უბედობით შენ დაგეკისრა მაინც და მაინც. დაე: ნურც გაგიგრძელდეს და ნურც შეგმოკლებოდეს ეს გზა! შეგიძლია უბრძანო ქარავანს, დაიძრას ადგილიდან!

ებერს კი დამწუხრებია გული: ტოვებს ბაბილონს, ემშვიდობება ქალდეას ქალდეველი, ქალდეამ მიუჩინა ადგილი ებერს, ნიმროდმა კი – საქმენი საებერონი! ებერი უღელშია შებმული და ნიშა ხარივით უნდა გასწიოს უღელი. და დიდი უხილავი მეურმეც ნიმროდია! ებერი ქვეცნობიერად გრძნობს, რომ რაღაც ზეადამიანური ჩაუფიქრებია ნიმროდს და ვერც ვერავინ შეწვდეს ნიმროდის აზრ-ფიქრს. მოუხელთებელია კაცისათვის ნიმროდის ფიქრიც და აზრიც.

– დროაო, ჩაილაპარაკა ნიმროდმა და ებერმაც აიქნია თხილის წკნელი (სახრე აღარ ენება) და ქარავანმაც გაისიგრძეგანა მისთვის გაჭრილ-გავლებული გზა:

– ებერ, აქ შენი მისიაც დაიწყო!

ზანტად მიიზლაზნება გრძელი ქარავანი.

გული ეკუმშება ებერს: თითქოს უკანასკნელად ხედავდეს ბაბილონს, თითქოს ამოიფესვა ქალდეადან და მოუბერავს ქარიც, რომ სადღაც უდაბნოში შეისროლოს ვინმე ებერი! უკან მიიხედავს, სიყვარულით შეავლებს თვალს თავის ერიდუს და აუტირდება სული: „ამომიღია ფესვები ჩემი მიწიდან. უჩემოდ მრჩება სამშობლო, უსამშობლოდ ვშთენილვარ მე – თვითონ ებერი! ნეტა როდის მოიძიებს ფესვი ჩემი თავს და საფერ მიწას?! მერე და: მიმიღებს მე იგი მიწა და ვიგუებ კი მე მიწას არამშობლიურს?! მებრძანა: აუცილებელია შენი ბაბილონში დაბრუნებაო და უნდა დაუვბრუნდე კიდეც! ნეტა, დავბრუნდებოდე, ნეტა, ისევ ძველებურად მაგრძნობინებდეს სითბოს ჩემი ერიდუ! – უკან მიიხედა ანაზდად და: აღარსად იყო ბაბილონი. რაღაც სიმივთ ჩაუწყდა სულში და ეტკინა ხორცს! ტკივილმა ჟრუანტელივით დაურბინა მთელს ტანში: „ვითომ თავიდან მომიშორა ნიმროდმა?! მაგრამ რატომ მომიშორებდა? მე ხომ თავის მეტოქედაც არ მომიაზრებს?! ვინ, ვინ გაუგებს ნიროდს?! და: როგორიც არ უნდა ვიყო, ხომ ვარ და რაღაცას წარმოვადგენ! – დაბნეულმა მიმოიხედა ირგვლივ: შვილები გარს შემორტყმოდნენ. შეწუხდა ებერი, მისებრ როდი განიცდიდნენ ისინი სამშობლოსგან განშორებას?! მათთვის სათავგადასავლო ისტორია დაწყებულიყო. სულ ეს იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ფიქრი ამაზე შორსაც ვერ წასულიყო. მაგრამ იმას კი აცნობიერებდნენ, რომ მომავალი შემოჭრილიყო მათში და თვითონაც შეჭრილიყვნენ იმ შემოუფარგლავ მომავალში.

– იარეთ ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ და ჩემს თვალსაწიერსაც ნუ გადასცდებით! არ შემოელიოთ, შვილებო ამ გზას, რომელმაც მომავალში უნდა შეგვიყვანოს! მომავალი, უნდა მიიღოთ, როგორიცაა იგი!

– დიახ, მამავ ბატონო! – იყო პასუხი: – ჩვენი ნუ გეშინის. დროა საჭირო, რომ ფეხი შევუწყოთ დროს!

ქარავანი კი მიირწევა ნება-ნება, მიირწევა თავისთვის და თავისთავად, თითქოს და აუღელვებლად, მაგრამ ფიქრიანად.

უკან ბაბილონია და ნიმროდია ბაბილონში, რომელიც არას გაუჭირვებს თავის ბაბილონს: იქნებ თვითონ ნიმროდია ბაბილონის საშველიცა და სიცოცხლეც?!

„ნიმროდი და ბაბილონი: ერთმანეთს ხომ არას დაუშავებენ?!“ – ფიქრი მოაწყდა ებერს: „ვინ არის ნიმროდი? ნიმროდი – დიდი გამოცანა! აქ წამოეშველება ერთი უნდილი ფიქრი ებერს: – ნიმროდი: „ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა!“

* * *

ნიბირუ:

საოცრებათა სამყაროდან: მიწაა ვითომ ისეთი, როგორც დედამიწა?! „მიწა: თავისი ზღვებითა და შესაძლოა ოკეანეებითაც, მდინარეებით, ტბებით, მთებითა და დაბლობებით, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროებით. წყლებში თევზი დაცურავს ათასნაირი, დიდნი და მცირენი, – ასეთია ნიბირუ ნიმროდის აზრით, სავსებით რომ ეთანხმება ებერის წარმოსახვას: „ნიბირუ – ციური სხეული. მსგავსი დედამიწის, ჩვენს მიწაზე აღმატებული, თითქმის ორჯერ მეტი, ზომიერი ჰავით და ამ ციურ სხეულზე სიცოცხლე სუფევს. და რაც მთავარი – ადამიანებით დასახლებული. მაგრამ როგორია თვითონ ადამიანი?! ჩვენთან შედარებით შორს წასული?! თითქოს ღმერთები იყვნენ! და თავიანთ თავს „ანუნაკებს“ ეძახიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდი გაკვირვებულია: აღარ უწყის ნიბირუს–ასე და ამ-დაგვრი დახასიათება პირველად აქ, ებერისგან ესმა, თუ ენმერ-ქარის წარსულში ყოფნისას ენმერქარისვე ტყუპისცალის, იმ უსახელო წინასწარმეტყველისგან. იმ ზღაპრულ კოშკში კი ისე ვერ შეაღწევს კაცი, თუკი მისმა ლეგენდარულმა განმგებელმა არ ინება.

„მაგრამ ებერი... ეს ცოდნის წყარო, თავიდან მოვიცილე, თუ ჩემთვის აუცილებელი ცნობების მოსაძიებლად გავგზავნე ჩრდილოეთში? იქნებ: თავიდანაც მოვიშორე და ცნობების შეს-აგროვებლადაც! თავიდან მოვიშორე? რაო, მეშინია მისი და უიმ-ისოდ ვითომ მთლად თავისუფლად ვიგრძნობ თავს?! ებერმა თა-ვისი სამი ასული დამიტოვა მძევლად! ვითომ იმის კაცია ებერი, რომ იდეისთვის თავისი ასულები გაწიროს?! ვინ არის ებერი?! „მართალი ებერი...“ ეს სახელი ხომ იქამდე დაიმსახურა, ვიდრე გამოჩნდებოდა ბაბილონში? ის თუ „მართალი ებერია“, მე გმირი მონადირე ვარ წინაშე უფლისა ღვთისა და შუამდინარეთის დიდი განმგებელი, ბაბილონის მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი... და იქნებ ღმერთიც!

მაგრამ „მართალი ებერი?!“ იქნებ ჩრდილოეთიდან დაბ-რუნებულს თვითონ მე შევასხა ქება-დიდება?! პირველ მრჩევ-ლად დავნიშნო და ავამაღლო?! ებერი თვითონაც ხომ ქალდეველ-ი ქურუმია და მაინც გული ავს რომ მიგრძნობს?! ჩემს კედარს ხომ არ მივაკითხო რჩევისთვის?!

უხმო თავის ბედის ბედაურს და მისი ჭიხვინითაც შეიძრა შე-ჭირხლული სივრცე, რომლიდანაც ბრძენი ბუ გამობუვდა. იმთა-ვითვე უწყოდა ბედის ბედაურმა, რაც ნიმროდს ენება და ფიქრზე უმალეს ევფრატის წყალთან გაჩნდა.

ნიმროდიც ჩამოქვეითდა, საბალახოდ მიუშვა თავისი მფრინა-ვი რაში, ბრძენმა ბუმ კი თავის ფიქრის ტყეს მიაშურა. დგას ნიმ-როდი წყლისა პირს და ფიქრი ევფრატის მდინარებისთვის მიუნე-ბებია: – დიდება შენ და, წყალო, მივესალმები შენს გამჭვირვალე და უსათნოეს სულს! – მუხლი მოიყარა მდინარის წინაშე და წყ-ლის სულიც გამოუჩნდა, წყლის ზედაპირს ორი თითის დადებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აცილებოდა და თვალი ვერ მოეცილებინა ნიმროდისთვის.

– ნიმროდ, მიხარია რომ გხედავ. შენთან შეხვედრა მართლა ზეიმია ჩემთვის, მაგრამ შენი ფიქრიანი თვალები მაღელვებს, მეთანაღრება გული და ვეჭვობ, ისე კარგადაც გქონდეს საქმე, როგორსაც თავად ისურვებდი.

– მოგესალმები, ევფრატის დიადო სულო! უბრალო რამეზეც რომ არ შეგაწუხებდი, თვითონაც უწყი.... – ამოთქვა ნიმროდმა. ხმა გაბზარვოდა და ესეც ენიშნა ევფრატის წყალს.

დამდგარიყო სუნთქვაშეკრული წყალი და ნიმროდიც გამოერკვა: – წყალო ჩემო, სანამ კედარს ავაკითხავდე რჩევისთვის, იქამდე შენი რჩევაც არ მაწყენდა.

– ნიმროდ, ვხედავ, ლამის წყურვილმა მოკლას შენი კედარი, მაგრამ ჯერ შენ უნდა მოიკლა წყურვილი, სანამ კედარს აუტანდე თავის არჩივ წყალს.

და ნიმროდმაც შესვა წყალი ევფრატის.

– ახლა ამ ქვევრსაც რომ აავსებდე ჩემი წყლით და... ჰო, ეს ერთი ღელვა წყალი მონატრებია კედარს, სული რომ მოიბრუნოს და: რატომ დგას ნიმროდი? ეს ჩემი ერთი ღელვა წყალი არ გაიშვება, ნიმროდ!

ნიმროდმაც შეავსო ქვევრი, იღლიაში ამოიჩარა და მწვერვალისკენ აღმავალ გზა-ბილიკს შეუყვა.

ელოდა კედარი ნიმროდს. სულდაშაშრულ ხეს იმის თავიც აღარ ჰქონდა, რომ მისალმების ნიშნად ძველებურად აწრიალებულიყო, უსიტყვოდ აგრძნობინა ნიმროდს, რომ უხაროდა მისი ხილვა და მიესალმებოდა.

ნიმროდიც მიეფერა კედარს და თავი დაუკრა, წყალი დაუსხა ძირში და ხემაც მოითქვა სული. გამოცოცხლდა და ქარიც მოიშველია;

და ქარიც ეფერებოდა იმის გოლიათურ ტანს, ელაციცებოდა ტოტებს და ესიყვარულებოდა ფოთლებს.

მიესალმებოდა კედარი ნიმროდს და მადლობასაც ეუბნებოდა, მაგრამ უსაყვედურებდა კიდეც: – შეგაგვიანდა, ნიმროდ, განა ასე უნდა მომანატრო თავი შენს მეგობარ კედარს?! ვიცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული მისიით მიგივლინებია ებერი ჩრდილოეთს. ჩრდილოეთის შემოერთებაც ხომ არ განგიზრახავს? თარგამოსის მოთვინიერება ხომ არ გინებებია, ნიმროდ?! შენ ხომ თავის უფალი ხარ და თავისუფლება გინდა წაართვა თარგამოსს?! მაგრამ თარგამოსიც ხომ თავის უფალია და ისე, უბრალოდ, უბრძოლველადაც არ დათმობს თავის თავისუფლებას! ნუ დაამცროშ თარგამოსს, ნიმროდ, რადგან: როს ართმევ სხვას თავისუფლებას, კარგავ საკუთარს! საკუთარ თავს ემონები, საკუთარი სურვილების მონა თავისუფალი ვერ იქნება! თარგამოსი კი ძალგულოვანია შენებრ! მძვინვარე ლომებრ და დაუნდობელი მტრისადმი! გირჩევ: შენ ბაბილონში იდიადე და ჩრდილოეთში თარგამოსი განდიდდეს, თვალი ნუ დაგრჩება თარგამოსის ქვეყანაზე! გაფრთხილდი, ნიმროდ! არ მინდა შენი დაცემის ამბავი მოწვდეს ჩემს ყურს. არ შეცდე, ნიმროდ! შეცდები და დაკარგავ იმას, რომელსაც ვერასდროს აინაზღაურებ! ნიბირუ ხომ არ დაგავიწყდა, რატომ ნიბირუზე აღარ ფიქრობ? მოეახლება იგი სულ მალე ჩვენს დამფრთხალ მიწას და ნიშანიც არ დააყოვნებს. მანამდე კი მიხედე შენს ბაბილონს! ბაბილონია შენი დიდება და ბრწყინვალება! ელამისა და მარის ქვეყნებიც მისახედავია! არ დაუშვა, რომ განგიდგნენ! მაგრამ აქაც ზომიერება გმართებს, ნიმროდ! ხვალ ალიონზე გახვალ შენი ორი მფრინავი ათასეულით ბაბილონიდან. ჰო, მართლა: მღელვარებაა ელამში და სანამ ეს მღელვარება აჯანყებაში არ გადასულა, იმოქმედე! მაგრამ ზომიერება გმართებს, გაფრთხილებ, ნიმროდ!

– კედარო, გავითვალისწინებ მე შენს ღვთაებრივ რჩევას, მაგრამ არ გითქვამს ჩემთვის, რა ვუყო თვითონ ელამის მბრძანებელს.

– მეტისმეტად ნუ განურისხდები, ნიმროდ! ეს საკითხი თამუზს მიანდე. მსმენია, ებერთან უსწავლიაო. თუკი ელამის მბრძანებელი მოინაინებს და პატიებასაც ითხოვს, უნდა შეუნდო! მაგრამ აქ თამუზმა თქვას სიტყვა!

ნიმროდი ჩააფიქრა კედარის ნათქვამმა და კედარიც თავის ფიქრს შეჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე ერთდროულად გამოერკვევა ფიქრებიდან.

ნიმროდი კედარს მიაპყრობს მზერას.

კედარი ძველებურად აწრიალებულიყო: – ძლევამოსილ ნიმროდს ნიბირუზე მიელიან! – ამოიკითხა ნიმროდმაც კედარის ფიქრი და მიაშურა თავის კოშკს. გამოიკეტა შიგ, ჩაესვენა თავის ფიქრის სავარძელში და ფიქრად იქცა.

* * *

ფიქრის სავარძელი:

ნიმროდი ცდილობს მიწვდეს თავის გაურჩებულ ფიქრს: „ჯერ – ნიბირუ და მერე ელამი თუ: ჯერ – ელამი და მერე – ნიბირუ?!“

აქ ფიქრი გაექცა ნიმროდს და რჩევისთვის მარდუქს მიმართა:

– ნიმროდ, გისმენ, თვითონ მარდუქი!

და ნიმროდსაც შეაჟრჟოლა, ვაითუ მარდუქი გამინაწყენდესო, მაგრამ მხნეობა მოიკრიბა და მთელი ხმით ასძახა მაღლა: – მარდუქ, გამომიჩნდი, გთხოვ! – ითხოვდა და გრძნობდა რომ ღმერთების ღმერთი აღარ უწყრებოდა: – შენთან მოუთათბირებლად და შენი დასტურის გარეშე ნაბიჯსაც აღარ გადავდგამ აწი!

– ნიმროდ, შენ გაიმარჯვებ! მაგრამ რომ გამოგიჩნდე, ვაითუ დაგაბრმაოს ჩემმა ბრწყინვალებამ, მე კი ნიმროდი ყოველთვის ბრძოლის ჟინით შეპყრობილი მინდა ვიხილო და არა – საპყარი! მერე, მერე მიხილავ, ნიმროდ, როცა სულითა და ხორცითაც სრულ იყოფი! ხვალ: ძლევამოსილი შეიქნები! ელამი ფეხქვეშ გაგეგება! ეს შენი გამარჯვება იქნება, ნიმროდ და ამ გამარჯვებას მე ნუ მომაწერ! დედამიწაზე, ნიმროდ, შენ მეიმედები! შენი ბადალი მე რომ მარდუქი ვარ, არ შემხვედრია ჯერ! შენი მომავალი განსასჯელი როდია?! შენი მომრევი არსადაც არ მეგულვის!

– მარტო შუამდინარეთში? – ეს უკვე თავისთვის იკითხა ნიმროდმა და პასუხიც მზად ჰქონდათ (მაღლა) ამ კითხვაზე:

– სრულიად დედამიწაზე, ნიმროდ!

– დიდი მადლობა შენ, დიადო ღმერთო, ღმერთების ღმერთო! ამას მე გეუბნები, მარად შენი მხედარი!

– ნიმროდ, გახსოვდეს: მე დედამიწას ჩემს ღვთაებრივ საუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მიწად აღვიქვამ და შენ მეგულები იმის ჭეშმარიტ განმგებ-ლად! ჰოდა, მოუარე საუფლო მიწას, სულში არ ჩაგეფშვნას და კოსმიურ სანაგვეში არ ჩაგეცალოს! ამიტომ: დიდი სიფხიზლე გმართებს სიქველესთან ერთად! ძილის უფლება შენ აღარ გაქვს. მძინარენი და მცონარენი ღმერთებიც კვდებიან! დედამიწაზე ჩემი ნების აღმსრულებლად შენ მინდა მყავდე, ნიმროდ! ნუ იზამ ისე, რომ შემაცვლევინო ეს აზრი! კარგია, რომ რჩევისთვის მომმართე: ელამის გამკვირვებია! იგი ბაბილონის ნაწილია და დიდი ბაბილონ-იც ელამის გრეშე ვერ წარმომიდგენია! მერე მარის ქვეყანსაც რომ ასწავლიდე ჭკუას, დაგიმადლებდი დიდად! და ჩემი სწავლებაც არ უნდა დაგჭირდეს, რომ სრულიად ბაბილონში ყველგან ჩემზე ლო-ცულობდნენ: რომ სამყაროში ერთადერთი ღმერთია და იგი ღმერ-თი მარდუქია! ასე ნებავს დიდ მარდუქს! მისი ნების ამსრულებე-ლი დედამიწაზე ნიმროდია და მხოლოდ ნიმროდი! მე ზეცად ვიყო ერთადერთ ღმერთად და შენ – დედამიწაზე!

– დიდება მარდუქს! – აღმოხდა ნიმროდს და მაღლა აღაპყრო ხელები.

– ნიმროდ: შენ ღმერთი იყავ დედამიწაზე და მაღლა, დიდ სი-ლაჟვარდეში დიდ ღმერთად მხოლოდ მარდუქს, ღმერთების ღმერთად სცნობდეთ შენცა და შენი ბაბილონიც! განმადიდე მე ზეცად და განგადიდებ შენ, ნიმროდ, დედამიწაზე!

– გისმენ, უფალო ღმერთო, შენ ერთადერთო!

– მარდუქი ისმენს შენს გულისთქმას, დიდო მხედარო!

– გმადლობათ... უფალო ღმერთო, შენ ერთადერთო, ცისა და მიწის დიდო მეუფევ! – და იგრძნო ნიმროდმა, როგორ აენთო სულში ლამპარი, გაუნათდა სული და მზისებრ გაუბრწყინდა. ჰოდა: ხედავს თვითონ უფალ ღმერთს, მზის სხივებში დავა-ნებულს.

– ნიმროდ, მაინც მოეშვი?! იფხიზლე-მეთქი, განა ამას არ მო-ვითხოვდი შენგან უფალი ღმერთი?! გამოიღვიძე ნიმროდ, მარად სიფხიზლე შენც ისე გმართებს, როგორც თვითონ ღმერთს! – ბრძანებს უსასრულობა – დიდი მარდუქი და ზეცასაც გადმოსკ-დება წვიმის ღვარცოფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ჩამობნელდა, ნიმროდმა ამოისვა თვალებში ხელი და გადაიღო ერთბაშად წვიმამ.

დაცხრა სტიქია...

– ნიმროდ! – თავი შეახსენა მარდუქმა: – ხვალ მზის ამოსვლამდე, იწყებ საღვთო ომს! და შეგახსენებ: ელამის ბედი მარის ქვეყანამაც უნდა გაიზიაროს! ნიმროდ, შენ დიდი შემოქმედი ხარ! ღმერთი დედამიწაზე!

ასე დასრულდა იმდღევანდელი საუბარი ნიმროდსა და მარდუქს შორის.

ასე და ამრიგად: მაღლა – თავისი ღვთაებრივი მოვალოებების აღსასრულებლად შემართული მარდუქი და ძირს, დედამიწაზე – თავისი ფიქრის სავარძლიდან გადმოსული და თავის ბედის ბედაურზე ამხედრებული ნიმროდი, მხარზე ბრძენი ბუ რომ ჩაფრენოდა. პირველი მაღლიდან მოიმზევრებოდა, მეორე კი სულ მაღლა და მაღლა მიიმზევრებოდა, უსასრულობის აღქმა თუ ენება?!

* * *

მარდუქს თავისი თითქოს და მოთვინიერებული ღმერთები განუდგნენ და ზეციური ტახტიდან გადმოგდება დაუპირეს.

დიახ: დედამიწაზე კი მარდუქის ნდობით აღჭურვილ პირს ნიმროდსაც აჯანყებოდნენ ელამელები (ქუდზე კაცს მოუხმობდნენ ელამის ქვეყანაში).

მარდუქმა სასწრაფოდ მიიღო ზომები: ისე ჰქნა, რომ აჯანყებული ღმერთები ერთმანეთს დაერივნენ და საქმეც გაუადვილეს მარდუქს.

მოზიდა თავისი ცეცხლოვანი მშვილდი და დაფეთებული ღმერთებიც მარდუქის ფეხქვეშ განერთხნენ. სიკვდილი არც ერთს არ უნდოდა. მარდუქმაც არგაგონილი განაჩენი გამოუტანა ყველას: ჩამოერთვათ „წარჩინებული ღმერთის“ წოდება. თორმეტივე „წარჩინებული ღმერთი“ რიგითი ღმერთის დონემდე ჩამოაქვეითა.

ელამელ წარჩინებულებსაც უთანხმოება მოსვლოდათ ერთმანეთში და ერთმანეთს დარეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროაო, გაიფიქრა ნიმროდმა და მარდუქივით მოზიდა სიკვდილის მშვილდი და სასიკვდილო ისარიც სტყორცნა, რომელიც მაშინ ეწია ელამის მბრძანებელს, როცა შექმნილ ვითარებაში გაერკვა და აჯანყებულები ნიმროდთან საბრძოლველად განაწყო.

მეფისა და მთავარსარდლის გარეშე დარჩენილი ელამელები ვინ საითკენ და ვინ საით გარბოდა და ნიმროდმაც ნიშანი მისცა მშვილდოსნებს.

ვერა, სიკვდილს ვერ გაექცეოდნენ წერას ატანილი ელამელები.

და ნიმროდმაც დროაო: მოუწოდა თავის ათასეულებს და შეტევაზე გადავიდნენ. ბრძენმა ბუმ ფრთები გაშალა და შურდულივით გაიჭრა წინ. ხედავდა ნიმროდი, როგორ მუსრავდა ბრძენი ბუ უკუქცეულ მტერს, დააცხრებოდა, ნისკარტს თავში ჩაჰკრავდა, ბასრ ბრჭყალებს მხრებში ჩაავლებდა, ცხენკაციანად აიტაცებდა მაღლა და მერე ძირს დაუშვებდა.

ბედის ბედაური ვისაც კი თვალს დაადგამდა, წასული იყო მისი საქმე... კბილებითა და ფლოქვებით მიიკაფავდა სისხლისფერ გზას.

ნიმროდზე აღარაფერს ვიტყვით: მის ნაკვალევზე აქეთ-იქით შუაზე გაჩეხილი ცხენკაცნი ეყარა.

ბრძოლის ველი ელამელთა გვამებით მოფენილიყო.

ნიმროდს ყველაზე მეტად ის ახარებდა, რომ ამ ბრძოლაში თავი ესახელებინა თამუზს, რომელიც ერთ მთავარ ათასეულს სარდლობდა.

გადარჩენილ ელამელებს მთავარ მოედანზე მოუყარეს თავი და ელოდნენ ნიმროდის ბრძანებას:

– ჩაამწკრივეთ და ყოველი მესამე უთავოდ დარჩეს, ყოველი მეოთხე თავი – უსხეულოდ! – ბრძანა ნიმროდმა: – რაც დღემდე ელამელებს ეკუთვნოდათ, ბაბილონის საკუთრება გახდეს! და ამ სიმდიდრის ნახევარი დღესვე გადაეცეს ჩემს მხედრობას, დამსახურებისამებრ! – თქვა და ელამელთა ახალგაზრდა მეფეს ტახტზე ასვლაც რომ ვერ მოესწრო ჯერ, მკაცრად მიმართა: – შეგიწყალებ, თუკი მოინანიებ და ერთგულებასაც შემომფიცავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– და განა ასეთ სიცოცხლეს სიცოცხლე ერქმევა?! – აღმოხდა დამარცხებულ ელამელს.

ნიმროდს მაღლა აღარ აღმართავს ყოველთა მსახვრელი მარჯვენა: – დაე, აღსრულდეს ნაბაᲂ მისი (მარდუქს გულისხმობდა)!

* * *

ᲓᲐ:

ფიქრი მოძალებია ებერს: „იქ, ბაბილონში – ნიმროდი: ვინ არის ნიმროდი? – უნაგირზე შეინძრა: – ნიმროდი, ვისაც მე ვემსახურები, მაინც ვინ არის?! იდუმალება თვითონ?! კაცი უჩრდილოდ! ერთადერთი ადამიანი, ვისაც არა აქვს ჩრდილი! ჩამოართვეს თუ მოუკლეს?! ძველებისგან მსმენია, რომ დიდ ცოდვილს სჯულის კაცნი გაასამართლებდნენ და განაჩენსაც გამოუტანდნენ სასწაულებრივს. ჩრდილს მოუკლავდნენ დამნაშავეს, ჰოდა, რჩებოდა გაუბედურებული ურჩდილოდ, მაგრამ ნიმროდი რომ უჩრდილოდაც ბედნიერად გამოიყურება?! ნიმროდი – დიდი შესაძლებლობის ადამიანი! ნიმროდმა ბაბილონი შექმნა და სახელიც მისი შორს გავარდა: იქნებ შუამდინარეთის იქითაც!... ნიმროდი...“ – ფიქრს ვეღარ შეწვდა და ცივი წყალი გადაავლესო თითქოს, უცებ მოფხიზლდა: – ნიმროდი?! – ეუცნაურა საკუთარი ხმა: „მეტისმეტი ხომ არ მომდის?! რა უფლებით განვსჯი ნიმროდს?! მე ერთგულება აღვუთქვი ნიმროდს – თვითონ ბაბილონს! მაგრამ ხომ არ გავანაწყენე ამით მე ჩემი ღმერთი?!“

მიმოიხედა ირგვლივ, მაღლაც აიხედა. მოეჩვენა, უთვალთვალებენო თითქოს და მის თვალწინ აჩრდილიც გაკრთა.

– ნიმროდის აჩრდილი თუ: ჩრდილი მისი? ნიმროდივითაა, მთასავით აღმართული. ნიმროდი: მარად ეჭვიანი და დაუკმაყოფილებელი სული! ყოველთვის რომ ნებავს! აღუვსებელია საწყაული მისი! მაგრამ ეს (ა)ჩრდილი საიდან? სასწაული! ეს ერთი სასწაული და მეორე სასწაულიც: ცალკე კაცი და ცალკე – ჩრდილი?! რამ გაჰყო კაცი და ჩრდილი ერთმანეთისგან, ვინ გაჰყო და რატომ გაჰყო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამის დაფარვას რომ ცდილობს ნიმროდი?! ცდილობს და ამასაც ახერხებს, მაგრამ ერთხელ, როცა მარტო ეგონა თავი, სასახლის ეზოში გამოვიდა, ალბათ უდროოდ, ეს არ უნდა ყოფილიყო ნიმროდისათვის გაცხადებული დრო. ჰო, მზე ჯერაც არ ჩასულიყო მაშინ. ჩრდილი არ ჰქონდა ნიმროდს, ძირს დავიხედე უნებლიეთ და: მე მქონდა ჩრდილი, ნიმროდს – არა! არ ვიცი, შეამჩნია თუ არა, მისი საიდუმლოება საიდუმლოებაც რომ აღარ იყო ჩემთვის. ამხედრდა თავის ბედის ბედაურზე და შეიფრთხიალა ამ დროს რაღაც სასწაულმა ფრინველმა, ირაო გააკეთა და მხარზე დააჯდა ნიმროდს. გამიკვირდა და მერე როგორ?! ამხელა ბუს მნახველი არასდროს ვყოფილვარ და მეორე სასწაულიც: ჯერ არ შებინდებულიყო და ხედავდა ბუ: ხედავდა დღისით-მზისით! მაგრამ: მე შევიცანი ნიმროდი და ისე მოვიქეცი, თითქოს არაფერი ვიცოდი მის შესახებ. და ამას ვერც გავამხელ მე – „მართალი ებერი!“ – შერცხვა საკუთარი ფიქრის. მაგრამ ისევ დაუკრა თავი იმ არ დასაშვებმა ფიქრმა: „და დადის კაცი ურჩდილოდ ამ ქვეყნად, ბაბილონის, სრულიად შუამდინარეთის თვითმპყრობელი – გაუმაძღარი სისხლით და არავინაა ისეთი, წინ რომ დაუდგეს იმის ნებას და შეაჩეროს. ვერავინ შეწვდება იმის ფიქრს, თვითონ კი: თუ ინდომა, კითხულობს ნებისმიერის ფიქრს. იქნებ ბალახის ენაც ესმოდეს... ვინ იცის, აბა, ვინ გაუგებს ნიმროდს?! ამოუცნობია მისი სული. მაგრამ ვინ წაართვა თუ მოუკლა ჩრდილი?!

და ამ დროს: ეძახდნენ ებერს.

მიიხედა იქითკენ, საიდანაც მოესმა ხმა. არავინ იყო. მომეყურაო, ჩაილაპარაკა თავისთვის და ისევ დაუძახეს. მაღლიდან ეძახდნენ და მაღლა აიღო თავი:

– ებერ, ეს მე ვარ, შენი უფალი ღმერთი! – ცაც გადაიხსნა და იელვა.

– ეს შენ ხარ, უფალო? ელვამ თვალი მომჭრა და: ელვა ხარ შენ!

– ნიმროდზე ფიქრობდი, ებერ... ნიმროდი ჩრდილის გარეშე. უჩრდილო ნიმროდი კი ცდილობს, რომ არ აეხილოს ფარდა ამ თავის საიდუმლოებას და: სულ ფხიზლადაა და... წამით, წამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩათვლიმა ალბათ და შენ წაასწარი იმ უდროო დროს! და ამ დიდ საიდუმლოს ფარდა რომ აეხადა უნებლიეთ, ეს ნიმროდისთვის არცაა ცნობილი.

– უფალო, მაგრამ კაცი ურჩდილოდაც ვის გაუგონია?! – ებერი ჩამოხდა თავისი თეთრონიდან და მაღლა ხელებაპყრობილი დაეშვა მუხლებზე. – უფალო... – ხელები თვალებზე აიფარა და: ლოცვა აღავლინა უფლისა მიმართ.

– ებერ, რა იცი შენ ნიმროდზე?

– გამიგონია რომ... ამბობდნენ ერთგან: „ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისაო...“

– და იცი, რას ამბობს ეს თითქოს და უბრალო გამონათქვამი?

– ვიცი, უფალო ღმერთო...

– მაგრამ კითხვაც ხომ გაგჩენია: და ასეთი ადამ-იანი რატომ უჩრდილოდო, არა?

– ჰო, რატომ უჩრდილოდ, უფალო? მაგრამ ასეთიც რა დააშავა, რომ ჩრდილი ჩამოერთვა, ან სულაც მოუკლეს? – ნერწყვი ემწარა ებერს და მიხვდა, გადაამლაშა: ასე გაშინაურება უფალთანო... – ხველება აუტყდა.

– ებერ: ეს ისეთი საიდუმლოებაა, რომ არ გაიმხილება, თვითონ მე – უფალმაც რომ გავამხილო, არ მეპატიება, თავს ვერ ვაპატიებდი...

ესმა ებერს ეს სიტყვები და: გმადლობთო და თავი დაუკრა ცაბაოთს, – მაგრამ რომ არ გკითხოთ, არ შემიძლია: – მაგრამ პირი შეკვროდესო თითქოს და შუბლიც ოფლით დაცვაროდა: – მინდა გკითხოთ და თუ არ გამიწყრებით...

– მკითხე, ებერ! – ებერის ყოყმანს გაეღიზიანებინა უფალი, – მეტი გამბედაობა გმართებს, ებერ! – უსაყვედურა კიდეც თავის რჩეულს. – რაღას აყოვნებ, მკითხე! შეიძლება არც გიპასუხო, მაგრამ ხომ უნდა ვუწყოდე, რით არის დაკავებული შენ გონება? გამიმხილე შენი ფიქრი! თქვი, თორემ! – იელვა მოწმენდილ ცაზე, რასაც ჭექა-ქუხილიც მოჰყვა გამაყრუებელი და ებერმა ისე, თავი რომ არ აუღია მაღლა, იკითხა: – უფალო ჩემთა და მრავალთა მწყალობელო და მფარველო, თუკი ნიმროდს სჯულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცთა გადაწყვეტილებით მოუკლეს ჩრდილი, რაღა თქმა უნდა, ესე ყოველი შენი ნებართვის გარეშეც ვერ უნდა მომხდარიყო... – ის მწარე ნერწყვი ახლა ნაღველასავით დაადგა ყელზე და გაბმული ხველება აუტყდა. ძლივს მოიბრუნა სული და ხმის კანკალით განაგრძო, – ჩრდილი მოუკლესო ნიმროდს, – დაჟინებით და ჯიუტადაც გაიმეორა და ოფლი შეიწმინდა შუბლზე: – მაგრამ ის უცხო (ა)ჩრდილი ლანდივით რომ დაგვდევს ამ ბოლო ხანებში, ნეტა ვისია? ვფიქრობ და ვერაფერს მივმხდარვარ. ვფიქრობ და ასე მგონია, მძულდეს ჩემივე ფიქრი!

– (ა)ჩრდილი?! – ააძაგძაგა სივრცეს.

– ახლა რომ გამოჩნდა?!

– ჰო, ახლა რომ გამოგიჩნდა!

– თითქოს და გარს მივლიდეს...

– ეს მე მნებავს ასე!

– მიხსენით იმისგან, ღმერთო!

– გაგათავისუფლებდი, მაგრამ... შენც ნიმროდივით არ მოგივიდეს და ყურადღება არ მოგიდუნდეს. წამითაც არ ჩაგთვლიმოს! შენ უნდა გესმოდეს ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება. შენ იმდენს უნდა შეიგრძნობდე და აცნობიერებდე კიდეც, ნიმროდი რომ ხედავს, ვამბობ, აცნობიერებსო.

„ნიმროდს რომ ესმის და ხედავს...“ – ვეღარ გაიგრძელა ფიქრი ებერმა.

– ნიმროდს რომ ჩაუფიქრებია რაღაც, ეს კარგად ვიცი, ებერ. მაგრამ ისე შეუფუთავს ჩანაფიქრი, რომ... მაგრამ მოვრჩეთ ამაზე! მგონი ზედმეტი მომდის... იმაზე მეტი დრო დაგითმე, ვიდრე ჩაფიქრებული მქონდა.

– მომიტევეთ უფალო, რომ მოგაცდინეთ.

– ებერ, ზომიერებაც გმართებს სიფრთხილესთან პარალელურად. მაგრამ აქ: შენს მაგივრადაც ფიქრობენ! ეს ნიმროდის ასეულია, თვალწინ ელვასავით რომ გაკრთება.

– ვიცი, მსმენია ნიმროდის მფრინავ ათასეულებზე....

– ჰოდა, ეს მფრინავი ასეული იმ ათასეულის ნაწილია... გიცავენ ისინი, და ფიქრობენ კიდეც შენს მაგივრად! – გაიგონა

ებერმა და აიხედა მაღლა: მას წინ გდახსნილი ზეცა ახლა იკრავდა პირს.

ებერმა ქუსლი ჰკრა თავის თეთრონს.

წინ: ადიდებული ტიგროსი...

ქარავანი შედგა. გზა ადიდებულ წყალს ჩაეხერგა.

იქით, აღმოსავლეთით მტვრის კორიანტელი ავარდილიყო. მალე ცხენების ფლოქვების თქარათქურის ხმაც მოწვდა ებერის ყურს: „თუ ნიმროდის ასეული არაა, მაშინ ყაჩაღები იქნებიან...“ – თვალი და ყური მიაპყრო აღმოსავლეთს. ფიქრიც ვერ დაემთავრებინა, რომ ოცამდე კბილებამდე შეიარაღებული მხედარი იხილა.

ყაჩაღები იყვნენ! გარს შემოერტყნენ ქარავანს და იმან, ყაჩაღების მეთაურს რომ გავდა, თითი დაუქნია ებერს.

ებერს შიში არ უგრძნია (ღმერთის იმედი თუ ჰქონდა), პირიქით, თავისი თეთრონი ჯიქურ მიაგდო ყაჩაღების უფროსთან. ყაჩაღმაც: ყველაფერი, რაც გაგაჩნია, შენ აღარ გეკუთვნის! ჩემია ეს ქარავანი და შენც, მონავ ჩემო... – სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ისარმა სულ ახლოს, ყურთან გაუზუზუნა ებერს და გული გაუგმირა ყაჩაღს.

სულ რაღაც რამდენიმე წამი და ნიმროდის მფრინავი ასეულიც გარს შემოერტყა უმეთაუროდ დარჩენილ ყაჩაღებს.

ებერს გულში გაეცინა: „ჩემი ქარავანისთვის ალყა შემოურტყამთ ყაჩაღებს და ჩვენცა და ყაჩაღებიც ნიმროდის ასეულს მოუქცევია ალყაში... სამი წრე: ერთი მეორეში ჩასმული... მშვილდები მოიზიდა, რასაც ისრების ზუზუნი მოჰყვა და: ყაჩაღების გუნდიც აღარ იყო: თითქოს არც ყოფილიყო...

– აბა, საქმეს მივხედოთ! – ბრძანა მფრინავი ასეულის მეთაურმა და ოცამდე დიდი ტივი მსწრაფლ შეიკრა, მოინახა ფონიც და ქარავანმაც მშვიდობიანად მიაღწია მდინარის მეორე ნაპირს. ებერის ქარავანმაც ჩრდილოეთისკენ ჰქნა პირი.

ორი დღის შემდეგ ქარავანი ნინევიაში შევიდა.

ნინევია ამ დროს ნიმროდის ყმადნაფიცი ქალაქია. ბაბილონელებს პატივით შეხვდნენ ნინევიელები. ყველას საფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი მიუჩინეს და დააბინავეს.

ებერიცა და მისი ქარავანიც დაცული იყვნენ ყოველის მხრიდან, მაგრამ შემოჯარული ფიქრებისთვის რომ ვეღარ გაერთმია თავი?!

ებერის ფიქრი კვლავაც ნიმროდს დასტრიალებდა თავს.

თითქოს და, თვალნათლივ ხედავდეს ნიმროდს: „მზე სანამ შუბისტარზე შედგებოდეს, მთელი საათია იქამდე. ნიმროდი მზეს შეჰყურებს. ჩრდილი აქვს ყველაფერს, ნიმროდს კი – არა. მაგრამ ეს აღარ აღელვებს ნიმროდს. მაინც რამ გამოიყვანა გარეთ იგი ამ მისთვის და უდროო დროს?! რას შესთხოვს მზეს? რა აკლია, რომ იმის დაუფლება უნებებია? დალოდებოდა, სანამ შუბისტარზე შედგებოდა მზე და ყველა და ყველაფერი კარგავს თავის ჩრდილს?! რატომ არ მოერიდება ხალხს, არაფრის ერიდება! ჩრდილი ჩამოართვეს და გადაუმალეს მერე! რატომ? მერე და: ვაითუ ჩრდილის სიკვდილი სულის სიკვდილსაც ნიშნავდეს?! არა, არა, ჩრდილი არც შეიძლება იყოს სული და ნეტა ჩამახედა ნიმროდის სულში! ადამიანი ჩრდილის გარეშე?! მოვლენაა სასწაული და თვითონ ნიმროდი – ათასჯერ სასწაული! და მაინც რა მიზნით მომავლინა თარგამოსის ქვეყანაში?! რა ჩაუფქრებია ნიმროდს? და ხომ ცნობილია, რაც ჩაუფიქრებია, აუსრულებია კიდეც და სად არის ამ დროს უფალი ღმერთი?! მაგრამ ნიმროდს სხვა ღმერთი რომ ჰყავს – მარდუქი. და რას ფიქრობს ამ დროს ჩემი ღმერთი?! ჭეშმარიტი უფალი?

და გადაიხსნა ამ დროს ზეცა, ზეთი რომ გადმოსდიოდა. იელვა: – ჰო, მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი! შენი და შენი ხალხის უფალი ღმერთი. არაფერს გაგიჭირვებთ. უშიშრად მომენდეთ! ფრთხილად და ფხიზლად, ჩემო ებერ. ნიმროდი ბევრს აღურევს ტვინს და ვშიშობ შენც აღარ გადაგიბიროს თავისკენ! შემომფიცე, ებერ, რომ ქვეყნის დასალიერამდე მე მიერთგულებ! გზას არ გადაცდები და აგამაღლებ!

ებერმაც შეჰფიცა და იელვა ამ დროს.

უფალი ნიშანს აძლევდა ებერს, რომ ესმოდა მისი და გაგონილით კმაყოფილი იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებერი ლოცვად შემდგარიყო.

პირი შეეკრა ზეცას და მზეც გაბრწყინებულიყო ისე, როგორც არასდროს(!) მიხვდა ებერი: მისი ლოცვა შეწვდენოდა უფალს.

გულაძგერებული ებერი ლამის ააწყდეს მიწას და სივრცეს შეერთოს, უკვე აღარც ფიქრობს გონებაგანათებული.

ებერი აბრჭყვიალებული ლამპარივითაა...

* * *

ქარავანმა სვლა შეანელა.

მექარავნე ებერს ეახლა:

– რას შეუწუხებიხარ, მექარავნევ?

– თქვენ ვარსკვლავებს ესაუბრებით, თითქოს გესმოდეთ მათი ენა. თქვენ ითხოვთ და ისინიც გინათებენ გზას. ვარსკვლავებს მეც ვუსმენ და იცი, რა მითხრეს?

ებერმა დაკვირვებით შეათვალიერა მექარავნე და გაკვირვებულმა მიმართა: – თქვენ უსმენთ ვარსკვლავებს და იმათ გითხრეს, რომ...

– საკუთარ ალღოს მიენდეო...

– და შენც მიენდე? მიენდე და ცუდადაც არ გამოგდის... გზას ერთხელაც არ აცდენიხარ...

– აქ სადღაც ოაზისი უნდა იყოს, მაგრამ... ერთხელაც არ უღალატნია ალღოს ჩემთვის და რაღა მაინცდამაინც დღეს უნდა ამრეოდა გზა, თუმცა... სწორ გზას ვადგავართ, ბატონო... მაგრამ ეშმაკის ხელი უნდა ერიოს აქ... – ჩაფიქრდა მექარავნე, – ეშმაკის ხელი ხომ არ ურევია მართლა? – საკუთარმა სიტყვებმა შეაკრთო, – თფუი, ეშმაკს! – ამოთქვა და მუხლი მოიყარა ებერის წინაშე.

– დაჯექ, მექარავნევ და ილოცე უფლისა მიმართ... – თავისთვის ჩაეცინა ებერს და ჩამოხდა თავისი თეთრონიდან. – დაჯექ და.... შენც არას გაწყენდა ფიქრი. ვიფიქრებ მეც და იქნებ მართლა გაგვინათდეს გონება, ხედავ, ვარსკვლავები გაუჩინარდნენ!

– და სანამ გაუჩინარდებოდნენ, რა გითხრეს? გირჩიეს რამე?

– მირჩიეს, მექარავნევ, მექარავნეს მიენდეო!

– მეხუმრები, ბატონო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არა, რატომ? არც მიფიქრია: – ნოხი დააგო ძირს და ფეხი მოირთხა ზედ, თავი ხელებში ჩარგო და შემოჯარულ ფიქრებს გადაუხსნა გული. მთლიანად მიენდო მათ. „უფალმა ყველაზე უკეთესი ადგილი (თვითონვე აქცევდა წალკოტად) შეარჩია, დაჯდა და გამოძერწა ადამი თიხისგან, მერე კი თავისი ღვთაებრივი სულიც შთაბერა და ეს ყველაფერი, რასაც კი ხედავ, შენიაო, ადამ... დიდ იმედებსაც ამყარებდა ადამზე, მაგრამ ვერ გაუმართლა ადამმა და სამოთხიდანაც გააძევა, ადამი დაადგა გზას. რა თქმა უნდა, უკვე აღარ ჰქონდა ჩრდილი და აქ იკარგება მისი კვალი. უფალმა თუ იცის, სად გადაიკარგა ადამი. მერე სოდომსა და გომორას დაატყდა უბედურება და... აქაურებს რას ერჩოდა? ვიცი აქაური ისტორია, მაგრამ არ მჯერა რაღაც...“

– ებერ! – ხმა გაბზარვოდა უფალ ღმერთს. – სოდომი და გომორი ისტორიას ჩაბარდა და გახსენებადაც აღარ ღირს. არც მე მსიამოვნებს იმ ამბების გახსენება! მაგრამ შენ ადამზე ფიქრობდი. ერთს გეტყვი: სასიკვდილოდ მაინც ვერ გავიმეტე!

– და ახლაც ცოცხალია?!

– ებერ! ადამს ჩემთვის არაფერი დაუშავებია, თავს ავნო მხოლოდ!

– დღესაც ცოცხალია?! – ადგილიდან წამოიჭრა ებერი.

– საიდან მოიტანე?! – გაწყრა უფალი ღმერთი და ებერსაც მოეყინა სული.

– და რაც ადამმა გიყოთ, სასიკვდილოდ მაინც ვერ გაიმეტეთ?!

– თავს დაუშავაო, გითხარი, ებერ! ჯერ თავს და მერე – მთელ თავის მოდგმას! უნდა იცოდე, ებერ, რომ: სული შთავბერე საკუთარი, ღვთაებრივი... მისთვის დაფარულიც არაფერი ყოფილა, გონი მივანიჭე ყოვლისმჭვრეტელი, თვალი ყოვლისმხილველი და მომცველი ყოვლის... მისთვის დროში მოგზაურობაც არ უნდა ყოფილიყო უცხო და სივრცეში გადაადგილებაც ხომ დროში მოგზაურობაზე უფრო იოლად შეეძლო და... და აუსრულდებოდა ყოველივე, რაც არ უნდა ესურვებინა.... ჰოდა, ვერ გავწირე. შემეძლო მისი შესაძლებლობებისთვისაც ზღვარი დამეწესებინა, მაგრამ არა... მხოლოდღა ჩრდილი მოვუკალი....

ეროვნული ბიბლიოთეკა

– და ახლაც ცოცხალია?! სად არის, იქნებ მოკვდა სადმე?

– ებერ, ასეთ ცნობისმოყვარეობასაც ვერ მოგიწონებ! — მართლა გამწყრალიყო უფალი ცაბაოთი: – მე ერთხელ გავასაიდუმლოე ეს ამბავი, სხივგაუმტარი ფარდაც ჩამოვაფარე, ფიქრთგაუმტარიც და შენ გინდა გადაწიო ის ფარდა და იდუმალში შეიჭვრიტო?! იქაურობას ტაბუ დავადე და... – ხმასაც აუწია ცაბაოთმა, მაგრამ მაშინვე გამოერკვა და დაცხრა. იმის წყრომას რისხვა აღარ მოჰყოლია.

– უფალო, შემინდე! გთხოვ, გევედრები, ჩემდა უნებურად მომივიდა! მეც ხომ ადამიანი ვარ?!

და უფალმა შეიწყნარა ებერის ვედრება: – ადგილი, სადაც ახლა იმყოფები, ის ადგილია, ადამი რომ გავაძევე, თვითონ სამოთხე კი უჩინარ ნისლში გავხვიე...

– დიდება უფალს! – ებერი გამოცოცხლდა: – და სადღაც აქ, წყაროც მოჩუხჩუხებდა, უკვდავების წყარო მოწანწკარებდა...

– ჩემი და ჩემი ადამის წყარო – შენგან ხელმარჯვნივ ბორცვი რომ არის, იმის იქით და ქვემოთ თავდაღმართზე პაწია მოსწორებული ადგილი რომ გამოგიჩნდება, იქ იკლავდნენ წყურვილს ევაც და ადამიც. ამ წყაროს პირით ვესაუბრებოდი ადამს. მაგრამ ევას რაღას ვერჩი? ადამი უნდა ყოფილიყო თავის სიმაღლეზე! მაგრამ რაც იყო, იყო... ადამმა რომ შესცოდა, იმის მერე დავუშვი წარსულიც და მომავალიც... აწმყო ყოველთვის იყო. წარსულისა და მომავლის დაშვების შემდეგ თავისი არსი იცვალა აწმყომ. თავისით, ჩემგან დამოუკიდებლად. აწმყო აწმყოც ვეღარ იყო, იწყებოდა სადაც, იქვე დასრულებულიყო უნდა! ასე გაბუნდოვანებამ გაართულა იგი და გააიდუმალა კიდეც. ასეთი აწმყო უფრო მისაღებია ჩემთვის... მანამდე არც წუთისოფელი იყო და არც მარადსოფელი: სააქაო და საიქიო. ჰოდა, ადამის გამო იყო, რომ ის პირველწყარო მოვშალე, ჩემს თავდაპირველ ხედვაზეც ვთქვი უარი. ახალი ხედვა შევიმუშავე, უახლესი, წარმოიდგინე და სიკვდილიც დავუშვი, სიცოცხლესა და სიცოცხლეს შორის გადებული ხიდი... ბოგა უფრო სწორად, ამ ბოგის მეშვეობით შესაძლებელია ერთი სიცოცხლიდან მეორეში გადასვლა კი არა, შესვლა. და ეს ბოგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სიკვდილი სულის მოთქმასავითაა, გადაღლილი სული თვალს მოიტყუებს და: აგრძელებს იმ საწყის სიცოცხლეს. ხომ არ გაგაკვირვე, ებერ?! შეუძლებელიც არაფერია ჩემთვის ძირს – მიწაზე და მაღლა – ცათა შინა!

– და მაინც, რა არის სიცოცხლე?

– რატომ მისცემია იგი ყოველ სულიერს? ებერ, მხრებზე თავი რომ გაბია და ამ თავში ტვინიც რომ გიდევს (ზოგსაც უყანყალებს), როგორ გგონია, ვის უნდა უმადლოდე ამას? ვიცი, რაც უნდა მიპასუხო და გიჯობს, პირი მოკუმო, ჭეშმარიტება რომ არ შეიბღალოს! ტვინი ვახსენე, ებერ, თავის ქალაში მოქცეული. ტვინში თოთხმეტი მილიარდი უჯრედია და ამ (უჯრედს) ბურთულას ერთი საოცარი თვისება აქვს: საჭიროების შემთხვევაში ეს ბურთულა ორად იყოფა და ჯერ იმ პირვანდელ ზომას იბრუნებს ორივე, მერე ოთხმაგდება და ასე შემდეგ გეომეტრიული პროგესიის წესების დაცვით. ჰოდა, გაისარჯე და განჭვრიტე, რა შესაძლებელობებს ვანიჭებ ადამიანის ტვინს?! სწორედ რომ ღვთიური ტვინის მაგვარია იგი, მაგრამ ერთი განსხვავებით: ღვთიური ტვინის ყოველი უჯრედი განათებულია და ასხივებს, ადამიანისა კი: ათი თუ ოციოდე უჯრედია რომ ციმციმებს. როდი ასხივებს?! ადამიანს იმთავითვე მივეცი უფლება, რომ წინ წაიწიოს! შეიძინოს ცოდნა, გამოცდილება და მხოლოდ ამის კვალობაზე გაუსხივდეს ის მოციმციმე უჯრედები... ოღონდაც ნებავდეს!

– მაგრამ თვითონ ადამი, უფალო?

– მისი სახელის გაგონებაც აღარ მინდა, ებერ!

ებერი შეცბა და მოიბოდიშა, მომიტევე, უფალო.

– მაგრამ ვეღარ დაგიმალავ, ებერ: ადამი არ მომკვდარა, თუმცა რაღაა მისი სიცოცხლე, როცა... გაფრთხილებ, ნიმროდივით არ შემითამამდე!

„ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა...“ – გაიფიქრა ებერმა.

– განმიდგა ნიმროდი იმ ჩემი ადამივით... უარმყო მე და თაყვანს სცემს მარდუქს... ებერ, მაგრამ მე შენი მჯერა და ჩემი ერთგული იქნები აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– უფალოო, ამოთქვა ებერმა და პირქვე ჩაემხო, თავზე სილა დაიყარა ნაცარივით და დღის ბოლომდე აღავლენდა ლოცვებს უფლისა მიმართ.

მექარავნე შორიდანვე თვალს ადევნებდა ებერს და ასე ფიქრობდა: „უცნაური ვინმეა ეს კაცი, წინასწარ ხედავდეს თითქოს, მაგრამ წინასწარმეტყველი არაა! ნეტა ვინ არის სინამდვილეში, ღმერთო, ვინ უნდა იყოს იგი! იქნებ სხვის აზრებსაც კითხულობდეს, მაგრამ ნიმროდი არაა!

ებერი უქნევდა ხელს:

– აქ პირველად ვარ, მექარავნევ, შენ კი მესამედ უნდა იყო...

„მართლა კითხულობს სხვის აზრებს,“ – გაუელვა მექარავნეს.

– მექარავნევ, ამ წყაროს ხომ ხედავ, ადამს აქედან უსვამს წყალი!

– მესამედ შევჩერდი აქ და ამ წყაროს პირველად ვხედავ!

– დამტოვე, მექარავნევ, სულ ცოტა ხნით. მალე წამოგეწევი! – თვალი მხარს ზემოთ გადაუტარა ებერმა მექარავნეს და ფიქრების ტყვეობაში აღმოჩნდა ისევ.

„ამას ჩემი აღარც ესმის და ვეღარც მამჩნევს, – გულში იტყვის მექარავნე და თავის ფიქრებთან დატოვებს ებერს, – უცნაური ვინმეა მართლაც, დიდი სწავლული და: შერეკილიც თითქოს...“

ქარავანი ზანტად მიირწეოდა ჩრდილოეთისკენ. ახლა: უკვე შორს იყვნენ ბაბილონიდანაც.

თვალს მიეფარა ქავარანი. ებერი წყაროს წყალს შეუშვერს ტორს და ერთ ჯერზე შესვამს: „წყაროვ ჩემო, ადამის იყავ ოდესღაც, ახლა მე ვსვამ შენს წყალს, ასე ცხოველმყოფელს... უფალმა ჩვენმა კი მთელ ამ აქაურობას წარსულში გადაუძახა. აღარც ადამია აქ, მხოლოდ შენ აცოცხლებ ამ ადგილს, მაგრამ აღარ უჩანხარ თვალში აქ გამვლელ-გამომვლელს.

– ადამმა შესცოდა, მე ხომ არ შემიცოდავს... უნდა დაივიწყოს უფალმა, რაც ადამთან აკავშირებდა! ამით ხომ თავსაც ისჯის?!

– ეს ხომ ჩვენი განსასჯელიც არაა, წყაროვ!

– ებერ: შენი წყალობითაა, რომ ისევ ვხედავ და წყაროდ ავწანწკარებულვარ. შენ მომანიჭე ეს ბედნიერება... შენ უფალი ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი გწყალობს და ბედსაც ნუ დაემდურები! ჰოდა: ისმინე უფლის! დიდი მადლობა, თვალი რომ ამიხილე და საშუალება მომეცი, ავწყاროებულიყავი კვლავაც. რას ისურვებდი, ებერ?

– მეც რომ შენებრ... გადმოვწანწკარებულიყავი, ამაზე უკეთესს რას ვინატრებდი?! შენ მოწანწკარებ და ყველაზე ბედნიერიც მაშინ ხარ, როცა წყურვილს მოუკლავ მოწყურებულს. წყარო რომ ვიყო, ბედნიერებისგან ცას შევწდებოდი...

– ჰოდა, შემსვი ერთხელ კიდევ, რომ მეც შენსავით გადავირიო სიხარულისგან, შენ კი: დიოდე წყاროსებრ და წყاროსებრვე გადმოჩუხჩუხებდე!

და ებერსაც მოწყურდა როგორც არასდროს. ჩაიმუხლა და დაეწაფა ანკარა წყალს: მოიკლა წყურვილი და ხელები გაშალა:

– მე შენით სავსე ვარ, წყაროვ ბატონო! შენ დიდო წყალო. ცოტაც კიდევ და: გადმოვიღვრები მეც შენსავით, გადმოვჩუხჩუხდები...

– ადამიც ასე მომმართავდა... – სული მოითქვა წყარომ და ებერიც, ეს წამია, რომ თვითონაც აჩუხჩუხებულიყო, მოწანწკარებდა წყاროსებრ:

– ადამია, რომ დამწაფებია!

სულია, ასე რომ აღგზნებია ებერს.

– ჰო, ასე იყო...

– მერე კი შესცოდა და ღმერთიც გაუწყრა! შეიძლება ახლაც სცოდავდეს...

– არა მგონია, გრძნეულო წყაროვ, დრომ გადაშალა აქ ყოველივე! დრო, ხომ იცი... მაგრამ ის ცოდვა, ადამის ცოდვა, დროსაც რომ ვეღარ გადაუშლია?!

– ასეა: ებერ, მაგრამ ასე მგონია, არ მომკვდარა ადამი და კვლავაც სცოდავს, მაგრამ ეს რა მემართება? ცუდად ვარ, ებერ!

– წყაროვ ბატონო, თავს დაუბრუნდი, მე კიდევ, ჩემს თავს დავუბრუნდები. ავივსე შენით და არც დავიცლები. ისევ იდინე, დიდო წყალო, წყაროვ ბატონო! – ამოთქვა ებერმა, დაუბრუნდა თავის თავს და როცა წყاროს ჩუხჩუხი ესმა, სიხარულისგან გული ლამის ამოუვარდა: – იდინე, წყაროვ ბატონო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აწყლიანდა იგი წყაროც, აწყაროვდა და: მღეროდა უკვე: „ვაიმე, ეს რა მჭირს, მე საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ უკვე, თითქოს ვცოდავდე კიდეც ადამივით... ავიღებ და მართლაც შევწყდები! ცოდვაა აბა, რა უნდა იყოს, როცა ცოდვილს თანავუგრძნობ... მე მადლიანისთვისაც ისე მოვედინები, როგორც – ცოდვილიანისთვის, მაგრამ სხვანაირადაც რომ არ ძალმიძს?! არა, არ გავუწირივარ, თვით სამოთხესაც კი ხაზი გადაუსვა და გადაშალა, მაგრამ დამტოვა მე მოწანწკარე... ცოდვილიც შეიძლება იყოს მწყურვალი და უცოდველიც...

– მაგრამ, ამდენხანს რომ არ ჩანდი?

– მეპატია იქნება მართლა?!

– ერთხელაც შეგსვამ, რომ არ არასდროს ამებნას აზრი, არ ამერიოს ფეხი და ვეღარ ავცდე მე უფლისკენ აღმავალ გზას!

– ებერ, გული მიგრძნობს, ღვთის კაცი იყოო თითქოს. ჰო, მახსენდება: მეც მსმენია მართალ ებერზე. მახარებს იგი, რომ „მართალ ებერს“ წყურვილი ჩემით მოუკლავს და: აწი რა მომკლავს?! მაგრამ ნიმროდი...

– ჰო, ნიმროდი, წყაროვ ბატონო... ერთი სისხლის ვართ მე და ნიმროდი, მფარველებად კი სხვადასხვა გვყავს ღმერთები ვაგლახ! ალბათ მოაწევს ჟამი, ჩემსა და ნიმროდს შორის შავი კატა გაირბენს და გაგვთიშავს. მაგრამ მეყოფა კი მე ის ძალა, რომ წინ აღვუდგე თვითონ ნიმროდს, თავი ღმერთად რომ მოაქვს?!

– ჩემი რჩეული კი შენ ხარ, ებერ! – იელვა და ცაც გადაიხსნა.

უფალი უსმენდა ებერს, ზეცაში ესმოდათ მისი, ერთი გული ლამის ამოვარდნოდა სიხარულისგან, მეორე გული კი შიშისგან უთრთოდა, სცოდავ, ებერ და გიხარიაო?! – უფალო, შეგცოდე...

– ებერ, მესმის შენი და ყურადღებითაც მომისმინე!

და ებერიც უსმენდა უფალ ღმერთს, რომელიც პირდებოდა, ისე გააძლიერებდა, რომ ნიმროდსაც კი შებრძოლებოდა, დიდ მონადირეს და დიდ მეომარს, მარდუქის რჩეულს. – შენ დაგავალეს, რომ შეხვდე თარგამოსს, ჩრდილოეთის მბრძანებელს. შეხვდები და დაუმეგობრდები მის შვილებსაც, ძმობას შემოგფიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ, თარგამოსიანნი კი სიტყვის კაცნი არიან! შენ ტყეილუბრალოდაც არ მიემგზავრები დიდი თარგამოსის ქვეყანაში.

ებერმაც დახუჭა თვალები და თარგამოსიც იხილა, ძენი მისნი ძმობას ეფიცებოდნენ ებერს და თვალწინ წარმოუდგება: ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანოსი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი. უფროსი ჰაოსი კი არ გამოცხადებია ებერს.

და ესეც, ებერის კიდევ ერთ საფიქრალი...

* * *

უახლოვდებოდა ქარავანი არარატის მთებს.

ებერმა მზერა შესტყოროცნა ყველაზე მაღალი მთის მწვერვალს, თეთრად რომ გაებრწყინებია ამომავალ მზეს. ჩავიდა მზე, ჩრდილოვანი ნისლი შემოენთო მწვერვალს და ებერსაც გაუელვა: „ფიქრობს მწვერვალი. აუუ, რამდენი ფიქრი შემოსწოლია თავს?! აწმყოსთან წილნაყარი წარსულზე ფიქრობს. აწმყოს თვალებით მომზირალს უჭირს მომავალზე ფიქრი, – წამით, შეიძლება წამზე მეტითაც თვითონაც მოწყდა ფიქრს და მწვერვალს შემოხვეულ ნისლს ჰკიდა თვალი: ნისლიც ამოძრავებულიყოსო თითქოს და ებერიც ჩამჯდარიყო იმის მდინარებაში: – ჰეი, შენ ნისლო, მოეშვებოდე იქნებ, ააწყდებოდე ნოეს მთას და გაინავარდებდე, აღარ მოგწყინდა ერთი ადგილის ტკეპნა?! – გაიფიქრა და არარატის უმაღლესი მთიდან მონაბერმა ქარმა შეაქანა ებერი.

– ებერ, ის, ნოეს კიდობანი ჩემთანაა. არა, რა დაალპობდა, როცა მთლიანად ულპობელი ძელებისგანაა შეკრული. ასე რომ, შეგიძლია ნახო ნოეს შედევრი!

„ნოეს კიდობანი?!“ – ფიქრს ლამის შემოელახოს ებერი, – მაგრამ როდემდე გაუძლებს დრო-ჟამის მდინარებას? არაფერია ამ ქვეყნად მარადიული!

ქარი ჩადგა, მაგრამ მოასწრო, სემის დანაბარები გადაეცა ებერისთვის: – ებერ, შენ უნდა ნახო კიდობანი, თვალის შევლებაც იკმარებს, რომ მიხვდე, თუ რა წინაპარი გყავდა ნოეს სახით, გული გეტყვის თუ რა გადავიტანეთ იმ წარღვნის დროს. შენ იმიტომაც მოგმართავ, რომ შენივე გრძნეული გული შეგატყობინებს, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეგიძლია გააკეთო ნოეს მოდგმისთვის. შენ დიდი მისია გეკისრება, ებერ! შენ ახალ ისტორიას წერ! ჩვენ ნოედან მოვდივართ ყველა! ნოე დიდი მდინარეა და ჩვენ მისი ძენი მე, იაფეტი და ქამი – მისი შენაკადები. ნოე დედო მდინარეა... იხილავ კიდობანს და შენც ნოესავით შეივსები... აღივსები ჭეშმარიტებით! ებერი –ჲთვით ჭეშმარიტება!

ებერი ხედავდა სემს, ძმებს შორის ყველაზე უფრო იგი ჩამოჰგავდა ნოეს. სემი გაბრწყინებულიყო და ებერმაც იგრძნო, თუ როგორ მოიცვა მისი სული სემის თვალებიდან გამოტყორცნილმა სხივმა და თვითონაც იმ სხივივით გაბრწყინდა.

კარგა შებინდებულიყო, მაგრამ ებერი, როგორც ლამპარი, ისე მიუძღოდა ქარავანს. ისიც სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა მწვერვალისკენ, ებერი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა: „წინ – მწვერვალისაკენ!“ – გული ამოსძახოდა ერთსა და იმავეს: „მართალ ებერს“ მოელის ნოეს კიდობანი!“

შემტრედისფერდა ამასობაში.

მუხლი ხომ არ გაგვემართაო, ამოიხვნეშებს ოფლად გახვითქული მექარავნე და ნიშნად თანხმობისა, ებერიც თავს დაუკრავს თავის მექარავნეს.

გზას ორი საათის შემდეგ გააგრძელებენ. მალე გაფითრებული მექარავნე ქარიშხლის მოახლოებას ამცნობს ებერს.

ავად ჩაშავებულ ღრუბლებს უკვე ჩამოებნელებინა და მექარავნეც უსაფრთხო ადგილის ძებნას შეუდგა. თავშესაფარიც მალე მოიძებნა: ქარავანს თითქოს და სადარდებელიც აღარ უნდა ჰქონოდა. გრიგალმაც გადაუქროლათ და გამოიდარა, მაგრამ ქვების წვიმას გზა ჩაეხერგა მათთვის.

– გამოსავალი? – იკითხავს მექარავნე, – უკან რომ ვიწრო ბილიკი დაგვრჩა, ისიც მიგიყვანს მწვერვალამდე, აქ გაჩერება შეიძლება ძვირადაც დაგვიჯდეს, – შეფიქრიანებულიყო და აღელვებული ადგილს ვერ პოულობდა, ვაითუ ებერი არ დამეთანხმოსო.

– მექარავნე შენ ხარ და როგორც ალღომ გიკარნახოს, ისე მოვიქცეთ, – უთხრა თვითონაც შეფიქრიანებულმა ებერმა.

ქარავანმაც უკან დაიხია და იმ ვიწრო ბილიკს შეუყვა, მექარა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვნემ რომ ურჩია ებერს.

ებერს კი თვალწინ ნოე ედგა, თავი მაღლა რომ აეღო და უფალს უსმენდა. გრძელ ჭაღარა თმა-წვერს ქარი უფრიალებდა.

მიხვდა მექარავნე, რომ ებერი აქ აღარც იყო, მისი ფიქრები სხვაგან დაქროდა და გაეღიმა: – მენდობა, ხომ მითხრა საკუთარ ალღოს მიენდეო... თვითონ ნიმროდის ნდობით აღჭურვილი პირი მიცხადებს ნდობას და მეც რატომ აღარ უნდა ვიმოქმედო ჩემივე შეხედულებისამებრ?!

– მექარავნევ, ვგრძნობ, რაღაცა მკითხო გინდა...

ფიქრად წასული მექარავნე გამოაფხიზლა ებერის სიტყვამ.

– მე მართლა მინდოდა მეკითხა, ებერ ბატონო: თითქოს და არაფერი დაგვიშავებია და თავს რატომ დაგვატყდა ღვთის რისხვა?!

– ღვთის რისხვა?! უფალი ჩვენთან რომ არის და არ გვირისხდება, იმაშიც ჩანს, რომ არავის არაფერიც არ დაშავებია და ასე რომ ჩამობნელდა ამ დღისით-მზისით, აბა, დაფიქრდი, ჩემო მექარავნევ, იქნებ სწორედ მოსალოდნელ საფრთხეზე მიგვანიშნებს?!

სიტყვა არც დაემთავრებინა ებერს, რომ იელვა, რასაც გამაყრუებელი გრიგვინვა მოჰყვა და მათ წინ კლდეც ჩამოიქცა.

– მოდი და ნუ ირწმუნებ! – მექარავნემ ლოცვა აღავლინა უფლის მიმართ: „დიდია უფალი ჩვენი!“ – დაასრულა ლოცვა და მუხლი მოიდრიკა ებერის წინაშე.

ებერიც ჩამოხდა თავისი თეთრონიდან, ნოხი დაიფინა ძირს, დიდხანს, დიდხანს ლოცულობდა, ადიდებდა უფალს და მადლობასაც ეუბნებოდა, რომ შემწედ გეყოლებოდა და გზაც აღარ გაგვიმრუდდებოდა.

– ებერ! – უფალს საუბარი ენება: – ადამიანი თავისი წარსულითაა ადამიანი, მერე აწმყოთი და მხოლოდ ამის შემდგომ – მომავლით! ამიტომ: ვიწყებ წარსულით! თქვენ, მთელს თქვენ მოდგმას ვგულისხმობ, გყავდათ დიდი წინაპარი, დიდი წინასწარმეტყველი ნოე, პირველი პატრიარქი! ნოეს გარეშე ვერც შენი თანამედროვენი და ვერც შენს შემდგომდროინდელი მოდგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოიაზრებთ წარსულს, რომელშიც მოიძიება–სიცოცხლის საწყისი...

– უფალო... – ამოთქვა ებერმა: მაშინ რატომ მოუვლინე ადამიანს – შენსავ ქმნილსა და შენზევე მლოცველს ის ავადსახსენებელი წარღვნა?! იქნებ ის წარღვნა და ნოეს კიდობანიც ლეგენდაა მხოლოდ და არა – სინამდვილე?! მითი...

– ებერ, ჩემს შესაძლებლობებში ხომ არ გეპარება ეჭვი?! კი არ გამოვიგონე, გამოვიწვიე! მერე თვითონ ნოეს დავავალე კიდობნის აგება და იცი, რატომ: ადამიანის მოდგმის ძირშივე აღმოფხვრა არც მქონია ჩაფიქრებული. ადამიანი ხომ დიდ საქმეთათვის მოვავლინე ამ ქვეყნად. მაგრამ გაადავიწყდა მოვალეობანი თვისი და მხოლოდ უფლებებიღა ახსოვდა! მე კი ადამ-იანს უპირველესად მოვალოებათა აღსრულებას ვთხოვდი! ადამმა შესცოდა და მონანიებაზე აღარც უფიქრია. თავის მართლებაც კი სცადა და ამით მეორედაც შესცოდა. ბრალი მე, თავის მამობილს დამდო, შენი ნება რომ არა, ხომ ვერ შევცოდებდიო. ადამმა მიღალატა, თუმცა: თავის თავს უმტრო უფრო. ჰოდა, ადამიდან მოყოლებული სცოდავს და სცოდავს ადამიანი, თავის და საწინააღმდეგოდ შემართულა და უკან დახევა აზრადაც არ მოსდის! უარყო თავი თვისი და უფლის აღარ ეყურება. ადამს გადამკიდემ კინაღამ ნოეს ვტყორცნე ელვა და ვისთვის დამეკისრებინა იგი მისია, რომლის აღსრულებას ნოეღა თუ შეძლებდა. გამიხარდა კიდეც, უვნებელი რომ ვიხილე ნოე. მერე მოდიოდნენ და მოდიოდნენ ახალი ადამიანები, დამძიმდა მიწა, მოვიხილე უფალმა მიწა (კიდევ, ერთხელ), გავიხედე და რას ვხედავ, კვლავაც სცოდავს ადამიანი, სცოდავს მომეტებულადაც, წინასწარ გააზრებულად, წინასწარი განზრახვით! აღივსო მისი ძალადობით ქვეყანა და: როგორ მოქცეულიყო უფალი ღმერთი?! აღეგავა კაცნი პირისგან მიწისა?! – შენი დაღუპვა როდი მინდა, ებერ... მაგრამ ნოეზე მთლად რომ არ მითქვამს ყველაფერი?!

ჰოდა, ჩამოვსძახე უფალმა ნოეს: – მართალო კაცო! გააკეთე შენთვის კიდობანი ულპობელი ძელებისგან, ოთახები გაუკეთე კიდობანს და ფისით დაფარე იგი შიგნიდან და გარედან. კიდობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სიგრძე – სამასი წყრთა, სიგანე – ორმოცდაათი წყრთა და სიმაღლე მისი – ოცდაათი წყრთა უნდა იყოს!

– მერე, უფალო და: ეს ხომ სემისგან ვიცი...

– ებერ, ანი ნუღარ შემაწყვეტინებ! ნოეს მივმართავდი: დავდებ ჩემს აღთქმას შენთან! შეხვალ კიდობანში შენ და შენი ძენი: სემი, იაფეტი და ქამი და შენი ცოლი და შენი შვილების ცოლები...

– სემი გვიყვებოდა... ვიცი, უფალო: შენ კიდობანში შეაყვანინე ნოეს ყოველთაგანი, რაც ცოცხალია, ყოველი ხორციელთაგანი, ორ-ორი, რომ ნოესთან ერთად გადარჩენილიყვნენ ცოცხალი. ერთი მამალი უნდა ყოფილიყო და ერთი დედალი.

– ამაში გამონაგონი არაფერია, ებერ! და კიდევ: ვუთხარი ნოეს: შენ შედი და მთელი შენი მოდგმა – შენი სახლეული კიდობანში, რადგან გიხილე შენ მართალ კაცად ჩემს წინაშე მთელს ამ მოდგმაში...

– უფალო, შემდგომ ამისა გითქვამს ნოესთვის თურმე...

– ესეც სემისგან გეცოდინება, ებერ! შვიდი დღის შემდეგ ვაწვიმებ მიწაზე, ორმოც დღესა და ორმოც ღამესო... პირისაგან მიწისა წარვხოცავ, რაც შემიქმნია! – შვიდი დღე გავიდა და მართლა მოვიდა დიდი წყალი დედამიწაზე და ნოეს ცხოვრების მეექვსასე წლის მეორე თვის მეჩვიდმეტე დღეს იჩქეფეს უფსკრულის წყაროებმა და გაიხსნენ ცის სარკმელნი. წყლით დაიფარა მიწა. წყლის დონე დღითი-დღე მატულობდა, წვიმა არც აპირებდა გადაღებას.

ჰო, იყო წარღვნა, რომელმაც წაიღო მრავალთა სიცოცხლე, რაც დაიმსახურეს, მიიღეს იგი! – დაასრულა უფალმა თხრობა, – ახლა კი, ებერ, შენ გინდა იხილო ის ქარავანი არარატის მთაზე, არც მათლად მწვერვალზე... მაგრამ არარატი კეთილი მასპინძელიც არ გეგონოს! თქვენ ხომ მისი სიმშვიდე დაარღვიეთ. ნოეს კიდობანი არარატის მთამ დაისაკუთრა! ახლა კიდობანი მისი საკუთრებაა! ჩემი ნება რომ არა, ვერც თარგამოსი გიხილავს და ბაბილონის მიწაზეც ვეღარ დაადგამ აწი ფეხს! მაგრამ იყო წარსული და დღეს, ებერ, შენ აწმყოში ხარ, ჰოდა, მინდა გაუწყო, გზა ხსნილია შენთვის! იარეთ მწვერვალისკენ! მაგრამ

ათასი ყურისა და ათასი თვალის გამოსხმა გმართებს, კიდობანი რომ იხილო! კიდობანი კი იოლი დასანახიც არ გეგონოს?! იგი სალ კლდეებს მირჩილული ყოფილიყოსო თითქოს და იმ კლდეების იერსახე მიუღია, რაც მწვერვალზეა. ასი წყრთა თუ ოდნავ მეტი თუ ნაკლები აშორებს მწვერვალამდე. სწორედ რომ ქამელეონივითაა. მაგრამ დროა დაიძრათ მწვერვალისკენ! – თქვა და პირიც შეიკრა ზეცამ.

მწვერვალიც თითქოს თავისკენ უხმობდესო ქარავანს და ქარავანიც მაღლდებოდა: მარჯვნივ უფსკრულს დაეღო ხახა. და ფხიზელი თვალის გამო იყო, რომ არაფერი დაშავებია ქარავანს.

როგორც იქნა დასრულდა გზა-ბილიკი. აწი, გზა აღარსაით! ებერმაც ანიშნა მექარავნეს, რომ დამდგარიყო ქარავანი. ჩამოხდა თეთრონიდან და გადმოზნექილ კლდეს ახედა.

– კარავს აქ დავცემთ! – ბრძანებდა მექარავნე.

ებერი კი დაყრუებულიყოსო თითქოს, აღარაფერი ესმოდა და მზერად ქცეულიყო: – არარატის მთაზე ვარ, იმ მთაზე, ნოეს კიდობანი რომ მიადგა ერთხელ და ღუზა ჩაუშვა. წყალმა კი იკლო ბოლოს, იკლო და კლდის ძირმაც არსად გაუშვა კიდობანი, მერე მიიკრა და შეერცყნენ მერე ერთმანეთს, თითქოს ერთი მეორეში გადადიოდნენო.

– ქამელეონივითააო, მეუბნებოდი, უფალო ღმერთო, გარემოს შეეხამოს და გარემოდვე იქცესო, მაგრამ იდუმალადაც რატომ გინდა რომ რჩებოდეს? ნუთუ იცვალა ფერი და კლდეებისგან ვეღარ გამოვარჩევ? – თავბრუ დასხმოდეს ებერსო თითქოს: – მაგრამ ეს გამოზნექილი, კლდეს რომ გამოზრდია, ნეტა რა უნდა იყოს?

– მარჩიელობ, ებერ, არ გეკადრება!

„ჰო, კლდეს შეზრდია თუ გამოზრდია, ცალკე რამ საგანია, თუ მხოლოდ კლდის ნაწილი? მთელი თუ ნაწილი? ხომ არ გადამეზომა?!“

– მარტო ფიქრობდე და არას შვრებოდე? – უსაყვედურებს უფალი ებერს: – ებერ, იმოქმედე!

„სამასი წყრთა რომ არ გამოვიდეს, ხომ წყალში ჩამეყარა ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი?! მაშინ სულ სხვაგან მომიწევს კიდობნის ძებნა, ყველაფრის თავიდან დაწყება მეტისმეტი იქნება: ზევით მწვერვალისკენ – გამორიცხულია, არც უფრო ქვევით, მაგრამ გული რომ მეუბნება, კიდობანია შენს წინ, ოღონდ კარგად დააკვირდიო!“ – მექარავნეს უხმო. ისიც ეახლა. – მექარავნევ, ერთი ამ კლდის გადმონაზნექს დააკვირდი! მაინც რას გაგონებს?

მექარავნემაც მოიჩრდილა შუბლი და კლდეს მოწკურული თვალებით ახედა. დიდხანს უყურა და თავდავიწყებიდან გამოერკვაო თითქოს, თქვა: – საოცრებაა სწორედ, ასეთი არც რამ მსმენია და არც მინახავს, ღმერთო დიდებულო... ასეც გჯერა და გჯერა ისეც... – და ისევ ახედა კლდის გამონაზარდს და, თქვენ როგორ გნებავთ, ებერ ბატონო, რომ ის გამონაზარდივით რომ არის, კლდისავე ნაწილი იყოს, თუ სხვა ცალკე რამ საგანი, დამოუკიდებელი, თვითნაბადი?

ებერმაც ისევე დაკვირვებით შეხედა მექარავნეს, როგორც თვითონ მექარავნე შესცქეროდა კლდესა და მის გამონაზარდს: „თითქოს ჩემს სულში იჯდეს და ჩემს ფიქრს კითხულობდეს... იცის, ხვდება გუმანით, რაც მაინტერესებს, და რაც ჩემს გულს ნებავს!“

– ებერ ბატონო, თითქოს შეკედლებული იყოს ამ კლდეს. ეს ამოზნექილი თვითონ ერთიანი მთლიანი რამ საგანი უნდა იყოს ჩემი აზრით, ალბათ მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ცალკ-ცალკე აღარ არიან კლდე და ის ამოზნექილი... მაგრამ უნდა მივენდო გულს, როცა მეუბნება: კლდე კლდეა თავისთავად და ამოზნექილიც ცალკე საგანია, მაგრამ შეერთებულან როგორღაც და რა ძალამ შეაერთა ისინი და შეადუღაბა ასე, ამაზე პასუხი არ მაქვს!

– მექარავნევ, დროს მუხლჩაუხრელად უმუშავია!

– ებერ ბატონო, ის მცირე, ამოზნექილი მიკვრია უფრო დიდს. კლდეს მიუზიდავს ის მომცრო საგანი... მერე: წვიმები, ქვების წვიმა, იქნებ მეწყერიც და ამოვსებულა სიცარიელე, კლდესა და იმ გამონაზარდს შორის რომ უნდა არსებულიყო. მაგრამ შეიძლება, ვცდებოდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მექარავნევ, არ ვიცი, რა მოუსწრია და რა ვერ მოუსწრია დროს, მაგრამ უმუშავია კი! წარღვნის შემდეგ კიდობანი ამ მთას მოდგომია. კიდობანზე სემიც ყოფილა თავის ძმებთან ერთად და მე სემის შვილთაშვილი ვარ!

– მერე და უნდა იცოდე შენ იმ კიდობნის ზომები, ებერ ბატონო! სიგრძე, სიგანე და სიმაღლე! ჰოდა, გავდავზომავთ ამ გამონაზარდის ჯერ სიგრძეს, მერე...

– სიგრძე – სამასი წყრთა!

– ჩემი ასორმოცდაათი ნაბიჯი, ცოტა მეტი ან ცოტათი ნაკლები!

და ითვლის მექარავნე და ფიქრობს კიდეც: „ასე ჭკვიან კაცს საამისოდ მოეცალოს?! მაგრამ მეც რომ გამიტაცა ამ ამბავმა და ასე დრომაც რომ იდროვა და ასე უტყუარად როგორ მიასალკლდევა ამხელა რამე ამ პიტალო კლდეს?! – გალია მის წინაშე დათქმული მანძილი და შედგა: – ასორმოცადთორმეტი ნაბიჯი, რაც სამასი წყრთაა დაახლოებით.

ახლაღა შეამჩნია, რომ ებერიც ფეხდაფეხ მოჰყვებოდა და ისიც მასთან ერთად ითვლიდა თავისთვის ხმადაბლა.

– ზუსტად კიდობნის სიგრძე!

მექარავნემ ისევ მოიჩრდილა შუბლი და კლდის შვერილს მიაშტერა თვალი.

– მაინც რამდენი იქნება სიმაღლეში?! – ჩაფიქრდა მექარავნე და: – რამდენი და ოცდაათ წყრთამდე...

„სიგრძე და სიმაღლე იმდენია, რამდენიც კიდობნისა იყო, სიგანეღა და...“ – ფიქრობს ებერი. მექარავნეს თვალი ვერ მოუშორებია მისთვის:

„მე ლურსმანი ვიყო თითქოს, ებერი კი – მაგნიტური მთა... მიზიდავს თავისკენ, თორემ რომელი გიჟი ვიყავი, მისი მექარავნეობა მეკისრა?! იმთავითვე მომნუსხა, მომაჯადოვა...“

– მექარავნევ, ახლა ზემოდანაც დავხედავ და... – ხელით შემოხაზა ნავარაუდევი კიდობანი და აღმართს შეჰყვა. მექარავნე გვერდიდან არ მოცილებია. უკვე ზემოდან დასცქეროდნენ კიდობნისმაგვარ კლდის გამონაზარდს: – თითქოს კიდობანია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოეს კიდობანი! – უბიდან ტილოს თოფი ამოიღო – ებერმა და მუხლებზე დაიფინა. აბგიდან ნახშირი ამოიღო და ისევ დახედა ზემოდან დროის მიერ ჯერაც გადაუშლელ კიდობანს: „თითქოს თარგს ვიღებდეო, – ხმამაღლაც აღარ უთქვამს, მაგრამ ყურს მაინც ესმა თუნდაც გულში გავლებული: „მაგრამ ასე მგონია, მე კი არ ვავლებდე ამ ხაზებს, არამედ სხვა, ვიღაც ისეთი ვინმე, თითქოს კიდობანზე ყოფილიყოსო ნამყოფი და თვალნათლივ ხედავდეს იმ შეშლილ სამყაროს, მაშინდელი ცოფმორეული ოკეანის სახე რომ მიეღო.

ნახაზი მზად იყო, მაგრამ შეეშინდა დაეხედა თავისი ნახელავისთვის. თვალი მოხუჭა და ტილოზე აღბეჭდილი ნახაზი თვალებთან მიიტანა: „რომ გავახილო თვალი და კიდობნის ნაცვლად სხვა რამ დავინახო, ხომ გავგიჟდი?!“

– ებერ! – გაიგონა და ზეაიხედა: – რატომ თვალს არ გაუსწორებ სინამდვილეს?!

ებერს თვალები ეწოდა, გაშავებული თითებით რომ ცდილობდა ამოწმენდას:

„ებერ, რაღას აყოვნებ?! – თავს შეუძახა და ნახაზს მიაშტერა თვალი: – კიდობანი, კიდობანი! ნოეს კიდობანი! – შესძახა მთელი ხმით და მაღლა აიღო თავი. ცაც უღიმოდესო თითქოს, გადაიხსნა სულაც და ელვა-კვალში თვითონ უფალი ღმერთი ცაბაოთი ამოიცნო.

– ნოეს კიდობანი, ებერ! აბა, რა გეგონა?! არაფერიც არ იკარგება ამქვეყნად. ებერ, ნოე – შენი დიდი წინაპარი დიდი შემოქმედი იყო და დიდი შემოქმედის სიტყვა არ იკარგება, პირიქით, მატერიალიზდება სიტყვა, სწორედ ძეგლივით! შენი ქმნილება, რომელიც სინამვდილის ანარეკლია, იმ დიდი მოვლენის დასტური და გამეორებაა, გამეორება კი არა, გაცოცხლება ებერ! და იცოდე, ადამიანის სრულიად ამოწყვეტა არც მიფიქრია. მაინც ვერ გავიმეტე ადამიანი, ვერ გავიმეტე! ადამ, ეს რა მიყავი, ადამ?! – ამოიგმინა ზეცამ და პირიც შეიკრა.

ებერმა ჯერ იმ კლდის გამონაზარდს – კიდობანს დახედა, სიგრძით სამასი წყრთისა რომ იყო, სიგანით – ორმოცდაათისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ოცდაათი წყრთის სიმაღლისა, მერე მზერა თავის ნახატსა თუ ნახაზზე გადაიტანა. გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. გაშლილი ტილოს ნაჭერი თითქოს თავისით დაიგრაგნა და სელის ძაფითაც შეიკრა. გრაგნილი უბეში შეინახა და ქვევით დაეშვა, მექარავნეც უხმაუროდ მოჰყვებოდა გვერდით და ესმოდა, მექარავნე რომ უსიტყვოდ ეკითხებოდა, ეს რა იყოო?!

– კიდობანი, მექარავნევ, ნოეს კიდობანი! – იძახდა ებერიც უსიტყვოდ, – კიდობანია, წარღვნას რომ გადაურჩა...

– დიდი მადლობა ებერ, თქვენ! კიდობნის ნახვის ღირსი რომ გამხადეთ! ამას როგორ დაგივიწყებს ერთი უბირი მექარავნე, მაგრამ ბედნიერი, ჰო, სწორედ ბედნიერი მექარავნე!

– მექარავნევ: კიდობანი არარატის მთას რომ მიადგა, კიდობნის კარიც (ამოქოლილი საიმედოდ) თვითონ უფალმა გამოაღო და გადარჩენა მიულოცა ნოეს, მერე სხვა დანარჩენს მიუბრუნდა და ნუღარ შესცოდებთო, დაამუნათა სათითაოდ ყველა: ადამიანი, ცხოველ-ნადირი თუ ფრინველი და გაუჩინარდა.

მერე: თვალი აღარც ებერს მოუხუჭავს და აღარც – მექარავნეს. იყვნენ თავთავიანთთვის.

მხოლოდ ალიონზე შეეხმიანა ებერი მექარავნეს, ხომ არ ჩავიაღმართოთო და ქარავანიც დაეშვა ქვევით.

– აწი შენ იცი, მექარავნევ, – ჩაილაპარაკა ებერმა და თავი ფიქრებს მიანება...

* * *

მოწყურებოდა ნიმროდს ევფრატის წყალი და თავის ბედის ბედაურს უხმო: – მზის ამოსვლამდე მე და შენ იმ ჩვენი მთის ძირში უნდა ვიყოთ! გამოარღვიე ეს მრუმე სივრცე და მოსვლა შენი ჭიხვინით მამცნე!

ბედის ბედაურიც თვალის დახამხამებაში ნიმროდის წინ იდგა ჩახრილი თავით და თავის მასიურ ფლოქვებს მიწას ღონივრად სცემდა.

ნიმროდიც ამხედრდა და ბედაურიც ადამიანის ენაზე ამეტყველდა: – არ ვიცი ვინ, მაგრამ დაგხვდება ვინმე მავან-მავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედარის ხესთან! – ამის თქმა და ბრძენი ბუც ნიმროდის მხარზე ნება-ნება დაეშვა...

– შენ რაღას მეტყვი, ჩემო ბრძენო ბუვ?

– იქ, ჩრდილოეთში მართალი ებერი მალე ჩააღწევს...

– მართალი ებერი?!

– დიახაც: მართალი ებერი, ჩავა შენს სისხლისმიერ ქვეყანაში, შენსავ სანათესაოში, ჩვენც ყველანი ხომ იქიდან უნდა ვიყოთ?!

– მაგრამ ჩემი სამშობლო შუამდინარეთია, ქალდეა, ერიდუ – მსოფლიოს ჭიპი!

– ჰო, საკამათოა ეს საკითხი, ნიმროდ. ჯერ არავის დაუდგენია ქალდეაა ჩვენი ძირი, თუ – ჩრდილოეთში ის ქარდუხი, დღეს თარგამოსის ქვეყნად რომ არს ცნობილი. დიდი თარგამოსი, რამდენიმე ჩვენი მონათესავე ტომი რომ გააერთიანა და ქარდუხის ქვეყანა უწოდა. ნიმროდ, იქ ჩრდილოეთში ქარდუხეთია და მასზე გეჭიროს შენი ფხიზელი თვალი! იქ, ჩრდილოეთში კინაღამ შენი ბაბილონის ხელა ქვეყანა ნიმროდს მოელის!

– ჩემო ბრძენო ბუვ, არა მგონია დღესდღეობით მეტოქეობა გაუწიოს ჩემს დიდ ბაბილონს ვინმემ!

– მე როდი ვამბობ, ჩემი ნიმროდის ხელა ვინმე დადიოდეს დედამიწის ზურგზე, მაგრამ იქ, ქარდუხის მეფედ თარგამოსია, შენი სისხლი რომ უჩქეფს ძარღვებში, რვა ძე ჰყავს მეფეს და ერთმანეთზე უკეთესები! ძლევამოსილი მეომარია ყველა! და შენ, ნიმროდ, ისინი ნებროთად გიცნობენ! „ნებროთ“ – სხვანაირად ჟღერს.

– არაბაბილონურად! – თვალს გააყოლებს ნიმროდი ევფრატს: „ჩემი დიდი წყალი...“ – ფიქრს გამოუდგება ნიმროდი და აჰა, წამოეწია კიდეც: „ზოგან მჩქეფარე და გადმომქუხარი, ცა და ქვეყანა რომ მოაქვს ჩემკენ და: ზოგანც – მდორე, მშვიდად, თავისთვის რომ მიიმდოვრება დაუნჯებული, ბევრის მომსწრე და მნახველი და მაინც მდუმარე, სიტყვაძუნწიც, მაგრამ მოსიყვარულე, გრძნეული გული ასე ძალუმ რომ უძგერს და: – ისევ შეავლო თვალი ნიმროდმა იმ დიდ წყალს, თვალი რომ ვერ მიწვდებოდა იმის მეორე ნაპირს და ამის შემყურეს სულიც დიდი სისოვლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოევსება, თვალებს კი წყალი მოულბობს: – დიდება, წყალო შენდა! – მიესალმება ევფრატს – მეფეთ-მეფე მეფე-მდინარეს და ესმის თითქოს იმის დუდუნში: – მოგესალმები, გმირო მონადირევ, ძლივს არ გააძღე თვალი ჩემი დღეს შენი ხილვით?!

– მოგესალმები, წყალო დიდო. შენ მარჩენალო ჩვენო, მთლად ბაბილონიანნი მოგესალმება, შენზე მოიმედე!

– ნიმროდ, ჰო, შემსვი! „შემსვი! გაამოს!“ მოიკალ წყურვილი, რომ მოიკრიბო სულის მხნეობა, გაგიასკეცდეს ძალა, მაგრამ გაფრთხილებ, კაცი რომ ხარ ადამ-იანი, ნუღარ მოიწადინებ ადამიანისთვის განკუთვნილ ჩარჩოებს, მაგრამ იმას როდი ვამბობ, შენი მეობით არ აღემატოო ადამიანს-მეთქი. ოდინდელ შენს ღმერთს ცაბაოთს უნებებია, ყოფილიყავი სრულყოფილი, ღვთაებრივი ნიჭითა და ძალით აღჭურვილი, მაგრამ ადამ-იანი მხოლოდ!

მაგრამ ადამიანურ ჩარჩოებშიც როგორ ჩატეულიყო ნიმროდი, როცა უკვე აღემატება ადამიანს. მოიწყინა უცებ და თვალი ისე აასხლიტა წყლის ზედაპირს, როგორც გასროლილი ბრტყელი ქვა აასხლტება ხოლმე წყალს.

– ნიმროდ, იქიდან მახსოვხარ, ბრტყელ ქვებს რომ მესროდი, მაგრამ ისე, რომ ამსხლეტოდა. ჰოდა, გაარღვიე ის ოდინდელი ჩარჩო და...

– ახალ ჩარჩოშიც ვიცი, უხერხულად ვიგრძნობ თავს, ერთიც რომ შევიბერტყო, მერე?

– ახალი წრე შემოიწერე ირგვლივ!

– და როდემდე, როდემდე ვმეორდებოდე ასე? როდემდე, წყალო?

და წყალიც უხსნის, რომ იგი მარად იზრდება და ძლიერდება, იგი მოძრაობაა თავად და მისი მოძრაობის მდინარეებში უნდა ჯდებოდეს ყოველი სულდგმული და უსულონიც! მაგრამ ადამიანის არსის უარყოფა კაცს არ ეგების! ადამიანად გაჩენილი ადამიანადვე, ადამიანურადვე უნდა აღესრულოს! ვიცი ისიც, რომ გაგიჭირდება ბოლოს ადამიანობა. მეტს ინდომებ... შეიძლება ამითაც აშავებდე, მაგრამ უფალი ის... ცაბაოთი მაინც ვერ გაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წირავს, როგორც არ გაწირა ერთხელ ადამი, თავისი რჩეული! ადამიანის მოდგმასაც ვერ შეელევა ცაბაოთი. ამის დასტურია ის დიდი წარღვნა, ნოემ რომ გადაიტანა! იცხოვრე შენც, როგორც გეცხოვრებოდეს, მაგრამ დარჩი „ადამიანი!“ – დადუმდა წყალი ევფრატის, მოითქვა სული და ამჩქეფარდა კვლავინდებურად, მერე უცებ შეიცვალაო თითქოს და ნიმროდს გამოსძახა: – იქ, მაღლა მოწყურებია შენს კედარს: მიდი, მოაკვლევინე წყურვილი და იმის ტანს მიეყრდენი ზურგით, ჩვეულებისამებრ... აქ ჩემი სწავლება არც გჭირდება! იქ გრძნეული სული... ის, შენ რომ იცნობდი, აღარცაა უკვე... სხვა ციური სხეულიდან მოსულა... იქნებ: ნიბირუდანაც, – გააიდუმალა ხმა, – მაგრამ თუ არ გაგიმართლა იმედი, ნუ აგრძნობინებ, თვითონ მიხვდება, როგორც მოიქცეს და ვერც კი შეიტყობ, ისე გაგეცლება!

ასეც მოვიქცევიო, ამოთქვა ნიმროდმა, იღლიაში ამოიჩარა წყლით სავსე ქვევრი (აღარც ახსოვდა, როდის შეავსო ქვევრი წყლით): – რაღაც მნიშვნელოვანს თუ მაცნობებს... და მადლობთ შენ, წყალო დიდო ამ ყველაფრისათვის! – თავი დაუკრა ევფრატის წყალს და შეჰყვა მაღლა იმ თავის ნაცნობ გზა-ბილიკს.

მიდიოდა და სული მიუსწრებდა წინ. ასე სწრაფად აღარც კი ახსოვს, ევლოს ოდესმე. უკვე მირბოდა, მაგრამ ისე რომ, წვეთი წყალი არ უნდა დაღვროდა.

კედართანაა უკვე: „ნეტა კედარსაც ხომ არ მოეჩქარებოდა ჩემკენ...“ – ახედა სულშეხუთულ კედარს. ძალიან გაჭირვებოდა ხე-კაცს, იმის ირგვლივაც უჭირდა მიწას, წყურვილისგან დაოსებულს, ალაგ-ალაგ რომ დამსკდარიყო, ბზარები გაღრმავებოდა.

რაღას ველოდებიო, გული მოეწურა ნიმროდს და ქვევრი გადმოაპირქვავა. მიწამაც დახარბებულივით შეინოვა ევფრატის წყალი და ამოაოთრქლა.

დამაგვიანდა ნუთუ? შეწუხდა ნიმროდი და მიწამაც აღარ დაახანა:

– სულზე მომისწარი, ნიმროდ. შენ რომ გელიან?! კაი ვინმე ჩანს: მოთმინების უნარი, გიყვარდეს, პირდაპირ შეგშურდება! – თქვა კედარმა და პირი მომუწა. ნიმროდმაც შეიბერტყა მხრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სანამ კედარის ტანს მიეყრდნობოდა ზურგით, თავიდან განიშორა ყოველი ფიქრი და ამაზე უკეთადაც არასოდეს უგრძვნია თავი. მხოლოდ იმას შეიგრძნობდა, თუ როგორ გადმოდიოდა მასში კედარის სისხლი. თვალები მიელულა კედარს მინდობილს. ვიღაცის ხმაც გაიგონა, მაგრამ აღარ მიუქცევია ყურადღება.

– ვიცი, არ მომელოდი, ვერც კი წაროიდგენდი, რომ მე მიხილავდი მაინც და მაინც და: – ხმა გაუწყდა იმ მომლოდინე მავან და მავანს. ვერ იცნო ნიმროდმა, მაგრამ ტანზე აბურძგლა.

– და ნიბირუდან ხომ არ გგონივარ? – იკითხავდა ხმა.

თუკი ნიბირუდან არაა მოსული, შეუძლია უკანვე გაბრუნდესო, ფიქრობდა ნიმროდი. ახლა სწორედ გრძნეულის დანახვა არ უნდოდა. ცბიერმა ღიმილმაც კი გადაურბინა სახეზე და გულმაც ასე ამოუთქვა: „მე ვარ და ვიღვწი! ვარ – ვფიქრობ, ვარ – ვაზროვნებ! ვარ – ვმბრძანებლობ!“

უცებ, როგორც სჩვეოდა ხოლმე, აღენთო და აგრძნობინა მასთან გასაუბრების მსურველს, უჯობდა გასცლოდა იქაურობას, ბაყაყური მოესვა.

– ნიმროდ, შენ თვითონაც იცი, რომ მე უკვდავი ვარ, ჩემთვის უკვდავება არავისაც არ ჩამოურთმევია. ვიქნები, ნიმროდ, ვიქნები, ნიმროდ! – იმეორებდა გრძნეული, იმეორებდა დამთხვეულივით, თითქოს თავსაც იმართლებდესო.

ნიმროდიც ფიქრობდა ამ დროს: უკვდავი რომ ყოფილიყო, ღმერთზე მეტსაც კი შეძლებდა, თუმცა ვერც ის წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა მომკვდარიყო ერთ დღეს, გასრულებულიყო უბრალო მოკვდავივით და ნიმროდი რომ ნიმროდია, ისიც უნდა შეგუებოდა თავისი სიკვდილის გარდუვალობას. კარგი, ვთქვათ და დაეშვა საკუთარი სიკვდილი, მაგრამ ბაბილონი ვისთვის დაეტოვებინა?! და როცა არს ბაბილონი, ნიმროდი აღარ იყოს? ამის დაშვება როგორ შეიძლება?! და, ბაბილონიც როგორ შეელევა ნიმროდს? – გრძნეულზე მოსდის ბრაზი: – უკვდავი იყო შენ და მე შეიძლება მოვკვდე?!

აქ სული აუმღელვარდება გრძნეულს: – ჰოდა, მე მოგანიჭებ უკვდავებას! ამასთან: შეიქმნები შენც ყოვლისშემძლე! – თანაც

ერთგვარი უხერხულობაც იგრძნო: „ამან დღემდე არ იცის, რომ ადამია და ურჩობისთვისაა, ასე რომ ისჯება! კი მოუკლეს ჩრდილი, მაგრამ მარადი ადგილიც მიუჩინეს ამ წუთისოფელად. გაუმარადისეს მისთვის განკუთვნილი წუთი. მაგრამ ეს ხომ მთლად უკვდავებასაც არ ნიშნავს?! მართლა აღარაფერი ახსოვს?!“ – რაღაც ყოყმანისნაირი ფიქრი ვერ მოეცილებია თავიდან გრძნეულს და მიუხვდა ამას ნიმროდი, მაგრამ, ის მისი დაფარული, საიმედოდ შენიღბული ფიქრი ვეღარ წაიკითხა, გრძნეულის სულში რომ დაძრულიყო: – არა, მე არ უნდა ვკვდებოდე! მაგრამ შენს მიერ მონიჭებული უკვდავებისთვის მიმიფურთხებია! – და ფიქრიც ისე დაასრულა: „ნიმროდისნაირი ზეკაცი ყოველ დროში საჭირო იყო!“

„იქნებ არც უნდა კვდებოდეო“, სინამდვილეს სულ ახლო მიახლოებოდა გრძნეულიც: – და რატომ, რატომ უნდა კვდებოდეს ნიმროდი!

– და რაა საჭიროო, რომ აღარ მოკვდეს ნიმროდი?! – წამოიყვირა ნიმროდმა, – და დროს რატომ უნდა ხარჯავდეს ნიმროდი ამაზე ფიქრში?! რაო, ნიმროდი რომ ვარ, იმიტომაც ვერ უნდა ვიყო მოკვდავი? ნიმროდი რომ ვარ, იმიტომაც უნდა ვკვდებოდე! მაგრამ მე კითხვაც მებადება ამ დროს: ნიმროდი რომ ვარ, ამიტომაც ვერ უნდა ავმაღლდე ღმერთამდე? ღმერთიც ვეღარ ვიყო?! ჰოდა, სათქმელი პირდაპირ მითხარ, გრძნეულო, ღობე-ყორეს ნუღარ მიედ-მოედები?! მომაკითხე ისევ? ჰოდა, ამის მიზეზიც მითხარ!

და გრძნეულსაც, თითქოს სხვისი პირით უბნობდესო, ხმა შეცვლოდა: – მთელი ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდი, მენახა გამოსავალი.

– თითქოს ცდილობდი! – უკვე ბრაზობს ნიმროდი და ამას აღარც მალავს: – მე მისი აღარ მეშინია უკვე, აწი ვეღარაფერს დამაკლებს! ცაბაოთი ჩემთვის საშიში აღარ არის!

– და საშიში იმიტომ კი აღარ არის შენთვის, რომ შენ სხვა ღმერთი გყავს და იგი დაგიცავს ცაბაოთისგან, არამედ... – აქ მოფხიზლებულიყოსო თითქოს, განგებ აღარ გააგრძელა, სიტყვა ენის წვერზე მიიყინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მე თვითონ ვარ ღმერთი, გრძნეულო! აი, რატომ არ მეშინია მე ცაბაოთის?!

– ნიმროდ, ჩემი თანადგომა შენთვის ზედმეტიც არ უნდა იყოს, რადგან შენმა მარდუქმა მალე შეიძლება აწი ვერც მოიცალოს შენთვის. იგი ჩემი აზრით, მარდუქზე ვამბობ, სხვა განზომილებაში გადადის. უნდა ამაღლდეს და მის გონსაწიერში არა მგონია, მოიაზრებოდე შენ! ამიტომ იგი შენი მფარველიც ვეღარ იქნება!

– და შენ უნდა იყო ჩემი მფარველი?!

– ნიმროდ, კი ხარ გრძნეულიც და ბევრის შემძლეც, მაგრამ შეძლებ კი მარტოკამ განაიარაღო ყოვლისშემძლე ცაბაოთი? ამიტომ გთავაზობ ჩემს სამსახურს. მიმსახურე და შეიძლება გამოგადგე კიდეც! რომ შევკავშირდებოდეთ მე და შენ... კარგი: შენ და მე!

– ორთა კავშირი?! – თავი გადააქნია ნიმროდმა, მე მსახური მჭირდება უფრო! დიდი მსახური!

– ჰოდა, მიმსახურე! მაგრამ შენ, როგორც ჩემმა პატრონმა, მებატონემ ავ თვალსაც ხომ უნდა ამაშორო?!

– აი, სამართლიანი განჩინებაც! – ბეჭედივით დასვა ნიმროდმა, – გრძნეულო, შენ ისეთი ვინმე ბრძანდები, რომ ყველაფერი წინასწარმოფიქრებული და უკვე გათვლილიც გექნება... – ფიქრმა წაიღო ნიმროდი. და კარგა ხნის შემდეგ მაღლა აიღო თავი, გადამლაშებული ნერწყვი გადაყლაპა და საცრისოდენა თვალებიც გრძნეულ სულს მიაშტერა: – ეგერ ლერწმის კალამი და აგერ თიხის ფირფიტა... საგანგებოდ შევარჩიე თიხა და როგორც წესი, დავამუშავე, – ჩაახველა და გრძნეულ სულს დრო მისცა საიმისოდ, რომ თავისი სიტყვა ჩაერთო.

და გრძნეულმაც: – თითქოს სულში ჩამხედე, ნიმროდ, ეს თუ წინასწარ გქონდა მოფიქრებული, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი, – შენ აქეთ მთხოვ სულს, როცა მე შენთვის უნდა მეთხოვა სული!

– ვიცი, რასაც გულისხმობ, მაგრამ ახლა მე ვითხოვ შენს სულს და ვითხოვ, ყველაფერი შეასრულო! ღალატი არ გაიტარო გულში. შენ ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი ხდები და არავითარ შემთხვევაში, მრჩეველი! ნიმროდს მრჩეველი არ სჭირდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევით იქით მოგცემთ რჩევებს და დაგარიგებთ კიდეც!

– მაგრამ ეს კალამი რაში უნდა ჩააწო? იქნებ ესეც მოფიქრებული გაქვს, ჩემო ბატონო?

– სწორად მიმიხვდი, გრძნეულო, ტყუილ-უბრალოდ ხომ არ მოგაცდენ ჩემს ერთგულ მსახურს?! – გაიმკაცრა ნიმროდმა ხმაც და საცრისოდენა თვალებშიც ჩაიყენა რისხვა.

– მაინც რაში უნდა ჩავაწოთ ლერწმის კალამი, რომ ფერიც დაედოს და ეს ფერი დრომ ველარ წაშალოს?

– რაში ჩავაწოთ, გრძნეულო?! რატომ არ ჩამხედავ სულში?!

– ჩაგხედე, მაგრამ... ვაღიარებ, რომ უძლური ვარ აქ... მაინც რაში ჩავაწოთ, ჩემო ბატონო, ეს ოხერი ლერწმის კალამი?

– სისხლში და მხოლოდ სისხლში! – ამოიძახა ნიმროდმა მთელი ხმით. – სისხლს ვერაფრით ამოშლი, გრძნეულო!

– დიდებულია! ვერაფერს ვიტყვი... შენ მე მაოგნებ, ნიმროდ! სწორედ რომ ღვთაებრივი ჩანაფიქრია! ღმერთის საფერი. – მაგრამ სახეს კი უმალავდა გრძნეული ნიმროდს და ისეთი ნიღაბიც შეერჩია, უბრალო მოკვდავისაში რომ ვერ გამოარჩევდი. ამასაც მიუხვდა ნიმროდი, – მაგრამ ჩვენ, მე – ნიმროდს და შენ კიდევ – გრძნეულს გულწრფელობაც გვმართებს ერთი მეორის მიმართ. მე ჩემი ჭეშმარიტი სახით ვდგავარ შენს წინ, შენ კი ნიღაბი აგიფარებია! სადაა აქ გულწრფელობა?! – ნიმროდს თვალები გაფართოებოდა და ეს რისხვისგან მოსდიოდა, – გრძნეულო, ჩამოიხსენი ეგ შენი მდარე ნიღაბი და: თუ ვინმეს მოტყუება დააპირო, კეთილი, მაგრამ ნიმროდი თავს არ მოგატყუებინებს. მე ხომ... – საცრისოდენა თვალები დაუბრიალა გრძნეულს: – ჩემი მსახური ამავე დროს ჩემი ნდობით აღჭურვილი პირიც უნდა იყოს!

ნიმროდი, თითქოს ევფრატის წყლიდან ამოეყვინთოსო, შეიბერტყასავით: – ბატონი თავის მსახურს ვერ ხედავდეს?! გრძნეულო, შენ მსახური ხარ ჩემი, თუ მხოლოდ სიცარიელე: უფერული და უსხეულო?! – ხელი ხელს შემოჰკრა, – როცა გელაპარაკები მსახურს და არა... – აქ ნიმროდმა შესატყვისი სიტყვა განგებ გადაყლაპა და თავისი აზრის დამთავრება აღარც გრძნეულს დაანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურიც უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და ამის დაფარვა აღარც უცდია.

– შენი მსახური ვარ, ნიმროდ და არა – სიცარიელე... – კბილებში გამოსცრა გრძნეულმა, – და მსახურს კი არა, მონას ელაპარაკებოდე თითქოს. მე არც ცაბაოთის მონა ვყოფილვარ და ვერც შენ დაგემონები! შეგიძლია მიბრძანო, მაგრამ ისე, როგორც მონას, ვერ მომეპყრობი. მე მსახურიც იმიტომ ვარ შენი, რომ მიბრძანო! – თვითონაც ებრძანებინოსო თითქოს თავისი თავისთვისო და სიცარიელიდანაც გამოიწველა. მერე გაიზარდა და ნიმროდსაც კინაღამ გაუსწორდა სიმაღლეში.

– აი, მსახურიც! – წამოიძახა ნიმროდმა და კიდევ ერთხელ შეათვალიერა იგი თავით ფეხებამდე. მერე მხარზე მოუთათუნა ხელი: – სწორედ ასეთი მეგონე, კმაყოფილი ვარ შენით...

აქ გრძნეული შეცბა: „მისი სიმაღლის მართლა ვერ უნდა ვიყო... მერე და: ცალი თვალი შავი ფერის მაქვს, მეორე – გაღიავებული, მაგრამ არა ცისფერი... მართლაც ერთი შეუხედავი სული, რქების გარეშე, მაგრამ საჭიროებისას რქებსაც გამოვისხამ. ეშმაკს რქებიც როგორ არ მქონდეს?!“

– ეშმაკი, გრძნეული, იყო და რქები არ გქონდეს?! – მხრები აიჩეჩა უკვე გაკვირვებულმა ნიმროდმა.

– ჩვენ გულწრფელობაზეც ვამბობდით, ჩემო ბატონო?! – საყვედურიც იგრძნობოდა გრძნეულის ნათქვამში.

– კარგი, კარგი, მაგრამ რომ არ გითხრა, არ შემიძლია!

– ნიმროდ, ნეტა შენც მოიშველიებდე გულწრფელობას და... – სიტყვა განგებ გაწყვიტა გრძნეულმა და ნიმროდს მიაჩერდა.

ნირმოდმაც: – ერთი უფერული ვინმე კი ხარ, მაგრამ უბრალო ნამდვილად არა! თვალები მართლაც რომ ნაკვერჩხლებივით გიგიზგიზებს, ესეც იმის მიმანიშნებელი, რომ არ ხარ შენ მთლად უბრალო ვინმეც! ის თვალი შავად რომ გიელავს, ღამეს მაგონებს, მეორე – ღია ფერისა რომ გაქვს, დღეს მაგონებს უფერულს. ჩვენც დროა, დავიწყოთ!

ჰოდა: ორივემ თავთავიანთი სისხლით დაისერა ნეკა თითი და სისხლმაც აღარ დააყოვნა.

ნიმროდმა ლერწმის კალამი თავის სისხლში ამოაწო და თიხის ფირფიტაზე შეუდგა წერას: „მე – ნიმროდი დღეიდან კეთილსინდისიერი ბატონ-პატრონი ვარ ჩემი მსახურის (ადრე გრძნეულის), რაზედაც ხელს ვაწერ: ნიმროდი გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა! – მოაწერა ხელი და ოფლი დაასკდა, სიტყვის უკან წაღება ინდომა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ნიმროდის სისხლი გაჯდომოდა თიხის ფირფიტას. ნაწერი კი თანდათანობით წითლდებოდა, სისხლისფერდებოდა.

ახლა ჩემი ჯერიაო, თქვა გრძნეულმა და თიხის ფირფიტა გამოართვა ნიმროდს, ალმაცერად გახედა მთლად გამომშრალ ლერწმის კალამს, ხელში მოიმარჯვა, ამოაწო თავის სისხლში და წერაც დაიწყო: – ვფიცავ, პატიოსნად ვემსახურო ნიმროდს, ჩემს დიდ ბატონს, ვიყო მისი ერთგული ქვეყნის დასალიერამდე. მომინიჭებია მისთვის უკვდავება. ვიქნები მისი ნების აღმსრულებელი, რაზედაც ხელს ვაწერ, დღემდე გრძნეული, ახლა მსახური უკვე.

– მსახურო, უკვდავებას რომ მანიჭებ, ამის უფლება, ნეტა ვიცოდე, ხომ არ ჩამოურთმევია შენთვის ცაბაოთს? ამიტომ: არ მგონია, ეს სურვილი ამისრულდებოდეს...

– მიბრძანე, დიდო ბატონო! – წამოიძახა უკვე მსახურმა.

– პირველი ბრძანება?! კიდევ ერთხელ მკითხე, მსახურო! – ბრძანებდა ნიმროდი, რომ დრო გაეჭიანურებინა, რადგან ნომერ პირველი სურვილი, რომლის აღსრულებაც უნდა ებრძანებინა თავისი მსახურისათვის, ჯერაც არ ჰქონდა მოფიქრებული.

– რატომაც არ გკითხავ, დიდო ბატონო?! – ნიმროდს საცრისოდენა თვალებში ჩახედა და უკუიქცა. სულს ძლივს ითქვამდა და გაბმულმა ხველებამ ხომ არაქათი გამოაცალა სულაც, მაგრამ მოიბრუნა სული და კმაყოფილებისგან სასიამოდ გააჟრჟოლა, – რაღას აყოვნებ, დიდო ბატონო, ნუთუ აზრის ჩამოყალიბება ასე გაუჭირდა თვითონ ნიმროდს, გმირ მონადირეს წინაშე უფლისა ღვთისას?!

– ფრთხილად, მსახურო! როდის ყოფილა მსახური შეხუმრებოდეს თავის დიდ ბატონს?! – კოპები შეიკრა ნიმროდმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებად იქცა: – შენზე ძლიერი მინდა ვიყო, თუმცა არა, შენ ჩემთან როგორ მოხვალ?! მე ცაბაოთზე ძლიერი მინდა ვიყო!

– ამას დრო უნდა, ნიმროდ, სამაგიეროდ: შეგიძლია ისევ მიბრძანო!

– კარგი, ამჯერად გრძნეულის რჩევას უფრო მივიღებ, ვიდრე ჩემი მსახურის რჩევას.

– ბრძანე, ბატონო!

– უნდა დამიბრუნო ჩრდილი!

– აი, ის, რისი აღსრულების ძალაც მე არ შემწევს, – დაიბნა მსახური, მაგრამ მალევე მოეგო გონს: – სხვა რამ მიბრძანეთ!

ნიმროდი წამოდგა, მზერა თავისი თავზე გადაუტარა მსახურს და თავისთვის ჩაილაპარაკა: – ჩემს თვალს აღარ დაენახოს დღეს ჩემი მსახური!

და მსახურიც დაეცა საკუთარ თვალში, გააძაგძაგა და მუხლები აუკანკალდა.

– დაიმახსოვრე ეს დღე პირველიც: აღუსრულებელი გრჩება ჩემი ნომერ პირველი ბრძანება!

– რა გაეწყობა... – მხრები უძაგძაგებდა ასე უცებ დაჩიავებულ მსახურს.

– კარგი, მსახურო, შეგიძლია დამშვიდდე: ჩამოგაწერე ეს პირველი დღე!

– მაშინ ხვალ მიხმეთ ახალი ბრძანების შესასრულებლად... – მუხლი მოიყარა მსახურმა ბატონის წინაშე და წასვლის ნებართვა ითხოვა.

* * *

ბალიშზე თავის დადება და ძილიც უმალვე თავს წაართმევდა. დღეს კი ვერ და ვერ დაიძინა. ძილმა თავი დაუკრა და სიზმარიც, რომელიც უნდა ენახა, უძილობამ გადაიყოლა თან.

ნიმროდი გაღიზიანებული წამოდგა და რეა გაახსენდა.

ქალის სუნი აგდისო, ამოიძახა რეამ, ნიმროდი რომ იხილა თავის საძინებელში შემოსული და ზურგი შეაქცია.

ნიმროდს ბრაზი წაეკიდა: „რეა ჩემია, ლამის ჩემი საკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაა“, მაგრამ მოლბა უცებ: მაგრამ ჩემი შვილების დედაა და ისე უდიერადაც ვერ მოვექცევი, როგორც უბრალო ქალს. მერე და მალე ქალღმერთობა უნდა მივანიჭო იშთარის ტაძარში და ასე ასამაღლებელი ჩემი თანამეცხედრე, როგორ დავამცრო?

ქალის საძინებელი ოთახიდან გამოსული ნიმროდი ბოლთის ცემას მოჰყვა. ფიქრსაც მოიშველიებს: „ისეთი რამე ხომ არ ვუბრძანო, ამჯერადაც ვერ შეძლოს მისი შესრულება?! მოვიფიქრებ რამეს... რამდენჯერ შევურაცხვყვე, მაგრამ: საკუთარ თავს გადააბიჯა და ჩემს ნებას დაჰყვა მაინც. მაინც რას გამოელის ჩემგან. რაღაც რომ ჩაუფიქრებია, ცხადია ჩემთვის. ასეთ დათმობაზეც ტყუილუბრალოდ ხომ არ წამოვიდოდა! ვცდილობდი ჩამეხედა იმის სულში, მაგრამ მიმიხვდა და გადაიკეტა გულისა და სულის კარები... სიფხიზლეც ამიტომ მმართებს!“

ასე დაათენდა თავს: – მსახურო, მოგიხმობ! ისევ კედართან...

* * *

ევფრატის წყალი: დიდი მდინარება(!!!)

შეჰყურებს ნიმროდი თავის დიდ წყალს: თითქოს და შემოდიოდესო მასში, ივსებოდეს წყლითა და მისი სისოვლით და სწრაფვა-ლტოლვით...

ავივსეო, შესძახა ხაფი ხმით და პასუხიც მაშინვე დაუბრუნდა:

– ჯერ არ ავსებულხარ ჩემით, ჯერ არც ჩემი ძალა გადმოგცემია სრულად, არც ჩემი მიზანსწრაფვა, ნიმროდ! ცოტაც აცალე შენს ევფრატის წყალს, რადგან სწორედ მე – ევფრატის წყალს მომეხსენება, რაც ჩემი ნიმროდის სრულყოფილებისთვისაა საჭირო!

და ითმენს ნიმროდიც:

– მორჩა, მთლიანად ჩავცლილვარ მე შენში, ნიმროდ! და თუ მაინც და მაინც ბოროტად გამოიყენებ ჩემს ძლიერებას, გამოვალ შენგან და: დაგეკარგება შენ შენი ევფრატიც! ევფრატის წყალი აღარ იქნება შენი!

წყალიც გადმომდინარებულიყოსო თითქოს ნიმროდიდან, გამდინარდა და თავის ბედის ბორბალს დახარბებულივით გამოუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდმაც თვალი გააყოლა წყალს, ქვევრს წამოავლო ხელი, ამოხაპა წყალი და კედართან გაჩნდა.

– კედარო, მოვედი შენთან, აგერ შენი წილი წყალიც! – ძირს დაუსხა და მიმოიხედა ირგვლივ: – მგონი დავასწარი შენთან ამოსვლა, კედარო, იმ ჩემს მსახურს და...

– არა, არ დაგისწრია, რა ხანია გელი აქ! – ესმა თავისი მსახურის თითქოს და გაღიზიანებული ხმა, – მზად ვარ მოგისმინო, დიდო ბატონო?!

მაგრამ ამჯერადაც რატომ ვერ უნდა გამომიჩნდეო, დაიჟინა ნიმროდმა და გრძნეული სულიც იძულებული დარჩა დაეგდო გველის უხილავი ტყავი. ნიმროდს ახლაც ეწადა ეხილა თავისი მსახური ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო, თავისი პირველყოფილი სახით.

ნიმროდს მივესალმებიო, ხმას დაუწია გრძნეულმა, ერთი შეიბერტყა და ნიმროდმაც იხილა იგი. უკვე მეორედ.

მიესალმებიან ერთმანეთს დიდი ბატონი და მსახური მისი. და მსახური კვლავაც იწყებს ერთობ მონოტონურად, მარდუქი ისე ამაღლდა, რომ ვეღარ ჩატეულა ამ ჩვენს თითქოსდა უსასრულო სამყაროში, ახალ განზომილებაში გადასულა და აქედან ვერც მოიაზრებ.

გრძნეულმა მსახურმა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, შეიბერტყა მხრები და ისე ხმადაბლა იკითხა, რომ ნიმროდმა ძლივს გაიგონა მისი ხმა.

ნიმროდი ზურგით მიეყრდნო კედარის ტანს: – სხვა განზომილებაში ამაღლდა? ჩვენთან აღარაა მარდუქი... ჩვენი სამყარო უღმერთოდ დარჩა?! და უღმერთოდ დარჩენილი სამყაროც როგორი უნდა იყოს?!

– მაგრამ იმ სხვა განზომილების სამყაროზე, სადაც მარდუქი დამკვიდრებულა და გაუთავისებია იქაურობა, რატომ არაფერს იკითხავს ჩემი ბატონი?

ნიმროდს შუბლი შეეჭმუხნა და როგორც დიდი ფიქრისას იცოდა, მარჯვენა წარბი თავის და უნებურად მაღლა აექაჩა, – გკითხავდი ამაზეც, მაგრამ მე უღმერთოდ დარჩენილი სამყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინტერესებს უფრო... მარდუქი იმედია, მოუვლის იქაურობას. უღმერთოდ დარჩენილა ჩვენი სამყარო და შენ რომ ღმერთს აუჯანყდი და მისი ადგილი ინდომე, აგერ გამოჩნდა კიდეც ღმერთისგან გამოთავისუფლებული სამყარო და რაღას უდგეხარ?!

– არა, ნიმროდ, მარდუქის სავარძელი სრულია ჩემთვის, მე ვერ შევავსებ იმის ადგილს. ვის ტახტსაც ვუმიზნებ მე, კარგად იცი და მარდუქის მაგივრობას ვერ გავწევ...

– და შენ გინდა თქვა, რომ ამ ჩვენს სამყაროს ახალი ღმერთი უნდა მოევლინოს?

– უნდა მოევლინოს, მაგრამ არსაიდანაც არ მოგვევლინება იგი, დიდო ბატონო, თუ არა... – აქ ხმა გაიწყვიტა გრძნეულმა მსახურმა, რაღაც ისეთი რამ არ წამოცდენოდა, შეუფერებელი, არა სადაგი და პირი მოკუმა. ემწარა საკუთარი ნერწყვი და მიწაზე გადმოაფურთხა. აშიშხინდა ის დანაფურთხები მიწაც, თითქოს გარეული ტახის ხორცი იწოდა ქვის კეცზე, წამიც და აორთქლდა ის დანერწყვილი მიწა და გრძნეულმა მსახურმაც ამოისუნთქა შვებით.

„ნერწყვი კი არა, საწამლავია... საწამლავი რომ არ ყოფილიყო, განა გადმოაფურთხებდა?!“ – გაიფიქრა ნიმროდმა, მაგრამ ინანა, რადგან გრძნეულ მსახურს მაინც მოესწრო მისი ფიქრის წაკითხვა:

„ვიცი, რასაც ფიქრობ ჩემზე, დიდო ბატონო... მაგრამ მაინც იძულებული ვარ, ვითანამშრომლო შენთან, რადგან შენით მინდა მივაღწიო საწადელს, ისევე, როგორც შენ ცდილობ ჩემით შეწვდე საწადელს!“ – თვალი გაუსწორა ბატონს მსახურმა.

ნიმროდიც გამორკვეულიყო ფიქრებიდან: – შენ ნათლად დამიხატე შექმნილი ვითარება... და რატომ არ მეტყვი, ვით გამოსწორდეს ის არასახარბიელო ვითარება, რომელიც ჩვენს ირგვლივ სუფევს?

– დიდო ბატონო, მარდუქის გარდა იმ ქაოსს ვერავინ დაალაგებს... იმ სამზეოს, რომელიც სამზეოც ვერ არის ჯერ, მხოლოდ მარდუქი თუ მოუვლის. მარდუქმა თვითონ იკისრა ამ მისიის შესრულება. მარდუქმა სრულყო ჩვენი სამზეო. შენ ბაბილონი შექმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი. დიდი ბრძოლებიც გადაიტანე მიზნის მისაღწევად... მარდუქმა კი თიამათი დაამარცხა. თქვენ ერთდროულად მოევლინეთ სამყაროს: მარდუქი სივრცობრივ ქვეყნიერებას, შენ კი – მიწიერს. მარდუქი გაიმარჯვებს და ახალ სამზეოსაც შექმნის, მაგრამ იმის სამზეოს, რომელიც უპატრონოდაა დღეს დარჩენილი, ვინ უპატრონოს?! ჩამოჰკრა შენმა ჟამმა, ნიმროდ! – ამოთქვა გრძნეულმა და ისევ ფიქრში გადაიყვანა თავისი საფიქრალი: „ნიმროდი გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა ომს გამოუცხადებს ცაბაოთს! მე ნიმროდზე ვილოცებ! დაამარცხებს ცაბაოთს და ჩემი ადგილიც გათავისუფლდება...“

– და შორია მარდუქის სამზეო ჩვენი სამზეოსგან? – იკითხავს ნიმროდი და გრძნეულ მსახურს მიაპყრობს მზერას.

– ძალიან შორია, დიდო ბატონო, წარმოუდგენლად შორია მარდუქის სამზეომდე... მილიარდობით სინათლის წელიწადია საჭირო, მარდუქის მზიდან გამოტყორცნილმა სხივმა ჩვენამდე რომ მოაღწიოს...

– მე მარდუქის მშურს... – ფიქრმა წაიღო ნიმროდი.

– ნიმროდ იქ, სადაც მარდუქი ზეობს ახლა, შეიძლება სიცოცხლეც არ იყოს ჯერ და სიცოცხლესაც მარდუქმა უნდა ჩაუყაროს საფუძველი იმ თავის სამზეოში. მარდუქის ახალი სამყაროც ჩაერთვება საერთო სიცოცხლის ფერხულში. აი ვინ არის, ნიმროდ, შენი მარდუქი?! ჭეშმარიტი ღმერთი – დიდი შემოქმედი – თვითონ ჭეშმარიტება! მაგრამ ჩვენი უღმერთოდ შთენილი სამყარო თავის ღმერთს მოელის. ჰოდა, ამაზეა, რომ ვფიქრობ და ამიტომაც გამახსენდი შენ!

– და რა შემიძლია მე – ნიმროდს?

– სწორედაც რომ შეგიძლია და მხოლოდ შენ ხარ ამის შემძლე!

– ხომ არ დამცინი, მსახურო?! – შეცბა ნიმროდი და ბრაზი მოერია თავის მსახურზე, – დროს მაკარგვინებ და ამას ვერავის ვაპატიებ! დრო ის განძია, ვერავის რომ ვერ დავუთმობ!

– ნიმროდ, შენ მე მაკვირვებ! მე – გრძნეულ სულს!

– შენ ადგილი დაგითმო მარდუქმა, – განაგრძო გრძნეულმა მსახურმა, – ჩემთვის კი ცაბაოთი ზღუდედ ქცეულა... – მოიწყინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ. – შენ მეტოქეც აღარ დაგრჩენია, ნიმროდ! ქვეყანა-ცის-ქვეშეთი და ციური სამყაროც უღმერთოდაა დარჩენილი და შენ ხელის განძრევაც აღარ გინდა?! იფიქრე, ნიმროდ!

– სამყაროზე ვიფიქრო?! როცა საფიქრალი აქ, დედამიწაზე, შუამდინარეთშიც მყოფნის. ბაბილონიც შორსაა სრულყოფილებამდე, ჯერ ბაბილონში მოვითავებ საქმეს, უღმერთოდ დარჩენილ ქვეყანას კი... – თავი შეიკავა სათქმელისგან და გრძნეულ მსახურს მიაშტერდა, იქნებ ამან მაინც დაასრულოს ის ჩემი სათქმელიო.

– ნიმროდ, – მიუხვდა გრძნეული მსახურიც ნიმროდს და ჩურჩულით განაგრძო: – უღმერთო ქვეყანას სწორედ რომ ღმერთად გამოეცხადო უნდა! მერე კი – სამყაროსაც... ციურ სამყაროში ქაოსია ახლა, ნიმროდ! განა შენ არა ხარ ის, ამ ჩვენს სამყაროს „ჩემს სამზეოს“ რომ უწოდებ?! მერე და ნიბირუც ხომ ამ შენს სამზეოშია?! ამიტომ მთელი სამზეო შენი ფიქრის არეალში უნდა მოაქციო! შენს თვალსაწიერში, დიდო ბატონო!

– მართალი ხარ, ჩემო გრძნეულო მსახურო, მე მართლა ვფიქრობ ჩემს სამზეოზე!

– მარდუქის ტახტი გელოდება, დიდო ბატონო! შუამდინარეთშიც ხომ მარდუქმა გაკურთხა შენ თავის ნაცვლად?!

– ტვინს ნუ მიბურღავ, მსახურო!

გრძნეული მსახურიც დააგრილესო თითქოს ნიმროდისეულმა სიტყვებმა და ისიც მოეშვა. ღრმად ჩაისუთნქა და რაღაცის თქმა კი დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, შეიძლება არასწორად გამიგოს ნიმროდმაო.

ნიმროდი კი თვალს არ აცილებს გუნებაწამხდარ გრძნეულ მსახურს და უნებლიეთ გაუელვებს: „ამასაც ადამიანივით სდის ოფლი, თითქოს უბრალო მოკვდავი იყოს. ნეტა ხომ არ დაუკარგავს გრძნეულება და ჩემი იმედითღა სულდგმულობს?!“

– ნიმროდ, დიდო ბატონო... გრძნეულება არავის ჩამოურთმევია ჩემთვის და სულაც არ ვფიქრობ, ზედმეტ ტვირთად დაგაწვე... მე აქეთ მინდა დაგეხმარო!

– გისმენ, გისმენ, გრძნეულო მსახურო! ხომ არ მომეყურა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ.... „მე აქეთ მინდა დაგეხმაროო!“ განა ასე არ ბრძანე? – ცნობისმოყვარეობა ველარ დაუფარავს ნიმროდს.

– მარდუქი გადავიდა ჩვენი სამზეოდან, დარჩი შენ, ნიმროდ, ღმერთის ნაცვალი დედამიწაზე და თუკი ინებებ, შეგიძლია უფრო ამაღლდე!

– და ღმერთად გამოვაცხადო თავი?!

– ნიმროდს ყოყმანი არ ეგების! დროს რატომ კარგავ, ნიმროდ?! ნიმროდი – ღმერთი ხომ მთელ დედამიწასაც დაიმორჩილებს?! ღმერთს ხომ ყველაფერი ძალუძს?! ღვთიური ნება... დანარჩენი შენზეა, ნიმროდ!

– და შენ ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი – ამ ცისქვეშეთსა და იქ მაღლა – ზეციურ სივრცეში, ჩემი შეუცვლელი მრჩეველი?

– იდეალური მრჩეველი, დიდო ბატონო! – მსახურმაც თავი დაუკრა ნიმროდს და გაუჩინარდა. ნიმროდს კედარმაც ამ დროს შეახსენა თავი.

– გმადლობთ, კედარო! – ამოთქვა ნიმროდმა.

კედარმაც ჩამოსძახა: – იფიქრე, ნიმროდ და სიფხიზლესაც ნუ მოადუნებ! ნადირობა ხომ არ მონატრებია ნიმროდს?! – აშრიალდა გრძნეული ხეკაცი: – ერთი ასეთი რჩევაც, ნიმროდ: სულ მთლადაც ნუ მიენდობი გრძნეულს...

* * *

კედარის ტყე უჩვეულოდ ეჩვენა დღეს. თითქოს და: ფერიც შეცვლოდა კედროვანს და ხასიათიც. იმ სიმწვანითაც ველარ გამოასხივებდა, ადრე შვება რომ მოჰქონდა ნიმროდისთვის. რა გჭირსო, იკითხავს ნიმროდი, მაგრამ პასუხი მხოლოდ დუმილიღაა. არას ამბობდნენ ცას შეტყორცნილი კედრები და ნიმროდიც შეფიქრიანდება: „მტრულად არა, მაგრამ კეთილმეგობრულადაც რომ არ მხვდება ჩემი კედროვანი? მძვინვარე მხეცთან ხომ არ შეუკრავს პირი და... თავიდან მოცილებას ხომ არ მიპირებენ?! და სადღაც მიმალული მხეცი უკანასკნელი ნახტომისთვის რომ ემზადება, ნიმროდი რასა იქმს ამ დროს?! ეს სიმყრალეც ხომ იმ მხეცისგან მოდის, ასე რომ დაუზაფრავს ჩემი კედრები! თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სუნთქვაც შეკვროდეთ, მოწამვლის ხომ არ გეშინიათ, ჩემო კედრებო?! ჰოდა, როგორ გგონიათ, ამას დაუშვებს თქვენი დიდი პატრონი?!“ – ფიქრს ისარიც თან მიაყოლა და მიაყურადა ტყეს.

წამი: ერთი, მეორე, მესამეც და შორეული გმინვა შემოესმა ნიმროდს.

– იქითკენ, ჩემო ბედის ბედაურო! – ბრძანა გმირმა მონადირემ და ერთარსად ქმნილი კენტავრი გაიჭრა წინ; სუნთქვაშეკრული ბრძენი ბუც მაშინვე ააწყდა პატრონის მხარს, შურდულივით გავარდა იმ გმინვისმაგვარი ხმის მიმართულებით.

სულ რამდენიმე წუთს მიაჭენებდა ნიმროდს ბედის ბედაური და ამაღლებული ბორცვის წინ შედგა. დადგა და აჭიხვინდა. ნიმროდიც ჩამოხდა ძირს. ათასჯერ გამოევლო ამ გზაზე და პირველად ხედავდა აქ ამ ბორცვს. სამჯერ შემოუარა ირგვლივ და მაღლა აიღო ბედაურმა თავი:: – ნიმროდ, ეს ისარიც ვერ იცანი, ამ ბორცვისთვის ფერდი რომ შეუნგრევია?! ეს ის მხეცია, შორიდან რომ გემუქრებოდა!

ნიმროდმა ბრძენ ბუს გადახედა და იმანაც მზა პასუხი დაახვედრა: – ეს ის მხეცია, შენი ნებართვის გარეშე კედროვანში რომ დაშლიგინობდა და შიშის ზარს სცემდა ტყის ბინადართ...

ნიმროდმაც ხელი ხმალს იკრა და შუაზე გააპო ბოროტისეული. ბრძენ ბუსაც მაშინ მოწყურდა და ნიაღვრად გადმომდინარე სისხლს დაეწაფა. მოიკლა წყურვილი და ამღვრეული თვალებიც დაეწმინდა.

– ჩემს გმირ მონადირეს სულ უნდოდა ეკითხა ჩემთვის: ბუთაგან განსხვავებით დღისით-მზისით როგორ ვხედავო? პასუხი მარტივია, დიდო ბატონო, დღისით ვერც მე ვხედავ, მაგრამ წინ გულის ფიქრი მიმიძღვის და არც არასდროს ასცდენია ჩემი ნისკარტი სამიზნეს... არც გზას ასცდენია თურმე შენი ბრძენი ბუ, გმირო მონადირევ!

ნიმროდმა თითქოს და დამცინავადაც შეათვალიერა თავისი ბრძენი ბუ და ხმას დაუწია: – ბრძენო ბუვ, ვალი გაქვს ჩემი და ვალს რომ გადახდა უნდა?!

– ბრძენ ბუს არაფერიც არ ავიწყდება.. ვალს როდი გავქცევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ?! ახლა კი ამ მხეცი-ჯორს დახედო იქნებ! ჯერაც არ დაცლილა იგი სისხლისგან, დაიცლება და სასწაულს იხილავ!

ჰოდა, იდინა მხეცის წყვდიადისფერმა სისხლმაც და აჰა, დაიცალა სისხლისგან, დაიწრიტა ბოროტისეული და ის მხეცი-ჯორიც აღარსად იყო!

შეიფრთხიალა მაშინ ბრძენმა ბუმ და კედარის ტოტს ბრჭყალებით ჩააფრინდა. სისხლით გამაძღარსა და წყურვილმოკლულს ძილი მოერია. ნიავის მოქროლვაზე ისიც ირწეოდა ნება-ნება.

აშრიალებულიყო კედროვანი, ნიმროდის საგალობელს თუ ამბობდა. სიხარულისგან ნიმროდსაც აძგერებოდა გული.

ბედის ბედაური საბალახოდ მიეშვა ნიმროდს, სიამოვნებისგან ფრუტუნებდა, თითქოს ცდილობდა თავისი დიდი ბატონის ყურადღება მიექცია.

და როცა ნიმროდი ვერც კი წარმოიდგენდა, გრძნეული მსახურიც გამოეცხადა: „მოვსულვარ როგორც ტოლი ტოლთანო...“ – დაუშვა თითქოს თავზე ხელაღებული ფიქრი, მაგრამ ისე, რომ ნიმროდს ვერ წაეკითხა (სრულად მაინც ვერ შეეფასებინა ნიმროდის შესაძლებლობები), მაგრამ დიდმა ბატონმა მაინც წაიკითხა ასე, თითქოს და საიმედოდ დაფარული და შეფუთული სურვილი-ფიქრი და წარბი შეიკრა.

შედრკა გრძნეული მსახური, წყალში ხომ არ ჩამეყარაო ყველაფერი. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: თავი ემართლებინა?! ასეც ვერ დაიმცრობდა თავს. ეს ლახავდა მის თავმოვარეობას. მერე და როგორ შეხედავდა ნიმროდი ამის შემდეგ? არც ეეჭვებოდა: ალბათ როგორც დაბალ ღობეს. გადააბიჯებდა და უკანაც არ მოიხედავდა.

როგორც იქნა, მოიკრიბა მხნეობა, წინ წადგა ნაბიჯი და თვალი გაუსწორა ნიმროდს: – მე ამით ნიმროდი როდი დავამცირე?! როდი დავამდაბლე, არამედ ვცადე ნიმროდამდე ავმაღლებულიყავი. ვიცი და დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს გადაცდომა ნიმროდს არ მისცემს რაიმე შეშფოთების საბაბს. – სული ძლივს მოითქვა.

ნიმროდმა გაიღიმა (დაცინვას ნამდვილად არ გავდა ეს ღიმ-

ილი), – გრძნეულო მსახურო, წუხელ ფიქრებში გაბლანდულს, ვინ იცის, რა აღარ გესიზმრა... მე მესმის შენი, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მსახური ხარ ჩემი, თუნდაც გრძნეული.

– დიდო ბატონო, დასამალავი რა მაქვს და ვფიქრობდი წუხელ და თავს დამათენდა. ჰო, ვფიქრობდი და რომ არ მეფიქრა, ეს უნდა გაგკვირვებოდა... იქით: შენ ფიქრობდი... ჰოდა, მზად ვარ, მოგისმინო...

– არა, მსახურო! ჯერ მე მოგისმენ! რომ მერე გამოვთქვა ჩემი აზრი. შენ მომახვიე თავს შენი საფიქრალი, თუმცა სანამ დაიწყებდე, ერთ მარტივ კითხვას დაგისვამ: – მართლაც და: რა იქნა?... – სათქმელი განგებ გაიწყვიტა და კითხვის თვალი მიაშტერა თავის მსახურს, შეციებულივით რომ აბუზულიყო და მუხლებიც უკანაკალებდა.

– ვინ რა იქნა? – იკითხა გაკვირვებულმა გრძნეულმა მსახურმა.

– ადამი, გრძნეულო მსახურო? მართლაც და: ადამი რა იქნა, რა ბედი ეწია ცაბაოთისგან შერისხულს? ადამი – აღმშენებელი, თუ – დამანგრეველი? რა შექმნა, თუკი შექმნა? ადამი: უბრალო მოკვდავიც ხომ არ ყოფილა?!

– დიდო ბატონო... როცა ცაბაოთი თიხისგან ძერწავდა ადამს, თვითონ ცაბაოთმა გამიმხილა: „ვქმნი კაცს ხატად ჩემად და სახებადო..“ და მაინც რას უპირებდა თავის ადამს ცაბაოთი? გამოძერწა თიხისგან და თვალი ვერ მოეცილებინა თავისი ნახელავისთვის. შესცქეროდა, როგორც სასწაულს, სრულქმნილსა და განუმეორებელს! და ეს სასწაული ქმნილება, ცაბაოთისავე გადაწყვეტილებით, უნდა ყოფილიყო ყოვლისშემძლე, ყოვლისმხილველი და ყოვლისმომცველიც! იქნებ თავის შვილად, თავის ძედ, ღმერთადაც ეღიარებინა, მაგრამ...

– და აღიარა?! თუ ვერ გაუმართლა ადამმა?! – ამოთქვა ნიმროდმა და თავი ხელებში ჩარგო: – თუ...

– არ გაუმართლა კი არა და... არ გაუმართლა ცოტაა! აჰყვა ეშმაკს და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდმა, ახლო მოიწიო, გრძნეულ მსახურს და ყურში ჩასჩურჩულა: – და ის ეშმაკი შენ ხომ არ იყავი, გრძნეულო?

გულზე მოხვდა ნიმროდის ნათქვამი მსახურს და თვალები აემღვრა: – მე და ეშმაკი?! რომელმა წყარომ ჩაგირაკრაკა ამნაირი გამრუდებული აზრი? ეს ხომ აბსურდია და ათასჯერ აბსურდიც?!

– ხომ არ გეწყინა?! – საცრისოდენა თვალები მოეწკურა ნიმროდს, – ჭეშმარიტება რატომ უნდა გწყინდეს?! სინამდვილეს რატომ ვერ უნდა გაუსწორო თვალი?! არ მესმის ეს!

გრძნეულმა მსახურმა წყალი მოსვა: – ევფრატის წყალი მაცხონებდა ახლა! – თვალებში ამოისვა ხელი: – ნიმროდ, ეშმაკი კი არა, გრძნეული სული ვარ მე!

– ღმერთმა შენ გამოგაძევა თავისი საუფლოდან და ეს ზეცაში ხდებოდა, მიწაზე კი: ადამი გააძევა სამოთხიდან. შენ და ადამი – ორივე – გაძევებული და ღმერთისგან შერისხულები ხართ! ვიცი, რისთვისაც გაგაძევეს შენ და ადამი...

– მერე და მე ხომ არაფერს ვმალავ?! – წელში გასწორდა გრძნეული. დავიწყებოდა, თავისი ნებით მსახურად რომ დადგომოდა ნიმროდს, გმირ მონადირეს წინაშე უფლისა ღვთისას!

– შენთანაც და ადამთანაც მართალი ყოფილა ცაბაოთი, მაგრამ შენგან განსხვავებით ადამს უფლის გვირგვინი არ უთხოვია ცაბაოთისთვის, მაგრამ არც ეს ამართლებს ადამს?!

– ჰო, დიდო ბატონო, გთხოვ, ნუღარ მალაპარაკებ ამაზე. იცი, რაც მოხდა, როგორ მოხდა და რატომაც მოხდა?

– მაგრამ რა იქნა ადამი? რა ბედი ეწია?!

– ამ საკითხს... თვითონ ამ თემას ტაბუ ადევს... ცაბაოთმა იმდენი ჰქნა, რომ თვალი ვერ მიგვედევნებინა სამოთხიდან გაძევებული ადამისთვის! — სული კი მოითქვა გრძნეულმა მსახურმა, მაგრამ თვალი ვეღარ გაუსწორა კითხვადქცეულ ნიმროდს.

„თვალს ვეღარ მისწორებს, თუ აღარ მისწორებს?!“ – ფიქრს ვეღარ გაექცევა ნიმროდი.

„სწორ პასუხს მოელის ჩემგან...“ – ნერწყვი გამწარებია დიდი ბატონის მსახურს, ვერ გადაუყლაპავს, მაგრამ გადმოფურთხებაც არ უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მსახურო... მგონი ცაბაოთმა გრძნეულის თანამდებობიდან ჩამოგაქვეითა. დღეს შენი გრძნეულის მაღალხარისხოვნება ეჭვქვეშ დამდგარა... მე კი მინდა გრძნეული მსახური მყავდეს!

– მე კი მეგონა, სულ სხვა რამეზე მკითხავდი... – ისევ გასწორდა მსახური წელში.

– გკითხავ კიდეც! ყურადდღებით, ჩემო მსახურო! შენს წოდებას „გრძნეული“ ჩამოვაცილე და არ გეწყინოს. ახლა კი კითხვაც: აკრძალული ხილი უგემნიაო ადამს... კი ყოფილა იგი ხილი აკრძალული, მაგრამ ხილი იყო მაინც და ვითომ მხოლოდ ამისთვის დაისაჯა ჩვენი ადამი?!

– სამოთხეში, ნიმროდ, ორი ღვთაებრივი ხე იდგა: სიცოცხლის ხე და ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა.! ისიც ვთქვით უკვე, რომ ცაბაოთს თავის ძედ უნდა გამოეცხადებინა ადამი, მაგრამ სიტყვა მას შემდეგ წაიღო უკან, ადამმა აღთქმა რომ დაარღვია: აღთქმაში კი იგულისხმებოდა: ადამს ჯერ ნაყოფი სიცოცხლის ხისა უნდა ეგემნა და მხოლოდ ამის შემდეგ – ნაყოფი ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა...

სიცოცხლის ხის ნაყოფი პირველად იმიტომაც უნდა ეგემნა, რომ უკვდავებას ზიარებოდა ადამი და მერე უნდა აღექვა ჭეშმარიტება: კეთილისა და ბოროტის არსი შეეცნო! შესცოდა ადამმა და კურთხევაც ვეღარ მიიღო. ადამი მადლით არ ყოფილა სავსე, ღვთიური მადლი მაქვს მხედველობაში. ადამმა იმედი გაუცრუა შემოქმედს და იმანაც მოიკვეთა მისივე განსულიერებული თიხის კაცი... და: მოდგმაც მოიკვეთა მისი.

– მსახურო... სამოთხიდან გამოძევებული ადამი შეჰყვა თავის ბედის ბორბალს და... გამოდის. დღეს შეიძლება ადამის ძვლებიც აღარ იყოს!

– როგორც შენ ბრძანებ, დიდო ბატონო... – იტყვის მსახური და მთლად სიმართლესთანაც რომ არ იყო ახლოს, ამიტომაც თვალს ვეღარ გაუსწორებს ნიმროდს. ხმაც ამიტომ გაბზარვოდა ასე.

ამასაც მიუხვდა ნიმროდი თავის მსახურს, მაგრამ ენის წვერზე მომდგარი სიტყვა უკანვე ჩაიბრუნა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოსო, გაიღიმა მხოლოდ და მხრებიღა აიჩეჩა. არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგრძნობინებია თავისი მსახურისთვის, რომ ნაწყენი იყო მისი პასუხებით და მთქნარებასლა მოჰყვა. – ნიმროდს ვერავინ მოატყუებს! – კბილებში გამოსცრა.

– უნდა დამიჯერო, დიდო ბატონო და იმიტომაც უნდა დამიჯერო, რომ შენი ბედი წყდება აქ...

– ჩემი ბედი?! – თითქოს გამოერკვაო ნიმროდი, გრძნეულის ფიქრების წაკითხვა უნდოდა და ჩაიძირა საკუთარ სულში. იქიდან ხედავდა ყველაფერს: გარკვევით და შეულამაზებლად.

* * *

„ჩემი ბედისწერა... ბერიკაცებისგან მსმენია, თითქოს ადაიმანის ბედი ჯერ კიდევ დაბადებამდე, დედის საშოშივე იწერებოდეს და იქნებ იქამდეც, მაგრამ ვინ წერს ამ ბედისწერას, ვინ განსაზღვრავს ჩვენი სიცოცხლის მთელ მდინარებას, თუ არა ღმერთი?! ვინ უნდა იყოს ის ბედის მწერალი?! გამოდის: ჩვენი ბედი იწერება ჯერ კიდევ ჩვენს გაჩენამდე. ასე, მაგალითად, ნოეს ღმერთმა, სემისა და იაფეტის ღმერთმა, ქამისა და მისი მოდგმის ბედიც წინასწარ განსაზღვრა: სემისა და იაფეტის მოდგმებს მსახურობდნენო... მაგრამ ვერ მივართვი ცაბაოთს! მიმიხვდა იმთავითვე, რომ ვერ დამიმორჩილებდა და ამითვალწუნა, ჩემზე თქვა, თუკი არ მოვთოკე, ქვეყნიერებას დააქცევსო... მიმიფურთხებია იმის წინასწარმეტყველებისთვის, წიხლი ვკარი მის დაწერილ მატიანესაც! მატიანეს თვითონ ვწერ! ახალ დიად ამბავს, თვითონ ვარ ჟამთაღმწერელი – დიდი მემატიანე! და ცაბაოთსაც, თუკი მართლა ღმერთია, ხომ უნდა სცოდნოდა წინასწარ, ვინც ვიყავი და ვინც შევიმქნებოდი. ხომ უნდა სცოდნოდა, რომ ავუჯანყდებოდი?! ეს მე ვარ – ნიმროდი, დამამხობელი მისი და მიწასთან გამსწორებელი! ტყუილადაც ხომ არ უწოდებიათ ჩემთვის: „ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა?!“

ამ ჩემი ზედწოდებისგანაც ნათლად ჩანს, რომ ნიმროდი მეამბოხე სულია, ღმერთთან მებრძოლი ზეკაცი! მე დიდი დამპყრობელი ვარ... მინდა გავაერთიანო ყველა ის მიწა: ნაყოფიერიც და უნაყოფოც, შავმიწანიადაგიანიც და უდაბნოც – თვალუწვდენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. რაც ჩემს თვალსაწიერშია და იმას იქითაც! გონსაწიერს მოვიშველიებდი ამ დროს. მე ხომ სემის მიწებზეც მიჭირავს თვალი. კი არ ვემონები სემს?! ცოცხალი რომ იყოს, დავატყვევებდი და დავიმონებდი! ასურეთიც ჩემი უნდა იყოს! აშურისგან მოდის ასურეთი... აშური ხომ სემის ერთერთი ვაჟი იყო... არ გაილაშქრებ შენს მეზობელ ქვეყანაზე და იგი გამოილაშქრებს შენზე. ამიტომ: არავითარი დანდობა! ამ ბოლო ხანებში როგორღაც ამომივარდა თავიდან ნინევია და თავი არ წამოჰყვეს?! დამოუკიდებლობა უნებებიათ? ჰო, ნინევიაზე გავილაშქრებ და: აღვაშენებ ნინევიას. იგი მეორე ქალაქი იქნება შუამდინარეთში ბაბილონის შემდეგ! დავიპყრობ და გავაერთიანებ სრულიად შუამდინარეთს! შევძლებ იმას, რაც ვერავინ შეძლო! მე შეუძლებელს შევძლებ! ღმერთივით თუ... შემდეგ კი შესაძლოა ნიმროდშიც აღმოვაჩინო ნაკლი და: ნიმროდი ნიმროდის წინააღმდეგ ავამხედრო! მაგრამ ეს დრო ჯერ არ დამდგარა! ნიმროდი: გმირი მონადრე წინაშე უფლისა ღვთისა და ნიმროდი: წინაშე მეფეთ-მეფისა და ქურუმთ-ქურუმის ნიმროდის წინააღმდეგ!

და ცაბაოთსაც უნდა განეჭვრიტა, ვინ უნდა მოვლენოდა ქვეყნიერებას ნიმროდის სახით?! მაშინ რატომ დაუშვა ჩემი გაჩენა ქვეყანასა ზედა და რატომ არ გამაწყალა დედის საშოში?! მაგრამ ჩემთან მიმართებში რჩება ერთი ამოუხსნელი, ტაბუდადებული ქარაგმა და არც თუ ქარაგმა! მე უჩრდილოდ დავდივარ დედამიწაზე, სადაც ყოველ სულიერსა თუ უსულო საგანს გააჩნია თავისი განსაკუთრებული და განუმეორებელი ჩრდილი. იქნებ არც ვიყო მე უბრალო მოკვდავი?! ღმერთიც ხომ უჩრდილოდაა?! მეც მარტო გმირი მონადირეც არ უნდა ვიყო წინაშე უფლისა ღვთისა! ჰეი, შენ, ცაბაოთ, თავი ღმერთი რომ გგონია, გაბედე და გამომცადე! მე ნიმროდმა, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ჩრდილი, ბაბილონი შევქმენი! შენ ადამი გამოძერწე თიხისგან, მაგრამ მოიცილე თავიდან როგორც ვერ შემდგარი ოცნება-ჭურჭელი. ჩემი ბაბილონი შენს ადამზე დიდია. შენი ადამი მოკვდავი გამოგივიდა და მოკვდა კიდეც. ჩემი ბაბილონი კი უკვდავია და არასოდეს მოკვდება. იგი შენი ადამის მოდგმას მთლად მოიცავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის თავში, და თუკი ვეღარ ჩაიტევს. გავაფართოებ ჩემს ბაბილონს და შენცა და შენი ადამიანებიც ჩემს ბაბილონში – როგორც უძირო ქვაბში შეიძლება ლაყეც კი დარჩეთ... არც რა იყოთ... მე ბაბილონზე ვზრუნავ, შენ კი შენი ადამი გადაგვიწყებია უკვე და ვინც კი დავიწყებას მისცემია, იგი მკვდარია უკვე. მე განვიცდიდი ჩემს ურჩდილობას, თავს ვიმცრობდი ჩემსავ თვალში. არც კი ვუწყოდი, რა მენება და რა შემეძლო... მაგრამ მე შევძელი შეუძლებელიც! ბაბილონია ჩემი ქმნილება. ბაბილონს მე მოვიაზრებ ტიგროსს იქითაც და ევფრატს იქითაც. ჩემი ბაბილონი უსასრულობაა თვითონ... ასე ნებავს ნიმროდს! ნიმროდია ის, ვინც არასდროს კმაყოფილდება მიღწეულით! ნიმროდი ჰქმნის ღმერთივით. ნიმროდი ღმერთივითაა! იქნებ: ღმერთიც?! და ჩრდილიც რაღად უნდა უნდოდეს ნიმროდს?! ღმერთიც ხომ უჩრდილოა სივრცეში, ჩრდილი ხომ უბრალო მოკვდავთა ხვედრია, ნიშანი?! ღმერთებისაგან განმასხვავებელი! – ამოთქვა ნიმროდმა და საკუთარ თავში რომ ვერ ჩაეტია, ზეწამოიჭრა, მილეწ-მოლეწა, რაც ხელთ მოჰყვა და გარეთ გამოვარდა. უხმო თავის ბედის ბედაურს, მაგრამ სანამ უხმობდნენ, იგი სასახლის ეზოში თავის ვეება ფლოქვებს მიწას გამწარებით სცემდა, თითქოს ისიც თავისი პატრონივით ვერ ჩატეულიყო თავის კანში. ამ დროს ბრძენი ბუს ფრთების ტყლაშუნიც ესმა ნიმროდს. ბრძენმა ბუმ, ამჯერადაც აცალა ნიმროდს, ამხედრებულიყო თავის ბედის ბედაურზე და მხოლოდ ამის შემდეგ მოიკალათა ნიმროდის მხარზე.

– დღეს ძალზე შეწუხებული რატომ მეჩვენები, ბრძენო ბუვ?!

– მიხმე და აქ ვარ, დიდო ბატონო, მაგრამ რომ არ გითხრა, აღარ შემიძლია: დღეიდან ნიმროდს უნდა ემორჩილებოდეს ყოველი სულიერი, რადგან ღმერთი იგია, ერთადერთი და კანონიერი! უძლეველიც! ღმერთი: შეუვალი და შემძლე ყოველის! – მორჩა სათქმელს ბრძენი ბუ და სივრცესა და მომავალს შესჭყივლა.

ევფრატისაკენ მიჰქროდა დიდი სამება: ნიმროდი, ბედის ბედაური და ბრძენი ბუ! მოწყურებოდა ამ დიდ სამეულს! მოწყურებოდათ სამთა...

ევფრატიც ისე შეხვდა ნიმროდს, როგორც არასდროს: ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც თავის ტოლს და მერე – მასზე აღმატებულსაც, გადაუშალა გულმკერდი. ნიმროდმაც განიგრილა გრძნეული გული, მოიკლა წყურვილი, წამოიმართა მერე მთელი ტანით, გადაიხარა წინ და წყალში ისე ჩაიხედა, როგორც სარკეში. იხილა სახე თვისი და თავიც ვეღარ იცნო, თითქოს ნიმროდიც იყო და აღარც იყო! ამაღლებულიყო ის თავის თავზე! იმაზე მეტი იყო, ვიდრე წარმოედგინა თავი.

– გიკვირს, ნიმროდ?! საკვირველი აქ არც არაფერია! შენ ვიღაც ის ნებით მოგაკლდა რაღაც და მე შეგმატე იგი!

და გულიც უგრძნობდა ნიმროდს: ამაღლდებოდა აწი კიდევ უფრო, ცას შესწვდებოდა და თავის ცადშეტყორცნილ ფიქრებსაც შეწვდა: – ჩემი ადგილი კი არის დედამიწაზე, მაგრამ ცაშიც უნდა მქონდეს ადგილი და მქონდეს აწ იმნაირი, რომ ვეღარ შემომწვდეს მე თვალი მოკვდავის!

იქით ნიმროდის ბედის ბედაური იკლავდა წყურვილს, იმას იქით უკვე მოეკლა წყურვილი ბრძენ ბუს.

ნიმროდმა თვალი შეავლო თავის ბედის ბედაურს და ძლივსღა იცნო: ფრთები გამოსხმოდა და ოქროსფრად გაბრწყინებულიყო. ძნელად საცნობი გამხდარიყო ბრძენი ბუც: არწივისებურ ფრთებს ისველებდა წყალში. ოქროსფრად გაბზინებულიყო ისიც.

ნაპირზე ერთდროულად გამოვიდნენ. ნიმროდისგან მარჯვნივ ბედის ბედაური იბერტყებოდა, მხარმარცხნივ – ბრძენი ბუ. ნიმროდმაც შეიბერტყა მძლეთამძლე მხრები. შეშრა (შინაგანი სიმხურვალისგან შემშრალიყო), შემშრალებულიყვნენ ბედის ბედაურიცა და ბრძენი ბუც.

– თქვენთვის მომინიჭებია მე წუთიერი თავისუფლება! – ბრძანებსავით ნიმროდი, – ფიქრებიც შეიშრეთ და: ისე დამჭირდებით როგორც არასდროს! მოგიხმობთ ფიქრში და თქვენც ფიქრზე უმალეს უნდა გაჩნდეთ ჩემთან! დაგვიანების უფლებას ვერც ერთს ვერ მოგცემთ! – თქვა და თავისი ქვევრიც ჩაფივით ამოავლო ევფრატის წყალში, ამოიღო და გასწორდა წელში, იღლიაში ამოიჩარა და გზა-ბილიკს შეჰყვა მწვერვალისკენ.

ელოდა მწყურვალი კედარიც ნიმროდს....

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ისმენდა უფალი ღმერთი ცაბაოთი ნიმროდისა და გრძნეულს გასაიდუმლოებულ საუბარს, საუბარიც რომ აღარ ეთქმოდა უკვე (ფიქრებისა და თვითგანსჯის ტირადას უფრო ეტყოდით ამას) და ღვთაებრივი გულიც მომეტებულად აძგერებოდა. ამიტომ: ჯერ გრძნეულ სულს მიმართავს განაწყენებული (ფიქრით): „შენთან აღარაფერი მაკავშირებს და შემიძლია მშვიდადაც იყო! რაც გინდა და როგორც გინდა, იფიქრე და განსაზღვრე ისე, მაგრამ იმას კი ვერ გაპატიებ, რომ ამიმხედრო ვინმე და განსაკუთრებით – ნიმროდი! არაფერიც არ გამოგივა, ამაოდ დაშვრები და შეიძლება გრძნეულებაც კი დაკარგო, რაიც ჩემგან გადმოგცემია და ისიც მოგეხსენება, რომ ისიც აღარ ხარ, რაც ადრე იყავი. ჩემს გვერდით, ვარსკვლავების მოწყვეტის უფლებაც გქონდა შენ – ერთადერთს ანგელოზთაგანს და რას დამსგავსებიხარ?! გონს მოეგე და გაეცალე ნიმროდს! ტვინს ნუღარ უმღვრევ! ისე, რომ იცოდე: ნიმროდი ჩემი დაკვირვების საგანია. ვნახავ ჩემი მხარდაჭერის გარეშე რას მიაღწევს?! რასაც კი დღემდე მიაღწია, საკვირველია მართლაც: ეს იგივეა, რაც: ძლევა საკვირველისა! ჩემი გორის რომ არის, კოჭებზე ეტყობა! რასაც მიაღწია, ესეც კმარა მის განსადიდებლად! გრძნეულო, შენ ხომ მაინც იცი, სინამდვილეში ვინც არის ნიმროდი?! ნეტა დამეკარგებოდე თავიდან?! ახლა ვნანობ, უფრო მკაცრად რომ აღარ დავსაჯე, მაგრამ ამის გაკეთება, იცი შენც, ყოველთვის შემიძლია! უკიდურესობამდე არ მიმიყვანო, თორემ... ნიმროდიო... ხედავ, შევეგუე ამ სახელს. დარჩეს ნიმროდად! ჩვენ ორივემ ვუწყით, რომ იგი ადამია და არც არავის დავუთმობ! მოათქმევინე სული! შენ კი: წადი! გამეცალე!

ითქვა და გრძნეული სულიც ამოიშალა ცაბაოთის თვალსაწიერიდან, მერე: მისი გონსაწიერისგანც: ნიმროდზე კი მართლაც რომ გაუგრძელდა ფიქრი: „ნიმროდი?! დარჩეს ნიმროდად! სახელს რას ვერჩი?! ადამი სახელიც არაა, უფრო წოდებაა! და: მიწიდან, თიხიდან რომ გამოვძერწე, ამას აღნიშნავს მხოლოდ. ეჰეი, შენ, ნიმროდ! გინდა, ნუ გაიგონებ, ნება შენია. შენ დიდი ხანია აღარ გესმის ჩემი, მაგრამ... ჰო, მოვაკვლევინე შენი ჩრდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს უხილავ ჯალათს, ვფიქრობდი, გონს მოხვიდოდი, მაგრამ ახლაღა ვხვდები, რომ შენდა სასიკეთოდ მოვქცეულვარ. მეგონა, დაიმცრობოდი, დაპაწიავდებოდი და ჭკუაზეც მოხვიდოდი, მაგრამ ჩემს ჯიბრზე იზრდებოდი თვალდახელშუა, მაღლდებოდი და დღეს შენი მომრევი ვინმე აღარც მეგულება დედამიწის ზურგზე. შენ კი: სამიზნედ მე გამიხადე – თვითონ უფალი ღმერთი! ისარიც კი მტყორცნე. ამიჯანყდი და ამიჯანყდი ისე, რომ: მართლა ჩამაფიქრე. ვნანობ, ასე ლმობიერად რომ მოგექეცი! გაცლი კიდევ, მაგრამ მერე: ვიფიქრებ ამაზეც ნიმროდ!

ერთხელ: ეს მაშინ იყო, კინაღამ რომ მოგიძულე... გზაჯვარედინზე დაგტოვე: შენს წინ ოთხი გზა გაიჭრა და ოთხივეს, რომელიც არ უნდა შეგერჩია, უფსკრულში უნდა ჩაეძახებინე. შენ აქაც გადაურჩი განსაცდელს, მაგრამ დარჩი უგზოდ და უმომავლოდ. ოთხი გზა და ოთხივე – სასიკვდილე... შენ სიკვდილეთი გელოდა! მაგრამ შენ ახალი გზა გამოიგონე! იგი მეხუთეც აღარ იყო, მაგრამ შენეულია – შენი შემოქმედებაა! მერე: მაღლდები შენც შენეულ გზაზე და ლამის ჩემამდეც კი ამომაღლდე! იქნებ სამართლიანად გიწოდეს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა?! მერე და შეხედულებაც ხელს გიწყობს! აბა, ადამიანთა შორის მსგავსი ნიმროდისა იქნება მითხრა, არის კი ვინმე ამ ჩემს დუნიაზე?! ამოიაღმართე?! ასე გენება და: ამომაღლდი! მე წარსულიც კი გადაგიშალე, მაგრამ შენ ის წარსულიც აწმყოში გადმოიტანე და ახალი სამყაროც გადაიშალე თვალწინ. მარტო ის რაღად ღირს, რომ ერთი ბეწო მიწიდან, ერიდუ მაქვს მხედველობაში, ბაბილონი შექმენი! ბაბილონი, ურუქი, აქადი და ქალდე – ეს შინყარის მიწაა! ჰოდა, განავრცე იგი ევფრატიდან ტიგროსამდე. თვალს შენსას არ აქვს საზღვარი! მე მეტსაც ვიტყვი: თვალსაწიერი შენი უსასრულობად აქციე! შენ განივრცობდი და განადიდებდი თავს და ფიქრადაც არ მოგსვლია, რომ ამ დროს განმავრცობდი მეც, განმადიდებდი. და ბოლოს: შენ არც კი იცი, რომ ადამი ხარ – ჩემი ქმნილება და სანამ არ გეცოდინება სინამდვილე, იქამდე შეიძლება ხელიც არ გახლო! რა ვქნა და მახარებს კიდეც შენი დიდება! დაე: აშენებდე და აღამაღლებდე საკუთარ საუფლოს, მაგრამ რჩევაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღე ჩემი: დაეტიე დედამიწაზე! და ჰქმოდე სწორედ რომ უფალი ღმერთივით, მაგრამ ჰქმოდე დედამიწაზე! აქ სივრცეში კი ცაბაოთს ნუ შემეცილები! შენი სამოთხე ბაბილონია, ნიმროდ, სამოთხე დედამიწაზე. ჰოდა, იბატონე შენ შენს სამოთხეში! მაგრამ მაღლა არ ამოიხედო! დაე, შენთვის ბაბილონიდან დაიწყოს ყველაფერი და ყოველი გზა მოდიოდეს ბაბილონისკენ! ბაბილონით იწყებოდეს ფიქრი შენი და სიცოცხლე და სიკვდილიც ბაბილონში სიკვდილდებოდეს! ბაბილონია შენი ჭეშმარიტების სამოთხე და მქმნელი ამისა ნიმროდია თვითონ: გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა! აღარ გაკურთხე და საქმემან შენმან გამოგაჩინა! გამოგაჩინა და ამითაც კურთხეულ ხარ! დაე, დედამიწაზე, მხოლოდ დედამიწაზე განსჯიდე ჩემებრ! წუთისოფელში მარადყოფნა მომისჯია შენთვის და: ღმერთიც ამიტომაც ვეღარ გახდე შენ! და ვნახოთ: სადამდე მიგიყვანს შენ შენი ბედისწერა?!

საფიქრალი კი ორივეს გვაქვს.

* * *

„კიდევ ცოტა, სულ ცოტაც, გადავუვლით ამ მთასაც და ჩვენს თვალწინ თვალუწვდენელი ვაკეც გადაიშლება. თვალგასახარი, მაგრამ თავისი მიუწვდომლობით გულის გამაწვრილებელი. გადავივლით ამ ვაკესაც და ისევ მთა გადაგვეღობება. იქ დასრულდება ჩვენი მოგზაურობა. იქიდან იწყება თარგამოსის საბრძანებელიც. ისე: გზას ძლივსღა ვცნობდი... არარატის მთაზე ნოეს კიდობანიც აღმოვაჩინე. ნოეს კიდობანი: ულპობელი ძელებისგან შეკრული. არაფერი დამართნია დღემდე. მხოლოდ ის არის, რომ კლდის გამონაზარდი გეგონება, თუ კარგად არ დააკვირდი. მართლა ასე შეზრდოდეს ამხელა კიდობანი თვითონ ამ უკარება მთას, ძნელად დასაჯერებელია. დრომაც კი ვერაფერი უყო! ორი-სამი ათასი წლის შემდეგ, ჩვენი ძვლებიც რომ აღარ იქნება, ნეტა როგორი იქნება ნოეს კიდობანი?!“ (ნოეს ზეპირი დღიურებიდან).

„მაგრამ ჩვენ თარგამოსის სარძანებელს ვუახლოვდებით...“ – ფიქრებიდან გამოერკვევა ებერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივს არ გალია ქარავანმა ეს უკიდეგანო ველი?! თითქოს ცაც კი ჩაეყლაპა ამ უსასრულობის ველს.

– თარგამოსის მთა... – ახედა ებერმა მწვერვალს, თვალი უსწორა ზეცად აღმავალ გზას და ქარავანიც შეჰყვა აღმართს. და ყველგან: ოდა-სახლები – ძველებური, მამაპაპისეული, ახლად ნაგებნი...

„თარგამოსს ყამირი მიწებიც აუთვისებია... კაცმა დააპურა მიწა და არც მიწა დარჩა ვალში: ოფლშეუმშრალი დააპურა მან მიწის მუშაც„„ – გაიფიქრა ებერმა და ფიქრმაც აღარ მოასვენა: – მოაწია დრომაც და აღმშენებლობის ზარსაც შემოჰკრეს ქვეყანაში!

გაიზარდა თარგამოსის სამფლობელოც.... მაგრამ სალოცავები?! და ვისზე ლოცულობენ დღეს თარგამოსიანნები? – საკუთარ თავს დაეკითხება ებერი და თვალს შეავლებს იქაურობას: – ის ძველი სამლოცველოები? – დეზსა ჰკრავს თავის თეთრონს და გაჰყვებიან გზა-ბილიკს.

– ეს კი ჩვენებურ სამლოცველოს უნდა ჰგავდეს თითქოს... – შეაყენა თეთრონი, ჩამოხდა ძირს და ფეხით შეჰყვა აღმართს.

დგას სამლოცველოს წინ და შეჰყურებს შესასვლელს, გვირგვინად მორკალული ხის თაღი რომ აზის. – ბორჯღალი და... თაღზე წარწერაც ჩვენებური... მაგრამ ბორჯღალო?! ნუთუ მზეს სცემენ თაყვანს?! თარგამოსის ქვეყანაში მზეს სცემენ თაყვანს?! წარწერა ქალდეური, მაგრამ რატომ მზე? მზეც და წარწერაც ძველია. დღეს კი ვისზე აღავლენს ლოცვას თარაგმოსი?“

ამ ფიქრებში იყო, რომ მექარავნეც შემოეხმიანა: – ებერ ბატონო, აქვე, სულ ახლოს ჩვენებური სამლოცველოცაა, იქ მოგველოცა, დავისვენებდით ცოტას, თვალს მოვატყუებდით და მერე განვაგრძნობდით გზას. თარგამოსის სასახლემდე კიდევ კაი გაყოლა გზა გვაქვს გასავლელი და შესვენება არ გვაწყენდა, – მოიბოდიშასავით მექარავნემ, მოგაცდინეო და ქარავნისკენ მიაბრუნა თავისი ფაშატი.

ებერმა გზის გაგრძელება ბრძანა: – დროს ვერ დავკარგავთ, მექარავნევ! მზის ჩასვლამდე მთელი ორი საათია ჯერ... – ამბობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ებერი და თვალწინ ნიმროდი ედგა, იშთარის ტაძარში მარდუქ-ის სახელზე რომ აღავლენდა ლოცვას: „არ შეიძლება თარგამოსი მზეს სცემდეს თაყვანს, თარგამოსიც ხომ ნოეს შთამომავლია ჩემსავით, თუმცა ნიმროდიც ხომ ნოეს მოდგმისაა და არც მზეს სცემს თაყვანს და არც ჩვენს უფალ ღმერთს ცაბაოთს?! – უნ-ებლიეთ მექარავნისკენ მიიხედავს: „მე მინახავს გამძვინვარე-ბული ნიმროდი, მაგრამ... არასოდეს უსაყვედურებია ჩემთვის, რომ მე ჩემი უფალი ღმერთი მყავს და... ჩვენს საპატრიარქოში მნიშვნელოვანი თანამდებობა მიჭირავს, შეიძლება პატრიარქიც გავხდე, მაგრამ...“

მექარავნეს გაესწრო მისთვის და ებერმაც დეზი ჰკრა თავის თეთრონს.

– მექარავნევ, გამკვირვებია სწორედ: თარგამოსის სამფლო-ბელოში შემოსულებს მთა გადაგვეღობა და... ნეტა, სად გაქრა ის მთა? გაკვირვებას ვარ!

მექარავნემ თითქოს და დარცხვენილმა თავი ჩაღუნა და ამოღერღა: – არსადაც არ გამქრალა ის მთა...

– არ გამქრალაო ამბობ და რომ ვერსად ვხედავ?

– რაც არ ყოფილა, როგორ უნდა გამქრალიყო? – შუბლი მოი-ჩრდილა მექარავნემ და ხელი წინ გაიშვირა: – ხედავ, ნისლში გახ-ვეულ იმ მწვერვალს?

– იმას, ისე შორს რომ არის ჩვენგან და ბურუსშია გახვეული?

– ჰო... ის არის, ებერ ბატონო! ორივე მოვტყუვდით... მოგ-ვატყუა მირაჟმა...

– მირაჟი უდაბნოში ვიცი... – თავისთვის ჩაილაპარაკა ებერმა და თვალი აარიდა მექარავნეს.

– ჰო, მირაჟი... თითქოს ფიქრებს წაეღოო მექარავნეც: – ხეო-ბაში შევდივართ, – იმ მთამ კი ჩალა გამომავლო პირში, თვითონ პირველ მექარავნეს და: მართლაც რომ დამამახსოვრა თავი... რამდენი მივლია და ასე არასოდეს შევუცდენივარ გზათა თმაშ-ევერცხლილ ანგელოზს... მაგრამ, ებერ ბატონო, საკვირველებაა სწორედ! თითქოს სამოთხის ბაღში შევდიოდეთ?!

– ესეც მირაჟი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არა, სამოთხის ბაღია მართლაც, რა მშვენიერებაა?! – აღმოხდა მექარავნეს. – აქაც ჰქონიათ სამოთხის ბაღი! აგერ ჭიშკარიც და ასოებიც – ჩვენებურად ამონაკაწრი!

ებერმა წარწერას ახედა და გულმა რეჩხი უყო: „თარგამოსის სავანე...“ – წაიკითხა და ფიქრმა წაიღო: „აქ თუ უყვარს განმარტოება ნადირობიდან მობრუნებულ თარგამოსს... თვალს მოატყუებს... ჩვენებური, ქალდეური ასო-ნიშნები... სხვა ენა არც ჰქონიათ აქ... წინაპრებიც ერთნი თუ გვყავდა?! თარგამოსიც ისე მეტყველებს, როგორც მეტყველებენ ჩვენთან, ქალდეაში... – თითქოს და იხსენებდეს ებერი; ადრე არფაქსადს თუ ახლდა აქეთ მხარეში. ქალდეა ჩვენი სამშობლოა. წინაპრებისგან მსმენია, რომ ქალდეადან აგვიკრავს გუდა-ნაბადი და აქეთ გადმოვსახლებულვართ... თითქოს და ჩვენს მიწებს დავბრუნებოდეთ... დღეს ვერც ერთი მხარე ვერ დაადგენს, რომელია ჩვენი ძირი მიწა, ქარდუხი თუ ქალდეა. დღეს: – თითქოს გამოფხიზლებულიყოსო ებერი: – ნიმროდია ჩვენს შორის გამორჩეული გმირი! მისია დღეს მთელი შუამდინარეთი! მან შექმნა ერთადერთი და განუმეორებელი ბაბილონის ქვეყანა! ნიმროდი ბაბილონია და ბაბილონი – ნიმროდი! ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი ბედისწერა გვაქვს და ვერავინ წაუვა ამ ბედისწერას! ბედს კი უფალი ღმერთი წერს! – და ისევ ფიქრმა წაართვა თავი: „ჩვენ ყველანი ნოედან მოვიდვართ, მაგრამ თვითონ ნოე?! საიდან, საიდან მოვიდა ნოე ქალდეაში... ერიდუდან დაიწყო იმანაც და ყველა ერიდუდან იწყებს: საოცარია სწორედ! მერე, ნოე და წარღვნა... ჰოდა, ნოეს წინ თითქოს და არც არაფერი ყოფილიყოს. ნოედან იწყება ყველაფერი, ამას ვერავინ უარყოფს. კაცობრიობის მეხსიერება ამაზე შორს ველარ მიდის. კი იყვნენ შუმერები, მაგრამ დრომ ბევრი იმუშავა და კინაღამ ხაზი გადაუსვა შუმერთ. ენმერქარი და გილგამეში... უიმათოდაც ხომ ვერ წარმოვიდგენთ წარსულს?! და მაინც ნოედან მოვდივართ ყველა: თარგამოსიც, ნიმროდიც და, რასაკვირველია მეც! – და ასე ფიქრმორეულმა შეაბიჯა თარგამოსის სადგომში. წინ ფაცხა კარშეღიავებული: – თარგამოსის ფაცხა! წარწერა აქაც: „დაღლილხარ, მგზავრო? ჰოდა, ეს ფაცხაც ადგილია სულმოსათქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი! აგერ ტახტიც, შეგიძლია წამოწვე და გინდ ფიქრს მოუხმე, გინდა – ძილს, სულერთია: მტერი ხარ შენ თარგამოსის, თუ – მოყვარე. მოსულხარ რადგან, მოყვარედ გცნობს თარგამოსიც. ასე განსჯის თვითონ თარგამოსი. მიენდე ამ ჩემს ტახტს, მოისვენებ და ფაცხიდან გამოსული გზაჯვარედნზე შედგები. შენს წინ სამი გზა გაიჭრება და თუკი თარგამოსის ნახვა გისურვებია, შუა რომაა, იმ გზას დაადექ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თარგამოსის ქვეყანაში!

გაიჭრიალა კარმა და ებერსაც წაუბიძგესო თითქოს, ფაცხაში აღმოჩნდა: „როცა შინ არავინ დაგხვდეს, გადააბიჯე კარის ზღურბლს და ყველაფერი რაც თვალში მოგხვდეს, შენად მიიჩნიე!

„თავხედობაა ეს და თავხედობაზეც მეტი!“ – გაუელვა ებერს, საკუთარ თავთან ეუხერხულა და შერცხვა კიდეც. სახეზე სიწითლემ ჩრდილივით გადაუარა და ოფლმა დაუცვარა შუბლი: – ეს წინკარი, გადააბიჯე ზღურბლს და ღია და ნათელი ოთახიდან საძინებელში გადახვალ...

ოთახში მაგიდაა გაშლილი (ეს სტუმრისთვის). ებერი უნებლიეთ გაიფიქრებს: – სანადიროდ იქნება თარგამოსი, მალე მობრუნდება, ალბათ მზის ჩასვლის შემდეგ, მაგრამ მშვილდისა და ისრების ბუდე კედელზე რომ ჰკიდია? ისე ჰგავს, თარგამოსი ფაცხაში აღარ მოვა, – დაასკვნა და მწველი ფიქრებისგანაც გათავისუფლდა. დღეს არც უნდოდა ებერს, რომ ფაცხაში შეხვედროდა თარგამოსს.

მაგიდას მიუჯდა. ღვინო დოქიდან ხელადაში გადმოისხა, დალოცა ოჯახის მასპინძელი, – კეთილი გულით მოვსულვარ, ბედნიერი ფეხი გადმოვაბიჯე კარის ზღურბლს, დაილოცა ეს დღე ჯერ შენთვის, მასპინძელო, მერე – შენი სტუმრისთვის! – მორჩა სადღეგრძელოს, უნებლიეთ გაეღიმა და ხელადაც დაცალა. მოიკლა წყურვილიც და აქაური ღვინოც დააგემოვნა.

დანაყრდა ყურადღება კედელთან მიდგმულ გრძელ ხის ტახტზე გადაიტანა: – თარგამოსის ტახტს უნდა ჰგავდეს, – უკვე ხმამაღლა იტყვის ებერი: – გოლიათი ჩანს, მაგრამ ნიმროდისთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ეს ტახტი მოკლე დარჩება. თარგამოსიც წარმოსადეგი ვინმე ჩანს, – გადაზომა ტახტი: – თერთმეტი მტკაველი?! მაგრამ ნიმროდთან მაინც ვერ მივა. ნიმროდი მთელი თავით მაღალი უნდა იყოს, ოღონდ ნიმროდი შეიძლება ადამიანი არცაა?! ამაღლებულია იგი ადამიანზე. კაცზე მეტადაც წარმოუდგენია თავი და ღმერთს გატოლებია. ამასთან: ნიმროდი თარგამოსთან შედარებით ახალგაზრდაა... თარგამოსი ხანში შესულია. ნიმროდი, შედარებით ახალგაზრდაა და ბრძოლის ჟინითაა შეპყრობილი! ნიმროდს სულ უნდა და უნდა! იგი თავად ნდომაა! აღუვსებელი საწყაული, თარგამოსზე კი უკვე აღარ ითქმის აღუვსებელი საწყაულიო; ნიმროდი: მკლავმოუღლელი და ფიქრებთან მორკინალი, მარად ხმალშემართული, ბედის ბედაურზე ამხედრებული და მხარზე ბრძენი ბუ აზის... ცოცხალი ლეგენდა! მთიდან გადმოქცეული ცეცხლოვანი ლავა და აწმყოსთან შეჭიდებული, მაგრამ: ურჩდილო! კაცისა მართლაც რომ არაფერი სცხია! ნიმროდი სინამდვილეა, იქნებ ჭეშმარიტებაც, მაგრამ ხომ არ ვაჭარბებ აქ?! დასასრულ: გმირი მონადირე: წინაშე უფლისა ღვთისა!“ – ებერი წამოდგა და ხის ტახტს დაადგა თვალი, ახლა თვალით გადაზომა და მხრები აიჩეჩა: ნიმროდის ხმალს სამი კაცი ძვრასაც ვერ უზამს ადგილიდან, თვითონ ნიმროდი კი მთელი სამი დღე ხმალს არ ჩააგებს ქარქაშში... თარგამოსის ხმალიც არ უნდა იყოს მჩატე!“

ამ ფიქრებში იყო, მექარავნემ რომ შემოიხედა ფაცხაში: – ებერ ბატონო, ქარავანი დავაბინავე, კაცსაც და პირუტყვსაც შესაფერი ადგილები მივუჩინე. კიდევ რას მიბრძანებთ?

– ბრძანებით არაფერს, მაგრამ დაგავალებ: დილაუთენია გამაღვიძებ.. აისს თვალახელილი მინდა შევეგებო... ღვთის წყალობით, ადრე უნდა გავიდეთ. გზაჯვარედინზე შევდგებით და შუა, რიგით მეორე გზას დავადგებით. სწორედ ეს გზა მიგვიყვანს თარგამოსამდე. შეხსენება აღარ დამჭირდეს, მექარავნევ! შენი იმედით ვართ და ფხიზლად გეჭიროს თვალი! თარგამოსის საბრძანებლამდე სამი დღის სავალი გვაცილებს.

– საშველიც რომ აღარ დაადგა ამ გზას?! კიდევ კარგი, ნიმრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის თვალი – მფრინავი ასეული გვიცავს, დაილოცოს მისი სახელი! – და ებერსაც გაუელვა: „ნიმროდმა ღმერთად რომ გამოაცხადოს თავი, ეს მექარავნე პირველი ეახლება, თავს დაუკრავს და თაყვანსაც ისე სცემს, როგორც ღმერთს!“

მექარავნემაც მაღლა აიღო თავი და აღმოხდა: – დიდია მარდუქი... – თავის და უნებურად ჩურჩულზე გადავიდა, მარდუქის მიმართ თუ აღავლენდა ლოცვას. ებერმა მხრები შეიბერტყა, თითქოს იმ აზრისგან (რომ ნიმროდი მარდუქია და მარდუქი – ნიმროდი) გათავისუფლება უნდოდეს, ძვალ-რბილში რომ გაჯდომოდა თავის და უნებურად. ამ ფიქრებს მოეცვა ებერი, და აღარც უწყოდა: შებრალებოდა თავი, თუ თვითონაც მექარავნესავით ერწმუნა, რომ ნიმროდი ღმერთი იყო და თავად ჭეშმარიტება!

მექარავნემაც გაკვირვებით შეხედა ფიქრადქცეულ ებერს: „ესეც კაი ახირებული ვინმეა, ნიმროდივით უცნაური, ან რატომ უნდა მიკვირდეს, როცა ერთიც და მეორეც ნიმროდიც და ებერიც დიდი ნოედან მოდიან?! ნიმროდი – იქნებ ღმერთიც... მთავარი ღმერთის რჩეული, ან... ყველაზე ნაკლები: ღვთის კაცი, მოციქული, ებერი კი: ვინ იცის, ჯერ არ გამოუჩენია თავი, მაგრამ ებერი! – უცებ გამოერკვა და ფიქრიც კინაღამ გაუხმიანდა: არც ამასთან შეიძლება ახლოს დგომა, ესეც ნიმროდის სისხლისაა, თუმცა ნიმროდამდე ათასი ზღვა და ათასი გორი აშორებს...“ – თვალებში ამოისვა თითები, ხომ არ მძინავსო. იბნკინა კიდეც. აეწვა და თავის თავზე გაეცინა, ებერს ცერად გახედა, ფიქრებიდან ჯერაც რომ ვერ გამორკვეულიყო და თავისი სადგომისკენ თვითონაც ჩაფიქრებულმა გასწია.

ებერი იჯდა თარგამოსის ტახტზე და რულმორეული ამთქნარებდა. მერე, თავი მუთაქაზე დადო და მინებდა ძილს, მაგრამ ფიქრი მაინც გადაჰყვა ძილში: „თარგამოსის ტახტზე თავს ისე ვგრძნობ, როგორც ლაყე კვერცხი. ნიმროდი კი: განა დაეტევა თარგამოსის ტახტზე?! ნიმროდი – სრულქმნილი ტანად, გონებრივად კი: შემმეცნებელი ყოვლის! ისეთია, რომ... მთლად ადამივით! ადამი კი თვითონ ღმერთს მოგაგონებდათ. ნიმროდიც

ხომ შეუდარებელია?! შემოქმედი ღმერთივით! – და თითქოს წყალი გადაავლესო თავს, უცებ მოფხიზლდა: – მომიტევე, ღმერთო, თუკი შეგცოდე... უნებლიეთ მომივიდა... და მაინც: ნიმროდი – მარტო კაცი?! კაცზე მეტი! ზეკაცი, ალბათ თავისი დღე და მოსწრება გაღმერთებაზე ოცნებობს და: – ებერმა თავქვეშ ამოიდო ხელები: – და მაინც: ღმერთი თუ კაცი?! ღმერთკაცი... – ძილბურანში მყოფს მოძალებია ფიქრი, თვითონ კი აღარ უნდა ფიქრი, მაგრამ ფიქრს უნდა ებერი. ძილი მაინც შებორკავს ებერს – უკვე თავის ტყვეს და ბურთივით გაიგდებს წინ. უკვე აღარ ფიქრობს, ესიზმრება...

მერე: როგორც იქნა დააღწია თავი სიზმარს და თითქოს და არარსაიდან, თვალუწვდენელი გოდოლი აღიმართა მის წინ, წრიულად რომ მიიწევდა სულ მაღლა და მაღლა, წვერით ლამის ცას შეწვდენოდა. გულში რამდენჯერ გადაითვლის და მაინც ვერაფრით დაადგენს იმის სიმაღლეს. გოდოლი: ოქროცურვილი გუმბათით დაგვირგვინებული, მზის სხივებს რომ გამეტებით ირეკლავს, აქაოდა მზის სხივების შემოტევას იგერიებდესო. სწორედ რომ საოცრებაა გოდოლის გუმბათი და თვითონ გოდოლი – საოცრებათა საოცრება! ღმერთი თუ არის ამ გოდოლის შემოქმედი?! გუმბათი: ჰო, ოქროცურვილი და: გამჭვირვალე! რა ხელმა ააგო?! ეს რომ ბაბილონში ხდება?! ერიდუში – ყველაზე ამაღლებულ ადგილზე, შუამდინარეთში! ერიდუდან იწყება ქვეყნიერება, სწორედ ღვთის საბრძანებელია ეს გოდოლი. ღვთის საუფლო! მაგრამ საიდან ეს საშენი მასალა?! შუამდინარეთულიც არ უნდა იყოს! უცხოს ხელი ხომ არ ურევია ამ სასწაულში? ნიმროდი და მისი ღვთიური ჩანაფიქრი! ნიბირუდან ხომ არ ჰყავს მოწვეული ხურმოთმოძღვარი?! მაგრამ აზრი, იდეა ნიმროდისეულია! ნიმროდს ვხედავ, თავისი ჭოგრიტით შეიარაღებულს. სუნქთვაშეკრული უთვალთვალებს ვარსკვლავეთს...

ნიმროდი რაღაცას ფარავს, თვითონ იდუმალებაა ნიმროდი! ნეტა, რას ფიქრობს ახლა. იქნებ მომიშორა თავიდან?! არ უნდოდა ჰყოლოდა თუნდაც მდუმარე მოწინააღმდეგე... ვაითუ: მართლა გამოაცხადოს თავი ღმერთად: მარდუქის ნაცვალი ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დედამიწაზე და ახლა ზეცაშიც ხომ არ გაიდგა ფესვები?! უსასრულობის აღქმასაც ხომ არ აპირებს?! ღმერთს გაცილებია?! მაგრამ მარდუქი?!

იელვა ამ დროს და ებერიც წამოიჭრა ადგილიდან.

ისევ იელვა. იგრძნო, მიხვდა ებერი, ღმერთი უხმობდა, ებერის ყურადღებას ითხოვდა.

ელვამ თვალი მოჭრა, თითქოს სილა აღრეოდა თვალებში, ტკივილისგან ცრემლები სცვიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ტკივილმა გაუარა. ცრემლიც ამოუშრა და ისევ შემოესმა მაღლიდან: – ებერ, როგორ იყო და რა იხილე?

– ნიმროდი ფიქრობს ბაბილონში, ერიდუში, მზის მოედანზე ბაბილონის გოდოლი ააგოს... მე ის გოდოლიც ვიხილე... ფიქრში აღმემართა „ურჩ თავით მაღლა!“

– ებერ, ეს ნათელხილვა იყო!

– ბაბილონის გოდოლი – ნიმროდის საბრძანებელი...

ნამძინარევივით გამოდიოდა ბაბილონიდან. მაღლა აიხედა: ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. ვარსკვლავების ქვეყანაში თუ ვარ?! როგორც ჩვენს ბაბილონში. ბაბილონი ხომ სამოთხეა და სხვაგანც თუ ვიხილავდი ამ სამოთხეს, აღარ მეგონა... და ამ სამოთხეში ჩვენი მონათესავე ხალხები სახლობენ. ისინი ჩვენს ენაზე მეტყველებენ! თარგამოსია აქაურობის მბრძანებელი – იაფეტის მოდგმის, ბაბილონში ნიმროდი მეფობს, მე კი სემიდან მოვდივარ და ყველანი ნოეში ვიყრით თავს... ნოე დიდი გზა-ჯვარედინია და სამი გზაც გამოიჭრა მისგან, ჩვენია ეს გზები... და რაოდენ დასანანია, რომ ერთერთი ჩვენგანი, ალბათ ყველაზე ძლიერი მაინც ნიმროდია, რომელიც ჩვენს ღმერთს აჯანყებია... – აქ თითქოს წყალი გაადავლესო ებერს, ზეცას ახედა და ცაბაოთს ასძახა: – და შენ, უფალო, განა თვითონ არ აღუთქვი ნოეს, რომ განადიდებდი სემსა და იაფეტს?! ქამი კი დაწყევლეთ თქვენ – შენ, უფალო ღმერთო და ნოემ. უწინასწარმეტყველეთ ქამსა და მის მოდგმას, რომ მსახურნი იქნებოდნენ სემის და იაფეტის მოდგმათა! ნიმროდი ვიცი, ვინც არის: გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა. თარგამოსი ჩრდილოეთში განაგებს ქარდუხთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანას, სემსა და სემიტებს კი თავი ვერაფრით გამოგვიჩენია...
– უცებ მოეშვა ებერი, თითქოს ძალაც გამოეცალა მუხლებში და ნაძვის ხეს მიეყრდნო ზურგით. მაშინ იყო, რომ იელვა თვალისმომჭრელად და ელვაში გაკრთა განრისხებული ცაბაოთის სახე. მერე წვიმაც გადმოსკდა ნიაღვარივით, მაგრამ რატომღაც ვარსკვლავების ნათება აღარ შეწყვეტილა, მზეც უნახავს ებერს ამ ყოფაში – კოკისპირულად რომ წვიმდა, მზე კი ასხივებდა, – მზეს თუ შეუძლია პირის დაბანა, ვარსკვლავები რატომ ვერ შეძლებენ ამასო?

ცა გადახსნილიყო.

– ებერ, ასე რატომ ფიქრობ და ასე უსამართლოდაც რატომ განსჯი? ის კი მართალია, აქეთ – თარგამოსიაო და იქით – ნიმროდი, ღვთის პირისგან გადავარდნილი დიდი მონადირე. ერთ დღეს იქნება და ჩამოვართმევ დიდი მონადირის წოდებას და... მაგრამ ხარ შენ, სემის ღირსეული შთამომავალი... ჰეი, შენ, მართალო ებერ, მომაპყარ თვალნი შენნი და სასმენელნი შენნი! მე მოგცემ ძალას, ცხოველი ძალით აღგავსებ, რომ აღუდგე ნიმროდს, არ დაემორჩილო იმის ნებას! უფლის მანტიას მოისხამსო?! შენი და თარგამოსიანთა ხელით დამდაბლდება ნიმროდი! გაერთიანდით სემიტები და იაფეტიანები და ველარავინ მოგერევათ! აღზევდება შენი მოდგმიდან ერთი ვინმე – დიდი ქალდეველი, მაგრამ იქამდე დღევანდელი დღე გაქვთ დასაძლევი, ხვალეც და... ფხიზლად იყავი, ებერ. ერთ დღეს მოგიხმობ, იცოდე და...

აღარ დაასრულა უფალმა ღმერთმა და კოკისპირული წვიმაც შეწყდა.

ებერი მთლად გალუმპული, მაგრამ ღვთის მადლით გაბრწყინებული ვარსკვლავივით იწოდა და აღარც იწოდა (ღამე კიდევ უფრო იდუმალდებოდა და მიიძირებოდა წყვდიადში). მერე აკიაფდა ვარსკვლავეთი და ებერიც ვარსკვლავად იქცა. დრო მიდიოდა, მიმდინარეობდა თავისთვის, ებერიც თან წაიყოლია...

– ებერ, მიმოიხედე ირგვლივ! – მოესმა ამ დროს. – ცაზე არც ერთი ვარსკვლავი, მხოლოდ შენ ბრწყინავ ერთადერთი და ჩაუქრობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მე – ცისკრის ვარსკლავი?! – ამოთქვა გახარებულმა, მაგრამ გუნება უეცრად გაუუგემურდა: – მეც უნდა ჩავქრე?!

– ებერ, სწორედ შენ მეიმედები, შეიძლება ისე გამოიჩინო თავი, რომ სამარადისოდ დაიმკვიდრო სახელი კაცობრიობის თვალსაწიერსა და გონსაწიერში. „მართალი ებერი!“ ამ სახელს გაფრთხილება უნდა! ჰოდა, დამილოცნიხარ! დამილოცნია შენი გზაც! ჩემი იმედი გქონდეს, ოღონდაც გახსოვდე! მე ხომ ნოესა და მის შთამომავალთა ღმერთი ვარ... შენი ღმერთი, ებერ! ოღონდ ნუ გადამიდგები გზიდან და აგამაღლებ! მეყოლება ჩემი რჩეული ერი, რომელსაც დიდი გამოცდაც ელის!

აქ პირი შეიკრა ზეცამ და ცისკრის ვარსკვლავი და მისი ნათება რომ არა, წყვდიადიც დააღებდა ხახას და თავის სტომაქში გადაუძახებდა ყოველ სულიერსა და უსულოს, მოძრავსა და უძრავს...

სულ მთლად გამოსავათებული ებერი ფაცხისკენ იზამს პირს, ვერაფრით რომ ვერ გაიხსენებს, როდის და რატომ დაეტოვებინა ფაცხა, ხელს უიმედოდ ჩაიქნევს. სულაც დაავიწყდება, ფაცხაში რომ აპირებდა შესვლას. ამ დროს გამოეცხადება მექარავნეც და აუწყებს: – ქარავანი მზად არის დაადგეს გზას.

– გზას ცისკრის ვარსკვლავი გაგვინათებს, მექარავნევ... – წამით ჩაფიქრდა ებერი და გუნება-განწყობაც გამოკეთებოდესო თითქოს, თავისთვის ჩაილაპარაკა: – აქაური „ცისკრის ვარსკვლავი“ შეიძლება უფრო კაშკაშებდეს, ვიდრე ჩვენთან, ბაბილონში, – კი თქვა, მაგრამ სათქმელი თავისდაუნებურად ფიქრში გადაიტანა მერე: „ეს რომ ნიმროდს გაეგონა, ალბათ გამომასალმებდა სიცოცხლეს...“

– ცისკრის ვარსკვლავი – გზამკვლევი მოგზაურთა! – მექარავნემ ხელი „ცისკრის ვარსკვლავისკენ“ გაიშვირა და ფრჩხილებში ჩასვა ფიქრი.

მიირწეოდა ზლაზვნით ქარავანი....

* * *

ნიმროდი – ჩაფიქრებულიც და გაკვირვებული კიდევ უფრო.

ძილი გაუკრთა. მესამე დღეა წუხს და რაღა დააძინებს, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული უგრძნობს როგორღაც, რომ რაღაც უნდა მოხდეს, თითქოს და გამოუსწორებელიც, მაგრამ რა? პასუხისთვის კი ველარ მიუგნია. – მაინც რა უნდა მოხდეს?

თავი ჩარგო: ახალი სულიერება ხომ არა?! ბაბილონში სიახლემ უნდა შემოაღოს კარი! ნიბირუ?! თითქოს წინასწარ გავთვალე ყველაფერი... რამდენიმე დღეც და იმ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მანძილით დაგვაშორებს ერთმანეთს დრო... მაგრამ იგი გვიახლოვდება ჩვენ, თუ ჩვენ ვუახლოვდებით მას?! ჟამთააღმწერელი ხომ ამბობს: ყოველ სამი ათას წელიწადში უახლოვდება ნიბირუ დედამიწასო?! – გული აუძგერდება ნიმროდს: – ამაზე ახლოს არასდროს ვყოფილვართ ერთმანეთთან. ეს კი ვინაა, რომ მირჩევს, არ ავჩქარდე: ცოტაც მოითმინეო! ჰო, ვინაა იგი, იყავი ფხიზლადო, ასე რომ მაფრთხილებს?

და მართლაც ვინა ხარ, ასე რომ შემთამამებიხარ? ამდენს როგორ მიბედავ? მერე და საიდან მოსულხარ?!

– იქიდან, ჯერ არც ერთ დედამიწელს ფეხიც რომ არ დაუბიჯებია!

ნიმროდი ვერ დაუკმაყოილებია ამ მოკლე პასუხს. და გაბრაზებული ფიქრის სავარძელს მიანდობს თავს.

„ფრთხილად, ნიმროდ! იყავი ფხიზლად! – ამ ერთმა ფიქრმა დაასწრო ყველას: „ეს მე ვარ, ყვლაზე მეტად რომ გჭირდები!“

„შენ ის ხომ არ ხარ, ყოველი მზის ამოსვლის ხანს წინ რომ გადამიდგები და ციურ მნათოებებზე ათას სისულელეს ჩამჩურჩულებ ყურში?! ჩემთან მზის ამოსვლამდე რჩები და ისე მტოვებ, ძილი ნებისა, ერთხელაც რომ არ გისურვებია ჩემთვის?“

ნიმროდმა ხელი აუქნია იმ გათავხედებულ ფიქრს და ისიც მოწყდა თავიდან. იფიქრა, ახლა მაინც მოვისვენეო და კიდეც შეინძრა რაღაც. და მოეჩვენა ნიმროდს, გაბზარულიყო თითქოს სივრცე და რაღაც უჩვეულოს მოლოდინში სუნთქვა შეეკრა.

– ნიმროდ, დღეს ველარ მცნობდე თითქოს... – იმ გაბზარული სივრციდან წყლის ჭავლივით გამოჟონა ხმამ და ნიმროდიც სმენად იქცა: – თითქოს მემდუროდე... – განაგრძობდა ის თითქოს და უჩვეულო ვინმე, – კიდევ კარგი, რომ ვკითხულობ შენს ფიქრებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რატომ არ მკითხავ, საიდან ვარ და შენგან რას ვითხოვ?

– ვიცი, ან საერთოდ არ მიპასუხებ, ან მოიტყუებ და რატომ უნდა ჩაგაყენო უხერხულობაში, ან მე რატომ უნდა დავკარგო დრო, სწორი პასუხის მოლოდინში?

- მერე და მკითხე კი რამე, რომ მეპასუხა?

– ვინა ხარ და სადაური, ამას არც გკითხავ. გიცანი გრძნეული, ჩემი მსახური და წინააღმდეგი რატომ ვიქნები, თუკი რაიმე ცნობებს მომაწვდი ნიბირუზე?

– ასეა, გრძნეული ვარ... – ხმა გაებზარა, – შენი მსახური.

– ჩემი გრძნეული მსახური!

– სწორედ მე შთავაგონე ცაბაოთს, შეექმნა ადამი... და სულიც შთაებერა მისთვის. თვითონ მე ამის უფლება არ მქონდა. ჰოდა, ვაიძულე ცაბაოთი, მიწისთვის შთაებერა სული და...

– და თუკი... არა მგონია, რომ შენი შეგონებით შეექმნა ცაბაოთს ადამი? რაო, თვითონ ვეღარ მოიფიქრებდა ამდენს?!

და უკვდავება რომ მიენიჭებია თავისი ქმნილებისთვის...

– ადამიანის არსი კი რაღაა, რაისთვის შექმნეს იგი? და რაღაა მიწის არსი?

– ჩვენი სურვილია მთელი სამყაროს განსულიერება, რომ სიცოცხლე ჩქეფდეს ყველგან.

– და ჩემზე რაღას იტყვი? თითქოს ბურუსში ვიყო გახვეული.

– ნიმროდ, ამ საიდუმლოს ვერ გაგიმხელ. ამხელა უფლებამოსილებითაც ვერ ვარ აღჭურვილი. მაგრამ პასუხი ამისა არის და იგი შენშივეა, უნდა შეიცნო თავი შენი. ადამიანის გონი კოსმოსის გონის პარალელურად შეიქმნა და იგი კოსმიურის ბადალია! ნიმროდ, შენ თვითონ არ უწყი, იმდენად ღრმა ხარ, რომ შეიძლება მეც გამიჭირდეს შენი შეცნობა-აღქმა! ძნელი იმიტომაცაა კაცის აღქმა, რომ სული შენი, ადამიანური სული უსასრულოდ ღრმაა და ღრმავდება! სწორედ სამყაროსეულად! უძირო... ამიტომაა, რომ ადამიანს ასი და ათასი სიცოცხლეც არ ეყოფა, რომ შეიცნოს თავი.

და ნიმროდსაც გაუუფერულდა კითხვა: „კითხვა დიდი სიფრთხილით უნდა ჩამოვაყალიბო, რომ ჩემი გრძნეული მსახური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნებლიეთაც არ დავაფრთხო...“

– ნიმროდ: – სული მოითქვა გრძნეულმა მსახურმა, – შენ ისე უნდა იფიქრო, რომ არ წაგიკითხონ, ყველასთვის საცნაური რომ არ დარჩეს შენი ფიქრთმდინარება!

– ფიქრის დაფარვა-შეფუთვა დიდი ხელოვნებაა, რაიც ადვილად როდი მიეცემა ადამიანს, – ამოთქვა ნიმროდმა და თითქოს დიდი და მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებულიყოსო, შეიბერტყა მხრები და მაღლა აიღო თავი.

– ხელოვნებაა მართლაც! წარმოსახვის ნიჭია აქაც მთავარი – პირველადიც! წარმოიდგინე: ნახშირი გიჭირავს ხელში და წრეწირი შემოიხაზე ირგვლივ. მაგრამ წრეც უნდა იყოს უზადო!

– და როგორ მივხვდე, რომ... – კითხვის ჩამოყალიბება ვეღარ შეძლო ნიმროდმა და ამან დააბნია. ოფლი დაასკდა.

ნიმროდს ესმოდა გრძნეული მსახურის შენიღბული სიცილი, მაგრამ თვითონ მას ვერ ხედავდა. ამასაც ახლაღა მიაქცია ყურადღება და საკუთარმა დაუკვირვებულობამ უფრო გააკვირვა, ვინემ გააბრაზა.

– ვარჯიში გმართებს, ნიმროდ! პირველ ხანებში მიწაზე სცადე წრეწირის ირგვლივ შემოხაზვა, მერე შენს ირგვლივაც იოლად შემოიწერ წრეწირს. სივრცე მაქვს მხედველობაში. შენს გრძნეულ მსახურს მიენდე! სულის მესაიდუმლედაც ის გაიხადე! უკვე დროა, გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც აგამაღლებს!

– მე: ზოგჯერ ჩემშიც კი შევვეჭვებულვარ!

– ნუღარ გეეჭვება, ნიმროდ! წრეს რომ შემოიხაზავ, გიმეორებ, ვეღარავინ შემოაღწევს შენს სამყაროში და ფიქრიც ხელშეუხებელი დაგრჩება. ისე ამაღლდები, ვერავინ შემოგწვდეს. შენ ხომ გნებავს, ადვილად კითხულობდე სხვათა და სხვათა ფიქრებს. ზოგჯერ კიდეც ახერხებ ამას, მაგრამ ყოველთვის ვერა! – ისევ დაჭირდა გრძნეულ მსახურს სულის მოთქმა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ განაგრძო: – მომიახლოვდი, ნიმროდ, მომიახლოვდი, შემახე ხელი და...

– როგორ შეგეხო, სიცარიელევ?!

– შემეხები? შეწვდები იდუმალსაც და თუკი ისურვებ, ინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებო, უნდა მეთქვა, დამინახავ კიდეც! მაგრამ ძალიან, ძალიან უნდა გნებავდეს ეს! „ნება“ „სურვილზე“ მეტია!

ნიმროდმაც ნაბიჯი წადგა სიცარიელისკენ. თავს იმედიანად კი გრძნობდა, მაგრამ ღელავდა და ოფლიც ღვარად გადმოსდიოდა: წინ – იდუმალი... იდუმალება. უნდა ზიარებოდა იდუმალს. დიახ, დგას იმ სიცარიელესთან. ამდენი ენერგია იმ დიდ ბრძოლებშიც კი არ დაუხარჯავს, რამდენიც – იდუმალსა და იდუმალებაში შეღწევის მოლოდინში. ჰო, დგას, სიცარიელემდე ალბათ ერთი ხელის გაწვდენაც კი აღარ აშორებს. და რა აძაგძაგებს ნიმროდს– უშიშს ვითარცა უხორცოს?!

„როგორც ყველა კაცისთვის, ჩემთვისაც ყოფილა დამახასიათებელი შიშის გრძნობა...“ – საკუთარმა ფიქრმა დააფრთხო ნიმროდი, მაგრამ მხნეობა მოიკრიბა: – მე ხომ ნიმროდი ვარ, გმირი მონადირე წინაშე უფლისაა ღვთისა?! – შეჰყვირა და შთავიდა იმ იდუმალ სიცარიელეში.

– ნიმროდ, ამოისუნთქე! მოსულხარ კიდეც! – მოესმა და თვალი გაახილა. გაოგნებული მიაჩერდა იმ ადგილს, სადაც მიანიშნებდნენ, – და ესა ხარ სულ?! გაოგნებას ბევრიც აღარ უკლდა: – კენჭისხელა სახე?! კაცუნაც ვეღარ უნდა იყო?! შემიძლია ხელისგულზე დაგისვა და...

– შენ სცადე, ნიმროდ... – მუქარასავით გამოუვიდა გრძნეულ მსახურს და სუნთქვა შეეკრა.

ჰოდა, ნიმროდმაც გაიწვდინა ხელი გრძნეული მსახურისკენ, მაგრამ ნიმროდის წინ უხილავი კლდე აღიმართა, რომელთანაც კინაღამ დედამიწის მბრძანებელმა ვეღარაფერი გააწყო და საკუთარი უსუსურობისა და გამო კიდევ ერთხელ გაიღვარა ოფლად. წინ ხომ ვერაფრით წაიწია, მაგრამ ვეღარც უკან გამობრუნებულიყო.

– ნიმროდ, განა შენ არ იყავი, ხელისგულზე შემიძლია დაგისვაო, რომ მეუბნებოდი? – იცინის გრძნეული მსახური, „იცინის, კვდება სიცილით....“ – უცებ შეწყვიტა სიცილი: – განა შენ დაგცინი, ნიმროდ?! პირიქით: მშურს შენი. შენ იმდენი რამ შეძელი, გაკვირვებასა ვარ. მინდა გახარო: შენში უკვე არის ის იდუმალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალა, ყველაფერს რომ შეგაძლებინებს, მაგრამ დამისვი ხელისგულზე და თუკი ერთი მტკაველით მაინც წამომწიე, გეტყვი, ვინცა ხარ! – თქვა და ნიმროდის ხელისგულზე დახტა, დახტა ჭინკასავით და გადაიხითხითა, – მიდი, ნიმროდ!

ნიმროდი დაიძაბა ერთიანად. ჰოპო, შესძახა, მაგრამ ხელისგულზე მოხტუნავე კაცუნას ძვრაც ვერ უყო ადგილიდან.

ასეთი მარცხი პირველად იწვნია ნიმროდმა და სირცხვლისგან ლოყები შეუხურდა.

– ნიმროდ, რა შენი ბრალია, როცა ასე მძიმე ვარ. შენ წარმოიდგინე, დედამიწაზეც მძიმე! მაგრამ ნუ მიწყენ! ისე როდია ყველგან და ყოველთვის, შენ რომ გნებავს და წარმოგიდგენია?! მე ვიცი, რომ დედამიწის ზურგზე მხოლოდ შენ შეგიძლია დროსა და სივრცეში მოგზაურობა, მაგრამ ესეც ცოტაა... იმასაც ვერ უარვყოფ, რომ გამორჩეული ვინმე ბრძანდები და ამიტომაც მხედავ შენთან. შენი თვალსაწიერი და გონსაწიერი განსხვავებულია ყველასაგან, მაგრამ შენი არსება განა დაკმაყოფილდება ამით?! და: ყოველივე ამის მიუხედავად, შენ მაინც წინ მიიწევ და მაღლდები ასე საფეხურ-საფეხურ, ევოლუციის კიბეზე.

– და რას ითხოვ ჩემგან ამის სანაცვლოდ? – იკითხავს ნიმროდი, მოეშვება უცებ, ხვდება, რომ სათამაშოა იგი ვიღაცის ხელში და შეებრალება საკუთარი თავი: იგრძნობს, შეიგრძნობს, აცნობიერებს, რომ ისეთივე თიხაა იგი ამ მაღალი ევოლუციის კიბეზე უმაღლეს საფეხურზე შემდგარი ზესულიერის ხელში, როგორც მისსავე ხელში – ნებისმიერი დედამიწელი.

– ნიმროდ, შენ სწორად ფიქრობ და როგორ გგონია, რატომ და რისთვის ვარ შენთან?!

– ამის არცოდნაც ხომ ჩემს გაუცნობიერებლობაზე მეტყველებს? – ყელზე დამდგარი ნერწყვი ემწარა ნიმროდს და საწამლავივით გადაყლაპა. თითქოს სხვის ტაფაზე იწოდა.

– ნიმროდ, ნუ აზვიადებ! ისე ცუდადაც არაა საქმე, შენ რომ წარმოგიდგენია: შენ ხომ ის გმირი მონადირე ხარ, თვითონ უფალ ღმერთს რომ აუჯანყდი და აუჯანყე მთელი შუამდინარეთი?! ადამიანი – მოჯანყე, ადამიანი – დაუმორჩილებელი! რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი დანიშნულება სხვათა და სხვათა დამორჩილებაა!

– მე გკითხე, ჩემგან რას ითხოვ სანაცვლოდო და პასუხად დუმილი შემომაგებე, რასაც ჩვეული არ ვარ! – ხმაში რისხვა ჩადგომოდა ნიმროდს და გრძნეული მსახურიც მაშინვე მოფხიზლდა:

– „რატომ მავიწყდება, რომ ჩემი სურვილით დავუდექი მსახურად და მსახურების ნაცვლად დაუფიქრებლად ვურჩევ...“

– სწორადაც ფიქრობ... – სავსებით დამშვიდებულმა თქვა ნიმროდმა და ხელები ძირს დაუშვა.

გრძნეულმა მსახურმა კეფა მოიფხანა და ფიქრიანად განაგრძო: – ჩვენი საუბარი ამ ერთი და ორი შეხვედრითაც, ვფიქრობ, ვერ ამოიწუროს, მაგრამ იმას კი უნდა ვცდილობდე, რომ არაფერი შეგვეშალოს.

– და შენი აზრით, მე ნიმროდი სწორ გზას ვარ აცდენილი? ასე თუ ფიქრობ, გიჯობდა არც გამომჩენოდი!

– თითქოს ასეცაა: მაგრამ შენ იმდენი შეძელი, რომ გაკვირვებულია თვითონ ცაბაოთი. შენი ქმნილება – ბაბილონი მართლაც ღვთისდარი ქმნილებაა!

– ღვთისდარი კი არა, ღვთაებრივი! – მუშტები შეკრა ნიმროდმა.

– ნიმროდ, სიტყვებს ნულარ გამოვეკიდებით... შენი ბაბილონი ტიგროსსა და ევფრატს თავთავიანთ წარმოსახვაშიც კი ვერ ჩაუტევიათ... ჰო, შეუძლებელი შეძელი, მაგრამ კიდევ მეტი გნებავს, მიღწეულით ვერ დაკმაყოფილებულხარ, რაღაც იდეა კიდევ გაწუხებს და ვერავისთვის ვერ გაგიმხელია! ებერი ხომ მოიშორე თავიდან?! თუ არასწორად ვფიქრობ, შემაჩერე, ნიმროდ.

– მართალია, ჩამოვიშორე ებერი, მაგრამ დროებით, საბოლოოდ როდი მოვიცილებ?!

– მაშინ ორი კურდღლის მოკვლა დაგიპირებია, ნიმროდ! პირველი: ჩრდილოეთში გაისტუმრე, თარგამოსის ქვეყანაზე დაწვრილებითი ცნობები რომ მოიპოვოს შენთვის, იქაურობა შეისწავლოს. შუამდინარეთში ვეღარ ჩატეულხარ, გაფართოვდე გნებავს?! შორს, შორს იჭვრიტები, ნიმროდ! და მეორეც: აჰა, შენი იდეის მომხრეც ებერი ვერ უნდა იყოს... მაგრამ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჩაუფიქრებია ნიმროდს, რომლის წინააღმდეგია ეზერი? სხვა ჭია გიხრავს გულს, ნიმროდ! აა... ბაბილონის გოდოლი, ნიმროდ! გინდა საბოლოოდ განთავისუფლდე ცაბაოთის გავლენისაგან! მერე და ღვთისმგობელის სახელი რომ მოგეკეროს, ესეც აღარ განაღვლებს?!

– ბაბილონის გოდოლი ჩემი თავშესაფარი კი არა, საბრძანებელი იქნება!

– გოდოლი აგამაღლებს ისე, რომ უფალ ღმერთს ცაბაოთსაც გაუტოლდები...

– გავუტოლდები?!

– ომსაც უცხადებ ცაბაოთს? თუმცა რატომ უნდა მიკვირდეს მე ეს ამბავი იმ გმირი მონადირისგან, თვითონ უფალი ღმერთის დამხობას რომ აპირებს?! – გრძნეულმა მსახურმა, რომლისთვისაც ნიმროდს შესაფერი სახელი ჯერაც ვერ შეერჩია, ორივე ხელი მაღლა ასწია და ნიმროდიც ყურადღებად იქცა.

– ნიმროდ! შენ მრევლი წაართვი ცაბაოთს. დღეს მხოლოდ სემიტები თუ აღავლენენ ლოცვებს იმის სახელზე და ჩრდილოეთში – თარგამოსი. ბაბილონში შენზე ისე ლოცულობენ, როგორც – მარდუქზე... შენ გმორჩილებენ ბაბლონიც და ბაბილონელებიც... შენ შუამდინარეთში ადამიანადაც კი ვერ წარმოუდგენიხართ... ასე ფიქრობს დღეს თანამედროვე ბაბილონელი!

„მაშ, ვინ უნდა ვიყო, თუ ადამიანი – არა?!“ – იკითხა ნიმროდმა და აქ გრძნეულმა მსახურმა მხოლოდღა დაახამხამა თვალი, რითაც აგრძნობინა ნიმროდს, რომ ქედს იხრიდა მის წინაშე და სიტყვაც სულ სხვა თემაზე გადაიტანა:

– ნიმროდ, ალბათ საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს შენთვის ის ამბავი, რომ...

– მარდუქის გამოთავისუფლებულ ადგილს ხომ არ გულისხმობ?

– დიახ, მარდუქმა ევოლუციის საფეხურზე კიდევ ერთი საფეხურით აინაცვლა მაღლა, მაგრამ თვითონ მარდუქი რას ფიქრობს ამაზე? შენზე უკეთესს ვერავის ხედავს! იგი თავის ადგილზე მხოლოდ შენ თუ მოგიაზრებს. დროა ამაზეც იფიქრო, ნიმროდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე უფრო ცაბაოთი მაფიქრებს... რატომ ვერ ემეტები სასიკვდილოდ?! რაო, გაუჭირდებოდა ვითომ ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა?! – გრძნეულმა მსახურმა დაკვირვებით შეათვალიერა ნიმროდი და ასეც გაუელვა: „სრულყოფილებაა თავად... ცაბაოთს ადამი საკუთარი თავისთვის მიუმსგავსებია, სულიც შთაუბერავს და: თუმცა მაინც მიაკლო რაღაც“. (ნიმროდი ველარ კითხულობს გრძნეულის ფიქრს... მოუდუნებიათ მისთვის ყურადღება).

„ნიმროდი ჩემს მხარეზე რომ ყოფილიყო და არ ამჯანყებოდა, თარგამოსის ქვეყანასაც დავაპყრობინებდი...“ – ამას ცაბაოთი იტყვის გულში, ნოეს ღმერთი და ამის გამგონე ნიმროდსაც გააჟრჟოლებს, თვალებს მოწკურავს და ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით მიმართავს გრძნეულ მსახურს: – და შენ რას მირჩევ, დავუთმო იმას, ვისაც დიდი ხანია ღმერთადაც რომ აღარ ვცნობ?!

გრძნეული მსახურიც მაშინვე გამოერკვევა და მის და უნებურად აეჩეჩება მხრები: – გირჩიო?! ამის უფლებას თავს როგორ მივცემ?! ვურჩიო თვითონ ღმერთს? ნიმროდ, შენ ხომ მარდუქი ხარ, თვითონ მარდუქი?! მაგრამ შენი ნება მინდა განვაცხადო და ნუღარ გამიწყრები!

– განგმირე ცაბაოთი და... – უცებ ენა დაება გრძნეულ სულს. პირველად იყო, რომ ენის წვერი მოეყინა და საჭირო სიტყვაც ველარ მოიძია.

– იმის ადგილზე შენ რომ დაგსვა გრძნეულო?!

– ესეც ნებაა შენი... – ენა ძლივს მოიბრუნა გრძნეულმა მსახურმა.

– ჩემი მსახური და ღმერთი?! მერე რა, რომ გრძნეულია ეს მსახური?!

– დიახაც, რომ გრძნეულია... და მისი რჩევაც ყურადსაღებია!

– გეთანხმები, გრძნეულო... და ვიწყებ ბაბილონში, ერიდუში, მზის მოედანზე, გოდოლის მშენებლობას.

– ხუროთმოძღვარი?

– ჩემი გრძნეული მსახური ხარ შენ და ხუროთმოძღვრადაც შენ მომიწვევიხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– როდის დავიწყოთ, დიდო ბატონო?

გრძნეულმა სულმა მუხლი მოიყარა ნიმროდის წინაშე და ნიმროდმაც განაგრძო:

– ასეა... ერიდუდან იწყებიან ნიმროდიც და ბაბილონიც. ჩემი ბაბილონის გოდოლი ცას შეწვდება თავით და მზისებრ გაბრწყინდება! ბაბილონის გოდოლი – ნიმროდის გოდოლი! უუმაღლესი! იმსიმაღლე, რომ თვითონ ცაბაოთიც გააკვირვოს მისმა სიმაღლემ! დაიმცრობა იგი საკუთარ თვალში.

– მიგიხვდი, დიდო ბატონო! ცაბაოთი თვითმკვლელობით დაასრულებს თავის ღვთაებრივ სიცოცხლეს?! და რა წერია ღვთაებრივ სამართალში? ჰო, მახსენდება: ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ ერთი პირობით შეიძლება მოკვდეს: თვითმკვლელობის შემთხვევაში. ამის უფლებას ვერავინ წაართმევს ღმერთს!

– და მე, ნიმროდმა, არც მთლად ადამიანმა, უნდა ვაიძულო ცაბაოთი, რომ თვითმკვლელობით დაასრულოს სიცოცხლე, თავისი ღვთაებრივობა უარყოს!

– ნიმროდ, შენ ამბობ!

– ჰო, მე ვამბობ! ესეც ჩემი ღვთაებრივი ნება!

და გრძნეული მსახურიც შეფიქრიანდა, უნდოდა ისეთი რამ ეთქვა, შთაბეჭდილება მოეხდინა ნიმროდზე: – ნიმროდ! შენ ნიმროდი ხარ, დიდი შემოქმედი, თვითონ ღმერთი! უუმაღლესი: ყოვლისშემძლე, ყოვლისმომცველი და რადგან ყოვლისშემძლეც ხარ, ააგებ იმხელა გოდოლს, რომ თვალი ვერ შეაწვდინოს ცაბაოთმა, ნაღმერთალმა... ბაბილონია შენი ღვთაებრივი შემოქმედება – დიდი ბაბილონი! ბაბილონია.. ბაბილონი – მსოფლიოს დედაქალაქი! ბაბილონში ნიმროდის წყალობით გამოიწრთო ახალი ადამიანი!

ადამიანი, რომელიც დიდმა ნიმროდმა იხსნა ცაბაოთის ბრჭყალებისგან და მიანიჭა თავისუფლება! ნიმროდის ბაბილონში ადამიანი თავის უფალია! ესეც შენი კიდევ ერთი ღვთაებრივი ნაბიჯი – თავის უფალი ადამიანი! მაგრამ ბაბილონმა უნდა იფიქროს უკვდავებაზეც!

– ჰო, გამოძერწა ცაბაოთმა ადამიანი თიხისგან, მაგრამ აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანიჭა უკვდავება და სამოთხიდანაც გამოაძევა. აი, სად შეცდა ცაბაოთი და უნდა ზღოს კიდეც. მე ვაიძულებ მას, რომ თავი მოიკლას!

– უნდა ზღოს ცაბაოთმა... – გამოსცრა კბილებში გრძნეულმა მსახურმა და ნიმროდმაც აიტაცა ეს სიტყვები:

– უნდა ზღოს! უნდა ზღოს! უნდა ზღოს!

გრძნეული მსახური შეჰყურებს ნიმროდს თვალებში და ეუბნებიან ეს თვალები, რომ ადამიანს დღეს სხვა ღმერთი უნდა ჰყავდეს, რომელიც უკვდავებაჩამორთმეულ ადამიანს დაუბრუნებს უკვდავებას და სამოთხეშივე შეაბრუნებს:

– და ახლა შენზეა სიტყვა, ნიმროდ, მაგრამ თუკი ის გოდოლი არ აიგო, თავით ცას რომ უნდა შეწვდეს, ისე შენსას ვერც გაიგონებს უკვდავებას მოწყურებული ადამიანი. იმ სიმაღლიდან მოწოდებულ სიტყვას ხომ ღვთაებრივი ხიბლიც დაჰყვება!

„მე რომ ნიმროდი ვარ, თვითონაც უნდა გავთავისუფლდე, თავის უფალი გავხდე და თავის უფალი ბაბილონიც ხელებგაშლილი შემომეგებება! თავის უფალ ბაბილონში თავის უფალი ადამიანი დააბიჯებდეს უნდა!“

– ნიმროდ, გაათავისუფლო ადამიანი ღმერთის ტყვეობისგან, ეს შენი მოვალეობაა! შენი ვალია, წესრიგი დაამყარო დედამიწაზე!

გრძნეულმა მსახურმა უბიდან ლერწმის გრაგნილი ამოიღო, – ასეთი რამ ჯერ არ მოუგონიათ თქვენთან. ლერწამი თქვენთანაცაა, ჭაობიანი ადგილი უყვარს. ჩვენგან ბევრი რამის სწავლა შეგიძლიათ. მთავარია, გაიჭრას გზა, რომელსაც უნდა დაადგეს ახალი ადამიანი, თავის უფალი ადამიანი, რომელიც თვითონვე უნდა განაგებდეს თავის ბედს. მაგრამ მას დაჭირდება დიდი მასწავლებელი, რომელსაც შეეძლება დროსა და სივრცეში გადაადგილება – ღმერთი დედამიწაზე და იგი შენ იქნები, ნიმროდ! იგი უნდა ჭვრეტდეს, უსასრულობას, კითხულობდეს ციური სხეულებისა და ვარსკვლავების ფიქრებს. ალბათ მალე მიგიწვევენ ნიბირუზე... ნიბირუ?! – ფიქრმა ჩაიხვია გრძნეული მსახური, მაგრამ მოერია თავს და თითქოს შორეთს იქით შორეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობრუნებულიყოსო, ეამბორა მიწას და გაბრწყინებული თვალები ნიმროდს შეანათა.

– შენ კი ყოფილხარ ნიბირუზე? – ჰკითხა ნიმროდმა თავის გრძნეულ მსახურს ისე ხმადაბლა, რომ საკუთარი ხმა ძლივს გაიგონა, მაგრამ დარწმუნებული კი იყო, რომ მისი სიტყვები აღუქმელი არ დარჩებოდა გრძნეულ მსახურს.

გრძნეული ჩააფიქრა ნიმროდის კითხვამ. ნიმროდმაც სცადა მისი ფიქრის წაკითხვაც და აღარც გრძნეულს შეფუთავს ახალწვეული ფიქრი.

გრძნეული მართლაც ყოფილიყო ნიბირუზე, მაგრამ არც თუ ნიმროდის დაუხმარებლად: გრძნეული ნიმროდის ფიქრს მიჰყოლია და ნიბირუზეც ასე მომხდარა ფიქრით, მაგრამ აღარ შეუცნია იგი. ფიქრსვე გამოჰყოლია უკან: – სულ ეს იყო. მეხსიერების სკივრში გადავინახე, მაგრამ შემიძლია მეხსიერების სკივრიდან, როგორც ბიბლიოთეკიდან, გამოვიწვიო ისე და გავაცნობიერო: – მაგრამ... – აქ გაიწყვიტა სიტყვა, რადგან ფიქრს იწყებდა უკვე და ნიმროდიც ამ ფიქრის წასაკითხად მოემზადა.

გრძნეულიც მაშინვე მიუხვდა ნიმროდს და არც დაუფარავს ეს: – ნიმროდ, ისე ვერაფერიც ვერ უნდა ჩავიფიქრო, რომ მისი წაკითხვა აღარ ინდომო? მოხარული ვიქნები, თუკი მელნის დამზადების ჩვენებურ წესსაც გადაიღებთ, მაგრამ ჩვენ კვლავ ავცდით საუბრის თემას.

და ნიმროდიც განემზადა მოსასმენად; მაგრამ ფიქრი ნიბირუსკენ გაექცა და დედამიწაზეც აღარ იყო:

გრძნეულიც გახვეულიყო ფიქრებში და შორს იყო ნიმროდისგან, უსასრულობა ჩამოწოლილიყო მათ შორის და ამ უსასრულობის დაძლევას უკან დაბრუნების ხანს შესაძლოა მილიარდი სინათლის წელიწადი დასჭირვებოდა, – გაიფიქრა ეს და აწმყოსაც დაუბრუნდა. დაბრუნებულიყო ნიმროდიც.

– ნიმროდ, ვაწობ ჩემსავ სისხლში ყალამს და ვსვამ ჩემს ხელწერას, რომ ნიმროდის მეკვლე ვიქნები ყველგან და ყოველთვის! დავეხმარები ყოველი იდეის განხორციელბაში! – სული შეუბერა სისხლის სტრიქონებს, მერე ჯერაც შეუმშრალი ყალამი პირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიდო, ენით შემშრალა ყალამი, სისხლიანი ნერწყვი მოწყურებულივით გადაყლაპა და სუფთა ყალამი ნიმროდს გაუწოდა, ახლა შენი ჯერიაო.

ნიმროდმაც თავის სისხლში ამოაწო ყალამი. ისიც აღთქმას დებდა, რომ სცნობდა გრძნეულს და სისხლიანი ყალამი გრძნეულივით ბაგეთა შორის მოიქცია, გრძნეულისამებრ დააგემოვნა საკუთარი სისხლი და იგრძნო, რომ სრულიქმნა!

– ნიმროოდ! – გრძნეული ეძახდა. – შენზე ვფიქრობდი სწორედ. ფიქრში შენი ბაბილონის გოდოლი ვიხილე, ცას რომ წვდებოდა. გუმბათი – ოქროცურვილი და ჰაეროვანი; გამჭვირვალე! სწორედ რომ ღვთაებრივი... გუმბათი – უცხო სხეულისგან ნაკეთებ-მოპირკეთებული... თვალი ქვევით ჩამოვაცურე და: სასწაული! ყოველ სართულზე გამჭვირვალე სარკმლები... შენი სამუშაო ოთახი – ფიქრის ოთახი გუმბათის სიღრმეშია განთავსებული, იქ შენი ჭოგრიტიც – შუმერული. ხელსაწყოები და ყველა საოცრება. აგერ ახალი, დიდი ჭოგრიტიც... ამ ხელსაწყოებით წაიკითხავ ვარსკვლავებისა და ციურ მნათობთა ფიქრებს... უსასრულობის ფიქრიც ხელმისაწვდომი ხდება შენთვის! ეს ნიმროდის საფიქრეთია, უფრო სწორად საჭვრეტ-საფიქრეთი. აქედან შეგეძლება თვალი გაუსწორო შენს მიერ უარყოფილ ღმერთს ცაბაოთს. და ვინა ხარ შენ? მარდუქი? თვითონ ღმერთი! და მხოლოდ ღმერთს შეუძლია, გაათავისუფლოს ადამანი, და ჯერაც ვერა და ვერ სრულყოფილს საკუთარი სული შთაბეროს. ჰოდა: ივლის შენს ბაბილონში სრულყოფილი, ახალი ადამიანი! შენ შეძლებ, რომ ადამიანი ეზიაროს უკვდავებას, რაიც ცაბაოთმა წაართვა ადამს. დაამცრო იგი, მიწასთან გაასწორა და მიწისვე არჩივად აქცია... ახლა ღვთის ნებაა საჭირო, რომ აღდგეს ადამიანი და ამაღლდეს! მხოლოდ უკვდავ ადამიანს შეუძლია თავის უფალი იყოს... ნიმროდ, ინებე და ამაღლდი! – ამოთქვა გრძნეულმა სულმა და დუმილად იქცა(!)

თვალები ეწოდა ნიმროდს, მაგრამ ჭვრეტდა! თითები თვალებში ამოისვა და იელვა. თვალები მოხუჭა და რომ გაახილა, აღარსად იყო გრძნეული. ამან შეაშფოთა ნიმროდი: „სწორედ გრძნეულივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ით არ გამიუჩინარდა?! იმოქმედე და ამაღლდიო. მენს ქვეყანა-ში მშვიდობა რომ სუფევდეს, წინასწარ უნდა შეიქმნა ამისათვის საჭირო პირობები! შეიქმ მშვიდობას და ჩამოდგება დიადი დროე-ბის ჟამი. მაგრამ მშვიდობის მანქანა – ხელსაწყოს ერთი თითქოს და სულ უმნიშვნელო ჭანჭიკი მოეშვა და ზომებიც სასწრაფოდაა მისაღები! ნიმროდ, ჭანჭიკს კი ისე უნდა მოუჭირო, რომ აღარა-სოდეს მოეშვას. ამიტომ: ნინევიაა ეს ჭანჭიკი უნდა დალაშქრო! ნინევიას არ უნდა შეუცვალო სახელი! ნინევია! მეფის ნაცვალ-საც ნუ მიენდობი ძალიან! გაგითამამებია და შეუძლია ამბოხიც მოგიწყოს. სასტიკად უნდა დაისაჯოს! – მიწყდა შორეული ხმა და ნიმროდსაც მოერია ბრაზი: – ქვას ქვაზე დავადუღებ ნინევი-აში! ჩემს ბაბილონს ემქურებიან? მიწასთან უნდათ გაასწორონ ღვთივკურთხეული ბაბილონი?! ნიმროდი ამას არ დაუშვებს! – სისხლი აყივლებოდა და ხვალამდეც რა გააძლებინებდა?! აწი ვე-ღარავინ და ვეღარაფერი შეაჩერებდა. კედარიც თავისკენ მოუხ-მობდა. კედროვანიც მოუხმობდა. სიკვდილის ისარიც რა ხანია აღარ უტყორცნია და სულიც ამიტომ ეხუთებოდა! მოდუნებოდა კუნთები ბედის ბედაურსაც და ბრძენი ბუც თითქოს და ვეღარ იყო ბრძენი ბუ. – მეც მოვშვებულვარ და... – შეკრთა ნიმროდი, შეეშინდა, საკუთარი სისხლი არ აჯანყებოდა. ესმოდა საკუთარი სისხლის ყივილი და აბრუებდა ეს ძახილი; – ფიქრს მოუკვდეს პატრონი! – შესძახა, მაგრამ ისევ წაართვა ფიქრმა თავი: „მო-დუნებულა ჩემი ბედის ბედაური და ჩემი ბრძენი ბუ ბრძენიც ვე-ღარ არის, ეს რა ჭირი შეგვყრია?“

ნიმროდმა შუბლი მოიჩრდილა: – მზის ჩასვლამდე ვიფიქრებ! „ნეტა მართლა გამომეცხადა გრძნეული მსახური, თუ მომეჩვე-ნა? იქნებ მირაჟი?! ვუსმენ გრძნეულს და... მაინც რა ჩაუფიქრე-ბია? ასე გულუბრყვილოც რატომ ვგონივარ?! უნდა გავარჩიო მისი ტყუილ-მართალი: იქნებ თვითონ გრძნეულიც გამონაგონია ჩემი და სხვა არაფერი?! გრძნეული სული და უცხო სული... ორნი არიან, თუ... არა, არა: არის გრძნეული – ჩემი მსახური და: ჩემი ნე-ბაა, ასე იყოს! და რადგან მნებავს, ასეც იქნება! და ეს ყველაფერი ხდება და არაფერიც არ მეჩვენება! – აღელვებული წამოიჭრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილიდან და ხელი ხმალს იკრა. მაგრამ მალევე–მოეგო გონს და თავის თავზე გაეცინა. მზე სადაცაა უნდა ჩასულიყო და ხელ-ფეხიც შეეხსნებოდა: „გვერდით მყავდეს გრძნეული და იმაზე კარგად ვის უნდა მოეხსენებოდეს ჩემი დაკარგული ჩრდილის შესახებ? მაგრამ ამ ჩემს კითხვას თავი რომ აარიდა ერთხელ? იქნებ მართლაც გრძნეული სულია, იქნებ დიდიც იმიტომ ვარ, რომ ამხელა საიდუმლოს ვატარებ ჩემში?! გაირკვევა ჩემი ჩრდილის საიდუმლოება და: ჩემი სიკვდილიც ხომ არ მოასწავებს ამას?! – ჩემი სიკვდილი კი დაუშვებელია, აკრძალული! მოვკვდები მე და ბაბილონიც ხომ მოკვდა?! მიწამ შემჭამოს და: ნიმროდი გაიხრწნას?! თითქოს ახლაც მესმოდეს მარდუქის ხმა: – შენ არ მოკვდები, ნიმროდ. შენი სიკვდილი ქაოსს გამოიწვევს, საყოველთაო გაუგებრობას! ამიტომ ფრთხილად, ღმერთებო! საკუთარი თავი მაინც შეიბრალეთ! სიკვდილი ჩაგსაფრებიათ და ვერ გაგიცნობიერებიათ! ამიტომ: მოიწვიეთ ღმერთების საყოველთაო ყრილობა, რომ უკვდავება მომისაჯოთ! რაიც ჩემივე ხელწერით უნდა განვამტკიცო! თუმცა ეს ყველაფერი უკვე მოხდა. ამ ხელწერილის თანახმად, – უბიდან ამოიღო გრაგნილი და გაშალა, – მე უკვე ვარ უკვდავი, ამის დასტური ეს ხელწერილია, სისხლით ხელმოწერილი! მაგრამ მზე ჩადის და რა დროს ყოყმანია?! – უხმო თავის ბედის ბედაურს, იმანაც აღარ დააყოვნა და თავისი სასახლის ეზოში თითქოს სივრციდანო, ისე გამოიჭრა და ზეცას შესჭიხვინა, თავის ნიმროდს თუ მოუხმობდა. ბედაურის ჭიხვინი ბრძენი ბუს ყურსაც მიწვდა და მისი ფრთების ტყლაშუნიც ესმა ნიმროდს...

* * *

ქარავანი მოკირწყლულ გზას რწევა-რწევით შეუყვა. გზა ხეივანში მიიზლაზნებოდა, მერე მარჯვნივ შეუხვია ქარავანმა და დიდ სადგომთან მოითქვა სული.

აქ კი: მხედარი მოერეკებოდა თავის რაშს სტუმრის შესახვედრად. ჰა, მოაღწია ქარავნამდე და პირდაპირ ებერს მიაშურა. ეგროსი იყო, თარგამოსის უმცროსი ძე. გადაეხვევა ებერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თარგამოსის სახელით სასახლეში მიიპატიჟებს. მექარავნეც შეახსენებს ებერს თარგამოსისთვის გადასაცემ ძღვენს და მძიმე და დატვირთულ ჯორს მიჰგვრის. ებერიც: ნიმროდისგანა�ა და ეგროსიც: – მამა ბატონი ამ ძღვენისთვის თავის მსახურს გამოგზავნის! – იტყვის და მათრახს აუქნევს თავის ლურჯას.

მოკირწყლული გზა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და ებერი რომ აღარ მოელოდა უკვე, ციხე-ქალაქის კარიბჭესაც მიუახლოვდნენ.

ებერი ღელავს თარგამოსთან შეხვედრის მოლოდინში.

თარგამოსის გმირულ ამბებს ბაბილონამდეც მიეღწია, მაგრამ თვითონ თარგამოსი არც არავის ენახა და ვერაფერსაც ვერ გეტყოდნენ მასზე.

ბოლოს როგორც იქნა, ციხე-ქალაქის კოშკურებიც გამოჩნდა და ებერმაც იხილა შეუვალი ციხე-ქალაქი თავისი რვა კოშკითურთ, ალისფრად აელვარებული ქონგურებით. თვითონ ციხე-ქალაქი ღრმა თხრილით იყო გარშემოვლებული, ასაწევი ბაგირებითა თუ მიწისქვეშა გვირაბებით დასერილი, დასასრულ: ციხე-ქალაქს გარს ერტყა მაღალი გალავანი არანაკლებ ათი მეტრის სიმაღლისა.

„თითქმის როგორც ჩვენი ბაბილონი. მაგრამ ბაბილონი განუმეორებელია! აბა ბაბილონამდე რას მივა თარგამოსის ქარდუხი?! – გაიფიქრა ებერმა და სიამაყის გრძნობა დაეუფლა: „ახლა თარგამოსსაც ვიხილავ! ვნახავ, როგორია? ნიმროდთან ალბათ ვერ მოვა?! ერთი ამ გულსაც მოვუსმინო, ვნახავ, რას მეტყვის?“ – მიაყურადა მაგრამ ვერაფერიც ვერ უთხრა გულმა. ამასობაში გადაიარეს ვიწრო ხიდი და მოედანზე აღმოჩნდნენ. კარიბჭე შიგნით შეიღო და ებერმა გადაბარული ველი იხილა. გაკვირვებასაა და არც მალავს ამას. – ეს საცდელი სავარჯიშო ველია, – აუხსნა ეგროსმა ებერს..

– ეს ციხე-ქალაქი... – წამოიწყო ებერმა.

– ეს ციხე-ქალაქი თარგამოსისაა, ამას იქით კიდევ რვა ციხე-ქალაქია.

– თქვენც, თარგამოსის ძენიც ხომ რვანი ხართ? ჰაოს და ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლოს, ბარდოს და მოვაკანოს, ლეკოს და ჰეროს, კავკასოს და შენ, ეგროს! თარგამოსი – მამათქვენი როგორ ბრძანდება?

– დღესაც მხნედაა! ძველებურად ძალგულოვანია. წლები ვერ ზემოქმედებენ მასზე. დაუოკებელია და – ბრძოლის ჟინით შეპყრობილი! რა ხანია ხმალი არ ჩაუგია ქარქაშში. დიდი მონადირეა მამა ბატონი, ალბათ ისეთივე, როგორიც ნიმროდი – ბაბილონში!

– ნიმროდი მხოლოდ დიდი მონადირე? – მხრები აიჩეჩა გაკვირვებულმა ებერმა, აქაოდა ბაბილონის მეფეთ-მეფეს რომ შეადარეს თარგამოსი, – ეგროს, ჩვენთან ქალდეაში ნიმროდს ისე უხმობენ როგორც გმირ მონადირეს წინაშე უფლისა ღვთისას... – უფრო: უსაყვედურებდა ებერი ეგროსს, ვიდრე შეუსწორებდა რასმეს. მერე ფიქრი მოეძალა ებერს. თვალწინ დაუდგა ნიმროდი – კაცი სრულყოფილი, განა უბრალო კაცი? ზეკაცი! უებრო მეომარი და დიდი მოაზროვნე, რომელიც ყველა მეცნიერულ დარგში ღრმად და თანაბრადაა ჩახედული, დიდი ვარსკვლავთმრიცხველი და კიდევ: დიდი მხედართმთავარი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.

– და გმირი მონადირე, წინაშე უფლისა ღვთისაო... ეს ვერ გავიგე, ებერ...

– ნიმროდი – გმირი მონადირე, რომელიც განუდგა ჩვენს უფალ ღმერთს და ბრძოლა გამოუცხადა. დღეს ბაბილონში ჩვენს გარდა, სემიტები მყავს მხედველობაში, არავინ აღავლენს ლოცვას ჩვენი უფალი ღმერთის მიმართ... ნიმროდმა სხვა ღმერთი აირჩია – მარდუქი და შუამდინარეთის ღმერთად გამოაცხადა!

– და იაფეტელებიც განუდგნენ ცაბაოთს?

– იაფეტლებიც ნიმროდის მხარეზე აღმოჩნდნენ. მე ჩემი სამლოცველო მაქვს, გვყავს პატრიარქიც. მალე პატრიარქიც ახალი გვეყოლება... დღევანდელი ას წელს გადაცილებულია და დიდხანსაც ვერ გაატანს. დღენიადაგ ვლოცულობ, არ წაერთვას ძალა და დიდი მწყემსის კვერთხი არ გაუვარდეს ხელიდან. ნიმროდი დადარაჯებულია, ელის მის სიკვდილს, რომ დაარბიოს ჩვენი სამლოცველო და თავის რჯულზე მოგვაქციოს... – ებერი დადუმდა, დანა პირს აღარ უხსნიდა დადარდიანებულს... – თქვენთან, ეგროს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ჩვენთან? ერთ სამლოცველოში რომ მზის კულტია და მზეს სცემენ თაყვანს, მეორე სამლოცველოში – ნოეს ღმერთზე ვლოცულობთ თქვენებურად. მაგრამ ნიმროდს რომ უფრო უკეთ დამიხასიათებდე... – ეგროსს თავისი მწველი მზერა ებერზე შეეჩერებინა. – ნიმროდი რომ განდგომილია, ვიცით.

– მეფეთ-მეფეა და ქურმთ-ქურუმი! წინასწარმეტყველია ჭეშმარიტი, დიდი გრძნეული! შეუძლია დროსა და სივრცეში გადაადგილება. არ ვიცი, როგორ? ძნელია ამის ახსნა. სრულ სიმართლეს ვამბობ. ზოგჯერ, ეჭვი შემეპარება არსებულში, მაგრამ ნიმროდი არის, ნიმროდი სინამდვილეა! ნმიროდი ცხოვრობს და ანგრევს, რომ იცხოვროს და აშენოს, ნიმროდი ჰქმნის. ნიმროდი შემოქმედია ღმერთივით, ლამის ღმერთი...

– და ამას მამა ბატონს ასე დაწვრილებით რომ მოახსენებდეთ, დაგიმადლებდათ დიდად. მე კი გული ავს მიგრძნობს, ებერ... აგერ მოვსულვართ კიდეც! და სანამ მამა ბატონი გვიხმობდეს... – მიმოიხედა ირგვლივ და თვითონაც გაკვირვებული დარჩა, ჩამი-ჩუმი რომ არ ისმოდა სასახლეში.

ებერიც ფიქრობს, დრო ჩართულია მისთვისაც...

* * *

საფარიკაო დარბაზში განმარტოებულმა თარგამოსმა მოიწყინა და თავის ფიქრის ოთახში გადავიდა. აქ ვერავინ მოუშლიდა ფიქრს. თვალი შეავლო კედლებს და თვალებიც დაუთბა. ეს კედლები ერთ მოხეტიალე მხატვარს მოეხატა. იმასაც ამბობდნენ, ხალიბიაო.

აგერ ენძელები: ზოგიც გაშლილი, ზოგიც ჯერ გაუშლელი და ზოგიც ახლა რომ უნდა გამოიღოს თავი. წმინდა სითეთრის ზეიმია, სითეთრე გამოუტანიათ თითქოს სამსჯავროზეო. გამომზეურებული სითეთრე... იქით: სულ ერთი ხელის გაწვდენაზე იას ჩაურგავს თავი. იმის ხელმარცხნივ წელგამართული ია ყელყელაობს, ჯერჯერობით მიჩუმათებული, სადაცაა ხმას რომ ამოიღებს და ლურჯ ჰანგებად დაირხევა. ფიქრს აჰყოლია თარგამოსი და თავის თავზე გაეცინება, ესაა და სადაცაა გამოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკები ენძელას ჯერ და მერე – იასო. ერთს წმინდა სითეთრე შეუქო, მეორეს – გონისშემძვრელი სილურჯე. და ისევ შეჰყვება ფიქრს და ბოლოს შეთანხმებულანო თითქოს, შენ – შენთვის, სითეთრევ, შენ კიდევ – სილურჯევ, შენთვის და მეც თქვენი მშვენებით დაურვებული – ჩემთვის და ამის გამგონე ყვავილთაც შეიფრთხიალესო თითქოს, შეიჟღურტულეს ბელურებივით და მიჩუმათდნენ, მაგრამ ფერების სურნელებაც წართმეოდათ თითქოს, ყვავილთ კი ერთი სურვილიღა აცოცხლებდათ: თავისი ასურნელებული სითეთრე დაებრუნებინა ენძელას, იას – თავისი სილურჯე და მათთვის დამახასიათებელი გამაბრუებელი სურნელი: ჰოდა, ერთხელაც ღრმად ჩაისუნთქავენ, დაირხევიან ტალღებად და გადადიან ერთმანეთში, სითეთრე – სილურჯეში და პირიქით, სილურჯე – სითეთრეში და, რაღა თქმა უნდა, თან გადააქვთ თავთავიანთი ნელსურნელებანიც.

მზე კი სადაცაა უნდა ჩასულიყო, თითქოს თავის თავდაღმართზე ჩაგორებულიყოსო. სადაცაა მოიხდის თავის ქუდს, გადაახურავს სულშეგუბებულ მიწას და ჩაფიქრებულა თარგამოსიც: „ჩემზე ამბობენ, მზეაო ჩაუქრობელი, გაზაფხული უჭკნობელი და ხალიბმაც ხომ გააუკვდავა ეს გაზაფხული... სიცოცხლის ჩასახვის დრო, დრო, როცა ყველა და ყველაფერი ჰყვავის. და ვინა თქვა უსულოაო ყვავილი. სულითაა რომ ჰყვავის, იქნებ: ქვაც რომ ქვაა, იმასაც ჰქონდეს სული?! ამ ხალიბმაც: ლამის აამღეროს სამყარო და განა მეც ბანი არ უნდა ვუთხრა მგალობელ ყვავილთ! სასწაული – საოცრებაზეც აღმატებული სასწაული! ჯადოქარი თუ იყო ის ხალიბი?! და მეც – თარგამოსი მზისებრ ვასხივებდე უნდა... თარგამოსს რომ ეკადრება, ისე და მართლა რატომ ვერ უნდა ვასხივებდე სინამდვილეში?! ჰოდა, უნდა გავიარო შიგ მიწის გულში და ავავსო ნათლით, ვერა, ვერ უნდა მიაკლოს თარგამოსმა თავისი წილი მზის სხივი მიწას! წყურვილიც უნდა მოაკვლევინოს და თუკი საჭირო გახდა, უნდა გააწვიმო, თარგამოს! მალამოდ აწვიმდეს მიწას...

ჰოდა, თარგამოსიც მოჯადოებულივით შეჰყურებს ჩამავალ მზეს, რაღაც საოცრად რომ შეწითლებულიყო. მზეც მიუხვდაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს, მძლავრად შეიბერტყა და თავის სხივებში გახვია მასზე შეყვარებული კაციც. იგრძნო თარგამოსმაც, რომ ათი წლის სიცოცხლე ამჯერადაც დააბერტყეს თავს და მადლობის თქმა გაუჭირდა სიხარულისგან სუნთქვაშეკრულს, მაგრამ მადლიერებით სავსე გული თავისას ამბობდა მაინც: „მზეო, აქ ხომ მოითავე საქმენი შენი, ახლა იქაც გელიან, სადაც ჩვენ აღარ მიგვიწვდება თვალი, იმათთვისაც ისე უნდა აღმობრწყინდე, როგორც ჩვენთან... იქაც საჭირო ხარ და აუცილებელი, დიდო სიკეთევ! მიდი, იქაც თქვი შენი ამზიურებული სიტყვა. შენ ხომ ყველასთვის ხარ.! ეს კი უმაღლესი ხელოვნებაა, სწორედ რომ ღვთისდარი?!

და თარგამოსიც თითქოს მზე ყოფილიყოსო, ფიქრობდა, მზისებრ გაეცა და სიხარულის ცრემლები სდიოდა: უმღეროდა გული და უგალობდა სული.

ამ დროს იყო, ფიქრის ოთახიც შემოიღო და მოახსენეს: – მეფევ და მეუფევ დიდო, ბაბილონიდან დიდი სემის შვილთაშვილი გვწვევია, ებერიო.

– ჯერ მზე ჩავიდეს და მერე მივიღებ... – ამოთქვა თარგამოსმა ისე, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია ამბის მომტანისთვის და იმანაც უსიტყვოდ გაიხურა. კარი

მზე კი გადასასვლელზე შეყოვნებულიყო თითქოს, ელოდა თარგამოსის ნიშანს, რომ ამომთავრებულიყო ჩვენში და სხვაგან გაეგრძელებინა სიცოცხლე.

და თარგამოსსაც: „დროა, ლოცვად დავდგე და საგალობელი ვუთხრა თვითონ მზეს...“ – გაუელვებს გულში და მუხლებზე დადგება: – მზეო, ღმერთო ჩემო, გიძღვნი საგალობელს: „შენით ვარ მთლად და შენით ვარ სრულად, ყოვლის მხილველო, თვალით დაჰყურებ შენს მიწას – ქვეყანას ქარდუხთა, ნურც სხივს მიაკლებ და წვიმის წვეთს – მიწას დამაშვრალს. სანაცვლოდ: სისხლი დაგჭირდეს, წაიღე სისხლი ჩემი, ჩემი გადახსნილი ძარღვიდან იდენს შენკენ სისხლი ჩემი და სიცოცხლეც, წაიღე სულიც ჩემი, ფიქრიც წაიღე ჩემი, მე ვარ კრავი იგი შესაწირავი, ასე რომ მოელი... – უცებ მოეშვა და ესმა ამ დროს:

– იცოცხლე, თარგამოს! იცოცხლე შენი ქვეყნისთვის, იცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე შენი ხალხისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ – საკუთრივ შენთვის! თავს გაუფრთხილდი, ჭირდები ქვეყანას შენსას და შენსავ უკვდავ ხალხს! განადიდე ხალხი და ქვეყანა შენი! – გადმოასხივა მზემ ის უსასრულო უკვდავების მომნიჭებელი სხივი და გადავიდა: იქ, იქაც სამზეოდ...

* * *

ფიქრებიდან გამოერკვა ებერი. სასახლის მსახური გამოეჭიმა ეგროსს და ხმამაღლა მოახსენა: – თარგამოსი გიხმობთ შენცა და ქარდუხის დიდ სტუმარს. თქვენს შეხვედრას შენი უფროსი ძმებიც დაესწრებიან.

ებერი წელში გასწორდა და მხრები შეიბერტყა, აქაო და ეგროსზე დაბალი არ გამოჩენილიყო.

ერთი სიმაღლისანი იყვნენ და ერთ დღეს დაბადებულებიც, მაგრამ ეგროსი შედარებით კეთილაღნაგი ჩანდა და უფრო გაშლილიც – მხრებში. მკლავიც უჭრიდა ეგროსს: „ბევრისთვის დაუბნელებია მზე: უბადლო მხედარი და თავგადადებული მეომარი...“ – ფიქრობს ებერი, – უებარი მოფარიკავე, პირველი მოფარიკავე მთელ ქარდუხეთში. იგი გამორჩევითაც უყვარდა თარგამოსს და გვერდიდანაც არ იშორებდა. თექვსმეტი წლისა ძლივს იქნებოდა, თარგამოსმა თავის უფროს შვილებთან ერთად ისიც იახლა ლაშქრობაში. ეგროსმა სწორედ მაშინ გამოიჩინა თავი და ეს ასე მოხდა: მოწინააღმდეგენი დაზავდნენ: მოწინააღმდეგის უფროსი ვაჟი ეგროსის ხნისა, შეუპოვრობით გამორჩეული, სწორედ ეგროსს უნდა შეხვედროდა და იმდღევანდელი ბრძოლაც ამით დასრულდებოდა. ეგროსმაც მიიღო ეს გამოწვევა.

ძლეული მხარე წლიური მოსავლის მესამედს გადაუხდიდა მძლეველს. ამასთან მძლეველი თან წაასხამდა ათას ტყვეს მთელი თავისი აღჭურვილობით.

კალო მოიზომეს მეტოქეებმა: პირველად შუბები სტყორცნეს ერთმანეთს, მერე მშვილდოსნობაშიც სცადეს ბედი, მესამედ ხმლებით შეუტიეს ერთმანეთს. აქ ეგროსმა იმარჯვა და თავი მოჰკვეთა მოწინააღმდეგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ აღარ მოცილებია ეგროსი თარგამოსს. მამის ჩრდილად ქცეულიყო შვილი.

ხომ თითქოს და ჩვეულებრივი შესახედაობისა ჩანდა ეგროსი, სხვათაგან ვერაფრით გამორჩეული, მაგრამ სრულიად გარდაიქმნებოდა ბრძოლაში, უკვე გოლიათივით გამოიყურებოდა თავის ფრთოსან რაშზე ამხედრებული და ხმალშემართული სასწაულებს სჩადიოდა. ამ დროს მასთან პირისპირ შერკინებას ჰაოსიცა და ქართლოსიც კი მოერიდებოდნენ.

ესე ყოველი ებერმა გადმოცემით იცოდა. ამიტომაც იყო, გვერდით მომავალ ეგროსს ასე დაკვირვებით რომ ათვალიერებდა; თან მხრებს იჩეჩდა, გაკვირვებული: „ჩემი სიმაღლეა, ჩემზე – მხარგრძელი, მაგრამ რასაც მასზე ამბობენ, ძნელად დასაჯერებელია! ომის ღმერთი თუ სწყალობს...“

მოვედითო, ძლივს გაიგონა ფიქრებში წასულმა ებერმა ეგროსის ხმა. ეგროსმა კრძალვით შეაღო თარგამოსის ოთახის კარი და წინ გაატარა ებერი.

თარგამოსმაც ხელმარჯვნივ მოისვა ეგროსი, ებერი – ხელმარცხნივ. ღიმილით გადახედა ჯერ ერთს, მერე – მეორეს, შემდეგ შემობრუნდა მათკენ: – ეგროს და შენ, ებერ... – ხელები გაკვირვებულმა გაშალა: – მაგრამ ასეთი მსგავსება?! თითქოს ტყუპები იყოთ.... წარმოუდგენელია! მაგრამ რატომ წარმოუდგენელი?! სემიც და იაფეტიც ხომ ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს?! თუმცა, ტყუპები არ ყოფილან. სემი პირველი იყო და გვარშიც – პირველი იყო იგი! ნოეს პირდაპირი მემკვიდრე! აგერ თქვენც... მაგრამ, ებერ, შენ მეომარი არ ხარ და ესაა, გულს რომ მტკენს... თავიდან ვერ მოუცილებიხარ ნიმროდს... და უფროსი შვილიც შენთვის მოუბარებია აღსაზრდელად.

თარგამოსს ბაბილონი აინტერესებდა როგორც სრულიად ბაბილონის ქვეყანა, მაგრამ ყველაზე მეტად – თვითონ ნიმროდი. ბაბილონის ქვეყნის სასწაულმოქმედი შემოქმედი, გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა, ებერს კი ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ქარდუხთა ქვეყანაზე არ ჩამოაგდებდა სიტყვას თარგამოსი.

– ეგროს, – უცებ შვილს მიუბრუნდა თარგამოსი და ამ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარის ზღურბლზე ორი გოლიათი გაიჭედა: ჰაოსი და ქართლოსი იყვნენ. ჰაოსი – სულ რამდენიმე წუთით უფროსი ქართლოსზე, მაგრამ მაინც უფროსი და გვარში – პირველი. აქ ქართლოსმა იპირველა, პირველმა გადმოაბიჯა კარის ზღურბლს და უკან მოიტოვა ჰაოსი. ამას თარგამოსი არც გაუბრაზებია და არც დაუნაღვლიანებია. მათ ბარდოსი შემოჰყვა, ბარდოსს – მოვაკანოსი, მოვაკანოსს — ლეკოსი, შემდეგი ჰეროსი იყო, მერე კავკასოსი და ეგროსიც – ებერს რომ თარგამოსის ფიქრის ოთახში რომ შემოჰყვა.

ჰაოსი და ქართლოს, თარგამოსივით – ბუმბერაზები, თვალს რომ ახარებდნენ თავიანთი აღნაგობით და შემართებით. დანარჩენები ერთი სიმაღლისანი – ჭეშმარიტი ქარდუხნი – მაღლები, მაგრამ საოცრად სხარტნი და წელში გამოყვანილნი, მოქნილნი – ნემსის ყუნწში რომ გასხლტებოდნენ: კავკასოსი – შეუდარებელი მშვილდოსანი, ჰეროს – შუბისმტყორცნელი და მეშურდულე, მოვაკანოსი – ხიდების მშენებელი და დამგები, ბარდოსი – ლოდსატყორცნელის ამწყობიცა და მისი მტყორცნელიც, ჰაოსსა და ქართლოსს ხომ ყველაფერი ხელთ ასდიოდათ: მოფარიკავენიც იყვნენ და მშვილდოსნებიც, შუბისმტყორცნელნიც და მოშურდულენიც. ხიდების მშენებელნიცა და ლოდისმტყორცნელნიც. ეგროსზე ითქვა – მოფარიკავე ლეგენდა და ლეკოსი – გრძნეული მზვერავი, თვალშეუვლები, გაუჩინარებაც რომ შეეძლო, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ხურავსო.

დიდხანს შეჰყურებდა თავის ვაჟიშვილებს თარგამოსი, მერე: გამძღარიყოსო თითქოს მათი ცქერით, მთქნარებ-მთქნარებით მიბრუნდა ებერისკენ: – ებერ, შენ, უკვდავი სემის შვილთაშვილო... – კიდევ უფრო დაკვირვებით მიაჩერდა და სავსებით გამოფხიზლებულმა ფიქრებისგან, ჰკითხა: ისეთი ვინმეც არ უნდა ჩანდე, არაფერიც არ შეგეძლოს და ჩვენთან მაინც და მაინც შენ რომ გამოგგზავნა ნიმროდმა, ვითომ არაფერსაც არ უნდა მიანიშნებდეს ეს? მაგრამ ვერაფრით მივმხდარვარ, რისი ოსტატი უნდა იყო? გამიგონია, დიდი მწიგნობარი ყოფილხარო... – თქვა და მზერაც დაუთბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სიტყვის ოსტატი, დიდო მეფეო. მწიგნობარია, თქვით და ნიმროდიც ასე მეძახის.

– ნიმროდი შორს იხედება! და განა მარტო იხედება?! ჭვრეტს ნიმროდი. შენთვის რა დაუვალებია ნიმროდს?

– სკოლების საქმე მაბარია ბაბილონში. თქვენი იარაღი თუ მშვილდისარია და ხმალი, შუბი და შურდული, ლოდსატყორცნი და კიდევ, აბა, ვინ უწყის რამდენი იარაღია მოფიქრებულ-გამოგონილი კაცთა ხოცვისთვის, ამაზე საბრძოლო ხელოვნების წიგნებში ამომიკითხავს, – სული მოითქვა ებერმა და უფრო დინჯად განაგრძო: – ჩემი იარაღი ასო-ნიშნებია და ყალამი.

– შენი შვილები, ებერ?

– ისინიც კლავენ... ნიმროდის მფრინავ ათასეულებში ირიცხებიან.

– კიდევ რას იტყვი ნიმროდზე? – თარგამოსი პასუხის მოლოდინში კითხვის ნიშანივით მოიხარა.

– ნიმროდი?! – ებერმაც ჰაერი აღარ ჰყოფნოდესო თითქოს, ღრმად, მთელის ნდომით ჩაისუნქთა და ხმადაბლა დაიწყო: – მინდა იცოდეთ და უნდა დამიჯეროთ, რომ მთლად ადამიანიც ვერ უნდა იყოს, რადგან ადამიანური არც გააჩნია რამე... მაგრამ ადამიანზე მეტია ნიმროდი... იგი ადამინივითაც როდი ფიქრობს?!

– მაგრამ ღმერთიც ხომ ვერ იქნება?! – ამოთქვა შეფიქრიანებულმა თარგამოსმა.

– მეც ასე მინდა ვიფიქრო და: რატომ ჭკუაზე ვერ მოიყვანს იმას ჩვენი ღმერთი?! იმდენს უთმენს, თითქოს ადამი იყოს... თიხისგან რომ გამოძერწა და სული შთაბერა?!

– და სამოთხიდან გამოაძევა! მაგრამ... მე ნიმროდზე გეკითხები, ებერ!

– ნიმროდი, მთელი შუამდინარეთი რომ აუჯანყა ჩვენს უფალ ცაბაოთს!

– ებერ, ყოვლისშემძლეც ხომ ვერ იქნება ნიმროდი?

– ვაი, რომ... რაც კი ჩაუფიქრებია, აუსრულებია კიდეც... ბაბილონი რომ საოცრებათა ქვეყანაა, ეს ნიმროდითაა... ვხვდები, რაც გაინტერესებთ თქვენ, მაგრამ იძულებული ვარ, გაგიმეოროთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მეომარია, შეუდარებელი! თუ არ გამიწყრებით და არ შემრისხავთ, გეტყვით: თქვენ ხომ ბუმბერაზი ხართ, ის ორჯერ აღგემატებათ თქვენ.. მომიტევეთ, მეფეო... ფიქრისაც კი მეშინია და სულაც არ გამიკვირდება, თავი ღმერთად რომ გამოაცხადოს. ბაბილონელებსაც სჯერათ მისი... ადამიანზე მეტია და ამაზე დიდი უცნაურობაც სხვა რაღა უნდა ჭირდეს?! ჰო, მართლა: ექვსი კანონიერი შვილი ჰყავს და ორი ამდენიც – უკანონო. და მათთვის: კანონიერთათვის და უკანონოთათვისაც ერიდუში დიდი სასახლე ააშენებინა ნინევიელ ხუროთმოძღვარს და ყოველი წლის პირველი კვირის ხუთშაბათ დღეს ყველანი: – კანონიერნიც და უკანონონიც, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ამ მათთვის ბოძებულ სასახლეში და თავი შეახსენონ ერთმანეთს.

– ებერ, შენ მე მართლაც ჩამაფიქრე. ვფიქრობ: შენ ჩვენთან, ქარდუხეთში იმიტომაც გამოგგზავნა, რომ... ალბათ ჩაფიქრებულიც ექნება რამე ისეთი, რაიც საშიშროებას უნდა გვიქმნიდეს... და ამ დიდ გზაზე ამხელა ქარავანი რომ გამოგაყოლა...

– ნიმროდის მფრინავი ასეული იყო ჩვენი თვალი, ყური და დიდი მცველიც.

თარგამოსი უკვე გაღიზიანებულიყო, მაგრამ ბოლთის ცემას აღარ მოჰყოლია: – ნიმროდი, ნიმროდი... – ისევ დადგა დიდი სარკმლის წინ და ჯიქურ მიუბრუნდა ებერს: – და არაფერი დაუბარებია?!

– დაბარებით არაფერი, მაგრამ ძღვენი კი გაახლათ: ერთი დიდი სკივრი თქვენთვის ყველასთვის, არავინ გამორჩენიხართ. ნიმროდს არც არაფერი ავიწყდება და ზერელედაც არ წამოისვრის სიტყვას.

– ებერ: შენ ერთ ღმერთს ემსახურები, იგი – მეორეს... ის ღმერთი, მარდუქი, საფარად ჰყავს, თუ მართლა სწამს მისი? ლამის ღმერთად გამოაცხადოს თავი, შენ კი კვლავაც მასთან რჩები? ეს აღარ მესმის, ებერ! – ხმას აუწია თარგამოსმა, – ერთ სიბრტყეზე როგორღა ეტევით? მაგრამ შეგიძლია აქეთ მისაყვედურო: შენ რომ თარგამოსი ხარ და გაორებულხარო?! მე ხომ მზის ღმერთს ვცნობ... აქ ყოველთვის მზეს სცემდნენ თაყვანს, მაგრამ ქარდუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ნოეს ღმერთსაც ვცემთ თაყვანს და მე როგორც ქარდუხეთში შემავალი ყველა ხალხის მამა, მზის ღმერთს დავგმობ? იმდენს კი ვახერხებ, რომ სხვადასხვა რწმენის ადამიანები მშვიდობითა და სიყვარულით თანაარსებობენ ჩვენთან?!

– გეთანხმებით, მაგრამ ნიმროდი ასე როდი ფიქრობს? ნიმროდმა, ვიმეორებ, მთელი შუამდინარეთი აუჯანყა უფალ ღმერთს. იგი სემიტებსაც აიძულებს, უარყონ უფალი ჩვენი ცაბაოთი და იწამონ მარდუქი!

– და შენ, სემიტი, ნიმროდს ემსახურები?

– მაგრამ ჩემთვის არაფერიც დაუძალებია... ჩვენ სემიტებს დაგვიტოვა სამლოცველო, როგორც გინდათ და ვისაც გინდათ პატივი მიაგეთ, ხალხს ნუ ამიჯანყებთ და ტვინს ნუ გამოურეცხავთო... ჩვენი პატრიარქიც გვყავს...

– და მაინც ნიმროდს ემსახურებით!

– ნიმროდს – არა, ბაბილონს! – უკვე განაწყენებულმა წამოიძახა ებერმა: – შეიძლება ვერც მიტანდეს, მაგრამ ვჭირდები!

– და შენ რაღას გემართლები, ებერ? – გაოგნებულია თარგამოსი და: – ნიმროდის ის სკივრი შემოიტანონ! – ბრძანა.

* * *

შემოიტანეს თარგამოსისთვის გამოგზავნილი სკივრიც. ზედ ცეცხლით ამოუშანთავთ: ბაბილონი ნმრ(დ). თარგამოსიც მონუსხულივით დაჰყურებს სკივრს და მასზედ ამოტვიფრულ წარწერას: – ულპობელი ხისგანაა შეკრული, – იტყვის თავისთვის უფრო, ვიდრე სხვათა გასაგონად. მერე კითხვის თვალს მიაპყრობს ებერს: – მაგრამ სად – ბაბილონი და სად – კედარი?

– დღეს კედროვანი ნიმროდისაა! – იყო პასუხი.

– გილგამეშსაც ხომ იმ კედარის ტყეზე ეჭირა თვალი? ბაბილონისგან აბა ვინ უწყის, რამდენი ბერუთია დაცილებული კედარის ტყე?!

ებერმა თვალები მოწკურა და ისე გახედა თარგამოსს: – ნიმროდისთვის არაფერსაც რომ არ ნიშნავს დრო და სივრცე?! მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისეთი რაში ჰყავს... ბედის ბედაური, აღარ ვიცი-ჯადოსნური ვთქვა მასზე თუ ზღაპრული... ცხენი კი არა, სასწაულია! მფრინავ რაშზე თუ გსმენიათ რამე, სწორედ ისაა! ჰოდა, ლაშქარსა თუ სანადიროდ ამხედრებულ ნიმროდს მხარზე უზარმაზარი ბუ აზის... ბრძენი ბუ! ნიმროდის გატყორცნილ ისარს ხომ ვერავინ გასცდეს?! – ამას უკვე აღელვებული ებერი გაიძახოდა.

საგონებელში ჩავარდნილ თარგამოსს ფიქრმაც წამოუქროლა: „თუკი ასეა და მჯერა მე ებერის, ხომ შეეძლება ნიმროდს, მოუვიდეს თავში და გამოილაშქროს ჩვენზეც?!“ – აქ ფიქრი მოიწყვიტა და ებერს შეანათა თვალები და: – ნიმროდის ლაშქარი?

ებერი წამითაც არ დაფიქრებულა, ისე უპასუხა: – ნიმროდის განკარგულებაშია კბილებამდე შეიარაღებული სამი მფრინავი ათასეული და თუკი ქუდზე კაცის გამოსვლა ბრძანა, კიდევ ორი მფრინავი ათასეული შემოუერთდება მის ლაშქარს.

„ნებროთი, ნებროთიო,“ იმეორებდა თარგამოსი გულში, – ძღვენის გარეშეც არ გვტოვებს!! ამით: მეც მალე მიხილავთო, გვაგრძნობინებს. ებერ, ერთი ამ სკივრშიც რომ ჩაგვახედებდე...

ებერმაც ახადა სახურავი სკივრს და უზარმაზარი ყანწი ამოიღო იქიდან, – კედარის ტყეში მოკლული უზარმაზარი ხარის რქისაა, ამით თარგამოსმა პირველად თავისი ქვეყანა ადღეგრძელოს და თუკი საჭიროდ ჩათვალოს, ჩვენი ბაბილონის სადღეგრძელოც ბრძანოსო, ნიმროდმა.

თარგამოსმაც ჩამოართვა ყანწი ებერს და მსახურს გადასცა, – ებერის საპატივცემულოდ გამართულ სუფრაზე მომართვან, სალხინოშიო და გაიღიმა: – ებერ, განაგრძე!

შემდეგ ებერმა მძიმე აბჯარი ამოიღო სკივრიდან და თარგამოსმაც ისე ჩამოართვა გზავნილი, რომ გაკვირვება არც დაუფარავს, ტანზე მოიზომა და უკან ჩაიხია უნებლიეთ: – ებერ, ვისია ეს... ამხელა აბჯარი?! ეცვა ვინმეს და ლაყე არ დარჩენილა შიგ? ვის ტანზეა მოქსოვილი ეს აბჯარი? მქსოველი ვინ არის?

– ერთი ქსლის მბეჭველი გოლიათი ხალიბი ჰყავს. იმან მოუქსოვა ნიმროდს ორი ერთი ზომის აბჯარი. ერთი თავისთვის დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვა ნიმროდმა, მეორე თქვენ გამოგიგზავნათ. ამით ხომ პატივი მოგაგოთ! თავის სწორად გთვლით.

ეს უკვე მერამდენედ ჩააფიქრა თარგამოსი ნიმროდმა?! „მე რომ ამხელა ვარ და ჩემთვისაც კი სრული რომ არის ეს აბჯარი, მაშინ რამხელა უნდა იყოს თვითონ ნიმროდი?!“

ჩაფიქრებულიყო ებერიც: „ნიმროდი: მთელი თავით და მეტი-თაც მაღალი უნდა იყოს თარგამოსზე?!“

– ჩემს დასაშინებლად ხომ არ მიგზავნის ამ აბჯარს, უნდა შიში ჩამიდგეს სისხლ-ძარღვებში...

– ნიმროდის აზრს და ფიქრს ვერ მიჰყვები, მაგრამ ის კი ამოვიკითხე მის თვალებში, რომ აბუჩად აგდებას კი არა, აღფრთოვანებული უნდა იყოს თქვენით. იმასაც ხომ ბევრი სმენია თარგამოსზე?! თუ ივარაუდა, რომ ერთი სიმაღლისანი ხართ...

თარგამოსიც: – ნამდვილად ასეც უნდა იყოსო; თავს თუ იმშვიდებდა! – მერე, ებერ?

– აბა, რა ვიცი, დიდო ბატონო, იმის აზრებს ვერც ერთი სულიერი ვერ წაიკითხავს, თვითონ კი ნებისმიერის სულში შეაღწევს, თუკი ინდომა... დაუფარავიც აღარაფერი რჩება მისთვის, – გაღუნული შუბი მიაწოდა თარაგმოსს – სცადოს და გამიმართოსო.

– ჩემკენ რომ გამოტყორცნოს მერე?

– სწორედ ასე დამაბარა – ებერმაც.. „ერთი სიტყვაც არ შეიცვალოს ჩემი დანაბარებიდანო!“

– კიდევ რით გაგვაკვირვებ, ებერ?

– და კიდევ რვა ისარიც... სიკვდილის ისრებს ეძახიან ბაბილონში ამ ისრებს!

– ალბათ, ჩემი შვილებისთვის?!

– როცა უჭირდეთ, მაშინ გამომტყორცნონო.

– ნიმროდის მშვილდი ჯადოსნური ხომ არ არის?!

– ჯადოსნური არ ვიცი, მაგრამ ძნელია მისი ისე მოზიდვა, რომ ისარი საისრე ღარში ჩაჯდეს... ჯერ არ დაბადებულა ვინმე ისეთი შუამდინარეთში, რომ ის... ნიმროდის მშვილდი დაემორჩილებია... ისრები კი ჯადოსნურია მართლაც, თუკი იტყორცნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანს არც ასცდეს. მაგრამ ვიცი, რომ ამ ისრების ტყორცნა სხვა მშვილდებიდანაცაა შესაძლებელი. სიკვდილის ისარი...

შეფიქრიანებული თარგამოსი ძლივს გამოერკვა მტანჯველი ფიქრებისგან: – თვითონ ბაბილონზე რომ არაფერი გითქვამს, ებერ?

– ბაბილონი? ღვთაებრივი ქვეყანა! ერიდუდან იწყება იგი. ერიდუ კი: ვინც კი ნოედან მოვდივართ, ფესვები ერიდუში გაგვიდგამს ყველას. თქვენც ხომ ერიდუდან ხართ?! – ფიქრმა წაიღო ებერიც. თავის სათაყვანებელ ბაბილონში თუ იყო ფიქრით.

– ერიდუ?! – თითქოს რაღაცას იხსენებდესო თარგამოსი – დიდი ხნის მივიწყებულს, მაგრამ მეხსიერების სკივრში სათუთად გადანახულს. თითქმის შეწვდაო საწადელს და თვალები გაუბრწყინდა: – ჰო, ერიდუელი ვარ მეც... იაფეტი ერიდუს მკვიდრი იყო და მისი მოდგმაც ხომ ერიდუელები ვართ... ქალდეველები... მახსენდება მამაჩემის უკანასკნელი ამონათქამი: ქალდეა, ქალდეველი და ერიდუ, დაიწერეთ გულის ფიცარზეო! – ხელები მაღლა აღაპყრო თარგამოსმა: – თქვენ ქალდეადან ხართ, შვილებოო, ერიდუს ქალდეადან, ქალდეველები! ამის დავიწყება არ ეგების! გეამაყებოდეთ ქალდეველობა თქვენიო. – ისრები ხელში აიღო და სათითაოდ ჩამოურიგა შვილებს.

ქართლოსმა გაღუნა ისარი და მერე ხელი შეუშვა: ისარმა სიმივით შეიჟღრიალა, გასწორდა და მიწყდა: – დიდებულია! დიდი ხელოვნებაა! განუმორებელი! საიდან, ებერ, როგორ? ისე როგორ იწრთო, რომ აუმღერებიათ რკინა?!

– ბაბილონში ერთი ხალიბი ცხოვრობდა თურმე, რკინის ოსტატი – რკინის მწრთობელი. იმის ნაწრთობია ეს ისრები, თითქოს ჩვეულებრივისგანაც არაფრით გამორჩეული, მაგრამ მიზნისკენ მქროლავი სწორედ რომ სიკვდილივით გაჰკივის, თითქოს სიკვდილისთვის უნდა შეამზადოსო მსხვერპლი. მაგრამ მივიწყებოდათ იმ ხალიბის სახელი, აღარავის ახსოვდა იგი. ვიღაცას შეუხსენებია ნიმროდისთვის იგი ხალიბი, ნიმროდსაც მთლად გადაუქექავს ბაბილონი და ზედ ევფრატის წყალთან, შეფერდებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოხში მიუგნია მოხუცი ხალიბისთვის. სამჭედლო–აუშენებია მისთვის და კვამლიც ავარდნილა ერთ დღეს იმ სამჭედლოდან. ამბობენ, მხოლოდ ამ ისრებს ამზადებს ნიმროდისთვის.

– ჰო, რკინაც კი აუმღერებია იმ ხალიბს... ხალიბი ხომ რკინის სულში იჭვრიტება და იცის, რა უჭირს რკინას და რა ულხინს... ებერ, ალბათ ამაზეც გაქვს შენ მოკლე პასუხი!

– მსმენია: ცეცხლის ქურაში არ ვიცი, როდის და რა მცხუნვარების დროს იწრთობა რძეში ეს ფორმამიცემული ისრები. ნიმროდის ნებით თუ გაიტყორცნა მიზნისკენ ისარი, თორემ... ის ხალიბი სხვას არც დაუმზადებს ამისთანა ისრებს.

თარგამოსი უკვე აღარ უსმენს ებერს. მისი საფიქრალი ნიმროდია. აღარც შეუძლია, ნიმროდზე არ იფიქროს: „ნიმროდმა ბაბილონი შექმნა, მართლა ღვთაებრივი ჩანაფიქრია! ფრთები შეასხა თავის იდეას. ნიმროდი – ღვთაებრივი შემოქმედი! მაგრამ მაინც კაცი, შეიძლება – ზეკაციც, მაგრამ – არა ღმერთი! აღმატებულია, რაღა თქმა უნდა, ჩემზეც! მაგრამ ვერა, ვერ გაიღმერთებს თავს. კაცს ეს აღარ ძალუძს, თუნდაც ზეკაცი იყოს! – ხელები მომუშტა და ებერისკენ გადადგა ნაბიჯი: – ებერ, ნიმროდის ძღვენი შენ მოგვართვი დღეს და მეც და ჩემი ძენიც მადლობას ჯერ შენ მოგახსენებთ და მერე – ბაბილონის მეფეთ-მეფეს და ქურუმთ-ქურუმს... ქამის შვილთაშვილი რომ არ ყოფილიყო (ქამი ნოეს უმცროსი ძე უფალმა ცაბაოთმა და ნოემ რომ შერისხეს) ნებროთს, ალბათ სხვა ციური სხეულიდან მოსულად ჩავთვლიდი, თუნდაც ნიბირუელად... მაგრამ სკივრი ჯერაც რომ არ დაცარიელებულა?!

– ეს კაბები ბაბილონში ყველაზე დიდ საფეიქრო საამქროშია შეკერილი, ეს კიდევ ფართლეული და ფარჩა – ადგილობრივი კერძო საამქროებიდანაა წამოღებული თქვენი ქალებისთვის.

– მსახურნო! — მოუხმობს თარგამოსი.

თვალის დახამხამებაში მსახურნიც თარგამოსის წინაშე იხრიან თავს.

– ეს ყველაფერი დიაცთა საკრებულოს! – ბრძანებს თარგამოსი და სკივრიც აღარ იყო უკვე ფიქრის ოთახში.

ებერი საპატიო სტუმარია. თარგამოსი მიმართავს თავის შვილებს: – ებერი სემიტია, ჩვენ იაფეტიანები ვართ და ნოეს მოდგმისანი ვართ ყველა. ებერი ჩვენთანაა დღეს და ციხე-ქალაქიც ებერის საპატივცემულოდ საზეიმოდ უნდა მოირთოს. მოგვიანებით „სალხინოში“ შევიკრიბებით და ნებროთის გამოგზავნილი ყანწიც ხელიდან ხელში გადავა. შვილებო. თქვენ რვანი ხართ და ებერი თქვენი სტუმარიცაა!

ფიქრის ოთახში თარგამოსი, ეგროსი და ებერი რჩებიან.

და პირველი სიტყვა, როგორც წესი, თარგამოსს ეძლევა, ისიც ჰკითხავს ებერს: – ნიმროდი და შენ ბიძაშვილები ხართ, ვიცი უფროსი შენ ხარ, რაც ნიმროდს არც უნდა სიამოვნებდეს.

– ორივე ნისანის თვეში ვართ დაბადებულნი, მაგრამ სულ შვიდი წუთით ვარ უფროსი.

– ებერ, თქვენი ტოლია ეგროსიც...

– მაგრამ მე შვიდი დღით უფროსი უნდა ვიყო ეგროსზე.

ეგროსი ძმებში უმცროსი და ებერთანაც უმცროსი თითქოს დაღვრემილიც და გულნატკენიც მიუახლოვდება თარგამოსს და ჯერ მარცხენა მხარზე ეამბორება, მერე – მარჯვენაზე.

ებერიც ეამბორება თარგამოსს მხარზე და ეგროსთან ერთად ტოვებს ფიქრის ოთახს.

თარგამოსი მარტო რჩება, თუმცა მარტოც რატომ? თანამგზავრი ჰყავს ერთგული და განუყრელი: ფიქრი...

* * *

მეორე დღე.

ალიონი... თარგამოსი, ეგროსი და ებერი

თარგამოსის ქვეყანა ცხრა ციხე-ქალაქს აერთიანებს. პირველი და ალბათ მთავარი თარგამოსის ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო და მის ირგვლივ გარშემორტყმული ის რვა ციხე-ქალაქი, თარგამოსის შვილები რომ მართავდნენ, ჰქმნიდნენ ერთიან ქარდუხს. თავად მამა და შვილები თავთავიანთ ციხე-ქალაქებს სამთავროებს ეძახდნენ.

ებერმა მათ წინ მდებარე მოედნის მთლიანად აღქმა ვერაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით რომ ვერ შეძლო, არაფრით ჩამოუვარდებოდა ნიმროდის საბრძოლო-სავარჯიშო მოედანს, სადაც ნიმროდის ხუთივე მფრინავი ათასეული საყვირის ხმაზე იკრიბებოდა.

– ამ მოედნიდან გავდივართ სალაშქროდ, ეუბნება თარგამოსი ებერს. – აქვე ხდება წინა საომარი მზადებაც... – თარგამოსს ისევ წაიღებს ფიქრი.

– და თქვენი ლაშქარი? – ისე, თითქოს სასხვათაშორისოდ იკითხავს ებერი და თარგამოსის ნაცვლად ეგროსი გამოეხმაურება ებერს:

– თარგამოსს თავისი სადროშოდან ათასი მხედარი გამოჰყავს, ჩვენ, ძმები რვანი ვართ და ხუთას-ხუთასი მხედარი რომ გამოვიყვანოთ, საკმაოდ დიდი ძალაა... სულ ხუთი ათასი მხედარი... იმდენივეა, რამდენიც ნიმროდის ხუთი მფინავი ათასეული...

ამ დროს თარგამოსმა თავისი რაში სასახლისკენ შეაბრუნა და დეზი ჰკრა.

ებერმა კითხვის თვალით შეხედა ეგროსს და ეგროსმაც:

– ხომ ხვდები, რატომ შებრუნდა მამა ბატონი სასახლეში? იმ აბჯარს მოიზომებს და: იმ შუბის გამართვასაც ეცდება, – თავისთვის ჩაიცინა ეგროსმა, – აბჯარი მაფიქრებს. მეტად დიდი ჩანს მამაჩემისთვის...

– ეგროს, ფიქრის ოთახიო, ამბობ. მაგრამ იქ არც სავარძელი მინახავს და არც რაიმე სავარძლის მაგვარი, თუნდაც, ჯორკო...

:

თავის ფიქრის ოთახშია თარგამოსი. აღმოსაველთის კუთხეში დაჩოქილი რაღაცას ბუტბუტებს თავისთვის, მერე ფიქრი ჩამოუქროლებს და თარგამოსიც ამ ქვეყანისაც არარაა. მაგრამ ყველაფრის შემძლეა ამ დროს და ლაბირინთიც არაა სადმე ისეთი, რომ არ გამოაღწიოს იქიდან. ბრძოლის წინა დღესაც ასე გამოიკეტება ხოლმე თავის ფიქრის ოთახში და გამოითიშება. ამ დროს მისთვის დასაშვებია ყველაფერი და მიზნის მისაღწევად, იცის, როგორც მოიქცეს.

ჰო, დაჩოქილი შესთხოვს მზის ღმერთსაც და ცაბაოთსაც, რომ შეუძლებელი შეაძლებინონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ ნიმროდის ყანწი უდევს, იმხელა, რომ უბრალო მოკვდავს მისი შეხედვაც კი შეაშინებს. თარგამოსიც აიღებს ხელში ყანწს და მსახურიც გამოჩნდება უზარმაზარი დოქით ხელში. ყანწი ივსება ქარვისფერი ღვინით. ვაზის ეს ჯიში თვითონ გამოიყვანა თარგამოსმა და თითოეულ ძირს თვალის ჩინივით უვლის, უფრთხილდება და ელოლიავება როგორც ჩვილს.

თარგამოსმაც ახსენა ორივე ღმერთი და: (წვეთის დაღვრა ცოდვაა... ამ ხელებით დაუკრეფია ყურძნის მთელი მოსავალი, დაუკაკლავს და გაურეცხავს წყაროს წყალზე, საწნახელში ჩაუყრია და შიშველი ფეხით დაუწნეხია თვითონ, დაუჟღლიმავს, მხოლოდ მზის ჩასვლისას ამოდიოდა საწნახელიდან ყურძნის წვენით გაჟღენთილი და მადლობა უთქვამს არსთა გამრიგესთვის); – ჩემი დაწურული და ნაფერი მზით... – გახედა ღვინით სავსე გამჭვირვალე ყანწს და ერთგვარი რიდითაც კი მიიტანა პირთან. დააგემოვნა. მონატრებოდა ღვინო, მოწყურებოდა თანაც და ქარვისფერი ღვთიური სითხეც წყაროსებრ ჩაურაკრაკდა ყელში. და იცლებოდა და ვეღარც დაცლილიყო ნიმროდისეული ყანწი.

თარგამოსს აღარც ახსოვს, ერთი სულის მოთქმით არ დაეცალოს ნებისმიერი ყანწი, მაგრამ შეეჭვდა, რომ საერთოდ მოერეოდა ამ ყანწს. ბოლოს მაინც დანებდა ყანწი. თარგამოსიც თვითკმაყოფილი ჩამოისვამს წვერზე ხელს და სამზერისკენ მიბრუნდება: – ესეც ასე, ნიმროდ! ჯერ მე ვარ წინ!

– და მე – უკან! – თითქოს შუამდინარეთიდან გამოსძახაო ნიმროდმა, – მაგრამ აწი ვნახოთ! – ნიმროდი იმუქრებოდა და თარგამოსსაც შეაჟრჟოლა.

– ნიმროდ, ვერ მოგართვი, შენ სულაც არ მიცნობ მე! – თავის გასამხნევებლად წამოიძახებს თარგამოსი: – ყანწისთვის დიდი მადლობა! ძალიან კი მასიამოვნე!

– მაგრამ შუბი და აბჯარი? – გამოსძახებს ნიმროდი ბაბილონიდან.

– ნებროთ, თავი დამანებე, თავიდან მომწყდი! – ამოიღრიალებს თარგამოსი და ზეწამოიჭრება. – ეს რა ხდება? ჩემს ფიქრებშიც კი შემოჭრილხარ! ნუთუ მართალია ებერი, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენზე ამბობს, მჭვრეტელიაო! დროსა და სივრცეში გადაადგილდებაო, ისე, როგორც ჩვენ ყველა – მიწაზე... ნებროთ, რა გინდა ჩემგან? ორთაბრძოლა?

– ჩემმა ყანწმა უკვე დაგათრო და დღეს ველარც შემერკინები.

– თითქოს მესიზმრებოდეს ეს ყველაფერი...

– თარგამოს, რატომ არ გამოფხიზლდები?

– უკვე მოვფხიზლდი!

– მაშინ შუბს მიმიხედე!

– ნებროთ, მეყურება, თუ მართლა მელაპარაკები?

– ნიმროდი ვარ... შენ შენი ფიქრის ოთახში, აღმოსავლეთ კუთხეში მუხლებზე დგახარ და ჩემზე ფიქრობ, მე კი ვკითხულობ შენს ფიქრებს. ებერმა სრული სიმართლე მოგახსენა. მე გხედავ და ვცდილობ არც ერთი შენი მოძრაობა და ფიქრი შეუმჩნეველი არ დამრჩეს; მე ქამის შვილიშვილი ვარ – ნიმროდი. შენ კი იაფეტის შვილთაშვილი ხარ. აქეთ, ბაბილონში მე ვმბრძანებლობ, ქარდუხეთში კი – შენ, თარგამოს... ჩვენი გზები, როგორც ხედავ, მაინც უნდა გადაიკვეთოს! მაგრამ მე ერთი უპირატესობით ვსარგებლობ შენთან შედარებით: შენ მოხუცებული ხარ, მე კი ჯერაც – ახალგაზრდა. შენ წარსული ხარ, მე კი – აწმყო მომავალში გარდამავალი... აქ სადაოც არაფერია და არც – განსასჯელი... მაგრამ ჩვენ მაინც შევიყარენით: თარგამოს, და როგორ ფიქრობ: რაც ახლა ხდება, მართლა ხდება, თუ მოჩვენებითია ეს ყველაფერი? ეს ჩვენი შერკინებაა. მაგრამ მაკვირვებ! არ კი მეგონა, რომ ასე მალე გონს მოეგებებოდი.

– ჰო, ჩემ წინ შენი შუბია, შენ მოგიღუნავს და მე უნდა გავმართო...

– გამართო და ჩემკენ გამოტყორცნო. და თუკი შეძელი, ჩემი გული უდრტვინველად შეეგებება ჩემსავ შუბს. მაგრამ ამდენი ლაპარაკიც რა საჭიროა?! რაღას ელოდები, თარგამოს?

– ნებროთ!

– მე ნიმროდი ვარ!

– ქარდუხში ნებროთს გეძახით!

თარგამოსმა თვალი მოხუჭა. ჩაჯდა თავის ფიქრის კუთხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში და მიეცა ფიქრს. რაღაცის მოგონება უნდოდა, მაგრამ ვერ მოეგონებია და მიჰყვა იმ თავის ფიქრს: წინ უდევს გაღუნული შუბი, რომელიც მისი და მხოლოდ მისი გასამართავია, რომ სტყორცნოს ნიმროდისკენ. მაგრამ რომ ვერ გამართოს?! რაღაა მაშინ მისი სიცოცხლე?! ჯერ არ დამარცხებულა, მაგრამ გული ეუბნება, ვერ მოერევა ნიმროდისეულ შუბს.

– თარგამოს, რწმენაშერყეული კაცი დამარცხებისთვისაა განწირული! თარგამოს, – თავისას არ იშლის ნიმროდი, ნუთუ არ გინდა დამამარცხო?! რატომ არ მტყორცნი შუბს, მაგრამ იგი ჯერ უნდა გაიმართოს, მისი გამართვა გევალება შენ! შიშს შეუპყრიხარ? მე კი უშიში მეგონე, ვითარცა უხორცო! აქ ნებაა საჭირო, რომ მოერიო ჩემს შუბს, მაგრამ ამის ნება შენ არ გაგაჩნია! შენს წინაშე მარტო შუბიც როდია?! თვითონ ნიმროდი დგას შენს წინ. მაგრამ მე რომ მძლიო, იქამდე შენი თავი გყავს დასამარცხებელი! შენც ხომ დიდი მონადირე ხარ?!

– ნებროთ... ასე მგონია, შენ ადამიანის შვილი არ უნდა იყო. დიდი ნოეც კი... წინასწარმეტყველი, ადამიანი იყო. იქნებ ქამის შვილიშვილიც არ იყო შენ! მაშინ ვინ ხარ შენ, ნებროთ?

– თარგამოს, იქნებ მართალიც იყო... ზოგჯერ მეც ასე მგონია... იქნებ მართლაც არ ვიყო ადამიანი?! იქნებ მამაჩემის შვილიც არ ვიყო?! და შენც რომ იცოდე, უკვე იღვიძებს ჩემში უფალი ღმერთი?! და თუკი გინდა, რომ ჩემს ფიქრს ხაზი გადაუსვა, ხელში აიღე ეს შუბი, გამართე და მტყორცნე! შენ შეგიძლია ცაბაოთის წინაშე გამოიჩინო თავი და ამაღლდე! ითხოვე, რომ მოგეცეს ის ძალა, რომელიც დაგამარცხებინებს ნიმროდს!

ამ დროს იყო, რომ იელვა და ცაც გადაიხსნა: – ნიმროდი არც დღეს მოკვდება და არც – ხვალ. ის არ უნდა მოკვდეს! მე ცოცხალი ნიმროდი მჭირდება! იგი ადამიანის ხელით ვერც მოკვდება! – ითქვა და ზეცამაც შეიკრა პირი.

თარგამოსი გაკვირვებულია. მან ხომ გადმოცემით იცის, რომ ქამის მოდგმა ჯერ ნოემ დაწყევლა, მერე – თვითონ უფალმა ცაბაოთმაც. იმ წყევლის მიხედვით ნებროთი თარგამოსს და ებერს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ რა ხდება სინამდვილეში? ნიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდი მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმია და – იმის მაგიერ, რომ ნიმროდი ემსახურებოდეს ებერს, ებერია ნიმროდის მსახური და ჩემს დამორჩილებასაც ფიქრობს!

– თარგამოს, ხომ გაიგონე, რა გითხრა შენმა უფალმა, იგი ცრუ ღმერთია, თვითმარქვია ღმერთი! ხედავ რას ვამბობ შენსა და ებერის ღმერთზე?! მაგრამ შენ მზესაც რომ სცემ თაყვანს?! და შენ გგონია, რომ იმას არ ესმის ჩემი?! შენ თუ გესმის ჩემი, ის რატომ ვერ გაიგონებს?! ჰოდა, რატომ არ მტყორცნის იმ თავ-ის ელვას, რომ დამფერფლოს და: მაგრამ ვერ მიბედავს ამდენს. უძლურია ის შენი ღმერთი! მთელი ეს დედამიწა ჩემია! მალე სივრცესაც დავეუფლები და... იღვიძებს ჩემში, თარგამოს, ღმერ-თი!

იელვა ისევ, სადღაც მიინავლა და ჩაქრა.

– თარგამოს! სულ ეს არის ის შენი უფალი ღმერთი! იცის, ვე-რაფერს გახდება ჩემთან და ეს რომ გამჟღავნდეს, ხომ მოეჭრა თავი?! ხომ შეირცხვინა თავი შენთანაც?! მე ხომ დიდი ხანია ვიცი, რისი შემძლეცაა. ასეა ეს, თარგამოს! მაგრამ რატომ არ დაწვდები შუბს და: ცდა ბედის მენახევრეა, თარგამოს და რატომ არ უნდა სცადო შენც?!

და თარგამოსიც დაწვდა გაღუნულ შუბს, წამოდგა. იფიქრა ხელში შევათამაშებო, მაგრამ ემძიმა, მკერდამდე ძლივს აზიდა.

– ასე, უფალი ღმერთის სახელი რომ არ ვახსენე, იმიტომაც მჭირს... – ოფლი დაასხა.

– მერე და ახსენე, მისი სახელი! გინდა ცაბაოთი ახსენე და გინ-და... იაჰვე, რა მნიშვნელობა აქვს ამას?!

თარგამოსმა ძირს დადო გაღუნული შუბი: – ვერ გძლიე, ნე-ბროთ... – მოეშვა და მუხლები აუკანკალდა. რაღაცის თქმა კიდევ დააპირა, მაგრამ ენის წვერი მოეყინა და ხმაც ვეღარ ამოიღო. ელოდა, დასცინებდა ნებროთი, მაგრამ არას ეუბნებოდა?!

– ნებროთ, ალბათ დავბერდი... მაგრამ ვაღიარებ, რომ ჩემი ქველობის ჟამსაც სრული იქნებოდა ჩემთვის ეს შენი აბჯარი. მჯობნზე მჯობნი არ გამოილევა ქვეყანაზეო!

– თარგამოს, მართალი ხარ, მჯობნზე მჯობნს რა გამოლევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაზეო, რომ ამბობ, მაგრამ ამას უბრალო მოკვდავებზე იტყვიან. ეს მე არ მეხება!

– მაგრამ შენზე იმასაც ამბობენ, რომ ჩრდილი არა აქვსო!

– თარგამოს, შენ მართლა მაკვირვებ! მე ხომ ღმერთი ვარ და ჩრდილიც რატომ უნდა მქონდეს? ანდა როგორ მქონდეს?!

– აწი რას აპირებ, ნებროთ?

– თარგამოს, შენთვის აღარ მცალია, ისედაც ბევრი დრო დაგითმე! ებერი კი, შეგიძლია გამოიყენო. ებერს ბევრი რამ შეუძლია! მაგრამ ებერი მეც მჭირდება!

და თარგამოსიც გათავისუფლდა ნიმროდისგან.

ამოისუნთქა შვებით...

* * *

წვიმიანობაა შუამდინარეთში. მაგრამ ჩვეულებრივადაც აღარ წვიმს: ცა გადახსნილიყო და წვიმა მოასხამდა მთელ ჩვიდმეტ დღეს.

ტიგროსი გადმოვიდა ნაპირებიდან, ევფრატმაც იძალა, ტოლი არ დაუდო ტყუპისცალს, გადააჭარბა კიდეც. ტიგროსმაც, რაკი იხილა, ევფრატი აღარ ხუმრობსო, აიწყვიტა თვითონაც, გადაირია და: შეერთდნენ ტყუპისცალები. აზღვავდნენ (მდინარეობასაც ვერ დაჯერებულიყვნენ უკვე). სწორედ ზღვას მოგაგონებდათ ერთად ამდინარებული ორი წყალი.

წყალს დაეფარა მთელი ეს ნაყოფიერი მიწები, მაგრამ მის დაძირვამდე შორს იყო ჯერ. არა, წარღვნას ნამდვილად არ უჩანდა ჯერ პირი. მაგრამ კიდევ რომ ემძლავრა, აღარ იქნებოდა ბაბილონი – ოქროს ქვეყანა, აღარ იქნებოდნენ ბაბილონელები, აღარც სხვები იქნებოდნენ, უკვე ბაბილონელებად რომ თვლიდნენ თავს. ალბათ კიდევ ერთი ორმოცდაათი წელი და ერთ ენაზე ალაპარაკებული ბაბილონი წმინდა ბაბილონად შეირაცხებოდა. ამას კი თუ ნიმროდი ვერა, სხვა ვინ შეძლებდა?! ამის შემდგომ ნიმროდისთვის დასაშვები გახდებოდა ყოველისფერი, მაგრამ ამას არც დაუშვებდა ცაბაოთი, რომლისთვისაც ზურგი შეექცია ნიმროდს და მონანიებაზე აღარც ფიქრობდა. მერე და მარდუქიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ჩანდა, ალბათ უჭირდა იმასაც და შესაძლოა–ნიმროდზე მეტადაც.

საგონებელს მისცემოდა ნიმროდი, უნდა ეღონა რამე, თვალდახელშუა ეცლებოდა ხელიდან შუამდინარეთი. ასე რომ გაგრძელებულიყო, წაილეკებოდა ბაბილონი.

დიდხანს ელოდა გრძნეულს, მაგრამ თითქოს განგებო, იგვიანებდა იგი.

ერთი პირობა კინაღამ წახდა ნიმროდი, მაგრამ მხოლოდ წუთით. უცებ გამოერკვა, კოშკიდან გამოვიდა. წყალი მუხლებამდე სცემდა. თავის ბედის ბედაურს უხმო და ისიც თითქოს არარსაიდანო, სწორედ რომ დაიბადა და მოწყურებული ხვრეპდა წყალს. მოიკლა წყურვილი, მაღლა აიღო თავი და ცას შესჭიხვინა. ბრძენი ბუც გამოიბადრა სივრციდან და ამხედრდა ნიმროდიც. ბრძენი ბუც დააფრინდა მხარზე.

მხნეობა დაუბრუნდა ნიმროდს, უცნაური ძალის მოზღვავება იგრძნო: ახლა შეუძლებელიც აღარაფერი დარჩენილიყო მისთვის. – ევფრატისაკენ! – დაიგრგვინა და ადგილსაც მოწყდნენ ერთმანეთს შეზრდილი ბედის ბედაური, ნიმროდი და ბრძენი ბუ. ბედის ბედაურის ჭიხვინი აზანზარებდა მიწას, ბრძენი ბუს წივილი ფხაჭნიდა სივრცეს, ნიმროდის ხაფი ხმა აყრუებდა ირგვლივ ყველაფერს.

და, აჰა, ადიდებული და ავად აბორგებული ევფრატიც – წყალი დიდი და შემზარავი.

ევფრატი: მომაქვს ცა და ქვეყანა, ჯოჯოხეთში რომ ჩავუძახო! – სხვანაირად არც შეუძლია ფიქრი. ეშინია, ვაითუ ჩამომიტოვა ტიგროსმაო. და ამას ხომ ვერც ვერასდროს აპატიებდა თავს?!

შედგნენ: ცხენი, კაცი და ბუ... ცხენ-კაც-ბუ...

ნიმროდი ჩამოხდა ძირს, ბრძენი ბუ აიჭრა მაღლა და ბედის ბედაური მაღალ ბორცვზე ავარდა. ბორცვი სამყურა ბალახს დაეფარა. ნიმროდმა თვალი გააყოლა წყალს: – შენ ვერავინ გაგეჯიბროს, წყალო დიდო... ვერც მხარი აგიბას ვინმემ, შე ყოვლის მძლეველო!

– ნიმროდ, ჩემთან რა გინდა, რამ მოგიყვანა? განა ვერ ხედავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აღარ მცალია შენთვის. მაინც რა გინდა? – იღრიალა წყალმა და იმ ბორცვს მიადგა, ნიმროდი რომ შემდგარიყო. იქით, მეორე, უფრო შემაღლებულზე, ბედის ბედაური სამყურათი პირს იტკბარუნებდა.

იძალა წყალმა, აიტალღა და დააპირა თავს დატყდომოდა ნიმროდის ბორცვს, რომ ქვასავით დაეშვა ძირს ბრძენი ბუ, და რა მიუახლოვდა აქაფებულ მდინარის ზედაპირს, ფრთები გაშალა და ვარდნაც შეწყვიტა. დახედა წყალს და მთელი ხმით დასჭყივლა: – ნიმროდი გინდა იმსხვერპლო, წყალო ბოროტო?! ვერ მოგცემ ამის უფლებას! ბაბილონი გინდა წაიღო?! თავს როგორ იმართლებ?

– ნიმროდ, ნაწყენი ვართ ყველანი შენზე, მაგრამ ჩემი წყენა კედარის წყენასთან სად მივა?! კედარი გელის! აგერ, ის შენი ქვევრიც! მერე და მოგწყურებია ვხედავ და რატომ არ შემსვამ?

და შესვა ნიმროდმაც წყალი ევფრატის.

– მოიკალი წყურვილი? ხომ დაგეწმინდა თვალები, დაგეწმინდება არეული გონებაც და რაღას ელი? კედარსაც მოწყურებია! თუმცა არა! სავსეა წყლით, შენ მოწყურებიხარ!

ნიმროდმა პირი მწვერვალისკენ ჰქნა. ამჯერად წყლით სავსე ქვევრი აღარ მიჰქონდა, მაგრამ მიათრევდესო თითქოს შეღონებულ გულსა და ამოცარიელებულ სულს.

– ნიმროდ, კედარიდან მობრუნებულმა შემსვი და მთხოვე ყველაზე სანუკვარი რამ შენთვის, მაგრამ კედარს მოუსმინე ჯერ! – ამოიხვნეშა სუნთქვაშეკრულმა მდინარემაც და ახმიანდა ძველებურად. ანი ვეღარაფერიც ვეღარ დაუდგეს წინ.

– არ დაიღალო, წყალო დიდო, – ჩამოსძახოდა ევფრატს მწვერვალზე აღმავალი ნიმროდი, ისევ შეავლო თვალი წყალს და თვალებიც წყლით ამოევსო, – და რომ შემოვირიგო კედარი ჩემი, მაშინაც არ დამშვიდდები?

წყლის პასუხი ვერ გაიგონა ნიმროდმა და ამან დაზაფრა. ნაბიჯი ძალაუნებურად შეუნელდა და შეუმოკლდა თითქოს: „ყველას დავავიწყდი, ან შემაქცია ზურგი, მე ჩემს ღმერთს მარდუქსაც კი დავავიწყებივარ... აღარ მწყალობს. აღარ სცალია ჩემთვის? მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაი ვინმე ვარ! გამიჭირდა და ღმერთიც მაშინ გამახსენდა!

– ნიმროდ, ვერაფრით დახმარებიხარ მარდუქს, მაგრამ ასე რომ გადარდებს შენ ეს ამბავი, მარდუქს ამითაც ეხმარები შენ. ისიც ახალი ენერგიით აღივსება და რა არის ისეთი, რომ ველარ შეძლოს?! ოღონდაც ინდომოს... არც მარდუქს დავიწყებიხარ. იგიც ფიქრობს შენზე. ახლა კი... აჩქარდი, ნიმროდ, კედარი გელის შენ რა ხანია! ვინა თქვა, კედარმა გული აიყარა ნიმროდზეო?! თუმცა...

– შევცოდე კედარის წინაშე?

– იჩქარე, ნიმროდ და მეც ნუღარ მაცდენ, მე მივმდინარეობდე უნდა. კედარიდან მობრუნებულს არ შეგექცეს მხარი! ვნახოთ, რას გირჩევს კედარი. ევფრატის წყალსაც უჭირსო, გადაეცი კედარს და... ჰე, ხომ არ გამოგლევია მუხლებში ძალა?! – წამოიყვირა დიდმა წყალმა და იხუვლა მთელი ძალით: გზა ხმაურით გაიკვალა. აღარც ნიმროდს დაუხანებია და ნაცნობ გზა-ბილიკს შეჰყვა. ზეაიხედა და თვალნათლივ იხილა, როგორ გადაიხსნა ზეცა და გადმოსკდა იქიდან ზღვა-წვიმა. ღვარცოფი სახეში სცემდა კედარისკენ აღმავალ ნიმროდს, თითქოს უნდოდათ პირისაგან მიწისა აეწყვიტათ იგი და სადღაც არარაობაში მოესროლათ. მაგრამ არა მდინარეში, არამედ მიეხეთქებინათ იმ არარაობაში მოულოდნელად აღმართული სალი კლდისთვის, მაგრამ ნიმროდმა ფესვებივით მსწრაფლ გაიდგა მიწაში ფეხები. მიიწევდა წინ და უკან რჩებოდა ღრმა ხნული.

კედარს შორიდანვე მოჰკრა თვალი, მიწას გამეტებით რომ სცემდა თავის დანემსილ ტოტებს, თითქოს შოლტავდესო.

როგორც იქნა მიაღწია კედარამდე და მის ქვეშ მოითქვა სული.

– ნიმროდ, მომეკარ ტანზე, შეგიგრძნო მინდა, რომ უკეთ შეგიცნო! – ჩამოსძახა კედარმა და ნიმროდიც მიეახლა კედარს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ვერ შემოაწვდინა ვეება ხელები იმის ტანს, მაგრამ შეიგრძნო მისი სითბო. უკვე ერთ რიტმში სუნთქავდნენ კედარიცა და ნიმროდიც, თითქოს ერთ არსად ქცეულივნენ.

– მიწყრები, კედარო? – ჰკითხავდა ნიმროდი. აღელვებულიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც არასდროს. და როცა სუნთქვა შეეკრა კედარს, იქნებ განგებაც, ნიმროდსაც შეეკრა სუნთქვა, მათ შორის არსებული ჰარმონია რომ არ დარღვეულიყო. მიუხვდა კედარი და დათბა როგორღაც ისე, რომ ნიმროდსაც მოეფონა სულზე.

– მაწყენინე, ნიმროდ. იმითაც მაწყენინე, რომ არ გაგხსენებივარ ამდენხანს. მაგრამ ამისთვის არც დაგზრახავდი, გულშიც არ გავივლებდი წყენას... – უცებ მოეშვა კედარი, მოითენთაო თითქოს. მაგრამ უცებვე გარდაიქმნა. თითქოს ღრმად ჩაისუნთქაო და შვიდქარმაც მძლავრად მოუბერა, ლამის გადამტყდარიყო წელში კედარი და ნიმროდიც ბიჯგივით შეუდგა. ქარი უკუიქცა და წელში გასწორდა კედარიც.

– გმადლობთ, ნიმროდ... შენ რომ არა, იქნებ გადავმტყდარიყავი წელში. ვერაგია შვიდქარი, არ უნდა მივნდობოდი... ვეღარც ის მომინელებია, რომ ჩემში მეგობარს უკვე ვეღარ ხედავ...

– რას ამბობ, კედარო ჩემო? – წახდა ნიმროდი.

– ვიღაც გრძნეული დაგიახლოებია, მე ახლაც თვალწინ მიდგას ის ხელშეკრულება, შენი ხელწერით.

– მართალსა ბრძანებ, კედარო ჩემო. მაგრამ არ მიღალატნია შენთვის!

– იცი კი რას ითხოვს შენგან გრძნეული და მსახურიც როდია იგი შენი?! – ისევ მოეშვა კედარი და სიფხიზლე დაკარგულს კვლავაც შემოუტია ავშარმა შვიდქარმა. ისევ იმარჯვა ნიმროდმა. მთლად ბიჯგად იქცა.

კედარიც სულს მოითქვამს და განაგრძობს: – მე ვიცი ვინც არის გრძნეული და რასაც გამოელის შენგან. მეცნობა გრძნეული. კი შენიღბულა, სახეზე ჩვიდმეტი ნიღაბი აუკრავს, როცა იქნება ჩამოვხსნი ამ ნიღაბებს და... მაგრამ შენი იდეის განსახორციელებლად უთუოდ უნდა გამოიყენო. ვიცი, რაც ჩაგიფიქრებია... ერიდუში, მოედანზე... მზის მოედანზე... ცათამბჯენი... გოდოლი ბაბილონის?! დიდებულია იდეა! ელამსა და მარის ქვეყანაში აღარ მოგიწევს ხუროთმოძღვრის მოძებნა, მაგრამ სულ მთლადაც ნუ მიენდობი იმ შენს გრძნეულს! იგი აღმსრულებელი უნდა იყოს, შენ – მბრძანებელი! ისეც ნუ იზამ, იგი გკარნახობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს... ერთსაც გეტყვი: იგი ნებისმიერ პირობაზეც–კი ნამოვა, ოღონდ ხელს არ კრავდე და... მაგრამ თუკი შეამჩნიე, რომ... თავიდან მოიშორე!

– მაგრამ ის სისხლიანი ჩემი ხელწერა!

– აქ დიდი შეცდომა დაგიშვია, ისეთი ხელწერილი რომ მიგიცია მისთვის. შენი სისხლი საბუთია, ხოლო რაც შეეხება გრძნეულის სისხლს, გაგანდობ: იმას სისხლი არცა აქვს, სისხლის ნაცვლად იმას მოწამლული აირი მიდი-მოუდის ძარღვებში. ის შენი, სისხლიანი ხელწერა კი, თუ აღარაფერს მიიღებ მისგან, ჯერ გაწყალდება და ამოიშლება სულაც, თითქოს არც მოგეწეროს ხელი... გრძნეული კი: ჩამოგშორდება და ცხრა მთას იქით გადაიკარგება.

– კედარო, მომიტევებდე იქნებ, რომ შენს გარდა სხვასაც მივეკედლე...

– მაგრამ ერთი პირობა უნდა შემისრულო, პირობა-მეთქი... კი არაფერს გთხოვ... არავითარი გარიგებისნაირი რამ!

და ნიმროდიც უსმენს:

– გეყო ამდენი სისხლის ღვრა. შენ არც ელამი უნდა დალაშქრო და არც – მარის ქვეყანა.

– რომ მეურჩებიან? ამბოხის სუნი მცემს...

– მახვილს აღარ აღმართავ მათზე!

– მაშინ ისინი აღმართავენ მახვილს ჩემზე, კედარო...

– ენა ტკბილად მოუბარი მოიშველიე, ნიმროდ... და რომ შურს არ იძიებ მათზე, იაფი მუშახელი მოსთხოვე ამის სანაცვლოდ, იმ ცათამბჯენის მშენებლობაზე რომ დაგჭირდება...

– ეს პირობები მისაღებია ჩემთვის. რჩევა-დარიგებისთვის გმადლობთ, კედარო!

– ნიმროდ, შენ ნუ განმიდგები და ეშველება ყველაფერს! – თქვა და შვიდქარიც ჩადგა. ცამაც შეიკრა პირი და წვიმამაც გადაიღო.

გადაიკარა და გადანათდა. ნიმროდმა თვალი ააყოლა ცისარტყელას. კედარის ტანს აკრულ ნიმროდს არ ეძინა, მაგრამ ესიზმრებოდა ცადატყორცნილი გოდოლი, იხილა, როგორ აისხლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა გოდოლის ოქროცურვილმა გუმბათმა მზის სხივი და სადღაც სივრცეში გადატყდა.

გადმოდიოდა ნიმროდი სიზმრიდან და ჩადიოდა ამ დროს მზე სისხლისფერი.

* * *

უყურებს ებერი თარგამოსს და უკვირს, ამ ხნის კაცს მხნეობა არ აკლდა და ძალაც ერჩოდა მკლავში. ამბობდნენ, ერთი ხმლის მოქნევით ცხენკაცის შუაზე გაკვეთა შეუძლიაო. ებერის აზრით, ნიმროდამდე ვერ მივიდოდა თარგამოსი, მაგრამ არც არაფერი დააკლდებოდა.

თარგამოსსაც უყვარდა თქმა, ჩემი ხნის ქვა არ გდია ამ ქვეყანაზეო. კი ამბობდა, მაგრამ არასოდეს დაუწუწუნია.

და ფიქრობენ თარგამოსიც და ებერიც, მაგრამ თვალს არ აცილებენ ერთმანეთს. დუმილისა და მყუდროების დარღვევას არც ერთი არ აპირებს.

უჭვრეტენ ერთი მეორეს.

„საინტერესო ვინმეა ეს ებერი. ნეტა რისთვის მომიგზავნა ნიმროდმა. რა ჩაუფიქრებია ბაბილონის ლომს? მაგრამ ებერისთანა კაცი მეც მჭირდება აქ, ჩემთან...“ – ფიქრი არ გაუწყვეტია თარგამოსს, მაგრამ არც რაიმეს თქმას აპირებდა ჯერჯერობით.

ებერი იმდენს იფიქრებს, რომ სულაც დაეხატება თვალწინ თარგამოსის სახება: „გონებაც რომ უჭრის ამ ხნის კაცს?! ბერმუხაა სწორედ. დგას და ვერაფერს დააკლებს ასეთებს დრო. ფიქრობს? ნიმროდის გზავნილს ჩაუფიქრებია. ნიმროდმა თავისი ძალა აჩვენა თარგამოსს, ვერავინ დამიმაგრდებაო. და მართლაც: ნიმროდს დღეს ვერავინ შეაჩერებს, ნიმროდი უძლეველია! „აქ ნებროთს ეძახიან... ქარდუხეთში ლეგენდები დადის ნიმროდზე, როგორც უძლეველ გმირ მონადირეზე... თარგამოსიც მონადირეა...“ ფიქრს წაუღია ებერი, თარგამოსს დაკვირვებით შეათვალიერებს: – მინდა ვიცოდე, რას ფიქრობს ჩემზე? მაგრამ ვისზე ფიქრობს, ჩემზე თუ ნიმროდზე? იქნებ ორივეზე! ასეც იქნება. მაგრამ ნიმროდს თუ შეუძლია ადამიანთა ფიქრების წაკითხვა, მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ვერ უნდა შევძლო?!“ – წამოდგა და ფეხის წვერებზე შემდგარმა ირგვლივ შემოუარა თარგამოსს, უცებ ფეხი წამოიკრა რაღაცაზე და წაიფორხილა. კინაღამ წაიქცა და ძირს დაიხედა.

თარგამოსს გაეცინა, მაგრამ აღარ გაბრაზებულა: – ებერ, ასე სუნთქვაშეკრული და ფეხის წვერებზე შემდგარი გარს რომ მივლი, როგორ გგონია, არ უნდა შემემჩნიე, როგორ მოარღვევდი იმ წრეს, დიდი ფიქრის დროს გარს რომ შემოვიწერ ხოლმე? დამშვიდდი, არას დაგიშავებ.

ებერი ლამის დაიწვას სირცხვილისაგან, თითქოს ქურდობაზე წაასწრესო.

– ებერ, – თვალი თვალში გაუყარა თარგამოსმა. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ებერმა დაასწრო:

– მოგიბოდიშოთ მინდა. თქვენი ფიქრის წიაღში შემოჭრა რომ დავაპირე, ამის უფლება არ მქონდა... – წახდა ებერი, თავი მაღლა ვეღარ აეღო.

– ებერ! თითქოს დააშავე და არც დაგიშავებია ამ დროს. – ხმამაღლა გაიცინა თარგამოსმა, – აბა, დამისახელე ისეთი ვინმე, სხვისი ფიქრის წაკითხვას რომ არ ცდილობდეს! შენც უბრალოდ: ცნობისმოყვარეობამ გადაგადგმევინა ეს უადგილო და უხერხული ნაბიჯი. ასე, რომ: უკვე დამავიწყდა! არ წაგაკითხე ის ჩემი ფიქრი, მაგრამ გეტყვი... სწორედ ამისთვის დამიბარებიხარ! მაგრამ სანამ დავიწყებდე, იქნებ თვითონ გადამიხსნა გული...

ებერმა, მადლიერებით სავსე თვალები შეანათა თარგამოსს: – თქვენი ქვეყანა მთლად უცხოც არ უნდა იყოს ჩემთვის... ერთი ენა გვაქვს და ერთი დამწერლობა... იქნებ ერთ დროს, შეიძლება ერთი, მთლიანი, გაერთიანებული ქვეყანა გვქონდა... ჩემი და თქვენი სამშობლო ქალდეაა... თქვენს ქვეყანაში შემავალი სხვა ტომებიც ქალდეველებად თვლიან თავს... სიტყვა „ქარდუც“ ხომ ქალდეას გვაგონებს, მაგრამ რომელი რომლიდან მოდის, ეს აღარ ვიცით... ეს საკვლევი საგანია...

– სწორედ ასეა, ებერ! ამაზე მეც მეფიქრია... მაგრამ ჩვენი ნდობა რომ მოიპოვო, უნდა დაიმსახურო... რაღაც ღირებული უნდა შესძინო ქარდუხს, რაღაც უნდა მოიმოქმედო ხალხის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილდღეოდ და შენ შეგიძლია ეს! ხედავ, ნიმროდმა კბილი მომისინჯა და მართლაც: რატომ მოგვიგზავნიდა შენს თავს, თუ არა ცნობების შესაგროვებლად ჩვენს შესახებ... მაგრამ შენ ჩვენი სისხლი და სისხლთაგანი ხარ, ნიმროდიც ხომ ჩვენიანია, მაგრამ ღმერთს განდგომილი და როგორ გგონია, დაინდობს მე და ჩემს ქვეყანას?! ბაბილონი ხომ ბოროტების ბუდეა, ნიმროდს რომ მოუქსოვია. აქ ნანახ-განცდილი კიდეც უნდა მოხსენდეს ნიმროდს, არც რაიმე გადააჭარბო და არც რაიმე მიგვაკლო, ებერ! მაგრამ ისიც არ დაგავიწყდეს, რომ რვა შვილი მყავს და ყველა – რკინის მკვნეტელი! გაგვიცნობ და ქარდუხიც მშობლიური გახდება შენთვის. არ გაიწირება იგი შენგან! და რას მოვითხოვ შენგან? რას და უნდა განანათლო ქარდუხთ ქვეყანა, გაგინათლებია როგორც ბაბილონი! მინდა ქარდუხეთშიც ვიხილო სკოლები! ასე რომ, სკოლების შენებისა და განათლების საქმეს აქაც შენ ჩაუდგები სათავეში! მინდა ისე იღვაწო ქარდუხში, როგორც გიმოღვაწია ბაბილონში. ჩემს ქვეყნადაც მინდა განათლებული ხვალე გათენდეს! შენ თვითონ უფალმა ღმერთმა გამოგგზავნა ქარდუხს! – თარგამოსი დადუმდა, მისი თვალები სითბოს ასხივებდნენ და ებერსაც აუთბა სულში. – საქმემან შენმან გამოგაჩინოს, ებერ! ისე ჰქმენ, ხალხი გამოგყვეს! – ფიქრებმა წაიღეს თარგამოსი, მაგრამ ებერს ამჯერად არც უფიქრია მისი ფიქრების წაკითხვა.

საფიქრალი ორივეს ჰქონდა: თარგამოსსაც და ებერსაც....

* * *

ებერმა სრულიად ქარდუხეთში სავალდებულო გახადა სწავლება და როგორც მოელოდა, ამან დიდი მღელვარება გამოიწვია ხალხში. უფროსი თაობა უკმაყოფლო იყო თარგამოსის ამ გადაწყვეტილების გამო: შვილები წაგვართვა სკოლამო. აქა-იქ, ცეცხლიც კი წაუკიდეს სკოლებს და თარგამოსიც იძულებული გახდა, მკაცრი ზომები მიეღო. დამნაშავეები მკაცრად დაისაჯნენ. მაგრამ მღელვარება მაინც არ დამცხრალა. თარგამოსმა თავისი შვილებიც ჩართო საქმეში.

სკოლებში საყოველთაო სწავლების საკითხი პირველი რიგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმედ გამოცხადდა. მასწავლებელთა და აღმზრდელთა მომზადება, რაღა თქმა უნდა, ებერსვე დაევალა. ასე რომ, აწი თავის მოსაფხანადაც ვეღარ მოიცლიდა ებერი. მაგრამ ესეც არ აკმარეს: ე.წ. მისანთა და ვარსკვლავთმრიცხველთათვის აიგო მაღალი კოშკი და მისი ხელმძღვანელობაც ებერმა ითავა.

დაარსდა ქურუმთა სკოლაც და მისი წაძღოლაც ებერს დაეკისრა. თარგამოსი ხომ მხარში ედგა ებერს.

ამიერიდან თარგამოსმა მეფეთ-მეფედ გამოაცხადა თავი, ამავე დროს ქურუმთუხუცესის თანამდებობაც შეითავსა.

გადაწყდა, ქარდუხთა ციხე-ქალაქის შუაგულში აეგოთ ორი დიდი სამლოცველო ტაძარი: ერთი ეძღვნებოდა მზის ღმერთს, მეორე – ნოეს ღმერთს ცაბაოთს. თვითონ ებერს კი დიდი მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა.

ასე რომ: თარგამოსი კმაყოფილი იყო ებერით.

ერთ დღეს ეცნობა ებერს მზის ამოსვლამდე ხლებოდა თარგამოსს. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ნეტა კიდევ რა უნდა დამავალოს, როცა ჩემი ბაბილონში დაბრუნების ჟამმაც მოაწია ამასობაშიო: „იქნებ იმედი ვერ გავუმართლე თარგამოსს?“ – შეაწუხა ფიქრმა. მერე და დროც უსაშველოდ რომ გაიწელა?! რომ აღარც გათენდა?!

ჰოდა: სარკმელთან დაყუდებულს შეუმტრედისფერდა თვალწინ და გაუელვა: „არაფერი დამიშავებია და ასე რატომ უნდა განვიცდიდეო?“

სადაცაა ამომზევდებოდა და აღმოსავლით მზესაც თვალისმომჭრელად აუთინათდებოდა პირველი სხივი.

ებერი გამოერკვა. იგი თარგამოსის სასახლეში იყო და თარგამოსის ფიქრის ოთახის მისაღებში ბოლთას სცემდა.

* * *

თარგამოსი ერთი საათია ბალღივით სულწასული ელოდება მზის ამოსვლას. ჰოდა: მზეც შეინჯღრევა თითქოს, მისწევ-მოსწევს მწვერვალის ორივე კუზს, წამით, მაგრამ სულის მოსათქმელად მაინც ჩაჯდება მათ შორის, მერე შეინძრევა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოისუნთქავს: შემსუბუქდება თითქოს და ამოცურდება თავისი უნაგირიდან, თავს დააღწევს წამიერ ტყვეობას და მწვერვალიდანაც გადმობორბალდება.

– გზა ხსნილია, მზეო! დაე, მშვიდობით ვლიდე! – შესძახა თარგამოსმა და საკუთარი ხმა ექოსავით რომ დაუბრუნდა, გაეღიმა და კარისკენ მიბრუნდა. ებერს მოჰკრა თვალი, კარის ზღურბლისათვის რომ ვერ აეშორებინა ფეხი და ხელი დაუქნია. ებერმაც, ჯადო ახსნოდესო თითქოს, გადმოაბიჯა ზღურბლს და ფეხის წვერებზე შემდგარი მიუახლოვდა თარგამოსს.

– ებერ, შენ, როგორც ვხედავ, არ გინახავს ორ კუზს შორის ლამის გაჩხერილი მზე, სუნთქვაშეკრული და უხერხულობისგან დაბნეული, მხრებს რომ შეიბერტყავს და გათავისუფლდება. მე კი იმითაც ვარ ბედნიერი, რომ გზა მრავალგზის დამილოცნია მისთვის და ისიც, თვითონაც ხედავ, მორკალურ გზაზე ფეხის მოკიდებას რომ ცდილობს. აქედან შეგიძლია თვალი შეავლო გულგადალეულ მზეს და მზერაც გააყოლო! სულს მოეფონება. მაგრამ პოეტიც არ გეგონო?! იშვიათობაა ასეთი რამ! მზე – თითქოს აქლემის ორ კუზს შორის ჩამდნარიყოსო... – ხელები გაშალა, – მზესასწაული...

– მიბარებდი, დიდო ბატონო?

– დაბარებით არა, მაგრამ ბრძანებადაც ნუ მიიღებ... უბრალოდ გიწვევ... შენთან ლაპარაკი მწადია. მზეზე ვფიქრობდი და: მზე კი არაფერსაც გვკითხავს, გვინდა თუ არ გვინდა, ამოდის – ჩადის... გზაა – უსასრულობა! მზის სხივი ხომ რაღაც სასწაული სისწრაფისაა. თვითონ მზეც შესაძლოა ამ სისწრაფითვე, ფარავს ამ გზას დასავლიდან აღმოსავლამდე და ერთხელაც არ გადაუხვევს გზიდან. წამითაც არ შეანელებს თავის სისწრაფეს. არც აჩქარდება.... წარმოიდგინე, რომ დაარღვიოს თავისი წესი და რიგი, რა დაემართებოდა მის საკრებულოს მაშინ? მაგრამ ამის განსასჯელად როდი მომიწვევიხარ?! შემიძლია გითხრა: მზემ იცის დროის ფასი, წამსაც არ დაკარგავს და არც მოიმატებს! მზეს თავისი ციური გზა აქვს. არ ვიცი: დაიკანონა ეს, თუ დაუკანონეს! ჰოდა, არც გადაუხვევს ამ გზას. ადამიანსაც აქვს თავისი გზა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მიწიერი, მინდა კი ციური გზაც ჰქონდეს. მზისგან განსხვავებით, ადამიანი ხშირად გადაუხვევს ხოლმე იმ თავის გზიდან და... თვითონაც ვერ აცნობიერებს და დაკარგულია!

იტყვიან: მარადიული არაფერია ამ ქვეყნადო და მზეც ჩაქრებაო, დაილევაო, ამოწურავს თავის შესაძლებლობებს და შეწყვეტს ნათებას, ველარ იმზევებსო. და რა მოხდება ამ დროს, ებერ ჩემო? ქაოსი მოიცავს სამყაროს და იცი, რატომ დაგიძახე? კოშკი ვარსკვლავთმრიცხველთათვის თითქმის მზადაა! გნიშნავ მთავარ ვარსკვლავთმრიცხველად, ვარსკვლავთმრიცხველთა შერჩევაც შენ უნდა დაივალო... ვარსკვლავთმრიცხველი – ქალდეველი... ქალდეველებს კი სუნით შევიგრძნობ! ქალდეველის სუნი გცემს შენც, ებერ?! ჭეშმარიტი ქალდეველი ხარ! – ღრმად შეისუნთქა თარგამოსმა, – ჰო, ჩემს წინ ქალდეველი ებერი დგას! ჩვენთანაც, ისევე როგორც ბაბილონში, მინდა ქალდეველი ვარსკვლავთმრიცხველი მყავდეს!

– ბაბილონში პირველი და ჭეშმარიტი ვარსკვლავთმრიცხველი თვითონ ნიმროდია! ქურუმთ-ქურუმიც! ტყუილუბრალოდაც ხომ არ მიანიჭებდნენ ქალდეველი მოგვები დიდი წინასწარმეტყველისა და ქურუმთ-ქურუმის უმაღლეს წოდებას?!

– ებერ, თავი ვანებოთ ნიმროდს და გზა დავულოცოთ მზეს. ისიც ივლის, ივლის და ხელსაც ვერავინ შეუშლის. ჩვენ კი, დროა, სასაუბროდ დავსხდეთ. რაღაც მოვიფიქრე. ვიცი, შემეკამათები და სწორედ ეს მინდა...

შემოსასვლელი კარის ხელმარჯვნივ მაგიდა იდგა და ორი სელის სკამი. ერთზე თვითონ თარგამოსი დაჯდა, მეორე ებერმა დაიკავა.

– ებერ, – წამოიწყო თარგამოსმა და გაიწ-გამოიწია, უკეთ რომ მოწყობილიყო. მისი სიმძიმის ქვეშ აჭრიალდა სკამი და გაეღიმა. – ალბათ ჩემი სკამი ნიმროდს ვერც გაუძლებდა. – იტყვის და პირს მოკუმავს. მერე ისევ გაიღიმებს და: – ისევ ნიმროდი?! ფუი, ეშმაკს! – ამოთქვა და სახე მოეღრუბლა.

ებერი უხერხულად შეიშმუშნა.

– ებერ, ისემც ნუ გეგონება, უმადური ვიყო... – ძალიანაც ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასებ იმას, რაც ამ სამი თვის განმავლობაში გაგიკეთებია ქარდუხისათვის, ჩემი ხალხისთვის, კიდევ უნდა გაისარჯო, მაგრამ იმასაც როდი მოვითხოვ შენგან, რისი გაკეთებაც შენ არ ძალგიძდეს?! შენ ხომ თითქმის შეუძლებელი შეძელი – დღეს ვერც კი წარმოგვიდგენია ქარდუხში, რომ ჩვენი შვილები არ დადიოდნენ სკოლაში. ქურუმთა სკოლა, ვარსკვლავთმრიცხველთა მეცნიერება და სხვაც მრავალი – შენი დამსახურებაა, სამლოცველოები სავსეა ხალხით... მორწმუნეებითო, მინდოდა მეთქვა... შენ ქარდუხეთის ღვიძლი შვილი ხარ, ჭეშარიტი ქარდუხი!

თითქოს ჰაერი აღარ ეყოო, წამოდგა. გაიარ-გამოიარა და შედგა. ებერიც უნდა წამომდგარიყო, მაგრამ თარგამოსმა მხარზე ჩამოადო ხელი და ებერიც აღარ ამდგარა.

– ებერ, – განაგრძო თარგამოსმა, – სამართლიანი იქნება, ქარდუხად იწოდებოდე შენც, თავს ქარდუხად თვლიდე. მაგრამ ეს სისხლხორცეულად უნდა შეიგრძნო! არ ვიცი, გაქვს თუ არა ამის სურვილი: არც ის მავიწყდება, რომ ბაბილონელი ხარ და შენი ქვეყანა მოგიხმობს. სამხრეთში დაგრჩა შენი ბაბილონი, ქალდეა. ალბათ მიწის ყივილიც გესმის და რა უფლება მაქვს, გზა გადაგიკეტო ბაბილონისკენ... ბაბილონშიც არ მოგაკლდება საქმე. ცოდვაა შენისთანა კაცი უსაქმოდ... – თარგამოსმა ახლა მეორე ხელიც დაადო მხარზე ებერს და იმანაც იგრძნო, რომ სასიამოვნოდ ათბა ჯერ ფიქრის ოთახში და მერე სულშიც აუთბა. – არჩევანის წინაშე არ დაგაყენებ, ებერ. შენი ნებისმიერი გადაწყვეტილება მისაღები იქნება ჩემთვის. ნება შენია... – უცებ შეუწყდა ხმა, და ფიქრმაც წაართვა თავი.

ჩაფიქრებულიყო ებერიც:

„ალბათ, რაღაც დიდი საქმე უნდა დამავალოს, ამამაღლოს, მაგრამ რაღაც უნდა წამერთვას... ამაზე დიდი ხანია უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ვერ მეუბნება, ეშინია, არ გავაწბილო. წარმომიდგენია, როგორ გაუცრუვდება იმედი, ახლა ბაბილონში წასვლაზე რომ ჩამოვუგდო სიტყვა...“

დუმს თარგამოსი, დუმს ებერიც, მაგრამ თარგამოსისგან განსხვავებით, თავი ვეღარ დაუღწევია ფიქრებისგან. ფიქრობს

ბაბილონზე: ბაბილონი ხომ თავად ნიმროდია?! მაგრამ თავის და უნებურად ქარდუხს უბრუნდება ფიქრით: „რაღაც უნდა შემომთავაზოს? ნეტა რას ითხოვს ჩემგან და ამ თხოვნის შესრულება რომ ვეღარ შევძლო?!“ – წუხს ებერი. თარგამოსის წყენინებაც არ უნდა. მზერა იმის ჭაღარა წვერზე შეუჩერდება.

თარგამოსმა, თითქოს ვიღაცას ედავებოდესო, ხელი აიქნია და თვალი თვალში გაუყარა ებერს: – ორი ჩანაფიქრი მაქვს და სანამ ვარ ამ ქვეყნად, ორივე მინდა განვახორციელო.... პირველი: ჩვენი დიდი წინაპრის ნოეს ძეგლი მინდა აღვმართო და მეორე: ულპობელი ხისგან გამოითალოს ნოეს კიდობანი. ამბობენ, თითქოს გენახოს ნოეს კიდობანი არარატის მთაზე.

– მაგრამ, აქ ქარდუხში ულპობელი ხე რომ იშვიათობაა?!

– მაქვს, მოვიპოვე ულპობელი ძელები... შენ კი ვიცი, ხეზე ჭრა ხელობად გაგიხდია. ჰოდა, ახლა შენზეა სიტყვა. დავალებითაც ვერ დაგავალებ, ებერ, ამაზე შენი ნებაა საჭირო. იქ, ბაბილონში ნიმროდის გახელებაც არ მინდა, თუმცა ვინ იცის, იქნებ მოხარულიცაა, ასე რომ გაგვიანდება... იქნებ: თავიდან მოგიშორა, ჰა?

– მაშინ იმ მფრინავ ასეულს რატომ გამომაყოლებდა?

– ვინ იცის, ასე კი მგონია და... შენისთანა კაცი ნებისმიერ ქვეყანაში აუწონელი განძია. რასაკვირველია, ჭირდები ნიმროდს და გვერდითაც ეყოლები, მაგრამ მეც რომ მინდა გვერდით მყავდე?! იმას ჩვენში შენამდეც ეყოლებოდა შემოგზავნილი მსტოვარი... ჩემზე და ქარდუხზე ყველაფრი ეცოდინება...

აქ ფიქრმა წაიღო თარაგმოსი: „იმაზე დიდი ვინმე უნდა იყოს ნიმროდი, ვიდრე მე და შენ გვგონია, ებერ. იქნებ მართლა აპირებდა რაღაც დიდს და დაუჯერებელს და არ უნდოდა შენ ყოფილიყავი მისი არაადამიანური წამოწყების მოწმე... ამიტომაც ხარ ჩვენთან ქარდუხში! – ბოლო სიტყვები ხმამაღლა თქვა თარგამოსმა, - მაგრამ მთავარია, რომ შენ ჩვენთან ხარ, ქარდუხში... მე დიდი ქარდუხეთის შექმნა მწადია... ნიმროდმა თუ შექმნა ბაბილონი... მერე და ჩვენ ხომ ქალდეველები ვართ და მეორე ქალდეველთაც უნდა შეეძლოს შეუძლებლის შექმნა.

მალე მზეც და იმის სამოქმედო არეალში ყოველი სულდგმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და არა სულიერიც დაკარგავდა თავის ჩრდილს და სული შეეხუთებოდა სრულიად დედამიწას.

უსმენს თარგამოსს ებერი და ძალაუნებურად ნიმროდი დაუდგება თვალწინ, უჩრდილოდ რომ მიაბიჯებს პაპანაქება სიცხეში.

ებერს ადრეც შეუმჩნევია, რომ ნიმროდს ჩრდილი არ ჰქონდა, მაგრამ დიდი ყურადღება არც მიუქცევია ამისთვის. თვითონ ნიმროდიც ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ეს მისი ნაკლი შეუმჩნეველი დარჩენილიყო გარეშე თვალისთვის.

ებერს ახსენდება, თუ როგორ მალავდა ამას ნიმროდი, თავყრილობებსაც მხოლოდ იმ დროისთვის ნიშნავდა, როცა მზე ჩადიოდა, ან სულაც შუბისტარზე შედგებოდა: „მე ვიცოდი ნიმროდის საიდუმლოება, მაგრამ მაინც რა იქნა ნიმროდის ჩრდილი? აი, სასწაული თუ გინდა?! სასწაული თვითონ ნიმროდია! ზე(ბუნებრივი) კაცი: ზეკაცი! ჩრდილი არც ღმერთს უნდა ჰქონდეს და ნუთუ... – თავისი ფიქრისვე შეეშინდა და კიდეც მოიცილა თავიდან.

ამ დროს იყო, რომ თავი შეახსენა თარგამოსმა: – ახლაც ბაბილონში ხარ ფიქრით და ნიმროდზე ფიქრობ! მაგრამ ქარდუხში ხარ და ის ადგილი მინდა გაჩვენო, სადაც ნოეს ქანდაკება უნდა აღიმართოს... ორმოცი წყრთის სიმაღლის. ჩემი პირადი სახელოსნოც მინდა განახო... ეგროსს ხელზე ასდის დურგლის საქმიანობა. ნადირობიდან და ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ ჩემს ფაცხაში შევივლი ხოლმე, დავისვენებ და იქვეა ჩემი სახელოსნოც. ფაცხიდან სახელოსნოში გადმოვდვარ და განვმარტოვდები ხოლმე.

– გავიგე, ნოეს კიდობანი ულპობელი ხისგან უნდა გამოითალოს, მაგრამ ნოეს ქანდაკება?

– მარმარილოსი უნდა იყოს! – ამოთქვა თარგამოსმა, მაგრამ თვითონ ნოე! როგორი წარმოგიდგენია იგი?

– როგორი წარმომიდგენია? ხელებაპყრობილი ღმერთს უნდა ევედრებოდეს, სულ მთლადაც ნუ გაწირავ ადამიანსო...

– ნოე... – ჩაფიქრდა თარგამოსი: – მეამაყება, რომ ნოე ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი წინაპარია! შენც ნოედან მოდიხარ, ებერ. ნიმროდიც ხომ ნოედან მოდის?!

შეფიქრიანებულა ებერიც: აცნობიერებს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგას, უარს როგორ ეტყვის თარგამოსს?.

ფიქრობს თარგამოსიც: ებერის შესაძლებლობებში არც ეჭვება და სწორადაც მოიქცა, ებერს რომ მიენდო, მაგრამ ეჭვობს, ებერმა ბაბილონში გამგზავრება კიდევ რამდენიმე ხნით რომ გადადოს.

– მე ვრჩებიო, ამოთქვამს ბოლოს ებერი და თვალს გაუსწორებს თარგამოსს: ძლივს გასაგონად, მაგრამ მაინც დაადასტურებს, რომ რჩება და ხვალიდანვე შეუდგება საქმეს. მაგრამ ითხოვს, არ დაუგვიანონ მარმარილოსა და ულპობელი ძელების მოწოდება. ამასთან: დამხმარე მუშახელიც დროულად მოაშველონ.

თარგამოსი ოსტატობას ნამდვილად ვერ დაუწუნებდა ებერს, მაგრამ მისი აზრით (და ამაში სავსებით დარწმუნებულიც გახლდათ) ამ საშვილიშვილო საქმესთან შეჭიდებული კაცი ღვთიური მადლითაც უნდა ყოფილიყო ზიარებული და რასაკვირველია, ღვთაებრივი ნიჭითაც დაჯილდოებული.

ამიტომ იყო, ხმას დაუწია და ცოტა არ იყოს, გაუბედავადაც კი უთხრა ებერს: – ეგროსიც შენთან იგულვე, მაგრამ გესმის? უფალი გვისმენს და გლოცავს კიდეც, რომ დიდ საქმეთათვის აღგანთოს, აღგამაღლოს სულიერად და... – ოცნება წაიღებს თარგამოსს. მობოდიშებით მერე მოიბოდიშებს! ფიქრით სხვაგან ვიყავიო.

– დაგჭირდე? მიხმე!

* * *

ბაბილონი...

ერიდუს გარეუბანი...

ამ მაღალ სამლოცველოში სემიტები აღავლენენ ლოცვებს თავიანთი ღმერთის ცაბაოთის მიმართ. დღეს განსაკუთრებული ხალხმრავლობაა თვითონ სამლოცველოსა და მის ირგვლივაც.

პატრიარქის გარდაცვალებიდან თვენახევარია გასული და დროა, სემიტებმა ახალი პატრიარქი აირჩიონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ის დროა, როცა ნიმროდმა თავისკენ მიიმხრო იაფეტიანებიც (ქამიტები დიდი ხანია ნიმროდის მზეს ფიცულობდნენ) ნიმროდი იმ სემიტების შევიწროებას აპირებდა, ვინც აღარ განუდგა თავის ღმერთს, ვისაც ვერ შეაცვლევინა რწმენა და რჯული და დღესაც ცაბაოთის მზეს ჰფიცავდა.

სემიტმა ქურუმებმა თავი აარიდეს ნიმროდის მოწოდებას – ჩამდგარიყვნენ მის სამსახურში. ხოლო ებერი, თვითონ სემიტი ქურუმების გადაწყვეტილებით ემსახურებოდა ნიმროდს, რადგან ბაბილონზე ზრუნვა თავისთავად ყოველი ბაბილონელის წმიდათა წმიდა მოვალეობა გახლდათ. მერე და ებერის სიცოცხლესაც უფრთხილდებოდნენ..

ებერის ბაბილონში ყოფნის დროს ნიმროდი ერიდებოდა კიდეც სემიტების შევიწროებას და ებერიც იმიტომ გაგზავნა ჩრდილოეთში, თარგამოსის ქვეყანაში, რომ ამით ჯერ თვითონ ებერის ნდობა მოეპოვებინა და მერე – ბაბილონელი სემიტებისაც.

ჰოდა, ებერი აღარ გახლდათ ბაბილონში და ნიმროდმაც გამოაჩინა თავისი ბრჭყალები. იგი მოუწოდებდა სემიტებს: – დროა ეზიაროთ ჭეშმარიტი ღმერთის – მარდუქის სარწმუნოებას. ამისათვის კი საჭიროა: უარყოთ თქვენი ძველი, უკვე ყავლგადასული ღმერთი ცაბაოთი და დროა, ჭეშმარიტებას ეზიაროთო.

და ეს მოწოდება მაშინაც გაისმა, როცა სემიტები თავიანთ სამლოცველოში ახალ პატრიარქს ირჩევენ: თვითონ ნიმროდი ამ დროს თავის კოშკშია ჩაკეტილი.

პატრირაქის წოდების მოსაპოვებლად ორი უმაღლესი ქურუმი მოიაზრებოდა: ერთ-ერთი მათგანი – ებერი, რომელიც ბაბილონში არ იმყოფებოდა, მაგრამ მისი მონაწილეობა ამ არჩევნებში თვითონ ქურუმთა საბჭომ დაუშვა.

უმაღლესმა საბჭომ ისიც ივარაუდა, თუკი უფალი-ღმერთის გადაწყვეტილებით ებერი გახდებოდა პატრიარქი – დიდი ქურუმი, მაშინ მის დაბრუნებამდე ბაბილონში, პატრიარქის მოვალეობას დროებით გამარჯვებულის მეტოქე შეასრულებდა.

და აი, შემოჰკრეს ზარს და წილის ყრისთვის საჭირო რიტუალიც დაიწყო: ქურუმები სათითაოდ ეახლებოდნენ ხოლმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი ღმერთის ხატს, მოილოცავდნენ გულში, ადიდებდნენ უფალ ღმერთს ცაბაოთს და ხმამაღლა ამბობდნენ ახალი პატრიარქის სახელს. წილისყრა ზუსტად მზის ჩასვლისას დასრულდა. როგორც ქურუმთა უმაღლესი საბჭო ვარაუდობდა, გაიმარჯვა ებერმა. მაგრამ ებერის მეტოქე ამას როდი გაუნაწყენებია, პირიქით, ებერის სახელი ყველას გასაგონად უფალ ღმერთს შეავედრა და მის სადიდებლად ლოცვაც აღავლინა.

ასე რომ, სემიტთა პატრიარქი ებერია და ჩამოსვლისთანავე გადაეცემა პატრიარქის კვერთხი.

ებერის პატრიარქად არჩევის ამბავი ნიმროდმა თავის კოშკში შეიტყო. ამ ცნობას ნიმროდი არც გაუნაწყენებია, მაგრამ არც გაუხარებია. იგი ებერს კარგავდა და აღარ იცოდა, როგორ შეგუებოდა ამას. „საჭირო“ ზომები მივიღო? არა! ასე ხომ აუმხედრდებოდნენ სემიტნი?! უნდა მოეხერხებინა როგორმე, რომ სემიტთა ნაწილი მაინც თავის მხარეზე მოექცია. ძნელი კი იყო ეს, მაგრამ არც თუ მთლად შეუძლებელი.

„ებერი დავკარგე? იქნებ მე და ებერი ერთმანეთისგან გავთავისუფლდით?!“

ნამდვილად იცოდა ნიმროდმა ებერის ფასი. იცოდა, რა პატივშიც ჰყავდათ იგი საპატრიარქოში. სემიტები ებერს ხომ თავიანთ მანათობელ ვარსკვლავად თვლიდნენ და მომავალ პატრიარქადაც მას მოიაზრებდნენ?! მრევლი ხომ თაყვანს სცემდა?! ებერის გამოც იყო, რომ სემიტები არც შეწინააღმდეგებიან ბაბილონში ნიმროდის მიერ გატარებულ რეფორმებს, მაგრამ ხდება ებერი პატრიარქი და იგი ვალდებულია, საბოლოოდ გაწყვიტოს კავშირი ნიმროდთან. ამასთან საპატრიარქოც, შესაძლებელია, საბოლოოდ განუდგეს ნიმროდს. ამასაც აცნობიერებს ნიმროდი. დღემდე ბაბილონში არავინ ჰყოლია ხელისშემშლელი და ამ მხრივ თუკი შეიცვლება ვითარება, ეს არც გააკვირვებს: – დროზე უნდა მეფიქრა ამაზე, მაგრამ ყველაფერი ვეღარ გავთვალე. თუმცა, ამაზე როგორ არ მიფიქრია?! – გულზე დაიბრაგუნა ვეებერთელა მუშტი: – შენ ნიმროდი ხარ და მართალიც იყო ნოე, ყურფლარტას რომ გეძახდა. ახლაღა ვხვდები ამ სიტყვის მნიშვნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელობას. ყურებიც იმიტომ გამოგსხმია ადამიანს, რომ მოისმინო, მაგრამ მარტო მოსმენაც არ კმარა, უნდა გაიგონო! მე ხელიდან გავუშვი წამი და ის წამი ებერმა მიისაკუთრა. ახლა ებერი იმ ერთი წამით წინაა ჩემზე. მაგრამ რომ აღარ დაბრუნდეს ქარდუხიდან? და ვაითუ დაბრუნდა?!“

ებერი ჭეშმარიტი სემიტი იყო. თვითონ სემის უსაყვარლესი შვილთაშვილი და მთელი მისი მოდგმის ერთადერთი იმედი. ნოესაც სემი ეიმედებოდა შვილებში ყველაზე მეტად, მაგრამ იაფეტიც უყვარდა: – სწორედ იაფეტის შვილთაშვილია თარგამოსი, ქარდუხთა ქვყენის დიდი მბრძანებელი. მე კი არ ვუყვარდი ნოეს ქამის გამო. ებერის ბაბილონში ყოფნისას, გულხელდაკრეფილი მართლაც არ ვყოფილვარ, იაფეტიანები გადმოვიბირე, სემიტების ნაწილიც ჩემს მხარეზეა დღეს. დაბრუნდება ებერი და: შეიძლება წყალში ჩამეყაროს ყველაფერი ის, რაც მისი აქ არყოფნისას მოვახერხე... მაგრამ დათქმულ დროზე ადრე რომ ჩამოვიდეს ებერი, ხომ ჩამივარდა კოვზი ნაცარში?!“ – დასიცხა ნიმროდს, იგრძნო როგორღაც, რომ ახალი ფურცელი უნდა დაწერილიყო ბაბილონის ისტორიაში.

მთელ სამ დღეს არ გამოსულა თავისი კოშკიდან: ცდილობდა შეეჭვრიტა მომავალში, თითქოს და შეიჭვრიტა კიდეც, თავისი თავიც იხილა, მაგრამ არასახარბიელო მდგომარეობაში და ხელი აუქნია ეგრეთწოდებულ ხილვას. როგორც იქნა, გამოაღწია იმ კოშმარული საკირედან და გული დაწყდა, რომ იმ თავის არასასურველ მომავალთან ვერაფერი გაეწყო. ხედავდა თავის თავს: არც კვერთხი ეჭირა ხელში და არც გვირგვინი ეხურა...

* * *

მაინც რა ხდებოდა ბაბილონში:

სემიტებმა თავისი გაიტანეს. ებერი პატრიარქად აკურთხეს და ნიმროდსაც გაუელვბს: „ბაბილონში ორი დიდი ქალედველია: პირველი ეს მე ვარ – ნიმროდი, ქამის მოდგმიდან და მეორე: ებერი – სემის მოდგმიდან, ხოლო იქით, აქედან შორს, ქარდუხეთში – თარგამოსი, იაფეტის მოდგმისა! ებერი (სემიტი), იაფეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(იაფეტიანი) და მე – ნიმროდი (ქამიტი). სემიტებმა იმდენი ჰქნეს, რომ წამართვეს ებერი. ამ დანაკლისს, აღარც კი ვუწყი, როგორ ავინაზღაურებ. კი, როგორ არ დამაკლდა ებერი, მაგრამ მე ნიმროდი ვარ და კვლავაც შევივსები, აღვივსები და... ამიტომ: უნდა ავიწყვიტო და...“ – მერე ამ ფიქრისგანაც ინდომა გათავისუფლება და მოიწყვიტა კიდეც თავიდან, გათავისუფლდა და თავის ბედის ბედაურს უხმო. იმანაც ჭიხვინით ამცნო თავისი მზადყოფნა. ცოტაც და სულ ახლოდან ბრძენი ბუს ფრთების ტყლაშუნიც ესმა ნიმროდს და კიბეებზე სირბილით დაეშვა.

ამხედრდა და ბრძენი ბუც დააფრინდა მხარზე.

– წინო! დასჭყივლა ნიმროდმა და ერთმანეთს შეზრდილი სამი გაერთიანებული სულიც ადგილს მოწყდა. წინ ფიქრი მიუძღოდა სამეულს. ფიქრი ხომ ნიმროდის თანამგზავრიცაა და მარადი მეკვლეც.

ევფრატის წყალი ხმაურით შეეგება ნიმროდს. ნიმროდი საძოვარზე მიუშვებს თავის ბედის ბედაურს და ბრძენი ბუც შეიფრთხიალებს, აიჭრება მაღლა და სივრცეს შეერევა.

– სალამი შენდა, წყალო დიდო! ევფრატია სახელი შენი და მიიევფრატებოდე მინდა მარადის! მიმოიხედო ირგვლივ, ხილული იყოს შენთვის ირგვლივეთი, იზარდე, წყალო ჩემო! დაე, მიმდინარეობდე! ასე წყალუხვი და უძლეველი, მაგრამ ევფრატად რჩებოდე შენ, შუამდინარეთის დიდებავ!

– მოგესალმები ნიმროდ, დიდი მხედარო და გმირო მონადირევ! გზა გქონოდეს ქვეყნის დასალიერამდე და სიცოცხლეც არასოდეს მოგბეზრებოდეს! გიყვარდეს სიცოცხლე!

– ნურც შენ მოგკლებოდეს სიცოცხლის ჟინი, ჩემო მდინარევ, იდინე შენთვის და ჩვენთვისაც, წყალო დიდო და დალოცვილო!

– შემსვი, ნიმროდ, მაგრამ სული მოითქვი, სანამ შემსვამდე! იქ, მართლაც მოგელის შენი კედარი, გელის მოწყურებული! ჰოდა, შენც მიართმევდე იმას ამ ჩემს ევფრატის წყალს!

ნიმროდიც დაეწაფა ევფრატის წყალს. მოიკლა წყუვრილი. ძალა შეჰმატა წყალმა და წყლის დუდუნიც გაიგონა ამ დროს:

– უკვდავების წყალი ვარ მე, ნიმროდ, დაგეწმინდება სისხლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახალი ფიქრებითაც აღიჭურვები! ჰა, შენ ფიქრიც ჩემი!

და გაიგონა ნიმროდმა: – მინდა ვიცოცხლო! არასდროს გავილიო, ვიდინო უკუნითი უკუნისამდე! გავწვდე მთლად დედამიწას!

– წყალო დიდო! ვფიქრობ მეც შენებრ: მთელი ამ მიწის მფლობელი ვიყო და მინდა შენ იყო მისი გამნაყოფიერებელი, მაგრამ მძიმე ტვირთადაც ნუ დააწვები, ისუნთქოს თავისუფლად და ისუნთქოს ყველამ ამ მიწაზე მოსიარულემ, მოცურავემაც წყალში და ჰაერში მფრენმაც... სულდგმულმა ყოველმა.

– დე, იყოს ისე, როგორც შენ გსურდეს, ნიმროდ! ჩვენ გვესმის ერთი მეორის! ჰოდა, შეავსე ეს შენი ქვევრი ამ ჩემი წყლით და აუტანე კედარს! იცის კედარმა, ჩემთან რომ შეყოვნდი და გელის მოუთმენლად. ბევრსაც ნუღარ დააყოვნებ! იქიდან მობრუნებულს გზას მე დაგილოცავ! შენ შენი ბედის ბედაური გყავდეს და ის შენი ბრძენი ბუ და... საკვირველებაა ერთიც და საკვირველებაა მეორეც! მაგრამ ყველაზე დიდი საკვირველება თვითონ შენა ხარ, ნიმროდ!

ნიმროდმა გულზე მიიდო გაშლილი ხელი: – განგებავ ჩემო, მომეც ნება იმისა, რომ გამდინარდეს ჩემში ევფრატის წყალი, მზერა მივადევნო იმის მდინარებას და თვალიც არასდროს დამიხამხამდეს!

– ნიმროდ, სწორედ აქედან უნდა დაიწყო, შენ უნდა მოიცვა სრულიად დედამიწა აღმოსავლიდან დასავლეთამდე და ჩრდილოეთიდან- სამხრეთამდე, მაგრამ იქამდე, სანამ გააგრძელებდე ამ გზას, კიდევ ერთხელ უნდა გაისარჯო! როგორ? ახლავე გეტყვი: მე ავდიდდები, ავმღელვარდები, მოვედები მთელ შუამდინარეთს, დაიტბორება ბაბილონი, მაგრამ დავცხრები ზუსტად ამ კვირის სწორს. ადიდდება ტიგროსიც და იფიქრე, ნიმროდ...

იცი, კი რას გეძახიან ჩრდილოეთში... ნებროთია შენი ჩრდილოური სახელი. ეს უნდა იცოდე შენ! და როცა დავმშვიდდები, მოდი მაშინ ჩემთან და გზას დაგილოცავ!

ნიმროდმა თავი დაუკრა ევფრატის წყალს და იმანაც გამოსძახა:

– სანამ წყლის ენა გესმის, სანამ მიწის ენა გესმის, გესმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი სულდგმულის და კითხულობ სულიერებადაცლილი საგნის ფიქრსაც, შენ არაფერიც არ გაგიჭირდეს!

ნიმროდმა პირი მწვერვალისკენ ჰქნა. წყლის თვალი კედარისკენ მიაცილებდა უკვე.

... მიესალმება კედარიც ნიმროდს: ტოტებს ძირს დახრის და ათასი ქარის ხმით აშრიალდება. და ამ შრიალში ნიმროდი გაიგონებს: – ნიმროდ: როცა გულმა გითხრას, კედარს მოწყურებიაო და შენც წამითაც რომ არ დაგაგვიანდება, ე მაშინ ხარ ნათელმხილველი. ჰოდა, დროზე მოსულხარ, ნიმროდ! სალამი შენდა!

– მოგესალმები მეც, კედარო! – იტყვის ნიმროდი კრძალვით, მაგრამ ისე ხმამაღლა, რომ ზეცასაც შეწვდეს მისი ხმა.

მიიღებს კედარი ევფრატის წყალს, მოიკლავს წყურვილს და აიშოლტება თავისებურად, ამაყად გაშლის მხრებს, ტოტებს აიტყორცნის მაღლა, ახალ სისხლს ჩაიყენებს ძარღვებში, ძველებურადაც აშრიალდება და ნიმროდსაც აუწრიალდება სული, სახარულისგან ლამის გული ამოუვარდეს.

ნიმროდმა სული შთაბერა კედარს და დიდ სიცოცხლისთვის განაწყო იგი. ამიტომ იყო, რომ მადლობას ქარის ენით ეუბნებოდა კედარი: თან მომისმინეო, თხოვდა: – ნიმროდ, შემახე ხელი და გადმოვა შენში ძალა ჩემი და შემართება. და როგორც გითხრა ევფრატის წყალმა, გაისარჯე ერთხელაც და მეც დაგილოცავ გზას. ჰო, უნდა მოიცვა შენ დედამიწა სრულიად და იგი ზეცაც, მიწას ჩვენსას რომ ზედ დასწოლია.

თვალიც წამიყოლებია შენთვის, რომ წინ წარგიძღვეს... შენს წინაშეც არა იყოს რა ისეთი, რომ ვეღარ სძლიო! წინ, წინ, ნიმროდ! წინ, სულო, შენ ძალგულოვანო!

– დრომ ვერაფერი დაგაკლოს შენც, კედარო ჩემო! – აღმოხდა ნიმროდს, სულამძლავრებული დაეშვა ქვევით და შეპირებისამებრ მიეახლა ევფრატის წყალს.

მერე აღარაფერი უთქვამთ ერთი მეორისათვის, უსიტყვოდაც ესმოდათ ერთმანეთის.

მოწყურდა ისევ და ევფრატის წყალმა მოაკვლევინა წყურვილი (ლამის დამშრალიყო წყალი ევფრატის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნიმროდ! წახვალ და კიდევ რომ მოგწყურდეს, იცოდე: მოგ-ნატრებივარ (მომიხილავდე ფიქრით მაინც). მეც ავმღელვარდე-ბი მაშინ და მოვედები მთლად შუამდინარეთს, მაგრამ არაფერს დავაშავებ! დავარწყულებ მოწყურებულს და გავანაყოფიერებ. უხმე მაშინ შენს ხალხს, ჩააყენე ჩემს წყალში, მათ თვალწინ და მათს გასაგონად მიბრძანე, დავცხრე და დავუბრუნდე ჩემს სავალ წყალ-გზას. ეს: ამ კვირის სწორს, ნიმროდ! დროც შეარჩიე შენ ისეთი, რომ არა რაი დაგიშავდეს რა: ნაშუადღევი, როცა მზე ზენიტზე შედგება.

და ტალღამაც მოაშურა ნიმროდს. აღარც ნიმროდი გარიდებია წყალს. ისიც წელამდე შემოწვდა: ეფერებოდა წყალი კაცს. ნიმ-როდიც შეჰყვა სიღრმეში და ტალღამაც დაიხია უკან. ახლა კოჭ-ებამდე წვდება.

– ნიმროდ, ნათლიაც ვარ შენი დღეიდან!

ნიმროდმა თავი დაუკრა ევფრატის წყალს: – შენ – ნათლია ჩემი, მე კი – ნათლული შენი!

„მე – ნათლია შენი, ნიმროდ, შენ კი – ნათლული ჩემი...“ – ჩაიდუდუნა ევფრატის წყალმა და მოეფონა დუდუნი იგი ნიმრო-დის გულს. – პირობა ხომ არ დაგავიწყდება?

– ჰო, მოვედები ცასა და ქვეყანას...

– იფიქრე, ნიმროდ!

და ფიქრობს ნიმროდიც...

* * *

ფიქრობს ნიმროდი: „ცაბაოთს მხოლოდ ნოესი ესმის. შეუთანხმდნენ ერთმანეთს და ქამი დაწყევლეს. რატომ? ნოე რომ ამხილა! დაწყევლეს იმიტომ, რომ სიმართლეს ამბობ-და. შეაჩვენეს ქამი, მოდგმა მისი და დაადგინეს: რომ ქამიტები (შეჩვენებულები) ქვეყნიერების დასასრულამდე მოემსახურე-ბოდნენ სემიტებსა და იაფეტიანთ. ქამმა კი აღარ ინდომა ყო-ფილიყო თავისი ძმების ყურმოჭრილი მონა და განუდგა ნოესაც და ცაბაოთსაც...“ – ფიქრს წაეღო ნიმროდი: „სწორად მოიქცა ქამი! – ადგილიდან წამოიჭრა თვალებაელვარებული ნიმროდი, –

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნიმროდი მორჩილი?! კიდევ რას ისურვებდით ბატონო ნოე და ბატონო ცაბაოთ?! – მიაყურადა ავისმომასწავებლად აღმუვლებულ ჩრდილოეთის ქარს.

და ესმა ნიმროდს, რომ ეძახდნენ, მაგრამ ქარი არ იყო ეს. გადაიხედა სარკმლიდან და ხალხი იხილა, ბაბილონელები გარს შემორტყმოდნენ კოშკს. ირგვლივ წყალი და მხოლოდ წყალი(!)

ძირს ჩამოვიდა და ბორცვზე შედგა. – ნიმროდი მოგესალმებათ ყველას! ნიმროდი გისმენთ!

ერთი წარმოსადეგი მოხუცი უშიშრად გამოეყო ხალხს და თვალი გაუსწორა ნიმროდს: – ვხედავთ, შენი კოშკია უვნებელი... ლამის წაიღოს ევფრატის წყალმა ჩვენი ბაბილონი! კოშკი კი დგას, მეფეთ-მეფეო, დანარჩენი წყალს ჩაუყლაპავს...

– ევფრატის წყალი მართლა არ ხუმრობს, – თავისთვის ჩაილაპარაკა ნიმროდმა, მაგრამ მიუვიდა მისი ნათქვამი ხალხს.

– იქნებ ევფრატის წყალში ნიმროდის კოშკიც კი დაიფაროს... – ხმას დაუწია იმ წარმოსადეგმა მოხუცმა და ნიმროდიც შეცბა:

„მაგრამ ევფრატი ხომ უნდა აღელვებულიყო?! ეს მეც ხომ ვიცოდი?! ევფრატის წყალი: ჩემი ნათლია და მე – მისი ნათლული... და ხომ მოვილაპარაკეთ ჩვენ... – გაუნათდა უცებ გონება, ხელები მაღლა აღაპყრო: – წარღვნა, ხალხნო! ეს უკვე მეორედ! ნეტა რას გვერჩის ჩვენ ცაბაოთი?!

– რას გვერჩის, რა დაგვიშავებია მისთვის? – იკითხა წარმოსადეგმა მოხუცმაც.

– რას გვერჩის, რა დაგვიშავებია? – ხმა აღიმაღლა ხალხმა, ენა ამოიდგა.

– მერე და ნიმროდისგან რაღას ითხოვთო, საკუთარი ხმა ეუცნაურა ნიმროდს და შველასო, ამოთქვა იქაურობამ. და რა შეუძლია ნიმროდსო, თითქოს თავის თავს ცდიდესო, კი აღარ უკითხავს, თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ როცა უჭირს ხალხს, ფოთლის შრიალსაც გაიგონებს:

– ნიმროდი შეუძლებლის შემძლეა! – დაიგუნუნებს ხალხი და ნიმროდისკენ გამოწოდინდება ათასობით წყვილი ხელი.

ნიმროდი მხრებში გაიშლება, მაღლა ასწევს თავს და ზეცას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუღერებს მუშტს: – ეს უკვე მეორედ ცდილობს ცაბაოთი წარღვნით დაგვაშინოს! მე ვერ დამაჩოქებს, მე ჩემს ხალხსაც არ მივცემ იმის უფლებას, ქედი მოიდრიკოს იმ ცრუ ღმერთის წინაშე. ბაბილონელებო, ცაბაოთი სცოდავს!

– ნიმროდ...! – გამოსძახა იმ წარმოსადეგმა მოხუცმა: – შენ მეფეთ-მეფე ხარ, დიდი ხელმწიფე და ქურუმთ-ქურუმი! ამიტომ: ყოვლისშემძლეც უნდა იყო! უნდა დაგვიცვა... – აქ ცოტას შეყოვნდა, მაგრამ თავს შეუძახა და ერთობ ხმამაღლა წარმოთქვა: „ყველაფერი ცაბაოთისგან გვჭირს!“

აქ წამით ჩაფიქრდა ნიმროდი და გაახსენდა, იფიქრეო, ევფრატის წყალი რომ მოითხოვდა მისგან. ცივმა ოფლმა დაასხა. იგრძნო, ახლა წყდებოდა მისი და ბაბილონის ბედიც! „მე მეფეთ-მეფე ვარ და ქურუმთ-ქურუმი და ამის შეხსენება სხვებისგან არც უნდა მჭირდებოდესო“, გაივლო გულში და ისევ მიენდო ფიქრს, რომ წინ წამოდგა ნაბიჯი იმ წარმოსადეგმა მოხუცმა და მიმართა ნიმროდს:

– მეფეთ-მეფეო... – განგებ შეყოვნდა და თვალი გაუსწორა ნიმროდს, – დიდო ხელმწიფევ და ღვთის სწორო მეუფევ ჩვენო, – კვლავ ჩაფიქრდა და ნიმროდის თვალშიც უმალ გაიზარდა იგი.

საკუთარ გულს მიაპყრო ყური ნიმროდმა და ასეც ესმა: „მიენდე ამ წარმოსადეგ მოხუცს. იგი ფიქრის კაცია და შეუძლია ისეთი რამ მოიფიქროს, რომ... – იცოდა, რასაც ეტყოდა გული და სიტყვა ისევ თავის თავს დაუთმო:

– დიახაც, მე ვარ თქვენი ერთადერთი დამცველი – ნიმროდი! – შესძახა და ხალხისკენ გადადგა ნაბიჯი.

– ევფრატის წყალი არ ხუმრობს, მეფეო... – ამოიგმინა ხალხმა, მაგრამ ნიმროდმა მსწრაფლ შეუსწორა ხალხს.

– ცაბაოთი არ ხუმრობს, ხალხნო!

– დაგვიცავ ცაბაოთისგან, მეფეთ-მეფევ და დიდო ხელმწიფევ! – ეს სიტყვები იმ წარმოსადეგ მოხუცს ეკუთვნოდა, კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ქარმა წაართვა დანარჩენი სათქმელი.

და ისევ მოაგონდა ნიმროდს ევფრატის წყლის რჩევა, „ნიმროდ, იფიქრეო!“

„მე მოვიფიქრე, წყალო დიდო...“ – წამით შედგა და ხალხის გასაგონად ხაფი ხმით შესძახა: – გიბრძანებ, შესდექი წყალო ევფრატისავ! უკან ჩაიხიე!“ – სიტყვას აქ გაწყვეტს და ახლა მხოლოდ ევფრატს მიმართავს გულში: „არ გამიჯავრდე. სინამდვილეში კი არ გიბრძანებ, გთხოვ და ნუღარაფერს ავნებ ჩემს ხალხს, ჩემს ბაბილონს...“

და ევფრატის წყალიც თავს უკრავდესო თითქოს, ბრძანეო, ნიმროდ, ჩაიდუდუნებს და ნიმროდიც გამოერკვევა ფიქრებიდან: – ევფრატის წყალო! დადექ და ნუღარ დაემორჩილები ცაბაოთის ნებას, უსმინე ნიმროდს: დადექ და ჩემი ხალხიც შენს წინაშე მოიყრის მუხლს!

და შედგა ევფრატის წყალიც. იხევს უკან-უკან, უბრუნდება თავის თავს.

– დიდება – ნიმროდს! დიდება – ევფრატის წყალს! – ხმას აღიმაღლებს ის წარმოსადეგი მოხუციც, რასაც მოჰყვება ხალხის „დიდება – ნიმროდს! დიდება – ევფრატის წყალს!“

– დიდება – მარდუქს, ღმერთების ღმერთს! – აღმოხდება ნიმროდს და ექოსავით გაისმის: „დიდება – მარდუქს, ღმერთების ღმერთს!

– ხალხო, მე კი შემაძლებინეთ, რომ გემსახუროთ თქვენ – ბაბილონელებს, მე მსახური ვარ თქვენი! – ბრძანებს ხალხის თვალში უსაშველოდ ამაღლებული ნიმროდი.

და „შენთან გვიგულვეო!“ ნიმროდისაკენ გამოიწვდენს ორივე ხელს ის წარმოსადეგი მოხუცი.

„შენთან გვიგულვეო!“ ამოიხრიალებს მთლად იქაურობა და გრძნეული გულიც აუძგერდება ნიმროდს:

– ბაბილონელებო! ვინ გვიმღვრევს წყალს, ვის მიუძღვის ბრალი იმ უბედურებაში, რაც ამ ბოლო ხანებში გვჭირს?!

და სულის გამაწვრილებელი დუმილიც ჩამოწვება, მაგრამ ამ დუმილს ისევ ის წარმოსადეგი მოხუცი დაარღვევს: – მეფეთ-მეფეო და დიდო ხელმწიფევ, მეუფევ ჩვენო... – ჩვენი ხალხი დაბნეულია და იქნებ თქვენ გაგვარკვიოთ ამაში. და რატომ არ ვაზღვევინებთ დამნაშავეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდიც: ვაზღვევინებთო, უნდოდა აღეთქვა ხალხისთვის, რომ გადაიხსნა ზეცა და იელვა. ციდან გადმოსკდა წვიმის ნიაღვარი და ნიმროდმაც ამოთქვა: – ცაბაოთი ისევ სცოდავს, ხალხნო!

და: – ძირს ცაბაოთიო! იგრიალა ხალხმა. – დიდება, ნიმროდს!

და ისევ შესთხოვს ნიმროდი ევფრატის წყალს, დაინდოს ბაბილონი და ბაბილონელები. წვიმაც შეწყდა, რამაც ასე გააკვირვა თვითონ ნიმროდიც: „ვერაფერი გამიგია ამ ცაბაოთის...“ – წამოდგა შეფიქრიანებული, მაგრამ ის კი არ დავიწყებოდა, საბოლოო სიტყვა მასზე რომ იყო და ბრძანა კიდეც: – ხალხნო, ისმინა ჩვენი ევფრატის წყალმა. – კოშკის ირგვლივ წყალი დამწყდარიყო.

– და გვეღირსება კი მანათობელი მზე? ნუთუ ისევ ამოვაო? – დრტვინავს ხალხი, და ესმის მისი ნიმროდსაც: – დარწმუნებულია, ამოვა მზე, მონატრებია იმასაც ბაბილონი! – ერიდუ წმინდა ადგილია, ერიდუ ხელუხლებელია, ცაბაოთმაც ვერ გაბედა, დაეშავებინა მისთვის! მაგრამ რჩებოდეთ ერიდუში! – თქვა და ბრძანა კარვების გაშლა.

– მაგრამ თქვენ რაღაც გეეჭვებათ მაინც... – თითქოს სულში ჩახედა ნიმროდს იმ წარმოსადეგმა მოხუცმა და ნიმროდსაც აბურძგლა ტანზე.

– დიახაც, რომ მეეჭვება... – ხმას დაუწია ნიმროდმა და ბაბილონსაც აეწვა სული.

– და რას გულისხმობს ჩვენი მეფეთ-მეფე და დიდი ხელმწიფე, მეუფე ჩვენი? – ისევ ის წარმოსადეგი მოხუცი იკითხავს,.

„უნდა შევაძრწუნო ეს ხალხი, რომ მიერთგულოს, აღარასოდეს განმიდგეს!“ – ფიქრობს ნიმროდი: – ვიცი, როგორც მოვიქცე!“ – ამოთქვა.

– ნიმროდს სრულიად ბაბილონი უსმენს, ჩვენს მეფეთ-მეფეს და დიდ ხელმწიფეს, ჩვენს მეუფეს... – თვალებში სითბო ჩაღვრია იმ წარმოსადეგ მოხუცს: – ნიმროდი ბაბილონის სულია!

„ეს მოხუცი ვინ მომიგზავნა ნეტა?!“ – თვალი შეავლო ნიმროდმა წარმოსადეგ მოხუცს: „ეს რომ არ გამომცხადებოდა, შეიძლება გამჭირვებოდა კიდეც...“ – ფიქრი მოიწყვიტა და სათქმელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იც მოადგა ენის წვერზე: – ხალხნო, ბაბილონელებო, ცაბაოთმა თავი შეგვახსენა, მაგრამ ეს არაა წარღვნა... წყალდიდობას დასჯერდა ჯერჯერობით, მაგრამ მართლა მოგვივლენს წარღვნას, წარღვნა წაგვლეკავს! მაგრამ მე შემიძლია დაგიცვათ! მაგრამ...

მაგრამო?! – ფერი წაუვიდა წარმოსადეგ მოხუცს. ხალხს სუნთქვა შეკვროდა.

– მაგრამ ჩვენ გულზეც ვეღარ დავიკრეფთ ხელს. ეს ჩვენს სიკვდილს მოასწავებს!

– და რას ფიქრობს ჩვენი მეფეთ-მეფე და დიდი ხელმწიფე, ჩვენი მეუფე? – კითხვას სხვა ვიღა დაუსვამდა ნიმროდს, თუ არა ის წარმოსადეგი მოხუცი.

– ჩემი რჩევაა... – სიტყვა ენის წვერზე შეიჩერა ნიმროდმა.

– თქვენი რჩევა, დიდო ნიმროდ... – ამოთქვა მთლად ბაბილონმა, დღეს ერიდუში რომ გამომწყვდეულიყო.

– ჩემი რჩევაა... – თვალი შეავლო ნიმროდმა ხალხს, – კოშკი ავაგოთ უუმაღლესი აქ, ერიდუში, თვალუწვდენელი გოდოლი, ბაბილონის გოდოლი, ბაბილონელებო! ცაბაოთი ვეღარაფერს გახდება გოდოლთან, ვერც მისი წარღვნა დაგვაკლებს რამეს და კიდევ ვინ უწყის, რა უბედურებას მოგვივლენს, თუ ფხიზლად არ ვიქნებით და დროზე არ ავაგოთ ჩვენი გოდოლი?! იგი ცაბაოთის საბრძანებელს ასცდება. ბაბილონელებო, ჩვენ ეს უნდა შევძლოთ! შეუძლებელი შევძლოთ! ასე უნდა დავიმკვიდროთ თავი! დედამიწა ერთი პაწია წერტილია ამ უსასრულო სამყაროში და უნდა ავმაღლდეთ, უნდა გავნათლდეთ და ისე გავბრწყინდეთ, რომ თვალი მოვჭრათ ცაბაოთს. ჩვენ ამას შევძლებთ, შევძლებთ იმიტომაც, რომ ბაბილონელები ვართ, ჩვენი ფესვები ქალდეაშია და ერიდუა მისი ყველაზე მაღალი წერტილი. გვეამაყებოდეს, რომ ქალდეველები ვართ! ჩვენ ავაგებთ ბაბილონის გოდოლს და შურსაც ვიძიებთ ცაბაოთზე, წარღვნა რომ მოუვლინა ერთხელ კაცობრიობას!

– ძირს ცაბაოთი! – შესძახა იმ წარმოსადეგმა მოხუცმა და ხალხმაც ბანი მისცა, ძირს ცაბაოთიო!

– ძირს ცაბაოთი! – გაისმის ყოველის მხრიდან. გუგუნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილონის ერიდუ.

– და დავემოჩილოთ ცაბაოთს, რომელსაც არაფრად უღირს ადამიანთა სიცოცხლე?! – იკითხავს ნიმროდი.

– ძირს ცაბაოთი! – ამოიგმინა ბაბილონმა.

– ბაბილონი აღზევდება! – გაიძახის ნიმროდი, – ამაღლდება ბაბილონი და დაე, გაუსკდეს გული ცაბაოთს ბაბილონისა და ბაბილონელთა უარმყოფელ ცრუ უფალს! ბაბილონელებო, როგორ ფიქრობთ, უნდა დავემოჩილოთ ჩვენ ნოეს, სემისა და იაფეტის ღმერთს?!

– ამნაირი ღმერთის მორჩილება იგივე მონობაა! – ამოიძახა იმ წარმოსადეგმა მოხუცმა, – ბაბილონელებო, თქვენ ღირსი ხართ, იყოთ თავის უფალი! და თავის უფალი რომ გახდეთ, თავი უნდა დაიხსნათ ცაბაოთისგან. ძირს ცრუ ღმერთი! გაუმარჯოს ნიმროდს! – მოწოდებას წამიერი დუმილი მოჰყვა, მაგრამ წამიც და დაირღვა დუმილი:

– ძირს ცაბაოთი – ცრუ ღმერთი, გაუმარჯოს ნიმროდს!

– ჩვენი ღმერთი ნიმროდია! – ამას ვინ იტყვის, თუ არა ის წარმოსადეგი მოხუცი.

– ჩვენ გვინდა ახალი ღმერთი, ყველა ღმერთზე აღმატებული! – ამის მთქმელი აღარ ყოფილა ის წარმოსადეგი მოხუცი. ეს იყო ახალგაზრდა გოლიათი, თვალები იმ წარმოსადეგი მოხუცივით რომ აელვარებოდა.

„ეს იმ წარმოსადეგი მოხუცის შვილი უნდა იყოსო,“ – გაუელვა ნიმროდს.

– ახალი ღმერთი?! – ხელები გაშალა წარმოსადეგმა მოხუცმაც და გულში ჩაიკრა ახალგაზრდა გოლიათი, რომელმაც ახალი ღმერთის მეუფება ინდომა, – მაგრამ ვინ, შვილო ჩემო, – იკითხა, – ნიმროდი?!

– ნიმროდი – ღმერთი ჩვენი! – აიტაცეს იმ წარმოსადეგი მოხუცის თითქოს და ჯერაც ვერ გაცხადებული იდეა-აზრი. ხალხი იჩოქებს და ლოცვას აღავლენს ახალი ღმერთის – ნიმროდის მიმართ.

„ნიმროდს გაუმარჯოს – ახალ ჭეშმარიტ უფალ ღმერთს... –

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში გაივლებს ნიმროდიც: – ნიმროდი – ცისა და მიწის ღმერთი, ხილულისა და უხილავის შემწე და მწყალობელი, მფარველი ყოველთა კაცთა!“

ხმაური მოულოდნელად შეწყდა, მიწყნარდა და ჰანგებად დაირწა, სივრცე ღვთიური სიმივით აჟღერდა.

ქურუმთა გუნდი გალობდა...

– გოდოლის შენებას ხვალიდან, მზის ამოსვლამდე ვიწყებ! – ბრძანებდა ნიმროდი....

* * *

იქ ქარდუხში კი:

სძლია მომხდურ ტომებს თარგამოსმა. მტერი განადგურებულია. აღალი ქარდუხისკენ გამოუყენეს გზას.

ქარდუხისკენ მომავალმა გზამაც ამოიაღმართა და ლაშქარმაც გადმოლახა მთები. გამოივაკა.

გზაჯვარედინზე შედგა ლაშქარი, ლაშქარს ქართლოსის ათასეული გამოეყო და აღმოსავლეთისკენ დაადგა გზას.

ლაშქარი თავის გზას დაადგა.

თავთავიანთ რაზმებს მოუძღვებიან ბარდოსი და მოვაკანოსი, ლეკოსი და ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი. თარგამოსი კმაყოფილია, როგორც ივარაუდა, ისეც აღსრულდა. ამბის მიმტანიც არ გაუშვიათ ცოცხალი.

* * *

ქრონიკებიდან:

„...ქართლოსი თავისი ათასეულით მივიდა იქ, სადაც არაგვი შეერთვის მტკვარს, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელად თვისი ქართლოს, შემდეგ განავრცო ქვეყანა ესე და იმ დღიდან ამ უძლიერეს ქვეყანას ქართლოსის ძლიერი და სამართლიანი ხელი მართავს. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ჰერეთი (ჰეროსის ქვეყანა) და მდინარე ბერდუჯი; დასავლით: პონტოს ზღვა, სამხრეთით მთა მიჰყვება ბერდუჯის მდინარეს და მთა, რომელიც მიუყვება დასავლით. წყალი მისი მიედინება მთათა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კლარჯეთი და ტაო) ვიდრე ზღვამდის; ჩრდილოეთ საზღვარი – ღადო... მთა მცირე. იგი გამოივლის შტოდ კავკასისაგან და მიქცევის წვერი მისი დასასრულსა ღადოსა და ამათსა ზღვარზე-და მიეცა ქართლოსს. განვიდა ქართლოს მას ზედა, რომელსაც ჰქვიან არმაზი. პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა და ვიდრე აღმართამდე დაიშენა სახლი და უწოდა მას სახელი ქართლი...“

* * *

ქარდუხში მობრუნებულმა თარგამოსმა უპირველესად ებერი მოინახულა. ხამი ტილოს ნაჭრით დაეფარა ებერს ნოეს ქანდა-კება. ქვევით ხის სადგომებზე მოჩანდა ნოეს კიდობნის ჩონჩხი სიგრძით ოცი წყრთისა, ათი წყრთის სიგანისა და ხუთი წყრთის სიმაღლისა (ამ ზომებში ხომ ადრევე შეთანხმებულიყვნენ თარ-გამოსი და ებერი).

– ებერს მივესალები, სემის ღირსეულ შვილთაშვილს!

– გამარჯვებულ თარგამოსს – იაფეტის შვილთაშვილს მივე-სალმები მე – ებერ!

– როგორც ვხედავ, დაგისრულებია ქანდაკება...

– ხვალ თუკი მოიცლის დიდი ბატონი, შეიძლება საზეიმოდ გავხსნათ ნოეს ქანდაკება... – მღელვარებას ძლივს იოკებს ებერი და თვალს გაუსწორებს მბრძანებელს.

– ებერ, მართალი გითხრა, მეეჭვებოდა, ასე მოკლე ხანში თუ მოასწრებდი ქანდაკების დასრულებას. მიხარია! ასე რომ, ხვალ, მზის ჩასვლამდე,. იქნებ ნაშუადღევსაც იხილოს მზის სინათლე შენმა ქანდაკებამ, ებერ! უმჯობესია ნაშუადღევს, როცა ამ ქვეყ-ნად ყველა და ყველაფერი კარგავს ჩრდილს...

და ებერსაც გაეცინება გულში: „ნიმროდს კი არც ეკარგე-ბა ჩრდილი... იგი არაფერს კარგავს უბრალო მოკვდავივით...“ – გაიფიქრა, მხოლოდ აღარაფერი უთქვამს.

თარგამოსი წვდა ებერის ფიქრს, მაგრამ ასე გაბუნდო-ვანებულს უკვე: „კი გაიფიქრა რაღაც ებერმა, მაგრამ სუდარაში გაახვია და გულში ჩაიხვია. მაგრამ ეს მისი ნებაა... და მე რა მე-საქმება იმის ფიქრებთან?!“

„ნეტა რას ფიქრობს ჩემზე...“ – ფიქრი აღარ მოასვენებს ებერს.

თარგამოსმაც ახედა ჩამავალ მზეს და ხმადაბლა, მაგრამ ისე, ებერს რომ გაეგონა: – ჯერ არ ჩასულა, თითქოს ჩვენს დაბრუნებას ელოდაო, – მუხლებზე დაეშვა და ებერმაც მას მიბაძა.

თარგამოსმა მაღლა აღაპყრო ხელები და ცაბაოთის სადიდებელი ლოცვა აღავლინა, შემდეგ საგალობელი უძღვნა მზეს, წამოდგა მხნედ, ამხედრდა თავის უზარმაზარ ლურჯაზე და ებერს მიუბრუნდა: – მაშ, ხვალ, ნაშუადღევს! სიტყვა შენზეა! დღეს კი დიდი ლხინი გვაქვს „ჩემს ფაცხაში“ და ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელოს ნიმროდის ყანწით შევსვამ!

* * *

ძილი არა და არ ეკარება თარგამოსს. ბევრი რამ ჰქონდა გადასაწყვეტი, მაგრამ საიდან დაეწყო, ეს აღარ იცოდა. მაინც რომელი, ეპირველებოდა?

– თარგამოს!... – გაიგონა, მაგრამ აქ მიწყდა ხმა და თავის ფიქრის კუთხეში ჩამჯდარი თარგამოსი ზეწამოიჭრა.

– რომელი ხარ, რომ მიბრძანებ თვითონ მბრძანებელს და თქმით კი არაფერს მეუბნები?

– მეგონა, ხმითაც მიცნობდი, მაგრამ ერთობ უდღეური მეხსიერება გქონია. საკუთარ დიდებას დაუბრმავებიხარ... – გააზმორა ზეცამ და თარგამოსსაც გადაედო მისი ზმორება.

– მსაყვედურობ?! ისეთი მტრის შემოტევა მოვიგერიე, რომ...

– ის მტერი სინამდვილეში შენი სისხლხორცია... მისი გაწირვა კი არა, წვრთნა გმართებს, თარგამოს! შენ კი მხეცურად მოქცევიხარ, ამბის მიმტანიც კი არ გაგიშვია... ერთობ სასტიკი განაჩენი გამოგიტანია.

– აბა, კისერი მიგვეშვირა მათი ალესილი ხმლებისთვის?

– ხალიბები, მოსინიკები და სხვანიც და სხვანიც თქვენი მოძმენი არიან და... – ხმა დაუბოხდა იმას, ყველაფერს რომ ხედავდა იმ სიმაღლიდან.

– უფალო... – ხმა გაებზარა თარგამოსს.

– ჰო, ნოეს, სემისა და იაფეტის ღმერთი ცაბაოთი ვარ! – ცამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარბი შეიკრა, მაგრამ გაბრაზება არც უფიქრია, ნაწყენი კი ნამდვილად ჩანდა.

თარგამოსს გააჟრიალა ტანში, შეეშინდა, არაფერი შეშლოდა, უკადრებელი არ ეკადრებინა თვითონ უფალი ღმერთისთვის და პირი მოკუმა: უდიდესისთვის უმცირესი ხარო, არ წამოცდენოდა.

და პირი გაიხსნა ზეცამაც: – თარგამოს, მაინც ვინ გეგონე?

– გიცანი, მაგრამ ვეჭვობდი, ვინმე უღირსი, უმცირესთაგანი არ ამომემაღლებინა შენამდე, უფალო ღმერთო, ამიტომ...

– დუმილი ოქროაო, ვხედავ, ესეც გსმენია, თარგამოს, მაგრამ ყოველთვის ჭეშმარიტებაც როდია ეს გამონათქვამი? დრო ყოველისფერს აუფასურებს, თარგამოს... ნიმროდივითაც უმადური არ უნდა იყო... მაგრამ ხვალამდე თარგამოს!

* * *

ნიმროდი წარსულს გადაწვდება ფიქრით: ადამიანთა მეხსიერებიდან არ ამოიშლება ის ორმოცი დღე... ნოეს კიდობანი და მასში მყოფი ადამიანები, ცხოველნი, ფრინველნი და ყველა ჯურის სულდგმულნი...

და უსმენს ევფრატი: – ჰო, ლამის გამწყდარა მაშინ ადამიანთა მოდგმა და სხვანი და სხვანი...

– ჰოდა, წყალო დიდო, დაინდე შუამდინარეთის მიწა, ნუ მოგვანატრებ მიწას... დაგვიბრუნდი, წყალო ჭეშმარიტო, შენ ხომ მარჩენალი ხარ ჩვენი, ყურთასმენას გვიამებდა შენი საამო, დამამშვიდებელი დუდუნი.

– გმადლობთ, ნიმროდ ამ სიტყვებისათვის. მეც ხომ ადამიანივით ვარ – კაი ახირებული ვინმე! აღარც კი ვიცი, რა მჭირდა და რა მემართებოდა... საკუთარ თავში ვერ დავტეულიყავი. ამას წინ რომ მთხოვე, იკმარე საკუთარი სულიდან გადმომდინარებაო, კარგადაც ვერ გაგიგე მაშინ შენი თხოვნა და რატომ ისე ვერ უნდა მოვიქცე., როგორც მომეგუნებებაო. ჰოდა, გადავირიე, გონება თუ მქონდა დაბინდული.

– ვიცი, ვინც აგირია გონება, ამ დღეში ჩაგაგდო და კიდევ კარგი, ბოლომდეც რომ აღარ მიენდე... შენი სიბრძნის იმედი ყოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელთვის მქონდა, წყალო დიდო...

– მართლა კინაღამ არ მივენდე და ხომ ვუღალატებდი საკუთარ თავს, ჩემსავ მრწამსს, ცოტაღა დამაკლდა წარღვნად რომ ავმღელვარებულიყავი...

– დიდება შენ და, წყალო დიდო!

– ნიმროდ, სულს ეამა შენი საგალობელი და ახლა საკუთარ სულში რომ ვიხედები, ცხადი ხდება ჩემთვის, რომ მაშინ მთლად ევფრატის წყალიც აღარ ვიყავი... – თქვა და წყალიც დადგა.

– დიდება შენ და, წყალო დიდო! – ამოთქვა ნიმროდმა.

– მეორედაც კინაღამ არ მაცდუნა?!

– გალახულია ბაბილონი, წყალო დიდო... ეს შენ შემოგელახა ჩვენი მიწა... გოდებს შუამდინარეთი... შუამდინარეთის წმინდა მიწა! შეიბრალე, შეიწყნარე ჩემი ხალხი, ლამის შენით მოგვეღოს ბოლო. კი, დადექი, მაგრამ რატომ უკან არ ჩაიხევ, რატომ გადაუხვიე შენი ოდინდელი გზიდან?! ადრე: შენით ვხარობდით, გვახარებდა შენი უწყინარი მდინარება, ბაბილონელთა სული შენით იყო სავსე და ბედნიერიც.

და იდგა წყალიც თავისთვის, თითქოს რცხვენოდესო. თავისი თავის რცხვენოდა.

და უცებ: ჰაერი აღარ ეყოო თითქოს, ღრმად შეისუნთქა, შეისრუტა თავი თვისი, ყოვლის შემაწუხებელი ზედმეტი ჩამოიცილა და გათავისუფლდა, ასე რომ გუდავდა ბაბილონს და ახრჩობდა.

დაუბრუნდა წყალი თავის თავს და მიიმდოვრება ახლა ისევ ისე, ძველბურად, თვალის გასახარად, მიდუდუნებს სულის სალხენად და ბაბილონმაც მოითქვა სული.

ნიმროდი მუხლებზე დაეშვა და მადლობა უთხრა ევფრატის წყალს, რომელმაც ისმინა მისი, ბაბილონის გულის ძგერა...

... იქ, ერიდუში კი: დაჩოქილი ხალხი მადლობას უხდის ნიმროდს, რომ ჭირვეული ევფრატის წყალი მოათვინიერა, დაღუპვისაგან იხსნა ბაბილონი, სრულიად შუამდინარეთი, მშვიდობა და შვება მოჰგვარა ბაბილონელებს.

ნიმროდმა სასწაული მოახდინა;

ნიმროდი სასწაულმოქმედია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდი მიწაზე ჩამოსული ღმერთია!

სიხარულით და ბედნიერებით სავსეა ბაბილონელთა სული, ბაბილონური სულის ზეიმია სწორედ!

– დიდება ნიმროდს – ბაბილონის ღმერთს!

ერიდუ სასწაულის მოლოდინშია. იგი ნიმროდს მოელის სუნთქვაშეკრული და მოთმინებადაკარგული.

ნირმროდმა – უფალმა ღმერთმა სძლია წარღვნას, უკან დაახევინა ევფრატის ყოვლისშემძლე წყალს და სიცოცხლის სული შთაბერა ბაბილონს, ბაბილონელებს.

* * *

ქარდუხში საზეიმოდ გაიხსნა ნოეს ქანდაკება. ებერის სახელი პირზე აკერია მთლად ქარდუხეთს. ლამის დაიჩრდილოს თვით თარგამოსიც. გაითელა ქანდაკებისკენ მიმავალი გზა და ამ ბილიკზე აწი ვერც ვერასდროს ამობიბინდეს ბალახი.

და ერთ დღესაც თავის სასახლეში დაიბარებს ებერს თარგამოსი. ჰოდა, იგი თარგამოსის სასახლეშია, მზესაც კი დაასწრო აქ მოსვლა. მეკარეც გაუღებს კარს და დიდ მოქანდაკეს თარგამოსის ფიქრის ოთახისკენ წაუძღვება. ებერი თარგამოსის წინაშე წარსდგა.

– ებერ, შენ ქარდუხელი ხარ! – ასეთი სიტყვებით შეეგება თარგამოსი ფიქრის ოთახში შემოსულს.

– გისმენ, მბრძანებელო... – მუხლი მოიყარა ებერმა.

– ებერ, შენ ბაბილონში პატრიარქად აურჩევიხართ სემიტებს, ქარდუხში კი იაფეტიანებიც გირჩევენ პატრიარქად.

– მერე მზის სამლოცველო?

– უფალი ღმერთი ცაბაოთი და მზე ხელს არ შეუშლიან ერთმანეთს... მერე და: შენ პატრიარქად ეყოლები ბაბილონსაც და ქარდუხსაც... აქედან დავიწყებთ ბაბილონისა და ქარდუხის გაერთიანებას: ჩვენ ხომ ერთი ხალხი ვართ, ერთი ენა გვაქვს და დამწერლობაც. მე მოვხუცდი, მაღლა უფალი ღმერთია და იმან გადაწყვიტოს ჩვენი ბედი.

– ნიმროდი რომ უფალ ღმერთს არ მოუსმენს? აქეთ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოილაშქრებს ქარდუხის დასაპყრობად. გული მიგრძნობს... მეშინია მოძმეთა სისხლი არ დაიღვაროს.

თარგამოსს გაბრაზება დაეტყო, მაგრამ სძლია თავს და სავსებით მშვიდად მიაგება პასუხი: – მეეჭვება საბოლოო გამარჯვება ნიმროდს დარჩეს, ღმერთთან მორკინალს ხმალი ვადაში გადაუტყდება. ჩვენც საკადრის პასუხს გავცემთ: მშვიდობით მოვა, მშვიდობთი დავხვდებით, ხმალშემართული მოგვადგება და ფარს შევაგებებთ. ჩვენც მარჯვედ ვიქნევთ ხმალს, და დიდი მშვილდოსანიც გვყავს – კავკასოსი! არაფერიც შეეშალოს ნიმროდს!

ებერს გააჟრიალა ტანში: – ნიმროდს არაფერიც ეშლება, ესეც უნდა უწყოდეთ ქარდუხში. თუმცა: უფალ ღმერთთან რომ ეშლება?!

„და ნიმროდის ბედიც გადაწყვეტილია!“ – ჩაითქვა თარგამოსმა, მაგრამ ეს ფიქრიც ესმა ებერს და თვითონაც ჩაფიქრებულმა ამოთქვა: – მაგრამ ჩვენი საპატრიარქოების გაერთიანების წინააღმდეგი არც უნდა იყოს... დავშორდით ერთ დროს ერთმანეთს და ოდესმე ხომ უნდა გავერთიანდეთ?!

– და ეს მისია შენ დაგეკისრება, ებერ! ჩვენ ხომ ერთი ძირი გვაქვს და ერთი ხის ჩრდილქვეშ ყოფნა ნამდვილად არ გვაწყენს...

– მაგრამ სანამ ცოცხალია ნიმროდი, პირველობას არავის დაუთმობს. იგი უფალ ღმერთსაც კი არ დაუდებს ტოლს...

– ამაზე ვიფიქრებთ, ებერ, ოღონდ გაერთიანდეს ჩვენი ქვეყნები და... მე ყველაფერზე წავიდოდი... ბაბილონში გამგზავრება კი მაინც მოგიწევს. როდემდე უნდა იყოს შენი საპატრიარქო უპატრონოდ?! – ამაზე თარგამოსს ბევრი უფიქრია და გადაწყვიტა კიდეც, რომ ებერის გამგზავრება ბაბილონში აუცილებელი იყო.

და დათქვეს თარგამოსმა და ებერმა ასე: მოევლინებოდათ ნიასა და ებერს პირმშო და ებერიც გაემგზავრებოდა თავის ბაბილონში. თავს უფალ ღმერთს მიანდობდა, თავად თარგამოსი კი მომავალი ბრძოლებისთვის შეამზადებდა სრულიად ქარდუხეთს. გულიც უგრძნობდა, რომ ომი გარდაუვალი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არა და არ ჩაეძინა ებერს: თვალდახუჭულიც კი ნიმროდს ხედავდა. იდგა ნიმროდი და მის წინაშე აღმართულიყო უუმაღლესი, თვალუწვდენელი გოდოლი („ცაისხელაააო“, იტყვის ნიმროდი მერე). თვალი გაახილა ებერმა და ნიმროდის სახებაც ქრება. ნიმროდი აღარაა! მაგრამ ეს რა ჭირს ებერს? დამძიმებია ქუთუთოები და თვალებიც თავის და უნებურად ეხუჭება.

მერე? თვალდახუჭული ისევ უმზერს ნიმროდსა და იმის „ცაისხელა“ გოდოლს. გოდოლი კი „ცაისხელაზეც“ მეტია უკვე. მაგრამ: სად გაქრა თვითონ ნიმროდი, სადაა და რა ჩაუფიქრებია?!

ებერიც ცდილობს თვალი ააყოლოს გოდოლის კედლებს, მაგრამ მისი მზერა გოდოლს ვერ აწვდენია და ისიც დაიჩოქებს. იწყებს ლოცვას: შესთხოვს უფალ ღმერთს, მოახილვინოს გოდოლის გუმბათი და უფალი ღმერთიც აუსრულებს თხოვნას. და იხილა ებერმა – გუმბათი თორმეტი სარკმლით?! – სარკმლები: გამჭვირვალენი! თორმეტივე გამჭვირვალე, თითქოს... – გონება აემღვრევა, დღემდე არაფერიც ეხილა ამნაირი. სწორედ სასწაული და სასწაულმოქმედი – ნიმროდი!

ამდენხანს ნიმროდის ნათელმხილველობაშიც ეეჭვებოდა, მაგრამ ნიმროდი – სასწაულმოქმედი?! მაგრამ ასე რომ იყო?!

მიხურულია ყველა სარკმელი. ებერი ფიქრით გარს უვლის გუმბათს და ამ დროს გადააწყდება ნიმროდს, ფეხები რომ მოერთხა და რაღაცას ანგარიშობდა თავისთვის. უცებ: ხელებს გაშლის ნიმროდი და წამოიჭრება ადგილდან, სარკმელთან მივა და გამოაღებს ფრთხილად.

ებერიც საკუთარ თვალებსაც აღარ დაუჯერებს: ეს კაცი კაციც აღარაა, რაღაც სხვაა... ადამიანის გარდა შეიძლება ყველაფერი იყოს; თავს შარავანდი ადგას, აელვარებია საცრისოდენა თვალები. აჰა, სარკმლის რაფაზე შედგა. წამიც და გადააბიჯებს და...

თვალდახუჭული ხედავს ებერი: ნიმროდი ქვასავით დაეშვება ძირს. თვალები ახამხამებია: ელის როდის დაასკდება მიწას, მაგრამ აეწვება თვალები და მთელი ძალით ამოიჟღლიმავს, ატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კივებამდე. თვალებზე აიფარებს ხელებს, მაგრამ ხელები ქუთუ-თოებივით დაუმძიმდება და ჩამოუცვივდება ძირს.

სულ ერთი წამიღა იყო საკმარისი, რომ ნატვრა ასრულებოდა ებერს, მაგრამ თვალები ასე უდროო დროს აეხილა და ნიმროდიც გადარჩა!

ებერი ისევ ხედავს სარკმლის რაფაზე შემდგარ ნიმროდს. დრო ებერისთვისაც შეჩერებულიყო და ნიმროდისთვისაც. არც არაფერი იძვროდა ადგილიდან, მაგრამ წამი გადასცდა თავის თავს: ნიმროდმა გადააბიჯა და ქვევით კი არ დაეშვა, მიწამ კი აღარ მიიზიდა, არამედ აიწია მაღლა და სივრცეში შეაბიჯა(!) მიი-წევს სულ მაღლა და მაღლა, უახლოვდება უფალ ღმერთს, მაგრამ უფალი ღმერთი რას ფიქრობს ამ დროს? რას ელოდება? რატომ არაფერს არ იღონებს? რატომ ხელს არ გაანძრევს?! რატომ არ დაამძიმებს ნიმროდს და მიწაც რატომ არ მიიზიდავს თავისკენ ამ ღვთისმგმობელს? რა უნდა სივრცეში მიწის შვილს! მაგრამ ნიმ-როდი კაციც რომ აღ არ არის?! კაცზე მეტია! ამაღლებული უფალ ღმერთამდე. ვინ, ვინ დართო ნიმროდს ამის უფლება?!

ნუთუ მიწა ვეღარ ზემოქმედებს ნიმროდზე? ეს უკვე მერამ-დენე სასწაულია, ნუთუ გადააბიჯა ზღვარს და... – ფიქრს ბო-ლომდე ვეღარ მიჰყვა ებერი. ნიმროდი წარმოუდგენლად ამა-ღლებულა, უფალზე მაღლა მოკალათებულა და ირწევა ჰაერში. უფალივით ასხივებს!

ნიმროდი მზეა, უფალი ღმერთი ცაბაოთი კი ბინდ-ბუნდში შეცურებული მთვარე. თავისი მიმქრალი თვალებით ასჩერებია მანათობელ მზეს და ელის, ხმას როდის ამოიღებს ნიმროდი-მზე?!

დაბოლოს: მოთმინებადაკარგულმა ნიმროდმა-მზემ თავ-ისი საცრისოდენა თვალები დაუბრიალა სხივჩამქრალ უფალ ღმერთს და კიდევ ერთი სასწაულიც: ნიმროდი მაღლდება უსას-რულოდ, უფალი ღმერთი კი პატარავდება. ლამის სულაც გაქრეს.

და ბედად: გამოერკვევა ებერი და ინატრებს, გამარადისებუ-ლიყო წამი; რათა შეჩერებულიყო დრო, რომ აღარ დასრულებუ-ლიყო უფალი ღმერთი.

და მართლაც: შეჩერდა დრო (დრო ვეღარ იყო)!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როდემდე გაგრძელდეს ასე?! სადამდე, წამო?!

ეს რა ხდება ღმერთო? ვერ ჩაიტია ნიმროდი თვითონ დრომაც და ნიმროდიც ღრმად ჩაისუნთქავს: დროც ჩამორჩება და წამი წამიც აღარ იყო...

და იტყვის ნიმროდიც: – და შენ ხარ, უფალი ღმერთი და მე – „მარტო კაცი?!“ შენ ჩემი ნებით დაპაწიავებულხარ და ძალაც წაგრთმევია. მე მნებავს ასე! ასე უნებებია ნიმროდს!

– ნიმროდ... – ხმა გაებზარება უფალ ღმერთს, – მაინც რა უნებებია ნიმროდს?

– დასრულდა, ამოიწურა შენი დრო და ჩემი დრო დამდგარა! მაინც და მაინც გიბრძანო, რომ გადადგე?! ნაბიჯი ამოადგი ჩემკენ და ტახტიდან გადამდგარად ჩაითვლები! ტახტი ერთისთვისაა მხოლოდ!

ესმის ყველაფერი ეს ებერს და უკვირს, გული ამდენხანს რომ არ გაუსკდება? და აუჯანყდა ებერს გრძნეული გული: „ეს არ მოხდება, ტახტი უფალი ღმერთისაა!“ – ეს უკვე სურვილზე მეტი იყო. ასე ენება ებერს და თვალიც აახილა.

და: გაქრა ის უჟუმური ხილვა. მთელი სხეული უხურდა ებერს: ლამის აბრიალებულიყო. უფალი ღმერთი ტახტზე იდგა. აღარ გადამდგარა. მაგრამ თვითონ ებერი? განწირულია?!

სადაცაა ცეცხლი მოედება და დაიფერფლება!

„აღარ იქნება ებერი?!“ – ფიქრად იქცა და წვიმა ინატრა.

იელვა, ელვას ჭექა-ქუხილი მოჰყვა და ცაც გადაიხსნა. წვიმა გადმოსკდა შეგუბებული. აგრილდა ებერის სულში! მაღლა აიხედა და იელვა ისევ: უფალი ღმერთი მიესალმებოდა: – ებერ, ბაბილონში გელი! აქ კი, ხვალ, ალიონზე, როცა ცისკიდურს ჯერ კიდევ ასხივოსნებს ცისკრის ვარსკვლავი, და მზის ამოსვლამდე ჯერაც დროა აუარებელი, ქვეყანას ქარდუხსა ამას, მოევლინება შენი ვაჟი, ვისმა შვილთაშვილმაც უნდა განადიდოს სემისა და იაფეტის მოდგმები და იგი ურიდან გამოვა...

* * *

„ნიმროდი საძირკველს გაუდგამს გოდოლს. ითქმება ბაბილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის გოდოლი და უნდა იგულისხმებოდეს ნიმროდის გოდოლი. მისია ბაბილონიც და ბაბილონელებიც. ხალხს სჯერა და სწამს ნიმროდის. ცაბაოთის გაგონებაც კი გულს ურევს ბაბილონელს. ერთადერთ უფალს სცნობენ და ნიმროდია იგი. ნიმროდი – უფალი ღმერთი! უფალი ღმერთი – ნიმროდი!

ერიდუში აიგება ნიმროდის გოდოლი, საბოლოოდ დაემხობა ცაბაოთის საბრძანებელი და მისი ხელისუფლებაც!“ – ასე ნებავს ნიმროდს: „არა მარტო ბაბილონის, არამედ მთლად დედამიწისა და ზეცის ჭეშმარიტი განმგებელი ეს მე ვარ, ნიმროდი – უფალი ღმერთი, ნიმროდი – არსთა გამრიგე!“

სული მოითქვა და შეჰყვა ფიქრს: „ვიცი, სადაცა ხარ.... შემალულხარ იმ ბინძურ სოროში და საკუთარი თავის გარდა აღარავინ გახსოვს,“ – მთელი ძალით მოზიდა თავისი მშვილდი, ისარი საისრე ჭრილში მისცა, ღრმად ჩაისუნთქა, შეწყვიტა სუნთქვა, ცივი სიმშვიდე დაეუფლა და ისარიც სტყორცნა.

მიაყურადა. ისრის ტყორცნას კვნესა რომ აღარ მოჰყვა, შეცბა და დაასხა ოფლი. პირველად იყო, რომ მიზანს ააცილა და დასწყევლა ცაბაოთი.

იელვა. ცაბაოთი გამოუჩნდა ნიმროდს: – რატომ ვერ უნდა დარწმუნდე, რომ ვერასოდეს ამომაღლდები ჩემამდე! დღესაც ვერ შემომწვდი, შენმა სასიკვდილე ისარმა სიცარიელესღა უწია, მაგრამ შეიძლება კი სიცარიელის სიკვდილი? არა, ხელი არ მოგიწვდება ჩემამდე! მაგრამ შენმა წყევლამ კი მართლა მომაგნო! და რა უნდა დამაკლოს თვითონ უფალ ღმერთს უბრალო მოკვდავის წყევლამ! რატომ არ დაფიქრდები, ნიმროდ?! შენ ისიც კი არ შეგიძლია, მიხილო და... მე განა მარტო ელვა ვარ?! უსასრულობა, აი, ვინა ვარ მე და შენი ისარი რას დამაკლებს? შენ გაცნობიერებულიც არ გაქვს, ვინა ვარ მე – ცაბაოთი... სამიზნედ ვერ გამოვდგები! ასე ადვილი აღსაქმელიც რომ ვერა ვარ?!

ნიმროდმა ბრაზი გადმოანთხია და განრისხებულმა ასძახა ცაბაოთს. იელვა ამ დროს და თვალი მოსჭრა ნიმროდს. ასე რომ, ისარი მეორედ ვეღარ შესტყორცნა სიცარიელეს.

– რაო, ნიმროდ, რატომ აღარ მტყორცნე შენი ისარი?! მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეტყვი: ჩემთვის გისროლია ისარი, თუ ისე, ჰაიჰარად, საალალ-ბედოდ, ეს ერთი და იგივეა. შენ ჩემამდე უთვალავი სინათლის წელიწადი გაშორებს...

– მე ავაგებ ბაბილონის გოდოლს და იქიდან შემოგწვდები, ამოვმაღლდები შენამდე და გადაგამეტებ კიდეც! მაშინ მიფრთხილდი, ცაბაოთ!

– ნიმროდ, ბაბილონმა რომ შეიტყოს შენი დღევანდელი მარცხი, რას იფიქრებს? დაკარგავ ბაბილონს და, გადაგკარგავ ცხრა მთას იქით!

ბრაზი ახრჩობდა ნიმროდს, ვერა და ვერ მოეგდო ხელთ ცაბაოთი, რომ კისერი მოეგრიხა მისთვის და გადმოეგდო იმ სიმაღლიდან.

და იცინის ცაბაოთი, კითხულობს ნიმროდის ფიქრებს და ღიმილით ჩამოსძახებს იმ სიმაღლიდან. – ეს რა გენება და სინამდვილეში რა გამოგივიდა?! სინამდვილეს რატომ არ გაუსწორებ თვალს?! მხოლოდ ისურვე... სურვილი გკლავდა. ესურვილება უბრალო მოკვდავს, უფალს კი ნებავს, ნიმროდ, ნებავს! სურვილი როდია ნება?! დამამხო გინდა?! დაამხო იგი, ვისი ნებითაც ჩამოგერთვა ჩრდილი?! კიდევ მეტი: ჩრდილი მოგიკლეს! ეს მე ვიყავი, რომ გაგანახევრე, კაციც ვეღარ ხარ, ადამიანობამდე ათასი გორი გაშორებს!

და აღარ იცის ნიმროდმა, როგორ მოიქცეს: – ნუ ბაქიბუქობ! ერთხელაც იქნება, მოგწვდები და ვინძლო ისრის ტყორცნა აღარ დამჭირდეს... ფრთხილად, ცაბაოთ!

– თვითონ გაფრთხილდი, ნიმროდ! და მაინც ვერ მიმხვდარხარ: რატომ არ დაგფერფლავ, რომ ვეღარასოდეს აღდგე. – იელვა კვლავაც, რასაც ყურისწამღები გრუხუნი მოჰყვა, ლამის ჩამოქცეულიყო ცის თაღი.

შეძრა ამან ნიმროდი: „მძინავს და მესიზმრება, თუ ცხადში ხდება ეს ყველაფერი?!“

– ნიმროდ, ეს მე ვარ, ცაბაოთი!

ეს კი აღარ გაუგონია ნიმროდს: „მძინავს და მესიზმრება, თორემ ასე როგორ მომისავდებოდა?! და კიდევ კარგი, ცაბაოთ, რომ მძინავს და მესიზმრება, თორემ ამდენს გალაპარაკებდი?!“ – ამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვრეულ ზეცას ავად ახედა.

ელვა აღარ გამკრთალა და ნიმროდმაც დაიჯერა, რომ ეძინა და ესიზმრებოდა.

თვალები ამოიჟღლიმა და თავის ბედის ბედაურს უხმო. ესმა მისი ჭიხვინი. შორიდან ბრძენ ბუსაც მოჰკრა თვალი. მოიჩქაროდნენ გაწბილებული ნიმროდისკენ. გადავიწყებოდა, სულში რომ ჩააფურთხეს და ოდინდელივით შეიმართა: – ბედის ბედაურო, მოუსმინე ჩემს გულს და იქით გავიჭრათ, სადაც მას მოეგუნებოს! – ბრძანა და ბედაურმაც შესჭიხვინა სივრცეს. იგრძნო ბედაურზე ამხედრებულმა, მხარზე ბრძენი ბუ რომ დააფრინდა და: სივრცეშიც შესცურეს.

* * *

ებერი მეშვიდე ძის გაჩენას ზეიმობდა გულში.

ჩვილის მოვლინება თავის ფაცხაში თარგამოსმაც აღნიშნა და ნიმროდის ყანწი მაღლა ასწია, ებერისკენ გაიშვირა თავისუფალი ხელი და ასე დაანათლა ახალშობილ შვილიშვილს: – ჩემ ნაჩუქარ რაშზე ამხედრებულს, ქართლოსის რკინის პერანგში ჩამჯდარს, ჰაოსის ნაბადში გახვეულს, ბარდოსის ლოდსატყორცნელის პატრონს, მოვაკანოსის ხიდზე შემდგარს, ლეკოსის უჩინმაჩინის ქუდის მქონეს, კავკასოსის მშვილდის მფლობელს, ჰეროსივით შუბისმტყორცნელს, ეგროსივით სასწაულმოქმედ მოფარიკავესა და ებერივით განსწავლულს აღარ ადარდებდეს სად დაუღამ-გაუთენდებოდეს, თვალი არ დაუხამხამდეს საფრთხის წინაშე, ხედავდეს ხვალინდელ დღეს და გზა გაიკაფოს: ჩემს ხნემდე მოიყაროს, სახელი და დიდება მსგავსი იმ დიდი ნოესი მოეხვეჭოს, ვისი ქანადაკებაც სულ ახლახან აღიმართა ქარდუხეთში... ცოტაც და ნოეს კიდობანსაც აჩუქებს ებერი ქარდუხეთსა და ქარდუხეთელებს.

და შემოიარა ამ სადღეგრძელომ მთელი სუფრა და ცარიელი ყანწი თარგამოსსვე დაუბრუნდა.

ლხინი დილამდე გასტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თავის ფიქრის ოთახში შეუძღვება თარგამოსი ებერს. ეს საუბარიც, დილაუთენია რომ უნდა გაიმართოს, თარგამოსს კაი ხანია ჰქონდა ჩაფიქრებული.

ამ საუბარზე ებერიც ფიქრობდა.

როგორც წესი, იწყებს თარგამოსი, ებერი მსმენელია.

– ებერ, დრომაც გვიჩვენა, რომ ტყუილუბრალოდაც არ შემოსულხარ შენ ქვეყანაში, რომელსაც ქარდუს, ქარდუხეთს ვეძახით ჩვენ. ქარდუხში, შენც დამეთანხმები, ქალდეა მოიაზრება, მაგრამ რომელი რომლიდან მომდინარეობს, ისევ შენი დასადგენია: ქარდუხი – ქალდეადან, თუ ქალდეა – ქარდუხიდან? – წამით ჩაფიქრდა თარგამოსი და დინჯად განაგრძო: – და შენ ყველაფერი იღონე, რომ ქარდუხად, ქარდუხელადაც იწოდებოდე. შენ აღმართე ჩვენი სალოცავი, სადაც ლოცვას აღავლენენ უფალი ღმერთის სადიდებლად. ეს ღმერთი ნოესა და მათი შვილების სემისა და იაფეტის ღმერთი იყო. ამ სალოცავის გვერდით მეორე სალოცავია, სადაც მზეს სცემენ თაყვანს, მაგრამ ეს სალოცავები ხელს როდი უშლიან ერთმანეთს? შენ ქარდუხსა და ქარდუხელებს გვაჩუქე დიდი ნოეს ქანდაკება. დაე, იდგეს იგი სამარადისოდ ქარდუხთა იმედად და თვალის გასახარად! შენ აღადგინე ნოეს კიდობანი (შემცირებული ზომებით). იგი სამარადისოდ შემოინახება ჩვენს მეხსიერებაში. ეს უკვე ისტორიაა ჩვენი: წარსული! წარსული ხომ ერთი ნაწილია ჩვენი სიცოცხლისა... დიდმა ნოემ ხომ მარადისობის ახალ საფეხურზე აიყვანა სიცოცხლე კაცთა?! სხვაა სიცოცხლე წარღვნამდელი და სხვაა წარღვნისშემდგომი სიცოცხლე კაცთა! – უფალი ღმერთის ცაბაოთისა და ნოეს ერთობლივი ჩანაფიქრი. შენ კი ებერ, ღირსეული გამგრძელებელი ხარ ნოეს საქმისა. შენ აღამაღლე ქარდუხი, იქამდე ბაბილონი აგიმაღლებია და ადამიანთა მოდგმაც საერთოდ! ებერ: მიმდინარეობს დრო და ბოლომდეც არასდროს არ გამდინარდება! იქნებ: გაგიჭირდეს ბაბილონში, მაგრამ არ შედრკე! შენს უკან ქარდუხია, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებთ! ჩვენ მივადევნებთ თვალს ბაბილონში მიმდინარე მოვლენებს... ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი გვეცოდინება შენზე! ებერმა თავი ბაბილონში არ უნდა იგრძნოს მარტოსულად. ბაბილონი გელოდება! აღიღე კვერთხი ხელში და მართე შენი საპატრიარქო! კვერთხი და წითელი მოსასხამი აქ სამლოცველოშიც გელოდება შენ. შენ ერთადერთს შეგიძლია გააერთიანო ორი მოძმე ქვეყანა: ქარდუხეთი და ბაბილონი (ქალდეა). შეგიძლია ბაბილონიდან მართო შენი აქაური საპატრიარქოც. ამას ნიმროდიც მოგიწონებს და დიდადაც დაგიფასებს! – დაასრულა თარგამოსმა და თავის ფიქრის კუთხეში ჩაცუცქდა.

დიდხანს ფიქრობდა ებერი, მაგრამ იმაზე მეტი მაინც ვერ მოეფიქრებინა, რომ დადუმებულიყო. მისი სათქმელიც თარგამოსმა თქვა და ებერსაც სხვა რაღა დარჩენოდა, რომ მადლობა გადაეხადა თარგამოსისთვის.

– ებერს შეუძლია იფიქროს გამგზავრებაზე. ქარავანს ჩვენ გაგიწყობთ... დამცველ ასეულსაც გამოგიყოფთ. იცოდე: შენებს ქარდუხში არაფერი გაუჭირდებათ.

ებერი რომ თარგამოსის ოთახიდან გამოვიდა, უკვე შებინდებულიყო. უკან მიიხედა და ღიმილი მოერია – აი, კაცი!

წვიმდა, მაგრამ ფეხი არ აუჩქარებია: თვალწინ ბაბილონი ედგა და თავის ბედის ბედაურზე ამხედრებელი ნიმროდი, მხარზე ბრძენი ბუ რომ ესვა. ერთი გული რომ იქითკენ მიუწევდა, მეორე გული ქარდუხში რჩებოდა.

* * *

ნიმროდმა მაცნენი დაგზავნა მთელ ბაბილონში: „მაზეგ, ერიდუში, მზის მოედანზე, მშენებარე გოდოლთან მზის ჩასვლამდე საუბარი მსურს ბაბილონისა და ბაბილონელთა ბედ-იღბალზე, მათს მომავალზეო.

იგი დასწრებას ურჩევდა იმდღევანდელ (ნაშუადღევის) ღონისძიებაზე ყველას, ვისაც ბაბილონელად მოჰქონდა თავი (კირითხუროთ, დურგლებსაც და ქვისმთლელებს), ავალდებულებდა გამოცხადებულიყვნენ თავიანთი ხელსაწყოებით, თან ჰქონოდათ ორი ხელი ტანსაცმელი, „საშინაო და საგარეო.“

კარი მესამე

* * *

ნიმროდი თავის ფიქრის ოთახშია. ჩაეშვა ფიქრის სავარძელში და ებერს მოუხმო ფიქრში. თითქოს: ებერიც ეახლა, დათრგუნვილი არ ჩანდა, მაგრამ ჩაფიქრებულიყო და ძალიანაც. კი დაუგვიანდა ბაბილონში დაბრუნება, მაგრამ ესეც არ ყოფილა მისი წუხილის მიზეზი. გაცნობიერებულიც ჰქონდა, რომ ნიმროდს ხელსაც კი აძლევდა მისი ქარდუხში შეყოვნება, ხელ-ფეხს გაუხსნიდა მოქმედებისთვის და დასაშვებიც გახდებოდა მისთვის ყველაფერი. ნიმროდს საბაბი მიეცემოდა, ესაყვედურებინა ებერისათვის ისე, რომ ამის მიზეზიც არ ეკითხა.

„ებერი ვერაფრით იმართლებს თავს. შემიძლია, ჩამოვიცილო სარბიელიდან, საერთოდ გავაქრო! და როგორც ბაბილონის მეფეთ-მეფემ და დიდმა ხელმწიფემ, საყოველთაო მეუფემ, რატომ არ შემიძლია ვკითხო სემიტთა პატრიარქს, რომლის საპატრიარქო ბაბილონშია და ბაბლონისვე საკუთრებას წარმოადგენს, რატომ არ უპატრონებს თავის მრევლს, რად მიუტოვებია მწყემსს თავის ცხვრის ფარა? მერე და: ჩემს წინაშე ხომ ანგარიშვალდებულია ებერი, თუნდაც როგორც მსახური?! მეორეს მხრივ: თითქოს და უნდა მიხაროდეს, რომ იგვიანებს, ან სულაც რომ აღარ გამოჩნდებოდეს ბაბილონში. შეიძლება ღიადაც დამიპირისპირდეს! იმის მხარეზე გადავიდეს და თავისი მრევლიც თან გაიყოლიოს... ნუთუ გაბედავს და წინააღმდეგობას გამიწევს? ბოლოს ხომ მიანც უნდა შეიტყოს ჩემი გოდოლის აგების ნამდვილი მიზეზი და მისი დანიშნულებაც?! ებერი – ცაბაოთის თაყვანისმცემელი, ვიცი საქვეყნოდ დამიპირისპირდება. ვიცი მისი შესაძლებლობები და თუკი მიმტრო, დიდ ზიანსაც მომაყენებს. ამიტომ: იმდენი უნდა შევძლო, რომ საპატრიარქოში უკიდურესად აეწეწოს საქმე, მაგრამ ამაზე ადრე უნდა მეფიქრა! ურემი ნეტა გადაბრუნებულია, თუ აწი უნდა გადაბრუნდეს, რომ არსებული ვითარება შეულამაზებლად დავინახო და მოქმედების გეგმა დავისახო?! ვაითუ შექმნილ ვითარებას იმთავითვე აუღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალღო და ჩალა გამომავლო პირში?! იფიქრე, იფიქრე ნიმროდ?“ – თავს შეუძახა: – მაგრამ ჩემი კედარი მიხმობს მგონია და: ამდენ ხანსაც რატომ არ გამახსენდა მისი არსებობა?! იქნებ უჭირს იმასაც?! მაგრამ არა მგონია, ისე უჭირდეს, როგორც მე მიჭირს. კედარის რჩევა გამომაცოცხლებდა! თითქოს და მომწყურებია კიდეც! თითქოსო? პირი გამშრობია და ველარ მივმხდარვარ, მაინც და მაინც უნდა მომკლას წყურვილმა, რომ ჩემი კედარი გამახსენდეს?!“ – გამოსცრა კბილებში და თავის ბედის ბედაურსაც უხმო. უკვე ბრძენი ბუც მოისწრაფვოდა მისკენ. ჰოდა, გაეხვია თავის მეწამულისფერ მოსასხამში და კიბეებზე დაეშვა: „ჩემი ბედის ბედაური და ბრძენი ბუ...“ – ამის გაფიქრება და ამხედრებულს თავის ბედის ბედაურზე მხარზე ბრძენი ბუ აზის უკვე, რაღაცას რომ ჩასჩურჩულებს ყურში.

:

აღარ უსაყვედურებია მისთვის უკვე დაშოშმინებულ და „მოთვინიერებულ“ ევფრატის წყალს. წყენა უსიტყვოდ გამოუხატავს: ჩვეულებრივად აღარ მისალმებია ბედის ნებიერ ნიმრდოს. არც წვივები აულოკავს მისთვის.

მომიტევეო, წყალო დიდო, აღმოხდა ნიმროდს და წყალმაც გულში გაივლო მხოლოდ, წამი მაინც ხომ შეგეძლო გამოგეყო ჩემზე ფიქრისთვისო და ნიმროდმაც წაიკითხა ეს ფიქრი, პასუხად კი ესა თქვა ხმადაბლა, – საოცარია, ამდენხანს არ მომწყურებიაო.

„სწორედ ესაა დამაფიქრებელი...“ – არ კი უთქვამს დიდ წყალს, გაიფიქრა მხოლოდ და წყენა გულში ჩაიკლა.

და შეციებოდესო თითქოს ნიმროდს, მერე მოულოდნელად ისე აცხა, რომ გული გასკდომაზე ჰქონდა, ეწოდა სულიც... ეწყურვილებოდა, როგორც არასდროს და დაეწაფა ევფრატის წყალს, წყალო დიდოს რომ ეძახდა და ასეც სწამდა. – გმადლობთ, წყალო დიდო! ცხონებასავითაა წყალი შენი! – წამოიძახა და წყალი დიდიც ასე შემოირიგა.

ნიმროდმაც შეავსო თავისი ქვევრი მაცოცხლებელი სითხით და ნაცნობ გზა-ბილიკს მწვერვალისკენ შეჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც კი დაესრულებინა კედარზე ფიქრი, რომ უკვე მწვერვალზე იყო და თავდახრილი იდგა კედარის წინაშე. ბევრი აღარ უფიქრია და ევფრატის წყალი შეასვა კედარს, კედარმაც მოიკლა წყურვილი და თავიდან ამოუვარდა სასაყვედურო სიტყვები. ნიმროდი მიესალმა.

– გისმენ, ნიმროდ! – ჩამოსძახა კედარმა. – მალე გამოგეცხადება ებერი და იგი აღარ იქნება ის ძველი ებერიც.

– მე რომ არ მომემხრობა, ამაში აღარც მეეჭვება. დამაკლდება მისი ხელი ჩემო კედარო და...

– გეშინია, არ შემოგაკვდეს?! ნიმროდ: ებერს თმის ერთი ღერიც რომ ჩამოუვარდეს, იცოდე, შენი საქმე სულ უკან-უკან წავა... მის სისხლში ხელი არ გაგესვაროს, თორემ... ეს რჩევა კი არა, გაფრთხილებაა!

ნიმროდს აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიფიქრა: „იქნებ კედარის რჩევა აღარც დამჭირდეს აწი...“

– ვიცი, ნიმროდ, რაც გაიფიქრე და როცა საბოლოოდ უარს იტყვი ჩემს რჩევებზე, აღარც გამოგიჩნდები. შენთვისაც უხილავი დავრჩები!

– ეს როგორ, კედარო? იყო და ვეღარ გხედავდე?

– მე დაბრმავებული ნიმროდის ხილვა აღარ შემიძლია! მაგრამ თუკი გამოიხედავ თვალში, იცოდე, ისევ ადგილზე ვიქნები. ვერ მხედავდე იქნებ, მაგრამ რჩევას შენთვის როდი დავიშურებ?! ზომიერება, ნიმროდ! ზომიერებისკენ მოგიწოდებ! წადი ახლა და აშენე შენი გოდოლი! აშენე ბაბილონის გოდოლი ბაბილონისთვის და ბაბილონელთათვის, შენთვისაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ვიღაცის ჯიბრზე! – ამოთქვა კედარმა და დადუმდა.

ქარი ჩადგა, ნიმროდის სულში თუ გადაინაცვლა:

„ნიმროდი და ზომიერება?! – რისხვისგან წამოენთო საცრისოდენა თვალები, რომელთაც აღარც არავინ უჩნდათ და აღარც – არაფერი! – მიმოიხედა ირგვლივ და კედარიც აღარ იყო. თითქოს კედარის ქვეშ უნდა ყოფილიყო, მაგრამ კარგად ახსოვს, ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან. – მხოლოდ კედარის ჩრდილი?! – სულ მალე აღარც ჩრდილი იყო სადმე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– აღარც – კედარი! აღარც – ჩრდილი?! – გაჰყვიროდა იმ-ედგაცრუებული ნიმროდი, მაგრამ საკუთარი გულის გარდა არა-ვინ გამოპასუხებია: – როგორ? მართლა ვეღარასოდეს გიხილავ, კედარო ჩემო?

ფიქრებარეული ნიმროდი ცდილობს წაიკითხოს ევფრატის ფიქრი, მაგრამ ამაოდ.

ბედის ბედაურიც აძაგძაგებული დახვდა, ბრძენი ბუც აფხო-რილიყო...

* * *

დღესაც ფიქრის ოთახშია, თავის ფიქრის სავარძელში. ებერ-ის შემცვლელს მოელის. მზეც გადავიდა თავისი არეალიდან. შე-ბინდდა. მაგრამ ნიმროდი არავის მოუკითხავს, მაშინ იყო, რომ ადგილიდან წამოიჭრა განბილებულიცა და შეურაცხყოფილიც. მუშტები შეეკრა და მსახური იხმო. იმასაც რომ შეაგვიანდა, კი აღარ განრისხებულა, გადაიხარხარა და გულზეც მოეშვა. ბო-ლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა წელში მოხრილი მსახური, თვალ-მოწკურულმა ახედა ნიმროდს და სულიც კინაღამ დალია.

– დაცვის უფროსს უხმე და გასწორდი წელში!

– ასე მირჩევნია... – წაიტირასავით მსახურმა და ნიმროდმაც უბრძანა, გასწორდიო. იმანაც სცადა, მაგრამ ამაოდ, დარჩა წელ-ში მოხრილი: – არ შემძლებია თურმე, – ცრემლები ღვარად გად-მოსკდა.

– დაცვის უფროსისთვის რომ არ გიხმია?! – შესძახა ნიმროდ-მა და მსახურიც უკვე აღარ იყო ფიქრის ოთახში.

ჰოდა, დაცვის უფროსიც მსახურივით წელში მოხრილი ეახლე-ბა ნიმროდს: – შეიძლება გავსწორდე?! – ითხოვა და ბრძანების მოლოდინში სული გაკმინდა.

– ახლავე გასწი სემიტების სამლოცველოში და პატრიარქის დროებითი შემცვლელი ხელფეხშებორკილი მომგვარე!

ნიმროდი ისევ ჩაჯდება თავის ფიქრის სავარძელში, მაგრამ მომდევნო ფიქრის გაცნობიერებასაც ვერ მოასწრებს, რომ დაცვის უფროსი მსახურივით წელში მოხრილი მოახსენებს: – გზაზე გადამეყარა და ხელ-ფეხზე ბორკილები დავადე, გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუწუხდა და მოსაცდელში ცდილობენ მის მოსულიერებას.

– მოსულიერდება და აქ შემომიყვანეთ! – წელში გასწორდიო, დაცვის უფროსისთვის აღარ უთქვამს ნიმროდს და ისიც ასე წელში მოხრილი გავა ბრძანების შესასრულებლად.

ისიც შემოიყვანეს, მთლად ჯერაც ვერ მოსულიერებული.

– და ეს არის ის უმაღლესი ქურუმი, ნიმროდის ბრძანებას ასე ხელაღებით რომ უგულვებელყოფს?! – დაუღრიალა ნიმროდმა და ხელფეხშებორკილი პატრიარქის დროებითი შემცვლელიც გონს მოეგება: ახედავს ნიმროდს და ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდება.

დაგვტოვეო, უბრძანებს წელში მოხრილ დაცვის უფროსს, მეორე ბრძანების გაგონებაც რომ უნდა „წელში გასწორდიო!“ მაგრამ ნიმროდს თავისი მსახური ჰგონია იგი. – გიხმობ, როცა დამჭირდები! – ესმა იმასაც ნიმროდის ბრძანება და დაცვის უფროსი ზუსტად იმ მსახურივით აორთქლდა ფიქრის ოთახიდან.

ხელბორკილის სიმძიმეს ლამის წელში გაეწყვიტა პატრიარქის დროებითი შემცვლელი, ორად მორკალულიყო წელში და თვალებით შესთხოვდა ნიმროდს, ბორკილები შემხსნანო.

– ასე მძიმეა შენთვის პატრიარქის კვერთხი? აბა, სცადე და გასწორდი! – უბრძანა პატრიარქის შემცვლელს და ბრძანების ვერშემსრულებელიც ელოდა, რა სასჯელს დაადებდნენ ამჯერად.

– ჰო, მინდა გკითხო: რომელია დღეს ბაბილონში პირველი რიგის საქმე? თუმცა ჯერ მე გეტყვი და მერე შეგიძლია დამეთანხმო, მაგრამ აღარ შეგიძლია, არ დამეთანხმო. ჩემი აზრით დღეს ბაბილონში ყველაზე დიდი საქმე ბაბილონის გოდოლის აგებაა... ეს პირველი რიგის საქმეა საღმრთო ქალაქში – ერიდუში, მზის მოედანზე... მე ასე ვფიქრობ!

– ეს თქვენი აზრით, მეფეთ-მეფევ და... მაგრამ თქვენი აზრი ჩემსას რომ არ ემთხვევა?!

– მაინც?!

– ჯერ ჩვენი სამლოცველოს გაფართოება-კეთილმოწყობა და მერე სხვა ყველაფერი....

ეროვნული ბიბლიოთეკა

– და არა ბაბილონის გოდოლის აღმართვა?!

– ბაბილონის გოდოლის აგება თქვენ გნებავთ და...

– და მერე: – შეაწყვეტინა ნიმროდმა ებერის შემცვლელს: - ეს თქვენი საპატრიარქოა რომ მოუწოდებს ბაბილონელებს, გოდოლის მშენებლობაში არ მიიღოთ მონაწილეობაო?! ხალხს მიჯანყებთ, პატივცემულო სემიტო და უმაღლესო ქურუმო?! ვხედავ, სული გეხუთება და რომ არ გეხუთებოდეს ეს წარწყმედილი სული და ღირსეულად და თავაწეული გახვიდე ჩემგან, ებერის ჩამოსვლამდე, თქვენი საპატრიარქოს სახელით უნდა მოუწოდო ბაბილონელებს და მათ შორის სემიტებსაც: მაზეგ, მზის ჩასვლამდე ერთი წუთით ადრე, მზის მოედანზე, ერიდუში, გამოცხადდნენ თავიანთი ხელსაწყო-იარაღებით, უკლებლივ, თუკი გინდა ნიმროდის სეტყვა არ დაგატყდეს თავს!

ებერის შემცვლელს ფერი წაუვიდა სახეზე, მაგრამ თავს ძალა დაატანა, ამოეთქვა: – ვერ ვიქმ ამას, სინდისი არ მომცემს ამის უფლებას, მერე და, ჩვენი საპატრიარქო ხომ თავისუფალია თქვენი მეურვეობისაგან?!

აქ კი იფეთქა ნიმროდმა: – სინდისი არ მოგცემს ამის უფლებას?! და კიდევ უარესი: თქვენი საპატრიარქო მართლა დამოუკიდებლი სახელმწიფო ხომ არ გგონიათ ჩემს ქვეყანა-სახელმწიფოში?! სახელმწიფო სახელმწიფოში?! ერთი ის თქვენი საპატრიარქოს წესდებაც წამაკითხეთ და: ხომ არ გინდათ ის თიხის დაფა თავზე გადაგამსხვრიოთ?!

– მე კი სიტყვას გაძლევთ... – ბორკილების სიმძიმის მიუხედავად წელში გაიმართა ებერის შემცვლელი და განაგრძო: – მშენებარე გოდოლის სიახლოვეს ერთ სემიტსაც ვერ მოჰკრავთ თვალს! ასეა ეს და ვერც ვერავინ შეცვლის სემიტების საერთო გადაწყვეტილებას!

– ბარაქალა შენს ვაჟკაცობას! ამდენს მართლა არ მოველოდი შენგან! მართლა მაკვირვებ და შენ მზად ხარ სასჯელისთვისაც? მაგრამ რომ აღარ დაგსაჯო?! ებერს დაველოდები, მაგრამ: შენი საბოლოო სიტყვა!

ისიც კიდევ უფრო გასწორდა წელში, სიმივით გაიჭიმა: – ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორებ: – ოფლი დაასკდა ებერის შემცვლელს: – სემიტის ხელით ერთი აგური არ დაიდება კედლის ასაყვანად! და რაც ახლა მოგახსენე, მზად ვარ, ათასჯერაც გაგიმეორო!

– მემუქრები კიდეც?! – ჩაეცინა ნიმროდს და ხელი ხელს ორჯერ შემოჰკრა.

დაცვის უფროსი ისევ წელში მოხრილი გამოეცხადა ნიმროდს: – გისმენთ, მეფეთ-მეფევ და დიდო ხელმწიფევ, მეუფევ ჩვენო!

– ზეგ, მზის ჩასვლამდე, დილეგში, ბორკილებით! – ბრძანა ნიმროდმა: – თუკი საჯაროდ არ მოინანიებს, უთავოდ დარჩეს!

– და თქვენ, რომ ბრძანეთ, „მაგრამ ავიღებ და აღარ დაგსჯიო?!“ – ამოილუღლუღა ებერის შემცვლელმა და იქვე ჩაიკეცა, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. ნიმროდს მისჩერებოდა პასუხის მოლოდინში.

– გადავიფიქრე! – ესეც ბრძანებასავით გამოუვიდა ნიმროდს და ებერის შემცვლელს სულ დაებინდა გონება...

* * *

ჰოდა, ისევ გადაიფიქრა ნიმროდმა: ერიდუში მზის ჩასვლის შემდეგ კი არ დანიშნა ებერის შემცვლელის სასამართლო ღია ცის ქვეშ, არამედ – მზის ჩასვლამდე მთელი ორი საათით ადრე, პაპანაქება სიცხეში, როცა მზე მართლა მზეობდა და თავის ტახტზე ასასვლელად ემზადებოდა.

ტევა არ იყო ერიდუში: მზის მოედანზე. ნიმროდის გამოჩენას გულის ფანცქალით მოელოდნენ და ისიც, თითქოს ციდან ჩამოსულიყოსო, ისე მიესალმება შეკრებილთ. ხალხი დაეშვება მუხლებზე.

– ბაბილონს, ბაბილონს მივესალმები მე – ნიმროდი! – მეხის გავარდნასავით გაისმა ნიმროდის ხმა და სამარისრებული სიჩუმე ჩამოწვა.

და უცებ: – ნიმროდს სიცოცხლე! – იხუვლა მთლად ბაბილონმა და ხელების ტყე აღიმართა. ნიმროდმა ძირს დაიხედა და პირველად გაუხარდა, რომ ჩრდილი არ ჰქონდა.

– ნიმროდს ჩრდილი არ ჰქონია... – დიაძრა ხმა და ნიმროდის ყურამდეც მოაღწია.

„ან ახლა, ან არასოდეს!“ – გულში გაივლო ნიმროდმა და თვითონაც გაკვირვებულმა მაღლა აღაპყრო ხელები.

ბაბილონს ხმა ჩაუწყდა, ენა მუცელში ჩავარდნოდა.

– გისმენთ, მეფეთ-მეფევ და დიდო ხელმწიფევ, ჩვენო მეუფევ... – მუხლი მოიყარა იმ წარმოსადეგმა მოხუცმა, – მინდა გავიგოთ მართლა არ გაქვთ ჩრდილი, თუ იქნებ თვითონ თქვენ აგვიხსნათ.... – დადუმდა, შეეშინდა, რაღაც ისეთი არ წამოცდენოდა, რომ ნიმროდის რისხვა დაემსაახურებინა. აღარ წამომდგარა.

– ბაბილონელებო! – სული მოითქვა ნიმროდმა, – მე მოგმართავთ თქვენ, ნიმროდი, – ღრმად ჩაისუნთქა და ამოთქვა, კინაღამ სულიც რომ ამოაყოლა: – გინახავთ კი კაცი ურჩდილოდ?! – იკითხა და ძირს დაუშვა ჯერ მარცხენა ხელი, მერე – მარჯვენაც.

ხალხმაც, არაო ამოისუნთქასავით და ჩაისუნთქა პასუხის მოლოდინში, რომ შვებით ამოესუნთქა მერე, თანაც: აგრძნობინებდნენ ნიმროდს, რომ მის პასუხზე ბევრი იყო დამოკიდებული, იქნებ – ბაბილონის ბედიც(!)

– მე არ მაქვს ჩრდილი! მაგრამ კაცი ურჩდილოდ როგორო?! – საცრისოდენა თვალები ჯიქურ მიაპყრო ხალხს: – მე არ მაქვს ჩრდილი! – კიდევ უფრო ხმამაღლა თქვა და ხელები კვლავაც აღაპყრო მაღლა. ხალხს ოხვრა აღმოხდა და ოხვრას მორიგი ამოსუნთქვაც ამოაყოლა;

– მაგრამ მე მთლად კაციც როდი ვარ?! – ხელები ჩამოიღო ძირს და გულზე დაიკრიფა: – ახლა ერთ კითხვაზე მიპასუხეთ!

– თუკი პასუხი გვექნა... – თავი ისევ იმ წარმოსადეგმა მოხუცმა გამოიდო. ადგომით არც ახლა წამომდგარა.

– დიახ, კაცი ურჩდილოდ მე ვერ წარმომიდგენია, მაგრამ თქვენი აზრით ვის შეუძლია უჩრდილოდ იყოს?

– კაცს ნამდვილად ვერა... – ახლა კი წამოდგა ის წარმოსადეგი მოხუცი და ნიმროდს მიაჩერდა.

– მართალი ხარ, მოხუცო! – შეჰყვირა ნიმროდმა, – კაცი ურჩდილოდ მაინც როგორ წამოვიდგინო?!

– კაცი უჩრდილოდ კაცი ვერ იყოს.... – ჩაფიქრდა წარმოსადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი მოხუცი, – მაგრამ... – დაწყებული აზრი ვეღარ გააგრძელა და თავი ჩაქინდრა.

– ხალხნო! გეკითხებით ყველას: – თქვენ ხომ ბაბილონი ხართ?

ხალხმა ისევ შეიკრა სუნთქვა: – მაშინ...

– მაშინ ვის შეუძლია ურჩდილოდ ყოფნა? და შეუძლია კი?

– მხოლოდ და მხოლოდ... – დაიწყო იმ წარმოსადეგმა მოხუცმა.

– შენ, ვატყობ გიპოვია პასუხი, მაგრამ გეშინია, თავი არ დაკარგო... მეტი გამბედაობა, მოხუცო!

– და ვინაა ის, ვისაც ურჩდილოდ ყოფნა შეუძლია?! – ამოთქვა ხალხმა ერთხმად და კითხვის კითხვად იქცა.

წარმოსადეგი მოხუციც წელში გასწორდა, ნიმროდისკენ გაიწია და მისგან ერთი ხელის გაწვდენაზე შედგა: – შეიძლება გიპასუხოთ ჯერ თქვენ და მერე... – ხმა ჩაუწყდა და ნერწყვი დაადგა ყელზე.

– მოხუცო, ბაბილონელები შენს პასუხს ელიან. გაგიგონებენ ბაბილონელები და მეც გაგიგონებ!

და წარმოსადეგმა მოხუცმაც მოუბოდიშა ნიმროდს და ხალხისკენ შებრუნდა: – მაგრამ ზურგი რომ შეგაქციეთ: – ისე გამოსძახა ნიმროდს, აღარც შებრუნებულა მისკენ.

– ჯობს მე მაქციო ზურგი, ვიდრე ბაბილონს და ბაბილონელებს...

ესმა წარმოსადეგ მოხუცს ნიმროდის გაბზარული ხმა და: – ხალხნო! – შესძახა მთელი ხმით: – ჩრდილი მხოლოდ და მხოლოდ არ უნდა ჰქონდეს უფალ ღმერთს! ან: ჩრდილიც როგორ უნდა ჰქონდეს ღმერთს?! – ამოიძახა. ნიმროდისკენ შებრუნდა და მუხლებზე დაეშვა მოწყვეტით: –– თქვენ არ გაქვთ ჩრდილი, უფალო ღმერთო... – მისივე ხმა ექოსავით მოუბრუნდა და ისევ ხალხის პირისპირ აღმოჩნდა: – ხალხო! უფალი ღმერთი მიწაზე ჩამოსულა და ადამიანებმა კინაღამ ვერ ვიცანით...

და:

– უფალო ღმერთოო, – აღმოხდა მთლად ბაბილონს და ბაბილონიც განერთხო უფალი ღმერთის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირქვე ჩაემხო წარმოსადეგი მოხუციც, ეამბორა მიწას და მაღლა აიღო თავი: – უფალო, მოგვიტევე უმეცარ ადამიანებს, რომ კინაღამ ვერ შევიცანით შენში უფალი ღმერთი...

– წამოდექი, მოხუცო! – ჩასძახა ნიმროდმა და დაამწყალობა ხალხიც: – შეგიძლიათ, წამოდგეთ! წამოდექით და თვალი გამისწორეთ!

ხალხიც კრძალვით წამოდგება და თვალს ვეღარ გაუსწორებს მიწაზე ციდან ჩამოსულ ღმერთს:

– ერიდუა დედამიწის ჭიპი! სწორედ ერიდუში, მზის მოედანზე გადაიკვეთა ჩვენი – ჩემი და თქვენი გზები, ნიმროდი თქვენთანაა!

– და რას ითხოვს ხალხი უფალი ღმერთისგან? რას ითხოვს ხალხისგან უფალი ღმერთი? – უკვე ხალხის სახელით იკითხავს წარმოსადეგი მოხუცი.

ხალხი: – ისმინეთ ჩვენიც!

ნიმროდი: – ირწმუნეთ ჩემი და აღგამაღლებთ, ავამაღლებ ბაბილონს, მე დაგიბრუნებთ სამოთხეს! მაგრამ ერთი მტერი გვყავს. მას შეუძლია მოგვივლინოს წარღვნა და კაცობრიობას სული ამოხადოს. ამიტომ, ხალხნო, დაირაზმეთ ჩემს ირგვლივ, ავაგოთ იმსიმაღლე გოდოლი, – ჩვენი თავშესაფარი, რომ ვეღარც წყალი მოგვწვდეს და ცეცხლმაც ვერაფერი დაგვაკლოს! ბაბილონის გოდოლი შეწვდება ზეცას! მე მნებავს ასე! დამიმტკიცეთ ერთგულება და აგავსებთ და აღგამაღლებთ! ბაბილონის გოდოლი უკვდავებაა თქვენი!

– და ვინ არის იგი, ვინც წინ აღუდგა თქვენს ღვთაებრივ ნებას? – ამოთქვა ბაბილონმა.

– ბაბილონელი ვერც უნდა იყოს... – გაისმა აქეთ-იქიდან და ექოდვე დაუბრუნდა ბაბილონს.

– ბაბილონის გოდოლი თვითონ ჩვენი უფალი ღმერთის ნიმროდის იდეაა! სხვა ღმერთი არ გვინდა ჩვენ, ცაბაოთი მოგვიკვდა ერთხელ. თავისი დაუდევრობით გამოგვაკლდა. ღმერთი იყო ჩვენი და მტრად მოგვეკიდა! არ გვინდა ცაბაოთი. ჩვენი უფალი ღმერთი ნიმროდია და უნდა ავასრულოთ მისი ნება! ბაბილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის გოდოლი ჩვენი დიდებაა, ჩვენი შველა და მომავალი! ჩვენი საუკუნის მონაპოვარი, მისი სახელი და დიდება ათასწლეულებს გადაამეტებს. გოდოლი უკვდავებაა! – ეს სიტყვები იმ წარმოსადეგ მოხუცს ეკუთვნოდა და ნიმროდსაც გაუელვა:

„საოცარია, ამ კაცს ჩემს ქურუმებს შორის ვერ ვხედავდეო... თითქოს მარდუქს საგანგებოდ გამოეგზავნოს ჩემთვის, მაგრამ ამაზე ხვალ... ეს ღამე ჩემს ფიქრის სავარძელში უნდა გავატარო... საფიქრალი კი მართლაც მაქვს: ისეთი რამ უნდა მოვიმოქმედო, რომ ბაბილონმა საბოლოოდ და სამუდამოდ ირწმუნოს ჩემი. ბაბილონი ელის ჩემს სიტყვას, რომ ცად შემტყორცნოს და გამაღმერთოს! ხალხმა ჩემში უფალი ღმერთი უნდა მოიხილოს!“

და ამ დროს ბორკილების ჩხარუნი ესმა ნიმროდს. იქითკენ მიბრუნდა და მალე ხელფეხდაბორკილი ებერის შემცვლელიც გამოჩნდა ბადრაგის თანხლებით. საქონდაქრეც მაშინვე დაიდგა.

– ვინ მოჰყავთ? – იკითხავს ხალხი.

– გახსოვთ, მკითხეთ სულ ახლახან: ვინ არის იგი, ვინც აღუდგა თქვენს ღვთაებრივ ნებასო. ესაა ის კაცი! და თვითონვე იტყვის, ვინც არის! – ნიმროდმა ებერის შემცვლელისკენ გაიშვირა თითი, – დაე, თქვას, რისი თქმაც სურს!

ებერის შემცვლელს ფერი წასვლოდა, მაგრამ არ დაცემულიყო სულით და თვალიც კი გაუსწორა ბაბილონს.

– თქვი! – ბრძანა სრულიად ბაბილონმაც და ებერის შემცვლელმაც ამოთქვა: – ბაბილონის გოდოლის აგება დანაშაულია, ეს გოდოლი უფლის საწინააღმდეგო ჩანაფიქრია! თქვენ სცოდავთ. მე მოგიწოდებთ: ნუღარ შესცოდებთ!

და: შეურაცხყოფილია ის წარმოსადეგი მოხუცი, შეურაცხყოფილია მთელი ბაბილონიც.

– ვის გულისხმობთ თქვენ უფალ ღმერთში?! – წამოიძახა წარმოსადეგმა მოხუცმა, – ცაბაოთს?! ეს შენი ღმერთია, ჩვენ ბაბილონელებს ჩვენი ღმერთი გვყავს! – თქვა ყველას გასაგონად: – ხალხო, ვინ არის ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი?

„ნიმროდი! ნიმროდი!! ნიმროდი!!! – ხალხის ხმაც სულ უფრო და უფრო მაღლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებერის შემცვლელს ცრემლებით ამოვსებია თვალის უპეები; ხელი ნიმროდისკენ უნდოდა გაეწვდინა, მაგრამ ბორკილმა არ დაანება და ამოილუღლუღა: – კაცს უფალი ღმერთის დაგმობა განუზრახავს. წინ აღუდგა უფალ ღმერთს, სახელი მისიც ხომ ამ-ასვე მეტყველებს!

– ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა! – თვითონ ბაბილონი შეუსწორებს ებერის შემცვლელს.

– იგი უღმერთოა! – თავისას არ იშლის ებერის შემცვლელი.

– ეს არაა მტკიცებულება! – წერტილი დასვა წარმოსადეგმა მოხუცმა: – ძირს დაიხედე, ურჯულო სემიტო! რას გადააწყდა შენი დასავსები თვალები?! ჩრდილს? მეც მაქვს ჩრდილი, ბაბი-ლონსაც თავისი ჩრდილი აქვს, ღმერთს კი არა აქვს ჩრდი-ლი! დახედე მაშინ ნიმროდს, აქვს კი მას ჩრდილი ჩვენნაირი! არა აქვს და არც არასდროს ჰქონია! ღმერთი თუ არა, აბა ვინ უნდა იყოს იგი?!

ებერის შემცვლელი გადაფითრდა, ადგილზე შექანდა გაოგ-ნებული.

გვიპასუხეო! მოითხოვდა ხალხი ებერის შემცვლელისაგან, პასუხი კი ამ კითხვაზე მას აღარ ჰქონდა: „მერე და ჰქვია კი კაცს კაცი, ჩრდილი თუკი არა აქვს?! – ისევ დაიხედა ძირს, თავის ჩრდილს გააყოლა თვალი, მაღლა აიხედა და თვალი გაუსწორა მზეს, რომელიც ჯერაც არ შემდგარიყო შუბის ტარზე. წესით ჩრდილი ჯერაც უნდა ჰქონოდა. ისევ ძირს დაიხედა: – ჩრდილი მისი ოდნავ შემოკლებულიყო, მაგრამ ჰქონდა კი.

– ჰო, ჩვენს დიდ მეუფეს ნიმროდს მართლა არა აქვს ჩრდილი, შენ კი გაქვს, ჩვენ ყველას საკუთარი ჩრდილია, რომ გვაადამი-ანებს. – იტყვის წარმოსადგეი მოხუცი და თავის ტალღისებურ წვერზე, მკერდამდე რომ სცემდა, ხელს ჩამოისვამს: – იქნებ ამა-ში მაინც გაგვარკვიო, ვის, ვის შეიძლება არ ჰქონდეს ჩრდილი?

და ებერის შემცვლელმაც ამოიხვნეშა: – ალბათ, უფალ ღმერთს!

– და მარტო ალბათ?

– არა, არა... უფალ ღმერთს არც შეიძლება ჰქონდეს ჩრდილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– და ამას ხმამაღლაც განაცხადებ ამ ხალხის წინაშე!

– დიახ. ღმერთს არც შეიძლება ჰქონდეს თავისი ჩრდილი!

– მაშინ კიდევ ერთხელ შეავლე თვალი დიდ ხელმწიფეს და მეუფეს ჩვენსას და რას ხედავს შენი სემიტის თვალი?

– ჩრდილი არა აქვს ბაბილონის მეფეთ-მეფესა და ქურუმთ-ქურუმს... – თქვა ერთობ ხმადაბლა, მაგრამ მისი სიტყვა ესმა ბაბილონს და ბაბილონმაც და ბაბილონელებმაც ერთხმად ამოთქვეს:

– ნიმროდი – უფალი ღმერთი!

– ოღონდ ღმერთი არა... – აღმოხდა ებერის შემცვლელს: – თფუი, ეშმაკს! თვალის ჩინი...

– ხედავ, ბრმა ხომ არ ხარ, არავის წაურთმევია შენთვის თვალის ჩინი და: არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ შენთვის უდროო დროს საშველად ეშმაკისთვის მოგიხმია! – ხელები მაღლა აღაპყრო წარმოსადეგმა მოხუცმა: – ხალხსაც მივმართოთ ახლა: – ხალხნო, ჩვენი მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი, დიდი ხელმწიფე და მეუფე ჩვენი, კაცი არ არის, როგორც ხედავთ, მაშინ ვინ უნდა იყოს? დგას ჩვენს წინ და არა აქვს ჩრდილი, მაგრამ კაცი არ ყოფილა, მაშინ ვინ არის იგი? არც უფალ ღმერთს მარდუქს ექნება თავისი ჩრდილი... – მუხლებზე დაეშვა წარმოსადეგი მოხუცი და ნიმროდისკენ აღაპყრო ხელები: – უფალო ღმერთო... მიუტევე ცოდვილ კაცს, რამეთუ არ უწყოდა, რომ სცოდავდა....

და ბაბილონიც დაეშვება მუხლებზე და ისიც თავისი წინამძღოლივით ლოცვას აღავლენს ნიმროდ-მარდუქის მიმართ.

უცებ წარმოსადეგი მოხუცი წამოდგა და მძულვარე თვალები შეანათა ებერის შემცვლელს. უკვე ცოდვილს: – ვინ არის ეს კაცი, რომელიც უარყოფს ჭეშმარიტ უფალ ღმერთს?

– ურწმუნო! – ერთობლივია პასუხიც.

– მაგრამ რას იტყვის ამაზე თვითონ უფალი ღმერთი ნიმროდ-მარდუქი?

ნიმროდმა ხალხს შეავლო თვალი, თითქოს ეფერებოდესო: – ხალხი ბრძენია!

– ხმა ღვთისა და.... – გაისმა სრულიად ბაბილონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ხმა ერისა! – ხალხის ხმას ნიმროდის ხმაც შეუერთდა.

– ხმა ღვთისა და ხმა ერისა! – ამას კი წარმოსადეგი მოხუცი იტყვის: – მაგრამ ბაბილონელი ურწმუნოს ბედიც გადასაწყვეტია!

– გააგრძელეო, თავს დაუქნევს ნიმროდი და წარმოსადეგი მოხუციც დაადგენს: – ჩამოერთვას ბაბილონელობა! დანარჩენს უფალი ღმერთი შეგვატყობინებს.

– ეს მთლად განაჩენიც ვერ არის, ხალხნო! – წამით შეყოვნდა ნიმროდი: – სამართალი მინდა თქვენ გააჩინოთ „ხმა ერისა“ ჩემთვის მისაღებია სავსებით, ამიტომ ბოლო სიტყვა შენ გეკუთვნის. ჩემო ბაბილონო! მოხუცო, შენ რაღას იტყვი ხალხის სახელით?

წარმოსადეგი მოხუცი სავსეა მზით და სავსეა თვითონ უფალი ღმერთით. მას თვითონ ნიმროდმა მიაქცია ყურადღება და თითქოს მართლაც ამაღლებულიყოო და მუხლი მოიდრიკა: – ხალხნო... – „ხალხნო“ მიმართვა ნიმროდისებურია და აღარ რცხვენია, რომ მიმბაძველია მისი: – ვინ, ვინ დგას ამ შემაღლებულზე ასე ამაღლებული, ზეციდან მიწაზე გადმოსული, ჩვენთვის კაცთათვის რომ იღვწის?!

– ნიმროდი – უფალი ღმერთი! – პასუხიც ერთობლივი და დიდი ბაბილონის გულიდან აღმოსული!

– ბაბილონი ნიმროდის შემოქმედებაა, ნიმროდი უმაღლესი შემოქმედია, აღგვამაღლა კაცნი ისე, რომ ვარსკვლავებს ველაპარაკებით, მაგრამ აგერ კაციც ურწმუნო! და ამ კაცს ერთი უბედურება ჭირს: თავისი არ იცის და სხვისიც არ ესმის! მაგრამ მეორე უბედურებაც ჭირს: ვერ ხედავს ჭეშმარიტ ღმერთს, ბრმაა და თავისი სიბრმავისაც აღარ სჯერა! ხალხნო! და ამ კაცის ბედი თქვენთვის მოუნდვია ნიმროდს – უფალ ღმერთს.

– ხმა ერისა! – შესძახებს ნიმროდი და ხალხიც ამოთქვამს: – ხმა ღვთისა და თავისთვის გულში იტყვის: „ხმა ერისა!“

– ბაბილონელებო! სიტყვა თქვენზეა! – იტყვის წარმოსადეგი მოხუცი ყველას გასაგონად: – და რისი ღირსია კაცი (თუ იგი კაცია), რომელსაც არ ძალუძს ირწმუნოს ჭეშმარიტი უფალი ღმერთი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სიკვდილი ურწმუნოს, ღვთის მგმობელს!

– თავსაკვეთელზე!

– მოკვდეს!

ისმის ყოველის მხრიდან.

– სიკვდილი! – ასეთია ხალხის განაჩენი.

ნიმროდს ნერვიც არ ატოკებია სახეზე: ჯერაც არ მიუცია დასტური სიკვდილის განაჩენზე, მაგრამ ხალხი დარწმუნებულია უკვე, რომ დღეს, ერიდუში, მზის მოედანზე დაიღვრება უკეთური სემიტის სისხლი.

და ნიმროდმაც მარჯვენა ხელი შემართა. სამარისებულმა სიჩუმემ მოიცვა ერიდუ. დუმს ნიმროდი და სუნთქვა შეკვრია ხალხს.

– აღარ დაისაჯოს?! – წამოსცდა ვიღაც სულწასულს.

ნიმროდმაც: – შემიწყალებიაო, თქვა ხმადაბლა, ძლივს გასაგონად და ნიმროდის „შემიწყალებიას“ ექო ტალღასავით მოედება ერიდუს.

– შემიწყალებია! – ახლა კი აუწია ნიმროდმა ხმას და კიდევ უფრო ხმამაღლა ბრძანა: – დღეს ერიდუში, მზის მოედანზე არ დაიღვრება სისხლი!

– აი, ღვთაებრივი გადაწყვეტილებაც! – აღმოხდა წარმოსადეგ მოხუცს: – დიდება ნიმროდს, ჩვენს უფალ ღმერთს!

ხალხი გაკვირვებულია და იქნებ გაოგნებულიც, ვერ შეგუებია ასეთ განაჩენს, მაგრამ უფალი ღმერთის ნებასაც ხომ ვერ გადავა?

– ახსენით ბორკილები! – ბრძანებს უფალი ღმერთი ნიმროდი, რომელიც ასე ამაღლებულა ხალხის თვალწინ, დღისით-მზისით. დიდია უფალი ღმერთი და გულმოწყალე! – ეს რა კარგად გამომივიდაო, ფიქრობს წარმოსადეგი მოხუცი და კვლავ გაიმეორებს (გულში) ამ ერთი წუთის წინ ნათქვამს: „დიდია უფალი ღმერთი და გულმოწყალე...“ – ჩაიმუხლა და ლოცვად დადგა.

ამასობაში ებერის შემცვლელიც ახსნეს თავსაკვეთელიდან, ხელფეხი გაუთავისუფლეს ბორკილებისგან და ჩრდილოეთისკენ მიაბრუნეს.

მაგრამ ასე როდი ენება ნიმროდს: – დარჩეს ბაბილონში, მაგრამ დადუმდეს! არა, ენა არ მოაჭრათ, ჰქონდეს, მაგრამ ვეღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაბრუნოს პირში! ეს იყოს მისი სასჯელი!

– არც იფიქროს?! – იკითხა წარმოსადეგმა მოხუცმა და ნიმროდსაც გაეღიმა უნებლიეთ: – არა, ფიქრს ნუღარ მოვუშლით! – თქვა და ხელი ხელს შემოჰკრა.

წამიც და ბედის ბედაურმა შესჭიხვინა სივრცეს, ნიმროდს ბრძენი ბუს ჩხავილიც ესმა, მოევლო ზურგზე თავის ბედის ბედაურს, ბრძენ ბუსაც უკვე დაეკავებინა თავის ჩვეული ადგილი პატრონის მხარზე...

წამი მეორეც და: ნიმროდიც იქ აღარ იყო.

ბაბილონმაც ამოისუნთქა შვებით.

ებერის შემცვლელი გაოგნებული დაჰყურებდა თავის აკანკალებულ ჩრდილს საგრძნობლად რომ დამოკლებულიყო და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, ხომ უთხრეს, დადუმდიო.

დიდება ნიმროდს, უფალ ღმერთსაო, ისევ გაიძახოდა ბაბილონი და ნიმროდის შემცვლელსაც შეაჟრჟოლა.

მზე ჩასულიყო.

ძირს დაიხედა ებერის შემცვლელმა და შეცბა: ჩრდილი არ ჰქონდა.

ამოიჭრა ქარი. იელვა... ჭექა-ქუხილი გამაყრუებელი.

ქარი კი ძალას იკრებსო თითქოს, თანათანობით მატულობს: ლამის წაიღოს ცა და ქვეყანა(!)

„უფალო ღმერთო...“ – ნიმროდს კი არა, თავის ღმერთს ცაბაოთს შესთხოვს ებერის შემცვლელი, შეეწიოს ბაბილონს და გონს მოიყვანოს ჭკუას გადაცდენილი ხალხი. მაღლა აიღო თავი, მზეს ეძებდა, მაგრამ იგი სხვაგან და სხვას უნათებდა უკვე.

იელვა ამ დროს, ებერის შემცვლელმა თვალი უსწორა ელვას და რა ხდებაო, ასეც იკითხა.

ბაბილონში ებერი შემოდიოდა...

* * *

თავის ფიქრის სავარძელში ჩასვენებული ფიქრობს. ფიქრი შეუწყდება წამით და გრძნეულ სულს იხილავს. მაგრამ გაივლის ის წამი და გრძნეული სულიც გაუჩინარდება. სულის შემძვრელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია უცებ ჩამოწოლილი დუმილი. „მე მინდა, გრძნეულო სულო, გამომიჩნდე, რომ მნიშვნელოვანი საკითხები განვიხილოთ“.

– იმას რატომ არ იკითხავ, ნიმროდ, შენ რომ მნიშვნელოვანი ggონია ესა თუ ის საკითხი, არის კი იგი ასე მნიშვნელოვანი ჩემთვის?! – იტყვის გრძნეული და მიჩუმათდება.

დუმილი ყურისწამღები!

ნიმროდი გრძნობს: „სადღაც ახლოს რომ არის გრძნეული, იქნებ იქვე, ფიქრის ოთახში, მაგრამ ვეღარ გაუგია, რას ფიქრობს ამ დროს მიჩუმათებული სული, რომელიც ტყუილუბრალოდაც ასე არ მოუახლოვდებოდა.

და რომ აღარ ელოდა ნიმროდი, მაშინ არ გამოუჩნდა გრძნეული?!

– ნიმროდ, – გააგონა გრძნეულმა: – შენ ის აღარ ხარ უკვე, რაც ადრე იყავ და მესმის შენი!

– ვგონებ, შენც აღარ უნდა იყო იგი, პირველად რომ გნახე....

„კი არ მნახე, მიხილე...“ – გაიფიქრა გრძნეულმა, მაგრამ აღარ უთქვამს, ფიქრი აღარ გაუხმოვანებია. ხომ უნდა ეთქვა რაღაც და კიდეც თქვა, მაგრამ უხალისოდ: – ეს შენ შეიცვალე, ნიმროდ და შენი ახალი გადასახედიდან მხედავ... შენებრ შეცვლილს!

– გრძნეულო... – გააღიზიანა ნიმროდი გრძნეული სულის ამგვარმა საქციელმა: – პირდაპირ საქმეზე ხომ არ გადავსულიყავით?

– მაშინ ვიკითხავ: რა გაჭირვებია ნიმროდს? ჩემი აზრით: თითქოს არც უნდა გიჭირდეს...

– მეკითხები, გაგჭირვებიაო და პასუხს აქვე შემომაშველებ... გინდა, შენსავით ვფიქრობდე?

– კარგი, კარგი... ებერი ბაბილონშია... და არ იცი, როგორ მიიღო. თარგამოსთან რომ გაგზავნე, მაშინ სხვა იყო ბაბილონი და სხვა იყო ბაბილონელიც! შენც სხვა იყავი, ნიმროდ! ებერი პატრიარქია, შენ – უფალი ღმერთი! და იცი, წინააღმდეგობას გაგიწევს, შენს მოწინააღმდეგე ბანაკში კი აღარ აღმოჩნდება, თვითონ შექმნის ამ ბანაკს ბაბილონში, შენთან სულ ახლოს, ყურის ძირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– განაგრძე, განაგრძე! – ღიზიანდება ნიმროდი.

– შენთან შეხვედრას ინებებს, მაგრამ მართალი გითხრა, არც კი ვიცი, მიიღებ თუ არა. ვხედავ, ოსტატურად შეგინიღბავს ფიქრები, მეც კი ვეღარ ვკითხულობ შენს ფიქრს. ეს ხელოვნება უმაღლეს დონეზე აგიყვანია. საოცარია, არ მეგონა. ჩემი აზრით არ უნდა მიიღო, მაგრამ იმასაც როდი გირჩევ, სულ აღარ მიიღო... აგრძნობინე შენი უპირატესობა! იცოდეს, რომ მასზე მაღალი ხარ, რომ უფალ ღმერთთან უსურვებია შეხვედრა, უფალ ღმერთს კი შეუძლია, აღარც ახსოვდეს ებერი. შენი თვალსაწიერიც უსასრულოა და უსასრულოა შენი გონსაწიერიც!

– ებერმა ალბათ არც არაფერი უწყის...

– იცის, იცის ყველაფერი! თითქოს ბაბილონში ყოფილიყოსო იმ დღეს. იცის, რისთვისაც აგებ ბაბილონის გოდოლს და წინააღმდეგია ამ შენი ჩანაფიქრის. და უნდა იცოდე, ებერი აღდგება შენს წინააღმდეგ და მოუწოდებს კიდეც ბაბილონელებს, რომ მონაწილეობა არ მიიღონ გოდოლის მშენებლობაში. ეს გოდოლი ხომ... შენი გოდოლია, ნიმროდ?!

– ჩემია, ჩემი საუფლო... საბრძანებელი. მაშასადამე, ჩვენს შორის არსებული ხიდი ვგრძნობდი, ოდესმე მართლა უნდა ჩამტყდარიყო. დაე ეს „ოდესმე“ უკვე ჩამოდგა?! ჰოდა: რა ვუყო ებერს?

– არაფერიც არ უნდა უყო! ხალხი ხომ დაარწმუნე, რომ გულმოწყალეც ბრძანდება შენი უმაღლესობა, უღვთაებრიოსობა? შენში ყველაზე მშვიდობიან და სამართლიან ღმერთს უნდა ხედავდეს შენზე მლოცველი... მაგრამ: შენ უხილავი ხდები!

– ვიღებ შენს რჩევებს, მაგრამ არა მგონია, უანგაროდაც მეხმარებოდე!

– შენგან არაფერს ვითხოვ, ნიმროდ! შენ ხარ და ესაა ჩემთვის მთავარი...

– შენი ფიქრი ისევ ცაბაოთითაა დაკავებული.... მესმის შენი... მაგრამ რა შეგიძლია, ესეც მინდა, ვიცოდე!

– ყველაფერი შემიძლია, ნიმროდ... მაგრამ თითქმის...

– ღმერთიც ვეღარ ყოფილხარ, მაგრამ გინდა გახდე!

– ამაზე ჯერ ნურაფერს მკითხავ... – სახე მოეღუშა გრძნეულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მაშინ ვინ არის ებერი, რის შემძლეა? და რატომაა იგი „მართალი ებერი“?

– ებერი ჯერ არცაა „მართალი ებერი!“ მომავლიდან მოუტანიათ ეს ამბავი... ანი დაერქმევა ებერს „მართალი ებერი„“ შენთან ჭიდილში, ნიმროდ!

– და „მართალი ებერის“ გზაზეც მე უნდა შევაყენო იგი?

– ებერი მართლა დაგიპირისპირდება, მაგრამ შენ შეუძლებელი უნდა შეძლო: არაფერი დაუშავდეს ებერს. დაუშავდება და „მართალი ებერის“ სახელსაც მოიხვეჭს. მაგრამ შენ არ დაუშვებ ამას, გარკვეულ დრომდე... ამ სურათს გარკვევით ვხედავ, თვალნათლივ...

ნიმროდს ფიქრი წაიღებს უბრალო მოკვდავივით და გრძნეულის საყვედურსაც დაიმსახურებს:

– ნიმროდ, შენ უფალი ღმერთი, უბრალო მოკვდავივითაც ველარ მოიქცევი აწი! დაიჯერებ შენ შენსავ ღვთაებრიობას და სხვაც დაიჯერებს. ამასთან: ბაბილონის მეფეთ-მეფე ხარ და ქურუმთ-ქურუმიც, მაგრამ იგიც გახსოვდეს, რომ იგი, როგორც შენ, დიდი ნოეს შთამომავალია! ებერი, როგორც ქურუმი, დიდად განსწავლულია... უმაღლესი ქურუმია... ეს წოდებაც შენ მიგინიჭებია მისთვის და: დღეს სემიტების პატრიარქია! ებერმა, როგორც უბრალო მოკვდავმა, შეუძლებელი შეძლო, უმაღლეს მწვერვალზეა, ვფიქრობ, შენამდე ვერა, მაგრამ ამაღლდა კი და ამაღლდა უსაშველოდ! ესეც გასათვალისწინებელია! შენ – უფალი ღმერთი... (ბაბილონის მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი!) ნოეც არ ამაღლებულა ასე! ეს შენ შეძელ შეუძლებელი! მაგრამ ებერი არ გცნობს ღმერთად, იმას თავისი ღმერთი ჰყავს – ცაბაოთი, რომელიც შენი ღმერთიც იყო და ნუ გიკვირს, რომ ებერი ცაბაოთის ერთგული რჩება. ცაბაოთისვე ნებითაა არჩეული პატრიარქად!

და იგრძნო გრძნეულმა, რომ ახალი კითხვით მიმართავდნენ და თვალებში ჩახედა ნიმროდს. იგუმანა როგორღაც რომ ნიმროდი მასზე აღმატებულიც იყო და შესაძლოა თვითონ – ცაბაოთზეც და უკუიქცა: თავი დამცირებულად იგრძნო და უნებლიეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიხია უკან. უკან ჩახეულმა დაკვირვებით შეათვალიერა ნიმროდი, იქნებ მართლა შეეგრძნო მისი ღვთაებრიობა: „მინდა ვიფიქრო ცაბაოთზე და ვფიქრობ ნიმროდზე...“ – თავს გამოუტყდა და ხმამაღლა თქვა: – ის, ის ცაბაოთი იყოს თავისთვის... ცაბაოთი მართლა ხელწამოსაკრავი ვინმე არ გეგონოს. ასე რომ მეგონა, ხედავ, რა დღეშიც აღმოვჩნდი... სხვა რომ არა, ღმერთია და სწორედ მის ღვთაებრიობას ვერ შევწვდი. ადამიც ხომ ცაბაოთმა გამოძერწა თიხისგან და სულიც შთაბერა... მერე და, როგორც ჭეშმარიტი ღმერთი, ისე აღიქვამს უსასრულობას და უსასრულოა მისი თვალსაწიერიც, გონსაწიერზე რომ აღარაფერი ვთქვა.... საზღვრები არ გააჩნია ცაბაოთის ხედვას. ნებაც უსაზღვროა მისი, მაგრამ ახლა შენს ბაბილონის გოდოლზეც! იგი ვერ დასრულდება და შენი თვითმიზანიც არ უნდა იყოს მისი დასრულება. დასრულებული გოდოლიც ვერ წარმომიდგენია... მის მხილველს ისეთი შთაბეჭდილება უნდა რჩებოდეს, რომ მშენებარია იგი, ცად აღმავალი... მარად მშენებარე! ისიც უსასრულო უნდა იყოს სამყაროსავით, იმასაც ღვთაებრივი იერი უნდა დაჰკრავდეს და იცოდეს თვითონ სამყარომაც, რომ იგი თვითონ უფალი ღმერთის – ნიმროდის საუფლო საბრძანებელია! იმდენად შეუვალი და უსასრულო უნდა იყოს ნიმროდის გოდოლი, რომ ერთგვარ შიშს, ძრწოლას იწვევდეს. კაცი უნდა ძრწოდეს შენსა და შენი გოდოლის წინაშე. თავი არარაობად უნდა იგრძნოს... და კიდევ: გითხარი უკვე: შენ ადამიანის თვალისთვის უხილავი უნდა დარჩე. არ უნდა ჩანდე, ვერავინ გხედავდეს, მაგრამ უნდა ისმოდეს შენი ხმა!

ღვთაებრივი ნება: ყოვლისდამთრგუნველი, ყოვლისმსაზვრელი!

შენ უსასრულობის, აღუქმელობის ხიბლი უნდა გეცხოს! და გოდოლსაც უცნაური, გასაოცარი, გაურკვევლობის იერი უნდა დაჰკრავდეს, იგიც შენსავით არამიწიერი უნდა იყოს, ადამიანის თვალისთვისაც და გონისთვისაც შეუცნობელი...

უსასრულოა, გიმეორებ შენი თვალსაწიერიც და გონსაწიერიც! – სიტყვასთან ერთად თითქოს და თვითონაც ჩამთავრებულიყოსო გრძნეული, სულაც მოეშვა და ნიმროდიც მიხვდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაილეოდა მალე გრძნეული სული. ამიტომ იყო, რომ შემფოთებით იკითხა: – და კიდევ როდის განახავ?

– თვითონ განახავო, იყო პასუხი. და კიდევ: ებერის გაწმინდანებას თვითონ შენ შეუწყობ ხელს, ნიმროდ! ხომ ამაღლდი შენ... ქამის შვილიშვილი, ამაღლდება ებერიც – სემის შვილთაშვილიც! თქვენ ხომ ნოედან მოდიხართ და იქ, ჩრდილოეთში მაღლდება იაფეტის შვილთაშვილიც, ნოეს შუათანა შვილისა... ნოე კი უკვდავებაა თავად!

ნიმროდს კიდევ ერთი რამის გაგებაც უნდოდა, მაგრამ გალეულიყო უკვე გრძნეული და ისე იკითხა, თორემ პასუხს აღარც მოელოდა:

– ჯერ არ გავსულვარ შენი გონსაწიერიდან... კიდევ გინდოდა გეკითხა რაღაც, მაგრამ სანამ მკითხავდე, მე მინდა გკითხო, მერე კი ნებისმიერ კითხვაზე გაგცემ პასუხს.

– კითხვა-მეთქი!

– არც მთლად კითხვაა ეს, ნიმროდ, გამოცანაა უფრო, ამოსახსნელი: ის ჩვენი ხელშეკრულება თუკი ძალაშია, სისხლისფერი რად გაღიავდა?

– მეეჭვება გაღიავებულიყოს... ხომ არ გატყუებს თვალი?

– თუკი ხელწერა თავის ფერს არ დაიბრუნებს, საეჭვოა აწი მიხილო! – ითქვა და შეხვედრაც ამით დასრულდა.

„ნეტა ისე გაღიავდებოდეს ის ჩვენი ხელშეკრულება, ვერც წაიკითხებოდეს... გრძნეული აღარც მჭირდება.“

თითქოსდა: ეწადა ფიქრის სავარძელში ჩაჯდომა და გაკვირებულიც დარჩა, რომ თვლემდა კიდეც იმ თავის სავარძელში. ღიმილი მოერია უნებლიეთ. მეძინებაო, ჩაითქვა და ძილ-ღვიძილში შეცურდა კიდეც.

* * *

„... და რომ ღმერთი იყოო...“ – ეს ფიქრი შემოსჩენია ნიმროდს და აღარ ასვენებს. კითხვა დასრულებული ფორმით მართლა ვერ წარმოედგინა და ერთი პირობა შეწუხდა კიდეც. აწრიალდა თავის ფიქრის სავარძელში და თვალებზე აიფარა ხელები. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდღეურმა ფიქრმა თავი მოაბეზრა და რომ აღარ მოემშვა, ხელი ჩაიქნია. ფიქრმა თვითონვე დაისვა კითხვის ნიშანი: „და ღმერთი რომ იყო?..“

მაშინ იყო, რომ თავი ველარ შეიმაგრა, გააფთრებული წამოიჭრა ადგილიდან, ფეხი ჰკრა ფიქრის სავარძელს და კედელს მიანარცხა. თვითონ კი კედელს შეასკდა, მერე შუბლზე იტაცა ხელი, იქნებ ამოეგლიჯა ტვინში ასე ჯიუტად გამჯდარი ფიქრი და რაღა ფიქრი? უფრო ნახევარკითხვა, უპასუხოდ დარჩენილი. პასუხი ვერ ეპოვა და: უფალ ღმერთს ყველა კითხვაზე თუ არ მოეპოვება პასუხი, რაღა ღმერთია მაშინო?

აქ გონს მოეგება: „ჩემთვის ძველებურადაც აღარ შეიძლება ფიქრი, ფიქრი ახლებურად მმართებს! ღერთი რომ იყო... ფიქრით უბრალო მოკვდავი შეიძლება ვერც ამოგწვდეს და იმხელაც ვერ წარმოგიდგინოს, რამხელაც ხარ სინამდვილეში, მაგრამ ამის გამოც ხომ არ უნდა განისაჯოს! მაგრამ მაშინ კი მართლა დასასჯელია, როცა გრძნობს და აცნობიერებს კიდეც შენს სიდიადეს, მაგრამ გამცრობს სხვის თვალში, არ გცნობს და თვალშიც ეპატარავები.

ამიტომ იმ კითხვამ „ღმერთი რომ იყოო...“ ასეთი სახე უნდა მიიღოს: „და რომ ღმერთი ხარ, ნიმროდ, როგორი უნდა იყო მაშინ?“ აჰა, გასწორდა კითხვა და მისი პასუხიც ასეთია: „უნდა მესმოდეს მიწის ენა და სივრცის ენასაც ხომ სრულყოფილადაც უნდა ვფლობდე, უნდა შემეძლოს უსასრულობის შეცნობა და მისი აღქმაც. მესმოდეს უსასრულობის უტყვი დუმილიც! უტყვი დუმილი?! არის დუმილი, რომელიც გაჰყვირის და არის დუმილი, რომელიც არაფერს გეუბნება. ვხედავდე ყველასა და ყველაფერს, არაფერი მრჩებოდეს მოუხილველი, მაშასადამე: ვიყო ყოვლისმხილველი! ამასთან: ყველასა და ყველაფერს თავისი სახელი ჰქონდეს და ამ ყველასა და ყველაფერს თავისას მიუზღავდე! მე სრულყოფილი მზეც უნდა ვიყო: თანაბრად ვასხივებდე, რომ არავის არაფერი მიაკლდეს. ვერავინ მისაყვედუროს!

და ვინ, ვინ შეიძლება მისაყვედუროს? ებერმა? და განა უნდა დაისაჯოს ამისთვის?! მე რომ მხოლოდ ნიმროდი ვიყო, თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე შეყვარებული უბრალო მოკვდავი და ნიმროდზე არაფრით აღმატებული, ებერს დავსჯიდი და ვერც ვერავინ მისაყვედურებდა, მაგრამ მე უფალი ღმერთი ვარ და მარტო კაცივითაც, ნიმროდივით ხომ ვერ ვიფიქრებ და განვსჯი?!

ნიმროდობის ვადა (დრო) გამივიდა. დაიწყო ჩემი ღვთაებრივი დრო და მე უფალი ღმერთი დროსაც განვაგებდე უნდა. დროის გარეთაც უნდა ვიდგე, რომ განვაგო დრო... განვაგებ დროს და... დროით აღჭურვილი კი სიცოცხლესაც განაგებს! და ამ უსასრულობას მე, თვითონ უსასრულობა, მინდა თუ არა, უნდა განვაგებდე! მოიცავდე უსასრულობას კი ნიშნავს ვაშუქებდე სიცოცხლის ელექსირს – უკვდავებას. ჩემი წყალობით: უსასრულობა უსასრულობად რჩებოდეს მარადის. არ იქნება სამყარო უსასრულო და არც სიცოცხლე იქნება და აღარც უკვდავება! მე სიცოცხლე მქვია, უკვდავება: სიცოცხლის მარადი წყარო...

* * *

ბაბილონის გალავანს აჰყურებს ებერი: მაღალია იგი, თვალუწვდენელი, თვალს უხარია, მაგრამ უწუხს გული; დახუჭავს თვალს, ხომ არ მატყუებს თვალიო, გაახელს, ახედავს გალავანს უკვე სხვა თვალით და ახლა თითქოს ისე მაღალიც ვერ არის გალავანი.

მაინც რა ხდება? რა და: ეს შეუვალი გალავანი მის თვალში ერთი სიმაღლისა არც არასდროს ყოფილა, ხან თვალშეუწდვენია იგი მისთვის, ხანაც ეპატარავება თვალში. და როცა უსაშველოდ მაღალია გალავანი, თითქოს პატარავდებოდეს თვითონ, ქვევით ჩამოიწევს გალავანი და ამაღლებულა ებერი, შეუძლია გალავანსაც გადაავლოს თვალი. და იმასაც ამჩნევს: როცა თვალუწვდენელია გალავანი, დაბზარულია მაშინ. ჰოდა: ებერიც დაასკვნის: გალავანს ამაღლება კი არა, განმტკიცება მართებს და ებერი ვალდებულია: დაუყოვნებლივ მოახსენოს ნიმროდს ამის შესახებ. მაგრამ მთავარია, გაეღოს კარიბჭე.

ებერმა მძიმე ხის ურო ჩამოიღო საკიდარიდან და სამჯერ შემოჰკრა კარიბჭეს. კარიბჭე გაიღო და ებერსაც გაუელვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოქროს კარიბჭეც გაიღო, გადავაბიჯე ზღურბლს და მეც ბაბილონში ვარ!“

ებერს ქარავანიც შემოჰყვა თან.

მექარავნე სადგომისკენ წაასხამს ქარავანს, ებერი კი თავის სასახლეს მიაშურებს. მაგრამ მეკარე წამოეწევა და ამცნობს, ნიმროდი თავის კოშკში მოგელისო.

ყველა, ვინც კი ნიმროდთან შეხვედრას ინდომებდა, ვალდებული იყო, მოსაცდელში შეყოვნებულიყო: მოეთქვა სული. ნიმროდისთვის სათქმელი კარგად რომ გაეაზრებინა. და რაც მთავარი: ყოველგვარი უკეთური აზრისგანაც უნდა გათავისუფლებულიყო. და გზაც მხოლოდ ამის შემდეგ იყო ხსნილი ნიმროდისაკენ.

ებერიც ჩაესვენა მომზადებულ სავარძელში. იგრძნო, როგორ შებოჭეს ფიქრებმა, თითქოს ბორკილებიც დაადეს ხელფეხზე. მოხშირებოდა სუნთქვა.

მაინც როგორ წარმოედგინა ებერს ბაბილონთან შეხვედრა? და გულიც აუჩურჩულდება: „დაიჩოქებდი და სამჯერ ეამბორებოდი მშობლიურ მიწას. მიწაც სამჯერ დაუბრუნებდა ამბორს და აგრძნობინებდა, რომ მონატრებოდა იმასაც ებერი.

„და ახალს რას მეტყვი, ებერ?“ – ესმა მიწის ყივილი და შეაჟრჟოლა.

„ახალი რა უნდა გითხრა, მიწავ ჩემო?! ახალი ის არის, რომ ქარდუხიც მშობლიურად მექცა, იქ ჩემი შვილი დავტოვე, იქ დამრჩა მეუღლეც – ჩემი ნია, ნოეს დედა... ისინი თავიანთ მამულში დავტოვე... მამულს იბერია დავარქვი...“

„ებერი და იბერია?!“ – გამოეპასუხა მიწა.

„მეღირსება კი მე ჩემი იბერიის მეორედ ხილვა?! ვიხილავ კი მე ჩემს ნოესა და ნიას?!“ – ყრუ კვნესა ესმა და მიაყურადა: – ნიმროდმა ზურგი შემაქცია და ადამიანს დაშორდა ასე!“ – ამოიჩურჩულა მიწამ: – თავი ღმერთად გამოაცხადა და საუფლო-საბრძანებელს იშენებს თავისთვის ერიდუში, მზის მოედანზე...“

ებერს დასიცხა და შუბლი ოფლმა დაუცვარა. უცებ წამოიჭრა სავარძლიდან და ნიმროდის კოშკისაკენ გასწია.

ფეხი ფეხზე წამოიკრა და წაიბორძიკა: – როგორ? მზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედანზე საუფლო-საბრძანებელს აშენებსო თავისთვის?! – მიწას დახედა და მაღლა მერე აიხედა: – როგორ, უფალო ღმერთო?

– ასეა, ებერ! – ხმა გაბზარვოდა ზეცასაც, სადაცაა უნდა გადახსნილიყოსო თითქოს. შეაჟრჟოლა ებერს და უჟმურაყოლილივით შეაცივა. დაიხარა, თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ ისე, რომ თვალი ზეცისთვის არ მოუცილებია, მიწა ფრჩხილებით მოფხოჭა, მუჭში მოიქცია და შეუთბა ხელისგული. გაშალა მუჭი და დაფშვნილი მიწასვე დაუბრუნა. გაუადვილდა სუნთქვაც.

და გზა გააგრძელა კოშკისკენ.

– ებერ! – მოესმა ისევ.

ამჯერად ზეცა კი არა, მიწა ეძახდა. შიში არც გაუვლია გულში.

– გისმენ, მიწავ!

– სულზე არ მოგვისწარი?!

– ებერო! ახლა ზეცამ დაუძახა: – შენი ბაბილონში ყოფნა უკვე აუცილებელია!

– შენ ხარ, უფალო? – ააძაგძაგა ებერს.

იელვა პასუხად და მიხვდა ებერიც, რომ ნოეს, სემისა და იაფეტის ღმერთი ელაპარაკებოდა.

– გისმენ, უფალო, ღმერთო ჩემო, მესმის შენი და... – აღელვებულს სიტყვა გაუწყდა.

– ებერ... – ცა გადაიხსნა, – ეს მე ვარ შენი და შენი ხალხის ღმერთი. უნდა გესმოდეს შენი ღმერთის შენ! ვიცი ყოველი, რაც თარგამოსის ქვეყანაში გადაგხდა თავს. იქ, სადაცაა რომ უნდა გადავვიწყებოდი იაფეტიანებს, სამლოცველო აღაშენე ჩემს სახელზე, წირვა-ლოცვა დააწყებინე იმ ხალხს, ქარდუხს რომ უწოდებს თავს! იქ ჩემს მიმართ აღავლენენ ლოცვებს, მერე და ძეგლიც დაუდგი ნოეს ქარდუხის შუაგულში! დავყურებ მე იმ ძეგლს ამ სიმაღლიდან და: შენ გააცოცხლე ნოე წინასწარმეტყველი და... ნოე – მოციქული ჩემი დედამიწაზე! მერე და ის რად ღირს, ულპობელი ხისგან ნოეს კიდობანი რომ გამოთალე... ნოესა და ჩემს სამახსოვროდ და სადიდებლადაც! იგი ქარდუხთ შეახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენებს, რომ დიდი წინასწარმეტყველის ნოეს, ჩემი მოციქულის შთამომავლები არიან დედამიწაზე.

– ქარდუხში, უფალო, ჩემს ჩასვლამდეც აღავლენდნენ ლოცვებს შენი მეუფების მიმართ.

– ახლა კი... ბაბილონშიც გამოგიჩნდება საქმე! ჰო, მართლა: ბრძენია თარგამოსი, თავისი ასული რომ მოგცა ცოლად! ამით ხომ უფრო უნდა განმტკიცდეს სემისა და იაფეტის ძმობა?! ხომ გამოჩინებული მეომარია და ამასთან ბრძენიც ყოფილა! ჭეშმარიტი მეფე თავისი ხალხის! მე თარგამოსიც მჭირდება და სიცოცხლესაც გავუხანგრძლივებ! რა თქმა უნდა, ქარდუხშიც საჭიროა შენი ყოფნა, მაგრამ უფრო ბაბილონში მჭირდები დღეს, შენ ხომ ჩემი ხალხის პატრიარქი ხარ ბაბილონში! მაგრამ ორ ადგილზე სამწუხაროდ არ შეგიძლია ერთდროულად ყოფნა!

– ნიმროდს რომ შეუძლია?!

– ნიმროდი, ებერ, სხვა ფენომენია! – თქვა და დადუმდა ცაბაოთი, – მაგრამ მე და შენ და სხვანი და სხვანი მაინც მოვუვლით ნიმროდს! ეს მერე იქნება, მერე...

– და ახლა რატომ არა?!

– სული წინ ნუ მიგისწრებს, ებერ! ნიმროდმა შექმნა და აღაშენა ბაბილონი, მაგრამ შენ ბაბილონის მიწაში ისეთ თესლს ჩადებ, რომ... მაგრამ მოთმინება, ებერ! ის თესლი ჯერ უნდა მოკვდეს მიწაში, უკვდავებას რომ ეზიაროს მიწა, უკვდავი მიწიდან კი ის შენი თესლი, გარდასახული უკვე, აღმოცენდება და: ნაყოფსაც კეთილს გამოიღებს! მაგრამ სანამ გამოიღებდეს ნაყოფს, იქამდე მზის სხივი უნდა დაეცეს, მეორე სიცოცხლით აღჭურვოს და... ეს უკვდავებაა, ებერ! ჯერ მიწა უნდა ეზიაროს უკვდავებას, რომ... მაგრამ ეს მომავლის საქმეა! მომავლამდე კი აწმყოს ვუწამლოთ უნდა! ებერ, შენი ვალია, ის თესლი, რომელიც შენ უნდა ჩადო ბაბილონის მიწაში, ნიმროდმა არ გაანადგუროს.

– და ძალიანაც ხომ არ დამიგვიანდა?

– შეგაგვიანდა, მაგრამ იმდენად არა, რომ ნიმროდმა იზეიმოს! ქარდუხიდანაც ვერ წამოხვიდოდი ისე, რომ იქაც არ ჩაგედო შენი სიცოცხლის თესლი... ყველაფერს თავისი დრო აქვს და... ნიმროდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა იცის დროის ფასი! მოხარული ვარ, რომ ქარდუხშიც დაფუძნდი! ამას დიდად ვუფასებ თარგამოსს! ასე რომ, შენ ქარდუხშიც გაიდგი ფესვები... ასე დაშორიშორებული სემი და იაფეტი ისევ შეაერთე და: გამაძლიერე, ებერ! ახლა ბაბილონის დალაგებაშიც დამეხმარე! შენ პატრიარქი ხარ და შენი მრევლი უმრავლესობა როდია დღეს ბაბილონში? თქვენ – სემიტები უმცირესობა ხართ, ეს მწარე სინამდვილეა. ნიმროდმა, რაც ღმერთად გამოაცხადა თავი, უფრო განიმტკიცა ხელისუფლება... წამართვა შუამდინარეთი, ბაბილონი აღარაა ჩემი!

ებერ, შენ ხელი უნდა შემიწყო, რომ დავიბრუნო ბაბილონი და მისი ხალხიც, რომელიც განმიდგა. არა, წარღვნას არ მოვუვლენ ადამიანებს. დღეს კი ბაბილონის გოდოლი – ნიმროდის ბაბილონი მაღლა მოიწევს... ჩემკენ, რომ შემომწვდეს, ჯერ გამიტოლდეს და მერე გადამამეტოს!

– ეს არ მოხდება! — აღმოთქვა ებერმა.

– მოხდება და სამყაროც დაკარგავს თავისი არსობის აზრს! ჰო, ნიმროდი გელის!

ცაბაოთი დადუმდა და ცაც მოიქუფრა. მაგრამ მალე გამოანათა მზემ, აღარ ჩასულა. აღარც ჩადიოდა, ნიმროდისა და ებერის შეხვედრას თუ მოელოდა.

* * *

დრო გაჩერებულიყოსო თითქოს. მზე აღარ ჩადიოდა, თუ ვერ ჩასულიყო?!

გულისცემა მოხშირებოდა ებერს.

ქარმა ღრუბელი გადაყარა და მზემაც გამოიდო თავი. დააცხუნა, როგორც შუა ზაფხულში იცის. ჩადიოდა მზე და აღარც ჩადიოდა: „ნეტა რას მოასწავებს ეს? რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც ისეთი, რომ...“ – ებერმა ვერაფერი მოიფიქრა იმაზე უკეთესი, რომ ოფლი შეეწმინდა შუბლზე, – მართლა ვერ ჩადის... მაგრამ მიზეზი ხომ უნდა იყოს ამის?! თითქოს ჩემს ჯიბრზე გაჯიუტებულა ასე!

ამასობაში კოშკთანაც მისულიყო. ახედა კოშკს: „კოშკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შია უთუოდ, თავის ფიქრის ოთახში. ნეტა რაზე ფიქრობს? რას აპირებს? და აპირებს კი?

იცის ნიმროდმა, რომ ბაბილონში ვარ და მელოდება მე! ვალდებულიც ვარ: და ნიმროდი გადაწყვეტს, დროზე მოვსულვარ, თუ დამგვიანებია, ნიმროდი ხომ დროის განმკარგავიცაა?!

დროის მეუფე! მაგრამ უფალი ღმერთი?!

გონისშემძვრელია ფიქრი ამნაირი...

ებერი ფიქრისთვის და მხოლოდ ფიქრისთვისაა ახლა განწყობილი. ნიმროდმა გაგზავნა იგი ჩრდილოეთს, ორ ზღვას შორის მდებარე ქვეყანაში. სადაც თარგამოსი მეფობს, ნოეს შუათანა შვილის შვილთაშვილი; ბაბილონში ნიმროდია მეფეთ-მეფე, ნოეს უმცროსი ძმის ქამის შვილიშვილი, ისიც ქამივით შერისხული და ებერი – სემის შვილთაშვილი, ნოეს უფროსი ვაჟის შთამომავალი. ჰოდა, დაბრუნებულა ბაბილონში ებერი და უნდა წარსდგეს ნიმროდის წინაშე.

ებერმა ქარდუხში, თარგამოსის კარზე ბევრის ნახვა მოასწრო, თავისებურადაც აღიქვა და ანგარიშიც უნდა ჩააბაროს ნიმროდს. დაიჯერებს კი ნიმროდი, რომ მათი მოდგმა შუამდინარეთიდან და კერძოდ ქალდეადან კია არა, არამედ ჩრდილოეთის ქარდუხეთიდანაა, რომ ქალდეა მათი მოდგმის მეორე სამშობლოა. მაგრამ მე დამაჯერა ამაში თარგამოსმა და მართლაც ქარდუხეთის ქვეყანაში შემავალი ტომები სულაც არ არიან ჩვენთვის უცხონი, ისინც იმ ენაზე ლაპარაკობენ, რა ენაზეც მეტყველებენ ქალდეაში უხსოვარი დროიდან. არავინ უწყის, როდის, აყრილან ნოეს წინაპრები ძირფესვიანად ჩრდილოეთიდან და სამხრეთისაკენ დაძრულან, იქ ევფრატის ნაყოფიერ მიწაზე დაფუძნებულან და იქაურობისთვის ქალდეა უწოდებიათ და თვითონაც ქალდეველებად მოიხსენებიან. სამხრეთში გადაბარგების მიზეზი ჰქონია ნოეს პაპის პაპას, მოძმე ტომის ბელადი შემოკვდომია და ადგილზეც აღარ დაედგომებოდა. მერე მემატიანეს ჩაძინებია და დროის ეს მონაკვეთიც მივიწყებას მისცემია. თვითონ ნოე ქალდეაში იყო დაბადებული და ქალდეველადაც იწოდებოდა, ნოესვე დაუდგენია შემდგომ: თუკი ვინმე მათი მოდგმიდან ოჯახის შე-

ქმნას გადაწყვეტდა, ქალი ქალდეაში უნდა მოეძებნა. სისხლის აღრევას თუ უფრთხოდნენ. მერე და: „ქარდუ“ და „ქალდეა“, ასე რომ მოგვაგონებენ ერთმანეთს: „ქალდე“ და „კარდუ“... „ქარდუ“...

ამ ფიქრებში იყო ებერი, რომ ნიმროდი დაუდგა თვალწინ.

ნიმროდსაც იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა ებერთან შეხვედრა, რომ შეიტყო თუ არა ებერი ქვევით ელოდა, თვითონ ჩამოირბინა კიბეები (ამ დღეებში მიღებულ კანონთა კრებულში შეტანილი წესები არად ჩააგდო და გაკვირვებულ ებერს უფლება დართო მკერდზე ეკოცნა მისთვის). თვითონ შეუძღვა თავის ფიქრის ოთახში, რამაც ასე გაოცებული დატოვა ებერი, თუმცა საწინააღმდეგო ამისა არც არაფერი ჰქონია.

ნიმროდმა მაღალ სავარძელზე მიანიშნა ებერს, თავად კი თავის ფიქრის სავარძელში მთლად მოშვებული ჩაეშვა. თვალები მოხუჭა და ასე თვალდახუჭულმა ისე ხმადაბლა მიმართა (არ უბრძანებია, როგორც სჩვეოდა ხოლმე) ებერს, რომ საკუთარი ხმა ძლივს გაიგონა. ამან მოაფხიზლა და ხმასაც აუწია: – ებერ, დიდის ამბით მოგელოდი და ამის დაფარვა არც მიფიქრია. მაგრამ ვიდრე შენ დაიწყებდე, ჯერ მე მომისმინე! დღეს ბაბილონში შენ შეიძლება ყველაზე საჭირო კაციც იყო! – და გაოცებული რომ ნახა ებერი ამ სიტყვების შემდეგ, თავისთვის ჩაიცინა: – სრულებითაც არ ვაზვიადებ, ებერ! დიახ, პირველი კაცი გქვია დღეს ბაბილონში, რადგან მე აღარ ვარ კაცი და კაცზე მეტიც. უფრო მეტი ვარ, ანგელოზებზეც აღმატებული...

– ანგელოზებზე აღმატებული კი უფალი ღმერთია!

– შენ კი პატრიარქად აგირჩიეს... მართალი გითხრა, არ გამხარებია... მაგრამ ჩვენი საპატრიარქოები რომ გაგვეერთიანებინა და მისი მთავარი პატრიარქი შენ რომ ყოფილიყავი... თქვენ სემიტები არ მცნობთ. ქამი ხომ არ ვარ, რომ თქვენი სიძულვილი დამემსახურებია, მაგრამ პასუხს დღეს არც მოველი შენგან. კაციც იმიტომ ხარ, რომ იფიქრო! შენ შეგიძლია, მშვიდობა სუფევდეს ჩვენს საპატრიარქოებს შორის. ებერ, პატრიარქს, როგორ ფიქრობ, სიბრძნე არ უნდა მართებდეს?! – ნიმროდმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული მოითქვა და თვალებში ჩახედა ებერს. და რაცა იგრძნო, ებერი მტრად ვერ მოეკიდებოდა მას, გულზე მოეშვა, – მაგრამ...! – ამოიძახა ნიმროდმა და თავის თავში ჩაბრუნდა ისევ: „კარგი, ებერს არ შეუძლია მიმტროს, და თუკი მაინც გაირბინა ჩვენს შორის შავმა კატამ, პასუხი საკუთარ თავს უნდა მოვთხოვო!“

ებერიც ცდილობს შეაღწიოს ნიმროდის სულში, მაგრამ ამაოდ: ნიმროდის სული დაკეტილი აღმოჩნდა მისთვის და არც არასდროს გაეღებოდა. მაშინ თავის თავზე გაეცინა ებერს და ნიმროდსაც გაეღიმა.

ამან ნიმროდი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ შეეძლო ნებისმიერის სულში ჩაეხედა, თავად მის სულში კი ვერავინ შეაღწევდა, რამაც აფიქრებინა კიდეც: „იგი კაცზე მეტია, ამაღლებული კაცზე და ამ სიმაღლეზე ამოტყორცნილს ვერანაირი კაცი (კაცის სუნი თუკი ასდიოდა) ვეღარ ამოწვდებოდა. ნიმროდი ხომ ღმერთია?! უსასრულობა თვითონ!“ – ჰოდა, ასე მიმართა ებერს: – ებერ, მე ვიცი, ვინცა ხარ შენ, საიდან მოდიხარ და შეიძლება ისიც ვიცოდე, საითკენაც უნდა გაედევნო შენს ბედის ბორბალს... საითკენ მიგვეჩქარება მე და შენ, სად ვეძიოთ ჩვენი ფესვები. ჩემი თვალსაწიერის შეცნობა შენ ყოველთვის გინდოდა და ვერც გაგამტყუნებ. ჩემი თვალსაწიერი ისე ვრცელია, რომ... რომ წარმოიდგინო, რეტი დაგასხამს თავს! გონსაწიერი ჩემი კი უთვალავჯერ აღემატება ჩემსავ თვალსაწიერს...

– და საიდან მოვდივართ? – ხელები გაშალა ებერმა, – მომიტევე, სიტყვას რომ გაწყვეტინებ...

– საიდან მოვდივართ ქალდეველები... დიახ, მაქვს ჩემი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით... ეს გრძნეული გული ჩამჩურჩულებს, რომ ჩვენი ფესვები ქარდუხის ქვეყანაში უფროა მოსაძიებელი, ვიდრე შუამდინარეთში. აბა, ჩავუკვირდეთ ამ ორ სიტყვას: „ქალდეა“ და (კარდუ) „ქარდუხი“... „ქალდე“ და „კარდუ“... მსგავსებას განა ვერ ამჩნევ, ებერ, ამ ორ სიტყვას შორის? ერთი საერთო ძირი რომ გაგვაჩნია ქალდველებსა და ქარდუხელებს, ეს ხომ ცხადზე უცხადესია! იქნებ ქარდუხნი და ქალდეველები ერთნი ვართ საერთოდ და ვერ შეგვიტყვია?! მაგრამ რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლიდან, ქალდეა ქარდუხიდან, თუ ქარდუხი ქალდეადან?! მაგრამ ამაზე მერე, ებერ! ჰო, მართლა, დიდია ქარდუხთა ქვეყანა? ბაბილონის ხელა?

– ჩვენი ბაბილონის ხელა ნამდვილად ვერ არის, მაგრამ... გამიგონია, რომ ქარდუხეთის ირგვლივ დაუმორჩილებელი ტომები დათარეშობენ და ისინი ქარდუხთა ენაზე მეტყველებენ...

– და რატომ არ დაიპყრობს მათ თარაგმოსი და არ მოათვინიერებს? ერთი დროშის ქვეშ რომ გაერთიანდებოდნენ... და თუკი ხელი არ გაანძრია თარგამოსმა, საეჭვოა დიდი მეფის სახელით შემორჩეს ისტორიას. ქარდუხი თავისი ხასიათით, ებერ, ხომ არ ჩამოგავს ბაბილონელს?

– ხალხი? კეთილაღნაგი, თავისუფლებისმოყვარე, თავს არავის დააჩაგვრინებს... თვითონ თარგამოსი? სწორუპოვარი მეომარი, დიდი მონადირე, თქვენებრ ნადირობის ტრაფიალი, მაგრამ...

– მაგრამ, ებერ!

– თქვენამდე ვერ მოვა...

– მაშ, ის ჩემი გაღუნული შუბი ვერ გაუმართავს? მაგრამ ამაზე მერე, ებერ! ქარდუხზე თითქმის არაფერი გითქვამს!

– ბუნება დიდებული, სიმწვანეში ჩაფლული. ჰავა – ჩვენსაზე ზომიერი, ლბილი, სამოთხე გეგონება... მიწა – მეტად ნოყიერი... იქნებ თავისი ადამიც ქარდუხის თიხისგან გამოძერწა უფალმა?! ქვეყნის დასავლეთი ნოტიოა შედარებით, ზღვა თუ ზემოქმედებს, აღმოსავლეთი – მშრალი, მაგრამ მაინც ზომიერი, ხალხზე გითხარით უკვე...

– განაგრძე ებერ! თარგამოსზე რა იცი?

– თარგამოსი... – ებერი ნიმროდს მიაჩერდა: – მოძმეთა სისხლის ღვრას ერიდება...

– და ამას აქვს გამართლება?! – გაწყრა ნიმროდი, მაგრამ გაახსენდა, არ უნდა გამწყრალიყო და თქვიო, უთხრა ებერს, აღარ ურძანებია.

– მახვილით დამორჩილებული ხომ ვეღარ იტყვის, თარგამოსი ჩვენი მოძმეაო და...

ნიმროდი დაყვავებით შეხედავს ებერს: – ვიხედები მე თარგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსის სულში. მოხუცებულა და გრძნობებს აყოლია, ჰოდა, დროა, ტახტი თავის მემკვიდრეს გადააბაროს, და როგორ ფიქრობ, ვის მოიაზრებს თარგამოსი თავის მემკვიდრედ?

– ალბათ, ქართლოსს.

– და რატომ ჰაოსს არა? ჰაოსი მგონი უფროსიცაა... ჰაოსი და ქართლოსი ტყუპები ყოფილანო.

– მიზეზი ამისა ვერაფრით დამიდგენია. თითქოს ქართლოსის უფრო ეიმედებოდესო... – თქვა ებერმა და მეტის თქმასაც მოერიდა: „თარგამოსი აღარ იქნება და...“

– აღარ იქნება თარგამოსი და მის ქვეყანაში არ მგონია, შიდა ომები დაიწყოს: ჰაოსი თავისი ნებით გამდგარა გვერდზე, ალბათ რაღაც ისეთი რამ ჩაუფიქრებია, რომ... – და რომ შეხედა ნიმროდმა, ებერი ფიქრებით ქარდუხში იყო, იმის ფიქრებს ჩაუდგა კვალში.

„ქარდუხს ჯერ კიდევ ჭირდება თარგამოსის მტკიცე ხელი, უფრო: მისი სიბრძნე, მერე და ჰაოსის საქმეც ვერ გარკვეულა ბოლომდე...“

– იცი, შენ სწორად ფიქრობ, ებერ, ქარდუხს ჯერ კიდევ სჭირდება თარგამოსის „მტკიცე ხელი“ და ჰაოსის საქმეც ჯერაც არ გარკვეულა ბოლომდე.

ებერი სახტად რჩება: ნიმროდმა ახლაც ზუსტად წაიკითხა მისი ფიქრი. ნიმროდისთვის არაფერია დაფარული. იგი გრძნეულია და ამაში არც უნდა გეეჭვებოდეს.

– და, ებერ, რაც მთავარია, თარგამოსი არც ფიქრობს სიკვდილს! და ამ ყველაფერს რაც აღარ მოგიხსენებია ჩემთვის, თიხის ფირფიტაზე გადაიტან, შენებური რუდუნებით და: მე ხომ დაგიმადლი და დაგიმადლებს თარგამოსიც. ერს, ებერ, თუკი არ ახსოვს თავისი წარსული, ერიც აღარ არის და მომავალსაც ვეღარ შეიქმნის. ერი, ქვეყანა თავისი წარსულით უნდა ცოცხლობდეს და სულდგმულებდეს. ამიტომაც დაგაწერინე ბაბილონის ისტორია. შენ ბაბილონის მემატიანე ხარ და ქარდუხიც ხომ შენი მეორე სამშობლოა... ებერი – დიდი ჟამთაღმწერელი! არ გაგიკვირდეს ჩემგან და: წარმოგიდგენია გაერთიანებული ქარდუხი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილონი?! უფრო: ბაბილონი-ქარდუხი?! ჩვენს მორის სამოთხე იყო, მაგრამ უხილავია იგი დღეს ადამიანის თვალისთვის. ვერ მოვიძიებ და ბაბილონს ვაქცევ სამოთხედ! მე მომავლის გეგმები გადაგიშალე და მინდა ჩემს გვერდით იყო! მაგრამ... განა არ მესმის შენი? შენ პატრიარქი ხარ სემიტების, შენი ხალხის და უნდა გაამართლო მათი ნდობა, მაგრამ ასეთივე ნდობა განა ჩემთვისაც არ განგიცხადებია? ამიტომ: ებერი ვერც ჩემთან იქნება სრულად და ვერც თავის საპატრიარქოში... მაგრამ: მეც უნდა შევძლო, რომ შენს აგრერიგ გაორებას შევეგუო... შენ უნდა მიმეგობრო, ებერ, რომ მეგობრად გიგულო მეც!

ნიმროდი ერთგულებას ითხოვდა ებერისგან და ამან მეტად ჩააფიქრა ებერი. როგორ შეიძლებოდა ერთსა და იმავე დროს მეგობარი ყოფილიყო ცალკე ცაბაოთის და ცალკე ნიმროდის?! ორადაც როგორ გაჭრილიყო?!

– ებერ, სასწაულმოქმედია დრო და სწორედ დრომ გაგყო ორად, შუაზე გაგაპო და ფიქრიც ორჯერადი, ორმაგი გმართებს. ეს იმიტომაც, რომ ბაბილონი არ აირიოს და ორად არ გაიყოს, ებერ... მე და შენ უბედურება უნდა ვაშოროთ ბაბილონს!

აირიოს ჩვენი ყოფა-ყოფიერება?! არამც და არამც! ამას ვერ დავუშვებ. გარკვულად ვხედავ ხვალინდელ დღეს და ნეტა არ ვხედავდე! და რაც არ უნდა მოხდეს, აქედანვე ვეცდები სამართლიანად განვსჯიდე! შენ კი გთხოვ, არაფერი შეგეშალოს! ვიცი, კაცი ხარ შენც, შეიძლება დაგიცდეს ფეხი და...

:

მეტად დადარდიანებულიყო ებერი. გაღიზიანებული შევიდა თავის სასახლეში, სასოწარკვეთილი, მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ და რა დაემართებოდა, როცა შეიტყობდა, რომ ერიდუში, მზის მოედანზე ბაბილონის გოდოლის საძირკველი უკვე გაედგათ.

„სამართლიანად განვსჯიდეო...“ მაგრამ თვითონ ნიმროდი ვის უნდა განესაჯა სამართლიანად? – ფიქრი არ მოასვენებს ებერს. ნიმროდის სახე ედგა თვალწინ და ნიმროდით ივსებოდა. მარჯვნივ შებრუნდა და იქაც – ნიმროდი! მარცხნივ შეტრიალდა და ნიმროდი – იქაც, კეფაზედაც ნიმროდის სუნთქვას გრძნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა, ვეღარსად გაქცეოდა ნიმროდს. ნიმროდს ხედავდა ყველგან.

ნიმროდიც აღარ ჰგავდა თითქოს თავის თავს. მასთან საუბარმა ებერი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ნიმროდმა იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ებერს წარმოედგინა. ყველაზე მეტად მაინც იმან გააკვირვა, რომ თარგამოსისა და მისი შვილებისთვის გაგზავნილი საჩუქრების თაობაზე ნიმროდს არაფერი უკითხავს მისთვის, მაგრამ უფრო უჩვეულოდაც ის მოეჩვენა, რომ ნიმროდში ამას თითქოსდა ინტერესიც კი არ გამოუწვევია. მაგრამ თვითონ ბაბილონში თითქოს და საგანგებოდ გამეფებული სიმყუდროვე არაბუნებრივად ეჩვენა და ამან ჩააფიქრა.

ბაბილონში ხდებოდა რაღაც და ამაზე რომ არაფერიც მოეხსენებოდა, გულს ეს უკლავდა ებერს.

ისიც გაახსენდა: სანამ ბაბილონის კარიბჭე გაეღებოდა, შეძრწუნებულმა ახედა კედელს და უკუდგა: კედელი სამ-ოთხ ადგილზე დაბზარულიყო და თვალები მოხუჭა, რომ მომავალი ნგრევა-მსხვრევის ნათელი სურათი ამოეგდო ცნობიერებიდან: „იქნებ ნიმროდს თავი უფალ ღმერთად წარმოუდგენია?!“ – გაუელვა ებერს და სულ გადაფითრდა.

ებერს თვალწინ დაუდგა ნიმროდისა და თავისი შეხვედრის სურათი კოშკში. ნიმროდი მართლა გაახარა ებერის დანახვამ. ხელებგაშლილი მიეგება, მაგრამ თავისი გაღმერთების თაობაზე სიტყვაც არ დასცდენია. და თუკი ნიმროდი მართლა შეირაცხა ღმერთად, რატომ უნდა დაემალა ებრისათვის ეს ამბავი? ნიმროდს ხომ ყველაზე მეტად უნდა აინტერესებდეს, რას ფიქრობს ებერი მისი გაღმერთების თაობაზე: „რატომ დუმს ნიმროდი და რატომ არაფერს მეუბნება? არ მგონია, ჩემი ეშინოდეს...“ – ფიქრობს ებერი: „ნიმროდი ხომ თვითონ ცაბაოთის აზრსაც კი არაფრად აგდებს?! ცაბაოთი ნიმროდისთვის ხომ ცარიელი ადგილია სივრცეში?! სიცარიელე..“ მერე და: ნიმროდი ხომ უშიში იყო ვითარცა უხორცო?! იცოდა ნიმროდმა, რომ ეშინოდათ მისი და მარტო ეშინოდათო, ცოტაა ეს! ძრწოდნენ ნიმროდის წინაშე.

„ჰო, კაცზე მეტია ნიმროდი, კაცზეც – აღმატებული, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი ღმერთი?! ადამიანი ღმერთი როგორ იყოს?! თვითონ ადამიც კი, თავისი ხელით ცაბაოთმა რომ გამოძერწა თიხისგან, ისიც ვერ იყო ღმერთი! კი ხარ შენ, გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა, მაგრამ შენ ადამის ხელაც ვერ უნდა იყო! შეიძლება უძლეველი გოლიათი იყო, მძლეველი ყოველთა, მაგრამ ღმერთამდე ამაღლება შეიძლოს უბრალო მოკვდავმა?! და მაინც: ასე როგორ ირწმუნა მისი ბაბილონმა?! ცრუ ღმერთი დადიოდეს ბაბილონში და... არა, ამის ატანა აღარ ძალმიძს! – დასიცხა ებერს: – და მე ამ ცრუ ღმერთის გვერდით ვიყო?! მიმეგობრე, რომ გიმეგობროო! ვაჟკაცობა არ მეყო, წინ აღვდგომოდი იმის ნებას. მაგრამ ვაი, რომ გული უარესს მიგრძნობს.... ალბათ კიდევ ერთხელ გამაკვირვებს ნიმროდი...“ – თავის სამლოცველოშია ებერი უკვე, თავის შემცვლელთან განმარტოებულა.

ებერი უსმენს, ერთხელაც არ შეუწყვეტინებია თავისი შემცვლელისთვის, რომელიც ასე ამთავრებს თავის სათქმელს: ‡– ნიმროდი — უფალი ღმერთი...

– ცრუ ღმერთი! – თავი ვეღარ შეიმაგრა ებერმა: – ცრუ ღმერთი! – აღმოხდა.

– ვერავინ წარმოიდგენდა, რომ... – პირი გაუშრა ებერის შემცვლელს, – და ხალხმაც დაიჯერა ნიმროდის! იწამა მისი!

– საკვირველია! – სხვა ვერაფერი უთქვამს ებერს: – საკვირველება!

– თითქოს კაციც არ იყოს... – ენა დაება ებერის შემცვლელს, – იმას ხომ როგორც ღმერთს არ გააჩნია საკუთარი ჩრდილი?! და ნიმროდიც კაცი თუ არა, მაშინ ვინ უნდა იყოს? – ღმერთიო, ვეღარ თქვა.

– როგორ თქვი? ჩრდილი არ ჰქონდა ნიმროდსო? მზე შუბის ტარზე ხომ არ იდგა მაშინ?

– არა, იქამდე დრო იყო კიდევ... ჩვენ ყველანი საკუთარი ჩრდილებით ვიყავით იქ, მზის მოედანზე და მხოლოდ ნიმროდი იდგა უჩრდილოდ. ნიმროდს არ ჰქონდა ჩრდილი! თუმცა: აღარც კი მახსოვს, მაშინ მზე თავის შუბისტარს უახლოვდებოდა, თუ ამბავი იგი მზის ჩასვლამდე ხდებოდა... სწორედ რომ სასწაული! –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოთქვა ბოლოს ებერის შემცვლელმა და დაეთხოვა ებერს. განვიდა სამლოცველოდან და ფიქრიც ახალ პატარიარქს შეატოვა.

* * *

ნიმროდი თავის ფიქრის სავარძელში:

„ჩემი კედარი?!“ – ამაზე გაფიქრებამაც კი მოუშხამა გუნება. გაახსენდა, რომ არ გამოუჩნდებოდა კედარი და პირში ემწარა, თითქოს ნერწყვი მოწამვლოდეს. არა, ვერ შეიცვლიდა ცხოვრების ნირს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ველარასოდეს გაუმარტოვდებოდა თავის კედარს, რომელიც მისი აღარც იყო უკვე. თავის იდეაზე უარი ეთქვა?! საკუთარი თავი უარეყო?

მისასვლელი პირი ევფრატის წყალთანაც აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც გაუწია გულმა იმ თავისი დიდი წყლისკენ. ამის გაფიქრება და ბედის ბედაურიც მასთან გაჩნდა. არც ბრძენ ბუს დაგვიანებია.

წამი და ევფრატის წყალსაც მიეახლნენ. ევფრატიც ძლივს იცნო, მიიმდოვრებოდა თავისთვის, ჩაფიქრებული ერთობ. ნიმროდი არც კი შეუმჩნევია. სალამი უთხრეს და ისიც ისე მიესალმება, არც კი მიბრუნდება მისკენ. თავისი გზით წამდინარდება.

ქვევრი თავის ადგილას კი არ იდო, ეგდო, რამდენიმე ადგილზე გაბზარული, ერთგან კიდევ – ჩამოტეხილიც. წყალს ამ ქვევრით ველარ ამოიღებდა და ნიმროდიც მეტად ჩააფიქრა ამან (თითქოს განგებაც ხდებოდესო). იმას (კედარს გულისხმობდა) წყურია ალბათ (თვითონაც მოწყურებოდა), – გაიფიქრა და პეშვით ამოიღო წყალი. შესვა, მეორედაც შესვა ერთი პეშვი წყალი. კი, თვითონ მოიკლა წყურვილი, მაგრამ კედარისთვის როგორ მიეტანა წყალი?!

რა ექნა? მაგრამ ამაზე ფიქრით აღარ შეუწუხებია თავი. მით უმეტეს, მთლად დარწმუნებულიც არ ყოფილა, რომ უეჭველად დაენახვებოდა კედარი.

„იქნებ მაინც დამენახოს...“ – კი გაიფიქრა, მაგრამ აღარ გაუგრძელებია, ერთი პეშვი წყალი ამოიღო და კედარისკენ აღმავალ გზაბილიკს თავჩაქინდრული აუყვა. სულ იმის ფიქრში იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი მწვერვალზე ასვლამდე არ გასდინებოდა თითებს შუა.

კედარი პირველი იყო, ვინაც აღმართზე ამომავალი ნიმროდი დაინახა და გაუფერულებაც დაიწყო, მაგრამ ნიმროდმა მაინც მოასწრო დაენახა ნისლში გახვეული კედარი. ეს იყო სულ. კედარი გაუჩინარდა, რითაც აგრძნობინეს ნიმროდს, რომ მისი ხილვა აღარ უხაროდათ.

კედარი უფრო მკაცრად მოექცა ნიმროდს, ვიდრე – ევფრატის წყალი. მაგრამ ნიმროდმა თავისი ჰქნა და ის ერთი პეშვი წყალი იმ ადგილს დააპკურა, სადაც მისი აზრით კედარი უნდა მდგარიყო. კედარი კი მიწასა თუ ცას ჩაეყლაპოსო, აღარსად ჩანდა.

ნიმროდს მთელ ტანში ჟრუანტელი დაუვლის და უსიამოდაც გააჟრჟოლებს: „მეგონა გული მოუბრუნდებოდა ჩემკენ...“ – ფიქრობს გამწარებული და შეურაცხყოფილი. „კედარი აღარაა ჩემი, სიცარიელე დამხვდა მის ადგილზე... მისთვის რომ დამეჯერებინა... დამეჯერებია მისთვის და საკუთარი უარმეყო?!“ – მოეჩვენა, თითქოს ზურგით მიყრდნობოდა კედარის ტანს და თავიც სამოთხეში ეგონა, თითქოს ერთი მეორით ივსებოდნენ, მაგრამ მოუბერა ქარმა, ააწყვიტა ნიმროდი კედარს და სინამდვილეს დაუბრუნა. მიიხედ-მოიხედა და თვალი დასავლეთისკენ გადახრილ მზეს გააყოლა.

– ნიმროდ, ეს შენა ხარ?! ათას ვინმეში გამოგარჩევდი და დღეს კი ძლივსღა გიცანი. ზუსტად, დარწმუნებულიც შეიძლება ვერ ვიყო, რომ ნამდვილად ნიმროდი ხარ... – ეს მზეა, ძველი ნაცნობივით რომ ელაპარაკება, – კი, ნამდვილად შენ ხარ, ჩრდილის გარეშე... შენ – ერთადერთი და განუმეორებელი ამ სიმაღლეზე რამ ამოგიყვანა?! კედარმა ხომ გაგაფრთხილა, ვეღარ იხილავდი?! ამაოდ მოსულხარ, ამის თქმაღა თუ შემიძლია შენთვის. კი, გულთან ახლოს მივიტან შენს გასაჭირს, კიდევაც გითანაგრნობ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარები... ჩემს მეობაზე უარი ვთქვა?! შენც ხომ შენს მეობაზე ვერ იტყვი უარს?! შენ – ნიმროდი! მე – მზე! შენ რჩები ნიმროდად, მე კი – მზედ. მაგრამ იცოდე, მტრად არ მოგეკიდები!

– დრო დავკარგე მხოლოდ... მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სხვანაირადაც ვერ მოიქცევი! ვიცი, რაც უნდა გირჩიო, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს რჩევას არ მიიღებ.

– ვიცი, რაც უნდა მირჩიო... – თქვა ნიმროდმა, – მაგრამ მე ვერ მივიღებ ასეთ რჩევას! ვერც გაგიწყრები, მზეო, ამისთვის!

– ჩრდილი არ გაქვს და თავი არ მოგიკლავს. პირიქით, ეს ნაკლიც შენს სასარგებლოდ გამოიყენე. მაგრამ ერთს მაინც გაგიმხელ: შენ არც დაგიკარგავს ჩრდილი მაგრამ გქონდა!

– მაშინ რა იქნა? – უცებ გარდაიქმნა ნიმროდი, – სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, მაინც დავიბრუნებდი!

– გითხარი, ველარ დაიბრუნებ-მეთქი, რადგან... „მოგიკლესო“, ამის თქმას მაინც მოერიდა მზე და გზა გააგრძელა, აგრძნობინა ნიმროდს, რომ ამაზე მეტს მისგან ვერაფერს შეიტყობდა.

ამასობაში მზეც შედგა შუბისტარზე.

– ჰეი, შენ, მზეო! – ასძახა ნიმროდმა.

– ახლა კი მართლა ჩვეულებრივი მოკვდავისგანაც აღარ განსხვავდები!

– მზეო, ამბობენ შენზე, სამართლიანიაო, მე კი მეეჭვება შენი სამართლიანობისა! ახლავე აგიხსნი: შენ დედამიწის ზურგზე თანაბრად დაგინაწილებია ყველასთვის ჩრდილი, ურჩდილოდ არავინ დაგიტოვებია და მე რაღას მერჩი? მითხარ სიმართლე: ეს განგებ გააკეთე, თუ უნებლიეთ მოგივიდა? რა დაგიშავე, მზეო?

აქ ღიმილით გადაებადრა სახე მზეს და ნიმროდის გასაგონად იკითხა: – და მაინც: ვის უნდა მოეფიქრებინა შენი ასე უჩრდილოდ დატოვება? დაფიქრდი, ნიმროდ!

– ამაზე დაფიქრებაც არ მინდა! რა თქმა უნდა, ცაბაოთს! – რისხვა ჩაუდგა თვალებში ნიმროდს. გადმოიღო მშვილდი და უფალი ღმერთისკენ სტყორცნა ისარი.

იელვა ორჯერ ზედიზედ და მიხვდა, ცაბაოთს ახლაც ვერ მიაწვდინა ისარი, ამჯერადაც იწვნია მარცხი.

– ნიმროდ! – ჩამოსძახა მზემ: – მაგრამ ამას წინათ შენი უჩრდილოდ ყოფნა განა შენს სასარგებლოდ არ გამოიყენე?

– ესეც სიმართლეა, მზეო... მეც ისე არა მაქვს ჩრდილი, როგორც ცაბაოთს. მე ხომ უფალი ღმერთი ვარ და როგორ შეიძლება მქონდეს ჩრდილი?! მაგრამ ცაბაოთი?! დაიხედოს ძირს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება თავის ჩრდილს გადააწყდეს! ჰოდა, გული ნუ გაუსკდება! იქნებ დროა, ხელები დაიკრიფოს გულზე და მოკვდეს! – მზეს თავის თავზე გაეცინა; უფალი ღმერთი რას იტყვის ჩემზეო და თვალი თავის მორკალულ გზას შეაყოლა. დასავლეთისკენ მიუწევდა მხურვალე გული.

* * *.

ფიქრიანად აჰყურებს ნიმროდი ზეცისკენ თავაღებულ გოდოლს: „ბაბილონში თაყვანს სცემენ ღვთაებებს და შვიდია ასეთი ღვთაება შვიდთა მნათობთა პატივსაცემად და ნეტა ვის მოუვიდა ამ შვიდთა ღვთაებათა გაღვთიურება? განა თავისი ბრწყინვალების არეალში გახვეული მნათობი ეცდება ამ დიდებული სავანიდან თავის დაღწევას?! მნათობიც ხომ თავისი ბრწყინვალების წვენში იხარშება, უმაღლეს ნეტარებას ეზიარება და ამაზე შორს, ამაზე მაღლა განა იფიქრებს იგი აღმაფრენას?! მნათობთ ხომ თავიანთი თვალსაწიერი გააჩნიათ და რატომ ენებებათ ამ თვალსაწიერის მიღმა აღმოჩნდნენ. და რა იქნება გოდოლის ბოლო სართულზე ამ შვიდთა მნათობთა ჩრდილოვანი, შვიდკუთხა დარბაზი რომ გამოვყო?! და რატომ შვიდკუთხა?! ამაზე რაღას მეტყვის ჩემი გრძნეული ხუროთმოძღვარი?!

ამის გაფიქრება და გრძნეულიც გამოეცხადა:

– ნიმროდ, შვიდი ჩრდილოვანი დარბაზიო, ვბრძანებდით და თითოეული შვიდკუთხოვანიო...

– და რა მოიფიქრე, გრძნეულო, ამის სანაცვლოდ?!

გრძნეული ჩააფიქრა ამ კითხვამ და ნიმროდმაც აღარ დააყოვნა: იქნებ ხუროთმოძღვრის გამოცვლა დამჭირდეს?! რაღაც სხვა ხომ არ უნდა მოვიფიქრო?!

– არ დაგჭირდება, ნიმროდ, რადგან ვიცი, მოვიფიქრე: მართლა რა საჭიროა შვიდი დარბაზი და ყველა შვიდკუთხოვანი? ერთი მრგვალი დარბაზი რომ იყოს, ამით რა უნდა დაუშავდეს ნიმროდს, შვიდი მრგლოვანი სვეტით გამაგრებული... შემდგომ და შეიძლება დღეიდანაც, ამ სვეტებს ნიმროდის სვეტებს უწოდებენ. აქ ერთი სიახლეც, ნიმროდ! ამ მრგვლოვანი დარბაზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელი გამჭვირვალე იქნება, სვეტებიც გამჭვირვალენი... შუშისა იქნება, მინაზე ხომ არც არაფერი გსმენიათ ბაბილონში?!.. შუშა, მინა: გაგიკვირდა, ნიმროდ? მინა ჩვენთანაც კი სიახლეა... მისი შედგენილობა?! თვითონ მინასა და მის შედგენილობაზე აწი გვექნება საუბარი... აქ ახალ მეცნიერებასთან გვაქვს საქმე. უახლეს მიღწევებზე... თქვენთანაც დავნერგავთ ამ ტექნოლოგიას. ასე რომ, ეს საკითხი გადაწყვეტილია!

ნიმროდი კმაყოფილია.

* * *

ბაბილონის გოდოლი ჯიუტად მიიწევდა მაღლა, სადაცაა თავით მიებჯინებოდა ზეცას.

აქ გრძნეულმა დაკვირვებით შეათვალიერა ნიმროდი და ფიქრმაც წამოუარა: „თვითონ ადამი... ერთხელ კი ვაცდუნე, ვცდილობ კვლავაც ვაცდუნო, მაგრამ ისიც რომ ჩემს გადაცდენას ფიქრობს?! უფალი ღმერთის ცაბაოთის შემოქმედების მწვერვალი...“ – გაივლო გუნებაში და ახლა სხვა, უფრო შეუნიღბავმა ფიქრმა წაართვა თავი: – მე – ვერა, მაგრამ ერთი ვინმე კი გადაუდგება გზაზე და...“

„ებერი გყავს მხვედველობაში, მაგრამ...“

„კიდევ კარგი, რომ ჩემი პირველი ფიქრის წაკითხვა ვერ მოასწრო...“ – გრძნეულმა თვალებში ჩახედა ნიმროდს თავისი ვარაუდის გადასამოწმებლად, კმაყოფილი დარჩა და ნიმროდს შეეხმიანა: – მაგრამ ებერი ჰაერივით გჭირდება! ამბობ ჰაერივით მჭირდებაო და გავიწყდება, უფალი ღმერთი ხარ ბაბილონელთათვის და უჰაეროდაც რომ უნდა შეეძლოს გაძლება ღმერთს?! მაგრამ ეს სიტყვამ მოიტანა უბრალოდ... შენ უფალი ღმერთი ხარ და უშენოდ ვერც ვერაფერიც ვერ უნდა მოიაზრებოდეს: აირევა ერთმანეთში ყველაფერი, რასაც ქაოსი ჰქვია, ამ დროს სავარაუდებელია სივრცის გაფართოება, მაგრამ პროცესსაც უფალი ღმერთი უნდა წარმართავდეს: და გააჩნია, როგორ წარმოუდგენია ღმერთს თავად მის ირგვლივ და მასშივე არსებული მთელი ამ უსასრულო სივრცის არსი?! ქაოსის მოწესრიგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იგივეა, ნიმროდ: ადამი რომ გამოძერწა უფალმა თიხისგან და სულიც შთაბერა მერე! ამიტომ: ჯერ ქაოსი უნდა შექმნა, მიუსვ-მოუსვამ მერე შენს ჯადოსნურ კვერთხს. დაცხრება ქაოსიც და დგება შენი დრო, ნიმროდ! სული უნდა შთაბერო უსასრულობას და ამ ფორმას შინაარსს მისცემ! და ყველაფერ ამას შენი ურყევი ნება ჰქმნის... შენც ირწმუნე, რომ ამ ყველაფერს შეძლებ! შენ ხომ ყოვლისშემძლე ხარ, ნიმროდ! ჰოდა, ებერის მოქცევაც შენ გევალება, მაგრამ სიფრთხილე კი უეჭველად გმართებს! მთლად უბრალო ვინმეც არ არის ნიმროდ, ებერი! და: იყო უფალი ღმერთი, არ ნიშნავს, გენებოს მარტო! უნდა შეაფასო შენს წინაშე წარმოქმნილი ვითარება და მის დასაძლევად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო: უნდა ხედავდე, რაც შენს ირგვლივ ხდება და გრძნობდე აწი მოსახდენს! ხელაღებითაც ნუ მოეკიდები ებერს! ძალით ვერაფერს გააწყობ მასთან. ამასთან: უნდა წაიკითხო თვითონ ცაბაოთის ფიქრები, გასათვალისწინებელია მისი ნებაც... ერთი რამ მოვიფიქრე! ბაბილონის გოდოლის ის მრგვლოვანი დარბაზი შვიდ სვეტზე დაყრდნობილი, მინდა შეგახსენო, იგი შენი ფიქრის ოთახი უნდა იყოს შენივე სიმტკიცისა და საიმედოობისთვის. ამხელა დარბაზიო, იქნება მკითხო! ფიქრი თავში ამოჭრილი ქარია, გაიჭრ-გამოიჭრება... გასაქანი უნდა მიეცეს! ჰოდა, ამ ქარს უნდა დაეუფლო, უნდა დაიურვო იგი, შენს ჭკუაზე მოაქციო! დარბაზი, ვთქვით, გამჭვირვალეც უნდა იყოსო! და შენი ფიქრივით მოარული და ყოვლად გამჭოლი! ეს ფიქრი უნდა გაუმჟღავნდეს უსასრულო სივრცეს!

ნიმროდი: უფალი ღმერთი – სრულიად გამჭვირვალე უსასრულობა!

ებერი ხვალვე მოიწვიე და გადაუხსენი გული! და ისე, რომ შენს გულწრფელობაში არ შეეპაროს ეჭვი. აიძულე, რომ ირწმუნოს შენი!

და კიდევ: ეცადე: გაჭრილად თავსაც ნუღარ მოახვევ შენს ნება-სურვილს! ებერისგან კი არ უნდა გნებავდეს, არამედ – გსურდეს!

და რჩევაც ერთი: ებერის ნდობა გაქვს დასაბრუნებელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

„ებერ, მიმეგობრე, რომ მეც გიმეგობრო!“-ო, ახლაც ჩაესმის ნიმროდის ხმა – ბრძანებას მიახლოებული. თხოვნას ნამდვილად არ ჰგავს... იგი დღესაც მბრძანებლობს! მბრძანებელია ჭეშ-მარიტი. მას ნებავს. სხვანაირად არც ძალუძს... – საკუთარ ხმას მიაყურადა ებერმა: „მაგრამ კანონივითაც რომაა ჩემთვის მისი თუნდაც ჩვეულებრივი სურვილი?!“

და მაინც ისეთი რა ჭირს და რა ემართება ებერს, რომ თავი ვერაფრით დაუღწევია ნიმროდის გავლენისგან?! ნეტა მართლა ასეთი ვინაა ნიმროდი, რომ ასე მბრძანებლობს და რატომაა, რომ მაინც და მაინც უნდა ასრულდეს მისი ყოველი ნება იქნება ეს, თუ სურვილი?!

„ნიმროდიც ხომ ჩემსავითაა, კაცია ჩვეულებრივი და რატომ დამიჩემებია: თითქოს და კაცზე მეტიც და იქნებ ზეკაციც იყოს?! კი, რაღაცით მართლაცაა გამორჩეული იგი სხვათაგან, მაგრამ ჩემსავით ხედავს, იქნებ შორსაც ხედავდეს, ჭვრეტდეს კიდეც, მა-გრამ ხედავს! ჩემსავით ესმის! მაგრამ ჩემგან განსხვავებით, ნე-ბავს, მე კი მსურს მხოლოდ... ნება კი სურვილზე მეტია! და კიდევ კარგი, რომ მეც ნიმროდივით არ მნებავს!“ – ფიქრობს ებერი და გარკვევითაც ხედავს ნიმროდს: დგას კლდესავით შეუვალი, მტკიცე, მთელი თავისი ბრწყინვალებითა და დიდებულებით... მართლაც რომ აღემატება კაცს, ეს ნიმროდია! მაგრამ ნიმროდი – უფალი ღმერთი?! არა, ვერ წარმოვიდგენ...“

ნიმროდიც ხომ მისებრ ბიჭი იყო ერთ დროს, არავისგან არა-ფრით გამორჩეული. ორივე ნოეს შთამომავალია, იგი თუ ქამის შვილიშვილია, ებერი – სემის შვილთაშვილი. ოღონდ ნიმროდი მუდამ წარღვნაზე ფიქრობდა, პატარა ბიჭი იყო და ერთხელ ნო-ესთვისაც გაუსწორებია თვალი, მაგრამ ეს როდი ანიჭებს იმის უფლებას, რომ თავი გაიღმერთოს?!

და ებერიც ბოლოს მაინც გამოუტყდება თავს, რომ შურდა ნიმროდის. შურდა მისი იმიტომაც, რომ განმარტოება უყვარდა ნიმროდს და აბა, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა მაშინ?! ერთხელაც, რა კარგად ახსოვს ებერს, ნიმროდმა სილა გააწნა, მას კი გამბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაობა არ ეყო, ეპასუხებინა. ამას ხედავდა ნოე და მკაცრადაც დასაჯა ურჩი ნიმროდი (არა და არ მოუბოდიშა ნიმროდმა ებერს). ე, მაშინდელი ნიმროდი აღარასოდეს დაავიწყდება ებერს: ქამი თუ იხილა ნოემ ნიმროდის თვალებში. ჰოდა, მაშინ იყო, რომ ნიმროდიც ქამივით შეაჩვენა. დაწყევლა და უწინასწარმეტყველა, ებერზე ყოფილიყო დამოკიდებული. არა და: ჩააძაღლებდნენ სადღაც... დაიკარგებოდა და სახსენებელი აღარ დარჩებოდა მისი.

„მაგრამ... – ფიქრი გაიგრძელა ებერმა: – ნიმროდი დღეს ბაბილონის მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმია და უფალი ღმერთი... თვითმარქვია... მაგრამ: მან ბაბილონი დაარსა! ნიმროდი – ბაბილონის შემქმნელი ღმერთი?! მე კი: ნიმროდის მორჩილი... ნიმროდთან როგორ მივალ?! მაგრამ ნიროდი არ ჩერდება! ზეცისკენ შემართულა! ნიმროდს უბრალოდ კაცივით კი არ სურს, არამედ: ნებავს ღმერთივით! და მეშინია, როცა ნებავს ნიმროდს!“

ამის გაფიქრება და იელვა: „დღისით-მზისით იელვოს?! ცაზე არც ერთი ღრუბელი! არავითარი ავდრისეული ნიშანი!“ – ებერი შეცბა, თითქოს შეაცივა და უჟმურაყოლილივით შეაჟრჟოლა: „ჩემი ფიქრი თუ წაიკითხა უფალმა?! გაურისხებია ჩემს სულმოკლეობას...“

და მართლაც: წაეკითხა ცაბაოთს ებერის ფიქრი და აგრძნობინებდა კიდეც, რომ უკმაყოფილო იყო მისით.

ებერსაც: უნდოდა მაღლა აეხედა, მაგრამ გამბედაობა არ ეყო, თვალი შეევლო თვითონ უფალი ღმერთისთვის და მეორედაც შეაცივა, თუმცა მაინც აიღო თავი მაღლა: ღმერთი არა, მაგრამ შუბისტარზე შემდგარი მზე დაჰყურებდა თავს. თითქოს ისიც საყვედურობდა ებერს და წყენასაც ვეღარ ფარავდა მის მიმართ. ებერმა ძირს დაიხედა უნებლიეთ და ვერსადაც რომ ვერ დალანდა საკუთარი ჩრდილი, უნებლიეთ გაეღიმა. „ახლა მეც ნიმროდივით აღარ გამაჩნია ჩრდილი... და მეც უფალ ღმერთად წარმოვიდგინო თავი?! ფიქრმა თუ მიიყვანა ნიმროდი აქამდე! კაცს ფიქრი აღამაღლებს, მაგრამ ფიქრზე შორსაც არ უნდა წავიდეს და ახსოვდეს: კაცია იგი და ღმერთია მისი შემქმნელი –

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა ჭეშმარტი! ბედნიერია კაცი, როცა შეუძლია ფიქრი. ესეც ღვთის წყალობაა! ჩრდილი კი: მზესაც გააჩნია! მზის ბილიკი ხომ... უჩრდილონი კი უფალი ცაბაოთი და ნიმროდი არიან მხოლოდ! ნიმროდი უჩრდილოდ?! ამის ახსნა ნამდვილად არ შემიძლია! ნუთუ კაციც არაა ნიმროდი?! ესე იგი, არაა ადამიანი და მოკვდავიც როგორ იყოს კაცივით?! მაშინ ვინ არის ნიმროდი? თვითონ ის ლეგენდაც, რომ ღმერთმა თიხისგან გამოძერწა ადამი, აღამაღლებს მას ღმერთამდე! იქნებ ნიმროდი მართლა გამოიძერწა თიხისგან, მაგრამ ვაი, თუ მისთვის არც შთაუბერავთ ის ღვთაებრივი სული?!

არა! ძალიან შორს შევიჭერი! და ეს უკვე ფიქრიც აღარ არის! ეს ფიქრზე მეტია უკვე! და აქვს კი ადამიანს იმის უფლება, რომ ფიქრზე შორს წავიდეს, გასცდეს მისთვის დაწესებული ფიქრების ზღვარს და გადაიხედოს

!“ – ენის წვერი აეწვა ებერს, ჰოდა, იელვა ისევ:

– ებერ, შენ ცდები! მე მართლა შთავბერე სული ადამს და ჩრდილიც დავანათლე, მაგრამ სული, ისევე ჩრდილიც, საკუთრებაა ჩემი და როცა მომესურვილება, მაშინ დავიბრუნებ, ადამმა იფიქრა: რადგან სულიც ღვთაებრივი ებადა, ჩრდილიც საკუთარი ეგონა, ღმერთადაც ამიტომ წარმოიდგინა თავი... სული დავუტოვე, მაგრამ ჩრდილი მოვუკალი!

– მერე და ნიმროდიც... – ენა დაება ებერს.

– ებერ... შენ მგონი სადაცაა ადამიანურ საზღვრებსაც გადასცდე! – იელვა და თვალები მოეჭრა ებერს. თვალის ჩინი დიდხანს არც დაბრუნებია.

მხოლოდ შებინდებისხანს იელვა და უფალმა ცაბაოთმაც გამოიღო წყალობა ებერის მიმართ: – ებერ, გაახილე თვალი, რომ იხილო!

და ებერმაც იხილა(!) გაოფლიანებული შუბლი ხელისგულით შეიწმინდა და იმ ადგილს მიაჩერდა, სადაც ებერისთვის იელვა მხოლოდ: – უფალო, მიმიტევე! – სამჯერ გაიმეორა და უფალს შეჰღაღადა: – უფალო ჩემო, თუ ნამდვილად გესმის ჩემი, იელვე ერთხელაც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და იელვა მართლაც(!!!)

უფალს ესმოდა ებერის(.)

– მაგრამ სულ მაღლა და მაღლა რომ მიიწევს ნიმროდის გოდოლი?

– და შენ გგონია, რომ ვერაფერი შეაჩერებს იმის ზეაღსვლას? მე შენი აზრი მაინტერესებს, ებერ?

და ებერს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ვერც კი წარმოედგინა, ვინმეს შეძლებოდა ნიმროდის შეჩერება.

იელვა ისევ და რულმორეული ებერიც გამოცოცხლდა: – ალბათ, შენს გარდა ვეღარავინ აღუდგეს ნიმროდის ნებას. – „ალბათო„, აქაც ეეჭვებოდა ებერს და ეს აღარ ეამა ცაბაოთს. და რომ ებერი შეეჭვდა, ამან დააფიქრა ცაბაოთი, უფრო კი გაანაწყენა: – მე კი მეგონა შენც ნოესავით უდრეკი იქნებოდი, მე ხომ ყოველთვის მქონდა შენი იმედი.

– მაგრამ გოდოლი სადაცაა გაგისწორდეს და... – ებერმა უიმედოდ ამოიხვნეშა: რწმენა დაკარგვოდა უფლის და ამან განარისხა ცაბაოთი: – გონს რატომ ვერ მოხვალ, ებერ?!

და ებერსაც თითქოს ცივი წყალი გადაავლესო თავზე, გონს მოეგო, მაგრამ ისიც მოეჩვენა, რომ უფლის სიტყვა არც მთლად ეიმედებოდა და ამ დროს იელვა ისევ: – ებერ, უნდა გიწყრებოდე, მაგრამ აღარ გაგიწყრები, გამაგრდი, ებერ! – ეს თვითონ ცაბაოთი იყო, იმ სიმაღლიდან ჩამოსძახოდა იმედგაცრუებულ ებერს, და ებერიც საბოლოოდ მოეგება გონს, – უფალოო...

– ებერ: ჩემს საბრძანებელს კიდეც რომ მიებჯინოს ნიმროდის გოდოლის წვერი და კიდეც რომ გაიმაგროს თავისი ძლიერება ამ სიმაღლეზე, მივუვლენ მას მძარცველთ ჩემგან და... – ემცნო უფლის სიტყვა ებერს და თვალი უსასრულობას გაუსწორა, თავად უფალს ჩაჰხედა თვალებში და უფლისავე სიტყვით აივსო, თვითონ ნიმროდს რომ დაპირისპირებოდა, თუნდაც მისი ყოვლისმსახვრელი მახვილი აღმართულიყო მის თავს.

იელვა მესამედაც და: ასეც არასდროს გადახსნილიყო ზეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვიღაცას გაურბის ებერი, ოღონდაც ვერ გაურკვევია, ცხადში თუ სიზმარში?! თავიც რომ ვეღარ დაუღწევია მდევრისთვის?! გარბის თავქუდმოგლეჯილი. უნდა მიიხედოს უკან, მაგრამ მსწრაფლ გადაიფიქრებს, ვაითუ ნიმროდიაო? ოღონდ ნიმროდი ნუ იქნება და სხვა, სულერთია, ვინც უნდა იყოს, ნიმროდივით საშიში ხომ ვერ იქნება?! მაგრამ გული რომ უგრძნობს, წამოეწევა სულ მალე ის ვიღაც და მოსახდენიც მოხდება! უკვე იმის მოხშირებული სუნთქვაც ესმის, ერთი ხელის გაწვდენაღა თუ აშორებს მისგან. თავს ძალას დაატანს და ნაბიჯს აუჩქარებს, მაგრამ მდევარიც აუჩქარებს ფეხს: აჰა, თითქოს სულიც კი მოითქვა: „მითხრას მაინც, რა უნდა ჩემგან?“ – და ისევ ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა ტანში და მდევარიც, ებერის ჯიბრზე ხმას რომ არ იღებს? ხომ შეუძლია მოუქნიოს მახვილი და: მაგრამ ნიმროდის ხელით არ უნდა, მოკვდეს და აღმოხდება: ღმერთო, მომხედე!

უნდა გაასწროს სიკვდილს! – ნეტა ნიმროდი არ იყოს... უფალო... – შიშისგან მოეყინა ფიქრი და სათქმელსაც ვეღარ მოაბა თავი. და ამ დროს: – ებერ, შეჩერდი! – და ეს ორი სიტყვა სეტყვასავით მოხვდება გულზე: – მე ხომ არ გდევნი, ებერ და შენ რად გამირბიხარ?! დაგელაპარაკო მინდა, დადექ და შემობრუნდი ჩემკენ! – მაგრამ ებერი სულაც არ ფიქრობს შეჩერებას. ისე კი: უნდა იცოდეს, ვინ მოსდევს?

და მოთმინებადაკარგული მდევარიც მხრებში ჩაავლებს ხელებს, მიიზიდავს თავისკენ, და ებერისთვის სამწუხაროდ, ნიმროდის პირისპირ აღმოჩნდება იგი. მაგრამ არ ურისხდება მდევარი: – ებერ, გახსოვს, მიმეგობრეო, რომ მეც გიმეგობროო, გთხოვდი?!

ნიმროდი, როგორც ეტყობოდა არას ერჩოდა და ებერმაც ამოისუნთქა შვებით: „არაფერს მერჩის და რატომ გავურბივარ?!“ – ჰკითხავდა ებერი საკუთარ თავს და ამ თითქოსდა უბრალო კითხვასაც რომ ვეღარ უპასუხა, ამან ჩააფიქრა მეტად.

– შენთან ერთი კითხვა მაქვს, ებერ, უფრო – თხოვნა... მაგრამ სანამ გთხოვდე, მინდა გოდოლზე გითხრა, ერიდუში, მზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედანზე რომ შენდება. მაღლა, მზისკენ მიიწევს, ებერ. თვით სასწაული!

„მაგრამ რა უნდა მთხოვოს?!“ – ამ კითხვამ აღარ მოასვენა ებერი: „როდის იყო ნიმროდი ასე მოკრძალებული? კი არ ბრძანებს, არამედ ითხოვს. მგონი მართლა მძინავს და მესიზმრება!

– ებერ! – შეანჯღრია ნიმროდმა.

– ნიმროდ, გინდოდა რაღაც გეთხოვა და აღარ გითხოვია.... – ებერის ხმაში სიმტკიცე და მხნეობა იგრძნობოდა უკვე.

დიახაც: უნდა ეთხოვა ნიმროდს და მაინც რა უნდა ეთხოვა, როცა არასდროს ითხოვდა იგი?! ნიმროდი ხომ ბრძანებს და ძალით ართმევს?!

„მაინც როგორ გავურბოდი დამფრთხალი და გაუბედურებული,“ – სირცხვილისაგან ლამის დამწვარიყო ებერი და თავი ჩაჰკიდა. უკვე აღარ ფიქრობდა. გარიდებოდა ნიმროდის თვალს, საკუთარი თავის რცხვენოდა და სწორედ საკუთარ თავს გაურბოდა.

მაგრამ ასე როდემდე?

თვალებიც მერამდენეჯერ ამოიჟღლიმა: „მგონი აღარ მძინავს... ეს სიზმარიც აღარაა, უფრო ცხადია... მაგრამ ცხადში რომ დამმართნოდა ეს ყველაფერი, თავი ხომ მოსაკლავი მქონდა?! ვაი, სირცხვილო... კიდევ კარგი, რომ არის სიზმარი და ზოგჯერ სწორედ ის სიზმარი გვიჩანს ცხადად. არც კი ვიცი, რა მემართება და რა ვიფიქრო?! და რატომ მაშინებს სინამდვილე?! მერე ვინ არის ნიმროდი, თავი ღმერთად რომ გამოუცხადებია?! მერე ცაბაოთიც ცდას თუ ატარებს?! ნიმროდი ხომ სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი მოკვდავია, მაგრამ ადრე სხვანაირად რომ ვფიქრობდი, ნიმროდი კაცზეც მეტიაო... ახლა კი სხვას ვამბობ და მე ამ დროს მართალი ებერიც როგორ ვიყო?! გონს რატომ არ მოხვალ, ებერ?! – თავს შეუძახებს: – უბრალო მოკვდავიო?! ნიმროდი და უბრალო მოკვდავი?! მაგრამ ჩემი სიტყვების თვითონვე რომ აღარ მჯერა?! ნიმროდი დიდი მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი! ეს ზედწოდება საკმარისია უკვე, რომ მის უბრალოებაში შეგეპაროს ეჭვი! ბაბილონის დიდი და მართლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუმეორებელი განმგებელი... მბრძანებელი, თავისი არსით წინასწარმეტყველი, ადამიანის სულის დიდი მესაიდუმლე! მისთვის არაფერიც არ არის დაფარული! და განა მარტო მე მაკვირვებს ნიმროდი! რაც კი ჩაუფიქრებია, განა არ აუსრულებია? და კაცზე მეტიაო, მითქვამს და ეს აზრიც როგორ შევიცვალო?! ბაბილონი დაარსა და აღაშენა! ნეტა ზღაპარში ხომ არ ვარ?! ახალი ადამიანი შექმნა ბაბილონში – ბაბილონელი! ადამიანი განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა! ბაბილონელი – ამაღლებული ფიქრით! ამაღლებული სული... მაგრამ ამაზეც აღარ შეჩერებულა! აგერ სადაცაა ცას შესწვდება ბაბილონის, იგივ ნიმროდის გოდოლი! მართლაც ღვთაებრივი იდეა! ნიმროდი – ღვთაებრივთან წილნაყარი! და მარტო კაციო, როგორ ვთქვა?! უფალო, მომიტევე... ნეტა უფალ-ღმერთობა არ ენებებია ნიმროდს და... თვითონ მკრა ხელი, მიერთგულეო, კი მეუბნება... ჰო, ნიმროდი მომდევდა თურმე, თუ მოსაკლავად არა, მაშინ რაისთვის, რატომ? მე – დევნილი, იგი – მდევარი. სადაცაა წამომეწეოდა და გადაიფიქრა?! დარჩა მდევრად და დევნილად დამტოვა! დრო მომცა?! მაგრამ მაცოდინა ნეტა: ცხადში ხდებოდა ეს, თუ მესიზმრებოდა... ცხადსაც ჰგავდა და სიზმარსაც. და მაინც რა უნდა ეთხოვა ჩემთვის? და რატომ მთხოვს, როცა შეუძლია წამართვას! ნიმროდი თავად ბრძანებაა! აწი რომ დამიბაროს?! მთხოვს თუ მიბრძანებს?!“

მაგრამ სად ინდომებს ნიმროდი ებერთან შეხვედრას?

ებერი დიდი ხანია ცდილობს ნიმროდის გავლენისაგან გათავისუფლებას. მოწყურებია ებერს თავისუფლება! და ამას გამოაპარებ ნიმროდს?!

ალბათ ერიდუში დაიბარებს ებერს, მზის მოედანზე, გოდოლის ჩრდილქვეშ. გოდოლი „ცაისხელაო“, ერიდულად მოუქცია.

* * *

ბაბილონის გოდოლისკენ მიეჩქარება ებერს. თვალი შორიდანვე მოჰკრა ნიმროდს, გოდოლის ჩრდილქვეშ რომ ტკეპნიდა ადგილს ნერვიულობისგან, ვაითუ გაბედა ებერმა და აღარ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეცხადაო. ებერსაც აღარ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა ნიმროდთან: მორჩილად უკრავდა თავს. ებერმა ძირს დაიხედა და მერე თვალი ააყოლა გოდოლის ჩრდილივით დაყუდებულ ნიმროდის ტანს. თვითონ ნიმროდი ებერს კი არა, მის ჩრდილს უმზერდა, შეცბუნებულ პატრონს უკან რომ მოჰყვებოდა.

„ნიმროდი დიდი მზაკვარიც! გოდოლის ჩრდილქვეშ არხეინად გრძნობს თავს...“ – გაიფიქრებს ებერი და ახლა მზერას ქვევით ჩამოაყოლებს ნიმროდს.

– ებერ, შენ საკუთარი ჩრდილით მოსულხარ ჩემთან, მე კი რომ აღარ ჩამოგრჩენოდი, გოდოლის ჩრდილი მოვიშველიე. ალბათ, ხედავ, ჩვენს შორის არსებულ განსხვავებას, მაგრამ ჩვენს შორის განხეთქილების საბაბი, მართლა არ მგონია ეს იყოს. აგერ გოდოლიც და დღეს შენს მეგზურობას თვითონ მე – ნიმროდი ვიკისრებ...

ნიმროდმაც მხარმარცხნივ ამოიყენა ებერი. – ჰო, კინაღამ არ გადამავიწყდა: შენთან ერთი თხოვნა მაქვს და არ გამაწბილო, – გაახსენდა ებერს..

– ებერ, ვხედავ, გაგახსენდა, და კიდევ ბევრს გაიხსენებ. იცოდე, ვერავინ შეგზღუდავს. აქ, ებერიც ისეა თავისუფალი, როგორც – ნიმროდი.

ხვეული კიბეები სულ მაღლა და მაღლა მიიწევდნენ და ნიმროდიცა და ებერიც ეკარგებოდნენ თითქოსო მიწას.

ებერს სუნთქვა უჭირს, იმ სიმაღლეზე არიან უკვე.

– აგრე დარბაზიც, თითქოს და უჩვეულოც... ხომ ასე გეჩვენება ებერ?! რას ფიქრობ?

– თითქოს ზღაპარში ვიყო... – ფიქრმა წაიღო ებერი. – მაგრამ...

– რა „მაგრამ?“

ებერს, სანამ ამ კითხვას უპასუხებდა, უნდოდა გაეგო, რომელ სართულზე იმყოფებოდნენ, დედამიწიდან რამდენად დაშორებული, მაგრამ აღარ უკითხავს, იმის შიშით, ვაითუ ირონიული ღიმილი გამოეწვია ნიმროდში.

– ებერ, აქ მარტო ვართ მე და შენ და იცი რატომ?

– თვალით კი არა და ფიქრითაც რომ ვერავინ შემოგვწვდეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– და აი, რა მინდოდა, მეთხოვა შენთვის...

– მაგრამ უფალმა ცაბაოთმა რომ გაგიგონოს?

– მე ცაბაოთს როდი ვუფრთხი... – ხმას დაუწია ნიმროდმა და ებერიც სმენად იქცა, მაგრამ ნიმროდს სათქმელი არც ამჯერად ამოუქთვამს ბოლომდე.

„რატომ არ მთხოვს? ხომ უნდა ეთხოვა ჩემთვის? სიტყვა ბანზე რომ ამიგდოს? ნიმროდი ხომ ყოველ დღე იცვლება? გუშინ რომ იყო, იგი არაა დღეს და დღეს რომ არის, ხვალ აღარ იქნება... დღეს რომელ ნიმროდთანა ვარ ნეტა? ათასჯერ ათასი სახე აქვს და ამათგან ნიღაბი – არც ერთი.“ – იცოდა ებერმა, ნიმროდს შეეძლო წაეკითხა მისი ფიქრი და ამ სიმაღლეზე, ცაბაოთთან ასე მიახლოებულს, ყველაზე დიდი სემიტისთვის სასიკვდილო განაჩენიც გამოეტანა, მაგრამ თავსაც ხომ ვერ აუკრძალავს ფიქრს?! სიკვდილის განაჩენის გამოტანას კი სულაც არ ფიქრობდა ნიმროდი. იქნებ არც უნდომებია ებერის უბადრუკი ფიქრის წაკითხვა, ან წაიკითხა და ნირწამხდარს უბრალოდ დაეზარა სიკვდილის ცელის მოქნევა?! ამაზე ფიქრი კი თვითონ ებერმა აღარ ისურვა. არც ეეჭვებოდა, რომ დღეს ნიმროდის საყვედურს თავს ვეღარ აარიდებდა.

ებერს ბაბილონის გოდოლის ხსენებაც კი აღიზიანებდა და ნიმროდმა იმდენი ჰქნა, რომ შემოიტყუა ამ გოდოლში. მაგრამ ბაბილონის გოდოლიც ხომ უბრალო გოდოლიც არ არის, თვალში არ მოსდიოდეს ებერს და ებერიც ხომ ჯადოქარი არ არის, მოხუჭოს თვალი და გაქრეს, მერე გაახილოს თვალი და გოდოლიც აღარ იყოს!

გოდოლი მიწიდან ამომსკდარი ნერგივითაა, თავი ზეცისკენ აუღერებია და მიჰყვება თავისავე მზერას. ასე უნებებია ნიმროდს. მიწიერი სახელი მისი ნიმროდია, ზეციური ჯერაც არ შეურჩევია. იქნებ შერჩეულიც ჰქონდეს, მაგრამ მისი გამჟღავნება შეიძლება ჯერ ნაადრევადაც მიაჩნია.

„ჰო, რაღაც უნდა ეთხოვა ჩემთვის... მაგრამ აღარ მახსოვს, უკვე მითხრა, გამიმხილა სათხოვარი, თუ გადაავიწყდა და მაინც რომ მგონია: აღარ მთხოვს და ამითაც მთრგუნავს. მიჯობს., მი-

ბრძანოს და სადარდებელიც მომაკლდება...“ – თითქოს: ნიმროდის გვერდით რომ იყო, ესეც აღარ ახსოვდა უკვე, ნიმროდის თვალსაწიერს ვერაფრით გასცდენოდა, იმის თვალსაწიერში იწოდა თუ იხარშებოდა, ნიმროდის ნების გარეშე თავს ვეეღარ დააღწევდა ამ ეშმაკისეულ წრეს და ამ წრეში ამოჭრილი ქარის ზუზუნს: „ნიმროდს რაღაც უნდოდა ეთხოვა ჩემთვის...“

და ამ დროს: – ებერ, მგონი არ დაგვიწყებია, რომ უნდა მეთხოვა შენთვის რაღაცა. და იმიტომაც არ გთხოვდი, რომ აღარ გიკითხავს, რას ვითხოვდი ნიმროდი შენგან? ისე, მე რომ არ მეთხოვა....

– თვითონ უნდა მივმხდარიყავი? მაგრამ მე რომ ვერ ვკითხულობ შენს ფიქრებს?

– კარგად რომ დაფიქრებულიყავი?

– გოდოლი... – თითქოს წამოცდაო ებერს, – გოდოლზე მუშახელი უნდა გაკლდეს...

– ებერ! – წამოიძახა ნიმროდმა, - ჩემს გოდოლზე ყველაზე ნაკლებდასაქმებული სემიტია, შენი მრევლი თითქმის არ მონაწილეობს გოდოლის მშენებლობაში...

– და გინდა მოვუწოდო ჩემს მრევლს, რომ... უარი თქვას ჩვენს ღმერთზე?

– ებერ... მე უარს ვერავინ მეუბნება... ამიტომ: დროს გაძლევ მოსაფიქრებლად.

– და ვინც შენთან არ იქნება... – ებერს ნერწყვი გაუშრა პირში.

– ჰო, ებერ, შენ სწორად მიმიხვდი და: სწორადაც ფიქრობ.

– ვიფიქრებ... – ებერის ხმაში სიმტკიცე იგრძნობოდა და ამან გააღიზიანა ნიმროდი.

– იფიქრე, ებერ!

„არ მგონია ჩემმა მრევლმა ზურგი შეაქციოს ჩვენს უფალ ღმერთს...“ – თავი ფიქრმა წაართვა ებერს.

– და შენ, ებერ, იქნები იქ, სადაც იქნება მრევლი შენი... – სახე მოეღრუბლა ნიმროდს, – ამ კვირის სწორს აქ დაგელოდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

და სწორედ დათქმულ დროსა და დათქმულ ადგილზე მივიდა ებერი. ნიმროდი რომ აღარ დახვდა, იმის მაგივრად, რომ გახარებოდა, გული დაწყდა. რატომღაც ევფრატისაკენ მიბრუნდა, მაგრამ თვალი ვეღარ მიაწვდინა მდინარეს. თვალები მოწკურა, იქნებ ვიხილოო და შავ წერტილს მოჰკრა თვალი. სულ მალე ნიმროდი შეიცნო იმ შავ წერტილში, თავის ბედის ბედაურზე ამხედრებული. მხარზე ბრძენი ბუ ესვა.

ეს ის დრო იყო, როცა მზე შუბისტარზე შესადგომად ემზადებოდა. და რაღაც სასწაულად გაბრწყინებულიყო, აჰა, სადაცაა უნდა დამდგარიყო და ლავად გადმოღვრილიყო.

ჰოდა, ნიმროდმაც და ებერმაც თითქოს და შეთანხმებულივით ახედეს მზეს, მერე მზერა მზიდან ერთმანეთზე გადაიტანეს და ებერი მოეშვა უცებ, ნიმროდი მსუბუქად ჩამოხდა თავისი ბედის ბედაურიდან, ბრძენი ბუც ააწყდა იმის მხარს და სივრცეს შესწივლა, ბედაურმა სივრცეს შესჭიხვინა და: უკვე აღარც ბედაური იყო და აღარც – ბრძენი ბუ. ახლა ებერისთვის რომ გეკითხათ, ან ერთი სად არის, ან – მეორეო, მხრებს თუ აიჩეჩავდა გაკვირვებული, მაგრამ იგრძნო, ნიმროდის მზერა მის ჩრდილს ჩრდილივით რომ დააწვა და სული შეეხუთა. უნდოდა შეეხედა ნიმროდისთვის, მაგრამ მზერა ნიმროდის შუბლსაც ვეღარ ააწვდინა და ქვევით ჩამოუცურდა, ჩრდილივით დაეცა ნიმროდის ფეხსაცმლის ჭვინტს და ზედვე შეაცივდა.

– ებერ, მიგიხვდი! ჩემს ჩრდილს დაეძებ? მე ხომ არცა მაქვს ჩრდილი, გეშინია ჩემი, მართლა ღმერთი ხომ არ არისო, შენ კი გაქვს ჩრდილი და აღარც კი იცი, გიხაროდეს თუ გწყინდეს? ებერ, ჩრდილი რომ გაქვს, ეს ხომ შენს ადამიანობაზე, ადამიანურ არსზე მეტყველებს?! ადრე, როცა თვალს მოგკრავდი, ჩრდილი ხან – წინ, ხანაც – უკან, ხან – მარცხნივ, ხანაც – მარჯვნივ რომ გახლდა, შურით ვსკდებოდი.... ახლა არა, ებერ! მე – არ მაქვს ჩრდილი, შენ კი – გაქვს, სულ ეს არის, ესეც ჩვენი ბედისწერაა, მაგრამ დგება წუთი, როცა აღარც შენ გექნება ჩრდილი... ამაზე შეგიძლია იფიქრო და სათანადო დასკვნებიც გააკეთო... უზენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აესი სული ვარ! ეს ასეა, მაგრამ ასე რამ დაგზაფრა? ალარც შენ შეგრჩენია ჩრდილი და იქამდე არ მოვიცვლი ფეხს ამ ადგილიდან, სანამ შუბისტარს არ გადაცდება მზე და ჩრდილს დაიბრუნებს, შენც დაგიბრუნდება ჩრდილი, მე კი ურჩდილოდ დავრჩები...

დედამიწასაც ჩრდილი აქვს თავისი... აგერ უტყვი ქვაც: ხედავ, მზის დარად მოიმშობიარებს იგიც თავის ჩრდილს... იმას ვამბობდი, რომ დედამიწასაც აქვს საკუთარი ჩრდილი-თქო, ოღონდაც უფრო ნათელია მისი ჩრდილი, მთლად ჩრდილიც არ გეგონება... დედამიწაც სულიერია, ებერ! იგი სუნთქავს... სუნთქავს სამყარო, ფართოვდება და იკუმშება... მაგრამ თქვენ ყველას გიბრუნდებათ დროებით ჩამორთმეული ჩრდილი და უხილავი ძაფებით ხართ მიერთებული უფალ ღმერთს, და ეს ძაფები კვლავ ხილული ხდება. ამასთან: იბრუნებ ჩვეულებრივი მოკვდავის არც თუ უბრალო უფლებებს და მოვალეობებს, მაგრამ კარგავთ თავისუფლებას. აგერ გამოგეზარდა კიდეც ის თანდაყოლილი ჩრდილი კუზივით და თუკი დაფიქრდები, ცხადი გახდება შენთვის, რომ უცნაურ მოვლენასთან ხართ ადამიანები ნაზიარები, რასაც მოკლებული ვარ მე ნიმროდი. მაგრამ შენ მიცნობ თითქმის უხსოვარი დროიდან, ჩვენ ხომ ერთი საერთო ბავშვობიდან მოვდივართ?! ნოეს დროიდან... – და ნიმროდიც გამოუტყდება ებერს, რომ ეს კითხვა საკუთარი თავისთვის არაერთხელ დაუსვამს, მაგრამ პასუხი ერთხელაც არ მიულია. – მაგრამ საქმეზე გადავიდეთ! და როგორ ფიქრობ, ებერ, ვითომ არ იცის ნიმროდმა, რაც ახლა ტრიალებს შენს გულში?

– ნიმროდ, მე ვერ ვიქნები შენი საყვირი. ეს ერთი და მეორეც: ჩემს მრევლს მაინც როგორ მოვუწოდო, განუდექ ჩვენს ღმერთს და შენი ირწმუნოს! ნიმროდი შეუძლებელს მთხოვს!

– ებერ, შენიც მესმის, მაგრამ... გადაიფიქრო იქნებ და დროს გაძლევ კიდევ....

– ვერ გადავიფიქრებ! რომ გადავიფიქრო, შენს თვალშიც დავეცემი... განვუდგე ჩემს ღმერთს და მერე – ჩემს მრევლს?! შეუძლებელს ითხოვ ჩემგან... დღეს მე უმაღლესი ქურუმი ვარ ჩემი მრევლის, სემიტთა დიდი წინამძღვარი, მოძღვარს ხედავენ ჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში... იაფეტელებიც შემოგვიერთდნენ. იაფეტელთა უმრავლესობა შენს მხარეზეა; ნუღარ ინდომებ და ნურც მიბრძანებ, ვუღალატო საკუთარ მრწამსს. მე მყავს ჩემი უფალი ღმერთი და მისი სახელი ცაბაოთია!

– ებერ... – რა დიდი ძალისხმევა უნდა დასჭირვებოდა ნიმროდს, რომ რისხვით არ წამონთებულიყო და თავისი მოძმის სისხლი არ დაეღვარა. თითქოს ჰაერი აღარ ეყოო, ღრმად ჩაისუნთქა და უკვე სავსებით დამშვიდებულმა მიმართა ებერს: – ბაბილონი და ბაბილონელები ჩემში უფალ ღმერთს ხედავენ, თქვენ სემიტებს და მხოლოდ სემიტებს არ გინდათ მცნოთ. და რატომ გავიწყდება, ებერ, რომ უფალ ღმერთსაც შეუძლია, რომ განრისხდეს! ერთხელ ცაბაოთიც ხომ განარისხეს ადამიანებმა და წარღვნა მოუვლინა განდგომილთ?! კაცობრიობის გაწყვეტა გადაწყვიტა ცაბაოთმა მაშინ და ეს დაგვიწყებიათ. გაიმეტა ადამიანები დასაღუპავად! და ეს ყველაფერი ეპატიოს ცაბაოთს?! უფალი ღმერთი და ასე სცოდავდეს ადამის მოდგმის წინაშე?! ეს გოდოლიც, რომლის აგების წინააღმდეგიც შენ ხარ, იმიტომაც ჩამიფიქრებია, რომ განწირულმა ადამიანებმა სწორედ მასში დაინახონ თავშესაფარი... ვიცი, ცაბაოთის მიმართ ლოცვებს აღავლენთ თქვენს საპატრიარქოში, მაგრამ არავინ დამისჯია ამისთვის. კიდევ მეტს გეტყვი: ბაბილონში სწორედ შენი მრევლის წევრები ავრცელებენ ჭორს ჩემი დაუნდობლობის შესახებ!

– შენ შეგიძლია მე დამსაჯო, ნიმროდ!

– მეც ავიღებ და აღარ დაგსჯი, ებერ!

– ნება შენია, ნიმროდ...

– შენ ქარდუხიც წამართვი მე – თარგამოსის ქვეყანაში უფალი ღმერთის ცაბაოთის სამლოცველოები აღაშენე... ვხედავ მე ყველაფერს. ნიმროდისთვის არც არაფერია დაფარული! ნიმროდი ყოვლისმხილველია და მოიცავს ამ ყოველივეს. ვეღარც ჩემს ყოვლისშემძლეობაში შეიტანს ეჭვს ვინმე! ვერ აცნობიერებ, თორემ შენს წინ თვითონ უფალი ღმერთი დგას და: გიმეორებ, ებერ: ბაბილონი რომ ძლიერი იყოს, უძლეველი რომ იყოს ბაბილონელი, შენ უნდა დამიბრუნდე, ბაბილონს უნდა დაუბრუნდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავი ჩემი მარჯვენა ხელი! გამოიღე ეს ხელი ბაბილონის საკეთილდღეოდ!

ებერის პასუხი ერთობ მოკლეა: – მე და ჩემი ხელი ემსახურება უფალ ღმერთს ცაბაოთს!

– რომელმაც არ იცის ადამიანის დანდობა! წარღვნა რატომ არ გაგახსენდება?! სად იყო მაშინ ის შენი ღმერთი ცაბაოთი?

– მაღლა, ნიმროდ!

– მაღლა?! იქნებ ვერსადაც ვეღარ იყოს...

– საკმარისია, გწამდეს! – აღმოხდა ებერს.

– შენ ტოვებ ბაბილონს, მტოვებ მე და ანგრევ ბაბილონს! აუბედურებ ბაბილონელებს!

– შენ კი, ნიმროდ, სულს უკლავ ბაბილონს!

– მე აღვაშენე ბაბილონი, მე აღვამაღლებ ბაბილონს! სამოთხედ ვაქცევ!

– ნიმროდ, შენ მოიტან მაცდურ ჟამს!

– სამოთხედ მინდა ვაქციო ბაბილონი! მინდა ადამს დავუბრუნო თავისი სამოთხე და სამოთხესაც დავუბრუნო თავისი ჭეშმარიტი ბინადარი!

წამით ჩაფიქრდა ებერი: – ნიმროდ, შენ ანგრევ ადამიანის სულს. შენ დროსაც აუკუღმართებ!

– მე ვქმნი დროს: მე მომაქვს დრო დროთა შორის საუკეთესო! ეს იქნება სიბრძნის ხანა, ეპოქა რწმენის!

– ერა უბედურების, ეპოქა ურწმუნოების!

– ცდები, ებერ, გული მიკვდება ასე გონებაშეზღუდულს რომ გხედავ,... ებერ: მე მომაქვს დრო ნათელის და გაზაფხულის!

– დრო წყევლის, დრო იმედების მსხვრევის!

– დიდი ყოფა-ყოფიერება, ებერ!

– აღარაფერი... არარაობა... არარსი...

და ნიმროდმაც გადააქნია თავი: „ვგრძნობ, მომიწევს უკანასკნელი ბრძოლა, უკანასკნელი ომი. იქ ჟამთააღმწერლის სიტყვა დარჩება საჭირო! უკანასკნელი ომი, ქვეყნად მარადი მშვიდობა რომ მოვიტანო! – თვალებში ამოისვა ხელი და თვალებაელვარებული ებერი რომ იხილა, გაუკვირდა: – ებერ, შენ?! შენ არ გინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს სამოთხეში შემოსვლა. კეთილი, თავისუფალი ხარ, იცხოვრე მაშინ ჯოჯოხეთში!

ებერი უკან-უკან იხევს: თვალს არ უჯერებს, ყურიც ხომ არ მატყუებსო და როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მართლა თავისუფალია, რომ აღარავინ ერჩის, სიხარულისგან ჰაერი აღარ ეყო, და მაღლა აიხედა უნებლიეთ. ამ დროს იელვა. გარდაიხსნა ცა და იჭექა: – ებერ, ჩემთან ხარ და მიხარია! ნიმროდის ადგილი ჯოჯოხეთშია!

– ჰო, შენთან ვარ, უფალო ღმერთო! – ამოთქვა ებერმა.

– ებერ! შენ მალე გაიგონებ კივილს, ბაბილონის ნგრევისა და მსხვრევის ხმას! – მიწყდა ხმა და ცამაც შეიკრა პირი.

ებერი თავის სასახლეს გულისფანცქალით უახლოვდება. მღელვარებისგან მომეტებულად აძგერებია გული. ოფლი დაასხამს, ვაითუ ნიმროდის ბრძანებით აკლებული დახვდა თავისი სასახლე.

ნაბიჯს მოუხშირა.

არა: ნიმროდს გადავიწყებოდა ებერის სახსენებელიც და მისი სახლეულიც.

* * *

ესეც: ერთი ამონარიდი რეას
ფიქრების დღიურიდან:

„... ორ თვეზე მეტია, რაც არ მინახავს ნიმროდი! რა ხანია, არ შემოსულა ჩემში...

ნიმროდი – ღმერთი ჩემი და დიადი ფიქრი! უნიმროდობას, აღარც კი ვუწყი, როგორ შევეგუო?

არა, კი არ მოვბეზრებივარ, გადავავიწყდი (ეს კიდევ უარესი!) სად დაივანა ნეტა, ვისში შთავიდა?!

დიახ, შთავიდა! ნიმროდი უქალოდ? როგორც – ქვეყანა უწყლოდ, უქაროდ და დროის გარეშე!

დაგივიწყოს უნდა, ამოგირეცხოს გულიდან, არად ჩაგთვალოს, მაგრამ: ვიცი, ოცნებობს ქალზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე იმ ქალის, არარსებულის, დაუხატა ნეტარ ხელმა?

არის კი ქვეყნად ქალი ნიმროდის საფერი და საოცნებო?

ო, სიხარულო და სიყვარულო, რად მიმატოვე?!

და როს მხედავდა, მამჩნევდა თითქოს და მაბედნიერებდა: ცას ვეწეოდი სიხარულისგან!

გყავდეს ნიმროდი და არ ხარობდე, არ გიხაროდეს?!

ნიმროდ, ნატრულო! მოხვიდოდე ერთხელაც ჩემთან, შემოხვიდოდე ჩემში სრულად და:

შენს რეაში დამკვიდრდებოდე! ავივსებოდი კვლავაც ნიმროდით... და:

იქნებ: მეხილა მეც ნიმროდივით სამყარო ესე და აღმექვა კიდეც!

და როცა: ნიმროდი იყო ჩემში, ვერ ვგრძნობდი ამას და ვერც ვაცნობიერებდი, რომ ნიმროდი ვიყავ თვითონ!

ნიმროდი ვიყავ და მაკლდა ნიმროდი, მენატრებოდა რეას ნიმროდი!

გამომიჩნდებოდეს ნეტა! შევსვამდი წყაროს წყალივით და არ მგონია, წყურვილი მოვიკლა!

დიდი წყურვილი: ჰქვია რასაც უნიმროდობა!

თვითონ ნიმროდს — ჩემს ღვთაებას არც აროდეს გაახსენდება რეა – მასზე მლოცველი და მისი მსურველი მარად, მაგრამ სად არის ახლა ჩემი ნიმროდი?

ნუთუ იმ ქალთან, ზღაპრიდან რომ გადმოცქრიალდა... ნუთუ ის უყვარს, მართლა ის ქალი, მე რომ გამოვიგონე?!

მაგრამ ნიმროდი, ფიქრთა მკითხველი, რომ შეხვდეს ჩემს ფიქრს, ამაღლებულს და აბრწყინვალებულს... ო, გამიხსენებდეს ნეტა, ნიმროდი! ან: დამესიზმრებოდეს ფიქრთამპყრობელი და: შემოვიდიდოეს ჩემში – რეაში...

დამიპყრობდეს და დამისაკუთრებდეს! გამითავისებდეს... გადამარჩენდა და გადარჩებოდა უმალ თვითონაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

და: მოვიდა ერთხელაც, რომ აღარ ველოდი. გადამწყვეტოდა საბოლოოდ მისი ნახვის იმედი!

და სწორედ იმ დროს, თავს არ დამადგა, როცა სულაც არ მოველოდი. ნეტა რა მჭირდა, რა მემართებოდა, როცა დავუშვი უნიმროდობა?!

მნახა და გამიელვა მაშინ: ხომ არ მესიზმრება და სურვილად ვიქეც: ნიმროდი მწყუროდა!

ვიწექი სუნთქვაშეკრული. მასზე ვფიქრობდი. ისიც: მეუფლებოდა თავისებურად, მხეცურადაც იქნებ და როგორც ვფიქრობდი: შემოვიდა ჩემში!

და აღმომხდება სულწასულივით: იყავი ჩემში, ნუ ამოხვალ ჩემგანო, ნიმროდ!

* * *

და: გადამეკარგა სადღაც ნიმროდი ისევ, იმ თავის ოცნების ქალწულს თუ დაეძებდა!

ო, ვხედავ, ვხედავ, ბედის ბედაურზე ამხედრებულს, მხარზე ის საშინელება, მართლა ალქაჯი, სისხლმოწყურებული ბრძენი ბუ აზის...

და: ვაითუ, მართლა იპოვა ნიმროდმა მზეთუნახავი იგი ქალწული?!“

* * *

გოდოლი მაღლა მიიწევს. და ნიმროდიც შეფიქრიანებული აჰყურებს ცაში შეკარგულ გოდოლს. მკერდზე მიიდებს ვეებერთელა ხელისგულს. მაგრამ რა იქნა ფიქრი? გაბნეულა ათასად დანაწევრებული. მაგრამ ეს როგორო, ამოთქვამს თავის თავზე გაბრაზებული და კიდევ ერთხელ ეცდება, აქეთ-იქით უაზროდ გაფანტულ ფიქრის ნაწილაკებს, ფიქრებად რომ ქცეულან უკვე, თავი მოუყაროს. მაგრამ ნიმროდისთვის შეუძლებელიც რომ არაფერია ამქვეყნად?! მაგრამ აგერ სულ ახალთახალი ფიქრი წამოუფრინდა, დაუნჯებული როგორღაც: „ხომ უსასრულოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სივრცე, მაგრამ ამ ჩემს ზეაღმავალ გოდოლს თავზე ჭერი რომ დაახურა ამ თითქოს და უსასრულო სივრცემ, ეს როგორღა გავიგო?! ის ვიღაა ჩემი გოდოლის ზეაღსვლა ასე რომ ესობა გულზე? ვის უნდა, რომ ამაზე მაღლა ვერ აიწიოს ჩემმა გოდოლმა?! ჭეშმარიტებაა: სივრცისთვის საზღვრები ჯერაც ვერავის დაუდგენია და ვინ ბედავს, დაარღვიოს ეს დაუწერელი ზეციური კანონი?! ნუთუ შენ, ცაბაოთ?! ჩემმა გოდოლმა ხომ არ შეგაწუხა? მოგწვდა და შეწუხდი? ხომ ცხადია, რომ შენ თვალწინ ვიზრდები და გიახლოვდები?! ვერ შემაჩერებ, ცაბაოთ! მაგრამ შენთან შერცყმას როდი ვაპირებ?! მე უსასრულობისკენ მიმიწევს სული. ნუ ფიქრობ, შემაჩერო! აქედანვე გაფრთხილებ: კოვზი ნაცარში ჩაგივარდება! და როდის დაიწყო ეს ყველაფერი? ტახტი შეგერყა ფეხქვეშ? როდი გეხუმრებიან, ცაბაოთ?! მეხსიერებას ემდური? მე კი, შენგან განსხვავებით ყველაფერი მახსოვს, არაფერი დამვიწყებია. სამყარო იძრა, ცაბაოთ! და როდის დაიწყო ეს ქაოსი?

– ნიმროდ... – იელვა მოულოდნელად, – მეც არაფერი დამვიწყებია... ქაოსი კი ასე დაიწყო: შენ დამთხვეულივით გეშინია რომ ჩემი ნებით ჩამოინგრევა ბაბილონის სქელი კედლები და ბაბილონელებსაც მე შთავაგონებ, თავი მოიყარონ ერიდუში, მზის მოედანზე.

– მეხსიერება ისევ გღალატობს, ცაბაოთ, ბაბილონელებს მე მოვუხმე მზის მოედანზე!

– შენ, ნიმროდ?! რატომ სულში არ ჩაიხედავ?!

– ცაბაოთ, როცა იქნება, ამევსება მოთმინების ფიალა და გულიც, ესე გრძნეული ჩემი ანათემას გადაგცემს და გასრულდები კიდეც, გასრულდება ამბავი ცაბაოთის! ტევა არ იყო, ცაბაოთ, მზის მოედანზე, ერიდუში, რატომღაც შენი საკუთრება რომ გგონია!

– მახსოვს ის შენი სიტყვები, ნიმროდ: აქ გოდოლი ავაშენოთ თვალუწვდენელიო...

– ხალხი მოწყურებულივით მისმენდა, ცაბაოთ!

– შენ ისიც გგონია, რომ გოდოლის აშენების იდეა აქვე, მზის მოედანზე, ჩემს ერიდუში, შენ დაგებადა?! როგორ შემცდარხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ, ნიმროდ?! ეს იდეაც მე შთაგაგონე... თითქოს და წარმოვნას, რომელიც აქაო და უნდა მოგივლინოთ, ამ გოდოლთან ვერას გააწყობს. უკუიქცევა...

– გოდოლის აგების იდეაც მე დამებადა და მევე ვაშენებ ჩემს გოდოლს, რომელსაც ვერაფრით დაუპირისპირდები!

– ეს გოდოლი მართლა შენია, ნიმროდ, მაგრამ იგი არ ეკუთვნის ბაბილონს, არც ბაბილონელებისაა იგი! ესეც დაგითმე, ნიმროდ! ასე შეიქმნი სახელს, ვიდრე არ გაიფანტებით სხვადასხვა მხარეს! დაეკარგებით ბაბილონს და დაგეკარგებათ ბაბილონი! მაგრამ ჯერ ბაბილონზე, ნიმროდ!

– აღვაშენე მე ბაბილონი, განვავრცე იგი ევფრატის წყლიდან ტიგროსამდე და გავიწიე უფრო შორსაც: დღეს ბაბილონია მთელი შუამდინარეთი! და წინააღმდეგობა არ გაგიწევია ჩემთვის, ცაბაოთ!

– ხელს გიწყობდი ყოველნაირად, ნიმროდ!

– უფრო: ხელი არ მოგიწვდებოდა ჩემზე... ბაბილონი გადაწვდება სრულიად დედამიწას, მოიცავს იგი სამყაროს... სრულიად ბაბილონი! როგორ ჟღერს, ცაბაოთ?

– ძალაუფლება მე ჩაგიგდე ხელთ, ადამ-იანო!

– თვითონ მომიპოვებია ეს ძალაუფლება, ცაბაოთ! ეს დამსახურებაც გინდა შენ მიიწერო! სულ არ შეცვლილხარ, ცაბაოთ! ო, როგორ მეცნობი?! რატომ ვერ დაგიჯერებია, რომ ყოვლისშემძლეა ჩემი მარჯვენა!

– ესეც მე დამინათლებია შენთვის!

– მოგწვდა ერთხელაც ფიქრი ჩემი, ცაბაოთ და რომ აგაცილე, შეცბი, მაგრამ არ დაიმჩნიე! ისევ მე გამოგაფხიზლე! მას შემდეგაა, რომ ჩემს შერეჩებას ცდილობ და არაფერი გამოგდის!

ცაბაოთ! ჩემი გოდოლი მაღლა მიიწევს, მაგრამ შენკენ კი არა, ჭეშმარიტებისკენ! მალე ჭეშმარიტების სასახლეშიც შევაბიჯებ. ბაბილონის გოდოლს ვგულისხმობ, ცაბაოთ! ბაბილონის გოდოლს ვამბობ და ვგულისხმობ ნიმროდის გოდოლს! ჰოდა: შენ ფიქრითაც ველარ შეწვდე აწი ჩემს გოდოლს!

და რატომ, რატომ არ წაიკითხავ, ცაბაოთ, ჩემს ღვთაებრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრს?! შენც ხომ კითხულობ ფიქრებს?! ჰოდა: მე კ ფიქრობ, ცაბაოთ!

ბაბილონის გოდოლია ფიქრი ჩემი და სიცოცხლე! ფიქრი კი სივრცეა ის უსასრულო, რომელსაც ვეღარ მოიცავ უკვე და იცი, რატომ? აღარ ხარ ღმერთი! აღარ ხარ ღმერთი და იცი კი რატომ? რომ უფალი ღმერთი, ცაბაოთი, შენ არასდროს ყოფილხარ! აი, ჭეშმარიტება! და სახელი ცაბაოთიც რომ არაფერს მეუბნება?!

გახსოვს: გიხილე პირველად და მაშინვე წაგიკითხე!

შენ ქამიც ვერ შეიცანი, სინამდვილეში სემსაც რომ აღემატებოდა და – იაფეტსაც, ორივეს ერთად! და ამის შემდეგ იტყვი, უფალი ღმერთი ვარ მე ცაბაოთიო?!

შენ კაცი ვერ შეგიცნია შენივე შექმნილი (იქნებ ესეც ტყუილია და: ნეტა ვისი ქმნილება მიითვისე, რატომ არ იტყვი)?! ჰო, კაცი ვერ შეგიცნია და უსასრულობას როგორ შეიცნობ?!

მაინც რაა უსასრულობა, ცაბაოთ? ან როგორ გეცოდინება, როცა დღემდე ვერ გაგიცნობიერებია უსასრულობის არსი, რომელმაც მოგიცვა და თავის ეგრეთწოდებულ ჩარჩოებში მოუქცევიხარ! არ ვიცი ვინ ხარ და რა გიწოდო? ასე უსური და უნიათო, მაინც ვინ უნდა იყო?! ეს სივრცე ხომ უძირო ჭაა შენთვის, დიიიდი სიცარიელე და ფრთხილად, რიოში მარგალიტებივით არ გაიპნე შენ სამუდამოდ დასაკარგავად!

და უცებ: – ახლა მომიტევეო, – ნიმროდმა და: – შინაგანი ხმა მიხმობსო, – საკუთარ ხმას მიაყურადა და ამოილაქა ცაბაოთის თვალსაწიერიდან. – გონსაწიერი საეჭვოა, გქონდეს, ცაბაოთ!

ფიქრებს წაეღო ცაბაოთიც; საფიქრალი კი მართლა გაუჩინა ნიმროდმა: „და: ვინ, ვინ შემომდავებია, აღარ იტყვით: ადამი?! ის ადამი, ერთხელ ჩემ და ჭირად რომ გამოვძერწე მე თიხისაგან. მართლა ნიმროდი არ ჰგონია თავი, ნოეს მოდგმისა, როცა თვითონ ნოე და მთელი მისი მოდგმა ადამიდან მოდის?! ჩრდილი მოვუკალი და ესეც ჩემს საწინააღმდეგოდ არ გამოიყენა?!

და მე, ცაბაოთმა არარაობად ვაქციო ჩემივე ქმნილება?! მოვკლა?! ჩემი შემოქმედების მწვერვალს ასე იოლად შეველიო? ვნახავ, სადამდე მივა?! ერთ რამეს კი ვეღარ უარვყოფ: შეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ და ღმერთივითაა! ხედავს და ჭვრეტს: ყოვლის მხილველია! ლამის მოიცვას უასასრულობა – ყოვლისმომცველია თითქმის! შეუძლებელსაც კი შეძლებს – ყოვლისშემძლეა!

ჩრდილიც არ გააჩნია ჩემსავით!

ერთხელაც რატომ არ უნდა დავხუჭო თვალი, რომ მისი მომავალი ვიხილო?!

მაგრამ თვალი აღარ დაუხუჭავს ცაბაოთს (სახვალიოდ გადადო) და ნიმროდიც, ბურუსში გახვეულიყოსო თითქოს, გაუჩინარდა. ცაბაოთს მზერა აღარ მიუყოლებია თავისი უმადური შვილობილისათვის, თავის ნებაზე მიუშვა, დროს მივცემ მოსაფიზლებლადო: „მინდა ვჭრეტდე და ვჭვრეტდე კვლავაც იმ ჩემს ცოცხალ ქანდაკებას, ამ ხელებს რომ გამუძერწავთ თიხისგან...“

* * *

რეას ზეპირი დღიურებიდან:

(როგორც მონოლოგი):

„... ნიმროდმა მზის ამოსვლამდე დამტოვა და გრძნეულივით გაუჩინარდა. რაღაცას რომ აპირებდა, ამას მაშინვე მივხვდი: დაიხარა მაშინ და ყურში ჩამჩურჩულა: – დღესვე მზე შუბისტარს რომ შეაცოცდება, ქალღმერთ იშთარის ტაძარში დამხვდი! წამიც რომ დააგვიანო, იცოდე, მერე ველარასოდეს მიხილავო... სხივი ჩადგომოდა თვალებში: სხივოსანი მზერა შემავლო და: ვთქვი უკვე, გაუჩინარდაო. აღარც იყო(!) ჰო, გადაქარდა და ძილქუშიც დამეცა. თუმცა: იმის დანახვა კი მოვასწარი, როგორ ჩამითრია უფსკრულმა ნისლოვანში, წამერთვა ძალაც და ფიქრი ყოველი. სადღაც კი შევცურე, რაც ვერაფრით გამიცნობიერებია და მერე აღმოვაჩენ, რომ აღარ ვიყავი, ურჩხულმა შთანმთქა. ვეკარგებოდე ნიმრდოსო თითქოს, ან სულაც: ნიმროდი მეკარგებოდა, თუმცა ჩემთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ ვის ვეკარგებოდით?! და საოცარია: მაინც საიდან მომდის ასეთი ფიქრები? ხომ ვამბობდი, წამერთვა ყოველი ფიქრი-მეთქი და მაინც ფიქრივით გამომდის... ესაა, სულს რომ მიკაწრავს... გული კი ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ მართლა მომკვდომია და თუკი მართლა ასეა, ეს გრძნობები თუ გრძნობებისნაირი რამ საიდან?!

ჰოდა, მეშველა და: სული ჩავბრუნდი სხეულში... სასწაული?! გამოვფხიზლდი? მაგრამ გამოღვიძებასაც არ ჰგავდა ეს: თითქმის აღარაფერი მესმოდა და ხედვითაც ძლივსძლივობით, ბუნდოვნად ვხედავდი. სული მეხუთებოდა და საწოლიდან ჩამოვცურდი. შევაღე სარკმელი.

გარეთ ცხელოდა. მზე შუბისტარზე შედგომას აპირებდა.

სასწრაფოდ ჩავიცვი ჩემი სადღესასწაულო კაბა, გუშინ „ნიმროდობაზე“ რომ მეცვა და ქალთა ამალაც უკვე მელოდა მოსაცდელში.

საითკენ გინებებიათო, მკითხავს ჩემი უახლოესი მოახლე, ოცი წლისაც რომ არ იქნებოდა და სილამაზითაც რომ გამოარჩევდით ყველასგან. გული მიგრძნობდა, რომ ნიმროდთან ყოფნის წუთებს მპარავდა და მაინც არ მძულდა. ისიც გრძნობდა ჩემს კეთილგანწყობას და თვალებში შემომციცინებდა. ხელი გავუწოდე და თითები დამიკოცნა. მერე, ჩემო ქალბატონო, რას მიბრძანებთო? ხმა არ გამიცია მისთვის, ხელით ვანიშნე, მხარმარცხნივ ამომდგომოდა. ესეც ბრძანებასავით მიიღო და მაშინვე ვიგრძენი, როგორ მომეყრდნო მისი მოცახცახე მხარი.

მეც: ნიმროდი იშთარის ტაძარში მიგველისო!

ჩავხედე თვალებში და ამოვიკითხე: „ასეც მოველოდიო!“ და ჩავჩურჩულე: „ნიროდისგან არც არაფერი გაგიკვირდესო!“ მივახვედრე, რომ ვიცოდი ყველაფერი და გავუღიმე. იმასაც აღარ უცდია შეეწმინდა მადლიერების ცრემლი.

ყველაფერს მეუბნებოდნენ მისი აწყლიანებული თვალები, „ნუ გამიწყრები, მე არა... ნიმროდი: აბა უარიც როგორ მეთქვაო? ვერ ვკადრებდიო...“

და როგორ: ნიმროდი ასე იოლად დავთმო?!

არა, არა! განა დავთმე?! ვერც ვერასდროს შეველევი, მაგრამ განა ერთი რეა ეყოფა ნიმროდს? ხომ ვიცი მისი არაადამიანური, მოჭარბებული ვნება და... რატომ ვერ უნდა შევისმინო, რომ ნიმროდი ყველაფერია ჩემთვის. ყოველთვის ვიცოდი და დარწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნებულიც ვიყავი, რომ ჩემგან ქარვასლის ლამაზმანებს რომ მიაშურებდა აშლილი ჟინის დასაურვებლად.

და მაინც: გამოდის, მთლად ვერა, მაგრამ ნაწილობრივ ხომ მაინც დამითმია ნიმროდი...

მიყვევი ფიქრს:

დღეს თითქოს და სხვანაირად მიყვარდა ნიმროდი. იგი კაცზე მეტი იყო ჩემთვის: სიცოცხლე და: ღმერთი ჩემი!

და კარგად რომ ავწონ-დავწონე ის, რაც ჩემში ხდებოდა, შემაჟრჟოლა. მერე: სიმშვიდემ მომიცვა როგორღაც, მერე ისევ მაჟრიალებდა მთელ ტანში, მაგრამ ეს შიშისგან როდი მომდიოდა.

ის კი, სიყვარულში რომ ჩამზიარებოდა, ისევ მხარმარცხნივ მედგა, იმისგან გადმომიდნარე სიმშვიდით ვიყავი სავსე და ხელი მეკრა?!

ჰოდა, ერთი ნაბიჯითაც აღარ ჩამომრჩენია. გამოველაპარაკე და: ენა ამოიდგა: ია ერქვა. იისფერი თვალები ჰქონდა. და ამ იისფერში ვიძირებოდი ჩემდა უნებურად.

რაა ეს? რა მემართება?

ვნეტარებ?!

ნეტარებად ქცეული მოვწყდი იისფერს და: კი აღარ შევაბიჯე ტაძარში, შევსრიალდი შიგ. მივირწეოდი მარტო – თვითონ ნეტარება!

აღარაფერი მესმოდა საკუთარი გულისთქმის გარდა: ეს მე ვარ, რეა! ერთადერთი ვარ, ვისაც ამ ღვთაებრივ ტაძარში, იშთარის დიდ დარბაზში, ნიმროდი მოელის!

მაგრამ: მარტო კაციც როდია ნიმროდი?! ამაღლებული და გაბრწყინებული, თვალუწვდენელ სიმაღლეზე შეტყორცნილი მელოდა მე.

ქურუმები იდგნენ მის უკან.

მაგრამ ნიმროდი?!

იშთარის ქანდაკებასთან იდგა სახემღიმარი, ღმერთივით(!)

თვითონაც ტაძარს მაგონებდა: შეუვალი და ფიქრთამპყრობელი!

იმის შემყურეს გადამვიწყებოდა ქვეყნად ყოველი. კი აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევყურებდი, შევხაროდი თვალდაუხამხამებლად, ვითარცა ხატს მანათობელს...

ცოტაა ხატი!

ნიმროდი – ღმერთი! ღვთაება ჭეშმარიტი!“

* * *

„...ქურუმთა პირველ მწკრივს უფროსი ქურუმი გამოეყო, მამაჩემი – ნიმროდის ნდობით აღჭურვილი პირი ბაბილონსა და ბაბილონის საზღვრებს გარეთაც. წამონთებული თვალებით მომიახლოვდა. ქურუმის თეთრი სამოსელი (სადღესასწაულო) კიდევ უფრო მაღალს აჩენდა. შუბლზე მეამბორა, მე კი ფიქრმა დამრია ხელი, არ ვიცოდი, რისთვის დამიბარეს, რას მიპირებდნენ.

მამაჩემმა თვალებში ჩამხედა და გულაძგერებულმა მანიშნა: „ნუ შიშობ, ყველაფერი კარგადაა და სანერვიულოც არაფერიაო!“

ამან კიდევ უფრო ამაღელვა. სადაცაა მღელვარებისგან გული შემიღონდებოდა.

ახლა ხელზე მეამბორა მამაჩემი. ჩამკიდა ხელი და ნიმროდს მიმგვარა. იგი განმარტოებით იდგა, გარწყინებული ღმერთი... სუნთქვაშეკრული მიყურებდა და ძალაუნებურად მეც შემეკრა სუნთქვა. მამაჩემისკენ გამექცა თვალი, ასე ათიოდ მეტრის მოშორებით რომ იდგა ნიმროდისგან. ხომ მაღალი კაცი ეთქმოდა მამაჩემს, მაგრამ ნიმროდს მხრებამდეც ვერ წვდებოდა. იდგა აკანკალებული (მაშინვე დავასკვენი, რომ ჩემი აქ დაბარების მიზეზი, მისთვის ცნობილი არ უნდა ყოფილიყო და შემეცოდა). მაინც რას მიპირებდა ნიმროდი? მხნეობა მოვიკრიბე და თვალი გავუსწორე. იმან კი თავით ფეხებამდე შემათვალიერა. შევატყვე, კმაყოფილი დარჩა ჩემით, მაგრამ – გაკვირვებული. იქით მამაჩემი დამშვიდებულიყო. და საკუთარ სულში რომ ჩავიხედე, აღმოვაჩინე, რომ ნიმროდის შეცნობა მწყუროდა. მინდოდა მცოდნოდა, რას ფიქრობდა საერთოდ და როცა თვალი ამარიდა, უსიამოდ გამაჟრჟოლა. სულაც აღარ მიფიქრია, რომ მისი თვალი ვიღაცას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეძებდა დარბაზში. შევატყვე, ბრაზი წაეკიდა, მაგრამ მსწარფლ მოერია გრძნობებს და მზერა ჩემზე შეუჩერდა. იგი იხედებოდა ჩემს სულში, ჩემში დაძრული ფიქრები, ერთი ხელის მოსმით მოაქუჩა და ხელის გულზე ედოსო თითქოს, აუჩქარებლად ცალკ-ცალკე და ყველას ერთად ერთდროულად კითხულობდა და სწავლობდა. ვიფიქრე, მეც ჩავიხედავ-მეთქი იმის სულში და კედელი აღიმართა ჩვენს შორის. ამხედ-დამხედა და თავისთვის ჩაიცინა. მერე: დარბაზს მოავლო თვალი და ხელი ხელს შემოჰკრა: – ტახტი! – ბრძანა და ბრძანებაც მაშინვე შესრულდა.

ნიმროდმა ჩემს წინ დაადგმევინა ტახტი. ხელი მომკიდა და ტახტზე ამიყვანა. არარაობა რომ არ გამოვჩენილიყავი მასთან, ტახტზეც ამიტომ შემაყენა-მეთქი. მაგრამ გული მეუბნებოდა, რომ ტახტის აქ დადგმას სხვა მიზეზიც უნდა ჰქონოდა. ისიც ცხადი იყო ჩემთვის, რომ სირცხვლისაგან (აღარ ვიცი, რატომ უნდა მესირცხვილებოდეს), თავი ჩავქინდრე. კრიჭა შემკვროდა.

უცებ: ქურუმებისკენ შეტრიალდა: – თქვენ, იმედია, უნდა იცოდეთ, რისთვისაც შეკრებლხართ აქ: ყოველ შემთხვევაში უნდა ხვდებოდეთ! – ხმას აუწია და თვალი მამაჩემს დაადგა, – რეამ მე და ბაბილონს შვილები გვაჩუქა, დიდებული მეუღლეობა გამიწია!

დამზაფრა ნიმროდის ამნაირმა შეფასებამ. ეს იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ დღეს აღარც მეუღლე ვარ მისი და აღარც – დედოფალი... – ოფლი დამასხა.

– დღეს რეას ისე მოვიაზრებ, როგორც ტაძრის დიდ დიასახლისს, როგორც – მის მსახურს! – ბრძანებს ნიმროდი. – ექვსი ვაჟი გვყავს, ერთი მეორეზე – უკეთესები. უფროსი თამუზი უებრო მეომარია, რაც ასე მახარებს. დანარჩენებსაც მეომრებად ვხედავ! ბაბილონი მათი სალოცავი ხატია! და დიდი, წმიდა სამლოცველო!

და ჩემი შვილები რომ ჭეშმარიტი ბაბილონელები არიან, რეას ვუმადლი ამას, ეს მისი დამსახურებაა!

ამ და სხვა იმ თვისებებმა, რაც ჭეშმარიტ დედას უნდა ახასიათებდეს და რითაც სავსეა რეა (მარდუქის წყალობით), აღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლეს იგი და გამოარჩიეს თანამედროვეთა შორის! ამ ღვაწლს მე ვერ დავუკარგავ და ამიტომაც, თავს უფლებას ვაძლევ, თვითონ უფალი ღმერთი, კიდევ უფრო აღვამაღლო იგი – ბაბილონელი დედა და მივანიჭო ქალღმერთის უზეშთაესი წოდება! რეა სავსეა ღვთაებრივი მადლით! დღეიდან ბაბილონის ქალღმერთია იგი! ისეთივე ქალღმერთი, როგორც იშთარი!

ამიტომ: ბაბილონელებს დღეიდან ორი ქალღმერთი გყავთ: იშთარი და რეა! რეა და იშთარი! შეგიძლიათ მუხლი მოიყაროთ ქალღმერთ რეას წინაშეც! ამდენხანს ბაბილონი ნიმროდობას აღნიშნავდა ზეიმით, აწი „ნიმროდობიდან“ ზუსტად კვირის შემდეგ „რეაობას“ იზეიმებთ. დღესასწაული სამ დღეს გაგრძელდეს!

და სანამ ამ ტაძრის გვერდით ქალღმერთ რეას ტაძარს ავაგებდე, ახალი ქალღმერთი თავის ღვთაებრივ მისიას აქვე, სწორედ ამ ტაძარში აღასრულებს!

თითქმის ჩემამდე ამომაღლებული რეა თავის თავს ამ სიმაღლიდან უფრო შეიგრძნობს და იხილავს ჭეშმარიტს, ეცოდინება, რა უჭირს და რა ულხინს ბაბილონს, რით სულდგმულობს ბაბილონელი კაცი და რაც მთავარია, უმთავრესი: უშეცდომოდ წაიკითხავს ჩემს ნებისმიერ სურვილს, რაც უსიტყვოდ და ფიქრზე უმალეს უნდა აღსრულდეს!

რეასაც ის უნდა ენებოს, რაც მნებავს მე!

სიჩუმე სამარისებული.

წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ნიმროდმა უფროს ქურუმს ანიშნა, მგალობელთა გუნდს დღევანდელი დღის შესატყვისი საგალობელი წამოეწყო „დიდება ქალღმერთს!“

მე კი – რეა, უკვე ქალღმერთი, შევყურებდი ნიმროდს, თან ვემშვიდობებოდი. ნიმროდმა განაჩენი გამომიტანა: მიბოძა ქალღმერთის წოდება, ამიყვანა ტახტზე, ქალღმერთის გვირგვინი დამადგა თავს, მაგრამ ჩამომართვა მეუღლის უფლება, აწი ნიმროდზე ისე უნდა მეფიქრა, როგორც ღმერთზე და არავითარ შემთხვევაში – როგორც კაცზე! მაგრამ ჩემში ისევ ეღვიძა ქალს?! ჩემში ვნებააშლილი ქალი ბორგავდა! ამრიგად: ჩემთვის ქალად ყოფნა უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ქალღმერთად ამაღლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდი ღმერთი იყო, მე ღმერთქალი და ერთმანეთსაც აღარ ვეკუთვნოდით.

ჰოდა: ის ერთი ქალი წარმომიჩნდა ფიქრში, ვისკენაც ქვეცნობიერად მიილტვოდა ნიმროდი და ვისთანაც სისხლხორცეულად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ ვიღაცის ნებას გაეცალკევებინა ისინი ერთმანეთისგან. ვერაფრით მივმხვდარიყავი, ვის უნდა ენება მათი ასე დაშორიშორება. ასეც ვინ განაწესა იმათი ბედი?! ასე ვის უნდა შეეცოდა?!

და ასე გამიელვებს: „ეს ხომ ნიმროდია თავის ბედის ბედაურზე ამხედრებული, მხარზე ბრძენი ბუ რომ აზის?!“

თავის ბედის ბორბალს დადევნებია ნიმროდი, მაგრამ უფალი ღმერთი და ბედის ბორბალი?! ბედს ხომ თვითონ უფალი ღმერთი წერს?! ნიმროდი ხომ უფალი ღმერთია და აწი წინ რა დაუდგეს ნიმროდს?! და ვინაა და სადაა ის ნანატრი ქალი?

არა, არა, აღარ შემიძლია ფიქრი! სიცოცხლეს აზრი დაუკარგავს ჩემთვის. მაგრამ, საიდან წარმოჩნდა, რატომ მომივიდა იმ ქალზე ფიქრი?! თვალს ვხუჭავ და: გარკვევით ვხედავ იმას, ღვთაებრივი სილამაზის ქალს, თვითონ მშვენიერებას! მაგრამ თითქოს სულ სხვაგან ვიყო! თვალს მჭრის არამიწიერი სინათლე, ფიქრებიც არამიწიერი შემომწოლია. ვინ, ვინ მომაჯადოვა ასე?! აქ ძილიც მომერევა და სინამდვილესაც გამოვეთიშები (და ეს ყველაფერი ვიღაცას ასე ნებავდა!)“

* * *

„... ჩემს საძინებელს ორი სარკმელი აქვს: ერთი შიგნით იღება, მეორეს საერთოდ ურდული ადევს. განგებ თუ მიუხურავს ვიღაცის უხილავ ხელს. თითქოს გამომკეტეს ამ სიმაღლეზე შეტყორცნილ ცხრაკლიტულში. ბინდდება. სადაცაა ჩამოღამდება სულაც და ჩემი წამებაც მერე ნახეთ! მგალობელთა გუნდმა უკვე იგალობა. მიინავლა გალობა და დავრჩი მარტო. ეს სარკმელი, გარედან ხელის კვრითაც შეიძლება რომ შემოიღოს, მართობს როგორღაც. მომეძალება შიშნარევი ფიქრი: წესია ასეთი: თუკი ვინმე ბაბილონელი ქალღმერთის დაუფლებას მოიწადინებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება აქვს, ცოცვით ამოჰყვეს ამ შვეულ კედელს (ამას ვერავინ დაუშლის) და თუ მოახერხა (თუნდაც ეშმაკის დახმარებით) და ჩემს საძინებელში აღმონჩდა (მე კივილიც კი მეკრძალება), შეუძლია დამეუფლოს. ამას ვერავინ დაუშლის! და ნიმროდი, როგორ ფიქრობთ და ამას დაუშვებს?! ვტირი ხმამაღლა, ცრემლები მახრჩობს. და მოძალადესაც უფლება აქვს იქამდე დაჰყოს ჩემთან, სანამ ცისკრის ვარსკვლავი არ შეწყვეტს ნათებას...

ნიმროდ, ეს რა მიყავი?! რა დღეში ჩამაგდე? ახლაც იტყვი, რეა ქალღმერთიაო?! ეს რა წესი და სამართალია?!

შეიძლება დავორსულდე და ესეც არავის გააკვირვებს! ნიმროდს უკანონო შვილი რომ გაუჩნდეს, ამისთვის რეას პასუხს არავინ მოთხოვს. თვითონ ჩვილის ბედს აღარ იკითხავთ?! წაიყვანენ და აღზრდიან როგორც დიდგვაროვანს, შეიძლება ქურუმიც გახდეს. მე კი: არც არავინ დამზრახავს(!) აზრადაც არავის მოუვა, რომ ნიმროდს ვუღალატე... მე ხომ ნიმროდს აღარ ვეკუთვნი!

და სადამდე, სადამდე მიმიყვანს ეს უკეთური ფიქრი?! და ასეც რატომ ვღელავ? რატომ მგონია, რომ სარკმელი შემოიღება და ის მოძალადე ვინმე შემოაბიჯებს ჩემს საძინებელში? მაინც საიდან მომდის ასეთი ფიქრი?! ნიმროდ, რატომ არ დამსჯი, ასე რომ ვფიქრობ?! მერე რა, რომ ფიქრში გღალატობ?! მაგრამ თუკი მართლა უნდა შემომივიდეს ვიღაც უკეთური საძინებელში, რატომ ნიმროდი არ უნდა იყოს იგი?! ჰო, ნეტა ნიმროდი იქნებოდეს... გამწირა ნიმროდმა, რომ იპოვოს ის ქალი... ამას გამომაპარებს? თავიდან მომიშორა ნიმროდმა.

ვარ ამ ფიქრებში და ვცურავ ოფლში, რომ მართლა შემოიღო სარკმელი და შიშისგან სუნთქვა შემეკრა, მაგრამ თავს ვიმშვიდებ, ევფრატიდან მონაბერმა ქარმა თუ შემოაღო სარკმელი, მაგრამ ტეხის ხმაც რომ მომესმა, თვალთ დამიბნელდა, შევკივლეო, მგონია, მაგრამ ესეც მომეჩვენა, ჟრუანტელმა დამირბინა მთელ ტანში და ენა ჩამივარდა. ის ვიღაც კი მომიახლოვდა და მკერდზე ისე ძლიერ მიმიკრა, რომ სუნთქვა შემეკრა. და მის მკლავებში ისე უმწეოდ ვიგრძენი თავი, გაბრძოლებაც ვეღარ შევძელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– აღარ მელოდი? – თითქოს და ნაწყენმაც მითხრა: – მეგონა, მელოდებოდი...

ნიმროდის ხმა შევიცანი და ღმერთო ჩემოო, აღმომხდა. როგორ არ ველოდი?! აბა, ვისზე ვფიქრობდი ამდენ ხანს, თუ არა ნიმროდზე?

ენა დამბმოდა, მდიოდა ჭირის ოფლი! ხმა ვეღარ ამომეღო.

– მე ვარ, ნიმროდი! – შემანჯღრევს და გონზეც მომიყვანს. მართლა ნიმროდი იყო ჩემი მდომელი:

„ნუთუ შენ ხარ, ნიმროდი... არ გელოდიო?!“ – მეგონა, ამ სიტყვებს ვეუბნებოდი ნიმროდს, სინამდვილეში კი ვფიქრობდი ასე. მაგრამ ნიმროდმა წაიკითხა ჩემი ფიქრი და ისე მომიჭირა ხელები, სული მომეწურა: „კიდევ უფრო, ნიმროდ!“ – ვამბობ გულში და ნიმროდი მისრულებს ამ სურვილსაც: „მინდა, მეტკინოს, ნიმროდ!“

და ძვლებმა ჭახანი რომ გაიღეს, მაშინღა გავახილე თვალი. ჩავიძირე იმის საცრისოდენა თვალებში და მივენდე მთლიანად. ნიმროდმა კი ამიღო და საწოლზე დამიშვა ფრთხილად. და შემოდიოდა ჩემში ნიმროდი, შემოდიოდა ნდომით და ვივსებოდი მისით.

ნატვრა? მქონდა და მქონდა ერთადერთი: აღარასოდეს გამოსულიყო ჩემგან, დარჩენილიყო ჩემში. შემეგრძნო და ავორთქლებულიყავი მასში. ვყოფილიყავი მისი სუნთქვა!

„ნიმროდ, ნუღარ გამოხვალ ჩემგან, სად მიგეჩქარება, რატომ მართმევ ბედნიერებას, ნუღარ წამართმევ აწმყოს. მე ხომ ქალი ვარ და არა ვინმე უგრძნობელი ქალღმერთი?!“

ესმა ჩემი სურვილი, ჩაიცინა თავისთვის, დრო მოჰპარა საკუთარ თავს და დარჩა ჩემში კიდევ ცოტა ხანს.

ზეიმობდა სული ჩემი და ვფიქრობდი ასეც: „და რადგანაც ესმა ჩემი და ნატვრაც ამისრულა, ალბათ რაღაცას წარმოვადგენ მის თვალში. ამაზე მეტსაც ვერ ვისურვებდი.“

მერე: გავიდა ჩემგან, მაგრამ შევატყვე: უკან, ჩემშივე რჩებოდა თვალიც და ფიქრიც: „მოვალ ისევ!“

– და კანონს დაარღვევ?! – ამოვთქვი და გულიც ამოვაყოლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– კანონს მე ვწერ! – სახე მოეღრუბლა. მივხვდი ვაწყენინე და ზურგი შემაქცია. ახლაც მიკვირს, ამდენი რომ შევბედე. უცებ მოვეშვი ისე, რომ განძრევაც აღარ მინდოდა, „და, უფალო ღმერთო!“ რა ძალისხმევა დამჭირდა, რომ ეს ამომეთქვა.

– შენმა რწმენამ გადაგარჩინაო! – ქვასავით მომიგდო და გადავიდა კიდეც ჩემი სარკმლიდან.

კი მითხრა, მოვალო, მაგრამ მთლად დარწმუნებულიც არ ვიყავი, რომ კვლავაც ვიხილავდი სარკმლიდან ჩემს საძინებელში გადმოსულ ნიმროდს.

ფიქრმა წამიღო: „ქალღმერთად გამომაცხადა. მე კი რომელი ქალღმერთი ვარ?! არც ნიმროდი მინდა იყოს უფალი ღმერთი! მაგრამ ნიმროდი უბრალო კაციც რომ არ იყო, ამაში აღარ მეეჭვებოდა.

მაშ, რატომ შეიტყორცნა იგი ამ სიმაღლეზე?! მაგრამ ისიც ხომ მითხრა: „ჩემს ბედისწერასაც თვითონ ვწერო...“ ამის თქმა ხომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია! ნიმროდი ღმერთია და შეიძლება ღმერთზე აღმატებულიც! მოდი, დამიბრუნდი, ნიმროდ, შემოდი ჩემში... შენთვის ხომ დასაშვებია ყველაფერი?! ოღონდ ინდომე და... შენ ხომ ნიმროდი ხარ, თვითონ უფალი ღმერთი და შენ ხომ ის ქალი გყავს გულში, ცისკრის ვარსკვლავივით რომ ანათებს?! სად, სად მიიკარგა ის შენი ცისკრის ვარსკვლავი?! ნუთუ მართლა არ იცი, სადაა?? შენ ხომ ღმერთი ხარ, ნიმროდ? მაგრამ შენთვის, თვითონ უფალი ღმერთისთვის არც არაფერი არ უნდა იყოს დაფარული! შეუძლებელი? და საოცნებოც რა უნდა გქონდეს თვითონ ღმერთს?! არა, ის შენი ოცნების ქალი არც შეიძლება არსებობდეს. იგი მე მოვიგონე... ერთი სათხოვარი კი მაქვს შენთან, ამ შენს „ცაისხელა“ გულში ერთი პაწია კუთხე-კუნჭული ჩემთვისაც რომ გამოგენახა... შენ ხომ მადლსა ჰფენ ირგვლივ და ჩემზე რად არ უნდა მოიღო მოწყალება.

და რატომ, არც ვიცი, სარკმლისკენ გამექცა თვალი: ცისკრის ვარსკვლავი უფერულდებოდა და უმოკლდებოდა როგორღაც თავისი გაბრწყინებული სხივიც.

ნირწამხდარმა თავი ბალიშზე მივდე და ნიმროდის სახეც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისხივდა თვალწინ: „სიზმარში მაინც შემომყევ, ნიმროდ, უფალო ღმერთო ჩემო...“ – მგონი მეძინა, მაგრამ სიზმარიც არ იყო ეს...“

* * *

არ ეძინა ებერს, მაგრამ არც ეღვიძა. ძილ-ღვიძილი უფრო ეთქმოდა ამას.

დაუძახეს და მომეყურაო, გაიფიქრა. მეორედაც დაუძახეს. – ამ დილაუთენია ვის უნდა გავხსენებოდიო: – შეიძლება ქვეყნიერება იქცეოდეს და ყურზე უნდა გეძინოსო?! – უსაყვედურებდნენ უკვე: – იჩქარე, ებერ, რამდენხანს უნდა გვალოდინოო?! – კი აღარ მოუხმობდნენ, უბრძანებდნენ უფრო, მოენახულებია თავისი მრევლი და სად, აღარ იტყვით? ნიმროდის გოდოლში!

– ებერ, შენ ვალდებული ხარ, მოუწოდო მრევლს, რომ არ მიიღოს მონაწილეობა გოდოლის მშენებლობაში! გოდოლს ეშმაკისეული იშენებს თავისთვის. შენ პატრიარქი ხარ და ვინც არ დაემორჩილოს შენს მოწოდებას, მოიკვეთე და ანათემას გადაეცი! მოუწოდე ყველას, რომ დატოვონ გოდოლი და ერიდუს დიდი ჯებირი რომაა აღმართული, მორღვეულა და ის გაამაგრონ!

– მაგრამ ნიმროდი რას შვრება? არ მგონია, მორღვეული ჯებირი ამდენხანს არ გაემაგრებინა. – თავისთავის ჩაილაპარაკა ებერმა და თვალი ააყოლა სივრცეში ატყორცნილ გოდოლს. – მართლაც სასწაული?!

– ებერ! ნუღარ აყოვნებ, დრო აღარ ითმენს, იჩქარე, სანამ წყალს არ წაუღია ის ახალმშენებარე გარეუბანი, ერიდუს დასავლეთით.

– ისე ჰგავს, დავიგვიანე! – აღმოხდა ებერს, როცა კიბეებზე ჩამომავალ წარმოსადეგ მოხუცს მოჰკრა თვალი, უკან წერაქვებითა და ბარებით, ძალაყინებით შეიარაღებული ხალხი მოჰყვებოდა: – ნიმროდი კი ჯებირზე იქნება უკვე დამხმარე მუშახელის მოლოდინში. ნიმროდს ხომ ყველაფერი ესმის და ხედავს კიდეც, თითქოს ხელისგულზე ედოს მთელი შუამდინარეთი და მოსალოდნელ ხიფათს წინასწარ ჭვრეტდესო. ერთი თვალით რომ ძინავს, ფხიზლობს მეორე თვალით. ჭეშმარიტი პატრონი თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისი ხალხის, თავისი ქვეყნის! ის ახირებები რომ არა, ნამდვილი ღმერთივითაა! ეს გოდოლიც რა ჭირად მოიგონა?! მაგრამ როგორც მეფეთ-მეფეს და ქურუმთ-ქურუმს, რას ვერჩი, უკეთესს ბაბილონი ვერც ინატრებდა!

– ეს რა მესმის: ნიმროდის ქებათა-ქება?! – იელვა და ებერიც მოეგო გონს, თვალებში ამოისვა ხელი და ელვას უსწორა თვალი.

„მაგრამ იგი ბაბილონით ცოცხლობს! ბაბილონელებზე ფიქრით ცხოვრობს და ამის უარყოფას როგორ შევძლებ?!“ – ამას გულში ამბობს ებერი და შიშობს სულშიც არ ჩახედონ: – ნიმროდი ბაბილონის სუნთქვაა. ბაბლონის სული!“

– ებერ, რას ბოდავ?! – ახლა ორჯერ იელვებს. ზეცაც უწყრება ებერს.

„უფალი ღმერთი შევაწუხე ჩემი ფიქრებით, მაგრამ სიმართლეს რომ ვამბობ?!“

– ებერ, გონს მოდი და კარგად მომისმინე, შენ ფიქრობ და აღარ ამბობ... სიმართლე ის არის, რომ ამნაირი ფიქრები მართლაც შემაწუხებელია ჩემთვის! ნიმროდმა დღესაც დაგასწრო!

– ჰოდა, რას უნდა ვერჩოდე ნიმროდს, როგორც მეფეთ-მეფეს და ქურუმთ-ქურუმს?! ამ მხრივ წუნს ვერაფერში დასდებ!

– ებერ, აქ მართალი ხარ და ესეც ჩემი ნებით ხდება! სამწუხაროდ, არცა მაქვს სხვა არჩევანი! – იელვა ამჯერადაც.

გაწვიმდა და ქარიც ამოიჭრა.

ქარი ძალას იკრებს და წვიმაც ძლიერდება.

– უფალო, ამას რას შვრები, თითქოს ცეცხლზე ნავთს ასხამდეო, – ერთიანად გაწუწულიყო ებერი, – გინდათ მართლა წყალმა წაიღოს ბაბილონი?! მეორედ წარღვნა, უფალო?!

იელვა თვალისმომჭრელად და ებერიც მიუხვდა უფალს: – გინდათ შეძრწუნდეს ადამიანი?! – ელვას ჭექა-ქუხილიც მოჰყვა და დააყრუა ირგვლივ ყოველი.

წვიმდა კოკისპირულად და ქარიც ფრთაშესხმულივით ძირფესვიანად გლეჯდა ასწლოვან ხეებს და ერთი მეორის მიყოლებით აწვენდა გაბრუებულ და დაყრუებულ მიწაზე.

ნეტა ნიმროდი რას უნდა იქმოდესო, გაუელვებს ებერს და სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფორიაქებულს აღარც კი ახსოვს, როგორ აღმოჩნდება ჯებირზე.

ნიმროდი ჯებირის შუა, ამაღლებულ ადგილზე იდგა და კვერთხს აქეთ-იქით განრისხებით იქნევდა. იმისი ყოველი ბრძანება დაუყოვნებლივ სრულდებოდა. თავისი საცრისოდენა თვალებით შეჰყურებდა ზეცას და წყევლა-კრულვას უგზავნიდა უფალ ცაბაოთს.

და: აღდგენილია ჯებირი(!) გაფართოებული და ამაღლებულ-განმტკიცებულიც! აწი წყალი ვერაფერს დააკლებს ჯებირს: – აწი ვეღარაფერს დამაკლებს ცაბაოთი! – ხმამაღლა, ცაბაოთის გასაგონად გაჰყვირის ნიმროდი.

ასე ნებავს ნიმროდს და წინ ვეღარაფერიც დაუდგეს!

„მაგრამ ჭეშმარიტი უფალი ღმერთი ცაბაოთი?!“ – გაუელვებს ებერს და თვალს ვეღარ მოაშორებს ნიმროდს: – ღმერთივითაა!

„მაგრამ ბაბილონზე და ბაბილონელებზე როცა ვიძიებ შურს... – იელვა ისევ და იგი ერთობ გახანგრძლივებული ეჩვენა ებერს – სემიტებიც, იაფეტელებიცა და ქამიტებიც ხომ ჩემი ხალხია... მრევლი ჩემი... – უფალი ცაბაოთის ხმა ჩამოწვდა ებერს მაღლიდან – ებერ, თქვენ სემიტები ასე რომ ფიქრობთ, იაფეტელი შეიძლება განსხვავებულად ფიქრობდეს და ქამიტებს ხომ სულაც ვერაფერს გაუგებ და შენ როგორ ფიქრობ, ებერ, შენი აზრით როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს უფალი ღმერთი?! არ იცი, ებერ? მე უფალი ღმერთი ვარ და ვერავის გავწირავ! მაგრამ ვიღაც-ვიღაცების ჭკუის სწავლებას კი მართლა ვაპირებ! ესაა, რომ ნიმროდმა შემაფიქრიანა ძალიან. მაგრამ მოვუვლი ნიმროდსაც, ამ მოკლე ხანში. ისიც ხომ... – სათქმელი ბოლომდე აღარ მიიყვანა უფალმა ცაბაოთმა.

ჩააფიქრა ებერი ცაბაოთის აღიარებისნაირმა სიტყვამ: „მაინც რატომ პატიობს ურჩ ნიმროდს, ან რატომ ვერ მოუთვინიერებია ამდენხანს ეს ჭირვეული მონადირე, წინაშე უფლისა ღვთისა?!“ – საფიქრალი გასჩენოდა, თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ მისი ფიქრი ფიქრზეც მეტი იყო და მართლაც: ნიმროდი ამოუხსნელი გამოცანა იყო მისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ებერ! – იელვა ისევ და ებერმა თვალიც და ყურიც ზეცას მიაპყრო: – შენ მყავდე იმედად და არაფერი გაუჭირდება ბაბილონს! ვიმედოვნებ, თუკი შენ ინდომებ, გონს მოეგებიან ბაბილონელები და ჭეშმარიტების გზაზე შედგებიან! მჯერა ჩემი ხალხის გონიერების!

და მოეჩვენა ებერს, რომ მშვიდდებოდა ზეცა: შეწყდა წვიმა და ჩადგა ქარი.

ნიმროდი ჯებირიდან ჩამოდიოდა. ებერს თვალი ვერ მოეშორებინა ნიმროდისთვის, თითქოს გრძნობდეს და წინდაწინ ხედავდეს კიდეც, როგორ შედგება ნიმროდი იმ თავის ბორცვზე, ამაღლებულზე, თვითონაც უსაშველოდ ამაღლებული და მგზნებარე სიტყვით მიმართავს თავის ხალხს. მან ხომ კიდევ ერთხელ სძლია სტიქიას და გაიმარჯვა.

აქ ის წარმოსადეგი მოხუცი დაასწრებს ყველას, წადგება წინ და ხმამაღლა შესძახებს: – თვითონ უფალი ღმერთი გამოგვცხადებია დღეს, რომელმაც კვლავაც მოიგერია ცაბაოთის შემოტევა და სტიქიამაც დაიხია უკან! დიდება ნიმროდს: ჩვენს უფალ ღმერთს!

– დიდება, დიდება! – აგუგუნებულა სრულიად ბაბილონი! ბაბილონელები მიესალმებიან თავიანთ ღმერთს.

– დიდება უფალს! – დაიძახებს წარმოსადეგი მოხუცი და ხალხიც მუხლს მოიდრეკს უფლის წინაშე.

ხალხი მიწას გაკვრია და ეამბორება მიწას. თავს მაღლა აიღებს და ახლა ზეცას უყოფს ამბორს, ზეცას, რაიც უფალი ღმერთის – დიდი ნიმროდის საბრძანებელია უკვე.

და სიტყვას ის წარმოსადეგი მოხუცი აიღებს; იგი, დიდი ხანია არაა, რომ აწგარდაცვლილი უფროსი ქურუმის ადგილზე დაუნიშნავს თვითონ ნიმროდს, ხოლო მისი ღვთაებრივი სიტყვა კანონია სრულიად ბაბილონსა და მთლიანად შუამდინარეთშიც:

– ბაბილონელებო! ხომ ჩვენია ბაბილონი – ღმერთის ქალაქი?! ბაბილონით ცხოვრობთ და სულდგმულობთ თქვენ, ბაბილონი კი, დაარსა დიადმა ნიმროდმა – თვითონ ღმრთმა და სული შთაბერა, სული ჩაუდგა ღვთაებრივი! გიხაროდეთ, რომ ჩვენ ვხედავთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვადიდებთ უფალ ღმერთს! ღმერთი ხილულია ჩვენთვის, მიწისა და ზეცის დიდი მეუფე! იგი ჩვენთან იყო ამ უჟამო ჟამს, ჩვენთან იქნება აწ და მარადის და უკუნისამდე და არაფერს გაგვიჭირვებს! ჰოდა, თავის მრევლს მოგვმართავს ახლა! დიდება უფალ ნიმროდს, დიდება ნიმროდის ბაბილონს!

და ნიმროდიც იმ თავის ბორცვზე შემდგარი ასე მიმართავს ბაბილონსა და ბაბილონელებს:

– ბაბილონელებო! ჩვენ დავამარცხეთ წყალ-ნიაღვარი, რომელიც ცაბაოთმა მოგვივლინა, რათა წაელეკა ერიდუ და მზის მოედანზე მშენებარე ღვთაებრივი გოდოლი! მერე სრულიად ბაბილონსაც დატბორავდა! დღეს არაფერი გამოუვიდა ცაბაოთს, ამ ცრუღმერთს! მაგრამ ამაზე როდი შეჩერდება?! იგი მომავალ წარღვნაზე ფიქრობს, რომლის მოვლინებაც ამ მოკლე ხანში გადაუწყვეტია. მაგრამ მე ამას ვერ დავუშვებ, ოღონდ მხარი უნდა მომცეთ, რომ წინ აღვუდგეთ მის ეშმაკეულ განზრახვას! მე მინდა თვალი აგიხილოთ: იგი ცაბაოთიც არაა! თავის ნამდვილ სახეს ცაბაოთის ნიღბითვე ფარავს. თვითონ ცაბაოთი შეიძლება ცოცხალიც აღარ იყოს. მე ჩამოვხსნი მას ამ ნიღაბს და თქვენ იხილავთ მის ნამდვილ სახეს!

გახსოვთ: ცაბაოთს მთავარანგელოზი რომ აუჯანყდა და თავი ღმერთად გამოაცხადა! განდგომილი უფლის გვირგვინი დაიდგა თავს, ავიდა ტახტზე, თვითონ ცაბაოთმა უარი თქვა ღვთიურ ტახტზე და გზა დაულოცა ეშმაკეულს. შემდეგ: უსასრულობაში ჩაინთქა იგი და გაილია. ჰოდა: მას შემდეგ ცისა და მიწის ბედს, სამყაროს ბედს ცრუ ღმერთი განაგებს! რაღა თქმა უნდა, უკანონოდ. მე, თქვენი ხელშეწყობით დავანგრევ და ნაცარტუტად ვაქცევ ეშმაკისეულის საბრძანებელს! თვითონ ცრუღმერთს კი გალიაში გამოვამწყვდევ და კარდაკარ ჩამოვატარებ. ცრუ ცაბაოთს თვალში არ მოსდის ადამის მოდგმა. წარღვნაც ხომ ამიტომ მოუვლინა კაცობრიობას! ნოეს კიდობანი! განა მარტო მითია ნოეს კიდობანი? იყო ნოე და არის ის კიდობანი არარატის მთაზე... მთას შეენივთა და ისეა შეხამებული გარემოს, მთაკიდობანი გეგონებათ! ის კიდობანი იხილა ებერმა, რომელიც . ჩვენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. მოიხილა კიდობანი და ქარდუხში, ჩვენს მოძმე ხალხთან სტუმრობისას, ნამდვილი კიდობნის (შემცირებული ზომის) ასლი გამოთალა ულპობელი ძელებისგან და ქარდუხეთის ზვიად მბრძანებელს თარგამოსს გადასცა საჩუქრად. მე ყველაფერს ვიღონებ, რომ ახალი წარღვნა ვერ მოგვივლინოს ცრუ ცაბაოთმა. და თუკი იძალა ეშმაკეულმა და ახალი დამანგრეველი ძალის წარღვნით დაგვემუქრა, გპირდებით, თქვენთან ვიქნები და წინ აღვუდგები იმის ნებას, მაგრამ იქამდე გულხელდაკრეფილიც ხომ ვერ ვიქნებით?! ამიტომ მოგიწოდებთ: ბაბილონის ერიდუში, მზის მოედანზე მშენებარე ბაბილონის გოდოლს მუშახელი აკლია. ეს კი ბაბილონისა და ბაბილონელთა თვითმკვლელობაა! გოდოლი სწორედ რომ ცისხელა უნდა იყოს, ცაისხელა, უუმაღლესი დედამიწაზე, თვალუწვდენელი და მკვიდრად ნაშენი! ყველა ბაბილონელი ვალდებულია თითო აგური (თავისი წილი) მიიტანოს მშენებლობაზე და ამაყად განაცხადოს: ბაბილონის გოდოლი ჩემიცაა! და გოდოლიც ისეთი უნდა იყოს, რომ ვერანაირმა ეშმაკეულმა წარღვნამ ვერ მოარყიოს იგი, გაუძლოს ყოველგვარ სტიქიას! და იდგეს სამარადისოდ ადამიანის სადიდებლად! დაე, უწყოდეს ეშმაკეულმა, რომ ადამიანის შემოქმედებას ვერავინ შეწვდება, მის ქმნილებას ვერავინ მოერევა! ბაბილონის გოდოლი — ადამიანთა დიდი და საიმედო თავშესაფარია! და მე ამ გოდოლს, თუკი ჩემს გვერდით ყოფნას არჩევთ, ჩემს ღვთაებრივ სულს შთავბერავ და უკვდავებას ვაზიარებ! მიენდეთ, იწამეთ ჩემი ღვთაებრიობა და სამოთხედ გიქცევთ ბაბილონს. მე დაგიბრუნებთ უკანონოდ ჩამორთმეულ სამოთხეს! მომენდეთ და ისევ შეგაბრძანებთ თქვენს კანონიერ სამოთხის ბაღში! ადამიც იქ დაგხვდებათ, თქვენი დიდი წინაპარი! აგერ ებერიც! ჩემი სისხლი და ხორცი, დღეს ეშმაკეულის გავლენის ქვეშ მოქცეული! ვწუხვარ, რომ სცოდავს, მაგრამ არ უწყის, რომ სცოდავს. ესეც ცოდვაა, მაგრამ ისეთიც არაა, რომ ვერ გამოასწოროს! მოინანიოს და მოეხსნება ცოდვა! მეც შევუნდობ და გვერდში ამოვიყენებ! აღვაზევებ და აღვამაღლებ! ებერ, მომიახლოვდი! ებერ, გათავისუფლდი ცრუ რწმენისგან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუბრუნდი ჭეშმარიტს! შენც ხომ ბაბილონელი ხარ, ჭეშმარიტი ქალდეველი... ქალედეველი, ებერ! შენ ხომ სული ბაბილონით უნდა გედგას!

ებერიც თავაღერებული გაეშურა ნიმროდის ბორცვისკენ. ნიმროდი გადგა თავისი ბორცვიდან და თავისი ბორცვი დაუთმო ებერს.

– ბაბილონელებო! – ებერის ხმით გადმოსძახა ცაბაოთმა: – ჩემამდე ამ ბორცვზე ნიმროდი იდგა და სცოდავდა ისე, როგორც არავინ დედამიწის ზურგზე! ჭეშმარიტ უფალს ეშმაკეულად მოიხსენიებდა და მე რომ ებერი ვარ, ამაში თვითონ ნიმროდი, ეს ღვთისპირისგან გადავარდნილი ცოდვილიც დამემოწმება! კი, ნიმროდი მართლა არის ბაბილონის მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – უფალი ღმერთი! ამაში უკვე თვითონ უფალი ღმერთი ცაბაოთი დამემოწმება! და თუკი სიმართლეს ვამბობ, ცაბაოთი მეორედაც დამემომწება და იელვებს სამჯერ ზედიზედ! – ითქვა და ცაც გადაიხსნა. იელვა ერთხელ, მეორედ და მესამედაც. და წვიმაც გადმოსკდა კოკისპირული. – ნიმროდი არ არის ღმერთი! და თუკი ეს ჩემი სიტყვაც სრული სიმართლეა, გადაიკარებს და შეწყდება წვიმაც!

და მართლაც: გადაიღო წვიმამ. ცაც გადაკრიალდა და მზეც ამობრწყინდა.

– მართალი ებერი ტყუილს ვერ იტყვის! – წამოიძახა ვიღაცამ, მაგრამ მხარი არავინ აუბა ამ სიტყვების მთქმელს და იმანაც გაკმინდა ხმა.

– ჰო, იმას გეუბნებოდით: ებერი ვარ, ნოეს უფროსი ძის, სემის შვილთაშვილი, მეც ისეთივე ქალდეველი ვარ, როგორც თვითონ ნიმროდი და ვემსახურებოდი ნიმროდს ბაბილონის განსადიდებლად! ნიმროდი ღვთისმგმობელია და დროა გამოერკვეთ, გონს მოეგოთ და ჭეშმარიტი ღმერთი იწამოთ! მწყემსი კეთილი თქვენს მოლოდინშია. მოინანიეთ და მიგეტევებათ! საოცარია: რატომ არ დაგმობთ ღვისმგმობელ ნიმროდს და არ დაუბრუნდებით ჭეშმარიტ რწმენას, იწამეთ ჭეშმარიტი ღმერთი და გადარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენც და თქვენი ბაბილონიც! ეს გოდოლი კი ცოდვის კერაა და უნდა შეწყდეს მისი მშენებლობა! და გადმოვა თქვენზე ჭეშმარიტი ღვთიური მადლი, აგეხილებათ თვალი! ჰოდა, მიაპყარით ყური ზეცას, რომ გაიგონოთ უფალი ღმერთის ცაბაოთის მადლმოსილი სიტყვა! და რომ დავშორდით უფალ ღმერთს, ამაშიც იქნებ მართლა მე მიმიძღოდეს ბრალი. დავიგვიანე და ვინანიებ. მოინანიეთ თქვენც, ბაბილონელებო! ცოდვის აღიარება და მონანიება არასდროს არ არის გვიან!

ბაბილონელებო! მე ვერ აგიხილეთ თვალი, რომ ჭეშმარიტი ღმერთი შეგეცნოთ. ყველას ჩემს სამლოცველოში მოგელით ხვალ. უფალზე მინდა ვისაუბროთ... – წერტილიც აღარ დაუსვამს სათქმელისათვის. ებერი მთელი ტანით მიბრუნდა ნიმროდისკენ, ეგონა ნიმროდის განრისხებულ მზერას გადააწყდებოდა და შეცბა, როცა ნიმროდის ღიმილიან თვალებში ჩაიძირა.

ნიმროდი არც ემდუროდა და არც უწყრებოდა.

* * *

ნიმროდი გაკვირვებულია ებერის საქციელით. ვერც კი წარმოიდგენდა, ამდენს თუ შებედავდა თვითონ ნიმროდს. „ყოველთვის დამყოლმა და თითქოს მოშიშმა თავი გაამჟღავნა და რატომ მავიწყდება, რომ ებერიც ნოეს ჯილაგისაა, ნოეს უფროსი შვილის სემის უფროსი შთამომავალი?! გვარში უფროსი და მთელი ნოეანთ მოდგმის წინამძღოლი?!“

ნიმროდი ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ ებერი წინააღმდეგობას თუ გაუწევდა, ამას ვერც წარმოიდგენდა. თვითონ უფალ ღმერთს ნიმროდს ამდენს თუ შებედავდა, მართლა არ ეგონა: „კარგი, ღმერთად არ მცნობს, მაგრამ ხომ უნდა მოიდრიკოს ეს ნოესეული ქედი ბაბილონის მეფეთ-მეფისა და ქურუმთ-ქურუმის წინაშე?!“

და მაინც: როგორ მოქცეულიყო?

ნიშანი მიეცა თავისი დაცვის უფროსისთვის, რომ აეყვანათ ებერი, ხელ-ფეხზე ბორკილი დაედოთ და ამომშრალ ჭაში (დილეგის მაგიერ) ჩაეგდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეუძლებელია ასე ხატოვანდ ილაპარაკოს ებერმა. მე ხომ ვიცი, რომ მჭერმეტყველებით ვერც დაიქადნებს ებერი და მაშინ რა ბზიკი შეუჩნდა, რომ... თუმცა, ვხვდები, ვერავინ გამომაპარებს რამეს! თვითონ ცაბაოთმა იქადაგა დღეს ებერის პირით! შეეძლო, მიწასთან გავესწორებინე, მაგრამ ღვაწლიც არ დამიკარგა! ხალხი რას იტყვის ჩემზე, რომ ბორკილები დავადო ებერს? წამებულად შერაცხავენ, მე კი მწვალებლად გამომაცხადებენ! ნიმროდ-მწვალებელი! ხომ შეიძლება განმიდგეს ხალხი და ისევ ცაბაოთი იწამოს?!

– არა, ცაბაოთ! შენ არაფერი გესაქმება ბაბილონთან და ბაბილონელებთან! დღეს სულ სხვა ხალხი სახლობს ბაბილონში და მას შენი არარ ესმის! შენ წარსული ხარ, ცაბაოთ! მომავლის ხატად ველარ გაბრწყინდები! ხალხი ბრძენია და შენ კი ბრბოდ წარმოგიდგენია იგი!

ამ დროს იყო, რომ „ძირს ნიმროდიო!“ – შეჰყვირა ებერმა. ესმა საკუთარი ხმა და შეცბა. ხმა გაბზარვოდა ებერს. თვალი ველარ გაუსწოორა მომღიმარე, მაგრამ ყოველთვის საბრძოლევლად შემართულ ნიმროდს და უსიტყვოდ ჩამოვიდა ბორცვიდან. უჟმურაყოლილივით შეაცივა: „მე დავმარცხდი, მაგრამ დავიჯერო – უფალი ცაბაოთიც?!“ – თვალები მოხუჭა უნებლით და გახელაც აღარ ინდომა მერე: „იქნებ მართლა უფალი ღმერთია ნიმროდი?!“

„ებერ, შენ უკან იხევ მაშინ, სულ წინ და წინ რომ უნდა მიიწევდე... ანი ნუღარ დაიხევ უკან! ახლა ნიმროდმა ღირსებაც რომ აგყაროს და დაგაპატიმროს, ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. ჩვენ ნიმროდი უნდა ვაიძულოთ, რომ შეცდეს! შენ რომ არ გაგწირა, არ გეგონოს, სიკეთით მოსვლოდეს ეს. შენ კი არა და მისი გაგება ზოგჯერ მეც მიჭირს. მაგრამ მე ხომ შენთან ვარ, ებერ! არაფერს გაგიჭირვებ! თავი აღიღე მაღლა და სიმართლეს გაუსწორე თვალი!“

ებერმაც გაახილა თვალი. ნიმროდი იყო, ხალხს რომ მიესალმებოდა.

ნიმროდს დიდებაო, ხმის ჩახლეჩვამდე გაიძახოდა ხალხიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ძირს ებერი! ებერის ადგილი დილეგშია! – ამას წარმოსადეგი მოხუცი ამბობდა, უკვე – უფროსი ქურუმი.

ბორცვზე შემდგარი ნიმროდი ხალხის გასაგონად იტყვის, არავის ვსჯიო. – ებერი თავისუფალია, ვინც თანაუგრძნობს ებერს, გამოდით წინ! არც იმას დავსჯი. ხალხის ნება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მისაღებია ჩემთვის!

ებერის მხარდასაჭერად არავის გამუდვია თავი.

– ხედავ, ებერ... შენ მარტო რჩები, – ხმა გამკაცრებოდა ნიმროდს. მერე მაღლა აიხედა: – სულ ესა ხარ, ცაბაოთ?!

ზეცას აღარ უპასუხნია ნიმროდისთვის და ნიმროდმაც განაგრძო: – ცაბაოთ, შენ შეიძლება კიდეც გინდოდეს, რომ ბორკილები დავადო ებერს, მაგრამ არ ვიზამ ამას, შენ არ გაგახარებ. ებერი თავისუფალია! ნებისმიერ ბაბილონელს, ბაბილონურ კანონთა კრებულის თანახმად, უფლება აქვს, მოიქცეს ისე, როგორც მოეგუნებება! აბა, ფიქრს როგორ დავუშლი ვინმეს! ებერ, იფიქრე შენც! აღარ გჯერა, რომ თავისუფალი ხარ?! ჰოდა: მაღლა ცაბაოთის გასაგონად ვამბობ: ებერი თავისუფალია და განა მარტო თავისუფალი?! თავის უფალი ხარ, ებერ! დაუბრუნდი შენს მრევლს. სამლოცველო დიდი ხანია მოგელის! მიხედე შენს მრევლს! მაგრამ გახსოვდეს: შენ ბაბილონელი ხარ და ვერავინ აგიკრძალავს ფიქრს, ვერც ვერავინ წაგართმევს ამ ფიქრს! ვერც აზრს წაგართმევს ვინმე და ვერც შეგაცვლევინებს!

ბაბილონელებო! მოგმართავთ ყველას, იყავით მტკიცენი რწმენით და მრწამსით!

დიდება ბაბილონს!

– დიდება ნიმროდს – ჩვენს უფალ ღმერთს, ბაბილონის მეფეთ-მეფეს და ქურუმთ-ქურუმს, ხელმწიფეს ჩვენს! – ბრძანებს ისევ ის წარმოსადეგი მოხუცი, ასე რომ დაუმშვენებია თანამდებობის საფერ სამოსელს. იგი დღეს ნიმროდის მარჯვენა, მისი ნდობით აღჭურვილი პირია ბაბილონსა და სრულიად შუამდინარეთში.

დიდება ნიმროდს, დიდება უფალს, სახელი ვისიც ნიმროდია! – აგუგუნებულიყო სრულიად ბაბლონი.

ებერი გაოგნებულია: რატომ მიწა არ ჩაუსკდება ფეხქვეშ და შიგ არ მოჰყვება?! და ამ დროს მაღლიდან მოწვდება ხმა: – ებერ, შენ შენი მისია შეასრულე, ეს შენ იყავი ასე უშიშრად რომ დაუპირისპირდი თვითონ ძლევამოსილ ნიმროდს, შენ სავსე იყავი ჩემით, ასე იმიტომაც ჟღერდა შენი ხმა...

„მე ჩემს ხმას ვეღარ ვცნობდი...“ – ენა წაერთვა ებერს.

– მაგრამ ეს შენ იყავი, ებერ! – იელვა: – მე შთაგაგონე და შენც გარდაისახე. ნიმროდი შეძრწუნებულია, მე – აღფრთოვანებული შენით! შენ ირწმუნე და შეუძლებელიც ამიტომ შეძელი. განა ამას მოელოდა შენგან ნიმროდი? შენ ნიმროდში ბზარი გააჩინე, მე ვამაყობ შენით! აწი შეგიძლია იქადაგო, შენ ჩემი მადლით ხარ სავსე! როგორ თქვა ნიმროდმა? ადამიანი თავის უფალიაო?! ეს დაიხსომე! შეგიძლია ეს აზრი გაავრცელო ბაბილონში, ხალხი მოგისმენს. მაგრამ ისიც გახსოვდეს, რომ ნიმროდი ნიმროდია... ადამ-იანი! და მაინც არად ჩამაგდო მე! ხალხი ამიმხედრა და ტახტიდან გადადგომა არ მომინდომა?! ამიტომ მისი ბედიც გადაწყვეტილია! ოღონდ შენ არ მიგანო, ზურგი არ შემაქციო და აგამაღლებ! ახლა თავისუფალი ხარ და არა თავის უფალი. იფიქრე ამ სიტყვაზე და თუკი ჩაწვდები ამ სიტყვის სიღრმეს, მაშინ დაგიჯერებ. მინდა მჯეროდეს შენი!

აღელვებულმა ებერმა თავისი სასახლისკენ გასწია. სასახლემ სიცივე შეაგება და გულმაც უგრძნო: სასახლეში არავინ დახვედრია. მაშინ პირი სამლოცველოსკენ ჰქნა. რატომღაც გული საგულეს ჰქონდა. თვალწინ ნიმროდის სახება ედგა.

– ნიმროდ, რატომ არ დამსჯი?! – ამოიგმინა ებერმა, – მაინც რას მიპირებ?

– ვფიქრობ, გონს მოეგები და... – ახლა კი მოეღუშა სახე ნიმროდს, მაგრამ ხელები არ მოუმუშტავს ჩვეულებისამებრ.

– აგერ სამლოცველოც! – წამოიძახა ებერმა და ნიმროდის სახეც გაილია. აღარ იყო ნიმროდი და გულიც გაუმხნევდა ებერს.

გაიღო მის წინ სამლოცველოს კარი და გადააბიჯა ზღურბლს.

სახლეული შემოეგება აღფრთოვანებულიც და გაკვირვებულიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყველანი აქ ყოფილან...“ – გაიფიქრა: „მაგრამ ნიმროდს რომ არ დაურბევია ჩემი სასახლე? შეეძლო კი...“ – და მისი ფიქრი ქარდუხს გადაწვდა უნებლიეთ.

– თქვენ რომ მზის მოედნისკენ გაეშურეთ, მამავ ბატონო, მაშინვე ავიბარგენით სასახლიდან... – ამას უფროსი ძე ეტყოდა ებერს.

– ტყუილად დაგიტოვებიათ სასახლე, ნიმროდი თქვენ არას გერჩით, მისი სამიზნე მე ვარ... – თქვა და განმარტოება ინდომა.

თავის სენაკშია. სენაკი გაანიავა. მსახურს უხმო, – დღეს ცისკრის ვარსკვლავი რომ გამობრწყინდება, მრევლს მინდა მივმართო. ქადაგება დიდ დარბაზში შედგება. – ხელი აუქნია მსახურს და გააფრთხილა, იქამდე არავინ შემაწუხოსო.

აქ ცაბაოთის ხმა ესმა: „ფიქრი ადამით დაიწყე, ებერ!“

და ებერიც გადაწვდა წარსულს: „მართლა რა მოხდა მაშინ სამოთხის ბაღში?! ადამი გააძევეს სამოთხიდან და გასაგებია ჩემთვის, რისთვისაც გაუწყრა ცაბაოთი ადამს?! კი დააშავა ადამმა, მაგრამ შესცოდა თუ შეცდა? და თუკი შეცდა, ხომ შეიძლებოდა ამ შეცდომის გამოსწორება?! არა, არ შემცდარა! ადამმა სცოდა და აღარ მოინანია... აქ ჩიხია, ლაბირინთიდან თავს მართლა ვერ დააღწევს ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი... მაგრამ არ მგონია, რომ ეს ყველაფერი დედამიწაზე ხდებოდა! მაგრამ დავუშვათ, მართლა მოხდა. ის ადგილი, სამოთხედ წოდებული, ხომ მეც მინახავს, მაგრამ იავარქმნილი, ჯოჯოხეთიდანაც რომ ვერ გამოარჩევდით, სამოთხეში ორი ხე იდგა: ხე სიცოცხლისა და მეორეც – ხე ცნობადისა, მაგრამ აქ გარკვეულია ყველაფერი და ამაზე ფიქრი და განსჯა წყლის ნაყვაა.. მადლი მიაკლდა ადამს და უკვდავებასაც ამიტომ ვერ ეზიარა... ადამს სრულყოფილებამდე სულ ცოტა აკლდა... თუმცა ხედავდა უფალ ღმერთს და ესმოდა მისი... დრო იყო საჭირო, რომ ცაბაოთის ღვთაებრივი ჩანაფიქრი აღსრულებლიყო და აქ ადამს მოთმინება აღარ ეყო, აჩქარდა. ამიტომ იყო, რომ სხვა ქარმა მოუბერა და... ადამიც უადგილოდ დარჩა...

მაგრამ ადამი არ დაკარგულა... ადამის მოდგმა ზეობს დღესაც. ადამის ცოდვა მემკვიდრეობად გადმოგვეცა ადამიანებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამმა გაღმერთება ინდომა, როცა უკვდავებასაც არ იყო ნაზიარები და თავის უფალიც ამად ვერ იყო!

ადამი სრულყოფილი, მადლმოსილი რომ ყოფილიყო... ვინ იქნებოდა მაშინ? მიწიერი ღმერთი დედამიწაზე?! უფლისნაცვალი... მაღლა – უფალი ღმერთი ცაბაოთი, ციური მეუფე...

იელვა და ფიქრებდან გამოერკვა ებერი, უფალი ნიშანს მაძვლევსო, გაიფიქრა და სმენად იქცა.

– ებერ, შენმა საათმა დაჰკრა! სწორედ ის ჟამია, ქადაგად რომ უნდა შედგე!

* * *

ნიმროდი მოუწოდებს ბაბილონელებს, არ დაემორჩილონ ცრუ ღმერთს ცაბაოთს. იგი ყველგანაა ერთდროულად, იქაც კი დაინახავთ, თავის ბედის ბედაურზე ამხედრებულს, მხარზე ბრძენი ბუ რომ აზის, სადაც არ მოელით. იგი სასურველი ბატონია ყველგან და ყოველთვის.

– ჩვენი გოდოლი, ერიდუში, მზის მოედანზე რომ შენდება, მალე ზეცას შეწვდება! მისი აგების მიზეზი გნებავთ იცოდეთ? კეთილი: თუკი ცაბაოთმა კვლავაც მოგვივლინა წარღვნა, რასაც ნამდვილად აპირებს. რაო, გულხელდაკრეფილი შევეგებოთ ამ უბედურებას? ადამიანებო, იცოდეთ და ირწმუნეთ, რომ ნიმროდი – თქვენი ჭეშმარიტი ღმერთი, არ მიგატოვებთ იმ გაჭირვების ჟამს. ბიბილონის გოდოლი დაგიცავთ მოსალონდელი საფრთხისაგან! გოდოლი იქნება ადამიანთა დიდი თავშესაფარი! ასე რომ: მე – ნიმროდი, არ დავუშვებ, რომ ცაბაოთმა თავის ოცნებას (ადამის მოდგმის ძირფესვიანად ამოძირკვას) ფრთები შეასხას. ამას ნიმროდი არ დაუშვებს!

გოდოლი თავისი გუმბათით შეწვდება ცაბაოთის საბრძანებელს და ააცილებს კიდეც! და ისეთი ტევადიც უნდა იყოს, რომ დაიტიოს ბაბილონის ურიცხვი მოსახლეობა! ცაბაოთი წინააღმდეგია ამ წამოწყების, მაგრამ გოდოლი მაინც აღიმართება! ასე შევიქმნით სახელს და უკვდავებას. ბაბილონი უკვდავია, ბაბილონია თვით უკვდავება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდოლი მტკიცე იქნება რვალივით, ურყევი – როგორც სალი კლდე! გოდოლი გადაწვდება მარადისობას!

ესმის ცაბაოთს ნიმროდის სიტყვა და უკვდება გული. მოკლავდა, შეეძლო აღეგავა მისი სახსენებელიც, მაგრამ როგორ შეელიოს საკუთარ ქმნილებას? სასიკვდილოდ ვეღარ გაუმეტებია. ნიმროდი კი განაგრძობს: – გსმენიათ ალბათ ადამზე, თქვენს დიდ წინაპარზე, სამოთხე იყო მისი სამყოფელი, ჩრდილოეთითაა იგი ჩვენგან, შორია იქამდე! ზღაპრული იყო იგი ბაღნარი. ეს ის ადამია, ცაბაოთმა რომ გამოძერწა თიხისაგან, მაგრამ სამწუხაროდ, მთლად სრულყოფილიც ვერ გამოუვიდა თავისი ქმნილება. ჰოდა, იმ ადამიდან მოვდივართ ადამიანები. ადამი, თქვენ წარმოიდგინეთ და ცაბაოთისგან განსხვავებულად ფიქრობდა და ასე რომ ფიქრობდა, ზუსტად თქვენნაირად, ადამიანურად, ეს ცოდვად ჩაუთვალა ცაბაოთმა თავის შვილობილს და სამოთხიდან გამოაძევა. თვითონ სამოთხე, მართლაც სასწაულებრივი ბაღნარი, ტკბილი, ზღაპრული, აღგავა პირისაგან მიწისა. ადამი კი მიუშვა თავის ნებაზე, ადამი – ჯერაც პირზე რძეშეუმშრალი, ცხოვრებაში გამოუცდელი. მაგრამ ადამმა გაუძლო ჟამთა სიავეს... ჩაიხედეთ სულში, ადამიანებო, და ადამს შეიგრძნობთ, ეს მისი სევდაა მემკვიდრეობად რომ დაჰყოლია კაცობრიობას... ვბრძანეთ, მთლად სრულყოფილიც ვერ გამოუვიდაო ადამი ცაბაოთს და ცაბაოთიც რაღა ღმერთია, თუკი საკუთარი ქმნილებაც ვერ სრულუყვია?! თვითონ უფალმა ცაბაოთმა შესცოდა და ბრალი ადამს დასდო. და იცით, როგორ მოთქვამს ცაბაოთი თავის უმწეობაზე?! „აბა, როგორ მიმეტევებინა იმისთვის, ვინაც ბოლომდე ვერ ირწმუნა ჩემიო?!“ თავის მართლებაც ამას ჰქვია! ვიმეორებ, რაღა ღმერთია ცაბაოთი, როცა თავისი დაუდვეროობით თუ უბრალო უყურადღებობით, რაც გინდათ დაარქვით ამას, ხელი მიაკლო თავის ქმნილებას, როგორც შემოქმედმა და რაღა გასაკვირია, რომ ადამი შემცდარიყო? ცაბაოთს ხელი მოეცარა, ეს იყო და ეს! შეცდა ადამი, მაგრამ არ შეუცოდავს. შესცოდა თვითონ ცაბაოთმა.

აქ გამოერკვაო თითქოს უფალი და გაეცინა უნებლიეთ: „ნიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდი?! რომელი ნიმროდი?! ეს ხომ ადამია, ამბოხის თავი და თავი... ცდილობს მთელი შუამდინარეთი ამიჯანყოს! თუმცა ვაცლი: ვნახავ სადამდე დაეცემა?! ძირს მითხრის და ის კი არ უწყის, რომ ჩემთან ძიძგილაობაში, შესაძლოა სულიც ამოხდეს! ისე კი: ტყუილადაც არ შეურქმევიათ მისთვის „ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა!“ აქეთ მექადნება! მართლაც და: არ გინდა, შეჰბედო ღმერთს „შენი აღარ მეშინიაო! აქეთ გეშინოდესო ჩემი!“ თავი ღმერთად გამოაცხადა, თავის რეას კი ქალღმერთის წოდება მიანიჭა. მართლა მომაბეზრა თავი... არ გავუმხელ, რომ ადამია სინამდვილეში... ვერც კი წარმოუდგენია, რის შემძლეა და შემძლებელი და რომ იცოდეს... და მაინც როგორ მოიფიქრა: ღვთისადმი მორჩილება იგივ მონობაა. ამიტომაც უნდა დაამხოთ მისი მეუფებაო... ადამიანს ტვინი დაუნაგვიანა! ცაბაოთი წარსულია და გადასაშენებელი, ნიმროდი კი – თქვენი მომავალიო!

ადამი-ნიმროდი ღვთაებრივი ქარიზმის მატარებელი! შეუძლია, ტვინი აურიოს ადამიანს, აიტაცოს და რა აღარ ჩაადენინოს. ნიმროდი – დიდი მჭერმეტყველიც! და ადამიანებს ათასი ჭირი შეგყარათ ცაბაოთმა და კიდევ რამდენ ჭირ-ვარმს შეგამთხვევთო... ცაბაოთი ადამიანებს გარისხებია და კიდევ: ეს რა მესმის?! ძირს ცაბაოთი, ცრუ ღმერთიო?! და ხალხიც ერთხმად რომ გაიძახის „ძირს ცრუ ღმერთი ცაბაოთიო?!“ – და ცაბაოთსაც უსიამოდ გააჟრჟოლა.

მიწა თუ იძრაო, გაიფიქრა ნიმროდმა და ამოთქვა კიდეც: – მიწისძვრა?! ამის შემოქმედიც ცაბაოთია, თვითონ ეშმაკი!

– ძირს ეშმაკი ცაბაოთი! – ეს ის წამროსადეგი მოხუცია, უკვე უფროსი ქურუმი, გონს მოდიოდესო თითქოს ნიმროდის ეგერთწოდებული საყვირი: – ძირს ეშმაკეული ცაბაოთი! გაუმარჯოს ნიმროდს – ჭეშმარიტ უფალ ღმერთს!

და შემზარავად გუგუნებს სრულიად ბაბილონი: – ძირს ეშმაკეული ცაბაოთი!

„ნიროდმა მართლა აიწყვიტა! უნდა შევაჩერო, თორემ ამიჯანყებს მთელ დედამიწას! ამის ძალაც შესწევს.... – საგონებელს მიცემია უფალი ცაბაოთი: „უნდა ჩამოინგრეს ბაბილონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლები და მაღალი კარიბჭენი, ჩაინგრეს საძირკვლამდე და ცეცხლმა შთანთქას აქ ყველაფერი. ბაბილონის გოდოლი კინაღამ არ გამომრჩა?! ჩამოირღვეს ისიც... თვითონ ნიმროდი მაიძულებს, მოვიქცე ასე! ძინავს ნიმროდს საღათას ძილით და ერთი ლაზათიანადაც უნდა შევანჯღრიო, რომ გამოიღვიძოს... იმის სრულ გამოფხიზლებამდე ჯერ კიდევ დროა... ამიტომ: უნდა ჩავიდე ძირს. რა ხანია მიწაზე არ ვყოფილვარ.... მომენატრა დილის ცვარზე ფეხშიშველა სიარული.. იმ გოდოლსაც ერთხელაც შევავლებს თვალს და...“

და მართლაც: ჩამოვიდა უფალი ღმერთი მიწაზე, გაიარა ცვარზე ფეხშიშველამ და სული მოითქვა.

აგერ ერიდუშია უკვე, მზის მოედანზე. ეუცნაურა აქ ყველაფერი, განსაკუთრებით გოდოლი, მართლა ცათამბჯენი! და ნამძინარევივით ამოიფშვნიტა თვალები.

ანგელოზები გარს შემოხვევიან.

„გოდოლი... ნიმროდის გოდოლი... ცათამბჯენი მართლაც – საოცრება, მეც რომ მაკვირვებს! – მაღლა ახედვაც აღარ ჭირდება, ისე ჭვრეტს გოდოლს. – მტკიცეა და შეუვალიც, მაგრამ დრო ჩემს განკარგულებაშია ჯერაც, ეშმაკისეულია ეს გოდოლი, დიდი ცთომილება. ზევით, სულ მაღლა და მაღლა მიიწევს და უნდა შევაჩერო მისი ამგვარი ზეაღსვლა! იგრძნობა მასში დიადი შემოქმედის ყოვლის ამამოძრავებელი ხელი... გოდოლი – ნიმროდი! ნიმროდი – გოდოლი! ერთხელაც რომ შევარყევდე...“ – წამით ჩაფიქრდა და ნიმროდის ნახვა ინდომა:

„ხელთუქმნელ ძეგლს იგებს თავისთვის, მაგრამ ნიმროდი თვითონ ძეგლია უკვე. ჩემი ძეგლი! თითქოს თვითონ იდგამდეს ძეგლს, რომ დამამციროს. უნდა გამოვუტყდე თავს, რომ: არის ნიმროდში ღვთაებრივიც. განა არ ეტყობა, რომ ჩემი ქმნილებაა?! იქნებ დიადი ჩანაფიქრიც, მაგრამ რატომ „იქნებ?“ დიადია თვითონ იდეა! მაგრამ თვალში რომ არ მომდის ეს ნიმროდისეული გოდოლი?! ეს გოდოლი ცას ვერ უნდა შეწვდეს და შესაბამისად ცათამბჯენიც ვერ უნდა იყოს! მაგრამ არ ჩამოვანგრევ მთლიანად: დავტოვებ იმხელას, რომ ადამიანს ღვთაებრივ ქმნილებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ მოეჩვენოს. თვალშეუწდვენიც ველარ იყოს მისთვის, მაგრამ ამით შევაჩერებ ნიმროდს?!

საკუთარი რწმენა უნდა შევურყიო! ის შვიდსვეტიანი დარბაზიც ხომ საოცრებაა?! შვიდივე სვეტი მტკიცე და შეურყეველი! მისი მაღალი ცისაფერი ჭერიც ხომ... და ამ დარბაზს გვირგვინად უნდა დაედგას დიდი გუმბათი, – მაგრამ ჭერისთვის ვერ მომიწყვეტია თვალი, – ცის ცარგვალია სწორედ! თავი ჩემს საუფლოში მგონია. მაგრამ გოდოლი რომ ნიმროდისაა?! და ამ ჩემს სამყაროში ორი საუფლო?! ამიტომ: ჩამოინგრეს!

ნიმროდი ყოვლისშემძლე?! როცა ყოვლისშემძლე ერთია და ერთადერთი და იგი მე ვარ! მე – უფალი ცაბაოთი!

ნიმროდი უნდა შეძრწუნდეს! შედრკეს, რომ გონს მოვიდეს!“

და ნიმროდსაც უჩვეულოდ შეაჟრჟოლა. წამით: თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მაშინვე გამოერკვა. ასე პირველად ემართება და გაოგნებულია: „ჩემი გოდოლი შეირყა?! როგორ?! ჩემი ღვთაებრივი გოდოლი...“ – ლამის შეუქანდეს გული: – სადღაც ცაბაოთი აქ უნდა იყოს. ეს მისი სუნი მცემს, სუნთქვა მეკვრის! უჩინარი ხარ, ცაბაოთ?! თვალს რატომ ვერ მისწორებ? მესმის შენიც, მაგრამ რატომ ვერ აცნობიერებ, რომ სულაც არ მეხუმრება?! ჩემმა გოდოლმა აგირია ტვინი?! მართლაც გონის შემძვრელი უნდა იყოს შენთვის ჩემი გოდოლი! – გრძნობდა ნიმროდი, რომ მოქმედება იყო საჭირო, დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედებულიყო და ხელი მკერდზე მიიდო. გულზე ურო სცემდნენო თითქოს.

აღშფოთებულმა თავის ბედის ბედაურს უხმო.

ნიმროდს უჭირსო?! სივრცეს შესჭიხვინა ბედის ბედაურმაც. მისი ჭიხვინი ესმა ბრძენ ბუს და შეჰკვილა იმანაც სივრცეს. ორივეს ნიმროდისკენ მოუსწრაფვის გრძნეული გული.

წამით და ნიმროდიც ზურგზე მოევლება თავის ბედის ბედაურს და იმ წამსვე იგრძნობს, რომ მის ვეება მხარს თავისი ბასრი ბრჭყალებით ბრძენი ბუ ჩაფრენია.

წამიც მეორე და: იქ უკვე აღარც ნიმროდი იყო, აღარც – ბედის ბედაური და რაღა თქმა უნდა, აღარც – ბრძენი ბუ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

იელვა და ზეაიხედა ებერმაც. თვალი მოჭრა ელვამ და გული აუძგერდა მღელვარებისგან, იგრძნო უფალი ღმერთი ნიშანს აძლევდა და სითბოთი ამოევსო სული.

– ებერ, ჰო მე ვარ! – მაღლიდან ჩამოესმა და ტანზე აბურძგნა ებერს. შიშისაგან როდი მოსვლია ეს? და თავი ფიქრს მისცა.

მეორედაც იელვა და ესეც თქვენ ხართ, უფალოო?! – ამოთქვა ებერმა. – ვერ გხედავ, მაგრამ შეგიგრძნობ. ჩემთვის ეს დიდი ნუგეშიცაა და პატივიც – ხმა კინაღამ ჩაუწყდა, გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

– ებერ, დამშვიდდი. მინდა გესაუბრო, რაღაც რაღაცებში უნდა გავერკვეთ მე და შენ! იმით დავიწყოთ, რომ ქალდეველი ხარ! ქალდეველი კი არავის ემსახურებოდა! არც შენ უნდა იყო ნიმროდის მსახური! ქალდეა, ებერ, გაბრწყინებული ადგილია. მე დავადგი თვალი და ამით გაბრწყინდა. ნიმროდი ნურაფერს ნუ დაიბრალებს! ჩემი მიწიერი სამყაროც ქალდეიდან იწყება, ერიდუ კი ქალდეის შუა ადგილია და – დედამიწის ჭიპი! დიდი ქალდეველი იყო ნოე, თქვენი დიდი წინაპარი! სემი და იაფეტიც ქალდეველები არიან. ქამიც ქალდეაში დაიბადა, მაგრამ ქალდეველობა, ეს წოდება მე ჩამოვართვი. გითხარი, შენც ქალდეველი ხარ-მეთქი და შთამომავლობა მართალ ებერად მოგიხსენიებს. და არა იმით, რაც დღემდე გაგიკეთებია, არამედ, რასაც აწი იზამ... რასაც აწი გააკეთებ და შექმნი! შენი მოქალაქობრივი ვალია, დაუპირისპირდე ნიმროდს, ამხილო, რომ სცოდავს ღმერთისა და თავისი ხალხის წინაშე! ნიმროდი ღვთის მგმობელია. ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა! გმირი მონადირე რომ არის, ამას ვერ დავუკარგავ, მინდა ეტკინოს, მაგრამ არ გადატყდეს ხერხემალში... ებერ, ნიმროდს იმედი გადავუწუროთ. ღვთის სიყვარული და მორჩილება შეგაძლებინებს შეუძლებელს. იგიც, როგორც შენ და სხვანი და სხვანი, უბრალო, ჩვეულებრივი მოკვდავია, შეიძლება სხვებზე აღმატებულიც იყოს, მაგრამ კაცია ჩვეულებრივი! ჩრდილი რომ არა აქვს, სრულებით არ ნიშნავს, რომ უფალი ღმერთია! ებერ: უნდა ჩაიცვა რკინის ქალამნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და კიდით კიდემდე მოიარო ბაბილონი, ამხილო ნიმროდი! შეაგნებინო ყველას, რომ ეს ქვეყანა ჩალით არაა დახურული და არც საკუთრებაა ნიმროდის.

ებერ! ახლა მინდა, რომ შენც აგეხილოს თვალი. ნიმროდს ტყუილუბრალოდაც არ გაუგზავნიხარ ქარდუხეთში.

„ქარდუხი“ და „ქალდეა“: ქალდეა შენთვისაც და წარმოიდგინე ჩემთვისაც, სალოცავი სიტყვაა, „ქარდუხი“ „ქალდეას“ შესატყვისია. ესეც მოგეხსენება. „ქარდუხიც“ „ქალდეასავით“ ამაღლებული სიტყვაა. სიტყვა, ებერ! შენთვის შორსაა აქედან ქარდუხეთი, მაგრამ ჩემთვის „შორი“ და „ახლო“ როგორც მცნებები მიუღებელია და „შორი“ და „ახლო“ ჩემთვის არც არსებობს... მერე და...

– ერთი ძირი აქვთ „ქალდ“ და „ქარდ“.

– შენი დაკვირვებული და გამჭოლი თვალი ახლაც არ სცდება... ქარდუხელი და ქალდეველი ერთია, ქარუდუხნი და ქალდეველნი ერთი ხალხია და დრომ და ვითარებამ (გარემოებამ) შუაზე გაგყოთ და უნდა შეიკრათ ისევ, გაერთიანდეთ! ღვთის ხალხად იწოდებით აწი და: გამრავლდებით ერთი მეორის შეწევნით. უნდა მიენდოთ ქალდეველები ქარდუხთ. ისინი დიდ სამსახურს გაგიწევენ, როცა იქნება. ეს მომავლის საქმეა. დღეს კი შენ უნდა ითავო გამაერთიანებლის როლი. წარსული, აწმყო და მომავალი ხელის გულზე მედოსო თითქოს.. აღვიქვამ სამივე დროს ერთდროულად, თითქოსდა ერთად მიმდინარეობდნენ...

იელვა და ესეც სასიკეთოდ ენიშნა ებერს.

– ვიცი, რაც იყო წარსულში, ებერ. თვალნათლივ ვხედავ, რომელი რომლიდან მომდინარეობს: ქარდუხი – ქალდეადან თუ ქალდეა – ქარდუხიდან. მთავარია: ერთნი ხართ და ორივეს გრიგალივით გადაგივლით ისტორიული ქარტეხილები. მაგრამ გაუძლებთ ერთი მეორის შემწეობითა და იმედით! ებერ, ქარდუხის მაღალ, თოვლიან მთებში ერთგან ხელისგულისოდენა მიწაა „ქალდედ“ სახელდებული... ამაზეც ფიქრი გმართებს! ამაზე უნდა ფიქრობდნენ ქალდეაშიც და ქარდუხშიც! და კიდევ: ქარდუხში მამული რომ გაქვს, მზითევში ერგო თარგამოსის მშვენიერ ასულს, თარგამოსმა იბერიად მონათლა და შემდგომ იბერიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრწყინდება იგი. იბერიელები – ივერიელები... წმინდაა იბერთა (ივერთა) მიწა...

ებერ, მე მომავალს ვწინასწარმეტყველებ: ქარდუხელები და ქალდეველები... ისევ უნდა შეერთდნენ. ერთ დროს დაშორიშორებულები, დიდ მდინარედ უნდა გამდინარდნენ... გახსოვდეთ: გაჭირვების ჟამს ქალდეველებს ქარდუხეთში, იბერთ მხარეში ყოველთვის მოგეძევებათ საიმედო თავშესაფარი! მაგრამ... – სული მოითქვა ზეცამ და ისევ იელვა.

– მაგრამ... – აღმოხდა ებერს და ებერის „მაგრამ“ გულზე მოხვდა ცაბაოთს. – ჰოდა, მეორედაც გაკვეთა ელვამ შეშუპებული ზეცა (იელვა: ესეც ებერის რწმენის გასამყარებლად).

– მაგრამ ნიმროდის შესაძლებლობებამდეო, გინდოდა გეთქვა, ათასი გორი გაშორებს, მაგრამ ეს ჯერჯერობით, ებერ. მაგრამ შენც მართალი ხარ, როცა შემახსენებ, რომ უბრალო მოკვდავისგან შეუძლებელს ვითხოვ... მაგრამ მე შემიძლია ადამიანი ავამაღლო, ან დავამდაბლო. ნიმროდს წასართმევი წავართვი. მაგრამ თვალი უნდა მივადევნო; ვეცდები, ჩემს თვალსაწიერში მყავდეს, შენზეც ვიფიქრებ, ებერ... – და უფალი ღმერთიც ფიქრმა წაიღო, უფრო, ფიქრს თვითონ გააყოლა თავი.

აღარ გაუელვებია და ებერსაც გული დაწყდა, ალბათ, გადავავიწყდიო...

:

ამჯერად უფალი ძილში გამოეცხადა ებერს (ეს არ ყოფილა სიზმარში).

ებერი თვალნათლივ ხედავს უფალ ცაბაოთს, სრულიად გაბრწყინებულს, სინათლედ დაღვრილს. როგორიაო, ამას ვერ აგიწერდათ. თვალიც კი მოხუჭა, ხომ არ მეჩვენებაო, მაგრამ არ ეჩვენებოდა, უფალი მზისებრ გაბრწყინებულიყო და იღვრებოდა სიკეთის ლავად, იღვრებოდა და აღარ ილეოდა.

„ჩვენი დიდი უფალი ღმერთი!...“ – აღმოხდა ებერს და მუხლები აუკანკალდა. ოფლი ღვარად სდიოდა.

იფიქრა, თვალს გავუსწორებ ამ ბრწყინვალებასო და მზერად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ცაბაოთი ვარ, ებერ: უპირველესად – შენი და თარგამოსის და მერე ყველასი, ვინც კი ირწმუნებს ჩემსას. რატომ გამოგცხადებივარ? – კითხვად იქცა თვითონ ბრწყინვალება.

და უფალიც ცდილობს, რომ ამ კითხვაზე პასუხი, ადამიანის გასაგებ ენაზე გასცეს.

უფალი ბევრსაც არაფერს ითხოვდა ებერისგან და რასაც ითხოვდა, ამის უფლებაც ჰქონდა. მანამდეც ასე ფიქრობდა და ებერის უბრალოებაში საბოლოოდ რომ დარწმუნდა, მიენდო კიდეც. ებერს ამპარტავნობისა მართლაც არაფერი ეცხო და უფალიც სწორედ ამ თავისი უბრალოებით გამოარჩევდა ებერს კაცთა შორის.

ცაბაოთი დაჟინებით დააჩერდა ებერს:

– ებერ, თითქოს ხელის გულზე მყავდე. გიყურებ და ვგრძნობ, ისა ხარ, როგორსაც მინდა გხედავდე. ნიმროდი შენთან შედარებით კი არის ბუმბერაზი! იგი მზეა და შენ – მხოლოდ მიწა. იმდენად უფერულად გამოიყურები იმასთან შედარებით. ეს მახარებს ერთი მხრივ და გულსა მტკენს მეორე მხრივ. მეტოქეობას მართლა ვერ გაუწევ ნიმროდს, ვერც მის ზეწოლას გაუძლებ. ამიტომ: შენც უნდა აღგჭურვო ძალმოსილებით... მოვსულვარ შენთან ძილში. მინდა მადლი მოგფინო და წამითაც რომ მოდუნდე, ამაოდ ჩაივლის ჩემი ყოველი მცდელობა. მიიხედ-მოიხედე და პირმოტეხილი ქვევრი ნახევრამდეც რომ შეავსო საკმარისია. თორემ ნიმროდს სავსე ქვევრი აჰქონდა მწვერვალზე. მწვერვალზე აიტან ევფრატის წყალს... იქ ერთ დროს მაღალი კედარი იდგა. იმ ადგილზე ჩაღრმავებული მიწა დაგხვდება. დამსკდარ მიწას წყურვილი მოაკვლევინე! სინამდვილეში ის უხილავი კედარი მოიკლავს წყურვილს, მერე: გული გეტყვის, სად დაიჩოქო და მიენდე გულს. კედარი ვერა, მაგრამ მწვანე ბალახი ამობიბინდება.

– და რატომ კედარი არა?! – აღმოხდა ებერს და წარბი შეიკრა ზეცამაც: – უნდა გაწყენინო ამ უადგილო შეკითხვისთვის. კედარი, ნიმროდის სახელზე იყო ამოსული და მეორედ აღარაფერი მკითხო ამაზე! არ წამოდგე: ლოცვა ასე დაჩოქილმა აღავლინე ჩემს სახელზე. მომწვდება ლოცვა და სალ კლდედ იქცევი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერავითარმა ძალამ ვერ გაგტეხოს! ათჯერ იელვებს და ათივე გაივლის შენში... ელვას ვამბობ და სინამდვილეში მადლსა ვფენ იმას, ვინც ერთგულება შემომფიცა. ნიმროდისთვის არც მითხოვია ერთგულება.“ (გულში): „ნიმროდს ვერც დაამარცხებ, თუ თარგამოსი და ძენი მისნი არ მოგეშველებიან.“

ებერ! იმედი არ გამიმტყუნო! შენზეა დამოკიდებული თვითონ შენი და შენი მოდგმის ბედი. ამ ბედს შენ თვითონ წერ ახლა!

მე ვიქნები შენი გზის მკვლევი: მფარველი ანგელოზიც და უფალი ღმერთი ცაბაოთი!

ამოისხა ებერმაც რკინის ქალამნები და ერიდუდან გავიდა. მიუყვებოდა ევფრატის წყალს, მიესალმებოდა მომდინარეს და ემშვიდობებოდა უკვე გამდინარეს.

ევფრატიც ესალმებოდა ებერს – რკინის ქალამნიან კაცს ემშვიდობებოდა თან.

გავიდა ხუთი დაჩქარებული დღე და გულმა უგრძნო, რომ მოსულიყო დათქმულ ადგილზე. გაიხედა და მწვერვალს ჰკიდა თვალი. გული სიხარულისგან აუმღელვარდა. ქვევრი გაახსენდა პირმოტეხილი და ისიც დაინახა. დამშვიდდა და: მოწყურდა, როგორც არასდროს. წყურვილი ევფრატის წყლითვე მოიკლა და ამ წყლითვე შეავსო ქვევრის მესამედი, იმდენი, რამდენის ატანაც არ გაუჭირდებოდა მწვერავალზე. და ებერიც იმ გზა-ბილიკს დაადგა. ააღწია მწვერვალს, ჩაღრმავებული ადგილის შუა ადგილი მონიშნა და მორწყა ის ადგილი. მწვანე ბალახი ამობიბინდა წყლით მორწყულ ადგილზე. ებერმაც მადლობა გადაუხადა უფალ ღმერთს და მუხლებზე დაეშვა. ზე აიხედა. ცაც გადანათებულიყო. გაელვების მოლოდინშია ებერი. აივსო მიწის სისოვლით და ამ დროს იელვა.

„ესეც პირველი ელვა, უფალო!“ – ამოუთქვა ებერს გულმა. ამის თქმა და იგრძნო, როგორ დაეძრა სისხლ-ძარღვებში ჟრჟოლა, ერთიანად რომ ამოუშრო სისოვლით გაჟღენთილი სხეული (სისოვლე ხომ მიწისგან ჭირდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს უკვე აღარც ეკუთვნოდა მიწას). თვალებმილულული ებერი თბილ, მოტკბო ნეტარებას მოეცვა, როცა მის ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქცეული შელახული ბალახის ღეროების საყვედური გაიგონა: ჩვენც გვინდა სიცოცხლე და რატომ არ გვაცოცხლებო?!

„უფალო ღმერთო, მომეშველეო...“ – შეჰღაღადა ზეცას და უფლის ხმაც ესმა: „შენ ახლა ყოვლისშემძლე ხარ და შეგიძლია ისე მოიქცე, როგორც ინებებო. და ებერიც აიწია ერთი მტკაველით მაღლა. ააწყდა მიწას და აირწ-დაირწა სივრცეში. ბალახიც გასწორდა წელში. ებერმა მათთან ერთად მოითქვა სული.

ცაც გადაისხნა და ესმა, რას ფიქრობო?

– ბალახის ენა მესმის და სივრცეში გადააგილებაც შემიძლია... – სუნთქვა შეეკრა და ელვამ მეორედაც გაუარა გულში. მერე: ელავდა და ელავდა. უელავდა ებერს სულსა და სხეულში.

დასრულდა ელვარება და ნეტარებად ქცეულმა ებერმა იკითხა ანაზდად: ახლა რა შემიძლიაო.

– თითქმის იმდენი, რამდენიც ნიმროდსო! – ესმა პასუხი.

„მაგრამ მხოლოდ თითქმის და არც მთლად იმდენი, რამდენიც ნიმროდს?!“

– შენც შეგიძლია ნიბირუზე აღმოჩნდე და თარჯიმანიც არ დაგჭირდეს...

– გამოდის, ნიმროდი უკვეა ნამყოფი ნიბირუზე? კიდევ რა შემიძლია?

– შეგიძლია უხილავი იყო: ხელში თითქოს ქუდი გეჭიროს, იხურავდე და აღარსად იყო!

და სამლოცველოში დაბრუნება ისურვა ებერმა, მრევლს რომ გასაუბრებოდა. რკინის ქალამნები ეცვა ისევ, გახედა უკან დასაბრუნებელ გზას და უკვე სამლოცველოში იყო. (მეხსიერებიდან თუ ამოუვარდა ის დრო, რომელიც ამხელა მანძილის გამოვლას მოანდომა).

მრევლიც დიდის ამბით მოელოდა მის დაბრუნებას.

* * *

ნიმროდი გოდოლთან მიიჭრა.

გოდოლშია უკვე და თავისი სვეტებიანი დარბაზი რომ ვეღარსად დალანდა, გულზე შემოეყარა. სადღა იყო ის ურყევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდი სვეტი?! დასავლეთის კედელს სამი ბზარი ჩასდევდა საძირკვლამდე.

„ჩემი გამოწვევა, როგორც ჩანს, მიუღია ცაბაოთს და უმძიმესი დარტყმაც მომაყენა.

ჩემს პასუხს თუ მოელის ახლა.“

იელვა: ცაბაოთი მიანიშნებს ამით ნიმროდს, რომ უფალ ღმერთთან ნიმროდი ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი უძლურია და ვერც ვერაფერს გახდება.

ნიმროდს წამიღა რჩება სამოქმედოდ და აღარც დაახანებს: გადმოიღებს თავის მშვილდს და ისარიც გაფრინდება მიზნისკენ. მიზანი კი ელვა იყო, სადაცაა რომ უნდა მილეულიყო.

ჰოდა, მიილია ელვაც. ნიმროდმა კი აღარც უწყის, დაასწრო ცაბაოთს, თუ ამჯერადაც მოეცარა ხელი? ნუთუ მიზანმიუღწეველი დარჩა მისი ისარი?! შედეგს სულწასულივით მოელის.

და აი, ისევ იელვა(!)

ცაბაოთი უვნებელია და იქედნურად ანიშნებს ნიმროდს: ჩემამდე, აბა, სად მოხვალ?! უკვე საეჭვოა ნიმროდი გმირი მონადრე იყოს, რომელსაც ეყო თავხედური გამბედაობა და დაპირისპირებოდა თვითონ უფალ ღმერთს ცაბაოთს – ყოვლისშემძლეს. ყოვლისმხილველსა და ყოვლისმომცველს!

ერიდუში კი ამ დროს ებერი მოუწოდებს ხალხს, არ დაემორჩილონ ნიმროდს. რომ ჭეშმარიტი უფალი ღმერთი ცაბაოთია! ნიმროდი თავის ნებას უსირცხვილოდ ახვევს ბაბილონსა და ბაბილონელებს. ამით ჯერ ბაბილონს შეურაცხყოფს და მერე – ჭეშმარიტ ღმერთს. და თუკი ადამიანებს მართლა სურთ მშვიდობა და ადამიანური ცხოვრება, დროა, ზურგი შეაქციონ ნიმროდს და ბაბილონიდან განდევნონ ბოროტისეული სული. ბაბილონელები თუკი გონს მოვლენ, ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდებიან; მათი ერთადერთი შველაა – მუხლი მოიყარონ ჭეშმარიტი უფლის წინაშე და მოინანიონ ცოდვა! ასე თუ აიცილებენ ცაბაოთის რისხვას. თვითონ ადამიანებზეა დამოკიდებული მათივე აწყმოც და მომავალიც.

ნიმროდი კი ელის პასუხს მაღლიდან. გულისგამაწვრილებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ლოდინი ნიმროდისთვის, პასუხს კი თითქოს და განგებადაც უგვიანებენ. და: – ნიმროდ, – როგორც იქნა, ჩამოსძახეს მაღლიდან: – შენ ამჯერადაც ვერაფერი დამაკელი. ერიდუში კი ხმა აღიმაღლა ებერმა შენს წინააღმდეგ! ნიმროდ, ხალხი აცნობიერებს უკვე, რომ შენ თავად ბოროტება ხარ! გესმის, როგორ გაიძახიან: „ნიმროდი – ბოროტების ბუდეო! ხალხმა თვალი გაახილა და იმის რისხვას ველარ გაექცევი! გარდაუვალია შენი მარცხი! მალე სასიკვდილო დარტყმასაც იგემებ! ხალხის განსასჯელი დარჩები, ნიმროდ! შენ ხალხი დაგსჯის, ის ხალხი, რომელიც განგადიდებდა და გაღმერთებდა!

– ცაბაოთ, შენ მე მართლა მაბრაზებ! ამიტომ: მოვკლავ ჯერ ებერს და მერე შენ გამოგიყვან წირვას! – ეს უფრო გრგვინვას ჰგავდა, მეხის გავარდნას, ვიდრე უბრალო კაცის მუქარას!

ნიმროდი აბობოქრებულა. მსწრაფლ გადმოიღო მშვილდი, მოზიდა, შეიკავა სუნთქვა, ებერისკენ უნდა ეტყორცნა ის სასიკვდილე ისარი, მაგრამ ამჯერადაც მოეცარა ხელი ნიმროდს, ისარმა მხოლოდ სიცარიელეღა განგმირა. ეს იყო და ეს: ნიმროდი გააოგნა მარცხმა.

„რა ხდებაო?!“ იკითხავს. რაღაც შეცვლილიყოსო თითქოს მის თვალწინ. ვერაფერს მიმხვდარიყო: „რაღა ნიმროდი ვარ, როცა ებერისთვისაც ვერ მომივლიაო?! მაგრამ მე უფალი ღმერთი ვარ – ნიმროდი! – სული მოითქვა და მაცნეს უბრძანა, გადაეცა ებერისთვის, რომ დღესვე, მზის ჩასვლამდე გოდოლში ხლებოდა ნიმროდს! მანამდე კი: „ქარდუხეთისთვის ხომ არ შემევლო თვალი, თარგამოსის სულში ჩამეხედა. ვნახავდი, რა ქვეყანაა ეს ქარდუხეთი?! ებერი აღუფრთოვანებია იქაურობას და... ზღაპარი ქვეყანაა! ებერს კი მართლა დაეჯერება! იქამდე კი სამოთხის ბაღსაც რომ შევავლებდე თვალს...“

* * *

ჰოდა:

უკან დარჩა ერიდუ, ევფრატიც და ტიგროსიც.

სიჩქარეს უმატებს ბედის ბედაური. ქარად ქცეულა. სივრცეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისკარტით მიაპობს ბრძენი ბუ.

აქ სამოთხე უნდა ყოფილიყოო, ადამის სამყოფელი! – გული აუჟღრიალდება ნიმროდს, – მაგრამ დამშრალა ეს ოაზისი!

გასცდნენ ნასამოთხარს, რომელზეც ასე აუცრუვდა გული, ადამის ბედი ხომ სულაც არ აინტერესებდა.

– თარგამოსის ქვეყანას ვუახლოვდებით, – ეუბნება ნიმროდს ბრძენი ბუ. გასცდებიან იმ მწვერვალს, რომელზედაც მირჩილულიყო ნოეს კიდობანი.

უნებლიეთ უკან მიიხედავს ნიმროდი და თითქოს სასხვათაშორისოდო, იკითხავს: – ნეტა რასა იქმს ადამი? იქნებ ჩაბრუნდა თავის თავში, თუ... – აქ ფიქრმა წამოუქროლა და გადაავიწყა ყველა და ყველაფერი. გამოერკვა, მაგრამ აღარც წინ უნდოდა სვლა და აღარც უკან დახევა ეწადა (სამოთხეს ვერა და ვერ გასცდენოდნენ).

თითქოსდა ეცნოო ნაადამარი ადგილები: ერთ დროს, არც ისე ოდესღაც, ადამმა ამ ბაღში აკრძალული ხილი იგემა და ამით განაჩენიც გამოუტანა თავის თავს. სამოთხეში დარჩენის უფლება ჩამოერთვა და კიდევაც გააძევეს იქიდან. ნიმროდსაც, თითქოს თვითონ ყოფილიყოსო ადამი, გული მოეწურა და ბინდი გადაეფარა თვალებზე. გამწარებულმა კინაღამ მათრახიც გადაუჭირა თავის ბედის ბედაურს, მაგრამ დროზე გამოერკვა და მათრახი ჰაერში აიქნია. ხელი ნელ-ნელა დაუშვა ძირს. ხელის თითები დაბუჟებოდა.

– აღარსადაა სამოთხე?! მაგრამ ხომ იყო?! მოჯადოებულივით გარს ვუვლით ამ ადგილს და ვერ გავცილებივართ?! – ხმალი იშიშვლა ნიმროდმა, სამჯერ შემოიქნია ირგვლივ და ჯადოსნური ქსელიც გაიჭრა. გამოჩნდა გზაც: – უკვე ხსნილია გზა, ჩემო ბედაურო, ერთს შენებურად რომ შეჰკივლებდე ამ გამოყრუებულ სივრცეს, ჩემო ბრძენო ბუვ და მერე ვიღა დაგვიდგეს წინ?!

სივრცეს შესჭიხვინა ბედის ბედაურმა, შეჰკივლა ბრძენმა ბუმ და გაიჭრნენ წინ.

იიქ, ქარდუხეთის ქვეყანა ითენებდა ღამეს.

– იქეთობას არ დამავიწყოთ და სამოთხე მინდა მოვიხილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გარეშე ამ ჯადოსნურ წრეს ვერ გავარღვევთ და ბაბილონისკენაც ვეღარ გავთელავთ გზას. ჩემო ბედაურო, აჩქარება გმართებს, შენ კი ბრძენო ბუვ, გზას არ მოაცილო შენი მჭვრეტელი თვალი! ახლა კი ჩრდილოეთისკენ! მხოლოდ ჩრდილოეთისკენ!

აქ დროსაც შეუერთდნენ. დრო ნიმროდის გულივით აძგერებულიყო. და რომ აღარ მოელოდნენ, ვეებერთელა კარიბჭეც ამოიწვერა მათ წინ.

– ქარდუხეთი! – ეწერა კარიბჭეზე, – მართალი იყო ებერი, ქარდუხნიც ჩვენს ენაზე მეტყველებენო... – ჩაილაპარაკა ნიმროდმა. ებერი საჭირო კაცია და ვერ შეველევი. ეს კარიბჭეც ხომ ბაბილონის კარიბჭეს მაგონებს?! ებერის ნახელავი იქნება. ხალიბი ეყოლებოდა მოწვეული. კარიბჭე ახალჩამოსხმული ჩანს... ეტყობა ამ კარიბჭის ჩამოსხმაც ებერს შთაუგონებია თარგამოსისთვის. ეს გალავანიც ბაბილონის გალავანს მაგონებს! – და ნიმროდმაც ფიქრით მოიხილა ქარდუხეთი. იგი ქარდუხეთშია ფიქრით: „ბაბილონის ხელა ვერ არის, მაგრამ ბაბლონივით კი უძგერს გული. უკვე ვიცი, რას ფიქრობს თარგამოსი, ვინ არის იგი და რის შემძლებელი. თითქოს რაღაცით უნდა მგავდეს კიდეც და: გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს...“ – ბედის ბედაური სამხრეთისკენ შეაბრუნა. ჰოდა, უკვე სამხრეთისკენ მიაპობენ სივრცეს. დრო არ იცდისო, სივრცეს შეუტია ნიმროდმა, წინ ფიქრი გაიგდო და ისე დაედევნა, როგორც მწევარ ძაღლს მონადირე.

– მაგრამ სამოთხეო? – შეჰკივლა ბრძენმა ბუმ, – იქამდე ხუთი ბერუღა გვრჩება!

ბედის ბედაურმაც გაარღვია ხუთი ბერუს სიგრძე სივრცე და ნიმროდსაც ძველ ჩაჟანგულ ურდულზე შეუჩერდება მზერა: „თითქოს მეცნობოდესო“, – გაუელვა, – ბაბილონიდან წამოსულს ეს ბოქლომი რომ არ შემინიშნავს და სამოთხის ბაღიც რომ არსად ჩანდა?! – ახლა წყაროს მოჰკრავს თვალს და აუძგერდება გული: – წყაროც? ნახევრად დამშრალი, მაგრამ მაინც წყარო! – თვალი მიმოავლო იქაურობას: – ორი გამხმარი ხე? მაგრამ ამათგან რომელია სიცოცხლისა და რომელი – ცნობადის?! და მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ადამი ვყოფილიყავი, რომელი ხის ნაყოფს ვიგემებდი პირველად? – ფიქრიც არ დაჭირვებია, ისე თქვა: – ალბათ, ხე ცნობადისას მივანიჭებდი უპირატესობას... – უკან მიიხედა და კარიბჭეც ჩამოიშალა, მთლად დაშლილი ბოქლომი ძირს ეგდო. ისევ მიმოავლო თვალი იქაურობას და სადღა იყო სამოთხე: აღარც წყარო, აღარც ის ორი გამხმარი ხე და აღარც კარიბჭე, ბოქლომი მიწას თუ შემოეჭამაო, წამით ჩაფიქრდა და თავის ბედის ბედაურზე ამხედრებულიყო უკვე, ბრძენი ბუც ნიმროდის მხარს ჩაფრენოდა.

– მზის ჩასვლამდე ბაბილონში უნდა ვიყოთ! – ბრძანა ნიმროდმა: – ერიდუში, მზის მოედანზე, ჩემს გოდოლთან. დრო აღარ იცდის. – დროაო! – შესძახა. ბედის ბედაურსაც, აღარ დაუხანებია, სივრცეს შესჭიხვინა, სივრცეს შესჭყივლა ბრძენმა ბუმაც და: უკან დარჩა ნასამოთხარიც...

... დაისის ზარი წუთი წუთზე შემოჰკრავდა.

* * *

ერიდუშია ნიმროდი, მზის მოედანზე და აჰყურებს შელახულ გოდოლს.

– ცაბაოთს დავიწყებია, რომ საქმე ნიმროდთან აქვს... – მუშტი მოუღერა ზეცას: – როცა იქნება, მოგწვდები და გაგისწორდები! შენ კი... – გოდოლს ასძახა: – მტკიცე, ურყევი სვეტივით შეუდგები ცის თაღს, გაარღვევ გუმბათის წვერით და უსასრულობასაც შეუერთდები. მე მნებავს ასე! – აუმღელვერდება სული და ის წარმოსადეგი მოხუციც გამოეცხადება.

– აღდგენილია შვიდივე სვეტი, აწი ვეღარ მოერევა მათ ცაბაოთი... და ჭაღიც დავადგით იმ სვეტებს, ის მართლაც ცარგვალი! ამ ზღაპრული გუმბათის გოდოლზე შემოსადგმელად ელამისა და მარის ქვეყნებიდან მოვიწვიე ცნობილი მეგუმბათენი. ხუთასი მონა მიწურებში გვყავს დამწყვდეული, ამდენივე ბორკილგაყრილი ტყვე ნინევიიდან წამოვასხით.

– გოდოლზე დასაქმებულნი დასავლეთის კედელთან მოეწყონ! შენ კი შეხსენებაც არ უნდა დაგჭირდეს, რომ ლანდი ხარ ჩემი, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ თავი ნიმროდიც არ გეგონოს! პირველი ჩემი მსმენელიც შენ უნდა იყო, და ფიქრ-აზრთა გამავრცელებლიც, ჩემს მარჯვენადაც შენ უნდა მოიაზრებოდე... ჩემი ფიქრები და აზრები ძილში გადმოგეცემა! შენი თუნდაც უნებლიე შეცდომა, უმნიშვნელო ცდომილებაც კი დანაშაულის ტოლფასი იქნება. დღეს ჩემსა და ხალხს შორის სიმივით უნდა დაიჭიმო და თუკი საჭირო დარჩა, გამოვკრავ ამ სიმს და შენც უნდა აჟღერდე! ეს მზის ჩასვლამდე უნდა მოხდეს! ბაბილონმა და ბაბილონელებმა უფალი ღმერთი ურჩდილოდ უნდა მიხილონ!

...ხალხი მოგროვილიყო გოდოლის დასავლეთის კედელთან: ყველანი აქ იყვნენ: ქვისმთლელნი და კირითხურონი, რკინისა და ხის მოხელენი. მათ წინ თავჩაქინდრული ხუროთმოძღვარი იდგა.

წარმოსადეგი მოხუცი, დაასრულა თუ არა ნიმროდმა თავისი სიტყვა, მოწყდა ადგილს და გაქრა მისი თვალსაწიერიდან. აი, აგერ: თვალგაბრწყინებული ათასამდე მშენებელს მოუძღვის წინ: – მეორე ათასეული ხარაჩოებზეა უკვე, ის ხუთასი მონაც წუთი წუთზე იქნება აქ!

და ნიმროდიც ხალხის წინაშე დგას გოდოლივით მტკიცე და შეურყეველი, ღმერთივით ჩრდილის გარეშე იხილა ხალხმაც ნიმროდი. მისმა დანახვამ ჟრჟოლა მოჰგვარა ყველას, თავს ხრიან უფლის წინ. აბა, თვალიც როგორ გაუსწორონ უზენაესს?!

და წარმოსადეგი მოხუციც, ნიმროდის პირით ალაპარაკდება, შვენის უფროსი ქურუმის გრძელი, თეთრი, ქათქათა სამოსელი: – ხვალიდან, ბაბილონელებო! ნიმროდის გამოულევი ხაზინა ხელმისაწვდომი იქნება თქვენთვის – ყველასთვის! უფალმა იცის, ვის რამდენი ერგება! გოდოლის დასრულებისთანვე თითოეულ თქვენგანს მიეცემა უღელი ხარი და ერთი მეწველი ძროხა. ხაზინაზე ხელი ქვრივ-ოხრებსაც მიუწვდებათ. ასე რომ, უფალს არც არვინ დავიწყებია და არც ვინმე დარჩება დაუსაჩუქრებელი! თქვენ იწამეთ უფალი ღმერთის ნიმროდის და არც იგი დაგრჩებათ ვალში! ადამიანივით უმადური როდია უფალი? ხედავთ, უფალი ჩრდილის გარეშე გამოგვცხადებია?! ბედნიერებაა, როცა დედამიწაზე თვითონ უფალი ღმერთი ჩამოგვაკითხავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოგვიჩნდება! კარგად შეხედეთ! იგი მთელი თავისი ბრწყინვალებით დგას ჩვენს წინაშე და თავის ღვთაებრივ მადლსაც უშურველად გვფენს! გიხაროდენ, ბაბილონელებო! გიხაროდენ ბაბილონო! მოვიდა უფალი ჩვენთან, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო ჩვენს ერთგულებაში! აბა ის ცრუ ცაბაოთი როდი იკადრებდა ჩვენს მონახულებას?! შეხედეთ კიდევ ერთხელ... მაგრამ სანამ დააკვირდებოდეთ, მზეს ახედეთ მაღლა! ბრწყინავს?! ახლა ძირს დაიხედეთ! გაქვთ ჩრდილი ყველას. ჩვენ ადამიანები ვართ და არ გვაკლია ღვთის წყალობა! ახლა ახედ-დახედეთ უფალ ღმერთს ნიმროდს! არა აქვს ჩრდილი! ხომ ასეა? ასეა მართლაც! ბაბილონელებო, თქვენს წინ უფალი ღმერთი გაბრწყინებულა... ციური სხეულივით გასხივოსნებული! აბა, თქვით, ვის ხედავთ, ბაბილონელებო?

– უფალ ღმერთს! – აღმოხდა სრულიად ბაბილონს.

– გიხაროდენ! – სული მოითქვა წარმოსადეგმა მოხუცმა: – დიახ, უფალი ღმერთი ნიმროდი გვეწვია, ბაბილონის მეფეთ-მეფე, ქურუმთ-ქურუმი და ჩვენი მეუფე მწყალობელი!

– ნიმროდი – უფალი ღმერთი! უფალს დიდება! – გაიძახის სრულიად ბაბილონი.

– ერთადერთი და განუმეორებელი უფალი ღმერთი! – იტყვის თვალებში სხივჩამდგარი წარმოსადეგი, – ნიმროდი – ჭეშმარიტება, რომელსაც უსაშველოდ უყვარს ადამიანი, ბაბილონი და ბაბილონელები! – სული მოითქვა და მოიბოდიშა უფალთან, ჰაერი რომ აღარ ეყო, – იწამეთ უფლის!

– ნიმროდი – უფალი ღმერთი! – გაჰყვირის ხმის ჩახლეჩამდე სრულიად ბაბილონი.

დგას ნიმროდი კედარივით აშოლტილი. კაციც როგორ შეიძლება, ამხელა იყოს? თითქოს მიწაში ჰქონდეს გადგმული ფესვები და თავი ცის თაღისთვის მიუბჯენია, თითქოს მიწისაც იყოს და – ცისაც. მასში მიწიერი ხომ არის და ზეციური – მიწიერზე ბევრად მეტი. იტყვიან ყველა და ყველაფერი კვდებაო ბოლოს, რასაც ნიმროდზე ვერაფრით ვერ იტყვით: ამ ღვთაებრივი სულის სიკვდილი აბა, ვინა თქვას?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: – დიდება ნიმროდს – თვითონ უფალ ღმერთს! – ამოთქვამს ბაბილონი და მისი ექოც გაუხშოვებულ სივრცეს შეასკდება.

– ყურადღება მიაქციეთო, – გადაულაპარაკებს ნიმროდი წარმოსადეგს – თავის მარჯვენას და ჩამავალ მზეს გაუსწორებს თვალს, – უბრწყინვალესო ციურო მნათობო, შენს მაცოცხლებელ სითბოს ნუ მოაკლებ ჩემს ხალხს!

ესმა წარმოსადეგს ნიმროდის ნება-სურვილი და ყურადღებაო, ბრძანა: – უფალ ღმერთს ნებავს, მოგმართოთ! – და სამარისებული სიჩუმეც ჩამოწვება მზის მოედანზე.

– ხალხო ჩემო, ბაბილონელებო! ცრუ უფალმა ცაბაოთმა, კიდევ ერთხელ მოგვაყენა ზიანი, თქვენი გოდოლის სვეტებიანი დარბაზი თქვენს თვალწინ კინაღამ ჩამოშალა, მაგრამ თქვენ აღადგინეთ იგი. ეშმაკეულს ეგონა, რომ შევურიგდებოდით ამ მარცხს, მაგრამ ჩალა გამოვავლეთ პირში. ვხედავ: დიდია თქვენი რწმენა ჩემდამი – ჭეშმარიტი ღმერთისადმი. შეუძლებელიც კი შეძელით. გახსოვდეთ: ერთ მუშტად შეკრული ხალხი, თან ღვთის მადლით მოსილი, უფალ ღმერთივით ყოვლისშემძლეა! დიდება ჩემს უძლეველ ხალხს! დიდება ბაბილონს! ერთმორწმუნე ბაბილონელებს – დიდება! მე – უფალი ღმერთი კი გპირდებით, რომ სამოთხეს დედამიწაზე შეგიმქნით – ბაბილონში! და კიდევ: ბაბილონში ოქროს საუკუნე შემოდგამს ფეხს. ამას მე გპირდებით, ნიმროდი – უფალი ღმერთი!

ამის თქმა და ხალხიც პირქვე ჩაემხო.

მზე სადაცაა ჩავა:

ნიმროდი თავის ბედაურს მოუხმობს. ბრძენი ბუც გამოიჭრება სივრციდან და მხარზე დააფრინდება თავის ღვთაებრივ პატრონს. ნიმროდიც შემოევლება თავის ბედის ბედაურს და სივრცეც შეუღებს ნიმროდს თავის ზეციურ კარიბჭეს.

ხალხი წამოდგა, თვალი ჰკიდა სივრცეს, მაგრამ აღარც – ნიმროდი იყო სადმე და აღარც – გასხივოსნებული მანათობელი მზე. ხალხმა თვალი ააყოლა წარმოსადეგის მზერას და თვალი შეასწრო ზეციურ კარიბჭეს, სადაც უფალმა ღმერთმა ნიმროდმა დაივანა და მაშინვე გადაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დიდება უფალს! – ერთხმად აღმოხდა ხალხს.

ეს ის დრო იყო, როცა ძე ხორციელი თავად ღმერთივით უჩრდილოდ რჩება და საკუთარ მეობას უბრუნდება ფიქრით ყოველი: ზოგი: ღმერთთან რჩება, ზოგიც აქამდეც ხომ იყო უფალში და ზოგიც განიზიდება უფლისგან: აბა, ვინ უწყის, ღმერთი დაკარგვია ამ უკანასკნელს თუ პირიქით, დაკარგვია იგი ღმერთს და სულიც წარწყმენდია...

რეას დღიურებიდან:

„.... ნიმროდს ვეღარა ვცნობ(!) თავიდან მომიშორა? ეს რა მიყო, რა დღეში ჩამაგდო?!

ხომ ძნელია საერთოდ მისი ცნობა, კიდევ უფრო ძნელი – გაგება მისი! ამქვეყნიური თითქოს არც არაფერი ეცხოს?! ამ ბოლო ხანებში ხომ ამოუცნობი გამოცანაა?! ზოგჯერ თვალსაც ვერ შეასწრებ, ისე გაქრება შენი თვალთახედვიდან. ნიბირუზე ფიქრში ათენ-აღამებდა და: ნიბირუელი ხომ არ არის? მიწიერის აღარაფერი სცხია?! გაუგონარია: ხედავდე და უსმენდე კიდეც. აგერ შენთანაა, გაიხედავ და აღარაა შენთან! და ამის ახსნასაც რომ ვეღარ შეძლებ, ხომ გადაირევი?

ილუზია?!

მაგრამ რომ იყო შენთან? ჰო, იყო, მაგრამ რა იქნა?

ჰო, იყო ჩემთან, ხელითაც შევხებივარ, მაგრამ თითქოს და აღარც ყოფილიყო... მაგრამ სხვაგანაც როგორ წარმოვიდგინო?!

აი, სასწაულიც თუ გინდა! მოკლედ: რას გაუგებ ნიმროდს?!

ის მაინც რაღა იყო: გამაღმერთა! იშთარის გვერდით დამაყენა. რატომ მოიქცა ასე? რას მერჩოდა?

მაგრამ: ეს სულ ახლახან მოხდა. ჩემს დღევანდელ სენაკში ბედს ვიწყევლიდი მე უბედური, რომ სარკმელი შემოიღო და ნიმროდმა არ შემოაბიჯა?!

საიდან, როგორ? სარკმლიდანო, ღიმილით მიპასუხა და გადანათდა ჩემი სენაკიც. მომიახლოვდა მოჯადოებულს, ხელი შემავლო და ჯადოც ამეხსნა. გამიარა კანკალმაც, თვალებში ჩამხედა და სითბოდ დავიღვარე. ჰოდა: შემოვიდა ჩემში, ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი იყო ნიმროდი, თვითონ ჭეშმარიტება!

ღმერთიო, ვამბობ ნიმროდზე და ასეცაა ეს! და: ნეტა არ ყოფილიყო! ესეც ახირებაა ნიმროდის, ასეც ფიქრობს ზოგი. გაუვლისო, მაგრამ მე რომ აღარ მინდა, გაუაროს?! როგორ შეიძლება ღმერთს ღმერთობამ გაუაროს?! ყველაზე მეტად მე არ მინდა. რაო, ჩამოადამიანდეს?! მერე და: როგორ არაა ღმერთი, როცა მართლა ყველაფერი შეუძლია?! ნიმროდი – ყოვლის მომცველი სული!

ერთადერთია და განუმეორებელი! აბა, მანახეთ ერთი ნიმროდისნაირი ვინმე! და რომ ნიმროდი ღმერთია, ამისი უფრო მჯერა, ვიდრე მისი ადამიანობის. ღმერთია და ამასთან – მიუწვდომელი! ღმერთია და სად სცალია ჩემთვის?! მე კი ვწუწუნებ უვიცი დიაცივით.

ახლა კი ისეთი რამ უნდა ვთქვა, მეშინია ქვეყნის დასაცინი არ შევიქნე! მაგრამ რომ არ ვთქვა, არც ეს შემიძლია! ხომ ვამბობდი, სარკმლიდან გადმოვიდა ამ ჩემს სენაკშიო, მაგრამ იმას რატომ არ იკითხავთ, იმ ვიწრო სარკმელში როგორ გამოეტია ამხელა ნიმროდი? მოწმე ამისა თვითონ რომ არ ვყოფილიყავი, ვერც დავიჯერებდი. მაგრამ ნიმროდი მარტო კაციც როდია?! კიდევ მეტი: ნიმროდი ყოვლისშემძლეა და საკვირველი აქ რაღა უნდა იყოს?! და როცა ამნაირი ნიმროდის რომ მეეჭვება, ვშიშობ, მეც არ ვცოდავდე და...

* * *

ებერმა ისევ ამოიცვა რკინის ქალამნები, თავისი თანამზრახველები მოინახულა შუამდინარეთში. მოუნახავი არ დარჩენია ბაბილონის არც ერთი კუთხე-კუნჭული. დადიოდა კარდაკარ, ამხელდა ნიმროდს და საქვეყნოდ აცხადებდა, რომ ნიმროდი ღვთის მგომბელია და როცა იქნება საკადრის პასუხს მიიღებს! ქამიტებმა არ შეისმინეს ებერის, დევნაც კი დაუწყეს. ბევრი იაფეტელი და სემიტიც განუდგა ებერს, ნიმროდს მიემხრო. ყველას უნდოდა გოდოლის მშენებლობაში მიეღო მონაწილეობა.

მიუხედავად ამისა, ებერს მაინც არ შეუწყვეტია ბრძოლა ნიმ-

როდის წინააღმდეგ. იგი ქადაგებს, უფლის ცაბაოთის სიტყვას ადამიანის პირით გადმოსცემს, მაგრამ ამაოა მისი მცდელობა, ხალხი აღარ უსმენს, მხოლოდ იმიტომ არ ჩაუქოლავთ, რომ მასში ნიმროდის მსახურს ხედავენ ჯერაც. ებერმა მხოლოდ თავისი საგვარეულოს დარწმუნებაღა შეძლო, მონაწილეობა არ მიეღო ნიმროდის გოდოლის მშენებლობაში და განერიდა ნიმროდს (ესეც უფალმა ღმერთმა ცაბაოთმა ურჩია).

* * *

ალიონზე ზარს შემოჰკრეს ერიდუში: ებერს უხმობდა ნიმროდი. იხმობს თუ იბარებს? რასაკვირველია, გოდოლთან, ან თვითონ გოდოლში, რომელიც სულ მაღლა-მაღლა მიიწევს. სულ მალე, ალბათ ამ დღეებში, იმ შვიდსვეტიან დარბაზს, ორჯერ რომ დაშვავდა, გუმბათი უნდა დადგმოდა და ის დღე სახალხო დღესასწაულ „ნიმროდობას“ უნდა დამთხვეოდა. ზეიმი ერიდუში დაიწყებოდა და აჰყვებოდა ევფრატის წყალს ჩრდილო-დასავლეთით ვიდრე საზღვრებამდე, გადაკვეთდა ტიგროსს, თუმცა მანამდე ბარე შვიდ დღეს ნინევიაში შეჩერდებოდნენ, შემდეგ ტიგროსზე დაეშვებოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და ერიდუში დასრულდებოდა ესე ყოველი.

მაგრამ ნიმროდი გუმბათის დადგმას რატომღაც არ ჩქარობდა, შევიდსვეტიან დარბაზს კიდევ რამდენიმე სართული დააშენა და ფიქრიც აქ შეიწყვიტა. თავის ბედის ბედაურს უხმო. ბრძენ ბუსაც ესმა, რაღა თქმა უნდა, ნიმროდის ძახილი და პირი ნიმროდისკენ ჰქნა;

ერიდუში კი, მზის მოედანზე, გოდოლის სიახლოვეს, უკვე დაეწყოთ უსაშველოდ დიდი და მძიმე, თითქოსდა არაამქვეყნიური მოწყობილობების შემოზიდვა.

ამას ყოველივეს ზეციდან ხედავდა ცაბაოთი, მაგრამ საჭირო ზომების მიღებას მაინც არ ჩქარობდა: „ერთი ვნახოთ, რის შემძლეა ჩემი წარმართი შვილობილი და საერთოდ რას აპირებს სამომავლოდ?“ – მაგრამ იმაში კი იყო დარწმუნებული, რომ გუმბათის დადგმას არასდიდებით არ დაუშვებდა: „თავის ყოვლისშ-

ემძლეობაში დარწმუნებულმა ომი გამომიცხადა. ასე რომ, საბოლოოდ განმიდგა!“ – ფიქრი არც დასრულდებოდა, რომ გულმა ამოუთქვა: „უნდა შევაჩერო!“

ჰოდა: ჩამოვიდა უფალი, რათა ენახა გოდოლი და როცა იხილა იგი, მართლა შეცბა, თვალი შეავლო ამ სასწაულს და მიხვდა, რომ გოდოლის მშენებელი ხუროთმოძთვარი მთლად ადამიანიც არ უნდა ყოფილიყო. აუწრიალდა სული მღელვარებისგან: „იქნებ ამ თავისი გოდოლიდან მართლაც გამისწორდეს ეს ვაჟბატონი, შესაძლოა, აღმემატოს კიდეც და ზემოდანაც დამხედოს: „ჰო... გამისწორდება და თვალსაც უტიფრად გამისწორებს...“

მაშინ იყო, რომ ამოუთქვა ცაბაოთს გულმა: „ერთი ხალხია ეს და ენაც ერთი აქვს... აწი ამათთვის აღარაფერი იქნება მიუღწეველი... – იფიქრა, იფიქრა და თავის ანგელოზთა დასს უხმო, – და აი, რა მოვიფიქრეო, – განუცხადა მათ: – მივიდეთ და ავურიოთ ენა, რომ ერთმანეთს ვეღარ გაუგონ ადამიანებმა და არა მარტო გოდოლს, არამედ თვითონ ბაბილონს და წარსულსაც ამოვაგდებ ამათ თავიდან, რომ ვეღარასოდეს გაიხსენონ თავიანთი წარსული, ვერაფერიც ვეღარ მოიგონონ... მაგრამ ნიმროდი? უნდა შევაჩერო იგი და ამაში ებერი დამეხმარება! არა, არა... ნიმროდი ვერაა ამდენის შემძლე... მაგრამ მაინც უნდა დადგეს მისი დრო! იქამდე კი დროა... და ისევ დრო!“

* * *

აღმოსავლეთი ავად გადმოჰყურებს დასავლეთს: ღრუბლების ჯარი დაუძრავს მისკენ. ეს ერთი პირგამეხებული, ცეცხლოვანი ღრუბელი რომ დაწინაურებულა და ღრუბელთა მთელ კოჰორტას წინ მიუძღვის, არავის დაინდობს, ყველასა და ყველაფერს, რაც კი გზაზე გადაეყრება, გადაწვავს, ამობუგავს, ისე, საკირეში რომ ხდება. მერე სახეს შეიცვლის და უზარმაზარი ეროთი შეიარაღებული მჭედლის იერს მიიღებს, აქეთ-იქით რომ ნება-ნება ირწევა და უცებ, როცა სულაც არ მოელი, გამოიწევს თქვენკენ და თავი თუ არ მოგბეზრებიათ, უკან დაიხიეთ, ან განზე გადექით და ამით როდი ამოიწურება მისი ამნაირი ფერისცვალება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სახეცვლილება?! ყურადღება! და ბუმბულივით ამჩატებული ღრუბლის სახით არ მოგვვლენია?! მაგრამ ისევ შეიცვლის სახეს და ცეცხლის მფრქვეველ დრაკონად გადაქცეული, მოქრის შენკენ და ამოანთხევს იმ თავის ცეცხლოვან ნიაღვარს, ლავად გადმოიღვრება. იწვის, იწვის ცა და ქვეყანა!

ცეცხლი წაკიდებია ზეცას, მაგრამ ისევ დიდი და გასაოცარი ფერისცვალება! გაწვიმდება კოკისპირულად და ერიდუს დააცხრება თავს.

და წვიმს ისე, რომ გოდოლიც აღარ ჩანს, თითქოს გაუმჭვირვალე ჩარჩოში ჩაუსვამთო. ერთიანად გაწუწულ ჯორებსა და ხარებს, თითქოს ის არ ეყოფოდათ, სადაცაა მძიმე ტვირთის ქვეშ ლამის სული ამოხდომოდათ, ტალახში ეფლობიან და ადგილიდან ვეღარ იძვრიან. მაგრამ მედროგეები თხილის შოლტებს დაუნდობლად სცემენ საბრალო პირუტყვს.

ვინ, ვინ მოგვასვენებს?! და რა დროს დასვენებაა?!

და ამ წვიმის თქეშში გამოთლილ ლოდებს საწყობებში ეზიდებიან, იქიდან კი მშენებელობაზე – მოთხოვნილებისამებრ.

მძიმე ლოდები ასაწევი ხარაჩოებით მაღლა ააქვთ.

ქვის მთლელებისთვის სამუშაოს რა გამოლევს?!

ჰო, მართლა: ნიმროდის ბრძანებით, დაღლა აკრძალულია!

ო, ეს ქვისმთლელები: დილიდან საღამომდე გამუდმებით აკაკუნებენ თავიანთ ხისა თუ რკინის ჩაქუჩებსა და ურიებს, რომლებიც დღის ბოლოსთვის წარმოუდგენლად უმძიმდებათ ხოლმე.

ქვისა და მარმარილოს მტვერში ამოგანგლულებს თვალები ამოგლესიათ და ერთმანეთის ცნობაც კი უჭირთ.

ფარდულებში დურგლები საქმიანობენ, მორებს ძელებად ჭრიან.

ცეცხლწაკიდებული ზეცისთვის დროზე მოუსწრია წვიმას და:

არც ყოვლის დამნაცრავი ხანძარი

და არც – ნოესდროინდელი წარღვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„ებერი შებოჭილია და სადაცაა გადასცემენ ნიმროდს, რომ იმ თავის საწამებელ ჭა-დილეგში ჩაუძახონ: სამ დღეს აშიმშილონ და წყალიც აღარ მისცენ. თუმცა შეიძლება წყურვილით არც მოკლან. ერთი ტოლჩა წყალი სამ დღეში ერთხელ ჩაეგზავნოს და მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ. ნაშუაღამევს სამ დღეში ერთხელ გაიშოლტოს...“ – ეს ცაბაოთია, რომ განსჯის. იგი ებერით უკმაყოფილოა, თუმცა ვერც ადანაშაულებს.

კი, ბევრის შემძლეცაა ებერი ცაბაოთის წყალობით, მაგრამ ნიმროდთან აბა, სად მივა?! ნიმროდი ხომ თვითონ ცაბაოთს დაუჯილდოებია ზეადმიანური ძალმოსილებით: ნიმროდი ყოვლის შემძლეა თითქმის, ყოვლისმხილველიც და ყოვლის მომცველიც და ებერმა რა უნდა დააკლოს ამ მართლა ზეკაცს, კინაღამ ღმერთს?! რომელსაც ასე უჭრის მკლავი, და კიდევ უფრო მეტად – გონება!

და მაინც, რას ფიქრობდა ცაბაოთი, ამხელა უფლებას რომ ანიჭებდა თავის ადამს, თავის ქმნილებას?!

ახლა კი ებერს იქით არცა აქვს გზა.

შენი დრო დამდგარა, ებერ!

დამიმტკიცე, რომ არ შევმცდარვარ შენში, დამიმტკიცე, რომ მართალი ებერი ხარ, სიმართლისათვის მებრძოლი სული! გაუძელ და ამაღლდები! ხალხი ამაღლებულ სულს გამოგყვება!

ნიმროდი?! უნდა გადაავიწყდეს ყველას! არავის გაახსენდეს! იყოს და ვერავინ ამჩნევდეს!

* * *

და მაინც როგორ შეიპყრეს ებერი!

გოდოლის აღმოსავლეთ კედელთან იდგა.

– მართალო ებერ, სიმართლე გვითხარ!

– თქვი სიმართლე! – ეს ხმა გამორჩეული იყო სხვათა ხმათაგან და გული აუძგერდა ებერს, ნიმროდის ხმა ეცნო. ნიმროდი შემაღლებულზე იდგა, იმ თავის ბორცვზე.

„თქვი სიმართლეო?!“ – თვითონ ნიმროდმა უკარნახა ებერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ საიდან და როგორ დაეწყო დღევანდელი სიტყვა-ქადაგება?

– ბაბილონელებო! უპირველესად თქვენ მოგმართავთ, ჩემო თანამოძმენო! მხოლოდ ამის შემდეგ – ბაბილონის მეფეთ-მეფეს, ქურუმთ-ქურუმს და არავითარ შემთხვევაში – უფალ ღმერთს! უფალი ერთია და ერთადერთი და იგი არაა ნიმროდი! – მაღლა აიხედა ებერმა და თითი ზეცისკენ გაიშვირა: – იქ არის უფალი ღმერთი ცაბაოთი. ნიმროდი ღმერთი რომ ყოფილიყო, იქ იქნებოდა, მაღლა – ღმერთის საუფლოში, მაგრამ იგი აქ არის თქვენთან, მიწაზე! მართალია, არ გააჩნია ჩრდილი, მაგრამ ღმერთი არ არის! და თუკი მართლა არის ღმერთი, აიწიოს მაღლა, აღარ ვთხოვ, ცად შეიტყორცნოს, აიწიოს მაღლა და იქიდან გადმოგვხედოს!

და ხალხმაც სუნთქვა შეიკრა. ათასი თვალი მზის სხივებივით მიეცხუნა ნიმროდს.

– ნიმროდ! დაანახე ხალხს, რომ ღმერთი ხარ ჭეშმარიტი!

და მართლა: ნიმროდი აწია მაღლა და გაიყინა ერთ წერტილში.

ებერი გაოგნებულია.

უკან-უკან იხევს და შედგება. ახლა მაღლა აიხედა და ღმერთოო., აღმოხდა სასოწარკვეთილს.

და ხალხმაც ამოისუნთქა ერთხმად. ნიმროდი დაეშვა ძირს და ფეხი დაჰკრა მიწას. ბორცვზე იდგა გასხივოსნებული.

– უფალო ღმერთო... ეს რა მიყავი?! – ჩურჩულებს ებერი, ამაზე ხმამაღლა აღარც შეუძლია ლაპარკი. თავს ძალა დააატანს და აიხედავს მაღლა. ელის, რომ იელვებს. აღარ გაელვებულა, მაგრამ ცაბაოთის ხმა მოწვდა: – ნიმროდი უბრალო მოკვდავიც არაა. ხომ არ დაგავიწყდა, რომ ქალდეველია და დიდი გრძნეულიც. ამ ხელოვნებას სრულყოფილებამდე ფლობს. ნიმროდმა მოგაჯადოვათ, მერე და: პირველად ხომ არ გესმის, რომ მისთვის შეუძლებელიც თითქმის არაფერია! დროსა და სივრცეში გადაადგილებაც ძალუძს, შენგანვე მსმენია ეს და გონს მოდი! დამარცხდი, მაგრამ ეს არცაა მარცხი... შენც ამაღლდები ნიმროდივით. ახლა კი მოემზადე, ნიმროდს სათქმელი აქვს შენთვის და ებერმაც ნიმროდისკენ წადგა ნაბიჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ებერ! თავისუფალი ხარ! წადი და იფიქრე! მაგრამ ჩემს გვერდით მინდა გხედავდე.

და ებერსაც გაუელვა: „მე ხომ ნიმროდის ჭა-დილეგში ვიყავი თითქოს... ხომ არ მომეჩვენა? კარგად არ უნდა ვიყო ნამდვილად... – თვალებში ამოისვა თითები და ნიმროდმაც გაიღიმა.

– წადი, ებერ, თავისუფალი ხარ, მაგრამ იცოდე, ნიმროდი ყოვლისშემძლეა, შენ არაფერიც არ მოგჩვენებია...

– ნეტა რატომ არ უბრძანებს დაცვას, რომ შემიპყრონ, ბორკილები დამადონ ხელ-ფეხზე და იმ ჭა-დილეგში ჩამიძახონ?! რატომ, რატომ არ დამსჯის?! მართლაც და, რას მიპირებს?! – აღარც კი იცის ებერმა, რა იფიქროს. კი ჩაიხედავდა ნიმროდის სულში, მაგრამ ეს შეუძლებელია: ამის ძალა მას აღარ შესწევს.

– ებერ, შენ თავისუფალი ბაბილონელი ხარ... – ეუბნება ნიმროდი, – არავინ გითვალთვალებს, აკეთე, რაც გენებოს, მაგრამ თუკი ჩემთან არ გაწყვეტ კავშირს, თუნდაც ნათესაურს, გამიხარდება ძალიან. წადი, შენები გელიან!

ებერიც თავჩაქინდრული, გალახულივით გაშორდა იქაურობას.

* * *

და მაინც:

ისმის ებერის ხმა სრულიად ბაბილონში და ბაბილონიც უსმენს ებერს:

– ბაბილონი წმინდა ქვეყანა – ღვთიური მადლით ცხებული; ბაბილონს უნდა წამდეს ერთი ღმერთი, ერთი უფალი და ცაბაოთია იგი!

გოდოლი კი: ეშმაკის ბუდეა, ქაჯთა ბუნაგი! თვითონ ნიმროდი – განდგომილი ანგელოზი, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადებია ჩვენი უფლისთვის. ამიტომ: დაინგრეს ნიმროდის გოდოლი, ქაჯთ-ეშმაკთა წარწყმედილი საბუდარი! ნიმროდი... – თითქოს კეფაზე სცემდა ნიმროდის ამონასუნთქი!

და მართლაც, კვალში ჩადგომოდა ებერს ნიმროდი. ახლაც ფეხად გაასწრო. მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ უყო პირი, თვალდახელშუა დაუძვრა, გამქრალიყოსო თითქოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგონებელშია ჩავადნილი ნიმროდი – ვერაფრით მოიხელთა ებერი, ახლაც ნანობს, ხელში ჰყავდა და გაუშვა. მას მერე იყო, რომ გარდაიქმნა ებერი:

„ეს ის ებერი აღარაა, მე რომ მახსოვს... თავისუფლება მივანიჭე და თავის უფალი გახდა. ჩემთვისაც კი მოუხელთებელია, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ჰხურავდეს... თუ არ ავლაგმე... წარწმყდა ქვეყანა! ჩამოვართმევ ბაბილონის მოქალაქეობას და ჩამოერთმევა ყოველი ღირსება. არა, განადგურება როდი მინდა მისი?! სახელს გავუტეხ! მართალი ებერიო?! სინამდვილეში დაძრწის ეშმაკი ბაბილონში და ჭკუას უმღვრევს ბაბილონელებს. მომენდეთ და ბაბილონელებს ეშმაკისაგან გიხსნითო, ბაბილონიდან მე გავდევნი ეშმაკსო.

„ეს უკვე მეტისმეტიაო, გაივლო ნიმროდმა გულში და დიდი ჯილდო დააწესა იმისთვის, ვინც ებერის ადგილსამყოფელს აცნობებდა.

ერთხელაც: ერიდუში, მზის მოედანზე, გოდოლის აღმოსავლეთ კედელთან ქადაგებდა ებერი, მოუწოდებდა ბაბილონელებს, მიეტოვებინათ მშენებლობა. დატოვეთ გოდოლი, ჩვენს ჭეშმარიტ უფალს ცაბაოთს გადაუწყვეტია გოდოლის ჩამორღვევა საძირკვლამდე. ჩამოინგრევა გოდოლი და გასრულდება ნიმროდის ბატონობაც. რაც დღემდე იყო, იქნება აწი... მოიკვეთოს ნიმროდი ბაბილონიდან! – გაჰყვიროდა ებერი და ამ დროს შეიპყრეს იგი. ბორკილები დაადეს, ნიმროდს მიჰგვარეს იმ თავის სვეტებიან დარბაზში.

იელვა, მაგრამ ეს აღარ უხილავს ებერს, ვეღარც ის გაუაზრებია, რას ფიქრობდა ამ დროს ცაბაოთი; მაგრამ ცაბაოთის ნებასურვილი ესმა ნიმროდს: „აქ კიდევ ერთხელ გამოიცდები ებერ, რომ შემდგომისათვის გაამართლო „მართალი ებერის“ ზედწოდება.

ფიქრობდა იმედგაცრუებული ნიმროდიც: „შენი გამკვირვებია, ებერ! ასე რატომ მოგიძულებივარ?! რით ვერ მოვიგე შენი გული?! ბაბილონი მე შევქმენი და ბრწყინვალებაც მე მივანიჭე. გამაგებინე, რა აღარ მოგწონს ჩემი? მაგრამ მე არ დამიმთავრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია ჯერ: ბაბილონს სამოთხედ ვაქცევ და ბაბილონელებს სამოთხეში ვაცხოვრებ. ბაბილონი რომ ასეა ამაღლებული, ჩემითაა სწორედ და გინდა დაეცეს, გადაშენდეს ბაბილონი და გადაგვარდნენ ბაბილონელები?! მაინც რას ითხოვ ჩემგან?

– ნიმროდ, უნდა გადადგე ჯერ, წასვლით მერე წახვალ! ბაბილონში შენი ადგილი აღარ არის!

– ტახტიდან გადავდგე, მაგრამ რომელი ტახტიდან?! ზეციურიდან თუ მიწიერიდან?

– მიწიერიდან, ნიმროდ, რადგან ზეციურზე არც არავის აუმაღლებიხარ! დათმე მიწიერი ტახტი შენი!

– დავყვე ცაბაოთის ნებას, რომელსაც სულაც არ ადარდებს ადამიანის ბედი?! რატომ გავიწყდებათ ადამიანებს ის დიდი წარღვნა, თითქოს და ცოდვათათვის რომ მოგვივლინა იმ შენმა ფარისეველმა ცაბაოთმა, თვითმარქვია ღმერთმა! ბაბილონი ჩემი ქმნილებაა და ამაში მეცილება... გვეცილება მე და შენ, ებერ და მაინც და მაინც შენზე რომ შევაჩერე არჩევანი, შენში რომ აღმოვაჩინე ის დიდი ძალა, რომელიც ხელს შემიწყობდა ბაბილონის კეთილმოწყობაში? ამაში მდებ ბრალს, ებერ?

და ბოლოს: ბაბილონში რომ ჭეშმარიტი უფალი ჩემში დაინახეს და თაყვანი მცეს, ამიტომაც ამითვალწუნა ჯერ ცაბაოთმა და ამითვალწუნე – შენც. უმაღლეს ბაბილონელად გცანი, კაცთა შორის გამოგარჩიე და წარმოგაჩინე, გაღიარე, ებერ და ხელიც აღარ შემიშლია, რომ შენი გვარისა და სემიტთა მოდგმის პატრიარქი გამხდარიყავი! ამითაა, რომ გაწყენინე, ებერ?

– ნიმროდ, თვითონაც აღარ უწყი და წამლავ ბაბილონს!

– მე ავამაღლე იგი!

– შენ წამლავ ბაბილონს და ბაბილონელის სულს!

– ებერ, ყურადღებით გისმენ! იქნებ ახლა მაინც ამიხილო თვალი!

– ბაბილონის მეფეთ-მეფე გახდი და რა უფლებით?! მერე – ქურუმთ-ქურუმიც და მაინც რა უფლებით?

– ებერ, რაღაც ხომ არ გეშლება?! უარყოფ, რომ მეც ქალდეველი და ნოეს შთამომავალი ვარ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რომ გიყურებ და გაკვირდები, უკვე მეეჭვება, ქალდეველი იყო! ქამის მოდგმისა რომ ხარ, განა ეს პატივია?! მერე თავი ღმერთად გამოაცხადე, ნიმროდ. ამაზე დიდი მკრეხელობა განა სმენია ვინმეს დედამიწაზე?! შენხელა ცოდვილი შეიძლება თვითონ ადამიც ვერ იყოს!

– ადამსაც შემადარე, ებერ?! ეს ჩემთვის დიდი პატივია! ამას არასოდეს დაგივიწყებ! იქნებ ადამიც გგონივარ?!

ამის თქმა და იელვა(!) საოცარია და თვითონ ამაზე არც ებერს უფიქრია და აღარც – ნიმროდს.

– ებერ, – უკვე გაღიზიანებაც ეტყობა ნიმროდის ხმას: მე უფალ ღმერთს, მეფეთ-მეფეს და ქურუმთ-ქურუმს უბრალოდ: ნიმროდო, რომ მომმართავ, განა ამითაც არ სცოდავ, ებერ?! მართალ ებერად კი იწოდები... და მერე: ვთქვათ, შევისმინე შენი და გადავდექი უფალი ღმერთის ტახტიდან, შემდგომ: შეველიე ბაბილონის მეფეთ-მეფის გვირგვინსაც, მაგრამ წარმოგიდგენია კი, რა ქაოსი ჩამოდგება ზეცას, რა დაემართება ციურ სამყაროს და მიწიერ ქვეყანას – ჩემს ბაბილონს, ჩემს ბაბილონელებს?! ტვინს რატომ არ დაატან იმას, რასაც ამბობ და მოითხოვ ჩემგან? მერე და: უფალი ღმერთის, მეფეთ-მეფისა და ქურუმთ-ქურუმის მოვალეობანი ხომ უმძიმესი ტვირთია ჩემთვის?! და ერთი ხელის მოსმით დავთმო ეს ყველაფერი?! ებერ: ქვა ქვაზე დადუღდება ჩემს შემდეგ ბაბილონში: ჩამოიქცევა ბაბილონის გოდოლი – ბაბილონის შუქურა, ჩამოიქცევა ბაბილონის სქელი კედლები, მოირყევა ჩემი ღვთაებრივი სამეფო. დაეცემა სრულიად ბაბილონი! და რაც მთავარი — მოუკვდება სული ბაბილონს! მიწასთან გასწორდება ბაბილონი, გადაშენდება ბაბილონელი. ეს გინდა, ებერ?!

და შენ, ებერ, კერპად გაგიხდია ცრუ, თვითმარქვია ცაბაოთი, რომელსაც ჩემი დამხობა შენი ხელით მოუწადინებია! გაგაკეთებინებს ამ ბინძურ საქმეს და მერე აღარც იელვებს შენთვის! ჭეშმარიტი ღმერთი რომ იყოს, თავის გასაკეთებელ საქმეს შენ რატომ გაკეთებინებს?! შენამდე ნოე გააბრიყვა და... თვითონ არაფრის შენება არ შეუძლია, მე კი არ მაშენებინებს.

ებერ, თვალხილული გძინავს. გგონია კი გღვიძავს და არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასდროს გამოგაღვიძებს! მაგრამ მე გამოგაღვიძებ და სინამ-დვილესაც დაგაბრუნებ. საღათას ძილს თვითონ ცაბათომა მიგცა... და მისთვის სასურველ სიზმარს ხედავ. გიმეორებ: ცა-ბაოთი შენი ხელებით ანგრევს ბაბილონს! თვალში არ მოსდის ჩემი ბაბილონი! მას ადამიც ვერ გამოუვიდა! ეს გოდოლიც ხომ ღვთის საბრძანებელია?! ბაბილონი – ღმერთის კარიბჭე! ხელი არასოდეს არ მიკრავს შენთვის, ვიცოდი, იმის თაყვანისმცემელი იყავი და მაინც მიგიღე, ერთხელაც არ მითქვამს შენთვის, განდ-გომოდი შენს უფალ ღმერთს. ჩემს საუფლოში მოიკიდე ფეხი და: აღზევდი! შენ კი დაგბნელებია გონი, გონიერება არ გეყო და განმიდექი. ამასაც აღარ დასჯერდი და ხალხს მიჯანყებ, მტრად მომკიდებიხარ... უკანასკნელად გეკითხები, ებერ: ჩემკენ ხარ თუ ეშმაკებისკენ?!

– ნიმროდ, ეშმაკთან მე რა ხელი მაქვს, ცაბაოთთან ვრჩები! ცაბაოთთან – ჩემი წინაპრების ღმერთთან! ახლა კი შენს განკარ-გულებაში ვარ და ველი შენს განაჩენს!

– სასიკვდილოდ მაინც ვერ გაგწირავ, – ხმას დაუწია ნიმროდ-მა, მაგრამ მოახლოებული ჭირი რომ ვაშორო ბაბილონს და ბაბი-ლონელებს, იძულებლი ვარ, ორმაგი ბორკილები დაგადონ ხე-ლფეხზე. მაგრამ საკმარისია გადაიფიქრო და. თვითონ ჩამოგა-კითხავ იმ ჭა-დილეგში. ჰოდა, იფიქრე, ებერ! შენს სახლეულს არას ვერჩი, გადაბრუნებულ სიტყვასაც ვერავინ ჰკადრებს მათ!

– მაშინ ერთი სათხოვარი მექნება შენთან.

მაგრამ ნიმროდმა აქაც დაასწრო ებერს: – ვიცი რაც გაწუხებს და აღგითქვამ, რომ ჩემი მფრინავი ასეული შენს სახლეულს მშ-ვიდობიანად მიაცილებს თარგამოსის ქვეყნის საზღვრებამდე. ამ მხრივ სადარდებელი ნუღარ გექნება.

ითქვა და: ნიმროდიც აღარსად იყო, თვითონ ებერმა კი იმ ჭა-დილეგში მოიფშვნიტა თვალები და წკვარამ ღამეს მიაჩერდა, შიშსა და ძრწოლას რომ ანთხევდა ნაღველივით.

იყო ღამე და – აღარაფერი სხვა... ღამე თითქოსდა მარტო ებერისთვის ყოფილიყოსო და უნდოდა – არ უნდოდა, უსიკ-ვდილოდ შეგუებოდა უნდა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

:

ახსოვდა, ან რა დაავიწყებდა, ამ ჭა-დილეგში რომ ჩამოუძახეს: შეაცივა და გააძაგძაგა, მერე დასიცხა და ღვარად გადმოსკდა ოფლი. შეცივდა ისევ. ძლივს შეშრა. მხრებიც თავის და უნებურად აეწურა და აღარც კი ახსოვს, როდემდე დარჩა ასე.

მერე: ცხელოდა უსაშველოდ და შეცივდებოდა ისევ, რასაც გონისშემძვრელი სიჩუმე მოჰყვებოდა. თითქოს დრო გაქცეოდეს სადღაც და უდროოდ დარჩენილიყოსო. დროს გამოდევნებოდა?! მაგრამ ეს აზრადაც არ მოსვლია. ამასთან: იდგა სულისშემძვრელი ღამე – წყვდიადი. თითქოს: იქ, სადაც უნდა ყოფილიყო, უკვე აღარ იყო. აქაურობას „აქაურობადაც“ ვერ აღიქვამდა.

აქ კი არა და სხვაგან იყო, მაგრამ თავის ახლანდელ სამყოფელს იქაურობასაც რომ ვერ დაარქმევდა?!

ჰოდა: როცა ასე ბნელოდა და ვეღარც თავს აღიქვამდა, მისთვის სულერთიც უნდა ყოფილიყო, თვალი გახელილი ჰქონდა, თუ – დახუჭული. გინდ ყოფილხარ და გინდ არ ყოფილხარ! ვერაფერს ხედავ, ვერავის ხედავ, შენ კი გხედავენ იქნებ. ამას გული გიგრძნობძს და უნებლიედაც შეგაჟრჟოლებს. თვალს მოხუჭავ და: ესეც ანაზდად მოგდის, თითქოს ხედავდე ვიღაცას და მისი დანახვა აღარ გინდოდეს.

თვალის გახელა ხომ დიდი სისულელეა, რადგან მაინც ვერაფერს დაინახავ ამ წყვდიადში, მაგრამ გული ნეტა რამ აგიძგერა ასე? რა უნდა შეცვლილიყო?! აახელ თვალს და სასწაული: ხედავ! თვალი ხომ არ მატყუებსო, გაგიელვებს.

თვალი უნებურად გაგიფართოვდება: და ნეტა არ აგეხილა?!

ჭაში ხარ და არცა ხარ ჭაში.

ოთკუთხედის ფორმისაა შენი ადგილსამყოფელი, რომელიც შენი არამც და არამც არ გინდა იყოს.

თითქოს დერგში გამოუმწყვდევიხართ. ქვევით წყალს შეიგრძნობ და სული გემღვრევა. თვითონ წყალიც ამღვრეულია და გუნებაც ვის აუმღვრევია შენთვის, ვის წაუბილწავს, მაგრამ ფიქრიც აღარ ღირს ამაზე. შენ ახალი გამოცანის წინაშე დგახარ.

და იწყებ ფიქრს: „მე დერგში ვზივარ... – ხელებს მოაფათურებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ. და ხელებიც სიცარიელეში გეკარგებოდეს თითქოს.

მარტო ხარ ამხელა სიცარიელეში: „ალბათ ჩემს გარდა სხვაც იქნება ამ სიცარიელეში – შემოგაწვება შეწუხებული ფიქრი. გეშინია, მარტო არ აღმოჩნდე, გინდა სხვაც იზიარებდეს შენს მწარე ხვედრს, მაგრამ სხვას რაღას ერჩი?!

თუმცა რატომ გგონია, თითქოს და მარტო იყო?!

ნუთუ არ გესმის ეს ძრწოლისმომგვრელი სისინი? იცი, ვის შეუძლია ასე სისინი, ასე ვინ სისინებს? ეს უხსენებელია და განა ერთი და ორი! ათასამდე მაინც იქნებიანო, გაგიელვებს, მაგრამ ისეც ნუ შეშინდები, რომ გული გაგისკდეს: სინამდვილეში იმაზე ორჯერ ნაკლები ქვეწარმავალი მოიწევს შენკენ, ვიდრე წარმოგიდგენია! მაგრამ რატომ ვერ გაიხსენებ, რომ გველს ორკაპა ენა აქვს და გველიც ერთის მაგიერ ორი გგონია... სულ უფრო და უფრო გიახლოვდებიან და შიშიც გიორკეცდება. გიჯობს, არ გაინძრე! მარცხნივ გადაიხრები და დაიგესლები, მარჯვნივ გადაიხრები და... ხომ გესმის, რა დღეშიც ხარ?! ამიტომ იყავ გაუნძრევლად! ჰო, გაიყინები ერთ ადგილზე და სისინიც შეწყდება. ისინიც შენებრ იყინებიან.

„და მაინც თვალი რომ დავხუჭო და ძილს მოვუხმო?!“ – გაიფიქრებ.

ცამდე მართალიც იქნები: ძილი მოგიტანს სიზმარს. და მოწყდები ამ გულისშემზარავ სინამდვილეს!

ყველაფერი თავისი წესით და რიგით მიდის! მიდის თუ მიმდინარეობს?! მაგრამ განა ესეც სულერთი არ უნდა იყოს შენთვის? ერთი წამიც და აღარ იქნები! და როცა აღარ ხარ, აღარც ფიქრი იქნება! მერე და: რაღაა საფიქრებელი და სადარდებელი, ებერ?

მაგრამ მაინც, მოდიოდეო თითქოს: მოგბეზრებია უძრავად ყოფნა, არ შეგიძლია ასე, თუ ნიმროდის ხელში ჩავარდნას ყველაფერი გირჩევნია?!

ჰმ... შენთვის მთავარი მაინც ის არის, რომ ნიმროდ-გველეშაპის კერძი არ გახდე. ხომ იცი, ერთ ლუკმადაც არ ეყოფი, გადაგსანსლავს და მოგინელებს მერე. გაიფიქრებ და შეძრწუნდები!

უკან გადაიხრები და: აქ ქარი მოგვარდება, გადაგხრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაგხრისო? გადაგღუნავს, ებერ და კბილსაც გაგკრავენ ლოყაზე.

თითქოს და არავითარი ტკივილი! იქნებ შენს გარეთ დარჩა იგი ტკივილი?! ტკივილი არ გიგრძნია, მაგრამ გემწარა კი და სადაცაა გულიც შეგიღონდება, მაგრამ დგახარ ანდამატის კლდესავით, წაქცევა შენი დაუშვებელია, მაგრამ რას ფიქრობს ამ დროს ცაბაოთი, შენი უფალი ღმერთი, ებერ?! არსთა გამრიგე? თურმე: არც ისე ცუდად ყოფილა, ებერ, შენი საქმე: სინამდვილეში კბილი კი არა, ორკაპა ენა აგისვეს ლოყაზე და შენც იმ შენს მდგომარეობას უბრუნდები, როცა ვერც უხსენებელი ვერ უნდა მოგწვდეს და ვეღარც – ნიმროდი-გველეშაპი.

ცოცხალი ხარ, ებერ! შენ არ მომკვდარხარ და შენი შემწე და მწყალობელი არსთა გამრიგეა, ცაბაოთი და მალე იმის ხმასაც გაიგონებ:

– ებერ, ცოტაც მოითმინე: მე არ დამვიწყებიხარ, ცაბაოთი არ მიგატოვებს!

შენც უცებ მოფხიზლდები, ებერ და იმედიც აგიკიაფდება სულში – იმედი მასულდგმულებელი! თითქოს და განსაცდელსაც ჩაუვლია. დაგბრუნებია დაკარგული დროც!

გაგწირა ნიმროდმა, მაგრამ არ გაუწირიხარ შენს ღმერთს! შენთან არის უფალი! შენ ისევ შეიგრძნობ დროს და ეკუთვნი კიდეც ამ დროს... იქნებ: დრო გეკუთვნის შენ, ჰა? მაგრამ თვითონ შენ?

– მე ჩემს ღმერთს ვეკუთვნი!

– მაგრამ მაშინ შენშიც უნდა იყოს ღმერთი!

„ნეტა, ვის უნდა, გული რომ მომიკლას?!“ – გაიფიქრებს ებერიც უნებლიეთ.

– ილოცე, ებერ, რომ ბოლომდე ებერად დარჩე, ასე თუ გადარჩები!

* * *

ებერის გამოცდა კი გრძელდება.

როგორც იქნა მოიშორა ებერმა მოჩვენებები: ქრება ნიმროდი-გველეშაპი, ქრებიან ქვეწარმავალნი და მათი მომყოლი მავნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებანი, ერთუჯრედიანებიც და მრავალუჯრედიანებიც. მხ-ოლოდღა ებერი და ჭა-დილეგი რჩებიან პირისპირ...

და შენ, ებერ, რას შვრები ამ დროს? შვრები კი საერთოდ რა-მეს? გაქვს კი რაიმეს კეთების თავი? თუ: დაგიკრეფია გულზე ხე-ლები და ელოდები შენს თუ საერთო აღსასრულს?!

ფიქრობ კი?

იფიქრებდი, მაგრამ გიშველის ფიქრი ვითომ? თუმცა ფიქრს ვინ მოგიშლის? ნიმროდი ნამდვილად არ მოგიშლის ფიქრს, რადგან ყველაზე მეტად ისაა დაინტერესებული შენით.

შენ იმასაც აცნობიერებ, რომ ბედნიერებაა, თუკი ნებისმიერ დროს შეგეძლია ფიქრი; უმძიმესი სასოწარკვეთილების დროსაც უნდა შეიძლო ფიქრი, თუკი ადამიანად მიგაჩნია თავი და ადამი-ანად გინდა დარჩე. შენ ხომ ყოველთვის მიგაჩნდა, რომ თავის უფალი იყავი. ჰოდა: მიჰყევ შენსავ წიაღში შემოჭრილ ფიქრს, იქნებ საკუთარი მეობის საწყისებთანაც მიგაგდოს?!

– ვერავინ და ვერაფერმაც ვერ შეგარყია?! იდექ, ებერ საკუ-თარი სულის სადარაჯოზე! და მართლაც: აწი ქარბორბალაც ვერ ამოგძირკვავს მშობლიური მიწიდან! ღრმად გაგიდგამს მიწაში ფესვები. ინდომე, ებერ და აგისრულდება ნებისმიერი სურვილი: ამომძლავრდები შენც ამ მიწიდან გამყარებულ-გაკაჟებული და შეგეძლება თვალი ზეცასაც გაუსწორო!

და სითბოც ჩამოღვრილიყოსო თითქოს ზეციდან: ივსებოდა და იწრთობოდა ებერის მღელვარე სული, მაგრამ უცებ შეიცვ-ლება ვითარება: ხომ ბნელოდა და კიდევ უფრო ჩამოწყვდიადდე-ბა. ზევით აიხედა და კინაღამ თვალთ არ დაუბნელდა?! იგრძნო ქვეცნობიერად, რომ ძირს მოიწევდა ჭერი. მერე და: ჭა-დილეგიც აღარ იყო. სამშვიდობო პირი აღარ უჩანდა მომავალ წამს(!)

მაინც სად იყო, სად ჩამოგადაბლეს: საკირეში თუ მივარდნილ ქვის სამტეხლოში სადმე, სადღაც გადაკარგულში. მიიწ-მოიწია და ევიწროვა მისთვის განკუთვნილი ადგილი. აქ სუნთქვაც ჭირ-და(!) ჭირის ოფლი ასხამს.

უნდოდა მშველელისთვის მოეხმო, მაგრამ მაშინვე გა-დაიფიქრა. რომც გაეგონათ მისი ძახილი, მაინც ვერავინ გამოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურებოდა მისდა საშველად.

პირიქით: იქნებ უფრო შეევიწროებინათ, მაგრამ იმაში კი იყო დარწმუნებული, რომ მის მოკვდინებას ჯერ არავინ ფიქრობდა. რომ ნდომებოდათ, აქამდე გამოუყვანდნენ წირვას.

„მაგრამ რას მოელიან ჩემგან? უარი ვთქვა ჭეშმარიტზე და ნიმროდი ვაღიარო, ყველაზე დიდი ღვთისმგომბელი და ღვთისმოძულე?

და მაინც რომელი მცდის: ნიმროდი თუ ცაბაოთი?!“

ნიმროდი რომ ცდიდა, ამაში არც ეეჭვებოდა, მაგრამ ცაბაოთი?!

„მახსენდება, მახსენდება: ხომ მითხრა, ასე თუ გამოიცდებიო! უფრო დიდ საქმეთათვის ხომ არ მამზადებს უფალი ჩვენი?! მაგრამ შეიძლება სულაც არ ვიყო ის, ვინც ვგონივარ, ვინც წარმოვუდგენივარ?! მაგრამ რატომ ორჭოფობს, ამის საბაბიც რომ არ მიმიცია?! რაღაც უთუოდ მჭირს, რომ ასე მიჭირს...“

ჰაერი აღარ ეყო, ქარმაც ლამის ააწყვიტოს მიწას. წევს და ფრჩხილებით ჩაფრენია (დედა)მიწას. წინ გასასვლელსაც ხედავს და უკვირს რად არ ააწყდება მიწას, მაგრამ საკითხავია, გაეტევა კი იმ გასასვლელში, რომლის იქითაც თავისუფლებაა და მიწამაც ითხოვა, რომ კაცს ფრჩხილები ამოეღო მისი წიაღიდან. ჰოდა, უნდა წაფორთხებულიყო გასავლელისკენ... და: ჩამობნელდა უცებ. გასასვლელიც აღარსად იყო და ჩანაფიქრის განხორციელების სურვილიც გაუქრა.

ჰოდა, ძილქუშიც დაეცა. ნიმროდის გამოჩენას ელოდა სიზმარში. უნდოდა ეკითხა, რას მიპირებო, მაგრამ ძილი უსიზმროდ მიედინებოდა თავისთვის და ლამის არ ამოხდა სული?

ცდილობდა აეხილა თვალები, მაგრამ არა, ჯერ არ გასრულებულიყო ღამე და ეჭვიც კი შეეპარა, ოდესმე რომ გათენებულიყო.

მაინც გაახილა თვალი, მაგრამ არ კი იცის, ეს ესიზმრება, თუ ცხადში ხდება ეს ყოველივე. აქ: საკუთარ თავს მიენდობა. ჰოდა, გაიხედავს და: უკან დარჩენილიყო თითქოს ის ქვის სამტეხლო თუ გამოქვაბული (ვიღაცას ეზრუნა მის მაგივრად). იგი თავისუფალია! მაგრამ თავის უფალი ვითომ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა კისრისტეხით მიიგრიხებოდა ქვევით და მის ბოლოში კაცი იდგა ვიღაც, უჩვეულო შესახედაობის, უსაშველოდ მაღალი, სწორედ დევგმირი. და იგი ებერს მოელოდა! ებერს ამ სიმაღლიდან ვერ გაერჩია მისი სახე. მაგრამ ნიმროდს რომ მოაგონებდა, ეს თავისთავისაც ვერ გაემხილა: „ნიმროდი არ იქნებოდეს და სხვა ვინც უნდა იყოსო, მაგრამ ისიც გაახსენდა, ნიმროდთან შეხვედრა რომ ეწადა, მაგრამ ის კი ველარ გაიხსენა, რა უნდა ეკითხა მისთვის.

ჩაჰყვა ქვევით თავდაღმართს. გზის შუაწელს რომ გასცდა, შედგა და შუბლი მოიჩრდილა, მზერა იმ უცნობს სტყორცნა, მოთმინებით რომ მოელოდა. გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

ნიმროდი იყო(...)

შეეძლო მეორე გზაზე შემდგარიყო, მთავარი გზის პარალელურად რომ მიიგრიხებოდა. მთლად გზაც რომ არ ეთქმოდა, უფრო გზა-წვრილი გახლდათ, მაგრამ მასზე მაშინვე უარი თქვა, როცა იგრძნო, ეს საცალფეხო ბილიკი დანიშნულ ადგილამდე უფრო გვიან კი მიიყვანდა, მაგრამ ნიმროდთან შეხვედრის წუთს მაინც ვერ ააშორებდა. ამ მიზეზით იყო, რომ იმ მთავარი გზიდან აღარც გადაუხვევია. ბედისწერა მიაქანებდა ნიმროდისკენ. აბა, ბედისწერას სად გაექეცოდა?! ჰოდა, არც გაურბოდა ბედისწერას(!)

ფეხსაც კი აუჩქარა და სულიც წინ რომ მიუსწრებდა?! უკვე მირბოდა! ნიმროდისკენ?!

ჰო, ნიმროდისკენ! თვალს გაუსწორებდა და პირშიც მიახლიდა, რომ იგი – ნიმროდი ცოდვილი ქამის შვილიშვილია, რომ არც შეიძლებოდა, უცოდვიდილესი ქამის შთამომავალი ასე, ერთი ხელის დაკვრით განწმენდილიყო და ცად ამაღლებულიყო! ნიმროდიც ხომ ჩვეულებრივი მოკვდავივით იდგა მიწაზე, მასაც ხომ უბრალო კაცივით მიიზიდავდა მიწა და არც არასოდეს აუშვებდა (გადავიწყებოდა, რომ ერთხელ მართლა ააწყდა მიწას ნიმროდი).

მაგრამ: უცებ: სასწაული არ გინდათ?! ნიმროდი თვალდახელშუა გაქრა. აღარსაც იყო. თითქოს არც არასდროს ყოფილიჟო...

და იქ, ებერის აზრით, სადაც ნიმროდი უნდა მდგარიყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩვეულოდ მორკალული ბალახის ღერო მძიმე-მძიმედ სუნთქავდა და ცდილობდა, გამართულიყო. აჰა, შეირხეოდა სადაცაა შინაგანად აცახცახებული, თვალზე მომდგარი ობოლი ცრემლი მოწყდებოდა და ცვარნამისაგან გათავისუფლებული თავს მაღლა ააღირებდა.

ბოლოს მაინც გამოერკვა და მაშინვე გაუელვა: „თავი მომაჩვენა მართლა გრძნეულმა. ყველგან მხედავს. იცის, რას ვაკეთებ და რას ვაპირებ. მეჩვენა და ამითაც მაგრძნობინა (მაგრამ არ დაუცინია ჩემთვის), რომ არ ვიყავი მისი ტოლი და თუკი ინდომებდა, გამაქრობდა კიდეც, ამომტუმბავდა შუამდინარეთიდან და სადაც ინებებდა, იქ დამსვამდა თოჯინასავით.

– ებერ, გზა მიტიე, გამეცალე გზიდან და თუკი თავი ცოტათი მაინც გებრალება, ნუ მეჩხირები თვალში. გთხოვ, არ შემომაკვდე. გზააბნეულს არას გერჩი, გზაზეც დაგაყენებ. მაგრამ წინ ნუ გადამიდგები! იცი, გული მწყდება, რომ მე აღარ მცანი და ცაბაოთის ირწმუნე. იმ თვითმარქვიას მიენდე. ჩემი კი ვერაფრით დაგიჯერებია. ჭეშმარიტებისთვის რატომ შეგიქცევია ზურგი, ებერ?! – ესმოდა ებერს ნიმროდის ბოღმანარვეი, გაბზარული ხმა, მაგრამ თვითონ ამ ხმის პატრონს ველარ ხედავდა.

„რისიც გეშინოდეს და უფრთხოდე, ის გელანდებოდესო!“ – გაიფიქრა ებერმა და თავი შეებრალა: „იქნებ იყო და გამიუჩინარდა. ნიმროდს ხომ მართლაც შეუძლია დროსა და სივრცეში გადაადგილება... მე კი იმან გამაოცა მაშინ, მიწიდან ერთ მტკაველზე რომ აიწია ჩემს თვალწინ...“

ამ დროს ცა გადაიხსნა და გამაყრუებლად დაიგრგვინა. ამანაც გააკვირვა ებერი: „ჭექა-ქუხილს ყოველთვის ასწრებს ელვა და დღეს რა შეიცვალა, დაკანონებული წესი და რიგი რამ დაარღვიაო?!“

– ებერ, გონს რატომ არ მოხვალ?! – ცაბაოთის ზეციური ხმა ესმა: – ნიმროდიო?! დაივიწყე, თავიდან ამოიგდე ნიმროდი. ზოგჯერ კიდეც უნდა დაუშვა, რომ ნიმროდი აღარ არსებობს, ნიმროდი თქმულება! ის ზღაპრის გმირია, მაგრამ შეუძლია გადმოვიდეს ზღაპრიდან. შენი სიზმრიდანაც და უფრთხილდი, მართლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შემოაკვდე! გაგაფრთხილა კიდეც, არ შემომაკვდეო... ხომ ხედავ, საკუთარ თავსაც ერჩის!

– შენ გაგითავისუფლებივარ თურმე, მე კი ნიმროდმაო, მეგონა... რატომ, უფალო? ხომ მეუბნებოდი, ასე უფრო გამოიცდებიო?! – ამოიგმინა ებერმა და გულიც თან ამოაყოლა. – ჩემდა სატანჯველად?

– შენს გადასარჩენად, ჩვენი ღვთაებრივი ენის გადასარჩენად! რაც თქვენ მოგეცით – შუადმინარეთს, რომელიც ერიდუში იწყება (ძალაუფლების საუფლოში) ქალდეაში, ის მივეც ქარდუხთაც, თარგამოსიანთ და მის მოძმე ტომებს...

– და ნიმროდიც ვეღარ მომაგნებს?

– თარგამოსიანნი დაგიცავენ ნიმროდისგან!

ესმა ებერს და თავი ჩრდილოეთისკენ მიაბრუნა.

– მე თვალები ავუხვიე ნიმროდს, მაგრამ იცი, დაფარული მისგან არც ვინაა და არც – არაფერი, სადღაც მოგწვდება მისი ყოვლისმხილველი თვალი. წადი, გაიქეცი ბაბილონიდან! რადგან ბაბილონში ქვა ქვაზე დადუღდება! შენს შესაპყრობად ნიმროდი ჯილდოს დააწესებს. შენი ვალია, ხელში არ ჩაუვარდე ნიმროდს, შენ ხომ ღვთიური მისია დაგკისრებია და უნდა გასაიდუმლოვდეს ეს. მე ვიქნები შენი მფარველი. გახსოვდეს: თესლი რომ ჩადე ერიდუში, იმას გახარება უნდა, იმას პატრონობა უნდა! იქ თარგამოსიანნი იქნებიან შენი მფარველნი. მიენდე მათ, მე მნებავს ასე!

– უფალო, უფალო... – ხელები გაშალა ებერმა.

– მე კვლავაც მოვალ დედამიწაზე, მოვალ, როცა იქნება და იმ ენაზე გამოველაპარაკები დედამიწელებს, რა ენაზეც მე და შენ ვლაპარაკობთ ახლა.

ითქვა და იელვა(!!)

„უფალი ნიშანს მაძლევს. არ მივუტოვებივარ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემთან იყო და მე ვერ შევიგრძნობდი...“

ცამ მხოლოდ ახლა შეიკრა პირი. ებერმა თვალი მიმოავლო უფლის მთელ ამ საბრძანებელს და მზერა მიწას დაუბრუნა. ძირს დაიხედა. რკინის ქალამნებს თასმები შეხსნოდა. წაიძრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალამნები, შიგ მოხვედრილი სილა გადმოფერთხა, ისევ ამოისხა და სული მოითქვა. ჯერ მარცხენა ფეხი დაჰკრა მიწას, მერე – მარჯვენაც.

ებერი – დიდი ყარიბი, მზადაა შემოევლო სრულიად დედამიწა.

მაღლა აღაპყრო მზერა. გულმა უგრძნო, რომ ზეცას გზა ჯერ არ დაელოცა მისთვის.

– ებერ, გაიქეცი ბაბილონიდან, შენი ადგილი დღეს აღარაა ბაბილონში, მაგრამ გახსოვდეს: ბაბილონის ქვეყანა დაიქცევა! ებერ, მშვიდობით გევლოს. როცა იქნება, მოგიხმობ!

ებერი წელში გასწორდა. ცისკიდური უუწითლეს მზეს გაებრწყინებინა. თვითონ მზე კი: ლამის ჰორიზონტს შერწყმოდა.

ებერი ჩრდილოეთისკენ შებრუნდა და დასავლეთიც მარცხნივ დარჩა მისგან.

იგი ჩრდილოეთის ნაცნობ გზას გულისფანცქალით დაადგა.

ზურგზე ფუთა ეკიდა, ძვირფასი განძი, რაც უნდა გადაერჩინა და მომავალი ათასწლეულებისთვის გადაელოცა: თიხის ფირფიტებზე ამოკვეთილი ასო-ბგერები, საერთო ქარდუხთა და ქალდეველთათვის.

და მაშინ უგრძნო გულმა, ნიმროდი ჩადგომოდა კვალში.

„დრო აღარ იცდის!“ – თავს შეუძახა ებერმა და ფეხს აუჩქარა. ხელით ზურგზე მოკიდებულ ფუთას ფრთხილად შეეხო და მაღლდიდან ესმა:

– ებერ, გაიქცეი ბაბილონიდან. გაიქეცი უკანმოუხედავად!

ეს უკვე მისი გულის ამონათქვამი გახლდათ.

– დროს გაუფრთხილდი, ებერ! ძირს: მიწის ისმინე და მაღლა – ზეცის!

* * *

და მაინც არ უნდოდა ცაბაოთს თავისი ქმნილების, ადამის – ნიმროდადხმობილის გაწირვა. ცაბაოთი ერთხელაც გამოეცხადა სიზმარში ნიმროდს: – ნიმროდ, აღარ გსაყვედურობ, მოვდივარ დათმობაზე, აიგე ის შენი გოდოლი, ოღონდ ნუღარ სცოდავ, გოდოლსაც ახალი დანიშნულება მიეცი, თუნდაც „ყოვლის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანათლებელი შუქურა“ უწოდე, ოღონდაც ნუღარ მგმობ, სცანი ჩემი მეუფება ცასა და მიწას ზედა და კიდევ უფრო აღგამაღლებ, გაფართოვდება შენი კურთხეული ბაბილონის საზღვრები, გასცილდება იგი შუამდინარეთს, მთლად დედამიწა დაგმორჩილდება, შენი ბადალი ვერსად მოიძიო...

– არა, ცაბაოთ! – გააწყვეტინა ნიმროდმა სიტყვა. შუამდინარეთში მე თვითონ დავმკვიდრდი, უშენოდ მოვიპოვე ბაბილონის მეუფება და საზღვრებსაც შენს დაუხმარებლად გადავწევ საითაც ვინებებ! გავაერთიანებ მიწიერ და ციურ სამყაროებს, შენ კი თუ აღარ შემეჯახები და კეთილგონიერებას გამოიჩენ და განზე გადგები, უდიდეს სისხლის ღვრასაც აგვაშორებ... წადი, ცაბაოთ! წადი და დაისვენე! ვაღიარებ: მცდელობა არ დაგიკლია, რომ ფორმა მიგეცა სამყაროსთვის... უსასრულობის ფორმა: ეს სასწაულია მართლაც. ხომ მიეც ფორმა სამყაროს, შინაარსის მიცემა კი ველარ გამოგივიდა. დაბერდი, ცაბაოთ, რით ვერ გაიგე ეს და შენზე შემძლესა და გაჭრიახს დაუთმე ასპარეზი! და შინაარსი რომ ველარ მიეცი სამყაროს – ამ უსასრულოს, იმან მოგიცვა და ასე დასრულდი კიდეც. იცი, რას ნიშნავს დროზე წასვლა?! ჰოდა, გადადგი ეს ღვთაბერივი ნაბიჯიც და: მაკურთხე, ცაბაოთ და პირობას გაძლევ, რომ შენს წმინდა სახელს ავად ვერავინ მოიხსენებს! უკვე ისეც ველარ ბრწყინავ, არსთა გამრიგე რომ უნდა ბრწყინავდეს. სადაცაა შენც ვარსკვლავივით დაიწვები და დაიფერფლები. ცეცხლი გიკიდია და ვერ შეგიგრძნია. ერთს კიდევ გაიელვებ და ჩაქრები ერთხელ და სამუდამოდ. ფერფლად იქცევი, ცაბაოთ! შენც ფენისქი როდი ხარ, ფერფლიდან აღდგე?! კვდები, ცაბაოთ და ვერ შეგიტყვია! და მე ამ შენს უიმედო მომავალსაც ვიღა შეცვლის, თუ არა მე?! ამიტომაც უნდა მომენდო!

– ნიმროდ, არ იქნა შენი საშველი! რატომ არ აწონი შენს შესაძლებლობებს და... უკიდურესობამდეც ნუ მიმიყვან, თორემ...

– რატომ შეჩერდი, ცაბაოთ?! რატომ გაგიწყდა სიტყვა?! იქნებ გადაგავიწყდა, რისი თქმაც გინდოდა?! ესეც ხომ სიბერისგან მოგდის. შენ კი აღარ გინდა შეიგნო, რომ დაბერდი! წადი, ცაბაოთ, გაიქეცი ჯერ შენი საუფლოდან და მერე – ჩემი ბაბლონიდანაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეშვი მიწაზე, მიწა გეძახის, ნუთუ არ გესმის? კი, ნამდვილად ბრუნავს დედამიწა და რომ შეიგრძნობ ამას... თავიც ამიტომ გიბრუის. ნუღარ ღელავ, ცაბაოთ, შევაჩერებ დედამიწას. შეგიძლია ჩახვიდე! იმ შენს ნაცოვდილარ ნასამოთხარზე დაგასახლებ! უსახლკაროდ არ დაგტოვებ!

ხედავ, როგორ მონატრებიხარ მიწას?!

ერთხელ მაინც ჩაიხედე სულში: იცოდე მაინც, თვითონ რა გინდა? გულსაც რომ დაეკითხებოდე, ცაბაოთ... და რაც გირჩიონ გულმა და სულმა, შენც ისე მოიქეცი.

უნდა იცოდე ცაბაოთ, რომ შენი ადგილი მიწაზეა! ან: სულაც მიწაში...

* * *

როგორც იქნა მოიშორა თავიდან ცაბაოთის სახება. ეგონა გუნება გამოუკეთდებოდა, მაგრამ პირიქით რომ ხდება?! ახლა ებერზე ფიქრობს, ლამის გამოასავათოს ამდენმა ფიქრმა. მართლაც სად უნდა წასულიყო, რომ ვერსად აღმოაჩინა? ნიმროდი შეურაცხყოფილია. აღარ იცის, რა გზას დაადგეს? ებერი ჰაერივით სჭირდება! როგორ მოინელოს ასეთი მარცხი? იქნებ ებერის ფიქრს გადააწყდეს სადმე, რომ კვალში ჩაუდგეს, ქვეყნის დასალიერამდე მიჰყვება. თუმცა აღრაც კი უწყის, რა უყოს იმ ერთადერთ ადამიანს, ვინაც გაბედა და წინ გადაუდგა თვითონ ნიმროდს, ბაბილონის და იქნებ მთელი დედამიწის მბრძანებელს, ციური სამყაროს დიდ მეუფეს, თვითონ დროს და იმასაც, ვისაც სამყაროს უსასრულობისა უფრო სწამს, ვიდრე მისი საზღვრულობის.

უცებ გაუნათდა გონება: – რატომ ცაბაოთი არ გამახსენდება ამ დროს?! სწორედ ცაბაოთი უნდა იყოს ებერის მფარველი. უხილავი ფარდა თუ ჩამოაფარა. იქნებ უჩინმაჩინის ქუდიც დაჰხურა და: ებერსაც საითკენ უნდა ექნა პირი, თუ არა ქარდუხისაკენ. თაგრამოსს შეაფარებს თავს! თარგამოსმა ხომ დაკარგული შვილივით მიიღო იგი და თავისი შეხედულებისამებრადაც გამოიყენებს მის ნიჭს, ცოდნასა და გამოცდილებას; თავისი ერთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერთი ასულიც კი შერთო! მამულიც გამოუყო...

ებერ: – ქვესკნელშიც რომ ჩახვიდე., იქაც მოგაგნებ, მაგრამ შენ თამუზი ხომ არ ხარ?!

ხომ შეურაცხყოფილია ნიმროდი, მაგრამ კიდევ უფრო გაკვირვებულია: და მეც – თვითონ ნიმროდს, ისე რამ შემიზღუდა გონება, რამ დამაბრმავა, რომ ვეღარსად დამინახავს ებერი, ისე რამ დამაყრუა, რომ არც მისი ფეხის ხმა მესმის? თარგამოსი, თარგამოსი თუ შეიფარებს ჩემგან დევნილს, თორემ სხვა ვინ უნდა გამიბედოს ამდენი?“

ძლივს არ მოეგო გონს?!

და ამ დროს იელვა(!)

– ეს შენ ხარ, ცაბაოთ, ვცნობ შენს ხელწერას. კი, ელავ, მაგრამ ამასთან იჭექ-იქუხო და მეხიც დასცე ათასწლოვან მუხას, ამის თავი სადა გაქვს, შე უსუსუროვ და უნიათოვ?!

– ასე გგონია, ნიმროდ?! – ჩამოსძახა ზეცამ და იელვა, ელვას ჭექა-ქუხილიც მოჰყვა, გავარდა მეხიც და მისი გოდოლის წინ რომ უზარმაზარი მუხა იდგა ამაყად, შუაზე გააპო. მუხას კვამლი ასდის და ეხუთება სული.

– ხედავ, ნიმროდ?! – ჩამოსძახა ზეცამ ნიშნის მოგებით.

– ვხედავ, ვხედავ, ცაბაოთ და სულ ესაა, რაც შეგიძლია?! მეტის შემძლე მეგონე.

– ნიმროდ, ახლა შენს გოდოლსაც გახედე!

– ვხედავ ცაბაოთ! მომავლის გოდოლს ვჭვრეტ მე ჩემს გოდოლში, ჩემს, უფალი ღმერთის საუფლოს!

– შენ ასე გგონია, ნიმროდ?! – მოიქუფრა ზეცა.

– და მარტო მგონია, ცაბაოთ?!

– სწორედ ის ამპარტავანი სულია, შენ რომ გაცთუნებს, ნიმროდ. ამპარტავნება ესაა ბზარი შენს სულში! მე, ცაბაოთი რომ ვარ, ვჭრვეტ შენგან არსებითად განსხვავებულად. შენი გოდოლი ჭიქის ფეხებზე დგას!

– ცაბაოთ, ახლა მეც მისმინე: ურყევია ბაბილონის გოდოლი. ანდამატივით მტკიცე!

– მაკვირვებ, ნიმროდ... ტყუილად გგონია, რომ მარადიულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი გოდოლი. ნებისმიერი საგნის სიცოცხლის ხანგრძლივობას, სულიერია იგი თუ უსულო, დრო განსაზღვრავს, დრო კი იარაღია ჩემს ხელში. დრო ჩემია და ჩემითაა! სწორედ დრო წარხოცავს ყველასა და ყველაფერს ამ ჩემს სამყაროში.

– ცაბაოთ, შენ შენი დროით ცდილობ ჩემს შეჩერებას და თვითონ ის დროა ამ დროს შენი შემაყოვნებელი. დროს შეუჩერებიხარ, ცაბაოთ და რადგან ადგილიდან ვეღარ დაძრულხარ! მე კი ჩემი დრო მაქვს და...

– ნიმროდ, უკან წაიღე ეგ შენი მკრეხელური სიტყვები, თორემ ჩამოგერთმევა ყველა ის უფლება-მოვალეობანი, ღვთაებრივი წოდებები, ერთ დროს რომ მომინიჭებია შენთვის და დაგსჯი მეორედაც!

– ნეტა პირველად როდის დამსაჯე, ცაბაოთ?

– კიდევ კარგი, რომ აღარაფერი გახსოვს და ბედი შენი, რომ დაგვიწყებია ყველაფერი! სასჯელად ეგეც გეყოფა. ახლა კი გირჩევ, დაჰყვე ღვთაებრივ ნებას და სული გადაირჩინო!

– ცაბაოთ, სანანებლად არ დაგრჩეს ეგ შენი სიტყვები!

– ნიმროდ: მე შემიძლია ჩაგიკლა ჩემგანვე ბოძებული სული და ეს შენი არაადამიანური იდეაც შენშივე ჩაკვდეს!

– რომ შეგძლებოდა, ამდენხანს გამაქრობდი ჩემსავ იდეასთან ერთად!

– ნიმროდ, გონს მოდი! – იელვა ორჯერ ზედიზედ..

ნიმროდს თვალიც არ დაუხამხამებია, აუღელვებლად გაუსწორა თვალი მესამე ელვას და მუშტიც მოუღერა. – იქნებ თვითონ შენ მოხვიდოდე გონს, ცაბაოთ, და... – სიტყვაც არ დაემთავრებია, რომ იძრა მიწა და გოდოლის კედელი ერთდროულად ჩამოიბზარა საფუძვლამდე.

გოდოლი მტვრის კორიანტელში გაეხვია.

– ნიმროოდ! – ჩამოსძახა სრულიად ზეცამ, – თუკი არ გინდა უარესის მხილველი გახდე, დაიხიე უკან, აღარ მოვითხოვ შენგან იმას, რომ უბრალო ადამიანი იყო და თუკი დამიჯერებ, გპირდები დაგიბრუნო ისიც კი, რაც ადამისთვის წამირთმევია ერთხელ!

– და მე ნიმროდმა თვითონვე ვთქვა უარი ჩემსავ ღვთაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიობაზე?! მერე და რაში მჭირდება ის, რაც სხვას ეკუთვნოდა ოდესღაც?

– ნიმროდ, დაგმე შენში აღმოცენებული ამპარტავნება, ამოსუფთავდი, დაუბრუნდი შენსავ ადამიანურ არსს და მართლა აღგამაღლებ!

– ცაბაოთ, იცი რატომ არ გტყორცნი ჩემს აუცდენელ ისარს, ყოვლის მომაკვდინებელს?

– გისმენ, ნიმროდ!

– ვაითუ მართლა მოგწვდა და... შენ, ცაბაოთ, ხომ ჩემით ხარ ასე ძლიერი, ისე როგორც მე – შენით და რატომ უარვყო ის სინამდვილე, რომ მე და შენ ერთმანეთს ვაძლიერებთ, თითქოს და ვავსებდეთ ერთმანეთს. ერთი ჩვენთაგანის სიკვდილმა შესაძლოა მეორის სიკვდილი გამოიწვიოს! ამიტომ, ცაბაოთ, შევთანხმდეთ ერთხელ და სამუდამოდ, შენ მეორე იყავ!

– შენს მერე?

და ისევ იძრა სრულიად (დედა)მიწა! იძრა მეორედაც და უფრო ძლიერ.

სული აბორგებოდა ნიმროდს. საბრძოლველად შემართულმა გადმოიღო თავისი მშვილდი და ისარი შესტყორცნა ზეცას. მაგრამ ამაოდ, მიზანს ახლაც ვერ შეწვდა. მშვილდი მოზიდა ისევ, დაელოდა, სანამ იელვებდა, რომ განეგმირა ცაბაოთისეული ელვა და მოეკვდინებინა.

დუმილმა დაისადგურა ჯერ მიწაზე, მერე კი თვითონ ცარგვალიც მოიცვა დუმილმა.

– ცაბაოთ! – ასძახა ნიმროდმა: – რატომ ნაცარტუტად არ აქცევ შენ ჩემს გოდოლს, ჩემი იდეის განსხეულებას? კარგად უწყი, რომ შეიძლება მართლა ჩამოანგრიო გოდოლი, მაგრამ გოდოლის იდეას ვერაფრით მოკლავ. იდეა ჩემი უკვდავია და მას ვეღარ მოერევი! ამას უნდა შეეგუო... ო, რატომ არ იელვებ, რომ... და მშვილდი გადაიკიდა მხარზე. – ჰოდა: შენ – შენთვის, მე კიდევ – ჩემთვის! ებერს რა მოელის? ებერს ვერ შეველევი! ჩემი შემდგომი ნაბიჯი, ცაბაოთ? ადამიანში აღმოვფხვრი (ამოვფხიკავ) შენს სახეებას... გავათავისუფლებ შენგან, რომ თავი თავადვე მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეყუდვნოდეს!

– ნიმროდ! – ჩამოესმა მაღლიდან, მაგრამ აღარ გაუელვებია: – გაძლევ დროს, თავიდან ამოიგდო ეგ შენი სისულელე, რომ გამიტოლდე...

– გაგიტოლდე, ცაბაოთ, როცა აღგემატე უკვე. შენ კი არაფრით არ გინდა დაიჯერო ეს ჭეშმარიტება! ცაბაოთ, ეს შენ გიჭირს, თვალი გაუსწორო სინამდვილეს, გამოიღვიძე, ცაბაოთ!

– შე-ჩერდი, ნიმროდ! ისე ამაღლებულხარ, როგორც ვერავინ სხვა ადამიანთაგანი და იკმარე ის, რაც ჩემი წყალობით მოგეცა!

– ცაბაოთ, რატომ არ გესმის, რომ მიღწეულით ვერ დავკმაყოფილდები, მე მეტი მნებავს!

– ნიმროდ, შენ უკვე გადააბიჯე დაკანონებულ ზღვარს!

– ერთი შენც! – თითქოს თვითონაც მშვილდად ქცეულიყოსო, დაჭიმული ლარივით გაიჟღრიალა, – ცაბაოთ ჩემი შეჩერება უკვე აღარავის ძალუძს!

– ნიმროდ, ნამდვილად არ გაწყენდა ფიქრი! – და ცაბაოთიც გულში იტყვის: „ცაბაოთ, სუსტი ყოფილხარ მართლაც, ნიმროდი როდი აჭარბებს? ისე დაეშვი, უბრალო მოკვდავის წინაშეც კი იმართლებ თავს! ნიმროდი ადამია. ამას ვერავინ გაუმხელს ნიმროდს. იგი უბრალო მოკვდავია მას შემდეგ, რაც სამოთხიდან გამოვაძევე... სიკვდილის ღირსიც იყო, მაგრამ ვერ გავიმეტე სასკვდილოდ! შენს ქმნილებას თუკი ვერ გაწირავ, მაშინ აღიარე და გზა დაულოცე, გადაულოცე ტახტი და გვირგვინიც თვითონ დახურე თავს! დავუთმობდი და მერე კი შეძლებს სამყაროს მართვას? დროო? დრო ხომ ჩემს ხელთაა და ისევ ვცდი. მივცემ ამ დროს...

ნიმროდმაც წაიკითხა ცაბაოთის ფიქრი და კიდეც იელვა, მაგრამ ამჯერადაც დაიგვიანა ნიმროდმა. ელვა მიილია და თავის თავზე გაბრაზებულმა გმირმა მონადირემ სიცარიელეს სტყორცნა ისარი.

აბა, სიცარიელეც ვის მოუკლავს, ნიმროდს რომ მოეკლა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

და უხმო ნიმროდმა თავის ბედაურს, პატრონის ხმა ბრძენი ბუს ყურსაც მიწვდა. იმანაც შეიფრთხიალა, იმავე სივრცეს შესჭიხვინა ბედის ბედაურმა.

წამიც და ნიმროდიც მოევლო ზურგზე თავს ბედაურს და იმავ წამს ნიმროდის მხარზე ბრძენმა ბუმაც მოიკალათა.

ბედის ბედაური კედარის ტყისკენ მიაქროლებდა თავის მხედარს და იმის მხარს ჩაფრენილ ბუსაც, რომლის მახვილი თვალიც უკვე ხედავდა ტყეში განარტოებით მდგარ ათასწლოვან კედარს, ნიმროდს რომ უნდა წამოექცია, შემოესხიპა ტოტები, დაემუშავებინა და დამუშავებული მორიდან ცაბაოთი გამოეთალა. მერე ზმანებას აღარ მიჰყოლია...

აჰა, იმ კედართან ჩამოხდა ნიმროდი ძირს. გარს შემოუარა კედარს, სამი კაცი ხელს რომ ვერ შემოაწვდენდა და დადგა. ხელი ვეება ცულს დაავლო, შემოუქნია კედარს. იმასაც კვნესა აღმოხდა. შორს, შორს გაისმოდა ცულის ხმა. ნაფოტები აქეთ-იქით სცვიოდა გულშეღონებულ ტყეს.

თითქოს სულს უკლავდნენო ტყეს, დაზაფრული გოდებდა.

დროაო, გაიფიქრა ნიმროდმა: ცული ძირს დააგდო. ოფლი შეიმშრალა. შეიმართა თავისებურად და მთელი ძალით მიაწვა სულშეგუბებულ კედარს. არც ამოუკვნესია იმას (იქნებ მკვდარიც იყო უკვე), ისე გადაიქცა. დაასკდა მიწას და მიწაც იძრაო თითქოს, ამოიგმინა გულსაკლავად და ჩაცხრა.

ნიმროდმა ისევ წამოავლო ხელი ცულს და ცაბაოთის სახეც დაუდგა თვალწინ.

– ეს შენ ხარ ცაბაოთ?!

– უკვდავმყო გინდა? შენც ხომ შემოქმედი ხარ?!

– შენსავით?!

– როგორც გინდა, ისე იფიქრე. მე ხელს აღარ შეგიშლი, ჰქენ, რაც ჩაგიფიქრებია!

და ნიმროდიც ძალად იქცა, იქნებ ყოვლისშემძლედაც.

დაღლით რა დაღლის ნიმროდს?!

გამოთალა ზუსტად თავისი სიმაღლე მორი და ფეხზე შეაყენა (არც შემცდარა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდო, მოესმა ამ დროს და მაღლა აიხედა: ელოდა, როდის იელვებდა, მაგრამ ზეცა აღარ შემოხმიანებია. ნიმროდო, მეორედაც დაუძახეს. ხმას მორი გამოსცემდა.

– რაო, რას მიბრძანებ, ცაბაოთ? – ხელი შემოარტყა ნიმროდმა მორს.

– არ დაგავიწყდეს, რომ სულიც უნდა შთამბერო!

– სწორედ ამაზე ვფიქრობ! – უნდოდა ცული შემოექნია ახმიანებული მორისთვის კი არა, თვითონ ცაბაოთისთვის.

– დრო რომ აღარ იცდის, ნიმროდ!

ნიმროდს ხმა აღარ გაუცია, თავისი საქმე უსიტყვოდ განაგრძო. მხოლოდ მზის ჩასვლისხანს მორჩა საქმეს. შეხედა თავის ქმნილებას, ბარე სამჯერაც შემოუარა თავის ქმნილებას, თითქოს კმაყოფილიც იყოო, მაგრამ ახლაც არ ამოუღია ხმა.

მაღლა ცაბაოთი ღელავდა. მაგრამ თავს მაინც მოერია და: – ბარემ სულიც შთამბერე, ნიმროდ! – ისევ ალაპარაკებულიყო კაცი-კედარი, – თუ არ შთამბერე სული, ცაბაოთიც ხომ ვერ ვიქნები?!

თითქოს დასცინოდესო და: ამის შეძლება შენ ვინ მოგცაო, ნიმროდ?! თუმცა სცადე, და გამოგივიდეს იქნებ?!

– ადამს რომ შთაბერე სული, ისე ხომ არა?!

– სწორედ ისე...

– სწორედაცო?! მაშ, მოემზადე, ცაბაოთ, და არ დაგავიწყდეს, რომ ადამი ხარ!

– და რას მიპირებ?

– ვითომ არ იცი?! მაგრამ: თუ უფალი ღმერთი ვერა, ნათელმხილველი ხომ მაინც უნდა იყო! ფეხი შეადგი ხვალეში და... ესეც არ შეგიძლია?! მართლა ვერ გამოგიცნია ჩემი ჩანაფიქრი? როგორც გინდოდეს! მაგრამ დრო მართლა რომ არ იცდის?! – თქვა ნიმროდმა და უხმო თავის ბედაურსა და ბრძენ ბუს.. ამოიჩრის თავის ქმნილებას იღლიაში და:

სივრცისეული გზაც გაიჭრება ბაბილონისკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ბაბილონი: ერიდუ... მზის მოედანი(.) ბაბილონის გოდოლი....

ნიმროდმა ახედა მზეს და იელვა. ნიმროდიცა და მზის ქანდაკებაც შენიშნეს მაღლა.

– ნიმროდ! – იელვა მეორედაც, რასაც ჭექა-ქუხილიც მოჰყვა.

– თვითონ ბრძანე, ცაბაოთ! – ასძახა ნიმროდმა.

– და როგორ გგონია, ეს არის ჩემი ჭეშმარიტი სახე? ხომ არ გეშლება, ნიმროდ? – თითქოს და შეაჟრჟოლა ზეცას.

– არა ცაბაოთ, არაფერიც არ მეშლება! ცაბაოთი კი არა ვარ?! შენი სახე, რომ მეხსიერებაში ჩამრჩენია, ეს შენთვისაც ცხადია. მეხსიერება სასწაული ფენომენი ყოფილა!

– აი, ხომ ხედავ, ნიმროდ, თუ რა წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია შენზე ჩემს შთამბეჭდავ სახეს! კარგად გამოგსვლია, ამას ვერ უარვყოფ. ბრწყინვალე ნახელავია!

– ხედავ, ცაბაოთ, არც შენზე ნაკლები მეხსიერება მქონია მე და ახლაც ჩვეულებრივი ადამიანი გგონივარ? – დოინჯი შემოიყარა ნიმროდმა და გამარჯვებულის იერი მიიღო.

– მართალი ხარ, ნიმროდ, ჩვენ მეხსიერებაზე ვლაპარაკობთ და ამ დროს, როგორ გინდა მეხსიერებიდან ამოიგდო ჩემი ღვთაებრივი სახე?

– როგორ?! – შეჰყვირა ნიმროდმა და მეხანძრეს უხმო. მეხანძრესაც აღარ დაუხანებია და იმ წამსვე გამოეცხადა ნიმროდს. ხელში ჩამქრალი ჩირაღდანი ეჭირა, ჩამიქრა და ვერაფრით ავანთეო, თავს იმართლებდა.

ნიმროდმა ხელიდან გამოგლიჯა ჩირაღდანი მეხანძრეს და მაღლა შემართა. ჩირაღდანი კვლავ წამოინთო.

ეს როგორო, იკითხა ცაბაოთმა და ნიმროდმაც პირში მიახალა: – ცაბაოთ, შენ მაინც მოგიწევს თვალის ახელა! მაგრამ იცოდე: არც შენ მჭირდები და აღარც შენი სახება! – სახეწამონთებულმა კედარის ხიდან გამოთლილ უფლის სახებას აბრიალებული ჩირაღდანი აუსვ-დავსვა (ბარე სამჯერ).

– ნიმროდ, რას შვრები?! – დაბზარულიყო მთლიანად ზეცა. – სხვა არც არაფერს მოველოდი შენგანო, ამოიგმინა ზეცამ. კვამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლში გაეხვია ქანდაკება. მერე: კვამლში რამდენიმე ადგილზე ცეცხლის ალიც ამოლაპლაპდა წყვდიადიდან და წყვდიადიც აღარ იყო! იყო ცეცხლმოდებული ცაბაოთი და არაფერი სხვა(!)

იწოდა ცაბაოთი-ქანდაკება და მაშინ იყო, თვალისმომჭრელად რომ იელვა. სული, სული ჩაშავებოდა დაბზარულ ზეცას.. ზაცაც გადაიხსნა და ნიაღვარივით გადმოსკდა წვიმა. გამოსავათებულ მიწას შეხუთვოდა სული.

იხილა ცაბაოთმა დანახშირებული ქანდაკება და მოეწურა სული.

„სახეგადაშლილი ქანადკება...“ – ამოთქვა ზეცამ და სახელშელახულ მიწას წყელა-კრულვა ჩამოაბერტყა თავს.

* * *

ჩაფიქრებული ცაბაოთი: „ნიმროდიო, მაგრამ რომელი ნიმროდი?! იყო კი ასეთი ვინმე? ეს ნიმროდი კი...“ – ხმას დაუწია, ნიმროდს რომ არ გაეგონა და სათქმელსაც ფრჩხილებში ჩასვამს (ჩემი ქმნილებაა მეხსიერება დაკარგული ადამი... თიხისგან რომ გამოვძერწე და ვერც ვერასდროს გაიგებს სინამდვილეს). საერთოდაც: არად მაგდებს. მე „არავინ“ ვარ მისთვის, არაფერი! – ადამიანთა მოარული ნათქვამი გაახსენდა: „ტილს რომ ფეხის ფრჩხილზე დაისვამ, თავზე აგაღოღდებაო.“ დიდებული ნათქვამია!

ჰოდა: იმ ჩემს ადამს მივეცი თითქმის ყველაფერი. სიცოცხლეს ვაზიარე! და რით გადამიხადა?! მეც როგორი აღმაფრენით, შთაგონებით ვძერწავდი ჩემს ადამს და თუკი: დროულად არ მივიღებ სათანადო ზომებს, წარმომიდგენია, რა დღეში აღმოვჩნდები... ჩვეულებრივიც როდი იყო ის თიხა-მასალა, რომლისგანაც ჩემს ადამს ვძერწავდი?! ორი შედგენილობისა გახლდათ ის თიხა. პირველი: თიხა იმ წმინდა ადგილიდან, სამოთხიდან მქონდა ამოღებული, მეორე: ჩრდილოული თიხაა, ორ ზღვას შორის მოქცეული მიწიდან. ორივე ეს თიხა ავრიე ერთი მეორეში, ავზილე და დიდებული სურნელოვანი ნაზავი მივიღე. მერე ვძერწე და ვძერწე შთაგონებულმა და გარკვეული სახე-ფორმაც მივეცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვცდილობდი კი, რომ ნაადრევად არ ამემეტყველებინა, უშინაარსოდაც ხომ არ მეყოლებოდა?! ჰოდა: ერთხელაც, წამით რომ ჩამთვლიმა, იდროვა ჩემმა მარჯვენა ხელმა, იმ მართლა უკუღმართმა, მაგრამ გრძნეულმა სულმა და წამართვა ჩემი ადამი. ჩემი ადამიო, ვამბობ, თორემ... მინდოდა ჩემი ყოფილიყო და უკვდავებასაც მეზიარბინა, და ის მაცდუნებელი გრძნეული სული, თვითონ ეშმაკი არ დაეპატრონა?! მერე და მერე თვითონ ადამმა აღარ ინდომა, დამბრუნებოდა... სული, სული თუ მოუწამლა იმ უწმინდურმა?! ადამი: ზნეობრივადაც უნდა ამემაღლებნა და: როცა საქმის ნახევარი მომთავრებული მქონდა, ჩამთვლიმა წამით და წამი იგი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ადამის სულს სხვა დაპატრონებოდა. ასე წარმტაცეს მე ადამი.

მაინც სად შემეშალა ხელი, სად მომივიდა მარცხი? სულიც კი შთავბერე! მაგრამ ის ადამი, რომელიც ჩავიფქრე, ის ჩემი იდეალი სად არის? არის კი?! რატომ ვერ მივადევნე თვალი? და ის ადამი, ჩემი იდეის ნაყოფი, თვალი რომ ვეღარ მივადვენე, ვთქვათ და გამომეცხადა?! და მოინათლა კიდეც, მერე? არა, არა ისეთიც ვეღარ იქნება, მე რომ მინდოდა ყოფილიყო. დროც სხვაა უკვე და... ხელახლა გამოვძერწო?! აბა, ერთი, ჰერაკლიტესაც მოვუსმინო?! ჰერაკლიტე ადამიანი იყო და თქვა ერთხელაც: „ერთ მდინარეში ორჯერ (ეს თეორიულად) ვერ შეხვალო?“ მეორე ცდაც რომ ჩამეშალოს და ნახელავიც უარესი გამომივიდეს...

ამიტომ: მიჯობს იმ ჩემს ადამს მივხედო, რომ არს და ქმედებს... სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე მაშინ და ახლა გავიმეტო? მაგრამ მონანიებაზე დღესაც რომ არ ფიქრობს?! ამიტომ: ღირსია სასჯელისა და დაისჯება კიდეც! ახალი სახელიც მოსაფიქრებელი მაქვს მისთვის და ისეთი სასჯელი შევუფარდო, რომ მეორედ შეცოდების თავიც აღარ ჰქონდეს! ვეღარ ამიჯანყდეს და უარესი ოინიც ვეღარ მომიწყოს! ნეტამც დამავიწყდებოდეს, რომ „ნიმროდი ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა?!“ განდიდების მანიით რომ არის შეპყრობილი, ამ სენს მისი არსიდან ვერაფრით ამოვძირკვავ! ეს გენი რომ გამეუქმებინა ადამში?! არ შემიძლია, რადგან შევაჩერებ ადამიანის ევოლუციას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავყინავ ერთ წერტილში, მოვკლა მოძრაობა, რაც საყოველთაო სიკვდილს გამოიწვევს?! შეწყდება წაიღსვლა და ადამიანი ველარასოდეს მომიახლოვდება... ჩემივე ჩანაფიქრი გავაუქმო?! ადამიანი ხომ უნდა მაღლდებოდეს და მაღლდებოდეს! მე მისი დამცრობა და განადგურება როდი მინდა?! ეყოს კეთილგონიერება და შურის თვალით აღარ ამომხედოს! და თუკი ველარ ამაღლდა ადამიანი, ჩათვალეთ, რომ იდეა ჩამიფლავდა!

ადამიანმა კი უნდა გაიაროს ბავშვობა (ეს პირველი საფეხური), დავაჟკაცდეს (მეორე საფეხური) და ხანში შევიდეს (მესამე საფეხური), მერე კი ვნახოთ... თვითონ გადავწყვეტ, რა ვუყო შემდგომ, გააგრძელოს ზეობა, თუ.... სიკვდილის ხსენებაც აღარ მინდა! იმისთვის კი არ მიღვრია ოფლი, რომ შემექმნა ჯერ და მომეკვდინებინა მერე?! და როცა ვქმნიდი ადამიანს... მაინც რატომ დამებადა ეს იდეა?! კარგი, შევქმენი და სამოთხეში დავასახლე... სამოთხე ხომ ის სამჭედლო იყო, რომ მეწრთო ადამი და... საბოლოოდ ჩამომეყალიბებინა მისი არსი და ამ დროს მოვდუნდი როგორღაც, ჩამთვლიმა ალბათ და ისარგებლა ამით ჩემმა იდუმალმა მოწინააღმდეგემ, მეტოქედაც რომ ვერ მივიჩნევდი და... ბოლომდეც ველარ ჩამოვასხი ჩემი ადამი. იქნებ ჩამოვასხი კიდეც, მაგრამ ნაადრევად ამოვიდა ყალიბიდან... წრთობა დააკლდა და: თვითონ გავათავისუფლე ჩემსავე მეურვეობიდან და... ხედავთ, სადამდე მივიდა. ნიმროდი თავისსავე წვენში გამოიწრთო და მომწიფდა კიდეც, შემდეგ კი: ლპობას იწყებს და... და რომ ნიმროდი ასეთია, ისევ და ისევ ბრალი მე მიმიძღვის, რაშიც არაერთხელ გამოვტყდომივარ თავს, მაგრამ თავსაც როდი ვიმართლებ?!

ჰოდა, აღზევებულს უკვე ვეპატარავები თვალში და ჩემი დამხობა უნებებია! აიყოლია ბაბილონელები და სრულიად ბაბილონიც განმიდგა. ნიმროდი წყალივითაა, ევფრატს მაგონებს. მაგრამ ნიმროდი არაფრით დაკმაყოფლდება მიღწეულით, ის თავის ჩარჩოებში ვერც მოისვენებს, ვერავითარ კალაპოტს ვერ შეეუგება! ნიმროდის თვალი ხარბია, მიუშვი ნებას და წყალივით მოედება ქვეყნიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მოთმინება! ნიმროდს ახალ ყალიბში ჩავსვამ. ჯადოსნური ფუნჯი ხელთა მაქვს... საჭირო საღებავიც შევამზადე, მისი შედგენილობა ჯერ არ გამიმხელია ადამიანებისთვის... ერთხელ თიხისგან რომ გამოვძერწე ადამი, ახლა იმ ჭურჭელსაც დავხატავ, რომელშიც ადამს ჩავხატავ და: ჰოდა, ჭურჭელი იგი ის დედა იქნება, რომელიც ვეღარასოდეს იმშობიარებს... რატომ გავიწყდებათ, რომ შემიძლია არსებული მატერია ენერგიად ვაქციო, ენერგია – წყლად, წყალს ავაორთქლებ და ორთქლს კოლბაში მოვაქცევ, თუკი მომინდა, ისევ წყლად ვაქცევ და: აქ ჩაირთვება მარადიული წრებრუნვა, რომლის მართვა მხოლოდ მე – უფალ ღმერთს – ცაბაოთს ძალმიძს... ასე რომ: ნიმროდ, ჩემს გონსაწიერს ვერაფრით დააღწევ თავს! აგლაგმავ, თუკი დამჭირდა! ლაგამს ამოგდებ და... მაცალე ცოტაც და ისე იქნება ყველაფერი, როგორც მე მნებავს ეს!

მე მნებავს, რომ...

* * *

ებერმა უკან მიიხედა და: აღარსად იყო ბაბილონი, აღარც მისი ცადაზიდული, უფართოესი გალავანი და აღარც მისი – მაღალი კედლები. თითქოს არც ბაბილონი ყოფილიყო ოდესმე. აღარც გოდოლი იყო ცათა სწორი. ეულ ღრუბელს ჰკიდა თვალი, აქეთ-იქით რომ დააფარფატებდა ბაბილონური ქარი. ეს იყო და ეს.

„ჩემი ბაბილონი... ჩემი ბაბილონელები... ნუთუ ფეხს ვერასოდეს დავადგამ ქალდეის მიწაზე? სადა ხარ, ბაბილონ?! ნუთუ ფეხშიშველი ვეღარ გავივლი ბაბილონის დაცვარულ მოლზე, ვეღარც ცვარნამით ჩამოვიბან სახეს. ნუთუ ალიონზე ვეღარ გამომაფხიზლებს მზის მოედანზე აღმართული დიდი სამლოცველოს ზარი? ზარი ყოველთა ბაბილონელთა და... მიმწუხრისას თვალმილულულს თან არ გადამყვება ძილბურანში ქალდეველ მოგვთა დაისის ლოცვა?!“ – მაგრამ ისიც იგრძნო, რომ აწი ვეღარც ნიმროდის გრძელი ხელები მოწვდებოდა.

გზა ჩრდილოეთისკენ ხსნილი იყო მისთვის. ბნელეთში ჩარჩენილიყო ნიმროდი, ბაბილონიც წყვდიადს შთაენთქა და რა ბედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწეოდა, აღარც ეს უწყოდა ებერმა. აეწვა სული.

რატომღაც დადგა: ვერც წინ წაედგა ნაბიჯი და ვეღარც – უკან. აფორიაქებულმა ძირს დაიხედა: რკინის ქალამნებს თასმები შეხსნოდა: „იმის ნიშანი ხომ არ მეძლევა მაღლიდან, რომ უკან გავბრუნდე?!“ – იმის დასადასტურებლად, რომ გული არ ატყუებდა, მაღლა აიხედა.

გაბზარულიყო მის თვალწინ ზეცა და ამ ბზარებიდან ბაბილონელთა ციური ცრემლი და სისხლი მოჟონავდა. მერე: სისხლ-ცრემლი, თუ ცრემლ-სისხლი...

მოესმა გოდებაც და სული მოესუსხა: ბაბილონი გოდებდა და ასეთ დროს მიეტოვებინა ბაბილონი, ასე თბილი და მშობლიური, მაგრამ ატირებული ბაბილონი?! აღარ მიშველებოდა?! სულაც გადავიწყებოდა ცაბაოთის დანაბარები: თუ ბაბილონელი აღარ იქნება, ბაბილონიც აღარ იქნება და რად უნდა მაშინ ცოცხალი თავი?! დაე, ისიც ისევე აღსრულებულიყო, როგორც კვდებოდნენ ბაბილონი და ბაბილონელები!“ - პირი ბაბილონისკენ ჰქნა. აჰა, ბაბილონიც და გადააბიჯა ზღურბლს, უკან დარჩა ბაბილონის კარიბჭე. ებერი ბაბილონშია, თავის ბაბილონში. თავი აიღო მაღლა და: აზიდულიყო ნიმროდის გოდოლი, იდგა ამაყად, მაგრამ დაბზარული და მაინც ურყევი, მთლად მტკიცე ვერა, მაგრამ – შეუვალი. გოდოლსაც ნიმროდის სული თუ უბორგავდა და შეაჟრჟოლა ებერს.

და:

სადაც ებერია, იქ ხალხი იყრის თავს და ისიც მართალი სიტყვით მიმართავს ხალხს; აზრი გასხივოსნებია და ბაბილონელებსაც აღარ ძალუძთ, ყური არ მიაპყრონ მართლის მთქმელს. ებერი თავად ჭეშმარიტებაა, მაგრამ მათი გულიც და სულიც ნიმროდს რომ უპყრია?!

ებერი უშიშრად მოუწოდებს ყველას, ვისაც სჯერა, თუ არ სჯერა მისი, თვალი გაუსწორონ სინამდვილეს და ზურგი შეაქციონ ღვთისმგმობელ ნიმროდს.

და: წვდებოდა მისი ფიქრი და სიტყვა ბაბილონელთა ყურს.

ამაყად გაისმოდა მისი მოწოდება: „ძირს ნიმროდი, მტერი ღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისა და კაცის, მტერი და მგმობელი ჭეშმარიტის, ჭეშმარიტების! ბაბილონელნო, წილი არ დაიდოთ წყევას მიცემულ ქამიტთა უკეთურ წამოწყებაში!“

მაგრამ ღაღადისი მისი სულ ამაოა, რადგან ცოდვისმოყვარე ადამიანებს მაინც არ ესმით ღვთისკაცის სიტყვა და უკეთური ნიმროდის დაპირებებით სულდგმულობენ.

ებერი მხოლოდ თავის საგვარეულოს დარწმუნებას თუღა შეძლებს და მათთან ერთად განერიდება ნიმროდს.

ბაბილონი ნიმროდია უკვე და ნიმროდი – ბაბილონი!!!

* * *

ისევ ელვის სახით გამოეცხადება ებერს უფალი ღმერთი ცაბაოთი და უბრძანებს, გადაირჩინოს თავი და ენა ქალდეველ-ქარდუხთა, სარწმუნოება ყოველთა, გამოკრას აბგაში თიხის ფირფიტებზე გამოკვეთილი ასო-ბგერები, ღვთაებრივი იგი ანბანი და გაქრეს ბაბილონიდან.

და ებერიც კვლავ ამოისხამს რკინის ქალამნებს და დაადგება გზას ჩრდილოეთისკენ.

თარგამოსის ქვეყანაში თუ იყო შველა! იქ თანამდგომიც ბევრი ჰყავდა ებერს: თვითონ თარგამოსი და ძენი მისნი. და ქარდუხთა ქვეყანაც დღეიდან მისიც უნდა ყოფილიყო!

ჰოდა: თარგამოსიანთა მიწა ეძახდა ებერს და აწი ვერანაირი ძალაც ვეღარ შეაჩერებდა.

ესეც უფლის ნება იყო და არც ეეჭვებოდა ამაში.

იქ: ბაბილონში კი იგრძნო ნიმროდმა: სადაცაა ხელიდან უნდა დასხლეტოდა ებერი და თავისი მფრინავი ასეული დაადევნა იმის კვალს...

რეას ზეპირი დღიურებიდან:

„... მას შემდეგ აღარ მინახავს ნიმროდი. ნახვას ვინ ჩივის: თვალიც აღარ მომიკრავს მისთვის. უნებურად ის დღე მახსენდება, სარკმლიდან რომ გადმოვიდა კაცი-ბუმბერაზი. ბაბილონისხელა და ბაბილონზეც მაღალი და კითხვაც არ დამბადებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან როგორ ამოვიდა ამსიმაღლეზე, ან ამ პაწია სარკმელშიც როგორ გამოატია თავი?! მაგრამ მარტო კაცია ნიმროდი?! ღვთაებრივი სამოსელი მოირგო... ნიმროდი ხომ თავად ღმერთია და ღმერთისთვის ხომ არაფერია შეუძლებელიც და დაუშვებელიც. მართლა ღმერთივით არ გამომეცხადა?! და: ისევ ღმერთივითო, რომ დამიჩემებია?! და რატომ ღმერთივით, როცა ღმერთია, ფეხსაც არ აკარებდა იატაკს, მოირწეოდა სივრცეში და შემოვიდა ჩემში, ამოვივსე ნიმროდით და: მე ვნეტარებდი, ღმერთო! განმადიდა ნიმროდმა, თავი მართლა ქალღმერთად წარმომედგინა მე – ბაბილონელ დედოფალს...

ბედნიერი დღე იდგა ჩემთვის! დღე, რომელიც მარადიულ დროდ ქცეულიყო... ჰოდა, დროსაც იმ დღით აღვიქვამ. იმ დროით ვცხოვრობ დღესაც...

ოჰ, ნეტავი, კიდევ ერთხელ გამომეცხადებოდეს ჩემი ღმერთი და შემოვიდოდეს ჩემში, მაგრამ გული ავს რომ მიგრძნობს?!

თითქოს: თითქოს ახლაც ჩემში იყოს ნიმროდი და გამოდიოდეს... გამოდიოდეს და ვცარიელდებოდე. გადმოსხივდება სადაცაა და ჩამომიბნელდება სულში...

ჰოდა: მიმატოვა ჩემმა მზემ, ჩემმა უფალმა ღმერთმა აღარ ინდომა დარჩენილიყო ჩემში. და მართლა რომ დამეკარგოს?! რომ გადამეკარგოს სადმე?! რაღა ფასი ექნება მაშინ ჩემს სიცოცხლეს?! უნიმროდოდ რა გამაძლებინებს?!

ზოგიც: უგულოა ნიმროდიო, იტყვის... თქვენ არ იცნობთ ნიმროდს. იგი ღმერთია ჭეშმარიტი, თავად – ჭეშმარიტება!

და ნეტა არ ყოფილიყო ამხელა!

ღმერთი დავკარგე, ღმერთი! მერე და ერთისთვისაც რომ არაა ნიმროდი?! საყოველთაო სულია, სიყვარულისთვის გაჩენილი. სრულიად სიყვარული! და უყვარს ნიმროდს! უყვარს ისე, თავისებურად, არა ადამიანურად. მისებრ ვერავის ეყვარება... ნიმროდი სასწაულია, სასწაულზეც მეტი! სასწაულზე სასწაული!

დამიჯერეთ, ნიმროდი ღმერთია! ნიმროდია ჭეშმარიტება! ხომ ციური არსია ნიმროდი, მაგრამ ყველაზე მიწიერიცაა, ყველაზე აღმატებული მიწიერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ნიმროდმა შეაფასა ჯეროვნად და აღიქვა ტიგროისსა და ევფარტს შორის მდებარე მიწა, იხილა და შეიყვარა. მიწასაც და მიწის მუშასაც თავის უკიდეგანო სულში მიუჩინა ადგილი და გაითავისა!

და როგორც ადამი შექმნა უფალმა ერთხელ (თიხისგან გამოძერწა და სულიც შთაბერა), ისე ნიმროდმაც გამოძერწა ბაბილონელი კაცი, მერე ამ ბაბლონელისთვის საარაკო ქვეყანაც შექმნა... ღვთაებრივი ბაბილონი...

ნიმროდი – შემოქმედი დიდი! ჰოდა: უყურა, უყურა ტიგროსსა და ევფრატს შორის მოქცეულ თვალუწვდენელ მიწებს და ბრძანა: – იქმენინ, ბაბილონ!

და იქმნა ბაბილონი!

და: იზრდება თვითონ ნიმროდი და იზრდება ბაბილონიც!

და როცა ჰქმნის ნიმროდი-ღმერთი, არავინ უწყის, რა ხდება იმის ღვთაებრივ სულში?

ნიმროდი: ჩვენი სალოცავი ხატი!

და განა მარტო ჩემია ნიმროდი?!

ნიმროდი ღმერთია ბაბილონელთა და არა მარტო ბაბილონელთა, ღმერთია საყოველთაო, ღმერთი ყოველთა სულდგმულთა!

და როგორ მივაგებთ პატივს ადამიანები ნიმროდს – ჭეშმარიტ უფალ ღმერთს, თავად ჭეშმარიტებას?!

და რატომ არ უნდა იდგეს ნიმროდის ძეგლი ბაბილონის კარიბჭესთან?!

მაგრამ გული ავს რომ მიგრძნობს?!

ჰოდა: თუკი ნიმროდი აღარ უნდა იყოს, მაშინ ნუთუ არ გიფიქრიათ, რა დაემართება ბაბილონს?

ბაბილონი უღმერთოდ?!

ნიმროდი უბაბილონოდ?!

ვამბობ ამას და ენა რატომ არ გამიხმება, რატომ არ ჩამივარდება მუცელში ენა?!

ნუთუ არ გესმის, ნიმროდ, ჩემი? ღმერთო ჩემო და ჩემო ყველავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს რა ხმები მესმის?!

ბაბილონი გოდებს? ბაბილონის მიწაა, რომ კვნესის...

* * *

თავის გოდოლშია ნიმროდი, სვეტებიან დარბაზში. ხან ერთ სვეტთან შედგება აღელვებული, ხან – მეორესთან. ასე შემოუვლის ირგვლივ დანარჩენ ხუთ სვეტს და მალემსრბოლიც მოახსენებს: – უფლის ქალაქში ებერის ჭაჭანებაც აღარაა. მაცნე გვეახლა ისრით დაჭრილი, ებერმა თავი თარგამოსის ქვეყანას შეაფარაო.

ნიმროდს ფიქრმა წაართვა თავი, თარგამოსიანთა განადგურება არა, მაგრამ მათი დამორჩილება კი ნამდვილად ეწადა: შემოიერთებდა ქარდუხეთს, მიწასთან გასწორებულ სამოთხეზეც იფიქრებდა უკვე.

თვალი მოხუჭა: სამოთხე ქალდეასა და ქარდუხს შორის უნდა იყოს... ერთიანად დაცილებული როგორც ქალდეადან, ისე ქარდუხეთიდან: „ყოფილი სამოთხის მხარე რჩება უკან და წამოიჭრება იმას იქით არარატის მთები... ერთგულებაზე დავაფიცებ იმ ველურ ტომებს... იქიდან გავივაკებ და ერთი ხელის გაწვდენაზეა მერე თარგამოსის ზღაპარი ქვეყანა. თარგამოსი წინააღმდეგობას ვერ გამიბედავს! ციხე-ქალაქის გასაღებს ჩამაბარებს და თუკი ჭკუას მოუხმობს, თვითონ ქვეყანასაც გადმომაბარებს უბრძოლველად. მერე, ვაიძულებ ღმერთად გამომაცხადოს. ქედი უნდა მოიდრიკონ ჩემს წინაშე თარგამოსმა და მისმა ველურმა შვილებმაც...“ – ასე ფიქრობდა ნიმროდი და სხვანაირადაც არ შეეძლო ეფიქრა.

:

ფიქრს წაეღო უფალი ცაბაოთიც. იცოდა და აცნობიერებდა კიდეც: სანამ ნიმროდი განკარგავდა ბაბილონს, სანამ ერიდუში, მზის მოედანზე იდგა ნიმროდის ცათამბჯენი გოდოლი, სანამ ანათ-ასხივებდა ბაბილონის შუქურა, სანამ ზედ ბაბილონის თავზე ბრწყინავდა ცისკრის ვარსკვლავი, ვერავინ მოერეოდა ბაბილონის მეფეთ-მეფესა და ქურუმთ-ქურუმს (არავითარ შემთხვევაში უფალ ღმერთს) ნიმროდს. უფალი ერთია და ერთადერთი და ცაბაოთია იგი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრიბა მაშინ უფალმა ცაბაოთმა თავისი ერთგული ანგელოზთა დასი და თქვა ყველას გასაგონად: – ერთი ხალხია და ერთი აქვთ ენა ამ ადამიანებს. ახლა ამათთვის აღარაფერია მიუღწეველი!

– და რა ვიღონოთ? – ანგელოზებმა იკითხეს ერთხმად:

– ჩავიდეთ მიწაზე... – თვალები აბრწყინებოდა უფალს: – ენა ავურიოთ მათ, რომ ვეღარაფერი გაუგონ ერთმანეთს.

ჩაიფიქრეს და ქმნეს კიდეც.

და აირია მიწაზე ყველაფერი(!) მერე ნიმროდის გოდოლში: ადამიანები ვეღარ სცნობდნენ ერთმანეთს...

კირითხურო დურგალსა ჰკლავდა, კირითხუროს – მიწის მუშა, მიწის მუშა – დამკვირვებელს, დამკვირვებელი – სეირის შემყურეს, სეირის შემყურეს – ვარსკვლავთმრიცხველი, ვარსკვლავთმრიცხველს – მშვილდოსანი მფრინავი ათასეულიდან.

იღვრებოდა სისხლი და უცოდველი არც ეს სისხლი ყოფილა. მოჟონავდა ეს დაგესლილი სისხლი დაბზარული კედლებიდან. ზეცასაც სისხლის წვეთები მოწყდა. სისხლის წვიმა ცრიდა და ძლიერდებოდა სულ უფრო და უფრო. გადაღებას აღარც აპირებდა.

ცაზე კი – არც ერთი ღრუბელი! როგორც არასდროს, ისე შენითლებოდა მზეს ცალი გვერდი და სულ ქვევით, ქვევით იწევდა, თითქოს სული მიუსწრებდესო. დაზაფრულ მიწას სული შეკვროდა.

და რა არის ქვეყნად მარადიული, რომ ასე გაგრძელებულიყო? შეწყდა ეს სისხლის წვიმაც(!), მაგრამ აქ ჩამავალმა მზემ წამოჰყო თავი და გადაპილპილდა, გამოაშრო სისხლით გაჟღენთილი მიწა და სისხლისფერი ორთქლიც ავარდა სულშეწუხებულს. მზე კი აჭერდა, რაც კი შეეძლო, ჩასვლაც კი დავიწყებოდა. დაიშაშრა, დაიბზარა მიწა, ბზარებიც უფართოვდებოდა, ცოტაც და ნაპრალებად იქცეოდნენ იგი ბზარები.

მოწყურებოდა მიწას, საცოდავად აბჩენდა პირს. წყურვილს ლამის მოეკლა კაციც. ის წყაროც დაშრა, დაუშრობელს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძახდნენ. ანი ვერავის მოაკვლევინებდა წყურვილს-და ეს უკლავდა გულს.

საშველი აღარსაიდან და ამ დროს ჩამოიგრგვინა ზეცამ: – გაიქეცით ბაბილონიდან!

აწრიალებული სული დარძრწოდა ბაბილონში.

– გაიქეცით ბაბილონიდან! – გოდებდა ბაბილონის მიწა.

გაიქეცით ბაბილონიდან! – ამოიგმინა შეძრწუნებულმა დრომაც და დადგა. შეჩერდა: გაიყინა დრო!

ასე ენება უფალ ღმერთს ცაბაოთს...

* * *

ნიმროდს ვერ დაეჯერებინა, რომ ებერი გადაურჩა. იგი მის თვალსაწიერშიც კი აღარ მოიაზრებოდა, მაგრამ გონსაწიერიდან როგორ ამოეგდო?!

ეს ყველაფერი ცაბაოთის ოინებია, ფიქრობდა იგი. ცაბაოთმა დაასწრო და დაისაკუთრა ებერი. ებერი ნიმროდს აღარ ეკუთვნოდა.

მაინც რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ებერის განდგომა? ადრე ამის მსგავსი აზრიც კი არ დაბადებია ნიმროდს: ამიტომ იყო, რომ ასე ემწარა ებერის დაკარგვა: „უნდა ვაღიარო, რომ ებერი განსაკუთრებული ძალაა და ცაბაოთის ხელში იგი იარაღადაც შეიძლება იქცეს. ცაბაოთიც, რასაკვირველია, ხელიდან არ გაუშვებს ამ შესაძლებლობას.“

ჰოდა: ებერი თარგამოსის ქვეყანაშია და ცაბაოთს ასხამს ქება-დიდებას. ცაბაოთიც „მეცხრე ცაზეა“ სიხარულისგან. ისმენს ებერის ქადაგებას და სიხარულის ცრემლები სდის. იზრდება საკუთარ თვალსა და წარმოსახვაში და მზადაა კისერი მოუგრიხოს ნიმროდს. ელის მოთმინებით საამისოდ შესაფერ დროს და ნიმროდიც გრძნობს ამას, გულიც ეუბნება, რომ შორსაც აღარაა ეს დრო.

ნიმროდმა ძლივს მოიშორა თავიდან არასასიამოვნო ფიქრები, თითქოს დამშვიდდა კიდეც, მაგრამ ისევ შეახსენა თავი იმ აბეზმარმა ფიქრმა და ზეწამოიჭრა, ერთ-ერთ სვეტს იმ შვიდთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განს მთელი ძალით შეასკდა მკერდით, მაგრამ ძვრაც ვერ უყო ადგილიდან და ნაწყენიცა და გაკვირვებულიც დარჩა, რომ ვერ მოერია სვეტს. მერე თავის თავზე გაეცინა, ეს რა მემართებაო და ებერზე ფიქრს შეჰყვა ისევ: „ჯეროვნად ვერ შევაფასე ებერი, ცაბაოთმა კი მაშინვე განჭვრიტა, რა სარგებელიც შეეძლო მოეტანა ებერის გადაბირებას.“

არა, არ ეპატიებოდა ნიმროდს ასეთი წინდაუხედაობა: „ჯეროვნად ვერ შევაფასე ებერის ღვაწლი, მაგრამ მე რომ ნიმროდი ვარ, ხომ უნდა დამენახა, სინამდვილეში რას წარმოადგენდა ეს კაცი?! ვერ დავინახე ებერი! ბეცი ვარ, აღარ ჩავიხედე იმის სულში. ცაბაოთმა კი მომავალში შეიხედა, განჭვრიტა და ყველაფერი იღონა, რომ გვერდით ჰყოლოდა ებერი. ებერი შეიძლება ვარსკვლავებს ვერ წყვეტდეს, მაგრამ ხედავს ამ ვარსკვლავებს, ჭვრეტს და შეიცნობს. შენ კი, თუკი ნიმროდი ხარ, იმოქმედე და სახვალიოდაც ნუღარ გადადებ საქმეს! დღევანდელს დღესვე უნდა მოევლოს!“

ნიმროდისთვის უკვე ცხადი იყო ყველაფერი, მაგრამ იყო კი შესაძლებელი ამ შეცდომების გამოსწორება?

ამაზე ღირდა ფიქრი(!)

„ავიღებ და ჩემს მფრინავ ათასეულს შევგზავნი თარგამოსის ქვეყანაში. მოვიტაცებ ებერს. თუ ომის გაუცხადებლად შევიჭრა ქარდუხთ ქვეყანაში?!“

ამაზე ადრე არც უფიქრია ნიმროდს, მაგრამ თუკი შემოიერთებდა ქარდუხეთს, მერე ის მიწებიც უნდა ჩაეგდო ხელთ, ადამის სამოთხედ რომ მოიაზრებოდა და ქალდეასა და ქარდუხეთს შორის უნდა ყოფილიყო სადღაც: „აქ არარატის მთები გადამეღობება და: მიწასთან გავასწორებ იმასაც. ასე რომ, ერთი ათად გაფართოვდება ჩემი სამეფო...“ – ოცნებამ წაიღო ნიმროდი: – მაგრამ ეს ოცნება სინამდვილედ უნდა ვაქციო! და რისი ღმერთი ვიქნები, თუკი ვეღარ განვახორციელე ჩანაფიქრი?! მაგრამ... – დაცხრა ნიმროდი და გონებაც გაუნათდა: „ქარდუხეთამდე ადრეა ჯერ... იქამდე ადამისა და ევას სამყოფელი... სამოთხეა აღსადგენი. სამოთხის შესასვლელში ადამის ძეგლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღიმართოს... ურჩ თავით მაღლა, მაგრამ იქამდე არარატის მთები მაქვს გასასწორებელი. სამოთხე მას მერე და ბოლოს დიდი ლაშქრობა მომელის ქარდუხეთში... მე კი ნიმროდ-ბიჭივით სული მიმისწრებს წინ... იქაურობას ახალ სულს შთავბერავ... დიდი განმაახლებელიც უნდა ვიყო მე! ასე რომ, ჩემი მფრინავი ათასეულის შეგზავნა მაინც მომიწევს თარგამოსის ქვეყანაში. კბილს მოვუსინჯავ თარგამოსს. წყალივით უნდა შევაღწიო იმ უცხო ქვეყანაში და ქარივით გადავუქროლო, გადავუგრიალო... შიშის ზარი დავცე ისე, რომ ძრწოლამ დაისადგუროს ირგვლივ. ჩემს მეუფებას დავამკვიდრებ ცაში, მიწასა და ჰაერში, ცეცხლს შევუკეთებ და... ყველგან ბაბილონურ სამართალს გავაჩენ!

ასე რომ: შუამდინარეთი (ქალდეადან დაწყებული... ჩემი ერიდუდან) – სამოთხე – არარატის მთები – ბაბილონის ტყუპის ცალი ქარდუხეთი – აი, ჩემი თვალსაწიერი! გონსაწიერს მერე მოვიშველიებ! ჩემი ღვთიური თვალი გადაწვდება ჩემს მიწიერ და საუფლო მიწას სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე და აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ჩემი იქნება დედამიწის ის დიდი ნაწილი, რომელსაც მანათობელი მზე დაასხივებს ერთი დღეღამის განმავლობაში... ასე იქნება ეს! მერე კი: შენც მოგწვდები, ცაბაოთ, ჩემი გოდოლიდან!

აბა, ვინა ვარ მე, თუ არა უფალი ღმერთი – ყოვლისშემძლე, ყოვლისმხილველი და ყოვლის მომცველი, ცისა და მიწის შემქმნელ-გამჩენელი და მისი გამგებელიც!“

* * *

დუღს ქარდუხეთი ფუტკრის სკასავით(...)

თარგამოსი თავის ფიქრის ოთახში განმარტოებულა და არავის იღებს. ხმასაც არავის სცემს. ნიმროდმა საფიქრალი გაუჩინა: ახლაც ჩაესმის ბაბილონიდან ნიმროდის შემონათვალი: – მსმენია ქარდუხთა კეთილგონიერებასა და შორსმჭვრეტელობაზეც და ვიმედოვნებ იმედს აღარ გამიცრუებთ. ადრე შექმნილ შთაბეჭდილებასაც ნუღარ წამიხდენთ. ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენთან იმყოფება ებერი და შენს კალთას ამოფარებია ქალდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი ებერი, ჩემი და შენი სისხლისმიერი ახლობელი, სემის შვილთაშვილი და ჩემი თხოვნაა, თხოვნაზეც მეტი, რომ უკან გადმომცე იგი! ამით შეინარჩუნებ კეთილმეზობლურ ურთიერთობას ბაბილონის ქვეყანასთან... (ნიმროდი: უფალი ღმერთი და ცისა და მიწის დიდი გამგებელი...)

თარგამოსმა იმავე დღეს მოიწვია სამხედრო საბჭო (მზის ჩასვლამდე) და ებერს, ცოლ-შვილის მონახულებაც რომ ვერ მოესწრო ჯერ, ებრძანა დიდ თათბრს დასწრებოდა.

* * *

მელოდებიანო? იკითხა ებერის გულმა და თარგამოსის ხმა პასუხივით ესმა: – გელოდება შენი სახლეული, ნია, ასული ჩემი და შენი მეუღლე, ნეტარი დედა შვილითურთ.

და ებერს სული შინისკენ წაუსწრებს.

ხუთი წელია, აქაურობა დაუტევებია, როგორც იქნა, ეღირსა უკან დაბრუნება, ოღონდაც ტკივა გული, რომ იძულებული გახადეს, გამოქცულიყო ბაბილონიდან და აი, ქარდუხშია.

ბაბილონში ყოფნა და მისი მსახურება, ბედნიერება იყო ებერისთვის, მაგრამ გული აქეთკენაც რომ მოუწედა?

ამიტომ იყო, ერთი გული ბაბილონში დარჩენოდა, მეორე კი თან მოჰყოლოდა.

ელოდნენ დედა და შვილი – ნია და ნოე ბიჭი.

მერე სულ იმაზე ფიქრობდა ებერი, ამ ბიჭში სემისა მეტი იყო, თუ – იაფეტის?

და აქ არის უკვე, სულ ორ ნაბიჯზე, ნიასა და ნოე ბიჭისგან. მაგრამ მათ ნახვას რატომღაც რომ აღარ ჩქარობს?! მისი ნაბიჯის სიგრძეც მოკლდებოდესო თითქოს. აჰა, სულაც შედგა. ბოლოს ნაბიჯის გადადგმის არც სურვილი აქვს და აღარც – ძალა. და უნებლიეთ გაუელვებს: „აქ რომ მოელიან, იქაც ხომ დამრჩნენ; ამიტომაც თან მიხარია, თან მტკივა გული! გამინელდება კი ეს ტკივილი? წინ წაედგა ნაბიჯი, თუ გაბრუნებულიყო უკან?! ბაბილონში დავბრუნდე?! მაშინ ბაბილონსაც დავკარგავ და ქარდუხსაც...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა: წინ წადგა ნაბიჯი. ნაბიჯს ნაბიჯი წამოაწია: – იქნებ აღარც მიმელიან?! ხომ არ დავაგვიანე? მაგრამ თარგამოსმა რომ შემაგულიანა?! – ისევ შედგა გულაძგერებული: – ეს ხომ ჩემი ეზოა... ეს ორი ბიჭიც... და რომელია ჩემი ნოე? რაღაცას ედავებიან ერთმანეთს? ტოლები უნდა იყვნენ. ერთი სიმაღლისანი... ორივეს ოქროსფერი თმები აქვს... ერთი მეორისგან როგორ გავარჩიო ეს ბიჭები? არა და ერთი ჩემია და ორივე მზისდარია. აბა, თუ გამოვიცნო ჩემი? მაგრამ ეს, უფრო ლურჯი თვალები რომ აქვს, უფრო მოკრძალებული ჩანს და ჩემიც ეს მინდა იყოს...

– გიო, თიხა აღარ მყოფნის, ხომ ვერ დამიმატებ?! — ის ბიჭი ითხოვს, მოჭირებულ ლურჯ თვალებს რომ ახამხამებს.

გიოც სულაც არ დაიტოვებს თავისთვის თიხას: – აიღე, მე მაინც არაფერში მჭირდება, ნოე, – იტყვის და თიხის გუნდას გადასცემს მთხოვნელს.

„თიხა?!“ – ენიშნა ებერს და ბიჭებს მიუახლოვდა: „ნუთუ ეს ძალიან ლურჯთვალა ბიჭია ჩემი ქარდუხელი ნოე? ქარდუ... კარდუ? და რა უნდა გამოძერწოს?“

– ნოე! – გამოსძახეს ამ დროს სახლიდან.

– რა იყო, დეე? – გასძახა იმან, ვინაც თიხა ითხოვა და მოჭირებული ლურჯი თვალები ჰქონდა, – რა იყო, დეე? – იკითხა ნოემ განმეორებით და ებერსაც აუძგერდა გული.

– უცნობი ვინმე მოგვდგომია კარს, მე კარგად ვერ ვხედავ... ჰკითხეთ ვინ არის, შემოიპატიჟეთ, მეც ახლავე გამოვალ, დავაკრა ერთი ეს ცომი კეცზე და თავისუფალი ვარ!

ბიჭებმაც ახედეს უცხო ძიას. რომ ველარ იცნეს, დიდი კაცებივით აიჩეჩეს მხრები და ვინ უნდა იყოსო, თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

– ძერწავ? – ჰკითხავს ებერი ნოეს, – რა უნდა გამოძერწო?

– ნოე, ანახე, იქნებ თვითონ ამოიცნოს, ვისი გამოძერწვაც გინდოდა! – ყურში ჩასჩურჩულებს გიო.

– რას კი არა და ვისო, ასე უნდა გეკითხათ... – იწყინა ნოემ და წყენა არც დაუფარავს.

ებერმაც ჩამოართვა ნახელავი ნოეს და რამდენიმეჯერ შეატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალა ხელში. ბიჭებიც თვალს არ აცილებდნენ უცნობს.

– ვინ უნდა იყოს? – ჩაფიქრდა ებერი, – იქნებ ადამი? – სულმოუთქმელად ამოთქვა. – ადამი ხომ მართლაც გამოძერწეს ერთხელ და...

– უფალმა გამოძერწა! ეს მეც და გიომაც ვიცით! – ამბობს ნოე და აღტაცებული თვალებით შეჰყურებს უცნობს.

და ებერსაც რატომღაც ნიმროდი დაუდგა თვალწინ, ბაბილონის მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი, თავი უფალ ღმერთად რომ წარმოიდგინა.

ნოე ბიჭი თითქოს და შემთბარი თვალებითაც კი აჰყურებს ებერს და იმასაც ძალაუნებურად შეუთბება გული. სულში კი სიხარული ჩაგუბებოდა.

ებერმა ნოე ბიჭს ოქროსფერ თმებზე გადაუსვა ხელი და სასიამოდ შეაჟრჟოლა: „ჩემი შვილი თავის ადამს ძერწავს ისე, როგორც უფალმა ღმერთმა ცაბაოთმა გამოძერწა ერთხელ თავისი ადამი...“

– ძია, მართლა ასეთი იყო ადამი?! – უკვე გიო ეკითხება ებერს და ცისფერ თვალებს შეანათებს.

– ალბათ, – დაიბნა ებერი, დაბნეულობამ კი გაუარა, მაგრამ ფიქრებიდან ჯერაც ვერ გამორკვეულიყო.

– ძია, თქვენ...? – ფიქრებიდან ნოე ბიჭის გაურკვეველმა კითხვამ გამოიყვანა ებერი.

– სადაური ვარ? ეს გინდოდა გეკითხა, საიდან მოვდივარ, არა?

– ჰო, საიდან მოდიხართ? – კითხვა დაუზუსტა ებერს ნოე ბიჭმაც.

– ბაბილონიდან... – ამოთქვა ებერმა და ნერწყვი გაუშრა პირში.

– დედიკო ნია მეუბნებოდა, მამაშენი ბაბილონიდან უნდა მოვიდესო... მე და დედა ნია ყოველდღე ველით მამას... – ოცნებამ წაიღო ბიჭი, – ებერია მამაჩემი, გიოს მამა კი – ეგროსი ძია...

– და შენ ნოე ხარ? – დაკვირვებით შეათვალიერა ებერმა ივერი ბიჭი და ხელში აიტაცა, გიოს მაჯას მეორე ხელი წაატანა და კარის ზღურბლს გადააბიჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სამხედრო საბჭოში შედიოდნენ თვითნ თარგამოსი, ძენი მისნი ჰაოსის გარდა (სალაშქროდ წასულიყო სამხრეთისკენ. არარატს დალაშქრავდა ალბათ), სხვა უმაღლესი სამხედრო პირნი და მთელი ქურუმთა დასი (ყველა ქალდეველი).

სამხედრო საბჭოს გადამწყვეტი ხმის უფლებით ებერიც ესწრებოდა.

თარგამოსმა სიტყვა ებერს მისცა.

– მე გამოვექეცი ბაბილონის მეფეთ-მეფესა და ქურუმთ-ქურუმს ნიმროდს. და ქარდუხში ვარ დღეს, თქვენთან. მაგრამ ფიქრით ბაბილონში ვრჩები! ჩემი ფიქრი ბაბილონსა და ბაბილონელთ დასტრიალებს. უფალმა ღმერთმა ცაბაოთმა მირჩია, თავშესაფარი თქვენს ქვეყანაში მეძია, შენი მეორე სამშობლო ქარდუხეთიაო. ჰოდა, თავშესაფარსაც თქვენგან ვითხოვ მე ებერი – სემის შვილთაშვილი, ნოეს მოდგმის, მცველი ჩვენი საერთო საუნჯის, ბაბილონელთა (ქალდეველთა) და ქარდუხთა (ქალდეველთა) საერთო ანბანისა (ასომთავრულის), ასევე საერთო ენისა! – ამოთქვა ებერმა და ამოაყოლა გულიც. დაასრულა სათქმელი და იელვა კიდეც.

ამით: ეუწყა სრულიად ქარდუხს, რომ ებერი ღვთის კაცია და ქარდუხთათვის ღვთაებრივი სიტყვა მოუტანია.

– უფალი ცაბაოთია ჩვენთა – ბაბილონელთა და ქარდუხთა შემწე და მფარველი! დიდება უფალს! – ხელები ზეცისკენ (ცაბაოთისკენ) აღაპყრო ებერმა და მუხლებზე დაეშვა, ჩაიმუხლა მთელმა სამხედრო შემადგენლობამაც.

მიწვდა საერთო ლოცვა უფლის ყურს და იელვა, – მესმაო, – დაიგრგვინა ზეცამ და ისევ გაიელვა.

თვალი ზეცისკენ აღაპყრო სამხედრო საბჭოს მთელმა შემადგენლობამ: მოიხარა ქედი და მოიყარა მუხლი უფლის წინაშე. და ასე გაგრძელდა მთელ ერთ წუთს. მერე: თითქოს გაახსენდათო, ებერისკენ შებრუნდნენ და იმანაც ძალიან ხმადაბლა დაიწყო: – მე რწმენით ვემსახურებოდი ბაბილონს და მის კანონიერ მეფეთ-მეფესა და ქურუმთ-ქურუმს ნიმროდს. საქვეყნოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაცხადებ, რომ იგი არაა უფალი ღმერთი! ცაბაოთია ღმერთი, ერთადერთი და განუმეორებელი! ნიმროდს ეშმაკი შესჩენია და ამიტომაც განდგომია ჭეშმარიტ უფალს. და რომ უფლის ხელა გამხდარიყო, უფალს გასწორებოდა, ბაბილონის შუაგულში, ერიდუში, მზის მოედანზე ააგო თვალუწვდენელი გოდოლი, არნახული და არგაგონილი ცათამბჯენი და თავი უფალ ღმერთად გამოაცხადა! ამის შემდეგ ნიმროდთან აღარ დამედგომებოდა, არც ბაბილონის გოდოლის შენებაში მიმიძღვის წილი... ნიმროდს ბავშვობიდან ვიცნობ. ჩვენ ხომ დიდი წინასწარმეტყველის ნოეს მოდგმისანი ვართ. მე – სემის შვილთაშვილი, ნიმროდი – ქამის შვილიშვილი. ქარდუხეთის მეფეთ-მეფე თარგამოსიც ჩვენი ჯილაგისაა, სემისა და ქამის ძმის იაფეტის შვილთაშვილი. ისევ ნიმროდზე – ორი სიტყვა: ნიმროდი გამორჩეულია კაცთა შორის, მაგრამ ხატზე დავიფიცებ, რომ არაა ღმერთი. ჩვენ ერთი უფალი ღმერთი გვყავს და იგი ცაბაოთია! – ყოვლისშემძლე, ყოვლისმხილველი და ყოვლიმომცველი: ღმერთი ბაბილონელთა, ქარდუხთა და კოლხ-ხალიბ-მოსინიკთა და სხვა ჩვენ მოძმე ტომელთა! სხვა ღმერთი არცა მსმენია და არცა ვცნობ!

ნიმროდი, როგორც უფალი ღმერთი, მიუღებელია ჩემთვის! მე აღვუდექი ნიმროდის ნებას და იძულებული გავხდი, ბაბილონი დამეტოვებინა, ამიტომაც ვარ თქვენთან. ესეც ნებაა უფლის! იქ, ბაბილონში დამრჩა გული, სული კი თქვენთან მოვიტანე. იქ დამრჩა ჩემი მშობლიური მიწა-წყალი, ქალდეა ჩემიც და თქვენიც, შვილები! თან ჩამოვიტანე უძვირფასესი განძი ქალედველთა, ჩვენი საერთო ანბანი, ასომთავრული! ჩვენი ვალია, შევინახოთ იგი, დავიცვათ და შევინახოთ ღვთაებრივი ენა ჩვენი, შევინარჩუნოთ მათი სიწმინდე და განუმეორებლობა.

მე, ქალდეველმა ებერმა მოგახსენეთ თქვენ, ქალედველებს წარმომავლობით, თუ რატომ და როგორ გავხდი ლტოლვილი ბაბილონიდან და თქვენი – ქარდუხთა ხიზანი.

და ბოლოს: სამხედრო საბჭოს მთელ შემადგენლობას მინდა გაგიმხილოთ ნიმროდის განზრახვა და მისი შესაძლებლობანი! საკმარისია იცოდეთ ისიც, რომ ნიმროდი, ესე არს გმირი მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირე წინაშე უფლისა ღვთისა! უძლიერესი მეომარი, მართლაც ბუმბერაზი, მეფეთ-მეფე და ქურუმთ-ქურუმი, დიდი მოგზაური დროსა და სივრცეში, გრძნეული, ჯადოქარი! მაგრამ ღვთის პირისგან გადავარდნილი სული! მოუხელთებელი და მძლეველი ყოველთა სულდგმულთა;

ქარდუხნო! მოემზადენით მის დასახვედრად!

ნიმროდს სიკვდილი მოაქვს, ნიმროდი დიდი რაინდია სიკვდილის ცელით ხელში!

მე დავასრულე! – თქვა და მოეშვა.

– ებერი მართალია! ბრძანა თარგამოსმა: – მართალმა ებერმა მართალი სიტყვა მოგვიტანა ბაბილონიდან! – მაღლა აღაპყრო ხელები, – ებერი ცაბაოთის კაცია! ირწმუნეთ ებერის!

ითქვა და იელვა კიდეც(!)

– ცაბაოთიც ერწმუნება ებერს! ქარდუხნო, დიდება უფალ ღმერთს ცაბაოთს! – შესძახა თარაგმოსმა და იელვა ისევ.

– ქარდუხნი თავისუფალი ხალხი ვართ და არ დავმორჩილდებით ნიმროდს!

– დიდება თარგამოსს! – შესძახა სამხედრო საბჭომ.

გადაწყდა: ღირსეულად დახვედროდნენ ღვთისმგმობელ ნიმროდს (!)...

* * *

თარგამოსი თავის ფიქრის ოთახში:

უცნაურად ეჩვენება ყველაფერი: თითქოს სხვის ტაფაზე იწოდეს.

ეჩვენება თუ რა არის: ნეტა ვინაა ასე უსირცხვილოდ რომ უთვალთვალებს და დასცინის თანაც: „ნიმროდს ერთ ლუკმადაც არ ეყოფიო!“ კისერს მოუგრეხდა ამ ვიღაცას. ის უხილავი მაცდურია, თარგამოსი ვერ ხედავს მას, მაგრამ თვითონ თარგამოსს ხედავენ. გაღიზიანებული ჯავრს კედელზე ამოიყრის, ვეება მუშტებს დაუშენს. გულს იჯერებს და დაცხრება. ის მაცდურიც ქრება არა მარტო ფიქრის ოთახიდან, არამედ მის ფიქრებიდანაც. თარგამოსმა თავისი ცნობიერებიდან ამოიშალა იგი. ახლა მშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდადაა. იმ თავის კუთხეში კი არ ჩაცუცქდა ჩვეულებისამებრ, არამედ ჩაჯდა აღმოსავლელი მოგვივით. თვალები მილულა და: კი აღარ ფიქრობს, ჭვრეტს: ნათლად ხედავს თავის ბედის ბედაურზე ამხედრებულ ნიმროდს, მხარზე ბრძენი ბუ რომ აზის. დაიჭიხვინა ბედის ბედაურმა. ბრძენმა ბუმაც შეჰკივლა სივრცეს და შეერევიან სივრცეს....

თარგამოსი თვალებს ამოიფვშნეტს: და მაინც რის შემძლეა ეს სამეული? ბედის ბედაური სიკვდილს თესავს თავის ირგვლივ, მის ქვეშ (თვითონ ფლოქვსაც არ აკარებს მიწას) სისხლის მდინარე მითქრიალებს. პატრონის მხარს აწვყეტილი ბრძენი ბუც წინ გაიჭრება შურდულივით (გზას ნისკარტითა და ალესილი ბრჭყალების წყალობით მიიკვლევს) და სისხლის მდინარეც ერთი-ორად მატულობს, წამიც და წალეკავს ყველასა და ყველაფერს, იქაურობაცა და აქაურობაც რომ ჰქვია და: რას შვრება ამ დროს თვითონ ნიმროდი?

ათასი წყვილი ხელი გამოსხმოდესო თითქოს და ყველა ეს ხმალშემართული ხელი მთელი ძალით თავს დაატყდება მოწინააღმდეგეს: ბრძოლის ველი გადავსებულია შუაზე განკვეთილ ცხენკაცთა გვამებით და ისევ აღმართულა მტრის თავზე ათასი წყვილი ხმალშემართული ხელი...

ბრძენი ბუც, საიდან სადაო, უკვე მხარზე აზის თავის სისხლმოწყურებულ პატრონს და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს. ნიმროდიც უზანგებზე წამოიწევა, გადმოიღებს იმ თავს მძიმე მშვილდს, მოზიდავს მთელი ძალით და ყოვლის მომაკვდინებელი ისარიც შეიტყორცნება ზეცას.

სადღაც ვიღაცას კვნესა აღმოხდება, რომ მერე ველარასოდეს ამოიკვნესოს...

ყოველივე ამას იხილავს თარგამოსი, დაზაფრულიც ამიტომ ჩანს ქარდუხთა მბრძანებელი. ახლაც თვალწინ უდგას ნიმროდი, ათასი წყვილი ხელი რომ გამოუსხმას და ჟრუანტელი დაუვლის ტანში. ერთი კი მოასწრო, თვალი შეევლო ბრძოლის ჟინით შეპყრობილი ნიმროდისათვის და გააცნობიერა, ვისაც უნდა შებმოდა პირისპირ და ფიქრსაც მინებდა: „თითქოს მე ვყავდე შერჩეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამიზნედ და თუკი ერთ საისრე მანძილზე დამიგულა, არც ამცდება მისი ისარი: განმგირავს და განიგმირება თვითონ ქარდუხიც. დავეცემი და ქარდუხიც დაეცემა!

ამიტომ: სხვა მხედრებისგან ვერ უნდა გამომარჩიოს ნიმროდმა, მაგრამ ასეც როდემდე?! ამიტომ ჩემმა მშვილდოსანმა ძემ კავკასოსმა ნიშანში უნდა ამოიღოს ბრძენი ბუ და: ბრძენი ბუ იმიტომაც, რომ ქარდუხთა ლაშქარში ჩემი გამორჩევა ვერავინ შეძლოს.

... სალაშქროდ გასული ჰაოსისა არაფერი ისმოდა და თარგამოსსაც გადაეწურა იმის იმედი, რომ იმ მართლაც საბედისწერო დღეს შეუპოვარი ჰაოსი აღარ ეყოლებოდა გვერდით. ამიტომ მთელი ყურადღება ქართლოსზე გადაიტანა. თარგამოსს ქართლოსის იმედი ყოველთვის ჰქონდა, სწორედ ქართლოსი ეიმედებოდა...

ეგროსი ხომ გაჭირვების ტალკვესად მიაჩნდა! დანარჩენბსაც თითოეულს თავის ხმალშემართულ მარჯვენად წარმოიდგენდა. ამაში იოტისოდენაც არ ეეჭვებოდა. „როცა ძენი ჩემნი გვერდით მეგულებიან, ნიმროდიც რომ ნიმროდია, იგიც კი არად მიჩნს..“ – ეიმედებოდა თარგამოსს და ამ შეჭირვებულ ჟამს ესეც ჰმატებდა ძალას და მხნეობას.

ჯერ ქართლოსი იხმო – უძლეველი რაინდი, გამოცდილი შუბისმტყორცნელი, მოისარი და მოფარიკავე, შორსმჭვრეტელიც და ერთობ დაღვინებულიც. ჯერაც დაუმარცხებელი, დიდი სარდალი.

ქართლოსს ჰეროსი მოჰყვებოდა – უბადლო შუბისმტყორცნელი, შემდეგ – ბარდოსი – ლოდსატყორცნი მანქანების ამწყობი და ზუსტი მტყორცნელიც; მოვაკანოსიც აქვე იყო – ხიდების მშენებელ-დამგებელი.

– ლეკოსი ახლავე მჭირდება! – ბრძანებს თარგამოსი და ლეკოსიც აისვეტება მის წინ. – ლეკოს, უნდა დამიზუსტო, სად დაქრის ნიმროდის მფრინავი ათასეული. უნდა შეაღწიო თვითონ ნიმროდის გარემოცვაში!

თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებს თარგამოსი, რომ ლეკოსიც აღარსად იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ კავკასოსიც – გამორჩეული მშვილდოსანი.

„მე – თარგამოსს, ახლა ყველაზე მეტად მაინც ეგროსის ფარი და მისი მახვილი მჭირდება!“ – ამას გულში იტყვის თარგამოსი და სიამაყით აევსება გული, – აი, სად უნდა თქვას თავისი სიტყვა ეგროსმა და მისმა ცხენოსანთა ათასეულმა. წინასწარ გადახნულ ბრძოლის ველზეც ის იქნება ბატონ-პატრონი, ბრძოლის ბედიც ხომ იქ უნდა გადაწყდეს!“ – თითქოს ხედავდეს კიდეც მომავალი ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებს: „და მაინც რატომ არ შეიძლება ჩემი სიკვდილი?!“ – დასვამს კითხვას თარგამოსი და თვითონვე უპასუხებს: „მე მოაზროვნე თავი ვარ. ხელები კი – ჩემი შვილები! ებერიც გვერდით მეყოლება, იგი თუ დამიამებს ჰაოსის გადაკარგვით დანაღვლიანებულ გულს. ვგონებ ებერის დროც უნდა დადგეს!“

თარგამოსის აზრით ებერი ქარდუხთა დიდი შენაძენია. ებერმა იცის ბალახის ენა, ყოველი სულდგმულის ენაც. მერე და უფალი ღმერთის ცაბაოთის მესიტყვეა დედა მიწაზე...“ – თვალს დახუჭავს და მის თვალწინ ჩაიქროლებს ნიმროდის მფრინავი ათასეულები: არარატის მთები რომ გადმოელახათ და ცეცხლოვან რაშებზე ამხედროებულნი მოარღვევდნენ ცასა და მიწას. ყიჟინით უახლოვდებოდნენ ყოფილი სამოთხის სანახებს, უფრო: ნასამოთხარს, – სადაცაა მოადგებიან ჩემს ქარდუხს!“ – გაჰკენწლა თარგამოსს, წამოდგომა დააპირა და ვეღარ წამოდგა. მოდუნებოდა ყოველი კუნთი, აღარ ერჩოდა ძალაც და აკანკალებოდა მგლის მუხლიც.

„მე უნდა წამოვდგე!“ – უბრძანა საკუთარ თავს. წამოდგომა ენება და სისხლიც აუმოძრავდა ძარღვებში, მოდუნებული კუნთები მსწრაფლ აღუდგა და ზეწამოიჭრა, თავი მაღლა აიღო და მზერა ცას მიაბჯინა: „ღმერთო, თუკი უნდა გაგვანადგუროს ნიმროდმა, ნულარ გამითენებ ხვალინდელ დღეს! და თუკი გამითენებ, მოიღე მოწყალება და ნიმროდი დამამარცხებინე! ისე ჰქენი, რომ თავქუდმოგლეჯილი გარბოდეს ამ ჩვენი წმიდა მიწიდან. — მუშტები შეკრა და იგრძნო, დაბრუნებოდა ძველებური ძალა და შემართება. იგი უძლეველია, ახლა ეშმაკსაც შეებრძოლება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ვერა, ვერ მოგვერევა! ქარდუხს ვეღარავინ წააქცევს! – საბრძოლოდ შემართული გამოვარდა თავის სასახლიდან, ზურგზე მოევლო თავის უზარმაზარ რაშს და ციხე-ქალაქიც უკან დარჩა. მის წინ გადაჭიმულ თვალუწვდენელ დაბლობს მათრახივით გადააწნა მზერა და გულმაც ამოუთქვა: „აქ დავხდებით ნიმროდსა და იმის მფრინავ ათასეულებს... – უცებ გონება გაუნათდაო თითქოს: – ეს ველი პირწმინდად გადაიხნას და ბრძოლის წინა სწავლება-მზადებაც აქვე შედგეს! ცხენიცა და ფეხოსანი მეომარიც ამ გადახნულ ველზე უნდა გამოიწრთოს, ნიმროდის მფრინავი ათასეულები აქ წაიბორხილებენ და სულიც აქ ამოხდებათ! ასე რომ: ამ გადახნულ ველზე ნიმროდის მხედრობა წაიფორხილებს და უკან გაბრუნდება კუდამოძუებული, ჩვენ კი არ ამოვათქმევინებთ სულს. აქ ეგროსის ჟამიც უნდა დადგეს! ხელი უნდა გამოიღოს ეგროსის მხედრობამ. ვერც ნიმროდის ბედის ბედაური გამოიჩენს თავს და ბრძენ ბუს ხომ კავკასოსის ისარი მოუღებს ბოლოს!...“

* * *

სამხედრო საბჭო ღია ცის ქვეშ შედგა.

თარგამოსმა თავისი საბრძოლო გეგმა გააცნო სარდლობას. მეთაურებმაც ერთხმად მოიწონეს თარგამოსის მიერ წარმოდგენილი საბრძოლო გეგმა.

მზის ჩასვლამდე სულ გადაიხნა თვალუწვდენელი ველი და ამ დაბლობის გაგრძელება – აღმართ-დაღმართიც...

ქარდუხში განსაკუთრებული მდგომარეობა გამოცხადდა, საომარი განწყობა სუფევდა ყველგან.

წინასაომარი მზადება დაწყებულიყო....

* * *

თარგამოსი საიარაღოში შევიდა და ნიმროდის გამოგზავნილ გაღუნულ შუბს დასწვდა: „ეს შუბი ქარდუხში უნდა გაიმართოს, მხედრობის თვალწინ. თუკი ვერ შევძელი, უკანვე უნდა გაეგზავნოს ნიმროდს, რაც მარცხის აღიარების ტოლფასი იქნება. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბისა და საერთოდ ბრძოლის ბედიც ხვალვე უნდა გადაწყდეს. შუბი უსათუოდ უნდა გაიმართოს და სირცხვილის ოფლსაც ასე თუ შევიწმენდთ. იმედი უნდა გავუცრუოთ ნიმროდს და ეს ბრძოლის წინ უნდა მოხდეს! მაგრამ დღეს?!“ – მოღუნული შუბითურთ გამოვიდა საიარაღოდან და თავის ფიქრის ოთახს მიაშურა.

უკვე თავის ფიქრის კუთხეშია ფეხმორთხმული. მოღუნული შუბი წინ უდევს და თვალმოუცილებლად დაჰყურებს: „და მაინც: ჩემი გასამართავია! ვცადე ერთხელ და დამამარცხა ნიმროდმა...“ – გაიფიქრა და ჟრჟოლამ აიტანა. და მეორე ცდაზეც მომეცარება ხელი?! გამამართვინა ერთი და იმდენს კი შევძლებ, რომ გული გავუგმირო ნიმროდს. ნიმროდი დარწმუნებულია რომ მის გაღუნულ შუბს, თვითონ თუ გამართავს მხოლოდ და თავსაც არხეინად გრძნობს... იცის: თხემით ტერფამდე რკინით და რვალით შეჭურვილს ვერავინ ვერაფერს ავნებს!“ – თვითონაც არ უწყის თარგმოსმა, რატომ მოხუჭა თვალი, მაგრამ რომ გაახილა, იელვა მაშინ.

უფალი ცაბაოთი აუწყებდა თარგამოსს, რომ მისი ესმოდა და თანაუგრძნობდა კიდეც:

– თარგამოს, დიდ ომს გადაიხდი და თუკი ნდობით მოეკიდები ჩემს სიტყვას, გაიმართება ნიმროდის შუბი და ამ შუბითვე განიგმირება ნიმროდი. ეს შუბი და ნიმროდისეული ისრები თუ შეაჩერებენ ნიმროდს! რაც ჩაგიფიქრებია, აღასრულე და... მე ვიქნები შენი შემწეც და მწყალობელიც!

„თარგამოს! ხვალ დილა უთენია წამოდექი და საცივის წყალი რომ მოწანწკარებს ებერის სამლოცველოს წინ, ერთი ხელადა წყალი ამოიღე, ახსენე ჩემი სახელი და სულმოუთქმელად დაცალე. ერთი წვეთი არ ჩარჩეს შიგ! მერე ვნახოთ, თარგამოს!

თარგამოსმა ის ღამე თეთრად გაითენა. და დილა-უთენია ჩააკითხა საცივის წყალს. ერთი ხელადა ყინულივით ცივი წყალი სულმოუთქმელად შესვა და საოცარი ძალის მოზღვავებაც იგრძნო. გმადლობთო, ასძახა ზეცას და ლოცვა აღავლინა უფლისა მიმართ.

მოევლო ზურგზე თავის ცეცხლოვან რაშს და მომავალი ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ველისკენ გააჭენა. უკან ორი საჭურველთმტვირთველი მოსდევდა: ერთს – მეწინავეს ნიმროდის გაღუნული შუბი მოჰქონდა.

მხედრობა გადახნულ ველზე ელოდა თავის მთავარსარდალს. მათ შორის იყვნენ თარგამოსის ძენი ჰაოსის გარდა. თარგამოსი მიესალმა სამხედრო საბჭოს წევრებს, მერე მხედრობას წარუდგა. მხედრობა მიესალმებოდა ქარდუხთა მეფეთ-მეფეს და მთავარსარდალს.

თარგამოსმა უხმო თავის მეწინავე საჭურველთმტვირთველს და იმანაც გადააწოდა ნიმროდისეული გაღუნული შუბი. თარგამოსმა მაღლა შემართა გაღუნული შუბი და მხედრობას მოუწოდა, ვისაც ძალა ერჩის, შეუძლია სცადოს და გაასწოროს ნიმროდისეული მოღუნული შუბი.

მსურველთა გრძელ რიგს თვალი შეავლო თარგამოსმა და გული სიამით აევსო, სულ რჩეულ ვაჟკაცებს გადაეწყვიტათ ეცადათ ბედი.

– უმაღლეს ჯილდოზე წარვადგენ იმას, ვინც ამ შუბს გაასწორებს, გამარჯვებულს ჩემგან გადაეცემა ნოყიერი მიწები ჩვენი მდინარის გასწვრივ.

ჰოდა, დიდი შეჯიბრიც დაიწყო. თვითონ ნიმროდს იწვევდნენ ბრძოლაში ქარდუხელი გოლიათები. ბოლო მსურველსაც რომ გაუცუდდა ცდა, მაშინ იელვა.

„უფალი ნიშანს მაძლევს...“ – გაუელვა თარგამოსს და ისევ იელვა.

და ესმა თარგამოსს: – თარგამოს, შენი დროც დადგა! დაე, იხილოს შენმა მხედრობამ, რომ უძლეველი ხარ, მაგრამ ჯერ ირწმუნე ჩემი და მოერევი ნიმროდის შუბს! ირწმუნოს ჩემი შენმა მხედრობამ და ნიმროდიც ველარ მოგერევათ!

გაღუნული შუბი თარგამოსსვე დაუბრუნდა. მხედრობაც სუნქვაშეკრული შეჰყურებდა თავის მთავარსარდალს: – ქარდუხთა მეფეთ-მეფეს.

თარგამოსმაც ახსენა ღმერთი და შესთხოვა: – უფალო, შემაძლებინე შეუძლებელი! – და იელვა ისევ. ახლა კი ირწმუნა ყველამ, რომ შეისმინა უფალმა ცაბაოთმა თარგამოსის თხოვნა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარდუხმაც მუხლი მოიყარა უფლის წინაშე. იელვა ისევ: – თარგამოს, ირწმუნე შენი უძლეველობა და შეუძლებელსაც შეძლებთ შენ და მხედრობა შენი! – ელვამ მორკალა აღმოსავლეთი და აღარც შუბი გაძალიანებია თარგამოსს. დაჰყვა მის ნებას.

აქ წამიერმა დუმილმა მოიცვა სრულიად ქარდუხეთი, რის შემდეგაც ამოითქვა ერთხმად: – დიდება თარგამოსს, უძლეველს, შეუძლებლის შემძლეს!

– უფალ ღმერთს ცაბაოთს დიდება, თარგამოსს შეუძლებელი შეაძლებინა! — ზეცას წვდებოდა მხედრობის ხმა.

* * *

თარგამოსი ბრძოლის ჟინს შეეპყრო, ნიმროდი კი, თითქოს განგებ, იგვიანებდა.

– ჩვენი დღე დაიწყო! – შესძახა თარგამოსმა და თავისი ცეცხლოვანი რაში ყალყზე შეაყენა. რაშიც წუთით გაიყინაო თითქოს და კამარა შეჰკრა...

* * *

ბედის ბედაური ფლოქვებით ჩაეფლო ხნულში და ნიმროდმაც უცებ იაზრა, რაშიც იყო საქმე. სადავე მოზიდა თავისკენ და ბედაურმაც შეიკავა თავი... წონასწორობა მსწრაფლ აღიდგინა და ელვის უმალეს ყალყზე შედგა, რომ თავს არ გადავლებოდა გმირი მხედარი. ნიმროდმაც იგრძნო მოსალოდნელი ხიფათი და ერთიანად დაიძაბა, ერთ კუნთად შეიკრა და თავის ბედაურს სისხლხორცეულად შეერწყა. ბრძენმა ბუმაც შეიფრთხიალა, გაშალა ფრთები და პატრონის მხარს ააწყდა, დაეკიდა ჰაერში და როცა იგუმანა, რომ საშიშროებამ ჩაუარათ, ისევ დაეშვა ნაცნობ მხარზე და მზერა აღმართს შეაყოლა. აქ ბედის ბედაურმაც, დროაო, გულში თქვა და ისარივით გაიჭრა წინ. ნიმროდი და მის მხარს ბრჭყალებით ჩაფრენილი ბრძენი ბუც მიჰყვნენ ბედაურის მოძრაობის რიტმს და რისხვად დაატყდნენ ქართლოსის მხედრობის წინა რიგებს. უკან მოჰყვებოდათ მფრინავი ათასეულები და ყველა სისხლმოწყურებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახნულზე ჭირდა ჯირითი და მითუმეტეს აღმართზე, თავ-დაღმართი ხომ ბედს გაწყევლინებდათ?!

როგორც იქნა, გაილია დღე პირველი და გამოიჯეკა ცხენიც და მხედარიც.

მზე ჩასულიყო და ორივე მხარემ ქარქაშში ჩააგო ხმალი.

ნიმროდმა დიდი ზარალი განიცადა. მარცხს გაეშმაგებინა იგი: პირველად იყო, მარცხი რომ იწვნია. ცოფებსა ჰყრიდა.

:

თარგამოსმა ფიქრი მოიშველია:

ფიქრი, რომელიც უფრთხოდა ხვალინდელ დღეს.

ფიქრი: „ხვალ ნიმროდს ვეღარც იცნობთ: იგი გადააწყობს თავის ათასეულებს, გონს მოვა მისი მხედრობაც. იფიქრე, თარგამოს! ხომ გამოიჯეკეთ თქვენ, გამოიჯეკა მოწინააღმედეგეც. იგი ნიმროდია, ხომ არ გავიწყდება?!

თარგამოსი: – ჰოდა, ვფიქრობ!

ფიქრი: ნიმროდი უბრალო ვინმეც არ გეგონოთ?! მისგან ყველაფერია მოსალოდნელი! არც ბრძოლის წესებს დაგიდევთ. მერე და: უშიშია ვითარცა უხორცო...

თარგამოსი: – ვიცი: ესე არს გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა... ამას რა დამავიწყებს?!

ფიქრი: „ნიმროდი სულ იმის ცდაში იქნება, რომ დაგიმარტოხელოს, გახსოვდეს: შენი დაცემა და დაეცემა სრულიად ქარდუხეთი! ამიტომ: გახდი უჩინარი! ეს უნდა შეძლო, თარგამოს!

თარგამოსი: – მაგრამ მე მაინც შევერკინები ნიმროდს!

ფიქრი: „თარგამოს, სიფრთხილე გმართებს! შეგახსენებ: შენი სიკვდილი დაუშვებელია!“

თარგამოსი: – ჩემი ჟამიც ჩამოჰკრავს!

და: ღამემ მოაშთო დღე...

წვყდიადმა დაისადგურა...

... ღამეს მთლად ირგვლივეთი შთაუნთქავს(!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კაი ხნის ნაცნობივით შემოაბიჯა ხვალემ, „ხვალეც“ რომ აღარ იყო უკვე, დღეის სამოსელი მოესხა.

თავალდახელშუა არ გაგვიაწმყოვდა?!

აჰა, ქარდუხს მზეც წამოადგა თავს, და როცა სულიც შეუთბა მზეს და თვალებიც ამოიფშვნიტეს ქარდუხმაც და ქარდუხელებმაც, ბუკის ხმამ შესძრა ლამის სააქაო.

ისევ იხილა ნიმროდმა გადახნული საბრძოლო ველი და ჯერ თარგამოსზე მოერია ჯავრი, მერე – თავის თავზე. თავის თავზე იმიტომაც, რომ წინდაწინ უნდა გაეთვალისწინებინა: თარგამოსი პურ-მარილით არ დახვდებოდა ქარდუხთა ქვეყნის დასაპყრობად მოსულ ნიმროდს. ნიმროდსაც ვერ წარმოედგინა: თარგამოსი ასე მომზადებული თუ დახვდებოდა.

ნიმროდმა აიაღმართა და მაღლობზე დაბანაკდა. იმედოვნებდა: თარგამოსი სიმაღლის აღებას არ ინდომებდა, თვითონ კი დროს მოიგებდა და იმდენს კი შეძლებდა, რომ თავისი გულგატეხილი მხედრობა უკანასკნელი შეტევისათვის შეეგულიანებინა.

სასწრაფოდ მოიწვია სამხედრო საბჭო, შეაფასა შექმნილი ვითარება და ქარდუხთა ქვეყნის დაპყრობის ახალი გეგმის შედგენა დაიწყო: მზვერავთა ოცეულს კი ებრძანა, მტრის ზურგში შეეღწია და ცნობები შეეგროვებინა ქარდუხთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე. შეემოწმებინა თარგამოსის მხედრობის საბრძოლო განწყობა და სხვა და სხვა.

ასე რომ შეტევა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

... მზვერავთა ოცეული მალე დაბრუნდა უკან: საჭირო ცნობები საკმაოდ მოეპოვებინათ და ნიმროდს წარუდგინეს. სამხედრო საბჭოს განუცხადა, შეტევაზე გადასვლის დროს, მზის ჩასვლის შემდეგ განაცხადებდა.

* * *

ისრების წვიმა სახეში სცემდა ორივე მხარეს, ბრძოლაში ლოდსატყორცნი მანქანები ჩართეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმროდი ბრძანებდა: პირველი და მეორე ცხენოსანი ათასეულებიც გადასულიყვნენ შეტევაზე. თარგამოსმაც ნიმროდის მფრინავებს თავისი ორი ათასეული დაუპირისპირა.

და ბოლოს: ნიმროდმა თავისი მთავარი ძალაც დაძრა ადგილიდან.

თარგამოსის ჯერიც დამდგარიყო, თავისი ათასეულით შეუტია ნიმროდის მთავარ ძალას.

და გაუჭირდათ ნიმროდელებს(!)

ბრძოლის ბედი მაინც გადახნულმა ველმა და ქარდუხთა შემართებამ გადაწყვიტა; ქარდუხი თავის მიწას იცავდა და ნიმროდი ედავებოდა ამ მიწას.

ნიმროდი თავბედს იწყევლიდა, ასეთი მარცხი, რაც თავი ახსოვს, ჯერ არ განეცადა. და მერე: ვინ დაახევინა უკან თვითონ ომის ღმერთს ნიმროდს?! ნიმროდი უკუქცეულია და უკუაქცია იგი თარგამოსმა! მეტოქედაც რომ არ მოიაზრებდა ნიმროდი.

„ჭკუით დამჯაბნა! კარგად გამოიყენა ჩემივე საბრძოლო გამოცდილება და ბრძოლის ხელოვნება. წისანწარ მოემზადა ჩემთან შესარკინებლად...“ – თავის კანში ვეღარ დატეულიყო ნიმროდი. იმ დღეს წყევლიდა, თარგამოსის სახელი რომ ესმა პირველად. დაწყევლა ის დღეც, როცა ქარდუხეთის დაპყრობის სურვილი აეკვიატა, წყევლიდა ებერს და მის ქომაგს ცაბაოთს.

თითქოს დაიბნა კიდეც, მაგრამ მალე გამოერკვა. თავის მშველელ ფიქრს მოუხმო: განვლილი გზა გაუსიგრძეგანდა თვალწინ და მოგონებათა ბურუსში გაეხვია. დაუოკებელი სული ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ფიქრს ბოლომდე შეჰყვა. აქ კი უბრძანა თავს, უნდა დაისვენო და ენერგიაც უნდა აღიდგინოო.

ჰოდა: ძილს მისცა თავი.

ღამე თავისი სიწყვდიადით თრგუნავდა ყველასა და ყველაფერს.

ზმანება:

ეზმანა ნიმროდს: აღარც დღე იყო და აღარც – ღამე; აღარც – სინათლე, აღარც – წყვდიადი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემწარა და აღარც ემწარა; ეწყინა და აღარც წყენია...

გახედა და: ერთად მოირწეოდნენ, დაზავებულები: დღე – ოქროსფერი მამალი ცალ ფეხზე შემდგარი და ღამე – კუპრივით შავი მამალი, ისიც – ცალ (მარცხენა) ფეხზე... პირველი ათენებდა და მეორე აღამებდა.

მოირწეოდნენ და გულში დასცინოდნენ ერთმანეთს „შე დაფეხვილოო!“

ნიმროდი გაკვირვებულია(!)

„მე – ნიმროდი ვაღამებდე და თარგამოსი ათენებდეს?! ის ნათლის სვეტი იყოს, მე – წყვდიადის სვეტი?! – ამოიხრიალა ნიმროდმა და როგორ გაიხარა, ნაცნობი ხმები რომ ესმა: ამოჩურჩულებდა ბედის ბედაური და ჩასჩურჩულებდა ბრძენი ბუ.

მაინც რა მოხდა?

რა ხდებოდა და:

რა უნდა მომხდარიყო?

იელვა:

– თარგამოს! შენ ორთაბრძოლაში გამოიწვევ ნიმროდს – უძლეველ გმირს, რომელმაც მე თვითონ უფალ ღმერთს ცაბაოთს გამომიცხადა ომი! ნიმროდი ძალაა აუწონელი, მაგრამ იგი ძლეულ უნდა იყოს! ასე მნებავს მე – ცაბაოთს! და კიდევ, კარგი: გონიერება გამოიჩინე და ებერი სამლოცველოში დაგიტოვებია. ებერი ლოცვას აღავლენს ჩემს სახელზე, ილოცებს შენთვისაც, ქარდუხისთვისაც. დასალოცია ქარდუხელებიც! აჰა, ნიმროდიც! აცალე, ჩამოიაღმართოს!

ჩამოიაღმართა და შეტევაზე გადასვლა ბრძანა თარგამოსმაც.

„... და იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელთა ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტვერი ფერხისა მათისა ვითარცა ხმა ქუხილისა, სიმრავლე და ტყორცნა ქვისა მათისა სეტყვა ხშირი...“

სად აღარ ნახავთ კავკასოსს თავისი მშვილდით, დაჰქრის ბრძოლის ველზე, იქნებ თვალი მოჰკრას ნიმროდს თავის ბედის ბედაურზე ამხედრებულს, მხარზე ბრძენი ბუ რომ აზის, უკან სისხლის კვალს რომ ტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა: გაიელვა კავკაოსის თვალწინ რკინასა და რვალში ჩამ-ჯდარმა ნიმროდმა. თვალი კი შეავლო (თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო), რომ ნიმროდიც აღარსად იყო. კავკასოსი მთლად დარწმუნებულიც ვერ იყო, მართლა ნიმროდი იხილა, თუ მხ-ოლოდ ზმანება იყო ეს და მოლანდება.

სულ ეს იყო: მერე და მერე ძლივს აღიდგინა ის შთამბეჭდა-ვი სურათი და გულში დაასკვნა: „ვთქვათ ნიმროდი იყო... მერე რა, რომ ნიმროდი იყო?! იყო ნიმროდი და გაქრა, ჩაიქროლა ქა-რიშხალივით, მიანგრ-მოანგრია იქაურობაც-აქაურობაც და გამ-კითხავიც არავინაა მისი! მომაჯადოვა... მართლაც: რას აღარ ამ-ბობენ ამ კაც-ლეგენდაზე და კიდევ რაღას არ იტყვიან?! მაგრამ ის კი შევამჩნიე, რომ მხარზე ბრძენი ბუ აღარ ჰყავდა... თუმცა: იმ ბრძენ ბუზეც რაღას არ ამბობენ?! წინ თუ მიუძღოდა თავის პა-ტრონს და გზას უთავისუფლებდა, უსუფთავებდა! ნიმროდი და მისი ბედაური – ცხენ-კაცი ერთმანეთს შეზრდოდნენ.

ჩაიქროლებდა ეს ცხენ-კაცი და უკან შუაზე გადახლეჩილი ადამიანებისა და პირუტყვთა წყევლა-ღრიალი ტალღასავით მო-ჰყვებოდა უკან. ნიმროდს სიკვდილის ცელი უბრწყინავდა მაღლა შემართული და ასე მიიკვლევდა გზას.

სისხლით გაიჟღინთა მიწა, სისხლის სუნს გაებრუებია სისხ-ლისფერი ბრძოლის ველი. ცხენ-კაცს წინ ბრძენი ბუ მიუელვებ-და. სწორედ რომ მიელავდა და ვაი იმას, ვისაც მისი ბასრი ნი-სკარტი და ბრჭალები მისწვდებოდა! თესავდა სიკვდილს... იცო-და, ცხენ-კაცს მიუკვალავდა გზას, ესმოდა ბედის ბედაურის გო-ნისშემძვრელი ჭიხვინი და თვითონაც შესჩხავლებდა სივრცეს.

გაილია დღე მეორეც და გაჰყარა ბინდმა აქეთ თარგამოსი და მისი განახევრებული მხედრობა და იქით: ნიმროდი და მისი მფრი-ნავი ათასეულები, ათასეულებადაც რომ ვეღარ აღიწერებოდნენ.

და: შემოდგებოდა ალბათ, დღე მესამეც, წამითაც რომ ვერ აჩ-ქარდებოდა, მაგრამ ვერაფერიც შეაყოვნებდა.

და: თქვეს თარგამოსიანთაც (ჰაოსის გარდა): – შეწევნითა დამბადებელთა ვიყვნეთ არც ვისი მონა და არავის ვემსახუროთ გარდა თვინიერ ღმერთისა დამბადებლისა...!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა იქით, ასე ოციოდ ნაბიჯზე მათგან ნიმროდი უსწორდებოდა თარაგმოსის მხედრობას. ნიმროდს უკან რჩებოდა დაჭრილთა და მოკვდინებულთა გორი (თითქოს მიწიდან მსწარფლ ამოზრდილი და ეს სიკვდილის გორიც თანდანთან, შესაზარ სახეს იღებდა).

ბრძენი ბუ თავს იწონებდესო თითქოს, მაღლა აეღირებია თავი და ამაყად გადაჰყურებდა ბრძოლის ველს. ზოგჯერაც რაღაც მნიშვნელოვანს წასჩურჩულებდა თავის სისხლმოწყურებულ პატრონს. ამ დროს ბედის ბედაურიც დაიჭიხვინებდა შემზარავად, ნიმროდიც აღინთებოდა სასწაულებრივ და არღა იყო უკვე მისი შემჩერებელი ვინმე.

და: ეტყვის მაშინ თარგამოს თავის ძეთ: „გული გაიმაგრეთ, თითქოს ჰაოსიც ჩვენთან იყოს. განმიმაგრეთ ზურგი, რომ შუბის გასროლაზე მივეახლო ნიმროდს!“

ხელთ ეპყრა თარგამოსს ლარივით გაჭიმული ნიმროდისეული შუბი სასიკვდილოდ განმზადებული, სწორედ რომ ელვისნაირი.

სისხლსა და ოფლში გახვითქულმა ნიმროდმა სულის მოსათქმელად, მხოლოდ ერთი წამით, შეაყენა თავისი ბედის ბედაური, ხმალშემართული მარჯვენაც ძირს დაუშვა და სახე აღმოსავლეთის ქარს მიუშვირა გასაგრილებლად. თარგამოსმაც იგუმანა ეს წამი და წავიდა ნიმროდისკენ „მოვიდა პირისათა მახლობლად მისსა, მაღლა შემართა ნიმროდისეული ელვა-შუბი და სტყორცნა იმისკენ, ვისაც შეეძლო შეეძრა ცაცა და მიწაც (და დადგა თითქოს დროც. დრო აღარც იყო), ელვასავით გაიკლაკნა ჰაერში შუბი, გაიარა უდროობაში და ელვისებრ გაიკლაკნა ელვა-შუბიც ნიმროდის მძლავრ სხეულში, რკინასა და რვალში რომ იყო ჩამჯდარი და სხეულის მეორე მხარეს გამოჰყო წვერი. შეტოკდა ნიმროდიც, მაგრამ იმდენი კი შეძლო, უნაგირიდან არ ამოვარდნილიყო, გადმოიწია წინ და სადავე მოზიდა თავისკენ, ყალყზე რომ შეეყენებინა ბედის ბედაური და გასცლოდა ამ მოჯადოებულ ადგილს (ჯადოც ახსნოდა იმ შეჩერებულ წამს) და საასპარეზოდ თავისი კალოც მოეზომა, მაგრამ იქამდე კი მაინც მოასწრო ეკითხა: – თარგამოს, შენ? ეს შუბიც...

– იცანი, ნებროთ?! დამიბრუნებია უკანვე შენთვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ნიმროდმა გადმოიღო თავისი მშვილდი, გამართა მსწრაფლ, მაგრამ დაასწრეს ისევ: კავკასოსის ისარმაც იელვა, რომელსაც ნიმროდის მკერდშელეწილმა მკერდმა გადაუღობა გზა, იმანაც: ელვისებრ ამოუწვა გული ნიმროდს. ისარი იგიც შუბივით გადმოიკლაკნა ნიმროდის ზურგიდან.

იწვის ნიმროდი შიგნით და ამ დროს: – ისარიც ხომ გეცნოო, ნებროთ?! – შემოუძახებს კავკასოსი.

– დანარჩენი ისრები, თარგამოს?! – ხმა გაბზარვოდა ნიმროდს.

– დაგიბრუნდება, ნებროთ, ყველა დაგიბრუნდება!

და ექვსი ელვა ისარიც თან მიჰყვა იმ პირველს.

სული შეუგუბდა ნიმროდს, ხმა აღარ ამოსდიოდა ყელიდან. მაინც იძალა და გამოსძახა თარგამოსიანთ: – მერვე ისარიც, მერვე ისარს რატომ არ მიბრუნებთ? – ხმა ჩაუწყდა და კითხვის ნიშანივით მოიხარა, ცეცხლი ეკიდა სულშიც, – მერვე ისარი თუ მომიღებს ბოლოს, ისე არ იქნება ჩემი სიკვდილი! – თავბრუ დახვეულს თვალის გახელის თავიც აღარ ჰქონდა. თითქოს ამომწვარიყო შიგნიდან. შექანდა უნაგირზე... არა, არ უნდოდა სიკვდილი ნიმროდს! ვერც კი წარმოედგინა თავისი აღსასრული: იგი ხომ ღმერთია, თვით უკვდავება?! – და ღმერთის სიკვდილი ვინ თქვა?! – თვალთ დაუბნელდა. მეორედაც შექანდა და უნაგირიც გამოეცალა ქვეშ. მხარიც შეუმსუბუქდა იმავდროულად.

ჰოდა: განიმგირა გმირი მონადირეც წინაშე უფლისა ღვთისა!

იქუხა გამაყრუებლად: იქით: სამხრეთში შეირყა გოდოლი და მტვერში გაეხვია.

– სულ ეს იყავი, ნიმროდ?! – ჩამოსძახა ზეცამ, მაგრამ პასუხი რომ დაუგვიანა მიწამ, მოიქუფრა ზეცა: – ნიმროდ, იმედი რად გამიცრუე? ადამ-იანო... – იელვა ისევ, იელვა რამდენიმეჯერ და სულის შემაწუხებელი დუმილიც ჩამოწვა.

ქვევით მიწაზე: ფერფლის გორი...

ეს ნიმროდია ფერფლადქცეული(...)

და დუმილიც კიდევ რამდენხანს?! დუმილი ამნაირი, არა მიწიერიო თითქოს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰოდა: აფეთქდა თითქოს ზეცა.

გრგვინავდა მაღლა ზეცა. და გრგვინვა იყო გამაყრუებელი და დამანგრეველი(!)

– შენ ვეღარც გმირი მონადირე ყოფილხარ, ნიმროდ (დუმილი წუთიერი): „ესე იყოო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა?!“ – და მოეჩვენა ცაბაოთს, თვალი ახელოდაო თითქოს ნიმროდს: აჰყურებდა იგი იმ თავის გოდოლს, სულ მთლად დაბზარულს, თავწაცლილსა და უგუმბათოს.

და რა იხილა ნიმროდმა თავისი გოდოლი ასე დამცრობილი და ლამის განადგურებული, სული აუწრიალდა და მოხუჭა თვალი. მოხუჭა იმიტომ, რომ აღარ ენება თავად გამხდარიყო თავისი დაცემის მოწმეც და მოწამეც.

...მაგრამ შემცბარიც ჩანდა ცაბაოთი: „ადამის სიკვდილი?! ადამის უარყოფა არც მიფიქრია! და უნდა აღდგეს იგი, აღდგეს მკვდრეთით, სწორედ ფენიქსივით, მაგრამ... – აქ კითხვაც ვერ დასვა ცაბაოთმა მთლად სრულყოფილიც და თავის თავზე გაბრაზებულს კვნესა აღმოხდა, რომელმაც ელვასავით შიგ გულში გაუარა სამყაროს და წუთიერი დუმილიც ჩამოწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაბაოთი:

„აღესრულა...

რაო? როგორ? ნიმროდი აღესრულა? ჩემი ადამი აღარაა?! ელვამ დაფერფლა?! მაგრამ ჩემი ხელით არ მომკვდარა ნიმროდი, თარგამოსსა და მისთა ძეთ მოვაკვლევინე იგი?!

ამ რკინასა და რვალში როგორ გაიარა იმ ელვა-შუბმა?! იმ ელვა ისრებმაც? მაგრამ მერვე ისარი? ადამ, მე ხომ არასდროს მიფიქრია, წერტილი დამესვა შენთვის?

ადამი იგივ ნიმროდი და ბოლოს მაინც ნიმროდი! გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა... ჩემს წინააღმდეგ ამხედრებული! შევეჩვიე ამ სახელსაც – ნიმროდი ადამში არ გამომერჩევა! ვძერწე, ვძერწე და: ვინ მინდოდა ყოფილიყო და ვინ გამომივიდა?!

ვგონებ: ფერფლად ქცეულა, მაგრამ სული ჯერაც უდგას პირში. იმასაც ვერ ვიტყვი, აღარ არისო...

ამიჯანყდა და ამიჯანყა სრულიად შუამდინარეთი, ადამიანი ამიმხედრა!

ჰოდა, ფერფლად იქცა ჩემი ნებით. მეგონა, გამიხარდებოდა, იქნებ აწი მაინც ამოვისუნთქო შვებით-მეთქი, მაგრამ პირიქით მოხდა: გამოვცარიელებულვარ როგორღაც, დავობლებულვარ თითქოს. ადამი სწორედ ჩემნაირი მინდოდა მყოლოდა, ჩემი მსგავსი, მაგრამ...

ისე გამამწარა, რომ მეხსიერებიდანაც კი მინდოდა ამომეგდო, მაგრამ ახლა ამის გაფიქრებაც კი მზარავს. საბოლოოდ მაინც ვერ გავიმეტე სასიკვდილოდ. ის მერვე ისარი-ელვა საბოლოოდ მოათავებდა და... ჰაოსიც ხომ ჩემი ნებით გადავკარგე თავის ისრიანად?!

ჰო, დაეცა ადამი-ნიმროდი და თუ დროზე არ მივაშველე დასტაქარი...

არა, სამიწედ როდი მემეტება ჩემი ადამი?! ინება და: თავისუფლება მივანიჭე მეც. ხომ ვერ შევზუდავდი?!

მაგრამ ჩემი ადამი აღარ იყოს?! ნიმროდი აღარ იყოს?! კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამამწარა, მაგრამ გამომაფხიზლა! მეტისმეტი მოუვიდა, მაგრამ ამისკენაც ხომ მე წავუბიძგე?! მინდოდა მცოდნოდა: რის შემძლე და რის მდომი იყო სინამდვილეში და პრობლემები არ შემიქმნა?! მაგრამ მასთან ჭიდილმა გამაძლიერა როგორღაც, ჩემში ადრე მიძინებული გრძნობები გამოაღვიძა, მე კი ავიღო და მივიწყებას მივცე?! იგი სარკე იყო ჩემთვის, იქნებ გაბზარული, მაგრამ... ამნაირი სარკეც მჭირდება!

ნიმროდი ჩემი სიფხიზლე იყო. ნიმროდისთანა ვინმე, შენ რომ ღმერთი ხარ და არ გყავდეს, გამოიგონო უნდა! ჩემზეც ხომ ამბობენ ადამიანები „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, უნდა გამოგვეგონებიათო!“ ნიმროდი მარად სამოქმედოდ განმაწყობდა, მაიძულებდა, თვალიც კი არ დამხამხამებოდა, ნიმროდი ჩემი ღვთაებრივი ჩანაფიქრი იყო!

იგი თავისდაუნებურად შემახსენებდა, რომ უფალი ღმერთი ვიყავი და ვარ ყოვლისშემძლე, ყოვლისმხილველი და ყოვლის მომცველიც! იგი თვალიცაა ჩემი და ყურიც...

და: როგორ? ჩემი ნებითვე დავივსო თვალი და ჩემი ნებითვე ცვილით ამოვიგმანო ყურები? დავბრმავდე და დავყრუვდე?!

ჩამიფიქრებია, გამიაზრ-გამითავისებია და გამომიძერწავს ჩემს ნერწყვში აზელილი თიხისგან, სულიც შთამიბერავს და დასაბამიც ასე მიმიცია ადამის მოდგმისთვის. ესეც თქვენი პირველი სასწაული! და ამ სასწაულზე ვთქვა უარი? მიწას შევაჭმევინო ჩემივე ქმნილება?

არა, მე ვერ დავუშვებ, რომ გადაშენდეს იგი! სინამდვილეში ხომ ადამია იგი – ჩემი ღვთაებრივი ქმნილება!

და ღმერთმა მკვდარი ვერ გავაცოცხლო?!

განა მე არ ვიყავი, ნიმროდის განმგმირავი შუბი და ისრები ელვით რომ დავმუხტე?! სწორედ ელვამ იმსხვერპლა ნიმროდი... დაიფერფლა!

და რატომ ვერ უნდა აღდგეს იგი ფერფლიდან ფენიქსივით?! მე კაცი მჭირდება დედამიწაზე დროის ყოველგვარი ნეგატიური მინარევებისგან განწმენდილი!“

ფიქრებს წაეღო ცაბაოთი და რეა დაუდგა თვალწინ: საკუთარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს უსაყვედურა, რეას დავიწყება როგორ მომივიდა?!

ხომ არ დამდგარა რეას არენაზე გამოყვანის ჟამი?!

რეა – იგივ ევა! იმიტომაცაა, გრძნეული გული ასე რომ მოუწევს ადამისკენ!

ასე რომ: ფენიქსივით უნდა აღდგეს ნიმროდი: ფერფლიდან!

აღდგეს, მაგრამ ნიმროდიც ვეღარ იყოს, ვერც იმას გაიხსენებს, რომ ადამია...

ჰო, რეა! ახლა შენ მჭირდები ყველაზე მეტად და დაუყოვნებლივ!

გესმის, გესმის კი, რეა, ჩემი?

რეა:

„ჩემი ნიმროდი მეძახდესო თითქოს, მაგრამ საიდან მომწვდა ეს ხმა?!“ აჰა, – გახედა გზას. ამოისხა რკინის ქალამნები, ახსენა ნიმროდის სახელი და მისკენ მიმავალ გზას დაადგა.

მაინც როდის იხილავს ნიმროდს, რომ აწრიალებული სული დაუამდეს? სად აღარ მოიკითხავს ნიმროდს, მაგრამ ამაოდ: არც ნიმროდის მნახველს გადაჰყრია სადმე და არც ვინმე ისეთს, ვისაც ნიმროდისთვის მოეკრას თვალი.

იმედგაცრუებულ რეას აუცრიალდა გულზე და ავის მოლოდინში შეაჟრჟოლა: აგერ მესამე დღეა თვალხილული ერთსა და იგივე სიზმარს ხედავს: ვინმე გოლიათი ელვა-შუბს რომ სტყორცნის რკინასა და რვალში ჩამჯდარ ნიმროდს... შუბს შვიდი ელვა-ისარიც მიჰყვება უკან და საკვირველია, როგორ შეანგრია ელვა-შუბმა ნიმროდის გულის ფიცარი, არც ელვა-ისრები ასცდენია ცოცხალ სამიზნეს. ითქრიალებს ნიმროდის სისხლი, მაგრამ ნიმროდი მაინც ცოცხალია! იბრძვის?! სიკვდილს თუ ებრძვის(!)ნიმროდის უკანასკნელი ომი?!

და: აი, მახვილი შემართა ნიმროდმა, წრე შემოიწერა თავს ზემოთ, სიკვდილის ცელივით, მაგრამ გადაიქცა, „გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა!“

იცლება სისხლისგან და აღარც იცლება! ცხადიდან სიზმარში გარდასულა და ეზმანება: უბრუნდებოდესო თითქოს ის დაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ჩრდილი და აღარ იცის: წყინდეს, თუ უხაროდეს ესე ყოველი?

ქრება ზმანება და ძალაგამოცლილ ნიმროდს ხელის განძრევის თავიც აღარ აქვს, მაგრამ ჯერაც რომ უდგას სული?!

...და შედგა რეა, ირგვლივ დუმილი საზარი: შეაცივა უჟმურაყოლილივით. მთვარეულივით შებარბაცდა, მორღვეულიყოსო თითქოს ერთბაშად, წაიბორძიკა, მაგრამ გზამ მიიტაცა მაგნიტივით და დაცემის უფლება აღარ მისცა.

ჰოდა: ის გზაა, რომ ეძახის რეას და რაღა შეაჩერებს აწი?! სული წინ მიუსწრებს!

„ნიმროდს ვჭირდები, ნეტა არ დამაგვიანდებოდეს, არ გაილეოდეს სისხლისგან და...“ – პირი გაუშრა რეას: – მისი სისხლის სუნი მცემს... მიცოცხლე ნიმროდი, ღმერთო! – იმაზე აღარ დაფიქრებულა, რომელ ღმერთს შესთხოვდა ნიმროდის სიცოცხლეს?

მოუნიავებს ამ დროს ძილისმომგვრელი ნიავი და რეასაც წაეძინება ზეზეურად, მაგრამ წინ მაინც სულშეძრული მიიწევს. ტანზე დასუსხავს, იგრძნობს, როგორ შემოაბიჯა მის სიზმარში თვითონ ცაბაოთმა და მოეწურება სული. უჟმურაყოლილივით შეაძაგძაგებს და მოესუსხება გული: „ნიმროდი კვდება? ნიმროდი აღარ უნდა იყოს?! ნიმროდს უჭირს და: რა დროს ძილია, რეა?! – თავს შეუძახა: – გამოიფხიზლე და ევფრატის წყალთან გაჩნდი!

მოგწყურებია? აგერ წყალიც! დიდი წყალი... ნიმროდის საფიცარი მდინარე(ბა). მოიკალ წყურვილი და განეწყვე დიდ საქმეთათვის.

შესვა რეამ წყალი. მოიკლა წყურვილი და შეუსისხლხორცდა ყოველი წყლული:

– იფიქრეო, გაიგონა და იქვე წყლის პირას მოირთხა ფეხი, განემზადა „ფიქრთ განსართველად!“ მოიმთავრა ფიქრი და გაუნათდა დაბინდული გონება.

– გისმენო! – ამოთქვა.

– რატომ წყლით არ შეავსებ ნიმროდისეულ მათარასო?!

და რეამაც შეავსო მათარა. – წვეთიც არ გამოიჟონოს ამ მათარიდან. ახვალ მწვერვალზე და იქ, სადაც კედარი იდგა ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს. მთელი მათარა წყალი დაუსხი ძირში. არ დაგავიწყდეს: სანამ ნიმროდის კედარს წყურვილს მოაკვლევინებდე, მუხლი მოიყარე მის წინაშე. მოიკლავს წყურვილს და აშრიალდება. იგრძნობ ამას, კი არ გაიგონებ?! წამითაც არ შეგეპაროს ეჭვი კედარის არსებობაში, თორემ აღარ გამოგეცნაურება, ევფრატის წყალს დაიგუბებს პირში. ახლა უფრო ხმამაღლა მიესალმე და ორი გირჩი, თითქოს ზეცას შეაწყდაო, შენს წინ დაეცემა. აიღე ორივე და მადლობის ნიშნად თავი დაუკარი კედარს. უბრალო გირჩიც არ გეგონოს! კაკლები გამოიღე – სულ სამოცდაექვსი (გირჩში ოცდაცამეტი კაკალია) და აბგაში შეინახე. აბგას საიმედოდ მოუკარი თავი. ახსენე ღმერთი და დაეშვი თავდაღმართზე. ევფრატის წყალი ხმაურით შემოგეგებება, აავსე ის ნიმროდისეული მათარა და მადლობა უთხარ დიდ წყალს. არ დაგავიწყდეს, ახსენო ღმერთი, თორემ შენს თვალწინ წაიშლება ნიმროდისკენ მიმავალი გზა! იარე, იარე და გულმა რომ გიგრძნოს, მაშინ დადექი! ფერფლად ქცეულ ნიმროდს მომაღლო ბორცვზე იხილავ და არ შეგეშინდეს. სუნთქვაშეკრულმა აპკურე იმ ფერფლს ევფრატის წყალი. მერე აზილე და ნიმროდიც შეისხამს ხორცს. ღია ჭრილობები მობანე, მერე მოასმევინე წყალი და ასე გაგრძელდეს სამ დღეს. დაიცლება წყლისგან მათარა და ნიმროდსაც შეუვარდისფერდება კანი.

მთავარი აწი იწყება, რეა!

გირჩის კაკლებს ამოიღებ აბგიდან, დატეხ სამოცდაექვსივეს და იმ ბრტყელ ქვაზე, თავქვეშ რომ უდევს ნიმროდს, დანაყავ, დააგუნდავებ საკუთარ ნერწყვში და შემდგომ რაც გულმა გითხრას., ისე მოიქეცი. ჭრილობებზე დაადე! მაგრამ ისე, რომ იმ გუნდადან არც რამ მოგრჩეს და არც რამ მიგაკლდეს!

ჰოდა: რეამაც ახსენა ღმერთის – ნიმროდის სახელი. ძირს დაიხედა. მოშვებოდა რკინის ქალამნები. უნებლიეთ მოერია ღიმილი. დაიხარა ძირს, გულდაგულ ამოისხა რკინის ქალამნები, ისევ ახსენა ნიმროდის სახელი და ჩრდილოეთისკენ დაადგა გზას.

გზა, გზა უხმობს რეას(!)...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ერთი დღის სავალ გზას ერთ საათში გადიოდა, ერთი კვირისას – ერთ დღეში, ერთი თვისას – ერთ კვირაში და ერთი წლისას – ერთ თვეში....

რა აღარ შემოხვდა გზად და რა აღარ გადაიტანა: შიმშილი და წყურვილი, შიში და ოფლის ღვრა, მაგრამ გაუძლო ყველაფერს! არ გატყდა სულით და გამოიდარა მისთვისაც: იხილა ბოლოს უკვე დამცხრალი და ყველასგან მივიწყებული ბრძოლის ველი. იქაურობას მტერ-მოყვარე აღარ ჰყავდა უკვე.

აგერ ის ამაღლებული ბორცვიც. ზედ – ნიმროდის ფერფლი.

და სუნთქვა შეიკრა რეამ, ისე, როგორც დაარიგეს: მათარა დაცლილია და ნიმროდსაც შევარდისფერებია კანი.

„აწი იწყება ყველაფერი!“ – რეას გულს ბაგა-ბუგი გაუდის. დანაყა კაკლის გულები, საკუთარი ნერწყვისა და ამ გულებისგან მოამზადა ნარევი, დააგუნდავა. ცოტაც შეიცადა: სული მოითქვა და ისევ აზილა ის გუნდა საკუთარ ნერწყვში. ჰოდა, ელის სუნთქვაშეკრული, რას ეტყვის გული...

გუნდა თექვსმეტ ნაწილად დაჰყო, რვა ნაწილი ზურგზე მწოლიარე ნიმროდს დაადო ჭრილობებზე: ეს დიდი ჭრილობა შუბს მიეყენებია ნიმროდისთვის, დანარჩენი შვიდი – ისრებს. და რეაც იქცევა ისე, როგორც გული უკარნახებს. უმკურნალა ზურგის ჭრილობებს და ამოაბრუნა ნიმროდის მძიმე სხეული: აქაც რვა ჭრილობა, ზუსტად ისეთები, მკერდზე რომ ჰქონდა.

მორჩა საქმეს და ღმერთო, მიცოცხლე ნიმროდიო, – ინატრა და თვალები მილულა: ხედავს გაღიმებულ ნიმროდს, მაგრამ განძრევის თავიც არა აქვს. და რას ეტყვის ამ დროს გრძნეული გული რეას?

რას ეტყვის და: „ნიმროდი ჯერ მთელიც ვერ უნდა იყოსო, უნდა შეივსოს, გამთლიანდეს. ისე ვერ აღდგეს ნიმროდი, სრულ ვეღარ იყოს და გონება გაუნათდება რეას:

– ამდენ ხანს ნიმროდი შემოდიოდა ჩემში და ახლა რომ ვეღარ არის ამის შემძლე, მე უნდა შევიდე ნიმროდში. ავავსებ ისე, ადრე მე რომ მავსებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროაო, უბრძანა გულმაც და რაც ენება, აღასრულა კიდეც. ნიმროდი შეივსო, მაგრამ აღარსად იყო რეა, როგორც ზღაპარში ხდება, ისე...

ნიმროდმა ამოისუნქთა და რომ ჩაისუნთქა, ზღაპრის გმირივით ამოთქვა: – აუუ, რამდენ ხანს მძინებიაო, შეწებებული თვალები გაახილა: მარტო იყო და არც გაკვირვებია. წამოდგა. თვალი შეავლო იქაურობას, მაგრამ ვეღარაფერს სცნობდა.

აქ ფიქრმა დარია ხელი.

ვერა, ვერაფერიც ვერ გაიხსენა და თვალები დახუჭა.

თვალის გახელა უნდოდა და აღარც უნდოდა, მაგრამ მაინც აახილა.

სრული გაურკვევლობა(!)

მაღლა აიხედა და მზეს გაუსწორა თვალი, თითქოს რაღაცას იხსენებსო.

ემძიმა თავი და შეიბერტყა ერთხელ, შეიბერტყა მეორედაც, დაცვივდა რაც რამ რკინისა და რვალისა ესხა, შემსუბუქებულიყოსო თითქოს და შეიბერტყა ისევ. მოწკურა თვალები და ახლაც რომ ვერაფერი გააწყო მეხსიერებასთან, მზერა მეორედაც მიაპყრო მზეს. აეჭრა თვალი და ზურგი შეაქცია მზეს.

ჰოდა: პირველი კითხვაც ამ დროს დაებადა: „რა უნდა ამ უკაცრიელ ტრიალ მინდორზე, რა დარჩენია აქ? და მეორე კითხვაც: „ვინ არის და სადაური?“

არსაიდან მოსვლია პასუხი.

არც ბედის ბედაური ამოტივტივებულა მისი დაობებული მეხსიერებიდან და აღარც – ბრძენი ბუ, მაგრამ რეა? აღარც რეა, რასაკვირველია!...

მაგრამ: ის ღრმული ადგილი, ორ ნეკნს შორის ატკივებული სიცარიელე სასწაულებრივ ამოვსებოდა, დაამებოდა. ექავებოდა მხოლოდ და ამ ქავილმაც მალე დაუტევა.

თვალი ააყოლა გზას, მაგრამ ვერ იცნო. გული უგრძნობდა, მისთვის გაჭრილიყო და სანამ გზას დაადგებოდა, ისევ ახედა ჩამავალ მზეს, თვალი გაუსწორა და აუჩქროლდა სისხლი. თვალებმოწკურულმა გახედა გზას და გზამაც შეიტყუა. შეჰყვა ამ გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირს რომ დაიხედა, შეცბა: ჩრდილი არ ჰქონდა.

ირგვლივ მიმოიხედა გაწბილებულმა: ყველასა და ყველაფერს ჰქონდა თავისი საკუთარი, თავისაფერი ჩრდილი, მაგრამ არ გააჩნდა მას...

კი გაუკვირდა, მაგრამ ეწყინა უფრო...

სუნთქვა შეეკრა, თვალი ხომ არ მატყუებსო და მოხუჭა. გაახილა მერე და: არავითარი ჩრდილი – მისგან გამომდინარი და არც ჩრდილისნაირი რამ – მის სიახლოვეს(!)...

„ხომ არ მძინავს და მესიზმრებაო?!“ – მოაწყდა ფიქრი და ხელზე იბწკინა, ეტკინა და იმედგაცრუებულმა თავი ჩაჰკიდა, არც მძინებია და არც დამსიზმრებიაო...

მერე: გამოერკვაო თითქოს, ხომ არ მომაჯადოესო, მარჯვენა შემოიქნია ირგვლივ, წრე შემოიწერა, მაგრამ არა, თავის ჩრდილს ვეღარსად მიაგნო (რაც არ ჰქონდა, როგორღა მიაგნებდა)?!

აქეთ მიაწყდა, მიაწყდა იქითაც, მაგრამ თავის ჩრდილს ვერსად გადააწყდა!

დაეტოვებინა იგი ჩრდილს, დაეტოვებინა ერთხელ და სამუდამოდ...

ჩაფიქრდა და: იქნებ შეგუებოდა კიდეც ამნაირ ყოფას(...)

და: აწი სათკენ?

იქნებ მზემ მითხრასო და კიდევ ერთხელ მოუნდა თვალი შეევლო ასე მბრწყინავი მნათობისთვის, მაგრამ... ჩასულიყო მზე და გული დაწყდა. ძირს დაიხედა: ახლაც არ ჰქონდა ჩრდილი, მაგრამ აღარც სხვებს ჰქონდათ...

ესეც ახალი საფიქრალი...

იარეო! ჩამოესმა ამ დროს მაღლიდან და ამანაც: ვივლიო...

ივლიდა, აბა, სხვა რაღა დარჩენოდა?

დაღამდა...

გათენდა და ჩრდილი არ გამოსხმია. მუშტი მოუღერა ვიღაცას, არ კი იცოდა – ვის?

იარეო! ჩამოესმა ისევ იმ სიმაღლიდან და: ვივლიო! ამანაც.

ჰოდა: იარებოდა უჩრდილოდ, მაგრამ ეგუებოდა მაინც თავის უჩრდილობას. აღარაფერი ახარებდა, მაგრამ ვიდოდა: დარშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავდარშიც: დარში ავდარი ენატრებოდა და ავდარში – დარი.

დარში დარდი ჰკლავდა და ავდარში – სისოვლე და აღარ უწყოდა სად იყო და საითკენ მიუწევდა გული. დადგა და არსაითკენაც აღარ გაუწია გულმა.

– იარე! – უკვე უბრძანებდა ზეცა, სამჯერ რომ გაებზარა ელვას.

– ვივლი, აბა, არ ვივლი?! – ხელი აუქნია ზეცას და წინ გაიწია, – ვივლი, აბა არ ვივლი?!

ნაბიჯს ნაბიჯი მიაყოლა და მერე სულმაც წინ გაუსწრო.

მირბოდა უკვე. ძირს დაიხედა: რკინის ქალამნები ეცვა.

ნაბიჯიც უგრძელდებოდა სულ უფრო და უფრო. ლამის დედამიწისთვისაც გადაებიჯებინა...

დასასრული

ბათუმი
კვირა: 05.11.2017 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

კარი პირველი ---------- 3
გზაჯვარედინი ----------3
ღვთის სამსჯავრო ---------- 15

კარი მეორე ----------192
ნიმროდი და ებერი ---------- 192

კარი მესამე ----------400
ბოლოსიტყვაობა---------- 566

გამომცემლობა „ივერიონი“
თბილისი. კოსტავას 6.
e-mail: info@iverioni.com.ge